ბიძინა ლუტიძე

ისტორიული მატერიალიზმის საკითხები

გამომცემლობა „განათლება“
თბილისი — 1988

15.5
ლ 962

წიგნში განხილულია ისტორიული მატერიალიზმის საკვანძო საკითხები, რომლებსაც აქტუალური თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. საყურადღებო ასპექტებით არის გაანალიზებული ისტორიული მატერიალიზმის და კერძო საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კავშირი. ნაშრომის ძირითადი ნაწილი ეთმობა მარქსისტული ზოგადსოციოლოგიური მოძღვრების კანონებისა და კატეგორიების არსის გადმოცემას მეთოდოლოგიური და გამოყენებითი მხარეების ჩვენებით. გარკვეულია ვ. ი. ლენინის უდიდესი როლი ისტორიული მატერიალიზმის პრობლემატიკის დამუშავებასა და განვითარებაში. გაკრიტიკებულია ბურჟუაზიული კონცეფციები ზოგადსოციოლოგიურ კანონებსა და კატეგორიებზე, გამომჟღავნებულია ამ შეხედულებათა კლასობრივი მიზანდასახულება.

ნაშრომი განკუთვნილია სტუდენტების, ასპირანტების, პოლიტიკური განათლების ქსელის მსმენელების, ისტორიული მატერიალიზმის საკითხების შესწავლით დაინტერესებული ფართო მკითხველისათვის.

რ ე ც ე ნ ზ ე ნ ტ ე ბ ი: ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. დ. კალანდაძე
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფ. ვ. კალანდარიშვილი

0302000000 — 315
ЛI———————255—88
М-(602)(08) — 88

© გამომცემლობა „განათლება", 1988.

ISBN 5—505—00654—X

ავტორისაგან

საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების არსში წვდომა მუდამ იყო საკაცობრიო აზროვნების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა. მაგრამ ინტერესი ყოველივე იმისადმი, რაც საზოგადოებას, დიდსა და მცირე სოციალურ ჯგუფებს, მათს ურთიერთობას. საკუთრივ ადამიანის ბუნებას ეხება ისე ძლიერი არასოდეს არ ყოფილა, როგორც ეს ამჟამად არის. სოციალური საკითხები დიდი ხანია რაც გასცდა გონებაჭვრეტით განმარტებათა სფეროს და პრაქტიკულ გადაწყვეტას დაექვემდებარა. რაკი სხვადასხვა საზოგადოებრივი თეორიებისა და კონცეფციების მიღმა მასები, კლასები, პროგრესულად ან კონსერვატორულად განწყობილი ადამიანები დგანან, ეს პრობლემები და მათი გადაჭრის წესი დღეს მთელს კაცობრიობას აღელვებს. მსოფლიო სოციალური სისტემების ურთიერთდაპირისპირებამ და ბრძოლამ მშრომელი კაცობრიობა აშკარად და უშუალოდ დააყენა არჩევანის წინაშე: არსებობა განაგრძოს უთანასწორობის, უსამართლობის, ექსპლოატაციის უღელქვეშ თუ თავიდან მოიშოროს იგი და იაროს თავისუფლების, სამართლიანობის, თანასწორობის გზით. მსოფლიო ასპარეზზე ეს არჩევანი სოციალიზმისა და დემოკრატიის სასარგებლოდ წყდება. მაგრამ ჯერ კიდევ მძლავრად მოქმედებენ სოციალური პროგრესის მოწინააღმდეგე ძალებიც. ასეთ ვითარებაში საზოგადოების ბუნების, მისი ცვლილებებისა და განვითარების კანონების, ადამიანის და მისი მომავლის საკითხებმა წინა პლანზე წამოიწია.

ამასთან გასათვალისწინებელია მეორე მეტად მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც აგრეთვე განაპირობა საკაცობრიო აზროვნების შემობრუნება აღნიშნული პრობლემებისაკენ. იგულისხმება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, — თვისებრივად ახალი მდგომარეობა საწარმოო ძალთა განვითარებაში, რამაც კოლოსალურად გაზარდა საწარმოო ადამიანის ძლიერება. სოციალურ სისტემათა ძირეული განსხვავებულობის გამო შესაძლებელი გახდა, რომ კაცობრიობის გენიის მიღწევები დღემდე გაუგონარ პროგრესსაც ემსახუროს ან მის საპირისპიროდაც კი იქნეს გამოყენებული.

ასეთ რთულ და წინააღმდეგობებით აღსავსე სამყაროში ადამიანის ჭეშმარიტ მსოფლმხედველობრივ ორიენტაციას გადამწყვეტი მნიშვ-

ნელობა ენიჭება. უდიდესია მარქსიზმ-ლენინიზმის, მისი ისტორიულ-თეორიული საფუძვლის — ისტორიული მატერიალიზმის როლი ამ მიმართულებით. მხოლოდ ამ პოზიციიდან შეგვიძლია ღრმად გავერკვეთ საზოგადოებრივ სინამდვილეში, მის მამოძრავებელ ძალებსა და მათი ურთიერთქმედების ტენდენციებში.

საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონების ცოდნა მტკიცე საყრდენს გვიქმნის, რომ ვირწმუნოთ საკუთარი ძალები, ოპტიმისტურად განვეწყოთ მომავლისადმი, შეგნებულად ვაშენოთ ახალი საზოგადოება, რომლისკენაც სწრაფვა ობიექტურ ისტორიულ აუცილებლობას ემთხვევა.

წინამდებარე წიგნში მკითხველი გაეცნობა ისტორიული მატერიალიზმის ზოგიერთ საკვანძო საკითხს. აქ, უწინარეს ყოვლისა, განსაზღვრულია ისტორიული მატერიალიზმის, როგორც მეცნიერების შესასწავლი საგანი, დახასიათებულია მარქსისტულ-ლენინური ზოგადსოციოლოგიური მოძღვრების თავისებურებანი, განხილულია ისტორიული მატერიალიზმის და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთმიმართების საკითხები.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა აქტუალური მნიშვნელობის სადღეისო პრობლემებს, მაგალითად, საზოგადოებისა და ბუნების, საზოგადოებისა და ადამიანის, კოლექტივისა და პიროვნების, თაობათა ურთიერთობისა და სხვა საკითხებს. ამასთან დაკავშირებით გაანალიზებულია ზოგიერთი ზოგადსოციოლოგიური კატეგორიის არსებითი ნიშნები.

ავტორი არ ისახავს ისტორიული მატერიალიზმის საკითხების ყოველმხრივი და თანამიმდევრული გადმოცემის ამოცანას. აქ უპირატესად მსჯელობაა იმ პრობლემებზე ან პრობლემათა იმ ასპექტებზე, რომლებიც მისი აზრით ჩვენს სამეცნიერო-პოპულარულ და სასწავლო-მეთოდურ ლიტერატურაში უფრო საფუძვლიან გარკვევასა და გაშუქებას მოითხოვს.

ისტორიული მატერიალიზმის პრინციპული დებულებებისა და დასკვნების უკეთ ათვისების მიზნით წიგნში მოცემულია სათანადო რჩევა-დარიგება და მითითება დამატებითი ლიტერატურის დამოწმებით.

I თავი. ისტორიული მატერიალიზმი: საგანი, თავისებურებანი

1. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება

ისტორიული მატერიალიზმის საგანი. ყოველი მეცნიერება საკუთარი საკვლევი საგნის დადგენით იწყება. თითოეული მათგანი მიზნად ისახავს შეისწავლოს კანონები — ობიექტური, არსებითი, აუცილებელი, ზოგადი და განმეორებადი კავშირები, რომლებსაც ექვემდებარება გარკვეული მოვლენებისა და პროცესების არსებობა და ცვალებადობა-განვითარება.

თავდაპირველად ასეთივე ამოცანა დგება ისტორიული მატერიალიზმის წინაშე. აქაც ისმება უწინარესი კითხვა: რას შეისწავლის ისტორიული მატერიალიზმი? რა არის მისი კვლევის საგანი?

უკვე თვით სახელწოდება — ისტორიული მატერიალიზმი ანუ ისტორიის მატერიალისტური გაგება[1] მიგვანიშნებს, იმაზე, რომ ამ მეცნიერების კვლევის ობიექტია ბუნებისაგან გამორჩეული სფერო, სახელდობრ, ადამიანთა ისტორია, საზოგადოება მისი ფუნქციონირების კანონებით, ახსნილი და შეცნობილი მატერიალიზმის საფუძველზე.

მაგრამ დებულება, რომ ისტორიული მატერიალიზმის საგანია საზოგადოების განვითარების კანონები, — სრულ განსაზღვრებად არ ჩაითვლება, თუმცა ზოგადად სწორია. სწორი იმდენად, რამდენადაც აქ ფაქტობრივად გამოკვეთილია მოცემულ დარგში ობიექტის კვლევის საერთო მიმართულება. მაგრამ არასრულად იმის გამო, რომ

---

[1] „ისტორიული მატერიალიზმი" და „ისტორიის მატერიალისტური გაგება" სინონიმური ტერმინებია. კ. მარქსის ნაწერებში, აგრეთვე ფ. ენგელსის 1890 წლამდე დაწერილ შრომებში ტერმინი — „ისტორიული მატერიალიზმი" არ გვხვდება. მის ნაცვლად მარქსიზმის ფუძემდებლები იყენებდნენ ტერმინს — „ისტორიის მატერიალისტური გაგება", რითაც ხაზს უსვამდნენ ამ მეცნიერების თვისებრივ სიახლეს ადრინდელ სოციოლოგიაში გაბატონებული ისტორიის იდეალისტური გაგებისაგან განსხვავებით და მის საპირისპიროდ.

პირველად ტერმინს „ისტორიული მატერიალიზმი" ფ. ენგელსთან ვხვდებით კ. შმიდტისადმი მიწერილ წერილში (1890 წ. 5 აგვისტო). იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964. გვ. 597, ხოლო ვ. ი. ლენინთან 1898 წელს სტატიაში — „რეცენზია ა. ბოგდანოვის წიგნისა" (თხზ. ტ. 4. გვ. 46).

აღნიშნული დებულებით ისტორიული მატერიალიზმის კვლევის საგანი ბოლომდე შემოსაზღვრული არ არის: საზოგადოების (და არა ბუნების) დამახასიათებელ კანონებს ხომ სხვა მეცნიერებებიც, კერძოდ, პოლიტიკური ეკონომია, მეცნიერული კომუნიზმი, ისტორია, სამართლისმცოდნეობა, პედაგოგიკა, ენათმეცნიერება და ა. შ. შეისწავლიან. მაშასადამე, საჭიროა, რომ ისტორიული მატერიალიზმის კვლევის საგანი კიდევ უფრო დაკონკრეტდეს და დაზუსტდეს.

მეცნიერებათა განსხვავებას მათი საკვლევი ობიექტების განსხვავება უდევს საფუძვლად.

რაკი ყოველი მეცნიერება განსაზღვრულ კანონებს იკვლევს და ამ ნიადაგზე ყალიბდება ცოდნის მოცემულ სისტემად, აუცილებელია გაირკვეს, თუ კანონთა რომელი ჯგუფია ისტორიული მატერიალიზმის შესწავლის საგანი ზემოჩამოთვლილ და სხვა სპეციალურ საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან განსხვავებით.

ამისათვის კი, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა დავადგინოთ განსხვავება თვით საზოგადოებაში მოქმედ კანონთა შორის, რომლებსაც ისტორიული მატერიალიზმი და სპეციალური საზოგადოებრივი, ჰუმანიტარული მეცნიერებანი ასახავენ.

საზოგადოების განვითარების კერძო და უზოგადესი კანონები. საზოგადოება წარმოსდგება როგორც თვისებრივად გარკვეული მთლიანობა, რომელიც სრულიად განსხვავებულ მხარეებსა და სფეროებს, ხოლო მათ შიგნით მოვლენების, ფაქტებისა და პროცესების დიდ სიმრავლეს აერთიანებს, საზოგადოების მთლიანობა და მისი შემადგენელი მხარეებისა და სფეროების განსხვავებულობა ობიექტურ საფუძვლად უდევს კანონთა ორი სხვადასხვა რიგის, სახელდობრ, კერძო და უზოგადესი კანონების არსებობას საზოგადოებაში.

თვისებრივად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული სფეროები, მოზარდი თაობის აღზრდის, ენის განვითარების, ადამიანთა ქცევის ნორმების ცვალებადობის და სხვა უამრავი საზოგადოებრივი მოვლენები და პროცესები.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყოველ სფეროსა და მხარეს, როგორც ყველა დანარჩენისაგან თვისებრივად განსხვავებულს თავისი სპეციფიკური კანონები განაგებს. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული რიგის კანონები — კერძო კანონებია, რომლებიც დამახასიათებელნი არიან საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ამა თუ იმ, კონკრეტული სფეროსათვის. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, რის გამოც ასევე მათი შემსწავლელი მეცნიერებანიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. მაგალითად, პოლიტიკური ეკონომია სწავლობს წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონებს. პედაგოგიკა იკვლევს მო-

ზარდი თაობის აღზრდის, ენათმეცნიერება — ენის განვითარების კანონებს. ასევე შეგვეძლო მსჯელობა სხვა მეცნიერებათა მიმართ, რომლებიც საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში მოქმედ კანონებს შეისწავლიან.

მაგრამ საზოგადოება მისი შემადგენელი მხარეებისა და სფეროების მექანიკური ჯამი კი არ არის. არამედ მჭიდრო ურთიერთკავშირზე დაფუძნებული მთლიანობაა, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა „სოციალური ორგანიზმია“ [1]. სოციალური ორგანიზმი — მთლიანი სისტემა კი საზოგადოების განსხვავებულ მხარეთა დაკავშირების საკუთარ კანონზომიერებებს შეიცავს. საზოგადოების ცალკეულ სფეროებში გამოვლინებადი კერძო კანონებისაგან განსხვავებით ამ რიგის კანონები და კანონზომიერებანი მოქმედებენ გ ლ ო ბ ა ლ უ რ ა დ, მთელი ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ის მ ა ს შ ტ ა ბ ი თ და ამდენად ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო უ ზ ო გ ა დ ე ს ი მნიშვნელობის არიან საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მხარისა და სფეროსათვის.

ზოგადობა ყოველგვარი კანონის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანია, იგი ცხადია, ახასიათებს საზოგადოების განვითარების როგორც კერძო, ისე საყოველთაო კანონებს. მაგრამ ეს კანონები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ზოგადობის ხარისხის მიხედვით. პირველ შემთხვევაში ზოგადობის განვრცობის არე იწყება და მთავრდება იქ, სადაც იწყება და მთავრდება საზოგადოებრივი ცხოვრების ესა თუ ის ცალკეული სფერო. მეორე შემთხვევაში ზოგადობა გარეგადამწყდომია მთელი საზოგადოების მიმართ, მაშასადამე, უ ზ ო გ ა დ ე ს ი ა მისი ცალკეული სფეროების შიგაზოგადობებთან შედარებით.

ამ რიგის კანონები საყოველთაო, ე. ი. უზოგადესნი არიან იმის გამოც, რომ ისინი მოქმედების ძალას ინარჩუნებენ საზოგადოებრივი განვითარების ყოველ საფეხურზე, საზოგადოების ფორმირებიდან დღემდე, მისი არსებობის მომავალ სტადიებზეც, მაშასადამე, ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. [2] რაც შეეხება კერძო, სპეციფიკურ კანონებს, მათი მოქმედების დროული საზღვრები ეიწროა და შემოფარგლული. ამის საილუსტრაციოდ შეეხოთ საზოგა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები. ტ. I. 1975. გვ. 608.

[2] ისტორიული მატერიალიზმის როგორც საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონების მეცნიერების შესახებ იხილეთ: გ. ე. პლეხანოვი ისტორიაზე მონისტური შეხედულების განვითარების საკითხისათვის. თბ. 1930; ისტორიული მატერიალიზმის საგნის შესახებ. თბ., 1973. Г л е з е р м а н Г. Е. Законы общественного развития, их характер и использование. М., 1979. Исторический материализм как социально-философская теория; М., 1982. М о м д ж я н К. Х. Концептуальная природа исторического материализма. М., 1982. П о п о в С. Общественные законы. М., 1980. У л е д о в А. К. Социологические законы. М., 1975. Ч е с н о к о в Д. И. Исторический материализм как социология марксизма-ленинизма. М., 1973.

დოებრივი ყოფიერებით საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრულობის კანონს; იგი საერთო მნიშვნელობის მქონეა ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის, უზოგადესია ისტორიული პროგრესის ნებისმიერ საფეხურზე მყოფი ყველა საზოგადოებისათვის, მაშინ როდესაც ისეთი კანონი, როგორიცაა მაგალითად, ზედმეტი ღირებულების წარმოება და მითვისება — კაპიტალიზმის ძირითადი ეკონომიკური კანონი, რაც მისი სახელწოდებიდანაც სჩანს, — მარტო კაპიტალიზმის დროს მოქმედებს, კარგავს თავის აუცილებლობას სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. კ. მარქსი აკრიტიკებდა ბურჟუაზიულ ეკონომისტებს იმის გამო, რომ ისინი ეკონომიკურ კანონებს განიხილავდნენ, როგორც „მარადიულ“ და „არა ისტორიულ კანონებს“ [1], არა „როგორც ნამდვილ, წარმავალ, ისტორიულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა აბსტრაქციებს“ [2].

საზოგადოებრივი განვითარების ზოგადი და კერძო, სპეციფიკური კანონები არ არსებობენ ცალ-ცალკე, ისინი ურთიერთს მსჭვალავენ და ერთიანობაში მოქმედებენ [3].

უზოგადეს და კერძო, სპეციფიკურ კანონებთან ერთად საზოგადოებაში არსებობენ ისეთი კანონებიც, რომლებიც თავს იჩენენ არა ყველა და არა მხოლოდ ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ კლასთა ბრძოლის, პოლიტიკური ორგანიზაციის, ეროვნულ ურთიერთობათა განვითარების და სხვა კანონები. ესაა *განსაკუთრებული* რიგის, — რამდენიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი კანონები, ისინი აღმატებული ზოგადობით განსხვავდებიან კერძო კანონებისაგან და თავისი ბუნებით საზოგადოებრივი განვითარების უზოგადეს კანონებს უახლოვდებიან, უფრო ზუსტად სპეციფიკურად ავლენენ მათ ანტაგონისტურ ფორმაციათა მასშტაბით. ამიტომ განსაკუთრებული კანონებიც ისტორიული მატერიალიზმის შესწავლის ობიექტს შეადგენს.

კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან განსხვავებით *ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებს.*

ისტორიის მატერიალისტური გაგების ამოცანაა საზოგადოებრივი

---

[1] *კ. მარქსი, ფ. ენგელსი.* რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 547.

[2] *იქვე.*

[3] „ზოგადი და სპეციფიკური კანონები ერთი მეორის გვერდით კი არ არიან დალაგებული, არამედ ერთიმეორეში მოქმედებენ; ისინი ერთიანი პროცესის, ერთიანი კანონზომიერების მხარეებს, ან ერთიმეორის კონკრეტულ გამოხატულებას წარმოადგენენ“. *ს. წერეთელი.* მეცნიერების კანონთა ბუნების შესახებ. 1955. გვ. 142—143.

ცხოვრების რეალურ კავშირებში აღმოაჩინოს „მოძრაობის ზოგადი კანონები... რომელნიც ადამიანთა საზოგადოების ისტორიას განაგებენ“[1] „ისტორიის მსვლელობას შინაგანი ზოგადი კანონები განაგებს“[2].

საკაცობრიო ისტორიის უზოგადესი კანონების დადგენით ისტორიული მატერიალიზმი განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების მამოძრავებელ ძალებსაც. ის, რაც საფუძვლად უდევს და განაპირობებს საზოგადოების ცვალებადობას და განვითარებას, — შეუძლებელია ამასთანავე მისი მამოძრავებლის ფუნქციას არ ასრულებდეს. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმის საგნის გაფართოებას, ე. ი. მისი შესწავლის საგნად საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებთან ერთად საზოგადოების მამოძრავებელი ძალების გამოცხადებას, — გამართლება არ უნდა ჰქონდეს[3].

თავის მხრივ, საყოველთაო კანონებისა და კავშირების შემეცნება გარკვეული კატეგორიების გამოყენებას მოითხოვს, რომლებიც საზოგადოებრივ ცხოვრების უზოგადეს არსებით მხარეებსა და სფეროებს, მათს მიმართულებებს გამოხატავენ[4].

კატეგორიებით ოპერირების გარეშე საერთოდ შეუძლებელია ნებისმიერი მეცნიერული სისტემის აგება. ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კატეგორიების მსგავსად საზოგადოებრივი ცხოვრების არსებით მხარეებსა და კავშირ-ურთიერთობებს ასახავენ. მაგრამ ამ მეცნიერებათა კატეგოიები ისე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 476.

[2] იქვე. გვ. 477.

[3] ბოლო პერიოდის საბჭოთა ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ ლიტერატურაში შესამჩნევია ისტორიული მატერიალიზმის საგნის ფართოდ განსაზღვრის ტენდენცია. მაგალითად, უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოში „მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის საფუძვლები“ ამ საკითხთან დაკავშირებით აღნიშნულია, რომ „ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის, უწინარეს ყოვლისა და ძირითადად **საზოგადოების განვითარების უზოგადეს კანონებს, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების წარმოშობის, არსებობისა და განვითარების მამოძრავებელ ძალებს**“. (იხ. „Основы марксистско-ленинской философии“, стр. 184). ისტორიული მატერიალიზმის საგანია საზოგადოების „ფუნქციონირებისა და განვითარების საყოველთაო კანონები და მამოძრავებელი ძალები“ (იქვე). ანალოგიური განსაზღვრება მოცემულია კოლექტიურ ნაშრომში „ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის... საზოგადოებრივი განვითარების უზოგადეს კანონებს და მამოძრავებელ ძალებს“ (იხ. „Исторический материализм“, М., 1974, стр. 6). ვ. კელეს და მ. კოვალზონის წიგნში — „Исторический материализм“, М., 1969, стр. 6 და სხვ.

[4] ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიების შესახებ ერცლად იხილეთ: Категории исторического материализма. М., 1980. Разин В. И. К вопросу о категориях исторического материализма. Вестник МГУ, серия философия, 1978. № 5. Проблемы систематизаций категорий исторического материализма. Челябинск. 1980. Шершунов А. Д. Категории исторического материализма и их взаимосвязи. М., 1975.

ვე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც კანონები, რომლებსაც ისინი კვლევის ობიექტად აქცევენ.

კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა კატეგორიებში ასახულია არა მთელი საზოგადოების, არამედ მისი რომელიმე სფეროსათვის დამახასიათებელი არსებითი მხარეები და ურთიერთობანი.

მაგალითად, პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები — საქონელი, ღირებულება, ზედმეტი ღირებულება, მოგება, ფასი, ფული, კაპიტალი და სხვ., — კ. მარქსის თქმით „რეალურ ურთიერთობათა ა ბ ს ტ რ ა ქ ც ი ე ბ ი ა“ [1]. ეს აბსტრაქციები განაზოგადებენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს მხოლოდ ეკონომიკის დონეზე. პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიები, საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ამა თუ იმ არსებითი მხარეების გამოხატვით გარკვეულ ადგილს იჭერენ საზოგადოების ეკონომიკური განვითარების შესახებ მოძღვრების სისტემაში. ისინი სპეციფიკური არიან, რამდენადაც მხოლოდ და მხოლოდ ეკონომიკურ ურთიერთობათა სფეროში ინარჩუნებენ თავიანთ მნიშვნელობას. პოლიტიკური ეკონომიის კატეგორიების გამოყენება არ არის საჭირო ენათმეცნიერების, სამართლისმცოდნეობის ან სხვა კერძო საზოგადოებრივი მეცნიერული სისტემის აგებისათვის, ისევე როგორც ენათმეცნიერების, სამართლისმცოდნეობის, პედაგოგიკის ან სხვა კერძო საზოგადოებრივი მეცნიერების კატეგორიები მოქმედების ძალას კარგავენ პოლიტიკური ეკონომიის სფეროში.

სულ სხვა მდგომარეობასთან გვაქვს საქმე, როდესაც მსჯელობა ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიებს ეხება. ისტორიული მატერიალიზმის კატეგორიები ასახავენ საზოგადოებრივი ცხოვრების არა რომელიმე ცალკეულ სფეროში გამწდომ, არამედ საზოგადოებრივი ცხოვრების როგორც მთლიანის უზოგადეს მხარეებს და მათს კავშირურთიერთობას. ასეთი კატეგორიების რიცხვს მიეკუთვნება საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოებრივი ცნობიერება, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ბაზისი და ზედნაშენი, თავისუფლება და აუცილებლობა, საზოგადოება და პიროვნება და მრავალი სხვა.

მართალია, ეს კატეგორიები საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ამა თუ იმ უზოგადეს მხარეს და მიმართებას გამოხატავენ, მაგრამ ისევე არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, როგორც მათ მიერ ასახული უზოგადესი მხარეები და მიმართებანი. ისინი ერთმანეთს მოითხოვენ და ავსებენ, რათა მთლიანობაში წარმოგვიდგინონ მრავალფეროვანი საზოგადოებრივი სინამდვილე. აღნიშნული კატეგორიებიც ისტორიული მატერიალიზმის — ზოგადმეთოდოლოგიური სოციოლოგიური მეცნიერების შესწავლის საგანია. სპეციალურმა საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა უნდა ისარგებლონ ისტორიული მა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. II. გვ. 547.

ტერიალიზმის კატეგორიებით, რომელთა საშუალებით ვწვდებით საზოგადოების როგორც მთლიანის უზოგადეს მხარეებსა და კავშირებს. უნდა ისარგებლონ იმიტომაც, რომ უზოგადესი მხარეებისა და კავშირების გამომხატველი კატეგორიები საზოგადოებრივი ცხოვრების სწორედ ცალკეული სფეროებიდანაა აბსტრაჰირებული.

დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ერთიანობა. ისტორიული მატერიალიზმი მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია. დიალექტიკურ მატერიალიზმთან ერთად, მასთან ორგანულ კავშირში იგი არის პროლეტარული იდეოლოგიის თეორიული საფუძველი, მწყობრი, ბოლომდე თანამიმდევრული, მონოლითური მეცნიერული მსოფლმხედველობა.

დიალექტიკური მატერიალიზმი შეისწავლის მთელი სამყაროს განვითარების უზოგადეს კანონებს. ეს კანონები საზოგადოებაშიც მოქმედებენ, ვინაიდან რასაც მთელი შეიცავს — ის მთელის კანონზომიერებებს ემორჩილება; ამიტომ საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებისათვის აუცილებელია ვემყარებოდეთ დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც **მთელი** სინამდვილის მატერიალისტური ახსნის თეორიას, მისი შეცნობის დიალექტიკურ მეთოდს. დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებების გავრცელება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე — ამ მოვლენების მეცნიერული შემეცნების აუცილებელი პირობაა. მაშასადამე, მარქსისტულ-ლენინური ზოგადსოციოლოგიური მოძღვრების — ისტორიული მატერიალიზმის მეცნიერული სისტემა მხოლოდ დიალექტიკურ მატერიალიზმთან მისი ორგანული ერთიანობით არის შესაძლებელი.

მაგრამ საზოგადოება თვისებრივად განსხვავდება სინამდვილის სხვა სფეროებისაგან და ამიტომ მას თავისი სპეციფიკური კანონებიც გააჩნია. მართალია, საზოგადოებრივი ცხოვრების კანონები თავს იჩენენ მთელი სინამდვილის უზოგადესი კანონების მოქმედების ბაზაზე, მაგრამ ეს არ უარყოფს საზოგადოების განვითარების კანონთა სპეციფიკურობას. კაცობრიობის ისტორიული განვითარება ისეთ კანონებსაც ექვემდებარება, რომელიც სწორედ მისთვისაა დამახასიათებელი და არა სინამდვილის სხვა სფეროებისათვის. თუ უგულვებელვყოფთ ამ კანონებს, მაშინ ვერც შევიმუშავებთ მეცნიერულ მსოფლმხედველობას სამყაროზე, როგორც მთლიანზე.

აქედან გამომდინარე, დიალექტიკური მატერიალიზმის დასაბუთება არ შეიძლება ისტორიული მატერიალიზმის გარეშე და პირიქით, ისტორიული მატერიალიზმის მეცნიერული სისტემა თავის მხრივ ემყარება დიალექტიკურ მატერიალიზმს, როგორც ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძველს. დიალექტიკური მატერიალიზმი და ისტორიული

მატერიალიზმი, როგორც ერთიანი მარქსისტული ფილოსოფიის ორი განუყრელი მხარე ერთმანეთს განაპირობებენ.

ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენა, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, ეს იყო მატერიალიზმის თანამიმდევრული განგრძობა და გავრცელება საზოგადოებრივ მოვლენათა სფეროზე [1]. „მარქსმა გააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბოლომდე მიიყვანა იგი, ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ადამიანთა საზოგადოების შეცნობაზე გაავრცელა“ [2].

ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი. ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენა, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა. კ. მარქსის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში, აგრეთვე ნაშრომში „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“, — კ. მარქსის სახელთან არის დაკავშირებული [3]. რასაკვირველია, ჯერ კიდევ ძველი დროიდან შემუშავდა მრავალი კონცეფცია კაცობრიობის ისტორიის მამოძრავებელი ძალების შესახებ, მაგრამ მარქსამდელი სოციოლოგია და ისტორიოგრაფია ვერ ამაღლდა საზოგადოების ისტორიის მატერიალისტურ გაგებამდე. ეს ამოცანა კ. მარქსმა გადაწყვიტა.

კ. მარქსმა ფილოსოფიური მატერიალიზმის ძირეული პრინციპი მატერიის პირველადობისა და ცნობიერების მეორადობის შესახებ თანამიდევრულად გაავრცელა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებზე, რითაც ბოლო მოუღო ადრინდელ მოაზროვნეთა საუკუნეობრივ შეზღუდულობას და არათანამიმდევრულობას ამ საკითხის გადაწყვეტაში. ისტორიის მატერიალისტური გაგების მიხედვით საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება მეორადი. ამ პრინციპით გამოიხატება ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი.

ადამიანთა ცხოვრება რომ მოიცავდა ორ მხარეს — სულიერსა და მატერიალურს, — ამას ადრეც ამჩნევდნენ, მაგრამ ამ ორი მხარის ურთიერთობის პრობლემა მარქსამდე მეცნიერულად ვერ გაარკვიეს. არა მარტო იდეალისტები, არამედ აგრეთვე მატერიალისტებიც უკიდურესად აზვიადებდნენ იდეური მოტივების როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და საზოგადოებრივ ცნობიერებას, საზოგადოებრი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 51.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 19. გვ. 5.

[3] „როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი, ისე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი“ (კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები. ტ. 11. 1964 წ. გვ. 197). „ორივე დიდ აღმოჩენას — ისტორიის მატერიალისტურ გაგებას და კაპიტალისტური წარმოების საიდუმლოების გამომეღაენებას ზედმეტი ღირებულების შემწეობით,—ჩვენ მარქსს უნდა ეუმადლოდეთ“. (იქვე, გვ. 159).

ვი ყოფიერების განმსაზღვრელ ძალად მიიჩნევდნენ. მარქსიზმის წარმოშობამდე იდეალიზმი განუყოფლად ბატონობდა საზოგადოებრივი ცხოვრების გაგებაში.

ისტორიული მატერიალიზმი ძირეულად ეწინააღმდეგება საზოგადოებრივი ცნობიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ყოფიერების მეორადობის იდეალისტურ პრინციპს. ისტორიის მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივი ყოფიერების განმსაზღვრელი როლის აღიარებას ემყარება. „ადამიანები, რომლებიც თავიანთ მატერიალურ წარმოებას და თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას ავითარებენ, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად სცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას“ [1].

ისტორიის მატერიალისტური გაგების დასაბუთებით დაძლეულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ნაკლოვანებანი და შეზღუდულობანი.

მარქსამდელი სოციოლოგიის ძირითადი ნაკლოვანებანი. ვ. ი. ლენინი ნაშრომში „კ. მარქსი“, მიუთითებდა მარქსამდელი სოციოლოგიური და ისტორიული თეორიების ორ ძირითად ნაკლოვანებაზე:

1. ეს თეორიები უკეთეს შემთხვევაში განიხილავდნენ ადამიანთა ისტორიული მოღვაწეობის მხოლოდ იდეურ მოტივებს და არა მათ გამომწვევ მატერიალურ მიზეზებს, მარქსამდელი სოციოლოგები და ისტორიკოსები „ვერ ხედავდნენ ობიექტურ კანონზომიერებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემის განვითარებაში, ვერ ამჩნევდნენ ამ ურთიერთობათა ფესვებს მატერიალური წარმოების განვითარების დონეში“ [2].

საკითხს, თუ რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ წყობილებას, სოციალურ სტრუქტურას, ისტორიული ცვალებადობისა და განვითარების პროცესებს საერთოდ — მარქსამდელი სოციოლოგია და ისტორიოგრაფია იდეალისტურად წყვეტდა: ამ როლს საზოგადოებაში არსებული იდეები და შეხედულებები, თეორიები და მისწრაფებანი, ზოგადად რომ ვთქვათ, — იდეური ფაქტორები ასრულებენო.

საიდან მომდინარეობდა საზოგადოებრივი მოვლენების ცვალებადობა-განვითარების მიზეზების ამგვარი გაგება?

იმ ჩვეულებრივი ფაქტიდან, რომ ყველაფერმა, რაც ცალკეულ ადამიანს ამოქმედებს, წინასწარ მის თავში უნდა გაიაროს, იმ ფაქტიდან, რომ თითოეული ადამიანი შეგნებულად დასახულ მიზანს მის-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. I. 1975. გვ. 17—18.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21. გვ. 52.

დევს — კეთდებოდა არასწორი დასკვნა: ადამიანთა გაერთიანების, ე. ი. საზოგადოების განვითარებასაც თითქოს აგრეთვე იდეალური მამოძრავებელი ძალები წარმართავენ. საზოგადოების რეალური, პრაქტიკული ცხოვრების უკანასკნელ მიზეზად იდეალური მამოძრავებელი ძალები ცხადდებოდა. ადამიანთა ცნობიერება მათი ყოფიერების საფუძვლად იყო აღიარებული. ეს პოზიცია ჰქონდა დაკავებული ყველა მარქსამდელ მატერიალისტსაც ლ. ფოიერბახის ჩათვლით.

მაგრამ მარქსამდელ სოციოლოგიასა და ისტორიოგრაფიას თავის თავისთვის არასოდეს არ დაუსვამს კითხვა, თუ როგორი მამოძრავებელი ძალები იმალებიან თვით ამ იდეალური მოტივების უკან. ისტორიული მატერიალიზმის აღმოჩენით კი დადგინდა, რომ იდეალური მამოძრავებელი ძალები სრულიადაც არ წარმოადგენენ საზოგადოებრივი განვითარების საბოლოო მიზეზებს. ცხადია, ადამიანის თავში უნდა განვლოს ყველაფერმა, რაც მას ამოძრავებს, მაგრამ თუ როგორ სახეს მიიღებს ეს მის თავში, დიდად არის დამოკიდებული ობიექტურ გარემოებაზე [1]. (ფ. ენგელსი). ისტორიულ მოღვაწეთა იდეური მოტივების მამოძრავებელი ძალებია თვით საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, საზოგადოების ეკონომიკური განვითარება და მისი გარკვეული დონე, საზოგადოებრივი ყოფიერება. სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების ძირები განსხვავებული იდეური მოტივებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ პირიქით, მატერიალური ცხოვრების პირობათა სხვადასხვაობის ბაზაზე აღმოცენდება მრავალფეროვანი იდეები და მისწრაფებანი, იდეური მოტივები, საზოგადოებრივი ცნობიერება საერთოდ.

საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების თანაფარდობის მეცნიერული გაგებით კ. მარქსმა გადატრიალება მოახდინა სოციოლოგიაში, მსგავსად კოპერნიკისა, რომელმაც გეოცენტრული სისტემა ჰელიოცენტრული სისტემით შეცვლა.

2. მარქსამდელი სოციოლოგიის ზემოთ აღნიშნული ნაკლოვანებიდან ლოგიკურად გამომდინარეობდა მეორე არსებითი ნაკლოვანება: რაკი საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძვლად იდეურ მოტივებს მიიჩნევდნენ, ისტორიის წამყვან ძალად გამოჩენილი პიროვნებები იყო გამოცხადებული, ვინაიდან სწორედ ამ პიროვნებათა და არა ხალხთა მასების შეხედულებებს, მისწრაფებებსა და მიზნებს ჰქონდა გასავალი ანტაგონისტურ საზოგადოებაში. ისტორია ცალკეულ, დიდ პიროვნებათა შემოქმედების შედეგად ითვლებოდა. „წინანდელი თეორიები არ მოიცავდნენ სწორედ მოსახლეობის მასების მოქმედებას“ [2].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II. 1964. გვ. 479.
[2] ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 21. გვ. 52.

ამ ყალბ თვალსაზრისს განამტკიცებდა ის გარემოება, რომ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბატონობა ექსპლოატატორულ უმცირესობას ეკუთვნოდა. მჩაგვრელები დაინტერესებულნი იყვნენ მათი ინტერესების გამომხატველ პიროვნებათა ყოველმხრივი განდიდებით. საზოგადოების ისტორია დაყვანილი იყო ცალკეულ პიროვნებათა, მეფეების, მხედართმთავრების, კანონმდებლების, გამოჩენილი ადამიანების მოღვაწეობაზე.

ხალხის მასების როლის უგულვებელყოფა და პიროვნების მოღვაწეობის აბსოლუტიზაცია ყოვლად შეუძლებელს ხდიდა საზოგადოებრივი პროგრესის, კლასებისა და კლასთა ბრძოლის, ეროვნული მოძრაობის, სახელმწიფოს, რევოლუციის, ომების და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა პროცესებისა და მოვლენების მეცნიერულ ახსნას.

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად ხალხია საზოგადოებრივი განვითარების გადამწყვეტი ძალა, ისტორიის ნამდვილი შემოქმედი. ეს დასკვნა ემყარება ამოსავალ დებულებას, რომ საზოგადოებრივ განვითარებას მატერიალური დოვლათის წარმოება, ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებების მოპოვების წესი განსაზღვრავს. როგორიცაა წარმოების წესი, ისეთივეა საზოგადოება, მისი იდეები, თეორიები, პოლიტიკური შეხედულებანი და დაწესებულებანი. ე. ი. საზოგადოების ისტორია, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარების, წარმოების წესთა ცვალებადობის ისტორიაა. წარმოების პროცესის ძირითად ძალებს კი მშრომელი მასები წარმოადგენენ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი განვითარების ისტორია არის მატერიალური დოვლათის მწარმოებელთა ისტორია, მშრომელი მასების ისტორია.

ამით გადალახულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ნიჰილისტური დამოკიდებულება ხალხთა მასებისადმი. კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში პირველად მეცნიერულ საფუძველზე გაირკვა ხალხთა მასების ისტორიული როლი.

ამასთან, აღიარებს რა ხალხთა მასების გადამწვეტ როლს, ისტორიული მატერიალიზმი სრულიადაც არ გამორიცხავს პიროვნების მოღვაწეობის მნიშვნელობას ისტორიული განვითარების პროცესში. მოითხოვს, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის სათავეში მყოფ პიროვნებათა როლი ხალხის მასების მოღვაწეობასთან ორგანულ კავშირში შევაფასოთ. დიდი ადამიანები მხოლოდ მაშინ ასრულებენ სერიოზულ როლს საზოგადოებრივ განვითარებაში, მხოლოდ მაშინ აჩქარებენ ისტორიული განვითარების პროცესს, როდესაც უნარი შესწევთ სწორად გაიგონ ხალხის წინაშე მდგარი მომწიფებული ამოცანები, რო-

დესაც მათი მოქმედება ეპოქის მოთხოვნებს პასუხობს და შეესაბამება და პირიქით, გამოჩენილი პიროვნებანი დამამუხრუჭებელ როლს ასრულებენ ისტორიულ მოძრაობაში, თუკი უგულებელყოფენ ხალხის მოღვაწეობის ობიექტურ პირობებს, თუ მათ ინტერესებს არად აგდებენ, მათ წინააღმდეგ გამოდიან.

ამის დასაბუთებით დაძლეულ იქნა მარქსამდელი სოციოლოგიის ანტიმეცნიერული წარმოდგენები აგრეთვე პიროვნების როლზე ისტორიაში.

2. საზოგადოებრივი განვითარების კანონები და ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობა

ანტიმეცნიერული შეხედულებანი საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ და მათი კრიტიკა. ზემოთ ჩვენ ვმსჯელობდით საზოგადოებრივი განვითარების უზოგადეს და კერძო კანონებზე, ისე, რომ სადავოდ არ გაგვიხდია თვით ამ კანონთა არსებობა-არარსებობის, აგრეთვე მათი ბუნებისა და მათდამი ადამიანთა დამოკიდებულების საკითხები. სოციოლოგიის ისტორიაში კი ამ საკითხებზე განსხვავებული, ზოგჯერ ურთიერთსაპირისპირო შეხედულებებიც იყო გამოთქმული. კამათი ამის შესახებ ამჟამადაც გრძელდება ბურჟუაზიულ სოციოლოგიაში.

არსებობენ თუ არა კანონები საზოგადოებაში და თუ არსებობენ რა დამოკიდებულებას ავლენენ ადამიანები მათ მიმართ?

მ ე ქ ა ნ ი ს ტ უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ს ო ც ი ო ლ ო გ ი ა ში, რომელიც XVII—XVIII საუკუნეებში ჩამოყალიბდა (ჰობსი, ჰოლბახი, დიდრო, ჰელვეციუსი და სხვ.), არ უარყოფდა კანონების არსებობას საზოგადოებაში, მაგრამ მათ სპეციფიკას ვერ ამჩნევდა. ამ მიმართულების წარმომადგენელთა თანახმად საზოგადოება ბუნების ნაწილია, ამიტომ საზოგადოების კანონები არ განსხვავდებიან ბუნების კანონებისაგან. რაკი ბუნება და საერთ·დ მთელი სამყარო მექანიკის კანონებს ექვემდებარება, საზოგადოებაშიც, იგივე მექანიკური კანონები — ინერციის, მიზიდულობის და სხვა კანონები მოქმედებენ. მათი აზრით, საზოგადოებას ბუნების კანონებისაგან განსხვავებული, საკუთარი, სპეციფიკური კანონები არ ახასიათებს. ყოველი ადამიანური მოქმედება მექანიკური კანონების უკუფენა და გამოვლინებაა [1]. მაგა-

---

[1] ადამიანი, როგორც ჰოლბახი აღნიშნავს, სიცოცხლის მანძილზე ჩართულია ბუნების კაუზალობის ჯაჭვში და „პასიური იარაღია აუცილებლობისა“ Г о л ь б а х. Система природы или о законах мира физического и мира духовного». 1940, стр. 49. მოძრაობას, რომელსაც ობიექტური ბუნება და საზოგადოება ექვემდება-

ლითად, თვითშენახვის ინსტინქტი — ინერციის კანონს გამოავლენს: როდესაც ადამიანი ადამიანს, ან საზოგადოებრივი ჯგუფი — საზოგადოებრივ ჯგუფს ებრძვის — ეს თვითშენახვის პრინციპის საფუძველზე ხდება, ხოლო ადამიანთა გაერთიანებას და დაკავშირებას მიზიდულობის კანონი განაპირობებს.

ამრიგად, ამ მიმართულების წარმომადგენლები სოციოლოგიაში მექანიკის კანონებს უშუალოდ ავრცელებდნენ საზოგადოების, მისი მოვლენების შესწავლაზე, რაც იმდროინდელი საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი მეცნიერების განვითარების დაბალმა დონემ გამოიწვია. მაშინ, თითქმის ერთადერთი, სრულყოფილად განვითარებული საბუნებისმეტყველო მეცნიერება ნიუტონის კლასიკური მექანიკა იყო. ფრანგი მატერიალისტების მიერ მექანიკის კანონების გადატანამ მთელს ბუნებასა და საზოგადოებაზე თვით ამ მატერიალიზმის მექანისტური ხასიათი განაპირობა.

სინამდვილეში არ შეიძლება, და ეს იყო სწორედ მექანისტური მიმართულების სოციოლოგთა ძირითადი შეცდომა, რომ მატერიის მოძრაობის უმაღლესი ფორმა — სოციალური მოძრაობა მატერიის მოძრაობის უდაბლესი ფორმით მექანიკური მოძრაობით აიხსნას. მატერიის მოძრაობის ძირითადი ფორმები — მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური, ბიოლოგიური და სოციალური ფორმები, მართალია, ორგანულად არიან დაკავშირებული ერთმანეთთან, მაგრამ ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავდებიან. მატერიის მოძრაობის ყოველი მაღალი ფორმა მოძრაობის დაბალ ფორმას მოიცავს, მასზე კი არ დაიყვანება; მაშასადამე, სოციალური მოძრაობის მექანიკურ მოძრაობაზე რედუქცია, ამ უკანასკნელის საშუალებით სოციალური მოძრაობის ახსნის ცდა მოკლებულია რეალურ საფუძველს.

გასათვალისწინებელია ის არსებითი მომენტიც, რომ ყოველი მოძრაობის წყარო თვით საგანთა დედაარსში, მოძრაობის ამა თუ იმ ფორმისათვის დამახასიათებელ შინაგან წინააღმდეგობებში ძევს. მექანისტური მიმართულების სოციოლოგია კი სოციალური მოძრაობის წყაროს გარეგან მიზეზებში ეძებდა.

საზოგადოებრივ ცხოვრების კანონთა არსებობას ცნობდა აგრეთვე ბიოლოგისტური მიმართულება სოციოლოგიაში, მაგრამ მას მექანისტური მიმართულების სოციოლოგიის მსგავსად ეს კანონები საზოგადოების სპეციფიკურ კანონებად არ მიაჩნდა.

ამ მიმართულების წარმომადგენლები, (მაგალითად, ჰ. სპენსერი)

რება მხოლოდ სირთულე და სისწრაფის ხარისხი განასხვავებს. „აუცილებლობა, რომელიც მართავს ფიზიკური სამყაროს მოძრაობებს, მართავს აგრეთვე სულიერი სამყაროს მოძრაობებსაც“ (იქვე, გვ. 131).

საზოგადოებრივი ცხოვრების კანონებს აიგივებდნენ ორგანულ ბუნებაში, კერძოდ, ცხოველთა სამყაროში მოქმედ კანონებთან [1].

ბუნებისა და საზოგადოების კანონთა იდენტურობის დასაბუთებისათვის ისინი სხვადასხვაგვარ ხერხს მიმართავდნენ. მაგალითად, ჰ. სპენსერი ბუნებისა და საზოგადოების კანონთა შორის იგივეობის დასაბუთებისათვის ანალოგიის მეთოდს იყენებდა. მისი თვალსაზრისით საზოგადოებას ისეთივე ნიშნები ახასიათებს, როგორც ცოცხალ სამყაროს, ორგანიზმებს: ზრდა, აგებულება, ფუნქციების განაწილება. კერძოდ, თუ ორგანიზმისათვის ნიშანდობლივია ზრდის პროცესი, საზოგადოებაშიც, იგივე პროცესი მიმდინარეობს. ამის მაჩვენებელია თითქოს გვარის გადასვლა ტომში, ტომისა უფრო დიდ გაერთიანებაში და ა. შ. თუ ორგანიზმს აქვს საჭმლის მიმღები და მომნელებელი ორგანოები, საზოგადოებასაც გააჩნია მიმწოდებელი და გადამამუშავებელი ანალოგიური ორგანოები. თუ ორგანიზმის ორგანოებს შორის ფუნქციებია განაწილებული, ამის მსგავსად საზოგადოებაში მის წევრთა შორის შრომაა განაწილებული და ა. შ. ამ საფუძველზე სპენსერს გამოაქვს დასკვნა, რომ ცოცხალი, ბიოლოგიური სამყარო თვისებრივად არ განსხვავდება საზოგადოებისაგან, მაშასადამე, არ არსებობს განსხვავება სინამდვილის ამ ორი სფეროს კანონებს შორისაც.

კიდევ უფრო შორს მიდის ბიოლოგისტური მიმართულების მეორე ფრთა—სოციალ-დარვინიზმი (ლ. გუმპლოვიჩი, უ. ლიაპუეი, ლ. ვოლტმანი, მ. მაცატი და სხვ.). სოციალ-დარვინისტები, განსხვავებით ორგანიცისტებისაგან, რომლებიც სოციალურ სტრუქტურას ორგანიზმის სტრუქტურით ხსნიდნენ, ცხოველთა და მცენარეთა სამყაროსათვის დამახასიათებელ კანონებს მექანიკურად ავრცელებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ამ რანგის კანონებია ბუნებრივი შერჩევა, ბრძოლა არსებობისათვის და სხვ. საზოგადოებრივი ცხოვრებაც, მათი აზრით ამ კანონთა მოქმედების სარბიელია. საზოგადოებაში ის გადარჩება, ვინც არსებობისათვის ბრძოლაში გაიმარჯვებს, ვისაც არსებულ პირობებთან შემგუებლობის მეტი უნარი აღმოაჩნდება.

ბიოლოგისტურ მიმართულებას სოციოლოგიაში სოციალური მოძრაობა ბიოლოგიურ მოძრაობაზე დაჰყავს, მაშასადამე იგი არსებითად უგულებელყოფს თვისებრივ განსხვავებას მატერიის მოძრაობის ამ ფორმებს შორის. რაკი იმთავითვე მცდარია დასკვნა ადამიანთა საზოგადოებისა და ცხოველთა და მცენარეთა სამყაროს კანონების იდენტურობის შესახებ, ცხადია, მეცნიერული ღირებულება არა აქვს

---

[1] დაწვრილებით აღნიშნული მიმართულება განხილული და გაკრიტიკებულია ე. კ ო დ უ ა ს წიგნში: „ორგანიცისტული სოციოლოგიის განვითარების ტენდენციები“. თბ. 1964.

არგუმენტებს, რომელთაც ბიოლოგისტური მიმართულება სოციოლოგიაში აღნიშნული დასკვნის დასაბუთებისათვის იყენებს. უკვე იმ ფაქტის ძალით, რომ ადამიანი თვითონ ქმნის საარსებო საშუალებებს, „რომელთაც ბუნება უამისოდ ვერ აწარმოებდა“ ყოველგვარი გადატანა „ცხოველთა საზოგადოებების ცხოვრების კანონებისა აღამიანთა საზოგადოებაზე შეუძლებელი ხდება“ [1].

ამრიგად, ბიოლოგისტური მიმართულება ისევე როგორც მექანისტური მიმართულება არ ცნობს საზოგადოების სპეციფიკურ კანონებს, თუმცა კანონების არსებობას საზოგადოებაში არ უარყოფს.

მაგრამ სოციოლოგიის ისტორიიდან ცნობილია თეორიებიც, რომლებიც საერთოდ გამორიცხავენ ობიექტური კანონების არსებობის შესაძლებლობას ისტორიაში. ეს ითქმის ნ ე ო კ ა ნ ტ ი ა ნ უ რ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი ს ს ო ც ი ო ლ ო გ ი ი ს შესახებ (წარმომადგენლები ჰ. რიკერტი, ვ. ვინდელბანდი, მ. ვებერი და სხვ.). აღნიშნული მიმართულება ემყარება დებულებას, რომ ბუნება და საზოგადოება თვისებრივად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ თავისთავად სწორ თეზისს ცალმხრივად და მცდარად ავითარებს. ნეოკანტიანელების თანახმად კანონების არსებობა და მოქმედება შესაძლებელია მხოლოდ ბუნებაში, ვინაიდან აქ მოვლენათა განმეორებას აქვს ადგილი, ბუნების კანონები მოვლენათა განმეორების გარკვეულ აუცილებლობას გამოხატავენ.

ნეოკანტიანური გაგებით ბუნების შესახებ მეცნიერება სწორედ იმდენად არის შესაძლებელი, რამდენადაც ბუნების მოვლენები საერთო და განმეორებად მხარეებს შეიცავენ; ბუნების მეცნიერებანი სარგებლობენ მოვლენებიდან ზოგადის გამოყოფის, „გენერალიზაციის“ მეთოდით, რასაც თვით ბუნებრივ რეალობაში აქვს თავისი საფუძველი. მათგან განსხვავებით „არსებობენ მეცნიერებანი, რომელთა მიზანს არ შეადგენს ზოგადი ცნებების შემუშავება. მათ მიეკუთვნებათ ისტორიული მეცნიერებანი ამ სიტყვის ყველაზე ფართო გაგებით. ამ მეცნიერებებს სურთ აღწერონ სინამდვილე, რომელიც არასოდეს არ არის ზოგადი, არამედ ყოველთვის ინდივიდუალურია“ [2].

ისტორიას კანონზომიერებასთან არა აქვს საქმე, მას აინტერესებს ისტორიული ფაქტები, პროცესები, ცალკეული პიროვნებანი მათს ინდივიდუალურობაში, მაშინ როდესაც ბუნებისმეტყველება მოვლენებს იგივეობრივ და განმეორებადი მომენტების თვალსაზრისით განიხილავს. ასევე, კავშირებიდან, რომლებიც ისტორიაში გვხვდება კანონი არ გამოიყვანება, ვინაიდან აქ მიზეზსა და შედეგს შორის

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ბუნების დიალექტიკა. 1954 გვ. 327.

[2] Г. Р и к к е р т. Науки о природе и науки о культуре. 1911. стр. 30.

ერთმნიშვნელოვანი დამოკიდებულება არ არსებობს, როგორც ეს ბუნებაშია, არამედ ერთი და იგივე მიზეზს სხვადასხვა შედეგი მოსდევს. ამიტომ ნეოკანტიანელების აზრით ისტორიულ მეცნიერებას გამართლება არა აქვს. საზოგადოების სფეროში უნდა ვისარგებლოთ არა განზოგადების, არამედ „ინდივიდუალიზაციის" მეთოდით, რაც ნეოკანტიანელების მიხედვით არავითარ ღირებულებას არ წარმოადგენს მეცნიერებისათვის და საერთოდ გამორიცხავს ისტორიული მეცნიერების შექმნის მართლზომიერებას.

ეს თვალსაზრისი მეცნიერულად გაუმართლებელია[1]. უეჭველია, რომ კანონი ბუნებაში მოქმედებს იგი თუ ისტორიაში განმეორებადობის ნიშანს უნდა შეიცავდეს. რაც არ მეორდება — მას კანონის ძალაც არ ექნება. მაგრამ არაა სწორი, როდესაც განმეორებადობა ისტორიული სინამდვილისათვის შეუთავსებელ, მხოლოდ ბუნების მოვლენებისა და პროცესებისათვის კუთვნილ ნიშნად ცხადდება[2].

ის გარემოება, რომ არ მეორდებიან ესა თუ ის გამოჩენილი პიროვნებანი, ომები, რევოლუციები და სხვა კონკრეტული ფაქტები და პროცესები, სრულიადაც არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ისტორია თავისუფალია განმეორებადობის მეტად არსებითი მომენტისაგან. ისტორიული პრაქტიკა სწორედ ამის საწინააღმდეგოს ადასტურებს. მაგალითად, მართალია, ცალკეული პიროვნებანი გარკვეული მოღვაწეობის შემდეგ ტოვებენ ისტორიულ ასპარეზს და არასოდეს არ გამეორდებიან, მაგრამ საზოგადოებაში რჩება იმის აუცილებლობა, რომ ხალხის მასებს სათავეში ედგას ესა თუ ის პიროვნება, რომელიც თავის მხრივ ასევე გარდუვალად ზემოქმედებას ახდენს ისტორიული პროცესის მსვლელობაზე. ცალკეული ომები და რევოლუციები წარსულს ბარდება, მაგრამ სათანადო პირობების თანამთხვევის დროს გარკვეული ხასიათის ომები და რევოლუციები გარდუვალია ხოლმე.

---

[1] რიკერტ-ვინდელბანდის ისტორიის ფილოსოფიის ეს პოზიცია მეტად საყურადღებო ასპექტებით არის გადმოცემული და გაკრიტიკებული ო. ი. ჯიოევის წიგნში „Материалистическое понимание истории и буржуазная философия", Тб. 1974

[2] „რიკერტის მთელი მსჯელობა „მოვლენათა განმეორების" ცნების ორაზროვან ხმარებაზეა აგებული. როგორ უნდა გვესმოდეს „განმეორების" ცნება? მოვლენის აბსოლუტურ განმეორებას არა აქვს ადგილი არც ბუნებაში და არც საზოგადოებაში. ორი, აბსოლუტურად ერთნაირი მოვლენა ნამდვილად ერთი მოვლენაა და არა ორი. როდესაც ჩვენ ვაღიარებთ მოვლენის განმეორებას ბუნებაში, ცხადია, ჩვენ მხედველობაში გვაქვს მოვლენის განმეორება არა მისი ყველა ინდივიდუალური თვისებებით, არამედ მისი ზოგადის, არსების განმეორება. ორი ქვის ვარდნაში მეორდება ზოგადი, ორივესათვის დამახასიათებელი და არა ყოველი ინდივიდუალური ნიშანი, მხოლოდ თვითეულისათვის დამახასიათებელი" (კ. ბაქრაძე. იხ. ისტორიული მატერიალიზმი, 1957. გვ. 15).

საკაცობრიო ისტორიის ყოველ მოცემულ საფეხურზე ადამიანები სხვადასხვა ტექნიკური საშუალებებით აწარმოებდნენ მატერიალურ დოვლათს, ასე იქნება ეს მომავალშიც. მაგრამ მიუხედავად ამისა, საზოგადოებას არასოდეს არ შეუძლია არსებობა და განვითარება მატერიალური დოვლათის წარმოების გარეშე, რომელიც განსხვავებულ ქვეყნებში განმეორებადი წესით ხდება და საერთო აუცილებლობას შეადგენს.

ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების სხვადასხვაგვარი კონკრეტულ-ისტორიული პირობები და დონეებია თანამედროვე ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში, იაპონიასა და სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში, მაგრამ ამ განსხვავების მიუხედავად მათთვის დამახასიათებელია იგივეობრივი, გამეორებადი ნიშნები: კერძო კაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, აქედან გამომდინარე, საზოგადოების პოლარიზაცია ძირითად ანტაგონისტურ კლასებად — ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, აგრეთვე ამ საზოგადოებრივ ჯგუფებს შორის კლასობრივი ბრძოლა და ა. შ. ეს საერთო, იგივეობრივი მხარეები იმაზე მიუთითებენ, რომ განსხვავებულ ქვეყნებში ერთი და იგივე — კაპიტალისტური საზოგადოებისათვის ნიშანდობლივი ობიექტური აუცილებლობანი მოქმედებენ.

სოციალისტური ქვეყნებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ეკონომიკური განვითარების დონით, ისტორიული პირობებით, და სხვა მაჩვენებლებით. მაგრამ სოციალისტურ ქვეყნებს, მიუხედავად ამ განსხვავებისა, ახასიათებს ის, რაც საერთო და განმეორებადია მათთვის,: სახელდობრ: საზოგადოებრივი, სოციალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ექსპლოატაციის არარსებობა, მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირი და სხვ.

ყოველივე ზემოთქმული იმას ადასტურებს, რომ განსხვავებულში იგივეობრივი, განმეორებადი მომენტებიც არის და ეს ეხება არა მარტო ბუნების მოვლენებს, არამედ ისტორიულ მოვლენებსაც. მაშასადამე, უსაფუძვლოა ნეოკანტიანური მიმართულების წარმომადგენელთა თვალსაზრისი კანონების არარსებობის შესახებ ისტორიაში. ამ თვალსაზრისის ქადაგებით დაინტერესებულია რეაქციული ბურჟუაზია, რომელსაც აშინებს მისი დაღუპვის ისტორიული აუცილებლობა.

ნეოკანტიანელები ცდილობენ წინააღმდეგობა აღმოაჩინონ მარქსიზმში. მათ შეუთავსებლად მიაჩნიათ ის, რომ მარქსიზმი ერთი მხრივ აღიარებს კაპიტალიზმის სოციალიზმით შეცვლის ისტორიულ აუცილებლობას, მეორე მხრივ კი ცნობს მუშათა კლასის და სხვა მშრომელი მასების, მათი პარტიის აქტიურ რევოლუციურ მოქმედებას ამ აუცილებლობის რეალიზაციის მიზნით. ამის საპირისპიროდ მათი მოწოდებაა არ ჩაერიოთ საზოგადოებრივი პროცესების მსვლელობაში,

სოციალურ ცხოვრებაშიც იგივე პოზიციაზე დავდგეთ, რაც ბუნების აუცილებლობის მიმართ გვიკაუია. „ვინც შეიცნო, რომ გარკვეული შედეგი ბუნებრივი აუცილებლობით მოხდება, მას ამ შედეგისათვის ხელისშეწყობა უკვე აღარ შეუძლია"[1]. — აღნიშნავდა ნეოკანტიანელი შტამლერი. ცნობილია მისი მაგალითი, რომ არავინ არ ქმნის პარტიას, რომელიც მთვარის დაბნელების ხელისშეწყობას ისახავს მიზნად[2]. შტამლერის ამოსავალი დებულება მცდარი და მიუღებელია. ცხადია, აუცილებლობის იმანენტური ბუნება არ იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რომელ სფეროში მოქმედებს იგი. მაგრამ სულ სხვაა მათდამი ადამიანთა დამოკიდებულების ხასიათი. ადამიანები, მართალია, თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, რომელშიც მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობანი იკაფავენ გზას, მაგრამ თუკი ისინი შეიცნობენ ამ აუცილებლობებს და შეგნებულად შექმნიან ხელსაყრელ პირობებს მათი ფორსირებული გამოვლენისათვის, ამით სოციალურ პროგრესსაც აჩქარებენ, რაც მოწინავე საზოგადოებრივი ძალების მდგომარეობას შეესაბამება.

ბუნებისა და საზოგადოების კანონების ერთიანობა და განსხვავება. ბუნებასა და საზოგადოებას შორის არც გაუვალი ნაპრალი არსებობს, არც განმასხვავებელი ზღვარია წაშლილი. რამდენადაც საზოგადოება კანონზომიერად მოძრავი მატერიის, ბუნების, ცოცხალი სამყაროს განვითარების შედეგად წარმოიშვა — მას ბევრი რამ საერთო აქვს მის წარმომშობ ბუნებასთან, მაგრამ რამდენადაც საზოგადოება თვისებრივად განსხვავდება ბუნებისაგან, მას როგორც ახალ თვისებრიობას მისთვის სპეციფიკური კანონზომიერებანი და თავისებურებები ახასიათებს.

საზოგადოებრივი განვითარების კანონები, ისევე როგორც ბუნების კანონები, ობიექტურია, ისინი დამოუკიდებელი არიან ადამიანთა ნებისყოფისაგან. მართალია, ბუნებაში ბრმა ძალები მოქმედებენ, საზოგადოებაში კი ცნობიერებით დაჯილდოვებული, მიზნის დამსახველი და მიმდევარი ადამიანები, მაგრამ ეს გარემოება თავის მხრივ, არამც თუ არ აუქმებს, არამედ ადასტურებს საზოგადოებრივი კანონების ობიექტურ ხასიათს. ისტორიას თვით ადამიანები ქმნიან, ისტორიის შექმნა კი ადამიანთა განმაპირობებელ გარემოში ხდება, გარემოში, რომელშიც ფაქტობრივად უკვე არსებობს ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგიური პირობები ადამიანთა მოღვაწეობისათვის. მაშასადამე, ისინი იძულებული არიან დაემორჩილონ ამ პირობებს, სოციალური ცხოვრების ობიექტურ აუცილებლობას.

---

[1] Штаммлер Р. Хозяйство и право с точки зрения материалистического понимания истории. СПБ. 1907, стр. 97.

[2] იქვე.

საზოგადოებრივი განვითარების კანონებს ბუნების კანონებთან საერთო აქვს სხვა ნიშნებიც, სახელდობრ ზ ო გ ა დ ო ბ ა, გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა დ ო ბ ა, ა რ ს ე ბ ი თ ო ბ ა, ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა.

მაგრამ საზოგადოებრივი განვითარების კანონებს ბუნების კანონებისაგან განსხვავებით ახასიათებს ზოგიერთი სპეციფიკური ნიშანიც.

საზოგადოებრივი განვითარების კანონები შედარებით მოკლე ისტორიულ პერიოდში მოქმედებენ, ვიდრე ბუნების კანონები. ცნობილია, რომ ბუნების ცვალებადობა, თუ მასზე ადამიანის ზემოქმედებას გამოვრიცხავთ, ნელი ტემპით მიმდინარეობს, ვიდრე სოციალური ცხოვრების ცვალებადობა. აღნიშნული განსხვავება დამახასიათებელია მოძრაობის ბიოლოგიური და სოციალური ფორმებისთვისაც. ეს გარემოება მარტო იმაზე კი არ მეტყველებს, რომ ბუნებისა და საზოგადოების კანონები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, არამედ იმაზეც, რომ ბუნების, ორგანული სამყაროს განვითარების კანონები უფრო ხანგრძლივად მოქმედებენ, ვიდრე საზოგადოების კანონები. როგორც ფ. ენგელსი წერდა „ეკონომიკური კანონები" ბუნების მარადიული კანონები კი არ არიან, არამედ ისტორიული კანონები, რომლებიც იბადებიან და ჰქრებიან... არც ერთი ამ კანონთაგანი, რამდენადაც ის წმინდა ბურჟუაზიულ ურთიერთობას გამოხატავს, თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე ხნიერი არაა" [1].

ამასთან, ბუნების კანონების მოქმედება შედარებით წმინდა, შეუფერხებელი სახით მიმდინარეობს, ვიდრე საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოქმედება. ბუნების კანონებისაგან განსხვავებით, საზოგადოებრივი განვითარების კანონების გამოყენება ყველა ანტაგონისტური წყობილების დროს დიდ წინააღმდეგობას აწყდება რეაქციული ძალების მხრივ. ეს ძალები ყოველთვის ცდილობდნენ და ამჟამადაც ცდილობენ მხარი დაუჭირონ ძველსა და დრომოჭმულს, წინ აღუდგნენ იმ კანონთა მოქმედებას, რომლებიც მათ გარდუვალ დაღუპვას იწვევენ.

თავისუფლება და აუცილებლობა, ფატალიზმისა და ვოლუნტარიზმის კრიტიკა. საზოგადოებრივი განვითარების კანონების ბუნების სხვადასხვაგვარი გაგება განაპირობებს თვალსაზრისთა სხვადასხვაობას ამ კანონებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების საკითხში.

ისტორიული მატერიალიზმის პოზიცია ასახავს და შეესაბამება ფაქტიურ ვითარებას. საზოგადოებაში, ისევე როგორც ბუნებაში ადამიანთა ცნობიერებისა და ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი, ე. ი. ობიექტური კანონები, ბუნებისეული და სოციალური აუცილებლობანი მოქმედებენ. საზოგადოება, განვითარების რა საფეხურზეც არ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები. 1949. გვ. 120.

უნდა იყოს იგი, გარკვეულ მიმართებას ამყარებს როგორც ბუნების, ისე მისსავე საკუთარ წიაღში მოქმედ აუცილებლობასთან. მათ მიმართ ადამიანები შეიძლება აღმოჩნდნენ ან ბრმა მორჩილების, ან კიდევ ბატონობის მდგომარეობაში. პირველ შემთხვევაში მათზე ბატონობენ ბუნებისა და საზოგადოების ძალები, მეორე შემთხვევაში კი ისინი თავისუფლებას აღწევენ, ვინაიდან აიძულებენ ბუნებისა და საზოგადოების ძალებს იმოქმედონ ადამიანთა მიზნების შესაბამისად. მას შემდეგ რაც საზოგადოება წარმოიშვა, ადამიანები ამა თუ იმ ფორმით ამყოვანებენ გარკვეულ თავისუფლებას ობიექტური აუცილებლობის მიმართ. მაშასადამე, აუცილებლობასთან ერთად საზოგადოებაში ყოველთვის აქვს ადგილი თავისუფლებასაც.

თავისუფლება სოციალური მოვლენაა და მხოლოდ ადამიანებისათვის არის დამახასიათებელი. აუცილებლობა კი არ ახასიათებს მხოლოდ საზოგადოებრივ ცხოვრებას, მოვლენათა შორის კანონზომიერი, აუცილებელი კავშირი მთელ სამყაროში არსებობს. მაგრამ თუ გამოვრიცხავთ ადამიანს, ორგანული და მითუმეტეს არაორგანული სამყაროს მოვლენები და პროცესები ბრმად არიან გახლართულნი აუცილებელ კავშირთა ქსელში, სტიქიურად ემორჩილებიან აუცილებლობას. აქ ერთმანეთზე მოქმედებენ თავისთავად სტიქიური ძალები. ხოლო ობიექტური აუცილებლობა ამ ძალთა ურთიერთმოქმედებაში მყოვანდება. ბუნებაში ყოველგვარი მოქმედება ისევე როგორც ამ მოქმედების შედეგები, მხოლოდ ამ აუცილებლობის სხვადასხვა მხარეებს გამოხატავენ. აქ არ ჩანს ძალა, რომელიც მოუბრუნდება აუცილებლობას და თავის სასარგებლოდ წარმართავს მას, ბუნებაში საერთოდ არ არიან მიზნის დამსახველი და მიზნის მიმდევნი ძალები. ამიტომ ამ სფეროში განუყოფლად ბატონობს ბრმა აუცილებლობა.

ადამიანი ერთადერთი არსებაა ჩვენთვის ცნობილ სამყაროში, რომელსაც უნარი შესწევს პასიურად კი არ გაჰყვეს ობიექტურ აუცილებლობას, არამედ გაიგოს და გამოიყენოს იგი თავისი ინტერესებისათვის. ამის მიღწევა ადამიანისათვის შეუძლებელია მისი განვითარების ცხოველურ სტადიაზე. აქ მის წინაშე ჯერ კიდევ არ დგას ბუნებისაგან გამოყოფის და ბუნებისადმი აქტიური დაპირისპირების ამოცანა. „ადამიანის წინაშე არის ბუნების მოვლენათა ქსელი. ინსტიქტური ადამიანი, ველური, არ გამოყოფს თავის თავს ბუნებისაგან“ [1].

შეგნებულ ადამიანს არ აკმაყოფილებს ბუნებრივი პროცესების თავისთავადი მსვლელობა, იგი არ სჯერდება იმას, რაც მოცემულია

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 38, გვ. 83.

ბუნებაში, და ისეთ პირობებში აყენებს ბუნების ძალებს, რომ მათგან მიიღოს ის, რაც ადრე მზამზარეული სახით არ მოიპოვებოდა. ადამიანს შეუძლია ობიექტურ აუცილებლობათა შეცნობის საფუძველზე იმოქმედოს ისე, რომ არ აღმოჩნდეს ობიექტურ ძალთა ტყვეობაში, იბატონოს ობიექტურ აუცილებლობაზე, ე. ი. იყოს თავისუფალი. „თავისუფლება მდგომარეობს ბუნებრივ აუცილებლობათა „... შემეცნებაზე დაყრდნობილ ბატონობაში თვით ჩვენ თავზე და გარეგან ბუნებაზე“ [1], — აღნიშნავდა ფ. ენგელსი.

მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის მიხედვით საზოგადოებას შეუძლია იყოს თავისუფალი. იგი თავისუფალია მაშინ, როდესაც ბრმად კი არ ემორჩილება ობიექტურ კანონებს, არამედ შეიცნობს და თავის სასარგებლოდ იყენებს მათ, როდესაც გაბატონდება ობიექტურ აუცილებლობაზე. თავისუფლება მდგომარეობს ობიექტურ მოქმედ ძალებზე გაბატონებაში, რასაც აღწევენ ადამიანები პრაქტიკულად, თუკი შეცნობილი აქვთ ეს ძალები და აიძულებენ მათ გეგმიანად მოქმედებდნენ გარკვეული მიზნებისათვის. მაგალითად, ვიდრე ადამიანები შეიცნობდნენ ცეცხლის თვისებებს და გამოძებნიდნენ სითბური პროცესების რეგულირების საშუალებებს, ცეცხლი მოქმედებდა როგორც ბუნების მრისხანე სტიქიური ძალა. რომელსაც პასიურად ემორჩილებოდნენ ჩვენი შორეული წინაპრები. მაგრამ მათ თანდათანობით ისწავლეს ხანძრის ჩაქრობის, ცეცხლის დანთების და მისი საშუალებით ხორცის მოხარშვისა და შეწვის, საოჯახო და საწარმოო დანიშნულებისათვის ცეცხლის გამოყენების წესები, რითაც ბუნების ეს სტიქიური ძალა თავიანთი მიზნების მისაღწევად გამოიყენეს. ცხადია, ცეცხლი ცეცხლად რჩება მაშინ, როცა იგი იწვევს ხანძარს და მაშინაც, როცა მისი გამოყენებით ადამიანები ამზადებენ საჭმელს, ათბობენ ბინებს, ადნობენ ლითონს და ა. შ. თუ იგი ჩვენს კონტროლს არ დაუქვემდებარეთ, იგი მოქმედებს გამანადგურებელი ძალით, თუ ვისწავლეთ მისი გამოყენების ხერხები და ცეცხლის მოქმედება ჩვენი მიზნების დასაკმაყოფილებლად წარვმართეთ, მაშინ იგი ადამიანის ერთგულ მსახურად იქცევა. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა ელექტრობის, წყლის ენერგიის და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების შესახებ, რომელთა კანონზომიერებას ადამიანი შეიცნობს და თავის სამსახურში აყენებს. იგივე შეიძლებოდა გვეთქვა საზოგადოებრივი ძალების მიმართაც. „საზოგადოებრივი ძალები სავსებით ისევე მოქმედებენ, როგორც ბუნების ძალები: ბრმად, ძალადატანებით, გამანადგურებლად, სანამ ჩვენ მათ არ შევიცნობთ და ანგარიშს არ გავუწევთ. ხოლო რაკიღა მათ ერთხელაც არის უკვე შევიცნობთ, გა-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 136.

ვიგებთ მათ მოქმედებას, მათ მიმართულებას, მათ ზეგავლენებს, უკვე ჩვენზეა დამოკიდებული მათი თანდათან დამორჩილება ჩვენი ნებისყოფისადმი და მათი შემწეობით ჩვენი მიზნების მიღწევა... ეს ისეთივე განსხვავებაა, როგორიც გამანადგურებელი მეხის ელექტრობასა და ტელეგრაფის ან რკალური ნათურის დაურვებულ ელექტრობას შორის არსებობს, ან კიდევ ისეთი განსხვავებაა, როგორიც ხანძარსა და ადამიანის სასარგებლოდ მოქმედ ცეცხლს შორის არსებობს" [1].

საზოგადოებრივი წარმოების განვითარება კაპიტალიზმის დროს გარდუვალად იწვევს დაპირისპირებას საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, რაც გამოხატულებას ჰპოვებს წარმოების ანარქიაში, კრიზისებში, უმუშევრობაში, ბაზრებისა და ნედლეულის ბაზებისათვის გააფთრებულ ბრძოლასა და სხვა მოვლენებში. კერძოკაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე არამც თუ არ იძლევა საწარმოო ძალების გეგმაზომიერად ზრდის და მთელი საზოგადოების ინტერესებისათვის მათი გამოყენების შესაძლებლობას, არამედ იქცევა მათი შემდგომი წინსვლის მუხრუჭად და წარმოებას მწარმოებელთა წინააღმდეგ მიმართავს.

მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში სტიქიურად მოქმედი ეკონომიკური კანონები შეიძლება დემონური მბრძანებლებიდან მორჩილ მსახურებად იქცნენ, თუ მათ შევიცნობთ და შეგნებულად გამოვიყენებთ, თუ წარმოების, მითვისების და გაცვლის წესი რევოლუციური გზით შეგუებული იქნება საწარმოო საშუალებების საზოგადოებრივ ხასიათთან (ფ. ენგელსი).

მუშათა კლასმა მშრომელ მასებთან კავშირში განახორციელა უდიდესი სოციალისტური გადატრიალება, გზა გაუკაფა სოციალური განვითარების ობიექტურ კანონზომიერებათა მოქმედებას, სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე. სოციალისტურ საზოგადოებაში საწარმოო ძალები შესაბამისობაშია მოყვანილი წარმოებით ურთიერთობებთან, საკუთრების საზოგადოებრივ ფორმასთან, საზოგადოებრივი განვითარების კანონები შეგნებულადაა გამოყენებული მშრომელი მასების ინტერესებისათვის.

როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური საზოგადოება გარკვეულ ობიექტურ კანონზომიერებებს ემყარება, მაგრამ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეს კანონები ბატონდებიან მშრომელ ადამიანებზე, სოციალიზმის დროს კი ობიექტური აუცილებლობა შეცნობილია საზოგადოების მიერ და მის სამსახურშია ჩაყენებული.

ამით დასტურდება, რომ ადამიანებს შეუძლიათ თავისუფლების

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 332—333.

მოპოვება ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობის მიმართ. თავისუფლების უპირველესი წანამძღვარი თვით ობიექტური აუცილებლობის არსებობაში მდგომარეობს. ვცნობთ თუ არ ვცნობთ ადამიანთა თავისუფლებას, ტოლმნიშვნელოვანია საკითხისა — ვბატონობთ თუ არ ვბატონობთ ობიექტურ აუცილებლობაზე.

მარქსისტული ფილოსოფია აღიარებს ბუნებისა და საზოგადოების კანონების ობიექტურ ხასიათს. კანონზომიერი კავშირურთიერთობის არსებობას სამყაროში. ამასთან ეს კანონზომიერებანი გარედან კი არ არის მათზე თავსმოხვეული, არამედ თვით ბუნებისა და საზოგადოების იმანენტური კანონებია.

ობიექტური აუცილებლობა ის ამოსავალია, რომელთან მიმართებაშიც უნდა განისაზღვროს ადამიანის მოქმედების თავისუფლება და ამ თავისუფლების ხარისხი. ადამიანთა თავისუფლება არ ნიშნავს იმას, რომ მათ უნარი შესწევთ განახორციელონ ყოველივე, რაც კი მოესურვებათ. სინამდვილეში მათი სურვილები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმდენად, რამდენადაც საამისო ობიექტური საფუძველი არსებობს. ადამიანთა თავისუფალი მოქმედება ემყარება ობიექტურ კანონზომიერებებს, ამ კანონზომიერებათა ზუსტ გათვალისწინებას და საკუთარი მოქმედების წარმართვას მათი მოთხოვნების შესაბამისად. ისტორიული მატერიალიზმი არ უარყოფს ადამიანთა აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებისა და სოციალური აუცილებლობის მიმართ, მაგრამ ამ აქტიურობას ცნობს იმ ფარგლებში, რომლებიც თვით ობიექტური სამყაროს კანონზომიერებითაა განსაზღვრული. ადამიანთა თავისუფალი მოქმედება ყოველთვის დეტერმინირებულია შესაბამისი ობიექტური აუცილებლობით და აღმოცენებულია ამ უკანასკნელის ბაზაზე, ემყარება იმ მოთხოვნებს, რომლებსაც აყენებს ობიექტური აუცილებლობა. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „გარეს ამყაროს, ბუნების კანონები... ადამიანის მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი მოქმედების საფუძველია“ [1].

მაგრამ ადამიანთა მოქმედების განსაზღვრულობა ობიექტური აუცილებლობით ადამიანთა გარკვეულ სურვილებსა და მისწრაფებებს როდი გამორიცხავს. ერთი და იგივე ობიექტური აუცილებლობის მოქმედების პირობებში ადამიანებს შეუძლიათ სხვადასხვა მიზნის დასახვა. ადამიანები არჩევენ მიზნის მიღწევის საშუალებებს, ეძებენ და პოულობენ ყველაზე ხელსაყრელ და რაციონალურ საშუალებებს დასახული მიზნის მისაღწევად.

გარკვეული მიზნისა და მისი განმახორციელებელი საშუალებე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 185.

ბის შერჩევის შემდეგ ადამიანები პრაქტიკულად იწყებენ ობიექტური ძალების დამორჩილებას, უქვემდებარებენ მათ თავიანთ კონტროლს.

თავისუფლების მეორე აუცილებელ პირობას თვით ადამიანის ცნობიერების, მისი ნებისყოფის, მიზნებისა და სურვილების არსებობა წარმოადგენს. თავისუფალი რომ იყო ობიექტური აუცილებლობის მიმართ, ეს ნიშნავს აიძულო იგი მოქმედებდეს ადამიანთა მიზნების, მათი ნება-სურვილის შესაბამისად.

„დეტერმინიზმის იდეა ამტკიცებს ადამიანის მოქმედების აუცილებლობას, უარყოფს უაზრო ზღაპარს ნებისყოფის თავისუფლების შესახებ, მაგრამ სრულიადაც არ სპობს არც ადამიანის გონებას, არც სინდისს, არც მისი მოქმედების შეფასებას. სრულიად პირიქით, მხოლოდ დეტერმინისტული შეხედულების დროსაა შესაძლებელი მკაცრი და სწორი შეფასება, და არა ყველაფრის თავზე მოხვევა თავისუფალი ნებისყოფისათვის“ [1]. ამასთან, ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობა არ დგინდება ადამიანთა ცნობიერების, მათი მიზნების და ნებისყოფის მიხედვით; ეს შეუძლებელია, ვინაიდან აუცილებლობა ობიექტურია, პირველადია, დამოუკიდებელია ადამიანთა ცნობიერებისაგან. თვით ადამიანები უნდა შეუთავსდნენ ობიექტურ აუცილებლობას, მისი გათვალისწინების შედეგად გაბატონდნენ მასზე. „... ბუნების აუცილებლობა პირველადია ხოლო ადამიანის ნება და ცნობიერება—მეორადი. ეს უკანასკნელნი გარდუვალად და აუცილებლად პირველს უნდა შეეგუონ“ [2].

ბუნების ძალებისადმი თავისუფალი დამოკიდებულების საკითხი შეიძლება დაისვას მხოლოდ იქ, სადაც ადგილი აქვს შეგნებულ მიმართებას ბუნების აუცილებლობასთან, მაშასადამე, სადაც საქმე გვაქვს ცნობიერებით და ნებისყოფით აღჭურვილ ადამიანებთან, სადაც არსებობს ადამიანის მიზანი და მისწრაფება აქტიური პრაქტიკული მოქმედებისაკენ. „თავისუფლება-სუბიექტურობა, („ან“) მიზანი, ცნობიერება, მისწრაფება“ [3].

მაგრამ ჩვენი სურვილები და მისწრაფებანი არარაობად იქცევა, თუ მოვწყდით ბუნების აუცილებლობას და არ გავითვალისწინეთ მისი მოთხოვნები. ობიექტური აუცილებლობა არ იძლევა მასზე ბატონობის საშუალებას ისე, თუ იგი წინასწარ არ შევიცანით და მას არ დავეყრდენით. მართალია, წარმოების გზით ადამიანები სახეს უცვლიან ბუნებრივ მასალას მათთვის სასარგებლო მიმართულებით, მაგ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 176.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 233.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ. 159.

რამ საამისოდ აუცილებელია იმ წესების ცოდნა და გათვალისწინება, რომლებიც ბუნების მასალის გარდაქმნისთვისაა საჭირო.

„ადამიანს თავის პრაქტიკულ მოქმედებაში წინ აქვს ობიექტური სამყარო, იგი დამოკიდებულია მასზე, იმით განსაზღვრავს თავის მოქმედებას“ [1].

თავისუფლების განხორციელებისათვის არაა საკმარისი ობიექტური აუცილებლობისა და ადამიანთა ცნობიერების არსებობა, ადამიანთა სურვილი და გადაწყვეტილება, — გაბატონდნენ ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურად მოქმედ ძალებზე. ამისათვის აგრეთვე საჭიროა, რომ შევიცნოთ ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობა, წინასწარ განვსაზღვროთ ის გზები და საშუალებანი, რომელთა გამოყენებით იქნება შესაძლებელი ობიექტური აუცილებლობის ჩაყენება ადამიანთა სამსახურში. აუცილებლობა „ბრმაა“ მანამდე, ვიდრე იგი მოქმედებს ადამიანებისათვის უცნობი სახით, ვიდრე საზოგადოება კონტროლს ვერ უწევს მის მოქმედებას და მონურ დამოკიდებულებაშია მისდამი. მაგრამ როგორც კი შევიცნობთ ბუნებაში და საზოგადოებაში მოქმედ აუცილებლობას, მისი გავრცელების საზღვრებსა და შედეგებს, აუცილებლობა „თავისთავად“ იქცევა აუცილებლობად ჩვენთვის, ჩვენ მიერ „შეგნებულ აუცილებლობად“. ეს უკანასკნელი მომენტი აგრეთვე შეადგენს ერთ-ერთ აუცილებელ პირობას ადამიანთა თავისუფლების უზრუნველსაყოფად.

„როგორც თითოეული ცალკე ადამიანის ინდივიდის ცნობიერების განვითარება, ისე მთელი კაცობრიობის კოლექტიური ცოდნის განვითარება ყოველ ფეხის გადადგმაზე გვიჩვენებს, რომ შეუცნობელი „საგანი თავისთავად“ იქცევა შეცნობილ „საგნად ჩვენთვის“, ბრმა, შეუცნობელი აუცილებლობა, „აუცილებლობა თავისთავად“ — შეცნობილ „აუცილებლობად ჩვენთვის“ [2].

დაბოლოს, თავისთავად არც ობიექტური აუცილებლობის მხოლოდ შეცნობით აღწევს ადამიანი თავისუფლებას. საჭიროა პრაქტიკული გაბატონება ბუნებისა და საზოგადოების აუცილებლობაზე, საჭიროა ამ ძალების ჩაყენება ადამიანთა სამსახურში. ეს უკანასკნელი კი ხორციელდება ადამიანთა მხოლოდ საზოგადოებრივი — საწარმოო, პრაქტიკული მოქმედების პროცესში.

ადამიანები მაშინ გაბატონდებიან ბუნებრივ აუცილებლობაზე, როდესაც მას დაუქვემდებარებენ წარმოებითს ზემოქმედებას, თავიანთი აქტიური პრაქტიკული საქმიანობით შეზღუდავენ ან გააფართოებენ ობიექტური აუცილებლობის მოქმედების სფეროს. თავისუფალი

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 185.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 234.

მოქმედება თავისთავად არ გამომდინარეობს შეცნობილი აუცილებლობიდან საერთოდ, არამედ მხოლოდ იმ შეცნობილი აუცილებლობიდან, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება საზოგადოებრივ-ისტორიულ პრაქტიკას, რომელიც მოექცევა ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი ზემოქმედების ორბიტაში. „... ადამიანის მთელი ცოცხალი პრაქტიკა იჭრება თვით შემეცნების თეორიაში და ჭეშმარიტების ო ბ ი ე ქ ტ უ რ კრიტერიუმს იძლევა: სანამ ჩვენ ბუნების კანონი არ ვიცით, იგი, არსებობს და მოქმედებს რა ჩვენი შემეცნების გარეშე, ჩვენ „ბრმა აუცილებლობის" მონებად გვხდის. რაკი ჩვენ გავიგეთ ეს კანონი, რომელიც (როგორც მარქსს ათასჯერ გაუმეორებია) ჩვენი ნების და ჩვენი ცნობიერების დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ მოქმედებს, — ჩვენ ბუნების ბატონები ვართ" [1].

ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიულ საქმიანობას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მათი თავისუფლების უზრუნველყოფისათვის.

წარმოების განვითარების ყოველი საფეხური გამოხატავს ბუნების ძალებზე ადამიანთა ბატონობის შესაბამის დონეს. საწარმოო ძალების განუწყვეტელი ცვალებადობისა და სრულყოფის შედეგად კაცობრიობა სულ უფრო და უფრო ითავისუფლებს თავს ბუნებისადმი მორჩილების არტახებისაგან. მაგრამ ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში თავისუფლება, რომელსაც აღწევს მშრომელი კაცობრიობა ბუნების ძალების მიმართ, არსებითად ექსპლოატატორთა თავისუფლებად იქცევა. არსებობის საშუალებებისათვის მშრომელი ხალხის შრომის შედეგებს ექსპლოატატორები ითვისებენ. ისინი მშრომელ ხალხს იყენებენ ბუნების ძალებზე ბატონობის იარაღად. ექსპლოატატორთა თავისუფლება უზრუნველყოფილია იმით, რომ ექსპლოატირებულები ეწევიან მძიმე ბრძოლას ბუნების ძალების დასამორჩილებლად. ამასთან, ექსპლოატირებულთა მდგომარეობას არ ცვლის ის გარემოება, რომ მატერიალური წარმოების პროგრესული ისტორიული ცვალებადობის პროცესში თანდათანობით იზრდება ბუნების აუცილებლობაზე ადამიანთა ბატონობის ხარისხი.

მხოლოდ სოციალიზმს შეუძლია ბოლო მოუღოს ექსპლოატატორული საზოგადოების ამ უკუღმართობას, დაუბრუნოს მშრომელ კაცობრიობას თავისი შრომის შედეგები, აქციოს მშრომელი ხალხი მისი ხელით და გონებით შექმნილი მატერიალური და სულიერი ღირებულების ბატონ-პატრონად, თავისუფლების სუბიექტად.

მაგრამ ამ მიზნის განხორციელებისათვის არაა საკმარისი ის, რომ საზოგადოებას ჰქონდეს ბუნების აუცილებლობაზე გაბატონების

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 235.

თუნდაც მეტად სრულყოფილი საშუალებანი. იგი, ამასთანავე, თავისი იმანენტური განვითარების კანონებზეც უნდა ბატონობდეს.

კაცობრიობის ისტორია ადასტურებს, რომ სოციალიზმამდელ ფორმაციებში ადამიანები უძლურნი იყვნენ საზოგადოებრივი აუცილებლობის წინაშე და მის სტიქიურ მოქმედებას ემორჩილებოდნენ.

ისტორიული განვითარების მხოლოდ გარკვეულ პერიოდებში ეძლეოდა შეგნებული ხასიათი ხალხის მასების ბრძოლას, თავს იჩენდა ხალხის უდიდესი ენთუზიაზმი და მოქმედება საკუთარი საზოგადოებრივი ძალების დასამორჩილებლად. ეს იყო პერიოდები, როდესაც ძველი საზოგადოებრივი წყობილების ადგილი აუცილებლად უნდა დაეკავებინა ახალ წყობილებას, როდესაც გარდაუვალობას წარმოადგენდა შეგნებული რევოლუციური მოქმედება საზოგადოების ცხოვრების დრომოჭმული წესებისა და ფორმების წინააღმდეგ. „... სწორედ რევოლუციური პერიოდები განირჩევიან ისტორიული შემოქმედების მეტი სიფართოვით, მეტი მრავალფეროვნებით, მეტი შეგნებით, მეტი გეგმაზომიერებით, მეტი სისტემატურობით“ [1].

რასაკვირველია, მშრომელი მასებისათვის უცნობი იყო ის კანონები, რომლებიც საფუძვლად ედო მათსავე შეგნებულ მოქმედებას საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ. ამასთან ისინი იფარგლებოდნენ რეაქციულ სოციალურ ძალებთან ბრძოლის უშუალო ამოცანებით. მათ არ შეეძლოთ გაეთვალისწინებინათ საკუთარი მოძრაობის შორეული სოციალური შედეგები. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ სოციალიზმამდელი ისტორია არსებითად საზოგადოებრივი სტიქიური აუცილებლობისადმი მორჩილების ისტორიაა. რადიკალურად სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებელ საზოგადოებაში. სოციალიზმის დროს ადამიანები შეგნებულად ქმნიან თავიანთ ისტორიას, ხოლო კაცობრიობის მთელი ადრინდელი განვითარება მის წინაისტორიას წარმოადგენს. სოციალიზმის დროს ადამიანთა შეგნებული მოღვაწეობის, ობიექტური აუცილებლობის გამოყენებაში სუბიექტური ფაქტორის როლი განუზომლად იზრდება [2].

ახასიათებდა რა ადამიანთა თავისუფლებას კომუნისტურ საზოგადოებაში, ფრ. ენგელსი აღნიშნავდა: „ადამიანთა გარემომცველი ცხოვრების პირობების წრე, რომელიც დღემდე ბატონობდა ადამიანებზე, ახლა ადამიანთა ბატონობასა და კონტროლს დაექვემდებარება, ხოლო ადამიანები პირველად ხდებიან ბუნების შეგნებული,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 437.

[2] იხ. Романенко М. В. Диалектика объективного и субъективного в условиях развитого социализма. М., 1981.

დ. კალანდაძე. ობიექტურის და სუბიექტურის ერთიანობის საკითხისათვის შემეცნებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. 1964.

ნამდვილი ბატონები, სწორედ იმიტომ და იმდენად, რამდენადაც ისინი თავისი საკუთარი განსაზოგადოებრივებული ცხოვრების ბატონები ხდებიან... მხოლოდ ამიერიდან შექმნიან თვით ადამიანები თავიანთ ისტორიას სრული შეგნებით, მხოლოდ ამიერიდან მოჰყვება მათ მიერ ამოძრავებულ საზოგადოებრივ მიზეზებს უმთავრესად და თანდათან გაზრდილი ზომით მათ მიერ სასურველად მიჩნეული შედეგები" [1].

ადამიანთა თავისუფალი მოქმედების სფერო ვიწროა ან ფართოა იმისდა მიხედვით, თუ განვითარების რა საფეხურზე იმყოფება საზოგადოება, საზოგადოებრივ-წარმოებითი პრაქტიკა. ადამიანის თავისუფალი მოქმედების პირველი ნაბიჯები თარიღდება უძველესი დროიდან, როდესაც ადამიანის უძველესი წინაპრები იწყებენ ბუნების ძალთა დამორჩილებას უმარტივესი შრომის იარაღების გამოყენების გზით, რაც თავის მხრივ უკვე ნიშნავს ადამიანის აქტიურ გარკვევას ბუნებაში, ბუნების აუცილებლობაში, ადამიანის ჩანაფიქრის გამართლებას საქმის რეალური მსვლელობით, თავისუფლების მინიმუმის მოპოვებას. ადამიანთა თავისუფლების ხარისხი იზრდებოდა და იზრდება ბუნების და საზოგადოების კანონზომიერებათა ამოცნობის და ადამიანთა სამსახურში მათი ჩაყენების შესაბამისად.

რაკი თავისუფლების მოპოვება და მისი ხარისხი ადამიანთა საზოგადოებრივ-წარმოებითი საქმიანობის განვითარების დონეზეა დამოკიდებული, ხოლო ეს დონე ყოველთვის განსაზღვრულია ისტორიულად, თავისუფლებაც არ შეიძლება აბსოლუტური იყოს.

ისტორიული მატერიალიზმი ძირეულად უპირისპირდება ფატალიზმსა და ვოლუნტარიზმს — ორ უკიდურესობას ობიექტური აუცილებლობის, კანონებისადმი ადამიანთა დამოკიდებულების საკითხის გაგებაში.

ფ ა ტ ა ლ ი ზ მ ი (ლათ. fatum ბედისწერა, ბედი) ცნობს ობიექტურ აუცილებლობას, რაც მას წინასწარ მონიჭებულ და თავდაუღწეველ გარდუვალობად მიაჩნია. ადამიანები უძლურნი არიან ამ აუცილებლობათა წინაშე. ობიექტური კანონები და ადამიანთა თავისუფლება შეუთავსებადია ერთმანეთთან. საზოგადოება ბრმად უნდა დაემორჩილოს ობიექტურ კანონებს, მოვლენათა თავისთავად მსვლელობას შეურიგდეს. კანონების, განსაკუთრებით ისტორიული კანონების ამგვარი გაგება აწყობს გაბატონებულ ექსპლოატატორულ კლასებს, ვინაიდან ისინი დაინტერესებულნი არიან მშრომელთა ჩაგვრის სისტემის შენარჩუნებით და უსამართლოდ აცხადებენ რევოლუციურ

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 337 — 338.

ძალთა ბრძოლას ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და სხვა თავისუფლების მოსაპოვებლად [1].

ფატალიზმი გამორიცხავს სუბიექტური ფაქტორის აქტიურ ზეგავლენას ობიექტურად მიმდინარე პროცესებზე, ადამიანებს პასიურობისა და უმოქმედობისათვის განწირავს.

იბადება კითხვა: უძლურია თუ არა საზოგადოება მისივე განვითარების კანონების მიმართ? შეუძლია თუ არა მას აქტიური ზემოქმედება ამ კანონებზე?

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად საზოგადოებას შესწევს ამის უნარი.

საზოგადოებრივი განვითარების კანონების მოქმედება იშლება გარკვეულ პირობებში, რომელთა შექმნა და მომზადება ადამიანთა შეგნებულ მოღვაწეობას გულისხმობს. იქ სადაც წინასწარ არის შეცნობილი საზოგადოების განვითარების ობიექტური მოთხოვნები, განვითარების კანონების მოქმედების პირობები, მიმართულებანი და შედეგები, სავსებით შესაძლებელია სწორედ ისეთი პირობების მომზადება, რომლებიც მაქსიმალურად ხელსაყრელ ნიადაგს ქმნიან საზოგადოებრივი აუცილებლობისა და მიზნების [2] შეუფერხებელი განხორციელებისათვის. ასეთი საზოგადოება — სოციალისტური საზოგადოებაა. აქ ისტორიული კანონზომიერების განხორციელების პირობები მშრომელი მასების შემოქმედებითი შრომით იქმნება და საზოგადოებრივი პროგრესის მიმართულებას მთლიანად ემთხვევა ხალხთა მასების სასიცოცხლო ინტერესები.

შვიდი ათეული წლის განმავლობაში, აურაცხელი სიძნელეების

---

[1] ამ პოზიციიდან უპირისპირდებოდნენ მარქსიზმს მემარჯვენე ოპორტუნისტული იდეოლოგიისა და პოლიტიკის მქადაგებლები ორგანიზებული პროლეტარული მოძრაობის პირველი ეტაპებიდანვე, — ტრედუნიონიზმის, ლასალელობის, რუსეთში — „ეკონომიზმის“ მიმდევრები. ამ მიმართულებათა საერთო მიზანდასახულობა ის იყო, რომ მუშათა კლასს ხელი აეღო რევოლუციურ, პოლიტიკურ ბრძოლაზე, კაპიტალის ძალმომრეობის წინააღმდეგ.

სხვადასხვა მოდიფიკაციით ისტორიული აუცილებლობისადმი ბრმად დაქვემდებარების ანალოგიურ თვალსაზრისს იცავდნენ რევიზიონისტები, მათი მამამთავრით ე. ბერნშტეინით დაწყებული. აკრიტიკებდა რა რევიზიონისტებს, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ ისინი ცვლიდნენ „მზაკვრულ“ (და რევოლუციურ) დიალექტიკას „უბრალო“ (და მშვიდი) „ევოლუციით“ (თსზ., ტ. 15 გვ. 24).

თანამედროვე რევიზიონიზმის მეთოდოლოგიური არსენალი არ შეცვლილა. კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდა სოციალიზმში წვრილ-წვრილი რეფორმების გზით ობიექტურ პროცესებში აქტიური რევოლუციური ჩარევის გარეშე — ასეთია თანამედროვე მემარჯვენე ოპორტუნისტული და რეფორმისტული პოლიტიკური შეხედულებების კვინტესენცია. მსგავს შეხედულებებს საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ საზოგადოება უძლურია ობიექტური აუცილებლობის წინაშე.

[2] В. Ж. Келле, М. Я. Ковальзон. Теория и история. М., 1981. стр. 151.

მიუხედავად, ჩვენმა ქვეყანამ უზრუნველყო განვითარების ისეთი ტემპები, რომელსაც არ იცნობს მსოფლიო ისტორია. ამით საქვეყნოდ დადასტურდა, თუ რა ძალა შესწევს საზოგადოებას, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი წინსვლის კანონზომიერებანი და მოთხოვნები და გეგმაზომიერად ახორციელებს სოციალურ პროგრესს.

საზოგადოებრივი განვითარების ობიექტური კანონების შეცნობისა და შეგნებული გამოყენების საფუძველზე საზოგადოების პროგრესული ძალები თავიანთ სამსახურში აყენებენ ისტორიულ აუცილებლობას, აფართოებენ ან ზღუდავენ მისი მოქმედების ფარგლებს. მაგრამ ის წარმატება, რომელსაც აღწევენ საზოგადოებაში ობიექტურ კანონზომიერებათა შეცნობისა და გამოყენების გზით გადაჭარბებულად არ უნდა იქნეს შეფარებული. იგი არ უნდა ბადებდეს წარმოდგენას იმაზე, თითქოს ადამიანები აბსოლუტურად თავისუფალნი არიან ობიექტურ აუცილებლობათა მიმართ, თითქოს მათ სურვილისამებრ შეუძლიათ ამ კანონების მოსპობა, გარდაქმნა, შეცვლა.

თავისუფლება არ გულისხმობს არც ობიექტური კანონების მოსპობას, არც მათ შეცვლასა და გაუქმებას. ადამიანის თავისუფლება ამ მიმართულებით არ ვლინდება და ვერც გამოვლინდება. ცხადია, სადაც თავისუფლებაა იქ არის არჩევანიც. სხვადასხვა შესაძლებლობიდან ადამიანები ერთ-ერთს ირჩევენ და იღვწიან მისი რეალიზაციისათვის, ან საწინააღმდეგო პოზიციას იკავებენ[1]. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ისინი არ გადიან ობიექტური კანონზომიერების ფარგლებიდან. მათ მიერ მოპოვებული წარმატება მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ჩვენ სწორად გვაქვს შეცნობილი ობიექტური აუცილებლობანი და სწორად წარვმართავთ ჩვენს მოქმედებას საზოგადოების სასარგებლოდ მათი გამოყენების მიზნით.

თავისუფლებისა და აუცილებლობის მეტაფიზიკური გათიშვა ვოლუნტარიზმის საფუძველსაც წარმოადგენს.

ფატალიზმისაგან განსხვავებით ვ ო ლ უ ნ ტ ა რ ი ზ მ ი (ლათ. voluntas — ნებისყოფა) უგულებელყოფს ობიექტური ფაქტორების როლს ისტორიულ განვითარებაში. სამაგიეროდ იგი ააბსოლუტურებს სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას. ვოლუნტარიზმის თანახმად ადამიანთა მოქმედება არ არის შეპირობებული მათგან დამოუკიდებე-

---

[1] უფრო ფართოდ ამის შესახებ იხ. ვ. ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი. ბედისწერის რწმენა და მისი უარყოფითი შედეგები. თბ., 1984. „საერთოდ კანონზომიერების საწინააღმდეგო მოქმედება ადამიანს არ შეუძლია. მას შეუძლია მხოლოდ ერთი ტიპის კანონების საფუძველზე მეორე ტიპის კანონების საპირისპიროდ იმოქმედოს და დაძლიოს ისინი. მაგრამ ამგვარ მოქმედებას ისევ ობიექტური კანონები განსაზღვრავენ" (დასახელებული წიგნი, გვ. 100). იხ. აგრეთვე: Н о в и к о в К. А. Свобода воли и марксистский детерминизм. М., 1981; П р и п и с к о в В. С. Механизм действия социальных законов и субъективный фактор. Душанбе. 1972; С к в о р ц о в Л. В. Социальный прогресс и свобода. М., 1979.

ლი, ობიექტური აუცილებლობით, ამ აუცილებლობის შეგნებითა და გათვალისწინებით, არამედ თვითნებური გადაწყვეტილებებით, ნებისყოფის კარნახით, სუბიექტური მოტივებით [1].

როდესაც საზოგადოების წარმმართველ ძალებს არ აქვთ წინსვლის ობიექტური აუცილებლობის შეგნება, მათ მოქმედებას უმისამართო ხასიათი ეძლევა, რასაც შეუძლებელია შედეგად არ მოჰყვეს მტკივნეული დაბნეულობა და მოდუნება, საბოლოო ანგარიშით კი ისტორიული პროგრესის შენელება.

საზოგადოებრივი აუცილებლობისადმი სუბიექტივისტური მიდგომა ხელფეხს უხსნის ავანტიურიზმს, მმართველი წრეებისა და ცალკეული ხელმძღვანელი მოღვაწეების ობიექტური ვითარებით გაუმართლებელ წამოწყებებსა და მოქმედებას, რასაც თავს ახვევენ საზოგადოების დანარჩენ ნაწილს. მმართველი წრეების ავანტიურისტული მოქმედებანი, მაგალითად, დაპყრობითი ომების გაჩაღება, სახელმწიფოთა შორის ურთიერთობის გამწვავება შინაგან, საკუთარი ქვეყნების წინააღმდეგობათა მიჩქმალვის მიზნით და სხვ. უმძიმეს ტვირთად აწვება მშრომელთა ფართო მასებს. საბოლოოდ აღმოჩნდება ხოლმე, რომ საზოგადოებრივი განვითარების კანონების გაუთვალისწინებლობა მმართველ ადამიანებს არ ათავისუფლებს ამ კანონებისაგან. პირიქით, უფრო დამოკიდებულს ხდის მათზე. ავანტიურისტული პოლიტიკა კრახით მთავრდება, ვინაიდან შეუძლებელია წარმატება მოყვეს აუცილებლობის საწინააღმდეგო მოძრაობას. დროებითი უკანდახევის შემდეგ საზოგადოებაში კვლავ იკრებენ ძალებს, აანალიზებენ ისტორიულ გაკვეთილებს, ითვალისწინებენ დროისა და გარემოების მოთხოვნებს, ხელახლა იწყებენ შეწყვეტილი პროგრესის გაგრძელებას. ცხადია, შეიძლება განუზომელი ნგრევის, გაჭირვებისა და უბედურების თავიდან აცილება თუკი საზოგადოებაში მმართველი წრეების ავანტიურისტული მოქმედების დროულად მომთოკავი ძალები აღმოჩნდება. ზოგჯერ ხალხთა მასები აღწევენ კიდეც ამას. მაგრამ საჭიროა ავანტიურისტული პოლიტიკის არა უბრალოდ შეზღუდვა, არამედ მისი სრული გამორიცხვა მშრომელი კაცობრიობის ცხოვ-

---

[1] მარქსიზმის ფუძემდებლებს ჯერ კიდევ 40-იანი წლებიდან უხდებოდათ ბრძოლა სუბიექტივისტურ-ვოლუნტარისტული კონცეფციების წინააღმდეგ საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების გაგებაში. ამ მიმართებით მათ გამოააშკარავეს ახალგაზრდა ჰეგელიანელების (ა. რუგე. ბ. ბაუერი, მ. შტირნერი და სხვ.) ვოლუნტარიზმის ფილოსოფიური დასაბუთების სიყალბე, გააკრიტიკეს შეთქმულთა ტაქტიკის მომხრეების (ე. ვეიტლინგი, კ. ჰეინცენის და სხვ.), ბლანკიზმის, ბაკუნიზმის და სხვა ანარქისტული შეხედულებანი. დიდია ვ. ი. ლენინის ღვაწლი ნაროდნიკების, მახიზმის მიმდევარი სუბიექტური სოციოლოგიის წარმომადგენელთა, მემარცხენე ოპორტუნისტების — ტროცკისტების, „მემარცხენე“ კომუნისტების წინააღმდეგ ბრძოლაში.

რებიდან. პოლიტიკური ავანტიურიზმი საქმის ობიექტური მსვლელობით გაუმართლებელ მოქმედებას მოითხოვს, თუმცა თვით მისი წარმოშობა როდია აუხსნელი. იგი ექსპლოატატორული წყობილების პროდუქტია, დამახასიათებელია რეაქციული ექსპლოატატორული კლასისათვის, თანამედროვე პირობებში — მონოპოლისტური ბურჟუაზიისათვის. მშრომელმა მასებმა საბოლოოდ რომ დაღწიონ თავი იმპერიალისტური ავანტიურისტული პოლიტიკის საშიშროებას, საჭიროა დაამხონ თვით ექსპლოატატორული წყობილება, ექსპლოატაციის სისტემა, შექმნან საკუთარი სახელმწიფო, რომელიც მათ ინტერესებს გამოხატავს და მათსავე კონტროლს დაექვემდებარება.

3. ისტორიული მატერიალიზმი და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი

როგორც ზემოთ აღინიშნა, ყოველმა მეცნიერებამ საკუთარი კვლევის საგანი უნდა დაადგინოს. ამასთან, თითოეული მათგანისათვის სხვა მეცნიერებასთან ან მეცნიერებებთან მიმართების გარკვევა ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია. ეს იმით აიხსნება, რომ სინამდვილის ერთი სფერო, რომლის კანონებსაც ესა თუ ის მეცნიერება ასახავს, სინამდვილის სხვა სფეროებისაგან იზოლირებულად, მათთან კავშირურთიერთობის გარეშე არ არსებობს. რაკი აუცილებელი, არსებითი, განმეორებადი კავშირმიმართებანი ობიექტურად დამყარებულია როგორც სინამდვილის ცალკეული სფეროების ფარგლებში, ისე მათ შორის, ბუნებრივია, რომ ამ სფეროთა კავშირის შესწავლა თითოეული მეცნიერებისათვის უშუალო საკვლევი ობიექტების თანაბარღირებულია.

მაშასადამე, სინამდვილის განსხვავებულ მხარეთა ურთიერთკავშირს მათი შემსწავლელი მეცნიერებების ურთიერთკავშირის შეცნობის აუცილებლობამდე მივყავართ. ეს, რასაკვირველია, ითქმის არა მხოლოდ საბუნებისმეტყველო, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართ და მთლიანად ეხება ისტორიული მატერიალიზმისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთობას.

მაგრამ ნებისმიერი ურთიერთობა არ არსებობს როგორც ურთიერთობა საერთოდ; იგი ყოველთვის კონკრეტული ურთიერთობაა, თავისთავადი მოცემულობების გარკვეული კავშირია. აქედან გამომდინარეობს, რომ ჯერ უნდა განისაზღვროს საკუთრივ მიმართებაში მყოფი მხარეების ბუნება, შემდეგ კი მათი კავშირის ხასიათი. გამოდის, რომ სხვადასხვა მეცნიერების, ჩვენთვის საჭირო შემთხვევაში ისტო-

რიული მატერიალიზმისა და კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთობის ხასიათის გარკვევის წანამძღვარი მათი კვლევის ობიექტების დადგენა უნდა იყოს [1].

ისტორიული მატერიალიზმის საგნის შესახებ ზემოთ უკვე იყო მსჯელობა, რაც შეეხება კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებებს, მათი შესასწავლი ობიექტების განსაზღვრისათვის ლიტერატურაში დამკვიდრებულ სათანადო დებულებებს დავემყარებით. უწინარეს ყოვლისა, შევეხოთ ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობას.

ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობა. ისტორიული მატერიალიზმის მთელ რიგ დეფინიციებს, რომლებიც ჩვენს სოციოლოგიურ ლიტერატურაშია გავრცელებული, მიუხედავად ზოგიერთი განსხვავებისა, საერთო აქვს ის, რომ ა) კანონები, რომლებსაც ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის, აღიარებულია როგორც საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონები; ბ) ეს კანონები დამახასიათებელია საზოგადოებისათვის, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმისათვის.

რაც შეეხება მეცნიერულ კომუნიზმს, მისი კვლევის სფერო სრულიად სხვაა. მეცნიერული კომუნიზმი ამოცანად ისახავს მხოლოდ იმ კანონზომიერებათა კვლევას, რომელიც ახასიათებს უდიდესი მსოფლიო-ისტორიული შემობრუნების — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის პროცესს, აგრეთვე თვით კომუნისტურ საზოგადოებას. ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ „ამ გადატრიალების ბუნების გამოკვლევა და, ამრიგად, მის მოსახდენად მოწოდებული, დღეს დაჩაგრული კლასისათვის მისი საკუთარი საქმის პირობებისა და ბუნების გამორკვევა — ასეთია ამოცანა მეცნიერული სოციალიზმისა, რომელიც პროლეტარული მოძრაობის თეორიულ გამოხატულებას წარმოადგენს“ [2].

ამრიგად, ფ. ენგელსის თანახმად მეცნიერული კომუნიზმი პროლეტარული მოძრაობის თეორიული გამოხატულებაა. ვ. ი. ლენინი განსაზღვრავს „მეცნიერულ სოციალიზმს, როგორც მსოფლიოს ყველა ცივილიზებული ქვეყნის მუშათა მოძრაობის თეორიასა და პროგრამას“ [3].

მეცნიერული კომუნიზმი, როგორც მეცნიერება ამ საერთო პრინციპულ საფუძველზეა განსაზღვრული მარქსისტულ სოციალურ-პო-

---

[1] ისტორიული მატერიალიზმის მიმართების შესახებ პოლიტიკურ ეკონომიასთან, ისტორიასა და ისტორიოგრაფიასთან, სოციალურ ფსიქოლოგიასთან იხ. წიგნი „ისტორიული მატერიალიზმის საგნის შესახებ“. თბ., 1973.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები. ტ. II. 164. გვ. 182.

[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 44.

ლიტიკურ ლიტერატურაში, საბჭოთა მკვლევარების აზრით იგი შეისწავლის კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის, კომუნისტური საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებებს.

„მეცნიერული კომუნიზმი არის მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის სოციალურ-პოლიტიკურ კანონზომიერებათა შესახებ, მთლიანად მსოფლიო რევოლუციური პროცესის შესახებ“ [1] — აღნიშნულია „მეცნიერული კომუნიზმის“ უახლოეს სახელმძღვანელოში. მეცნიერული კომუნიზმის საგნის მეტნაკლებად ანალოგიურ გაგებას სხვაგანაც ვხვდებით. მაგალითად, ფილოსოფიური ენციკლოპედიის მესამე ტომში მეცნიერული კომუნიზმი განსაზღვრულია, როგორც თეორია, რომელიც არკვევს კაპიტალიზმის კომუნიზმით რევოლუციური შეცვლის ისტორიულ აუცილებლობას და კომუნისტური საზოგადოების აშენების გზებს“ [2].

სხვადასხვა სახელმძღვანელოებსა და გამოკვლევებში მეცნიერული კომუნიზმის საგნის მეტნაკლებად მსგავსი დეფინიციებია მოცემული:

„მეცნიერული კომუნიზმის საგნად უნდა მივიჩნიოთ სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების კანონზომიერებანი, გზები და წესები, სოციალიზმის და კომუნიზმის მშენებლობის კანონზომიერებანი, გზები და წესები“ [3]. „მეცნიერული კომუნიზმი — ესაა მეცნიერება პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის, სოციალისტური რევოლუციის, სოციალიზმის და კომუნიზმის აშენების კანონზომიერებების, გზებისა და ფორმების შესახებ [4]. ვ. დ. სმირნოვისა და ტ. ა. მონასენკოს განსაზღვრებით მეცნიერული კომუნიზმი საგანია „მუშათა კლასის მისიის, მისი განხორციელების პირობების და გზების პირდაპირი, უშუალო დასაბუთება“, იგი „მეცნიერებაა საზოგადოების კომუნისტური გარდაქმნის ზოგადი სოციალურ-პოლიტიკური კანონზომიერებების, გზების, ფორმების და მეთოდების შესახებ“ [5].

წიგნში „მეცნიერული კომუნიზმის საკითხები“ მეცნიერული კომუნიზმის არსი შემდეგნაირადაა ფორმულირებული: „მეცნიერული კომუნიზმი მარქსიზმ-ლენინიზმის სოციალურ-პოლიტიკური მოძღვრებაა, რომელიც შეისწავლის პროლეტარიატის გამათავისუფლებელი მოძრაობისა და კომუნისტური ფორმაციის წარმოშობისა და განვითარების კანონზომიერებებს, გზებსა და საშუალებებს [6].

---

[1] მეცნიერული კომუნიზმი, 1979. გვ. 8.
[2] Философская энциклопедия. т. 3. стр. 5.
[3] Основы научного коммунизма. М., 1955. стр. 8.
[4] Научный коммунизм. М., 1970. стр. 10.
[5] В. Д. Смирнов. Т. А. Монасенко. Научный коммунизм. М., 1971, стр. 9—10.
[6] მეცნიერული კომუნიზმის საკითხები, თბ. 1970. გვ. 5.

- ამ განსაზღვრებების მთავარი შინაარსის შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ მეცნიერული კომუნიზმი მიზნად ისახავს მხოლოდ ერთი — კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელი კანონზომიერებების შესწავლას.

ერთი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ისტორიულ მატერიალიზმსა და მეცნიერულ კომუნიზმს შორის არსებითად ისეთივე დამოკიდებულებაა, როგორიც მასსა და სხვა ნებისმიერ კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებას, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიას ან სამართლისმცოდნეობას, ისტორიას ან პედაგოგიკას და ა. შ. შორის არსებობს. ცხადია, გარკვეული აზრით ეს დამოკიდებულება მართლაც ერთტიპურია: ისტორიული მატერიალიზმი კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია, მიუხედავად იმისა, თუ მას სახელდობრ რომელ ცალკეულ საზოგადოებრივ მეცნიერებასთან მიმართებაში განვიხილავთ. მეორე მხრივ, კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებანი, განურჩევლად მათი შესასწავლი ობიექტებისა, აუცილებელ მასალას აწვდიან ისტორიულ მატერიალიზმს ზოგადსოციოლოგიური განზოგადებებისათვის და ამ თვალსაზრისით ყველანი ერთმნიშვნელოვან დამოკიდებულებაში იმყოფებიან მისდამი.

ხომ არ გამომდინარეობს აქედან, რომ მარქსისტულ-ლენინურ სოციოლოგიასა და თითოეულ კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერთობას არავითარი სპეციფიკურობა არ ახასიათებს, რომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ისტორიული მატერიალიზმის მიმართება სხვადასხვა კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებებთან გარკვეული თავისებურებებით არ ვლინდება. თუ ეს ასეა, მაშინ, შესაძლოა, სპეციალურად აღარც დასმულიყო ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთმიმართების პრობლემა. მაგრამ საკითხისადმი ასეთი მიდგომა უმართებულო იქნებოდა სულ მცირე ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი კვლევის საგნით და, მაშასადამე, სულ სხვადასხვა ხასიათის მონაპოვრებით ადასტურებენ და განამტკიცებენ ისტორიული მატერიალიზმის დებულებებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისტორიული მატერიალიზმისათვის სულ ერთი როდია, თუ რომელ კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებას იმოწმებს ზოგადსოციოლოგიური დასკვნების გამოტანის მიზნით, რომელი კონკრეტული მეცნიერების მონაცემებს ემყარება იგი. ამიტომ, ისტორიული მატერიალიზმის დამოკიდებულება ამა თუ იმ კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებასთან უსათუოდ გულისხმობს გარკვეულ სპეციფიკურ თავისებურებას.

განსხვავებული კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებანი სრულიად განსხვავებულ მასალას აწვდიან ისტორიულ მატერიალიზმს ზოგად-

სოციოლოგიური განზოგადებისათვის. ისტორიული მატერიალიზმი, მაგალითად, პოლიტიკურ ეკონომიას მიმართავს და იმოწმებს, როცა ბაზისის ბუნებას არკვევს, პოლიტიკურ, სამართლებრივ და მთელ რიგ სხვა მეცნიერებებს, როცა ზედნაშენის შინაარსის გარკვევითაა დაინტერესებული, ენათმეცნიერებას, როცა განსაზღვრავს ისეთი მოვლენის, კერძოდ ენის მნიშვნელობას საზოგადოებაში, რომელიც არც ბაზისს მიეკუთვნება და არც ზედნაშენს. თითოეული კერძო-საზოგადოებრივი მეცნიერება ისეთ მასალას აწვდის ისტორიულ მატერიალიზმს სოციოლოგიურ განზოგადებათა მოსახდენად, რომელიც სხვა რომელიმე კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებას არ მოეპოვება. სწორედ ამით არის განსაზღვრული მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიისა და თითოეული კერძო საზოგადოებრივი მეცნიერების ურთიერთობის თავისებურება.

მეორეც, საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონები, რომლებსაც ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის, სხვადასხვანაირად ვლინდებიან სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სფეროში. რაკი ზოგადსოციოლოგიური კანონები მოქმედების ძალას ყველგან ინარჩუნებენ, მაგრამ ასევე ყველგან თავისებურად ვლინდებიან, კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებანი ვალდებულნი არიან ცალკეულში ზოგადის გამოვლენის ფორმები დაადგინონ, წინააღმდეგ შემთხვევაში ცალკეულის შეცნობასაც ვერ განახორციელებენ. აქედან კი გამომდინარეობს, რომ მარქსისტულ-ლენინური ზოგად სოციოლოგიური მოძღვრებისა და ყოველი კერძო საზოგადოებრივი მეცნიერების ურთიერთმიმართებას გარკვეული თავისებურება ახასიათებს მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც.

საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგიერთი სფერო, მაგალითად, პოლიტიკური და სამართლებრივი მათი შესაბამისი იდეებითა და დაწესებულებებით უშუალო, პირდაპირ კავშირშია საზოგადოების არსებობისა და განვითარების საწარმოო-ეკონომიკურ საფუძვლებთან, მაშინ როდესაც სხვა სფეროებში, მაგალითად, რელიგიურ, ფილოსოფიურ, მხატვრულსა და ა. შ. ეს კავშირი გაშუალებულია. საზოგადოებრივი ცნობიერების დასახელებული ფორმები მეტნაკლებად დაშორებულნი არიან მათი წარმომშობი ბაზისისაგან. გასაგებია ამიტომ, რომ ისტორიული მატერიალიზმის პრინციპების მიყენება საზოგადოებრივ ცხოვრების სხვადასხვა მხარეების შესასწავლად აღნიშნული სპეციფიკის გათვალისწინებას მოითხოვს, რაც გარკვეულწილად ისტორიული მატერიალიზმისა და კერძო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა მიმართებაში აისახება.

ზემოთქმულის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული მატერიალიზმისა და კერძო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა ურთიერ-

თობის პრობლემა, პრობლემა მისი სპეციფიკური დამოკიდებულებისა თითოეულ კერძო-საზოგადოებრივ მეცნიერებასთან, რეალური, კონკრეტული შინაარსის შემცველია. ეს, რასაკვირველია, ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობაზეც ვრცელდება.

ამასთან, როდესაც ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთმიმართებას ვეხებით, დამატებით უნდა მივიღოთ მხედველობაში აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი მომენტი. კერძოდ, ისტორიული მატერიალიზმი შეისწავლის საზოგადოების, როგორც მთლიანის დამახასიათებელ კანონებს და მას, ამ ნიშნით, სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათაგან განსხვავებით, მეცნიერული კომუნიზმი ენათესავება. მეცნიერულ კომუნიზმსაც საქმე აქვს საზოგადოების, როგორც მთლიანის ფორმირებისა და განვითარების კანონებთან, მაგრამ იმ ძირეული თავისებურებით, რომ მისი შესწავლის საგანია მხოლოდ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის სპეციფიკური კანონზომიერებანი, სახელდობრ ესაა კომუნისტური საზოგადოების, მისი მშენებლობის კანონზომიერებანი. მაშინ, როდესაც ისტორიული მატერიალიზმი არკვევს და ადგენს ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში მოქმედ, ამ ფორმაციებისათვის საერთო, უზოგადეს კანონებს. ამრიგად, ორივე მეცნიერება — მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია და მეცნიერული კომუნიზმი საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის კანონზომიერებებს ასახავს, მაგრამ პირველი საზოგადოების განვითარების კანონებს არკვევს რომელიმე მისი კონკრეტული ფორმების მიუხედავად, მეორე კი მხოლოდ კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კანონზომიერებათა შესწავლით იფარგლება.

ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის როგორც დამოუკიდებელ მეცნიერებათა საერთო მომენტების აბსოლუტიზაცია უხეში შეცდომა იქნებოდა და ამ მეცნიერებათა შესასწავლი საგნების ერთგვარ გაიგივებამდე მიგვიყვანდა. მართლაც, თუ ისტორიული მატერიალიზმი იკვლევს საზოგადოების, როგორც ერთიანი მთლიანი ორგანიზმის უზოგადეს კანონებს მისი განვითარების ყველა საფეხურზე, ხოლო მეცნიერული კომუნიზმი საზოგადოებრივი განვითარების კანონებს შეისწავლის მხოლოდ უმაღლესი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის — კომუნიზმის პირობებში, მაშინ შეიძლება დარჩეს შთაბეჭდილება, რომ პირველისა და მეორის შესასწავლი ობიექტები ნაწილობრივ დაფარავენ ერთმანეთს. სინამდვილეში, მეცნიერულ კომუნიზმს — მოძღვრებას კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კანონზომიერებათა შესახებ, არ აქვს არც მიზანი და არც საშუალება იმისათვის, რომ თავის საკვლევ ობიექტზე

მოქმედ კანონებს კაცობრიობის ისტორიისათვის საყოველთაო მნიშვნელობა მიაწეროს, რამდენადაც კომუნისტური საზოგადოების კანონები საზოგადოებრივი განვითარების უზოგადესი კანონების გამოვლენის მხოლოდ კერძო შემთხვევაა.

მეორე მხრივ, არც ისტორიულ მატერიალიზმს, საზოგადოებრივი განვითარების ზოგად თეორიას არ შეუძლია კომუნისტური საზოგადოების სპეციფიკური კანონების გამოკვლევა, ვინაიდან ყოველივე იმით შემოფარგვლა, რაც მხოლოდ ერთი რომელიმე, კონკრეტული ფორმაციისათვისა დამახასიათებელი, მისი კვლევის ამოცანას სცილდება.

ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის შესასწავლი საგნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მიუხედავად იმისა, რომ საზოგადოება, როგორც მთლიანი, ორივესათვის ამოსავალ პუნქტს წარმოადგენს.

ეს საერთო მომენტი მეცნიერულ კომუნიზმს განსაკუთრებულ დამოკიდებულებაში აყენებს არა მარტო ისტორიულ მატერიალიზმთან, არამედ ყველა კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებასთან, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების ერთ რომელიმე მხარეს და მისთვის დამახასიათებელ კანონებს შეისწავლიან. მთელის შესახებ შეუძლებელია ჭეშმარიტი ცოდნის შემუშავება, თუ მისი ნაწილები, შემადგენელი მხარეები არ იქნა შეცნობილი. ამიტომ, ისტორიული მატერიალიზმის მსგავსად, მეცნიერული კომუნიზმი კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებების მონაცემებს ემყარება და იყენებს. ისეთი საზოგადოებრივი მეცნიერებები, როგორიცაა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომია, სკკპ ისტორია, სსრ კავშირის ხალხთა ისტორია, საბჭოთა სამართალი და სხვ. მეცნიერულ კომუნიზმს შესაძლებლობას აძლევს დაადგინოს კანონზომიერი კავშირები ახალი საზოგადოების სხვადასხვა მხარეებს შორის, განსაზღვროს კომუნისტური მშენებლობის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული მშენებლობის არსი, გზები და საშუალებანი.

კერძო-საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაპოვრების აუცილებელი გამოყენება აგრეთვე მიუთითებს ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ერთ-ერთ საერთო ნიშანზე.

სხვა ბევრი საერთო მომენტიც რომ იყოს მარქსისტულ სოციოლოგიასა და მეცნიერულ კომუნიზმს შორის, მათი ურთიერთობა უნდა დავახასიათოთ როგორც ურთიერთობა ორი განსხვავებული მეცნიერებისა, კვლევის საკუთარი, ერთმანეთისაგან ასევე განსხვავებული სფეროებით. მაგრამ არ შეიძლება ამ ორ მეცნიერებას შორის არსებული განსხვავებულობის აბსოლუტიზაციაც, რაც იმის მოთხოვნა იქნებოდა, რომ ეს მეცნიერებანი მოგვეწყვიტა და დაგვეშორებინა ერთმა-

ნეთისაგან, უარგვეყო ორგანული კავშირი მათ შორის, ისტორიულ მატერიალიზმსა და მეცნიერულ კომუნიზმს შორის. ისტორიულ მატერიალიზმსა და მეცნიერულ კომუნიზმს შორის ურთიერთობა ესაა ურთიერთობა ერთიანობაში მყოფ განსხვავებულ მეცნიერებათა შორის. ყოველი ერთიანობა განსხვავებულობას გულისხმობს, ისევე როგორც ერთიანობაში მყოფი განსხვავებული მხარეები საერთო საფუძველს ემყარება. თვით სოციალური სინამდვილეა ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ორგანული კავშირის ობიექტური საფუძველი: კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მთელ საკაცობრიო, მსოფლიო-ისტორიული განვითარებით მზადდება და საზოგადოებრივ პროგრესის უმაღლეს ეტაპს გამოხატავს. ის კანონები, რომლებიც მოქმედებდნენ მთელი საკაცობრიო ისტორიის წიაღში, თავის ძალას შეინარჩუნებენ კომუნისტურ საზოგადოებაშიც. მაგრამ კომუნიზმი სრულიად ახალ, თვისებრივად სხვაგვარ სოციალურ გარემო პირობებს ქმნის ამ კანონთა მოქმედებისათვის. მსოფლიო ისტორიული პროცესების ერთიანობა და განსხვავებულობა საფუძვლად ედება ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის შესასწავლი საგნების ერთიანობას, ასევე განსხვავებულობას.

ეს გარემოება ასახვას ჰპოვებს ერთიან, მონოლითურ მოძღვრებაში, მარქსიზმ-ლენინიზმში, რომლის ისტორიულ-ფილოსოფიურ ნაწილს შეადგენს ისტორიული მატერიალიზმი, ხოლო მეორე — სოციალურ-პოლიტიკურ ნაწილს — კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისა და საკუთრივ კომუნისტური საზოგადოების კანონების შესახებ თეორიას — მეცნიერული კომუნიზმი. ერთიანი პროლეტარული იდეოლოგიის ამ ნაწილებს შორის ორგანული კავშირი არსებობს.

ინტერესი ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობის პრობლემისადმი, ცხადია, მხოლოდ თეორიული მოსაზრებებით არ მართლდება. აქ საქმე ეხება არა უბრალოდ მსჯელობას ორი მეცნიერების კავშირზე თეორიული ასპექტით, არამედ ამ კავშირის უდიდეს პრაქტიკულ მნიშვნელობას, ისტორიული მატერიალიზმის ცხოველმყოფელი პრინციპების გამოვლენას რეალურ საზოგადოებრივ მოძრაობაში, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის, ახალი კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მშენებლობაში. ამ დროს კიდევ უფრო მეტად იზრდება იმის აუცილებლობა რომ, თეორიულად განისაზღვროს პრაქტიკული წინსვლის კონკრეტული გზები და საშუალებანი. მაშასადამე, ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთკავშირს ღრმად პრაქტიკული, ცხოვრებისეული მნიშვნელობაც აქვს.

ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობის პრობლემა მრავალ ასპექტს მოიცავს, რომელთაგანაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ა) ისტორიული მატერიალიზმის მიმართება მეცნიერულ კომუნიზმთან, მისი მნიშვნელობა მეცნიერული კომუნიზმისათვის; ბ) მეცნიერული კომუნიზმის დამოკიდებულება ისტორიის მატერიალისტურ გაგებასთან, მისი მნიშვნელობა ისტორიული მატერიალიზმისათვის.

განვიხილოთ თითოეული ცალ-ცალკე.

ისტორიული მატერიალიზმი ორგანულად არის დაკავშირებული მეცნიერულ კომუნიზმთან. მეცნიერული კომუნიზმი ლოგიკურად გამომდინარეობს ისტორიის მატერიალისტური გაგებიდან. ისტორიული მატერიალიზმი თვით იყენებს დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებს, განავრცობს მათ საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, რის შედეგადაც ისტორიის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას გვაძლევს. მაგრამ, თავის მხრივ, მთელი საზოგადოების, განსაკუთრებით კი კაპიტალიზმის მატერიალური, ეკონომიკური და სულიერი პროცესების ახსნას მატერიალიზმის ნიადაგზე აუცილებლობით მივყავართ ექსპლოატაციის სამყაროს დამხობისა და ახალ, კომუნისტურ საზოგადოებაზე გადასვლის აღიარებამდე; მეცნიერული კომუნიზმი ამ რეალური მოძრაობის თეორიული გამოხატულებაა.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხაზს უსვამდნენ ამ გარემოებას. მათ ისტორიული მატერიალიზმი, დიალექტიკურ მატერიალიზმთან ერთად, უწინარეს ყოვლისა, კომუნიზმის შესახებ მოძღვრების თეორიულ საფუძვლად მიაჩნდათ. მატერიალიზმს, კ. მარქსის სიტყვებით, „აუცილებელი კავშირი აქვს კომუნიზმთან და სოციალიზმთან“ [1], სახელდობრ, იგი „კომუნიზმის ლოგიკურ საფუძველს“ [2] წარმოადგენს.

ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის კავშირის შესახებ ფ. ენგელსი წერდა, რომ „სოციალისტური მსოფლმხედველობისათვის ისტორიის ამ ახალ გაგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა“ [3].

ეხებოდა რა ისტორიული მატერიალიზმის მნიშვნელობას მეცნიერული კომუნიზმისათვის, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სწორედ ამ ნიადაგზეა შესაძლებელი „სოციალიზმის მეცნიერულად დასაბუთება

---

[1] კ. მარქსი. კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ. 1972. გვ. 13.

[2] იქვე. გვ. 14.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 11, გვ. 192.

და, ისტორიის მატერიალისტური გაგების თვალსაზრისით, მისი აუცილებლობისა და გარდუვალობის დამტკიცება“ [1].

ისტორიული მატერიალიზმი — ისტორიის მატერიალისტური თეორია საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების გაგებას ამყარებს ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებელ მატერიალურ, საწარმოო-ეკონომიკურ საფუძველზე. რაკი რთული და ურთიერთგადაჯაჭვული საზოგადოებრივი მოვლენები ობიექტური ეკონომიკური აუცილებლობითაა განსაზღვრული, ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოების ისტორიას, უწინარეს ყოვლისა, წარმოების განვითარებას უკავშირებს. საზოგადოების განვითარებას კი წარმოსახავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წარმოშობის, განვითარების და შეცვლის კანონზომიერ პროცესს.

ასეთი, ისტორიულ-მატერიალისტური მიდგომა საზოგადოებრივი მოვლენებისადმი საშუალებას გვაძლევს სწორად გავიგოთ ნებისმიერი საზოგადოებრივი წყობილება, გამოვიტანოთ რევოლუციური დასკვნები კაპიტალისტური წყობილების მეცნიერული ანალიზიდან, შევაფასოთ სოციალიზმი, როგორც მსოფლიო-ისტორიული განვითარების კანონზომიერი შედეგი.

კაპიტალისტური წყობილება წარმოიშვა ფეოდალური წყობილების რღვევის პროცესში და სავსებით პროგრესული მოვლენა იყო იმ პირობებში, ვინაიდან ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა შემდგომ განვითარებას, პროლეტარიატის — ყველაზე რევოლუციური კლასის განვითარებას. მაგრამ მას შემდეგ, რაც გამწვავდა დაპირისპირება კაპიტალისტური საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა შორის, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა მძაფრი კლასობრივი შეჯახებების, კრიზისების, უმუშევრობის, მასობრივი სიღატაკის, ომებისა და სხვა სოციალური უბედურებების ფორმით, წარმოების კაპიტალისტური სისტემა საწარმო ძალთა განვითარების ბორკილებად იქცა. კაპიტალიზმის დროს და მისი განვითარების კვალობაზე წარმოება სულ უფრო და უფრო საზოგადოებრივი ხდება, რაც ველარ ეგუება მითვისების ძველ, კერძო კაპიტალისტურ ბუნებას. წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი შესაბამისობაში უნდა მოვიდეს მითვისების საზოგადოებრივ ფორმებთან, მაშასადამე, კაპიტალიზმს გარდუვალობით მოყვება სოციალიზმი, კომუნიზმი, წარმოების საშუალებათა საერთო მფლობელობაზე დამყარებული საზოგადოება. „ისტორიის ასეთი გაგება, რომელიც ბუნებრივად და გონივრულად ხსნის მთელ აქამდე არსებულ კლასობრივ ბატონობას...

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 438.

იწვევს აგრეთვე იმ რწმენას, რომ თანამედროვე საწარმოო ძალების უდიდესი განვითარების გამო ქრება უკანასკნელი საბუთი... ადამიანთა დაყოფისა მჩაგვრელებად და დაჩაგრულებად, ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად" [1].

მაგრამ ძველი არასოდეს არ თმობს თავის პოზიციას უბრძოლველად. ასეა ეს კაპიტალიზმის დროსაც, როდესაც ახალი წყობილების დამყარებისაკენ მიმართული მოძრაობა უდიდეს წინააღმდეგობას აწყდება რეაქციული საზოგადოებრივი ძალების მხრივ, რომლებიც საკუთრების, განაწილების და გაცვლის ადრინდელი ფორმების შენარჩუნებით არიან დაინტერესებულნი. ამიტომ ბრძოლა ძველი წყობილების წინააღმდეგ, ძველიდან თვისებრივად ახალ წყობილებაზე გადასვლა სოციალური რევოლუციის გზით ხორციელდება.

თუ ისტორიული მატერიალიზმის ამ დებულებას კაპიტალიზმს მივუყენებთ, აღმოჩნდება, რომ გადასვლა კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე შეუძლებელია სოციალური რევოლუციის გარეშე, რევოლუციისა, რომელიც განსხვავებით წინა რევოლუციებისაგან სოციალისტურია, ვინაიდან სპობს კერძო საკუთრებას წარმოების საშუალებებზე და ამკვიდრებს განვითარებული საზოგადოებრივი წარმოების შესაბამის სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობებს. ასე საბუთდება სოციალისტური რევოლუციის აუცილებლობა.

ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით კლასობრივი ბრძოლა ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების მამოძრავებელი ძალაა, ხოლო დრომოჭმული საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ ბრძოლის მედროშედ ყოველთვის მოწინავე, პროგრესული საზოგადოებრივი კლასები გამოდიან.

თუ ისტორიული მატერიალიზმის ამ დებულებას კაპიტალისტურ საზოგადოებაზე გავავრცელებთ, იმ დასკვნამდე მივალთ, რომ თავისი მდგომარეობით და განვითარების პერსპექტივით პროლეტარიატი ყველაზე პროგრესული კლასია და მხოლოდ მას შესწევს იმის უნარი, რომ დაუპირისპირდეს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის სამყაროს, თავის გარშემო შემოიკრიბოს მშრომელი მასები, ბოლომდე, თანმიმდევრულად ებრძოლოს კაპიტალის ძალმომრეობას, დაამხოს კაპიტალისტური წყობილება და მისი ნანგრევებზე ააშენოს ახალი, სოციალისტური საზოგადოება. სოციალიზმი, ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ ახლა განიხილება „როგორც ორი ისტორიულად წარმოშობილი კლასის — პროლეტარიატისა და ბურჟუაზიის — ბრძოლის აუცილებელი შედეგი. მისი ამოცანა არის არა ის, რომ გამოიგონოს საზოგადოების რაც შეიძლება უფრო სრულყოფილი სისტემა, არა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები. ტ. II, გვ. 193.

მედ ის, რომ გამოიკვლიოს ისტორიულ-ეკონომიკური პროცესი, რომლის აუცილებელ შედეგს წარმოადგენენ ხსენებული კლასები მათი ურთიერთბრძოლით, და რომ ამ პროცესით შექმნილ ეკონომიკურ მდგომარეობაში მოინახოს საშუალება ამ კონფლიქტის გადასაწყვეტად“ [1].

ისტორიული მატერიალიზმი განაზოგადებს რა სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ისტორიულ გამოცდილებას, ცნობს, რომ ანტაგონისტური საზოგადოების რეაქციული ძალების ბატონობის შენარჩუნება და განმტკიცება პოლიტიკური ძალადობის გამოყენებით ხდება, და, მაშასადამე აუცილებელია ამ საყრდენის გამოცლა, რათა გზა გაიწმინდოს პროგრესულ წყობილებაზე გადასასვლელად.

ამიტომაა, რომ ბრძოლა პოლიტიკური ძალაუფლებისათვის სოციალური რევოლუციის ძირითად საკითხად იქცევა; ამასთან პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობით მთავრდება ძველი, რეაქციული კლასების არა მარტო საკუთრივ ეკონომიკური და პოლიტიკური, არეამად იდეოლოგიური ბატონობაც.

თუ ისტორიული მატერიალიზმის ან დებულებებს კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ გამოვიყენებთ, ცხადი გახდება, რომ კაპიტალისტური წყობილების ლიკვიდაცია შეუძლებელია ისე, თუ ბურჟუაზიის ხელისუფლება პროლეტარიატის ხელისუფლებამ არ შეცვალა. პროლეტარიატმა უნდა დაამხოს ბურჟუაზიის პოლიტიკური ძალაუფლება, რომლის საშუალებითაც ეს კლასი ძველ წარმოებით ურთიერთობებს, ექსპლოატაციის სისტემას იცავს, შექმნას საკუთარი, სოციალისტური სახელმწიფო, ამასთან პროლეტარიატმა თავისი ძალაუფლება უნდა გამოიყენოს ექსპლოატატორთა წინააღმდეგობის დათრგუნვის, საზოგადოების ეკონომიკური, სოციალური კულტურული გარდაქმნების მიზნით; პროლეტარიატის დიქტატურა სოციალიზმის მშენებლობის მთავარ იარაღად იქცევა. მაშასადამე, აქედან გამომდინარეობს მეცნიერული კომუნიზმის უმნიშვნელოვანესი დებულება ბურჟუაზიული სახელმწიფოს მოსპობისა და სოციალისტური სახელმწიფოს შექმნის აუცილებლობის შესახებ.

ისტორიული მატერიალიზმის ყველა დებულება თეორიულ საფუძვლად უდევს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის, კომუნისტური საზოგადოების ისტორიული გარდუვალობის დასაბუთებას.

სწორედ საზოგადოებრივი განვითარების კანონების აღმოჩენის საფუძველზე დამტკიცდა, რომ სოციალიზმი არის არა ოცნება, არამედ რეალური სინამდვილე, კაპიტალისტური საზოგადოების მატერი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 158.

ალური ცხოვრების პირობათა განვითარების, ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის აუცილებელი შედეგი.

ისტორიული მატერიალიზმი თეორიულ საფუძვლად უდევს მეცნიერულ კომუნიზმს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ მეცნიერებათა ურთიერთდამოკიდებულება ისეთი მიმართების ანალოგიურია, როგორც უკვე შემუშავებულ წანამძღვარებსა და დანასკვს შორის არსებობს. სინამდვილეში ისტორიული მატერიალიზმი მთელი საზოგადოების უზოგადესი კანონებისა და მამოძრავებელი ძალების დადგენით მხოლოდ მეთოდოლოგიურ იარაღს იძლევა თითოეული საზოგადოებრივი ფორმაციის მეცნიერული ახსნისათვის, მისი პრინციპების მიყენება კი, კონკრეტული, კერძოდ კაპიტალისტური საზოგადოების მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ამ საზოგადოების ეკონომიკური საფუძვლების ღრმა ანალიზს მოითხოვს. მხოლოდ მეცნიერული პოლიტიკური ეკონომიის ნიადაგზე გახდა შესაძლებელი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობებით შეცვლის გარდუვალობის დასაბუთება. „საკითხი იმას ეხებოდა, რომ ახსნილიყო, ერთი მხრივ წარმოების ამ კაპიტალისტური წესის წარმოშობის გარდუვალობა და მისი ისტორიული კავშირი, აგრეთვე მისი აუცილებლობა განსაზღვრული ისტორიული პერიოდისათვის, მაშასადამე, ახსნილიყო მისი დაღუპვის აუცილებლობაც. მეორე მხრივ, გამომჟღავნებულიყო წარმოების ამ წესის ჯერ კიდევ გაურკვეველი შინაგანი ხასიათი. ეს მოხდა ზ ე დ მ ე ტ ი ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს აღმოჩენის მეოხებით“ [1].

მეცნიერული კომუნიზმისათვის აუცილებელი იყო, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მოცემული, ისტორიულად განსაზღვრული, კაპიტალისტური საზოგადოების წარმოებით ურთიერთობათა წარმოშობის, განვითარებისა და დაცემის გამოკვლევა; „კაპიტალისტური საზოგადოების სოციალისტურ საზოგადოებად გადაქცევის გარდუვალობა მარქსს გამოჰყავს საკუთარი და მარტოოდენ თანამედროვე საზოგადოების განვითარების ეკონომიკური კანონიდან; რომელიც სულ უფრო და უფრო სწრაფად მიდის წინ ათასნაირი ფორმით... — აი სოციალიზმის გარდუვალი დამყარების მთავარი მატერიალური საფუძველი“ [2].

ასე ყალიბდება ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურღვევი კავშირი მეცნიერულ-პოლიტიკურ ეკონომიასთან. მეცნიერული კომუნიზმის გამომდინარეობა ისტორი-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. 11, გვ. 158.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 21, გვ. 70—71.

ული მატერიალიზმიდან, როგორც მისი თეორიული საფუძველიდან, არ ატარებს დებულებათა ლოგიკური ფილიაციის სახეს. იგი მარქსისტული პოლიტიკური ეკონომიის დასკვნებს ემყარება.

ისტორიული მატერიალიზმი არის მეცნიერული კომუნიზმის თეორიული, მეთოდოლოგიური საფუძველი.

მეცნიერული კომუნიზმი უმნიშვნელოვანეს დასკვნებამდე მიდის ისტორიული მატერიალიზმის იმ დებულებების გამოყენების შედეგად, რომ მატერიალურ-ეკონომიკური ფაქტორებით არის დეტერმინირებული კლასების წარმოშობა და კლასთა ბრძოლა, საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ცვალებადობა, სოციალური რევოლუციები, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის, ადამიანთა ისტორიული ერთობის ცვალებადი ფორმები, საზოგადოების სულიერი განვითარება და სოციალური ცხოვრების სხვა მხარეები.

ისტორიის დიალექტიკურ-მატერიალისტურ გაგებას, მეცნიერული კომუნიზმი იყენებს როგორც მეთოდოლოგიურ საყრდენს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლისა და კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მშენებლობის ურთულესი პროცესების შემეცნების საქმეში.

მაგრამ თავის მხრივ, კომუნისტური ფორმაციის კანონზომიერებათა ასახვით ქმნის თეორიულ ბაზას, რომელზე დაყრდნობით ზოგადსოციოლოგიური დებულებები კონკრეტიზაციას და განვითარებას განიცდიან.

სოციალისტური საზოგადოების მშენებლობის, მისი შემდგომი სრულყოფის გამოცდილებამ, რასაც მეცნიერული კომუნიზმი განაზოგადებს, შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა, რომ ზოგადსოციოლოგიური კანონები კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დროსაც მოქმედებენ, მაგრამ გამოვლენის ახალი თავისებურებებით ხასიათდებიან. მაგალითად, სოციალიზმის დროსაც, ისევე როგორც წინანდელი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების პირობებში, საწარმოო ძალთა განვითარება წინ უსწრებს წარმოებით ურთიერთობათა განვითარებას, ამასთან, წარმოებითი ურთიერთობანი აქაც აქტიურ ზეგავლენას ახდენენ საწარმოო ძალებზე. მაგრამ საწარმოო ძალთა განვითარების დონისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის კანონის მოქმედება სოციალისტურ საზოგადოებაში ძირეულად სხვა სპეციფიკით ხასიათდება, ვიდრე ეს ანტაგონისტურ საზოგადოებათა პირობებში ხდებოდა. სოციალიზმისათვის უცხოა დაპირისპირება და კონფლიქტი საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის, ვინაიდან აქ წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს მითვისების საზოგადოებრივი ფორმები შეესა-

ბამება. გეგმიურ საწყისებზე აგებულ საზოგადოებაში ყველა საშუალება მოიპოვება იმისათვის რომ, საკუთრების ფორმები არ იქცნენ საწარმოო ძალთა განვითარების ბორკილებად, არამედ, პირიქით, შესაბამისობაში მოვიყვანოთ მათთან, რითაც ვუპასუხებთ სოციალური პროგრესის მოთხოვნებს. მაშასადამე, იმთავითვე გამორიცხულია იმის შესაძლებლობა, რომ მზარდი საწარმოო ძალები შეურიგებელ წინააღმდეგობაში აღმოჩნდნენ ასევე განვითარებად სოციალისტურ წარმოებით ურთიერთობებთან.

ამრიგად, განაზოგადებს რა სოციალიზმის მშენებლობის, მისი სრულყოფის პრაქტიკას, მეცნიერული კომუნიზმი თავის საკვლევ სფეროს საზღვრებში კიდეც ადასტურებს საწარმოო ძალების განვითარების დონისადმი წარმოებით ურთიერთობათა შესაბამისობის ზოგად სოციოლოგიური კანონის მოქმედებას და ამასთან იმ თავისებურებებსაც ადგენს, რომლითაც ეს კანონი გზას იკაფავს.

შემდეგ, როგორც სოციალისტური წყობილების, ისე წინასოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების პირობებში ბაზისი განსაზღვრავს ზედნაშენს, ზედნაშენი ბაზისზეა დამოკიდებული, ამასთან ზედნაშენი აქტიურად ემსახურება საკუთარ ბაზისს, რაშიც მდგომარეობს მისი სოციალური დანიშნულება. ესაა ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერება, იგი მოქმედებს საზოგადოების განვითარების ნებისმიერ საფეხურზე. მაგრამ ამ კანონზომიერების რეალიზება აგრეთვე არ ხდება ერთგვაროვნად, სხვადასხვა სოციალურ-ეკონომიკური ეპოქებისათვის შესაფერის ფორმებში გამოვლენის გარეშე. ცნობილია, მაგალითად, რომ ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებებს აქვთ თავისი აღმავალი და დაღმავალი განვითარების სტადიები. როდესაც ზედნაშენი ახალი ბაზისის დამკვიდრებას და განვითარებას ემსახურება, სოციალური პროგრესის თვალსაზრისით იგი ობიექტურად დადებით როლს ასრულებს. და პირიქით, როდესაც ზედნაშენი ხელს უწყობს დრომოჭმული ბაზისის შენარჩუნებას და განმტკიცებას, მის სამსახურებრივ ფუნქციონირებას უარყოფითი საზოგადოებრივი შედეგები მოსდევს, თუ ამ შედეგებს მოწინავე სოციალურ ძალებთან მიმართებაში განვიხილავთ.

სულ სხვა ხასიათისაა ბაზისისა და ზედნაშენის ურთიერთობა სოციალისტურ საზოგადოებაში. აქ ეკონომიკის განმტკიცებით დაინტერესებულია მთელი საზოგადოება, რომლის ნება-სურვილი ემთხვევა ისტორიული განვითარების მაგისტრალურ მიმართულებას. ამიტომ ზედნაშენის სამსახურებრივი როლი ბაზისის მიმართ ისტორიული მოწოდებითა და შედეგებით არსებითად დადებითი შინაარსით განისაზღვრება. რასაკვირველია, ზედნაშენი სოციალიზმის დროსაც განიცდის ცვლილებებს, სრულყოფს ცალკეულ რგოლებს, თავიდან იშორებს ყოველივე იმას, რაც განვითარებულ ბაზისს აღარ შეესაბა-

მება. მაგრამ გეგმიურ საფუძვლებზე დამყარებულ და ასევე გეგმაზომიერ მართვას დაქვემდებარებულ საზოგადოებაში ზედნაშენი, როგორც მთლიანი სოციალური ფენომენი, შეუძლებელია უარყოფითად პასუხობდეს სოციალისტური ბაზისის განვითარების ობიექტურ მოთხოვნებს. როდესაც სოციალისტური ზედნაშენის ესა თუ ის ელემენტი შეცვლას ან სრულყოფას საჭიროებს, რათა უკეთ მოემსახუროს სოციალისტურ ბაზისს — ეს სრულიად უმტკივნეულოდ, ზემდგომი ორგანოების ინიციატივით და მშრომელთა ფართო მასების მხარდაჭერით ხდება. მაშასადამე, ასეთი ცვლილებები მხოლოდ და მხოლოდ მთელი საზოგადოების წინსვლის ინტერესებითაა ნაკარნახევი.

როგორც ეს მეცნიერული კომუნიზმის მონაცემებით დასტურდება, სოციალიზმის დროს მაქსიმალურად იზღუდება საზოგადოების მიმართ სოციალური და ბუნებრივი ფაქტორების უარყოფითი მოქმედების შესაძლებლობა. ეს იმითაა გამოწვეული, რომ ყოველივე ახალი, რაც ისახება და ვითარდება კომუნისტური ეკონომიკური ფორმაციის პირობებში, — მთელი საზოგადოების სასიცოცხლო ინტერესებს შეესაბამება, ხოლო ყოველივე ძველისა და დრომოჭმულის თავიდან მოშორებით ასევე მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული. აქ არ არსებობენ სოციალური კლასები, რომლებიც საერთო-საზოგადოებრივი პროგრესის მოთხოვნებს დაუპირისპირდებიან. ამიტომ უარყოფითი საზოგადოებრივი ძალების მოქმედებისათვის ისპობა კლასობრივი ბაზაც.

მაგალითისათვის შევეხოთ ზოგიერთი სოციალური მოვლენის მოქმედების თავისებურებას სოციალისტურ საზოგადოებაში. ვთქვათ, რა როლს ასრულებენ იდეები სოციალიზმის დროს? ისტორიული მატერიალიზმის თანახმად იდეები აჩქარებენ ან აფერხებენ საზოგადოებრივ განვითარებას, მათი ზეგავლენა საზოგადოებაზე შეიძლება განხორციელდეს როგორც დადებით, ისე უარყოფითი მიმართულებით, იმისდა მიხედვით, თუ რა იდეებთან, მოწინავე თუ რეაქციულ იდეებთან გვაქვს საქმე. მეცნიერული კომუნიზმი კი უკვე სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკის საფუძველზე ადასტურებს, რომ მშრომელთა საზოგადოებაში მოწინავე იდეები მთელი საზოგადოების კუთვნილებად იქცევა, ქვეყნის შინაგანი განვითარების მიხედვით ლიკვიდირებულია სოციალური ნიადაგი რეაქციული იდეებისათვის, ხოლო ახალი ცხოვრებისათვის შეუფერებელი შეხედულებები და ჩვევები მხოლოდ და მხოლოდ გადმონაშთის სახით არსებობს. მაშასადამე, უკვე სოციალიზმის დროს უაღრესად იზღუდება იდეების უარყოფითი მოქმედების სფერო. ეს ტენდენცია მომავალში მაქსიმალურად განვითარდება.

იგივე ითქმის სხვა საზოგადოებრივი ფაქტორების მოქმედების უარყოფითი შედეგების შესახებ. სოციალისტური საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ მაგალითად, მოახდინოს მოსახლეობის რაოდენობის ზრდის, მისი სიმჭიდროვის რეგულირება იმ ფარგლებში, რაც აუცილებელია შემდგომი სოციალური პროგრესის უზრუნველსაყოფად, გამოიყენოს თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მონაპოვრები უარყოფითი ეკოლოგიური შედეგების ლიკვიდაციისათვის და ა. შ.

მეცნიერული კომუნიზმი გვიჩვენებს, თუ გამოვლენის რა ახალ ფორმებს იძენენ აგრეთვე სხვა ზოგადსოციოლოგიური კანონები სოციალისტურ საზოგადოებაში. მაგალითად, იგი თავისი საკუთარი მონაცემებით კვლევის საკუთარ სფეროში ადასტურებს ისტორიული მატერიალიზმის კანონზომიერებას, რომ საზოგადოება ვერ იარსებებს მატერიალური და სულიერი პროცესების მართვის გარეშე. მაგრამ ამავე დროს ადგენს სოციალური მართვის სპეციფიკას კომუნისტური ფორმაციის პირობებში, სახელდობრ, აყალიბებს დებულებას, რომ გეგმაზომიერ მართვას სოციალიზმის დროს ქვეყნის შინაგანი განვითარების თვალსაზრისით არა აქვს ანტაგონისტური, ხოლო მსოფლიო კომუნიზმის დროს — პოლიტიკური ხასიათი.

კომუნისტური მშენებლობის დიდძალი ისტორიული გამოცდილების ანალიზის ბაზაზე მეცნიერული კომუნიზმი იმ დასკვნამდე მიდის, რომ ზოგადსოციოლოგიური კანონზომიერება ხალხის გადამწყვეტი როლის შესახებ ისტორიული განვითარების პროცესში — კომუნისტური ფორმაციის პირობებშიც მოქმედებს, მაგრამ ამასთან ასაბუთებს, რომ ეს კანონზომიერება ახალი ნიშნით ვლინდება, სახელდობრ ხალხთა მასების აქტიურობა, მისი, როგორც ისტორიის შემოქმედის როლი განუწყვეტლივ იზრდება.

მეცნიერული კომუნიზმი ხელმძღვანელობს ისტორიული მატერიალიზმის დებულებით, რომ პიროვნება საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია, რომ მისი არსობრივი ძალების განვითარება საწარმოო შრომით საქმიანობას ემყარება. ამასთან მეცნიერული კომუნიზმი ადგენს, რომ კომუნისტური საზოგადოება საბოლოოდ მოუღებს ბოლოს პიროვნების ცალმხრივ განვითარებას, რომ ახალი საზოგადოების უმაღლესად სრულყოფილ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას და კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ყოველმხრივ განვითარებული ადამიანი შეესაბამება.

ასე შეგვეძლო მსჯელობა სხვა საზოგადოებრივი მოვლენებისა და პროცესების მიმართ. მეცნიერული კომუნიზმი საკუთარ შესაძლებლობათა საზღვრებში ადასტურებს ისტორიული მატერიალიზმის უზოგადესი კანონების მოქმედებას და ამასთან ერთად განსაზღვრავს

მათი გამოვლენის თავისებურებებს კომუნისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში.

ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმი და მეცნიერული კომუნიზმი ერთმანეთს კიდეც მოითხოვენ და კიდეც განამტკიცებენ. ურღვევი კავშირი მათ შორის თითოეული მათგანის შემდგომი განვითარების აუცილებელი პირობაა.

ისტორიული მატერიალიზმისა და პედაგოგიკის ურთიერთობა. როდესაც იმ პრინციპული დებულებიდან გამოვდიოართ, რომ ისტორიული მატერიალიზმი კონკრეტულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია, ამით ჩვენ არსებითად ხელთ გვაქვს გასაღები მარქსისტული ზოგადსოციოლოგიური მოძღვრებისა და პედაგოგიკის ურთიერთმიმართების პრობლემის გადასაწყვეტადაც. ჩვენთვის იმთავითვე ცხადი ხდება, რომ ყველა ნიშანი, რაც ისტორიული მატერიალიზმისა და კონკრეტულ-საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართებას ახასიათებს საერთოდ — პედაგოგიკისა და ისტორიული მატერიალიზმის ურთიერთობაზეც ვრცელდება, რამდენადაც ეს არის ზოგადსოციოლოგიური მეცნიერებისა და კონკრეტული საზოგადოებრივი მეცნიერების ურთიერთმიმართების კერძო შემთხვევა. მაგრამ ყოველი კონკრეტული ზოგად მომენტებთან ერთად სპეციფიკურ მხარეებსაც მოიცავს. ამ ორი მეცნიერების — ისტორიული მატერიალიზმისა და პედაგოგიკის კავშირში გარკვეული, სპეციფიკური, სწორედ მათთვის ნიშანდობლივი თავისებურებებიც მჟღავნდება. ეს გამოწვეულია იმით, რომ პედაგოგიკა, როგორც დამოუკიდებელი საზოგადოებრივი მეცნიერება ისტორიული მატერიალიზმის პრინციპებს იყენებს საკვლევ სფეროში, რომელიც მის კომპეტენციას შეადგენს. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივი სინამდვილის ამ კონკრეტულ სფეროში მხოლოდ პედაგოგიკას შეუძლია დაადგინოს ისტორიული მატერიალიზმის კანონზომიერებათა გამოვლენის თავისებურებანი. სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა მსგავსად, პედაგოგიკა არა მარტო ხელმძღვანელობს ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური პრინციპებით, არამედ მისი შესწავლის საგნის საზღვრებში საკუთარ მასალასაც იძლევა მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიის დებულებათა სისწორისა და ცხოველმყოფელობის დასადასტურებლად.

მაშასადამე, ისტორიული მატერიალიზმის მიმართება პედაგოგიკის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრული სფეროს კანონების შემსწავლელ მეცნიერებასთან არ შეიძლება მხოლოდ ცალმხრივად განვიხილოთ, თუ ისტორიული მატერიალიზმის გარეშე წარმოუდგენელია მეცნიერული პედაგოგიკა, მეორეს მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ დიდია პედაგოგიკის მნიშვნელობაც ისტორიული მატე-

რიალიზმისათვის: მეცნიერული პედაგოგიკა ისტორიულ მატერიალიზმს აძლევს ყოველივე იმას, ოისი მიღებაც არ ძალუძს ამ უკანასკნელს არც ერთი სხვა კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებისაგან. ამიტომ დებულება, რომ ისტორიული მატერიალიზმი კონკრეტულ-საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიური საფუძველია პედაგოგიკისადმი მიყენებით ნიშნავს იმის ნათელყოფას, რაც პედაგოგიკისა და ისტორიული მატერიალიზმის ურთიერთმიმართების განსაკუთრებულობას შეადგენს. წინააღმდეგ შემთხვევაში თვით პრობლემის დაყენებას აზრი დაეკარგებოდა.

ყოველგვარი მიმართების გარკვევას წინ უნდა უსწრებდეს თვით მიმართებაში მყოფი მხარეების თავისთავადი ბუნების გაგება.

მთელ რიგ გამოკვლევებსა და სახელმძღვანელოებში პედაგოგიკა განსაზღვრულია როგორც მოძღვრება აღზრდის შესახებ. „პედაგოგიკა არის მეცნიერება აღზრდის შესახებ“ [1].

„პედაგოგიკის საგანს შეადგენს არა ადამიანი საზოგადოდ, არამედ ადამიანის პიროვნების აღზრდა, ფორმირება, ამ პროცესის კანონზომიერებანი“ [2]. „პედაგოგიკა შეისწავლის აღზრდის როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენის კანონზომიერებებს“ [3]. „უკანასკნელ დროს პედაგოგიკას განსაზღვრავენ როგორც მეცნიერებას მოზარდი თაობისა და მოზრდილი ადამიანების აღზრდის, განათლებისა და სწავლების შესახებ“ [4]. „საბჭოთა პედაგოგიკის საგანია კომუნისტური საზოგადოების ადამიანის აღზრდის კანონზომიერებათა შესწავლა“ [5].

პედაგოგიკის საგნის ანალოგიურ განსაზღვრებებს სხვაგანაც ვხვდებით; უმნიშვნელო განსხვავებით ყველგან საერთო აზრია გატარებული, რომ პედაგოგიკა, როგორც მეცნიერება აღზრდის კანონზომიერებებს შეისწავლის, განსაზღვრავს აღზრდის, განათლებისა და სწავლების შინაარსისა და მეთოდების საფუძვლებს, არკვევს პედაგოგიური საქმის ტექნიკას, აიარაღებს პედაგოგს აღზრდისა და სწავლების მეთოდებით, აღმზრდელობითი ზეგავლენის რთული ხელოვნებით.

ადამიანის აღზრდას, რასაკვირველია, ფართო მნიშვნელობაც აქვს. იგი გულისხმობს ადამიანის ფორმირებას არ მხოლოდ განათლებისა და სწავლების გზით, არამედ მთელი საზოგადოებრივი გარემოს, სოციალური წყობის საშუალებით. ამ გაგებით ადამიანი მთელი საზოგადოებრივი ურთიერთობების პროდუქტია. მაგრამ პედაგოგიკის ამოცანაა აღზრდა, როგორც სპეციალურად ორგანიზებული პროცესი, აღმზრ-

---

[1] Педагогика. М., 1966, стр. 7.
[2] დ. ლორთქიფანიძე. დიდაქტიკა. 1983, გვ. 6.
[3] Педагогика. М., 1978. стр. 4.
[4] Педагогика. М., 1966, стр. 16—17.
[5] Савин Н. В. Педагогика. М., 1978. стр. 11.

დელთა მიზანმიმართული მუშაობა აღსაზრდელთა მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, საერთოდ გონებრივი და ფიზიკური განვითარებისათვის, რაც გარკვეული საშუალებებისა და მეთოდების გამოყენებას ემყარება. საზოგადოებრივი და ოჯახური გარემო, რომელშიც თითოეულ ინდივიდს უხდება არსებობა პედაგოგიკას აინტერესებს იმდენად, რამდენადაც იგი აღზრდის აუცილებელ კომპონენტს შეადგენს. პედაგოგიკას არ ევალება და არც შეუძლია მათი თავისთავადი ბუნებისა და ურთიერთქმედების მექანიზმის გარკვევა. ეს უკვე სოციოლოგიის საკვლევი პრობლემატიკის წრეში შედის. პედაგოგიკა სარგებლობს სოციოლოგიური მეცნიერების მონაპოვრებით, გამომდინარეობს მისი დებულებიდან და კვლევას წარმართავს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების შესაბამისად, რასაც მეცნიერული სოციოლოგია ადგენს.

რამდენადაც პედაგოგიკა ადამიანის აღზრდის კანონზომიერებათა შესწავლას ისახავს მიზნად, იმდენად გასაგებია, რომ პედაგოგიკისათვის ყველაზე არსებითი მნიშვნელობა ისტორიული მატერიალიზმის სწორედ იმ დებულებებს აქვს, რომლებიც თვით ადამიანის არსებას გვიხსნიან, ადამიანისა და საზოგადოების ურთიერთმიმართებასთან არიან დაკავშირებულნი. ისტორიის მატერიალისტური გაგების თანახმად მატერიალური წარმოება საზოგადოებრივი და ინდივიდუალური განვითარების საფუძველია. ამ ნიადაგზე ადამიანი წარმოსდგება როგორც მოქმედი, აქტიური ძალა; ისტორიული მატერიალიზმის ზემოაღნიშნულ და სხვა ამოსავალ დებულებებს დიდი მეთოდოლოგიური ღირებულება აქვს პედაგოგიკისათვის, რომელიც ადამიანთა აღზრდისა და ფორმირების კანონზომიერებებს იკვლევს.

ისტორიული მატერიალიზმის ზოგადსოციოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით პედაგოგიკა ასაბუთებს, რომ ადამიანის აღზრდა — საზოგადოებრივი მოვლენაა. აღზრდის გარეშე არ არსებობს და შეუძლებელია ფუნქციონირებდეს საზოგადოება, განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იმყოფებოდეს იგი. მართალია, ადამიანის ჩამოყალიბება და განვითარება საზოგადოებაში მოქმედი ობიექტური, საწარმოო-ეკონომიკური საფუძვლებითაა განსაზღვრული, მაგრამ შრომა, წარმოება, როგორც მიზანდასახული პროცესი თვით ხდება შეუძლებელი, თუ ადამიანს არა აქვს სათანადო ცოდნა, თუ მას არ გამოუმუშავდა შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენებისათვის საჭირო ჩვევები და გამოცდილება. ეს კი ადამიანს თავისთავად და სტიქიურად არ ეძლევა. საამისოდ საჭიროა ადამიანის გონებრივი და ფიზიკური მომზადება, რაც მოითხოვს ადამიანზე ზემოქმედებას სხვადასხვა ხერხებისა და საშუალებების გამოყენებით. სწორედ ამაშია პედაგოგიური მეცნიერების დიდი მნიშვნელობა. იგი გვაიარაღებს მო-

ზარდი თაობის აღზრდის კანონზომიერებათა ცოდნით. სწორედ პედაგოგიკის მიერ ნაკარნახევი გზებითა და საშუალებებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ადამიანი შრომითი საქმიანობისათვის აუცილებელი ჩვევებითა და გამოცდილებით აღვჭურვოთ, იგი აქტიურ საწარმოო ძალად გადავაქციოთ.

ისტორიული მატერიალიზმისა და პედაგოგიკის კავშირი განსაკუთრებული ძალით ჩანს როცა საქმე ადამიანის განვითარების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობას ეხება.

პიროვნების, ისევე როგორც საზოგადოების განვითარება საერთოდ ორი რიგის ფაქტორებს ემორჩილება. პირველი რიგის ფაქტორები დამოუკიდებელი არიან ინდივიდუალური ან საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან და შეადგენენ როგორც მთელი საზოგადოების, ისე პიროვნების ცვალებადობა-განვითარების ობიექტურ საფუძველს. მართალია, საზოგადოებას შეუძლია შეგნებული მოღვაწეობის საფუძველზე დააჩქაროს ამ ობიექტური პროცესების მსვლელობა, მაშასადამე, შექმნას უფრო ხელსაყრელი პირობები თვითცვალებადობისა და თვითგარდაქმნისათვის, მაგრამ ამით ორმაგად საბუთდება პიროვნებისა და საზოგადოების განსაზღვრულობა ობიექტური ფაქტორებით და არა პირიქით. მარქსისტული სოციოლოგია მეცნიერულად განსაზღვრავს საზოგადოებრივ-მატერიალურ ფაქტორებს, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ სუბიექტზე, როგორც პიროვნებაზე და ცვლიან მას.

მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ადამიანის ფორმირებისათვის ობიექტური ფაქტორების არსებობა და ზემოქმედება საკმარისი არ არის. იგი არ შეიძლება აღიზარდოს და განვითარდეს მხოლოდ ობიექტური ფაქტორების თავისთავადი გაშლისა და მოქმედების ვითარებაში. აქ უკვე მთელი ძალით იჩენს თავს მეორე რიგის ფაქტორები, დამოკიდებული ადამიანთა ცნობიერებაზე, მათს ნებისყოფაზე, მათი ორგანიზებულობისა და შეგნებულობის დონეზე. ადამიანის განვითარება და აღზრდა რომ ემყარება ობიექტურ, მატერიალურ-საწარმოო საფუძვლებს, ეს საფუძვლები რომ ქმნიან მისი პიროვნების განვითარების ობიექტურ აუცილებლობას — ეს ერთი საკითხია. მაგრამ სულ სხვაა საკითხი, თუ რა გზებით და საშუალებებით მოვამზადოთ და აღვზარდოთ ადამიანები საზოგადოების ამ ობიექტური მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. ცხადია, ჩვენზეა დამოკიდებული ის, რომ გამოვძებნოთ და შევიმუშავოთ ადამიანთა სწავლების, სასკოლო და საზოგადოებრივი აღზრდის ისეთი სისტემა, რომელიც უფრო სრულად უპასუხებს ობიექტურ-მატერიალური პროცესების განვითარების კანონზომიერებებს. ამ მხრივ უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერულ თეორიებსა და რეკომენდაციებს, რომლებსაც იძლევა პედა-

გოგიკა ფსიქოლოგიის, სამართლისმცოდნეობის, ეთიკის, ესთეტიკის და მეცნიერების სხვა დარგებთან ერთად. ადამიანების ფორმირების საქმეში განსაკუთრებული როლი ეკუთვნის სასწავლო- აღმზრდელობითი მუშაობის მთელი სისტემის განვითარებას.

ამ ფაქტორების ორივე ჯგუფს ერთი და იგივე შედეგისაკენ — ადამიანის განვითარებისაკენ მივყავართ.

მაგრამ პიროვნების განვითარების ობიექტური საფუძვლების ცნების შინაარსიც მეტად ფართოა. საზოგადოებრივი და ბუნებრივი გარემო, რომელშიც პიროვნება იზრდება, ცხოვრობს და მოღვაწეობს, თავისთავად მრავალ მხარეს შეიცავს.

მათგან მთავარი მნიშვნელობა აქვს იმ ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავენ პიროვნების განვითარებას, მისი ფიზიკური და გონებრივი უნარ-მიდრეკილებების სრულყოფის მიმართულებას, მისი საზოგადოებრივი საქმიანობის ძირითად შინაარსს. ამ ფაქტორების ერთობლიობა პიროვნების განვითარების საწარმოო-ეკონომიკურ საფუძვლებს შეადგენს.

ადამიანის განვითარებისათვის გადამწყვეტია საზოგადოებრივი ცხოვრების მატერიალური. საწარმოო ფაქტორები. მართალია, ამ ფაქტორების მოქმედება ავტომატურად არ იწვევს პიროვნების უნარისა და მიდრეკილებების ყველა მიმართულებით გაშლა-აღმავლობას, მაგრამ თვით ახალი ადამიანების აღზრდის გზები და მეთოდები, პიროვნებათა გარდაქმნის სუბიექტური საშუალებანი, რომელთაც საზოგადოება ფლობს, ხვეწავს და ამრავალფეროვნებს ისტორიული მოძრაობის პროცესში, მთლიანად გამომდინარეობენ და უნდა შეესაბამებოდნენ საზოგადოების ობიექტურად მოქმედ, ადამიანთა მარეგულირებელ მატერიალურ ძალებს.

ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირითადი ზოგადსოციოლოგიური დებულება ის არის, რომ ადამიანი გარემომცველი მოვლენებისა და პროცესებისადმი თავისი აქტიური, საწარმოო ზემოქმედებით ახალ პირობებში აყენებს საკუთარ თავს და ცვლის მას. ბუნებისაკენ მიმართული ადამიანური ძალა თვით მას უბრუნდება, უკუზეგავლენას ახდენს მასზე.

პედაგოგიური მეცნიერება მიზნად ისახავს შეისწავლოს მოზარდი თაობის აღზრდისა და სწავლების გზები ადამიანთა მომზადებისათვის საწარმოო და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების შესასრულებლად. ამით პედაგოგიკა ახერხებს იმას, რომ ადამიანი „მოარგოს" წარმოების ცვალებად მოთხოვნილებებს; ამასთან, უშუალოდ იმ ობიექტურ საწარმოო ფაქტორების ბუნების კვლევა, რომლებითაც შეპირობებულია თვით ადამიანთა აღზრდისა და ფორმირების კანონზომიერებანი და მათი გამოყენება, თავის მხრივ, ზოგადსოციოლოგიური

კვლევის ამოცანაა, რომლის ასე თუ ისე გადაწყვეტა მეთოდოლოგიურ საფუძვლად ემსახურება თითოეულ კონკრეტულ საზოგადოებრივ მეცნიერებას, მათ შორის პედაგოგიკასაც. სწორედ ამ ნიადაგზეა შესაძლებელი ისტორიული მატერიალიზმისა და პედაგოგიკის მტკიცე კავშირი.

ადამიანის განვითარების მატერიალურ-საწარმოო და სუბიექტური ფაქტორების თანაფარდობის სწორ გაგებას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისა და პრაქტიკისათვის. თუ ადამიანის განვითარების წყაროდ მხოლოდ ობიექტურ ფაქტორებს ვაღიარებთ, მაშინ ვკარგავთ მასზე ზემოქმედების, მისი მიზანდასახული აღზრდის შესაძლებლობას. მეორე მხრივ, თუ ახალი ადამიანის აღზრდის სუბიექტურ საშუალებებს გადაჭარბებულ მისიას ვანიჭებთ, მაშინ არსებითად მიგვაჩნია, რომ ადამიანის ფორმირება მხოლოდ პედაგოგიური პრობლემაა და უმთავრესად დამოკიდებულია საზოგადოების რაციონალურ აღმზრდელობით რესურსებზე. ორივე თვალსაზრისი ცალმხრივი, მაშასადამე, არასწორია თეორიულად, მავნეა პრაქტიკულად. სინამდვილეში მხოლოდ პიროვნების გარდამქმნელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთობლივი მოქმედებისა და მათი სისრულით გათვალისწინების საფუძველზეა შესაძლებელი ახალი ადამიანის აღზრდისა და ფორმირების ოპტიმალური გზებისა და საშუალების გამოძებნა.

აღზრდის თეორიის მეცნიერული დასაბუთებისათვის ამოსავალს წარმოადგენს ადამიანის არსების და მისი განვითარების ისტორიულ-მატერიალისტური გაგება.

მარქსისტული სოციოლოგიის თანახმად ადამიანი სოციალური, საზოგადოებრივ ურთიერთობაში მყოფი, მწარმოებელი, იარაღის მკეთებელი არსებაა. თუ ადამიანის განვითარებისა და აღზრდის შინაარსის კვლევას ვისახავთ ამოცანად, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ ამოსავალ პრინციპს უნდა დავემყაროთ, გავითვალისწინოთ ის არსებითი ნიშნები, რომლებიც ადამიანს, როგორც მწარმოებელ არსებას ახასიათებს. ადამიანის აღზრდისა და განვითარების შინაარსი გაგებული და გაანალიზებული უნდა იყოს იმისდა მიხედვით, თუ რა სახეს იღებს ინდივიდის ქმედითუნარიანობა, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო სფეროში და რა წესით ხდება მისი ფიზიკური და გონებრივი ძალების ამოძრავება საზოგადოებრივად განსაზღვრული შრომითი საქმიანობის პროცესში.

აღზრდა ადამიანის საწარმოო ძალად ფორმირების აუცილებელი პირობაა. „ადამიანის საერთო ბუნება ისე გარდასაქმნელად, რომ მან შეიძინოს დახელოვნება და გაწაფულობა შრომის განსაზღვრულ

დარგში, გადაიქცეს განვითარებულ და სპეციფიკურ სამუშაო ძალად, საჭიროა გარკვეული სწავლა ანუ აღზრდა" [1].

პედაგოგიკას წარმოების ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად ადამიანის აღზრდის ერთ-ერთ ქმედით საშუალებად პოლიტექნიკური სწავლება მიაჩნია, რამდენადაც იგი მოზარდ თაობას წარმოების სხვადასხვა დარგის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ელემენტებს აძლევს. პოლიტექნიკური აღზრდა ხელს უწყობს განსაკუთრებული მიდრეკილებების გამომჟღავნებას, საკუთარ თავში საწარმოო-პროფესიული ინტერესების აღმოჩენას, ინდივიდის შრომითს ორიენტაციას.

უმაღლესი ტექნიკის პირობებში შრომის მონაცვლეობის აუცილებლობა გარდუვალობით არის დაკავშირებული პოლიტექნიკური აღზრდის რაციონალურ სისტემასა და მის განუწყვეტელ სრულყოფასთან.

რამდენადაც სახალხო მეურნეობაში გლობალურად ინერგება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები, პოლიტექნიკური აღზრდა შრომის მონაცვლეობის საყოველთაო პირობად იქცევა.

თუ, ერთი მხრივ, ისტორიული მატერიალიზმის დებულებები საზოგადოებრივი და ინდივიდუალური განვითარების არსის, მიზეზებისა და პერსპექტივების შესახებ მეთოდოლოგიურ საფუძვლად უდევს მეცნიერული პედაგოგიკის მთელ სისტემას, აღზრდის მიზნის, შინაარსისა და გზების მწყობრ თეორიას, მეორე მხრივ, ისტორიული მატერიალიზმი თვით იყენებს პედაგოგიკის მონაპოვრებს უმნიშვნელოვანესი სოციოლოგიური განზოგადებებისათვის. მათ შორის ყველაზე მთავარია ის, რომ ადამიანის ფორმირება მიმდინარეობს არა მხოლოდ ობიექტურად არსებული საწარმოო-ეკონომიკური ძალების მოქმედების საფუძველზე, არამედ სუბიექტური ფაქტორების აქტიური ზეგავლენის, სასკოლო და საზოგადოებრივი აღზრდის რთული სისტემის გამოყენების პირობებში.

სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნა შეუძლებელია თვით ადამიანთა გარდაქმნის გარეშე. სწორედ აქედან გამომდინარეობს ის ორმხრივი, მტკიცე, ურღვევი კავშირი, რომელიც არსებობს მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიასა და პედაგოგიკას შორის.

ისტორიული მატერიალიზმი მეთოდოლოგიური საფუძველია ყოველი კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებისათვის, რაც შეიძლება ნათელვყოთ აგრეთვე მისი კავშირით ისტორიულ მეცნიერებასთან.

ისტორია შეისწავლის კაცობრიობის მიერ განვლილ გზას მის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I. გვ. 220.

კონკრეტულობასა და მრავალფეროვნებაში, ადგენს მომხდარ ფაქტებს და ქრონოლოგიური თანამიმდევრობით აანალიზებს მოვლენების მსვლელობას, მათს აუცილებელ, კანონზომიერ კავშირებს, არკვევს თუ რა სპეციფიკური პირობებითა და თავისებურებებით მიმდინარეობდა ამა თუ იმ ხალხის ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალ-კულტურული, სულიერი ცხოვრების ცვალებადობა წარსულში, რა პერსპექტივები ისახებოდა მომავლისათვის და ა. შ.

ისტორიულ მეცნიერებათა ჯგუფი, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა „... ადამიანთა ცხოვრების პირობებს, საზოგადოებრივ ურთიერთობებს, სამართლისა და სახელმწიფოს ფორმებს იკვლევს მათი იდეალური ზედნაშენითურთ, ფილოსოფიის, სარწმუნოების, ხელოვნების და სხვ. სახით მათს ისტორიულ **თანამიმდევრობასა** და **დღევანდელ მდგომარეობებში**“ [1]. ხაზგასმა ჩ ვ ე ნ ი ა. — ბ. ლ.). მაგრამ როგორც არ უნდა იყოს იმ პირობების სხვადასხვაობა, რომელშიც ხალხებს ცხოვრება უხდებოდათ და უხდებათ, როგორი თავისებურებებიც არ უნდა ახასიათებდეს სხვადასხვა ქვეყნების ისტორიის მსვლელობას, ეს არ გამორიცხავს საერთოსა და განმეორებადს მათ შორის. განმეორებადობა აქ სწორედ არა ერთსა და იმავე გარემოებაში ხდება. „ასეთია მაგალითად მიწის პირველყოფილი თემური საკუთრების არსებობის ფაქტი, რომელიც ყველა კულტურულ ხალხში გვხვდება და მისი დაშლის ფორმა“[2]. ასეთია აგრეთვე სახელმწიფოს, სამართლის, კლასების წარმოშობის და ბრძოლისა და სხვა პროცესები და ფაქტები. ეს ფაქტები და პროცესები სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ხალხებში სხვადასხვანაირად, არაერთგვაროვან პირობებსა და ვითარებაში მოხდა. მაგრამ მათში საერთო და განმეორებადი მხარეები და კავშირები დგინდება. სხვადასხვა ხალხებისა და ქვეყნებისათვის საერთოს, განმეორებადსა და აუცილებელს სწორედ ზოგადსოციოლოგიური კანონები ასახავენ.

საზოგადოებრივი განვითარების ზოგადსოციოლოგიური კანონები მოქმედებენ და გზას იკაფავენ ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის განსაკუთრებულ და განსხვავებულ პირობებში. თვით ამ განსხვავების დადგენა შესაძლებლია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ცნობილია საერთო და ტიპური სხვადასხვა პირობებში მყოფი ხალხისა და საზოგადოებისათვის. მეორეს მხრივ, საერთო და ტიპური სწორედ განსხვავებული და მრავალფეროვანი ფორმებით ვლინდება. ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმი და ისტორია წარმოადგენენ არა ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, არამედ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 105.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 106.

მეცნიერებებს. ისტორიული მატერიალიზმი მეთოდოლოგიური იარაღია ისტორიისათვის, ისტორიული მეცნიერების მონაცემები კი აუცილებელი პირობაა ზოგადსოციოლოგიური განზოგადებისათვის. მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის დებულება რომ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლა სოციალური რევოლუციის საშუალებით ხდება — საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკით დასტურდება, რასაც სამოქალაქო ისტორია კონკრეტული მასალით ადასტურებს.

ისტორიული მეცნიერება გვიჩვენებს აგრეთვე, თუ რა თავისებურებით ვლინდება კლასობრივი ბრძოლის კანონზომიერებანი ამა თუ იმ ქვეყნის ხალხის ან ხალხთა შორის ურთიერთობაში და სხვ.

ცხადია, ამ მხრივ, მაგალითად, საქართველოს ისტორია განსხვავებულ ფაქტობრივ ვითარებას აღწერს რუსეთის, ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატების და სხვა ქვეყნების ისტორიასთან შედარებით. და პირიქით. მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანი იმ საერთოსაც შეიცავს, რომელსაც ისტორიული მატერიალიზმი ზოგადი კანონზომიერების სახით აფიქსირებს.

ის, რაც ითქვა ისტორიული მატერიალიზმისა და ისტორიის კავშირის შესახებ, თანაბრად ვრცელდება სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებაზეც, რომლებიც ხელმძღვანელობენ ისტორიული მატერიალიზმის თეორიითა და მეთოდით, საკუთარ დარგში მოპოვებული მონაცემებით კი განამტკიცებენ ისტორიული მატერიალიზმის ძირეულ პრინციპებს.

მაგალითად, ისტორიული მატერიალიზმის დასკვნა იმის შესახებ, რომ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება საფუძვლად უდევს მის სულიერ განვითარებას, უშინაარსო დებულებად გადაიქცეოდა, თუ გახსნილი არ იქნება საზოგადოების ეკონომიკური მოძრაობის, წარმოების, გაცვლა-გამოცვლის, განაწილების, მოხმარების ეკონომიკური კანონები, რასაც პოლიტიკური ეკონომია შეისწავლის.

მეორეს მხრივ წარმოებით ურთიერთობათა განვითარების კანონზომიერებანი მხოლოდ მაშინ დაექვემდებარება ზუსტ მეცნიერულ ახსნას, როდესაც ჩვენთვის ცნობილია საზოგადოების, როგორც ერთიანი მთლიანის დამახასიათებელი კანონები, მისი მამოძრავებელი ძალები.

საზოგადოებრივი კავშირების სწორი გაგება ისტორიული მატერიალიზმის ზოგადსოციოლოგიური პრინციპების საფუძველზე, კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატების საწინდარია.

შესაძლებელია თუ არა, მაგალითად, რომ სამართლისმცოდნეობამ მეცნიერულად ასახოს თავისი კვლევის ობიექტი ისტორიული მატერიალიზმის დებულებების გამოყენების გარეშე? შესაძლებელია თუ

არა, რომ მან განსაზღვროს სამართლის წარმოშობისა და მისი ფორმების სხვადასხვაობის რეალური მიზეზები, თუ არ გაითვალისწინებს სამართლის აუცილებელ კავშირს ობიექტურ, ეკონომიკურ ფაქტორებთან? ასეთ შემთხვევაში სამართლის წარმოშობასა და განვითარებას იგი წმინდა სუბიექტური მიზეზებით ახსნიდა. სრულიად გაუგებარი იქნებოდა, თუ რატომ წარმოიშვა სამართალი მაინცდამაინც კლასობრივი წინააღმდეგობისა და სახელმწიფოს გაჩენასთან ერთად, რატომ არის, რომ კლასობრივ საზოგადოებაში სამართალი გაბატონებული კლასების ინტერესებს იცავს, რატომ არის, რომ თავისი ისტორიით ერთმანეთისაგან განსხვავებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ერთტიპური ბურჟუაზიული სამართალი არსებობს? გასაგებია, რომ ამ და სხვა მსგავს კითხვებზე სწორ პასუხს ვერ გავცემთ, თუ არ გავალთ თვით სამართლის ჩარჩოებიდან, თუ ანგარიშს არ გავუწევთ მის წარმომშობ მატერიალურ პირობებს; სამართლისა და ეკონომიკის აუცილებელი კავშირის გათვალისწინება კი, რასაც ისტორიული მატერიალიზმი მოითხოვს, დაგვარწმუნებს იმაში, რომ „სამართლის ნორმები მხოლოდ საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკური პირობების იურიდიულ გამოხატულებას წარმოადგენენ“ [1].

თავის მხრივ, სამართლისმცოდნეობა სხვა საზოგადოებრივი მეცნიერების მსგავსად უხვ მასალას იძლევა საიმისოდ, რომ ისტორიული მატერიალიზმი დაემყაროს სამართლებრივი მეცნიერების მონაპოვრებს და თავისი დასკვნები დააკონკრეტოს ამ მეცნიერების შემდგომი სრულყოფის და წინსვლის კვალობაზე.

კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებათა მონაპოვრების ანალიზისა და განზოგადების გარეშე ისტორიული მატერიალიზმის დასკვნები რეალობისაგან მოწყვეტილი, აბსტრაქტული დებულებების სახეს მიიღებდა. ისტორიული მატერიალიზმის გარეშე კი კერძო საზოგადოებრივი, მეცნიერებანი ემპირიული აღწერით შემოიფარგლებოდნენ, მოვლენათა იქით ვერ შეამჩნევდნენ მათს ისტორიულ კავშირს და განვითარების საერთო ტენდენციას.

ისტორიული მატერიალიზმი განსაზღვრავს რთული და მრავალფეროვანი მოვლენების ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რითაც კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებებს უქმნის იმის საშუალებას, რომ გაერკვნენ არსებითსა და არაარსებითში, გაჰყვნენ მოვლენათა კავშირის ძაფს, დაამყარონ ურთიერთობა შესაცნობ ობიექტსა და მისგან შეპირობებულ მხარეებს შორის. ეს ყველაფერი კერძო საზოგადოებრივ მეცნიერებებს სოციალური მოვლენების შემეცნებას

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 483.

უადვილებს და კიდევ უფრო ნათელს ხდის ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიურ მნიშვნელობას მათთვის [1].

ამრიგად, ისტორიული მატერიალიზმი ისევე აუცილებელია კერძო საზოგადოებრივი მეცნიერებებისათვის, როგორც ეს უკანასკნელნი ისტორიული მატერიალიზმისათვის. მხოლოდ მათს ურთიერთკავშირშია ისტორიული მოვლენების მეცნიერული შემეცნების გარანტია.

4. ისტორიული მატერიალიზმის თავისებურებანი

ა) ისტორიული მატერიალიზმის პარტიულობა. კლასობრივი საზოგადოების ისტორია არ იცნობს არც ერთ სოციოლოგიურ მოძღვრებას, რომელიც პარტიულ, კლასობრივ ხასიათს არ ატარებდეს. მტრულ კლასობრივ საზოგადოებაში მიუდგომელი იდეოლოგია, ფილოსოფია და სოციოლოგია არ არსებობს. საზოგადოებრივი თეორიები ყოველთვის ამართლებენ ამა თუ იმ კლასის მიზანსწრაფვას და მოქმედებას, საზოგადოებრივ მოვლენებსა და პროცესებს განიხილავენ საკუთარი კლასის ან სოციალური ჯგუფის ინტერესების პრიზმიდან, მიკერძოებით, სუბიექტივისტურად ისე, როგორც ეს ამა თუ იმ კლასს ან სოციალურ ჯგუფს გამოადგება. ამიტომ მარქსამდელი, აგრეთვე თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგიის პარტიულობას გამოცლილი აქვს მეცნიერული ობიექტურობის საფუძველი.

მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიაც პარტიული, კლასობრივი მოძღვრებაა. კერძოდ, იგი ასახავს და იცავს მუშათა კლასის, მშრომელი მასების ინტერესებს, არც ფარავს თავის მებრძოლ, კლასობრივ პარტიულ ბუნებას. მაგრამ ისტორიული მატერიალიზმისათვის სპეციფიკურია ის, რომ მისი პარტიულობა მეცნიერულ ობიექტურობას ემყარება. იგი სრულიადაც არ წარმოადგენს მიკერძოებით დოქტრინას, მშრომელი მასების ინტერესების გამოხატვით საზოგადოებრივი განვითარების ობიექტურ კანონზომიერებებს შეესაბამება. პროლეტარიატის და სხვა ჩაგრულთა კლასობრივი ინტერესები სოციალური პროგრესის ობიექტური მოთხოვნებით, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებით არის გამართლებული, ისტორიული განვითარების ობიექტურ მსვლელობას ემთხვევა. მებრძოლი პარტიულობისა და მეც-

---

[1] ზოგიერთ ავტორს გაცილებით ფართოდ აქვს წარმოდგენილი ისტორიული მატერიალიზმის მეთოდოლოგიური როლი; მიაჩნიათ, რომ ისტორიულ. მატერიალიზმს მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს არა არტო საზოგადოებრივ, არამედ აგრეთვე საბუნებისმეტყველო მეცნიერებათათვის, ვინაიდან ეს უკანასკნელნი ყოველთვის გარკვეულ კავშირში არიან საზოგადოებრივ პრაქტიკასთან. იხ. მაგალითად, ბულგარელი ფილოსოფოსის ნ. სტეფანოვის წიგნი: Теория и метод в общественных науках. М., 1967.

ნიერული ობიექტურობის ორგანული ერთიანობა, თვისებრივად ახალი, მარქსისტული სოციოლოგიის დამახასიათებელი თავისებურებაა.

ბ) ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედებითი ხასიათი. ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი თავისებურება მის შემოქმედებით ბუნებაში ვლინდება. მისთვის უცხოა მეცნიერული აზრის შეჩერების მდგომარეობა, იგი შეუთავსებელია დოგმატიზმთან, იცვლება და ვითარდება ახალი ისტორიული გამოცდილების შესაბამისად. ისტორიული მატერიალიზმის წარმოშობისა და განვითარების ისტორია თვით არის მისი შემოქმედებითი ხასიათის განსახიერება. იგი მდიდრდებოდა და მდიდრდება ახალი დასკვნებით და დებულებებით რევოლუციური მოძრაობის ცვალებადი პირობების, საზოგადოებრივ მეცნიერებათა უახლესი მიღწევების გათვალისწინების საფუძველზე.

ლენინური ეტაპი მარქსიზმის განვითარებაში ბრწყინვალედ ადასტურებს ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედებით ბუნებას. ვ. ი. ლენინმა იმპერიალიზმის და პროლეტარული რევოლუციის ეპოქაში დაიცვა და ახალი დასკვნებით გაამდიდრა მარქსისტული სოციოლოგია სოციალური რევოლუციის და მისი ფორმების, კლასობრივი ბრძოლის, პროლეტარიატის დიქტატურის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში.

მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია შემოქმედებითია თავისი ბუნებით, იცვლება და სულ უფრო სრულად ასახავს კლასობრივ ძალთა თანაფარდობას კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქაში, ვითარდება ცხოვრების ახალი პირობების შესაბამისად.

მაგრამ თეორიის შემოქმედებითი განვითარება მის პრინციპებზე ხელის აღებას როდი ნიშნავს; სწორედ ასეთი პოზიცია უკავია რევიზიონიზმს, რომელიც სიტყვიერად ცნობს შემოქმედებით მიდგომას ისტორიული მატერიალიზმის დებულებებისადმი ცვალებადი ისტორიული პირობების შესაბამისად, მაგრამ ფაქტიურად უარს ამბობს მის პრინციპებზე ნაცვლად იმისა, რომ მათი გამოვლენის ახალი ფორმები აღიაროს და გამოიკვლიოს.

მეორე მხრივ, ისტორიული მატერიალიზმი ძირეულად უპირისპირდება აგრეთვე დოგმატიზმს, რომელიც მოძველებულ დებულებებს ებღაუჭება, ორიენტაციას იღებს მხოლოდ წარსულზე, წინასწარ ვერ ჭვრეტს მოვლენათა მსვლელობას, არ შეუძლია საზოგადოებრივი პროგრესის გაუკვალავი გზების დასახვა. დოგმატიკოსები და სექტანტები რევოლუციურ პარტიებს ართმევენ იმის უნარს, რომ განავითარონ თეორია საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული ანალიზის საფუძველზე, შემოქმედებითად გამოიყენონ იგი პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ახალ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებაში.

შეცვლილი პირობების შეუსაბამო ცალკეული დებულებების დაცვა, ახალი ვითარებისათვის საჭირო მარქსისტული ანალიზის შეუფა-

სებლობა აფერხებს როგორც მარქსისტულ-ლენინური თეორიის, ისე პროლეტარიატის პრაქტიკულ-რევოლუციური მოძრაობის განვითარებას.

ისტორიული მატერიალიზმი ყოველგვარი დოგმატიზმის მტერია, მას ძველი სოციოლოგიისაგან განასხვავებს აგრეთვე მეტად მნიშვნელოვანი თავისებურება, სახელდობრ, ქმედითი ხასიათი, საზოგადოების **რევოლუციური გარდაქმნის** მოთხოვნა.

ბ) ისტორიული მატერიალიზმის ქმედითი ხასიათი. საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის მოთხოვნა—მარქსისტული სოციოლოგიის არსებითი ნიშანი. მარქსამდელი სოციოლოგები ყალბი იდეალისტური ამოსავალი პრინციპების გამო უგულებელყოფდნენ ადამიანთა პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობის მნიშვნელობას. მთავარი ამოცანა, რომელიც იდგა მათ წინაშე, საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნა-განმარტებით, სოციალური სინამდვილის წმინდა თეორიული გაგებით ამოიწურებოდა. მაგრამ ეს ამოცანაც მეცნიერული თვალსაზრისით გადაუჭრელი რჩებოდა მარქსისტული სოციოლოგიის წარმოშობამდე. სწორედ მარქსიზმის წარმოშობასთან არის დაკავშირებული საზოგადოებრივი განვითარების მეცნიერული თეორიის შემუშავება. მაგრამ მარქსისტული სოციოლოგიის განმასხვავებელი თავისებურება მხოლოდ ამაში როდი მდგომარეობს. ისტორიული სინამდვილის ახსნა, მისი თვითმიზანი არ არის. წინანდელი სოციოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც თავის ამოცანას საზოგადოების თეორიული ახსნა-განმარტებით ზღუდავდა, მარქსისტული სოციოლოგია ისტორიის საზრისად საზოგადოების პრაქტიკულ-რევოლუციურ გარდაქმნას აყენებს. იგი სამყაროს მეცნიერული შეცნობისა და მისი პრაქტიკულ-რევოლუციური გარდაქმნის, კომუნიზმისათვის ბრძოლის მძლავრი თეორიული იარაღია.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად გ ა ნ მ ა რ ტ ა ვ ე ნ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შ ე ც ვ ლ ი ლ ი ქ ნ ე ს"[1]. ასე ახასიათებდა მარქსი ძველი მსოფლმხედველობის ნაკლს და ახალი მსოფლმხედველობის ისტორიულ მოწოდებას. მარქსიზმის ეს თავისებურება მთლიანად ვრცელდება ისტორიულ მატერიალიზმზე.

ადამიანთა საზოგადოებრივ-საწარმოო მოღვაწეობის უგულვებელყოფით მარქსამდელმა სოციოლოგებმა თეორია გამოთიშეს პრაქტიკისაგან, მშრომელი მასების პრაქტიკულ-რევოლუციური მოღვაწეობისაგან.

მარქსისტული სოციოლოგია არ ცნობს საზოგადოებრივი პრაქტიკისაგან გამოცალკევებულ თეორიულ ინტერესებს. ისტორიული მა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები. ტ. I, 1975 წ. გვ. 4.

ტერიალიზმი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული რევოლუციურ პრაქტიკასთან, პროლეტარიატის განმათავისუფლებელი მოძრაობის ამოცანებთან, კომუნისტური პარტიის პოლიტიკასთან. თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა მარქსისტული სოციოლოგიის მნიშვნელოვანი ნიშანთვისებაა.

ისტორიული მატერიალიზმი უდიდეს მაორგანიზებელ, დამრაზმაკ და გარდამქმნელ როლს ასრულებს რევოლუციურ პროლეტარულ მოძრაობაში, პროლეტარიატის და მასთან კავშირში მყოფი მშრომელი მასების გათვითცნობიერების უბადლო საშუალებაა. მისი დებულებები თეორიულ საფუძვლად უდევს ექსპლოატაციის სისტემის დამხობის, კაპიტალიზმის — უკანასკნელი ექსპლოატატორული წყობილების გარდუვალი მოსპობისა და კომუნისტური საზოგადოების გამარჯვების აუცილებლობის დასაბუთებას.

დ) ისტორიული მატერიალიზმი როგორც თეორიისა და მეთოდის ერთიანობა. ისტორიის მატერიალისტური გაგება უმაღლეს სინთეზში აერთიანებს მატერიალისტურ თეორიასა და დიალექტიკურ მეთოდს, რაც მას აგრეთვე თვისებრივად განასხვავებს ადრინდელი სოციოლოგიური მოძღვრებისაგან. მარქსამდელი საკაცობრიო აზროვნებისათვის საერთოდ უცნობი იყო, როგორც ადრეც ითქვა, ისტორიის მატერიალისტური ახსნა. რაც შეეხება საზოგადოებრივი ცხოვრების დიალექტიკურ გაგებას — ეს პირველად ჰეგელმა მოგვცა, თუმცა მისტიფიცირებულად. მან, არა მარტო ბუნება, არამედ აგრეთვე„ ისტორიული და სულიერი სამყარო პირველად გამოსახა როგორც პროცესი, ე. ი. როგორც მუდმივ მოძრაობაში, ცვალებადობაში, გარდაქმნასა და განვითარებაში მყოფი, და შეეცადა ამ მოძრაობასა და განვითარებაში შინაგანი კავშირი გამოემჟღავნებინა“ [1]. ჰეგელის თვალსაზრისი იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორია არის განვითარების პროცესი — საზოგადოების მეცნიერული გაგების არსებითი წანამძღვარია. ჰეგელს არ შეეძლო ამ თვალსაზრისის თანამიმდევრული განვითარება მისი მსოფლმხედველობის ობიექტურ-იდეალისტური ხასიათის გამო: „ჰეგელის მიხედვით, ბუნებასა და ისტორიაში გამომჟღავნებული დიალექტიკური განვითარება. ე. ი. მიზეზობრივი კავშირი წინსვლისა, რომელიც ყოველი გადახვევა-გადმოხვევისა და დროებითი უკანდახევის მიუხედავად, დაბალი საფეხურიდან მაღალზე ადის, მხოლოდ ცნების პროგრესული თვითმოძრაობის ასახვას წარმოადგენს“ [2]. გარდა ამისა, ისტორიული შემეცნების დამთავრებული სისტემა, რომელიც ჰეგელმა წარმოსახა, ეწინააღმდეგებოდა

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი 1952. გვ. 30.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964. გვ. 472.

დიალექტიკური აზროვნების ძირითად კანონებს. ამიტომ ჰეგელთან საზოგადოების დიალექტიკური გაგების ამოცანაც გადაუჭრელი აღმოჩნდა. მაგრამ უკვე ამ ამოცანის დაყენება — ჰეგელის დიდ დამსახურებას შეადგენს „ჰეგელის სისტემამ ვერ გადაჭრა ეს ამოცანა. მისი ისტორიული დამსახურება იმაში მდგომარეობდა, რომ მან დასვა ეს ამოცანა“ [1].

ისტორიული მატერიალიზმი ისტორიის მატერიალისტური ახსნის თეორიაა, ამ თეორიის მიხედვით საზოგადოების ისტორია, უწინარეს ყოვლისა, არის მატერიალური წარმოების, გარკვეული წესით მისი ცვალებადობა-განვითარების ისტორია. რთულ და ურთიერთგადაჯაჭვულ სოციალურ მოვლენებში ობიექტური ეკონომიკური აუცილებლობა იკაფავს გზას. მატერიალურ- ეკონომიკური ფაქტორებით არის დეტერმინირებული საზოგადოების კლასებად დაყოფა და კლასთა ბრძოლა, კლასობრივი სტრუქტურის ცვალებადობა, სოციალური რევოლუციები. ამავე საფუძვლებით აიხსნება საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციების, ადამიანთა ერთობის ცვალებადი ფორმები, საზოგადოების სულიერი განვითარება და სოციალური ცხოვრების სხვა უმნიშვნელოვანესი მხარეები. ამასთან, საწარმოო-ეკონომიკური განვითარება არ არის ისტორიული პროგრესის ერთადერთი აქტიური მიზეზი. ეკონომიკური პირობებისაგან საყოველთაო დამოკიდებულების ფარგლებში ისტორიულ პროცესებზე უდიდეს გავლენას ახდენენ პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური, რელიგიური და სხვა შეხედულებანი, ზედნაშენური ხასიათის მოვლენები [2].

ისტორიული მატერიალიზმისათვის შეუწყნარებელია საზოგადოებრივი ცხოვრების ახსნა ამ ცხოვრებისაგან მოწყვეტილი აბსტრაქტული სქემების შემწეობით. იგი საზოგადოებრივ ცხოვრებას განიხილავს რეალისტურად, ისე, როგორც ის სინამდვილეშია, ე. ი. განსაზღვრულს მატერიალური საფუძვლებით. მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა მატერიალისტური ახსნა აუცილებლობით მოითხოვს დიალექტიკური მეთოდის გამოყენებას სინამდვილის ამ სპეციფიკური ნაწილის შემეცნებისადმი. საზოგადოებრივი სინამდვილის გაგება მისივე საკუთარ საფუძველზე სოციალური ცხოვრების განვითარების შინაგან კანონზომიერებათა შეცნობის ამოცანას აყენებს, ვინაიდან საზოგადოებრივი განვითარებაც დიალექტიკურია თავისი ბუნებით. ამიტომ ისტორიული მატერიალიზმი არ არის მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების თეორია, არამედ საზო-

---

[1] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, გვ. 30.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ. II. 1964. გვ. 618—619.

გადოებრივი ცხოვრების შემეცნების ერთადერთი მეცნიერული მეთოდიცაა. საზოგადოებრივი მოვლენებისადმი დიალექტიკური მიდგომა შინაგანად დამახასიათებელია ისტორიული მატერიალიზმისათვის.

ბურჟუაზიული სოციოლოგიისაგან განსხვავებით, რომელიც არ ცნობს მატერიალური ფაქტორებით დეტერმინირებულ კავშირურთიერთობას სოციალურ მოვლენებსა და პროცესებს შორის, ისტორიული მატერიალიზმი საზოგადოებრივ ფაქტებსა და პროცესებს განიხილავს ურთიერთკავშირსა და ერთიანობაში, რასაც საბოლოო ჯამში ობიექტური, მატერიალური მამოძრავებელი ძალები განსაზღვრავენ.

საზოგადოებრივი მოვლენების გაგება და შეფასება მათ შორის არსებული დიალექტიკური კავშირის ნიადაგზე — ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი მეთოდოლოგიური მოთხოვნაა, რომლის დაცვის გარეშე ისტორიული სინამდვილის კვლევას შეუძლებელია ჰქონდეს მეცნიერული ხასიათი. „ყველაზე საიმედო საზოგადოებრივი მეცნიერების საკითხში და აუცილებელი იმისათვის, რომ ნამდვილად შევიძინოთ ჩვენა ამ საკითხისადმი სწორად მიდგომისა და არ დავიბნეთ უამრავ წვრილმანებში ან ერთმანეთთან მებრძოლ შეხედულებათა უდიდეს სხვადასხვაობაში, — ყველაზე მნიშვნელოვანი იმისათვის, რომ ამ საკითხს მეცნიერული თვალსაზრისით მივუდგეთ, — არის ის, რომ არ დავივიწყოთ ძირითადი ისტორიული კავშირი, ყოველ საკითხს შევხედოთ იმ თვალსაზრისით, თუ როგორ წარმოიშვა ისტორიაში განსაზღვრული მოვლენა, რა და რა მთავარი ეტაპები განვლო ამ მოვლენამ თავის განვითარებაში, და მისი ამ განვითარების თვალსაზრისით შევხედოთ, თუ რად იქცა ეს მოვლენა ამჟამად“ [1].

საზოგადოებაში მოქმედებენ ძალები, რომლებიც იწვევენ მის მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობას. ისტორიული მატერიალიზმი მეცნიერულად არკვევს საზოგადოების მამოძრავებელ ძალებს, მათს ურთიერთკავშირსა და მნიშვნელობას ყველა დროისა და ვითარების მიმართ.

საზოგადოებაში ერთ წყობილებას რევოლუციური გზით ცვლის მეორე წყობილება, ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადგილს ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იკავებს. ისტორიული მატერიალიზმი ,ადგენს ფაქტორებს, რომლებიც ერთი წყობილებიდან მეორე წყობილებაზე, საზოგადოებრივი პროგრესის ქვედა საფეხურიდან ზედა საფეხურზე გადასვლას იწვევენ.

ისევე როგორც ბუნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც მოძრაობა-ცვალებადობა დაპირისპირებულ მხარეთა შორის ბრძოლის, ში-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 29, გვ. 555—556.

ნაგან წინააღმდეგობათა გამწვავების და დაძლევის გზით ხორციელდება. ისტორიული მატერიალიზმი არკვევს კანონზომიერებებს, რომელთა ბაზაზე იქმნება წინააღმდეგობანი საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კლასობრივ, იდეოლოგიურ და სხვა სფეროებში.

მატერიალისტურად გვიხსნის რა საზოგადოებრივ ცხოვრებას, ისტორიული მატერიალიზმი სოციალური სინამდვილის შეცნობის ჭეშმარიტი მეთოდია. მატერიალისტური თეორიისა და დიალექტიკური მეთოდის ორგანული ერთიანობა მეცნიერული სოციოლოგიის არსებითი თავისებურებაა. როგორც გ. ვ. პლეხანოვი აღნიშნავდა: „ისტორიული მატერიალიზმი არის არა საზოგადოებრივი განვითარების არითმეტიკა, არამედ მისი ალგებრა, არა ცალკეულ მოვლენათა მიზეზებზე მითითება, არამედ მითითება იმაზე, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამ მიზეზების აღმოჩენას. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ისტორიულ მატერიალისტურ ახსნას, უწინარეს ყოვლისა, მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა“ [1].

ისტორიული მატერიალიზმი როგორც ზოგადსოციოლოგიური თეორია და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები. უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვანი ძვრები მოხდა სოციოლოგიაში: წარმოიშვა სოციოლოგიის ახალი დარგები, გაიშალა სოციოლოგიური კვლევა-ძიება, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სოციოლოგიის გამოყენებით მხარეს, კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა-ძიების მიყვანას პრაქტიკული რეკომენდაციების, ცხოვრებისეული წინადადებების გამომუშავებამდე და დანერგვამდე. ტერმინი „სოციოლოგია“ ამჟამად ძალზე პოპულარული გახდა როგორც ფუნდამენტური, ისე გამოყენებითი ასპექტებით. რასაკვირველია, სოციოლოგიის არსი არ იცვლება იმით, თუ რა მასშტაბის ამოცანების კვლევით არის იგი დაინტერესებული და უშუალოდ რა კონკრეტულ სფეროებში მიმდინარეობს ეს კვლევა. სოციოლოგია ყოველთვის რჩება მოძღვრებად საზოგადოების შესახებ (societas — საზოგადოებას ნიშნავს ლათინურად, ხოლო λογος — მოძღვრებას ბერძნულად). მას სოციალური სფეროს გარდა სხვა რაიმე ობიექტის შესწავლა არ ეკისრება. მაგრამ იმისდამიხედვით, საზოგადოების როგორც მთლიანი სისტემის კანონზომიერებებს შეისწავლის თუ საზოგადოებრივ ურთიერთობათა რომელიმე სფეროს, ცალკეული საზოგადოებრივი ჯგუფების, შრომითი კოლექტივების და პიროვნებათა ურთიერთდამოკიდებულებას და ა. შ. — სოციოლოგია მთელ რიგ დარგებად იყოფა.

---

[1] Г. В. Плеханов. Избранные философские произведения. М., 1957. т. 3 стр. 146.

მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიის ზოგადთეორიულ, ზოგადმეთოდოლოგიურ ნაწილს ისტორიული მატერიალიზმი შეადგენს [1]. მაგრამ მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგიური მეცნიერების საზზღვრებში ვითარდებიან ისეთი დარგებიც, როგორიცაა მაგალითად, შრომის სოციოლოგია, სოციალური ეკოლოგია, სოციალური დემოგრაფია. ახალგაზრდობის სოციოლოგია და ა. შ.[2] თითოეული მათგანი იკვლევს გარკვეული ტენდენციებისა და კანონზომიერებების მოქმედების და გამოვლენის თავისებურებებს მოცემულ სფეროებში, რისთვისაც კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევებია საჭირო. როგორც ადრე აღინიშნა, საზოგადოებრივი განვითარების კანონების ცოდნა და პრაქტიკული გამოყენება აუცილებელი პირობაა სოციალური პროგრესის განსახორციელებლად, საზოგადოებაში მოქმედ ძალებზე გასაბატონებლად, ნამდვილი თავისუფლების მოსაპოვებლად და უზრუნველსაყოფად. განუზომლად დიდია ამ კანონების გამოყენების მნიშვნელობა სოციალიზმის დროს, როდესაც საზოგადოებას, პირველად კაცობრიობის ისტორიაში შეგნებული აქვს თავისი განვითარების ობიექტური კანონზომიერებანი და მთელ გარდამქმნელ-რევოლუციურ მოქმედებას ამ კანონების შესაბამისად წარმართავს.

სოციალიზმის დროს საზოგადოებრივი პროცესების შეგნებული მართვისათვის აუცილებელია ზუსტი, მეცნიერულ გაანგარიშებებზე აგებული სოციოლოგიური კვლევა-ძიების წარმოება, ამის შედეგად შემუშავებული სამოქმედო პრაქტიკული რეკომენდაციები.

ვ. ი. ლენინი პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებდა სოციოლოგიური გამოკვლევების ორგანიზაციის საქმეს სოციალისტურ საზოგადოებაში. 1918 წელს, რამდენიმე თვის შემდეგ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებიდან, იგი წერდა: „ერთ-ერთი პირველი რიგის ამოცანად დაისვას მთელი რიგი სოციალური გამოკვლევები“ [3]. ყველაზე ცუდი ჩვენში ის არის, რომ მე-

---

[1] ამ გაგებით მარქსისტულ-ლენინური სოციოლოგია უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ისტორიული მატერიალიზმი, რამდენადაც ზოგადმეთოდოლოგიურ საფუძვლებთან ერთად სოციოლოგიურ გამოკვლევებსაც შეიცავს. იხ. ამის შესახებ. Э. Хаан. Исторический материализм и марксистская социология. М., 1971.

[2] პოლონელი სოციოლოგის იან შჩეპანსკის მიხედვით ზოგიერთი კონკრეტული სოციოლოგიური დისციპლინა შეისწავლის სოციალურ ინსტიტუტებს (ოჯახის სოციოლოგია, აღზრდის სოციოლოგია, პოლიტიკის სოციოლოგია, სამართლის სოციოლოგია, შრომის სოციოლოგია და ა. შ.); მეორე ჯგუფი — ადამიანთა სოციალური ერთობის ტიპებს (მცირე სოციალური ჯგუფები, ტერიტორიული ერთობების — სოფლის, ქალაქის სოციოლოგია, კლასების და სოციალური ფენების შესახებ გამოკვლევები და ა. შ.); მესამე ჯგუფი — სოციალურ პროცესებს, (მასობრივი კომუნიკაციის, მიგრაციის და სოციალური მობილობის და ა. შ.). Ян Щепанский. Элементарные понятия социологии. М. 1969. стр. 9.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 27, გვ. 490.

ტისმეტად მოჭარბებულია ზოგადი მსჯელობა... როცა ძალიან ნაკლებად შევისწავლით ხოლმე ადგილობრივ გამოცდილებას. კიდევ და კიდევ უფრო კონკრეტულად შევისწავლოთ ადგილობრივი გამოცდილება, დეტალები, წვრილმანები, პრაქტიკა, საქმიანი გამოცდილება[1], — მიუთითებდა იგი.

სოციოლოგიური გამოკვლევები საშუალებას გვაძლევენ სწორად ავსახოთ ზოგადი ისტორიული კანონზომიერებების გამოვლენის კონკრეტული ფორმები, განვსაზღვროთ გზები და პირობები კომუნისტური მშენებლობის წარმატებათა უზრუნველსაყოფად. გამოყენებითი სოციოლოგიის მიზანია გამოსაზღვროს ზოგადსოციოლოგიურ კანონზომიერებათა მოქმედების თავისებურებანი საზოგადოებრივი ცხოვრების კონკრეტულ სფეროში, გამოიმუშაოს პრაქტიკული რეკომენდაციები საზოგადოებრივი განვითარების კანონებისა და ტენდენციების შეუფერხებელი გამოვლენისათვის. ამიტომ მას უაღრესად პრაქტიკულ-გამოყენებითი მნიშვნელობა ენიჭება.

რით არის შეპირობებული სოციოლოგიური გამოკვლევების მზარდი როლი სოციალური პროცესების მართვისათვის სოციალიზმის დროს? უწინარეს ყოვლისა, თვით სოციალისტური წყობილების ბუნებით, მოთხოვნებით, რომელსაც აყენებს სოციალისტური საზოგადოებრივი განვითარების პრაქტიკა. საზოგადოებრივ ძალებს რაც უფრო სრულად აქვთ შეგნებული თავიანთი ცხოვრების ობიექტური აუცილებლობანი და მოთხოვნები, მით უფრო მეტი შესაძლებლობა ეძლევათ გამოძებნონ საშუალებანი ისტორიული პროგრესის დასაჩქარებლად, მომწიფებული ამოცანების წარმატებით გადასაჭრელად. ეს განსაკუთრებით ითქმის კომუნიზმის მშენებელი საზოგადოების მიმართ, რომელიც მილიონობით ადამიანის შეგნებულ შრომას აერთიანებს.

სოციოლოგიური გამოკვლევების შემდგომი გაძლიერების ამოცანა გამომდინარეობს აგრეთვე თვით მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი ბუნებიდან. როგორც აღინიშნა, მარქსისტულ-ლენინური მეცნიერება შეუთავსებელია დოგმატიზმთან. იგი არ დგას ერთ წერტილზე, არამედ ვითარდება და სრულყოფას განიცდის ახალი ისტორიული გამოცდილების, პრაქტიკის ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად.

სოციოლოგიური გამოკვლევების განვითარება მეცნიერულ საფუძველზე შეპირობებულია აგრეთვე საზოგადოებრივი პროცესების მართვის დროს სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის შესაძლო გამოვლინებათა წინააღმდეგ ბრძოლის აუცილებლობით. ეს, უწინარეს

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 36, გვ. 658 — 659.

ყოვლისა, ეხება სუბიექტივიზმისა და ვოლუნტარიზმის წინააღმდეგ ბრძოლას საზოგადოებრივი ცხოვრების გადამწყვეტ უბანზე — მატერიალური წარმოების სფეროში.

სოციოლოგიური გამოკვლევა, რომელიც ემყარება ფაქტიური მდგომარეობის ობიექტურ შეფასებას, შეუთავსებელია სუბიექტურ მიდგომასთან აგრეთვე პოლიტიკური, იდეოლოგიური და სხვა საკითხების გადაწყვეტაში.

ზუსტ გაანგარიშებებზე აგებული სოციოლოგიური გამოკვლევების განვითარებისათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა თანამედროვე პირობებში, როდესაც ფართო გასაქანი ეძლევა მათემატიკური მეთოდებისა და გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებას მეცნიერების მთელ რიგ დარგებში, მათ შორის საზოგადოებრივ მეცნიერებაში. სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა სოციალური მასალის ფორმალიზაციას და მის მათემატიკურ დამუშავებას, სოციალურ მოდელირებას საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლის დროს, სხვადასხვა სახის სოციალურ ექსპერიმენტებს.

უკანასკნელ პერიოდში საბჭოთა მეცნიერები ახორციელებენ რა პარტიის მოწოდებას, საფუძვლიანად იკვლევენ სოციალისტური საზოგადოების კანონზომიერებებს, ზოგადს და სპეციფიკურს, რაც დამახასიათებელია სოციალიზმის მშენებლობის ,გამოცდილებისათვის ჩვენს ქვეყანაში, შეისწავლიან საზოგადოებრივ აზრს, იმუშავებენ პრაქტიკულ რეკომენდაციებს პოლიტიკური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ცხოვრების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის შრომითი კოლექტივების საქმიანობის გაუმჯობესებისათვის. სამეცნიერო დაწესებულებებისა და უმაღლესი სასწავლებლების მეცნიერმუშაკები სულ უფრო მეტ ინტერესს იჩენენ სოციოლოგიური პრობლემებისადმი, აფართოებენ კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევას, თავიანთი პრაქტიკული რეკომენდაციებით და წინადადებებით დახმარებას უწევენ პარტიულ, სახელმწიფოებრივ და სამეურნეო ორგანოებს მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხების გადაჭრაში.

კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევა-ძიების პროცესში იყენებენ როგორც პირველადი ინფორმაციების შეკრების, ისე მათი დამუშავების სპეციფიკურ მეთოდებს. მასალის შეკრებას აწარმოებენ ანკეტის, ინტერვიუს, დოკუმენტების შესწავლის, დაკვირვებისა და თანამონაწილეობის. მეცნიერულ-ტექნიკური კონფერენციების. კრებებისა და თათბირების შინაარსის განხილვის, ზოგ შემთხვევაში სოციალური ექსპერიმენტების დაყენებისა და სხვა ხერხებით. პირველადი მასალის შეკრება ხდება შემთხვევითი, მექანიკური, ბუდობრივი ან სხვაგვარი შერჩევის წესით. მიღებული ინფორმაციების დამუშავებისათვის მიმართავენ მრავალფეროვან მათემატიკურ მეთოდებს. მოპო-

ვებული მასალის ანალიზის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები და წინადადებები ეცნობება დაინტერესებულ ორგანიზაციებს და ხელმძღვანელებს პრაქტიკაში დანერგვის მიზნით.

ახლა, როდესაც საზოგადოებრივი მეცნიერებანი სულ უფრო მეტად ითვისებენ კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის სხვადასხვა მეთოდებს, კიდევ უფრო იზრდება სოციოლოგიური გამოკვლევების მყარი ზოგადმეთოდოლოგიური პოზიციიდან წარმართვის აუცილებლობა.

კონკრეტულ საზოგადოებრივ მეცნიერებათა მეთოდოლოგიურ დასაყრდენს ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს. სოციოლოგიური გამოკვლევები, რომლებსაც საფუძვლად უდევს ისტორიის მატერიალისტური გაგება და რომლებიც განაზოგადებენ სოციალისტური საზოგადოების ცხოვრების კონკრეტულ ფაქტებს, სულ უფრო დიდ როლს ასრულებენ პრაქტიკული საკითხების — პოლიტიკური, საწარმოო, აღმშენებლობითი საკითხების გადაჭრაში.

იმისათვის, რომ სწორად ახსნან სოციალური მოვლენები და პროცესები, საზოგადოებრივმა მეცნიერებებმა ისტორიული მატერიალიზმის ძირეული პრინციპებით უნდა იხელმძღვანელონ.

კონკრეტულ-სოციოლოგიურ კვლევას, რომელიც ისტორიულ მატერიალიზმს ემყარება, საერთო არაფერი აქვს დასავლეთის სამყაროსათვის მოდურ მიკროსოციოლოგიასთან, — მცირე ჯგუფების შემსწავლელ სოციოლოგიასთან. ბურჟუაზიული მიკროსოციოლოგია არ ცნობს საზოგადოებრივი განვითარების უზოგადეს კანონებს და ცალკეული, მცირე სოციალური ჯგუფების კვლევას იმისათვის იყენებს, რომ ამის შედეგად შემუშავებული დასკვნები თვითნებურად გავრცელოს დიდ სოციალურ ჯგუფებზე, ხშირ შემთხვევაში კი მთელ საზოგადოებაზე. სწორედ ამაში მჟღავნდება ბურჟუაზიული სოციოლოგიის სუბიექტივიზმი, მისი მეთოდოლოგიის ყალბი საფუძველი. იგი საზოგადოების მტკივნეულ პრობლემებს მონოპოლისტური ბურჟუაზიის დაკვეთის და მისი ინტერესების შესაბამისად წყვეტს.

ბურჟუაზიული სოციოლოგიის საწინააღმდეგო ისტორიული მატერიალიზმი მყარ მეთოდოლოგიურ ბაზას უქმნის კონკრეტულ-სოციოლოგიურ გამოკვლევებს. იგი შესაძლებლობას იძლევა საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერ მსვლელობას შევუფარდოთ კონკრეტულ-სოციალური მასალის ანალიზი და განზოგადება, ამ კვლევის საფუძველზე მოპოვებული შედეგებით დავადასტუროთ კა-

ცობრიობის პროგრესული მოძრაობის ტენდენციები და მიმართულებანი, განვსაზღვროთ მათი გამოვლენის თავისებურებანი.

კონკრეტულ-სოციოლოგიური კვლევის განვითარება ახალ პერსპექტივებს სახავს საბჭოთა სოციოლოგების წინაშე.

II თავი. ბუნება და საზოგადოება

ისტორიული მატერიალიზმი, როგორც აღინიშნა, თანამიმდევრულად ავრცელებს დიალექტიკური მატერიალიზმის დებულებებს საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლაზე, იყენებს მათ საზოგადოებრივი მოვლენების და პროცესების გასარკვევად.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის მოთხოვნის შესაბამისად საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის შემეცნება მისი მატერიალური ცხოვრების ანალიზით უნდა დავიწყოთ. მაშასადამე, ჩვენს წინაშე, უწინარეს ყოვლისა, დგება საზოგადოების არსებობისა და განვითარების განმაპირობებელი ბუნებრივ-მატერიალური ფაქტორების გარკვევის ამოცანა.

რამდენადაც საზოგადოება კანონზომიერად მოძრავი მატერიის, ბუნების განვითარების განსაზღვრულ ეტაპზე წარმოიშვა, მიზანშეწონილია, რომ თავდაპირველად დავახასიათოთ საზოგადოების არსებობისა და განვითარების ბ უ ნ ე ბ რ ი ვ-მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პირობები, ხოლო შემდეგ ამ განვითარების ს ო ც ი ა ლ უ რ-ი ს ტ ო რ ი ულ ფაქტორებზე შევჩერდეთ.

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად საზოგადოების არსებობისა და განვითარების მუდმივმოქმედი პირობებია: გეოგრაფიული გარემო, მოსახლეობა და მატერიალური წარმოება. ისინი ერთიანობაში საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემას შეადგენენ. თითოეული ამ პირობათაგანი სპეციფიკურ როლს ასრულებს ისტორიულ განვითარებაში, რაც სათანადოდ უნდა დასაბუთდეს. მასთან მიმართებაში მეღავნდება საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული, მეტად მნიშვნელოვანი უზოგადესი კანონები.

გეოგრაფიული ფაქტორი და მისი როლი საზოგადოების განვითარებაში. საზოგადოება განუყრელად არის დაკავშირებული ბუნებრივ პირობებთან, რომლებშიც ადამიანებს არსებობა და საქმიანობა უხდებათ.

საზოგადოების გარემომცველი ბუნებრივი პირობების ერთობლი-

ობას გეოგრაფიული გარემო ეწოდება[1]. მას მიეკუთვნება დედამიწის რელიეფი, ნიადაგის ნაყოფიერება, წიაღისეული სიმდიდრეები, ზღვები და მდინარეები, ფლორა და ფაუნა, ჰავა, ატმოსფერული სარტყელი და ა. შ.

ყოველ დროსა და ეპოქაში საზოგადოების არსებობა და განვითარება წარმოუდგენელია მისი გარემომცველი ბუნებრივი პირობებისაგან დამოუკიდებლად. ეს იმიტომ, რომ მასალას ცხოვრებისა და წარმოების საშუალებათა დასამზადებლად ადამიანები სწორედ გეოგრაფიულ გარემოში მოიპოვებენ. ისინი მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს იყენებენ კვების პროდუქტების საწარმოებლად, დედამიწის მინერალურ და მადნეულ სიმდიდრეებს — წარმოების საშუალებათა შესაქმნელად. თავის საამსახურში აყენებენ მოშინაურებული ცხოველების ძალას, წყლის, ქარის, მზის, სითბურ ენერგიას, ელექტრობას, ენერგიის შიდაატომურ და სხვა წყაროებს. საზოგადოების აქტიური, შრომითი საქმიანობა ყოველთვის მკვიდრ ბუნებრივ საფუძველს ემყარება. აქედან გამომდინარე, გეოგრაფიული გარემო, გარემომცველი ბუნება მუდმივად მოქმედი და აუცილებელი მატერიალური პირობაა საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. ადამიანთა ყოველ თაობას მზად ხვდება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები[2], რომლებსაც ისინი, რასაკვირველია, ცვლიან კიდეც თავიანთი საქმიანობის შედეგად.

როგორც კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, გეოგრაფიული გარემო, გეოლოგიური, ორო-ჰიდროლოგიური, კლიმატური და სხვა ფაქტორები ადამიანთა საზოგადოების არსებობის მზა პირობას შეადგენენ და ამიტომ „ყოველი ისტორიოგრაფია უნდა ამოდიოდეს ამ ბუნებრივი საფუძვლებიდან და მათი იმ სახეცვლილებიდან, რომელთაც ისინი ისტორიის მსვლელობაში ადამიანთა მოქმედების მეოხებით განიცდიან[3].

ბუნებრივი პირობები, რომლებშიც საკაცობრიო-ისტორიული პროცესი მიმდინარეობს, ეკონომიკური თვალსაზრისით ორ ჯგუფად იყო-

---

[1] გეოგრაფიულ გარემოში იგულისხმება, უწინარეს ყოვლისა, გარეგანი ბუნების ის ნაწილი, რომელიც ისტორიული განვითარების მოცემულ ეტაპზე აუცილებელ პირობას წარმოადგენს საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის. იხ. Б. А. Воронович. Философские проблемы взаимодействия общества и природы. М., 1982. стр. 13.

[2] ჰეგელის თქმით ეს პირობები „მსოფლიო ისტორიის გეოგრაფიული სარჩულია" (თხზ. ტ. VII. 1935. გვ. 76). თავისთავად სწორმა ამ დებულებამ ვერ ჰპოვა სინთეზური გაერთიანება ისტორიის მეცნიერულ გაგებასთან ჰეგელის მსოფლმხედველობის დონეზე, რამდენადაც მისთვის ყოველგვარი, მაშასადამე, ისტორიული განვითარების საფუძველსაც იდეა შეადგენს.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები. ტ. I. 1975. გვ. 10.

ფა. პირველი, ბუნებრივი სიმდიდრეები არსებობის საშუალებათა სახით (ნიადაგის ნაყოფიერება, თევზით მდიდარი წყლები, ფრინველებით და ცხოველებით მდიდარი ადგილები და სხვ.). მეორე, ბუნებრივი სიმდიდრეები შრომის საშუალებათა სახით (წყლის ენერგია, სანაოსნო მდინარეები, ხე-ტყე, ლითონი, ქვანახშირი, სამშენებლო ქვა და სხვ.).

საზოგადოება, რასაკვირველია, ყოველთვის თანაბარი ძალით ვერ იყენებდა გარემომცველი ბუნების ამ სიმდიდრეებს საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით. განვითარების ადრეულ ეტაპებზე, წარმოების დაბალი დონის, შრომის იარაღების პრიმიტიულობის გამო ადამიანები უმთავრესად საარსებო საშუალებათა შემცველ ბუნებრივ სიმდიდრეებს ითვისებდნენ. შემდგომში, საწარმოო პროგრესის შესაბამისად ისინი უფრო და უფრო დაეუფლენ ბუნებრივ გარემოს, მის წიაღისეულს, ბუნებაში არსებულ შრომის მრავალფეროვან საშუალებებს. კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „კულტურის დაწყებითს საფეხურებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პირველი სახეობის ბუნებრივ სიმდიდრეს, ხოლო განვითარების მაღალ საფეხურებზე — მეორე სახეობის სიმდიდრე“ [1].

ორივე სახის ბუნებრივი სიმდიდრე — საარსებო საშუალებები და შრომის საშუალებები სხვადასხვა რაოდენობითა და ზომით არის განლაგებული გეოგრაფიულ გარემოში, რომელიც ამის გამო მეტისმეტად არაერთგვაროვანია. ქვეყნები დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რელიეფით, წიაღისეული სიმდიდრეებით, ჰავით და ა. შ. უფრო მეტიც, ერთ გეოგრაფიულ ზონაში შემავალ ქვეყნებსაც კი არა აქვთ მთლიანად ერთნაირი ბუნებრივი პირობები.

ისმის კითხვა: რა როლს ასრულებს გეოგრაფიული გარემო საზოგადოების ცხოვრებაში, მის განვითარებაში? შეუძლია თუ არა მას აქტიური ზეგავლენა მოახდინოს ხალხებისა და ქვეყნების ცხოვრებაზე, საზოგადოებრივი პროგრესის მიმდინარეობასა და ტემპებზე?

ისტორიული მატერიალიზმი დადებითად უპასუხებს ამ კითხვას.

გარკვეული ბუნებრივი პირობები მიმართულებას აძლევს ადამიანთა სამეურნეო საქმიანობას, შრომის განაწილებისა და სპეციალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება. მაგალითად, რკინისა და ნავთობის საბადოებით მდიდარ ქვეყნებში მეტალურგიის და ნავთობის მრეწველობა განვითარდა. უხსოვარი დროიდან ადამიანებმა გარემომცველი ბუნებრივი პირობების თავისებურებებს შეუფარდეს მიწათმოქმედება და მეცხოველეობა, თვით სასოფლო-სამეურნეო

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 646.

წარმოების ცალკეული დარგები და სახეები: ცხადია, რომ მებამბეობის, მევენახეობის, მეჩაიეობის, მეციტრუსეობის და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარება მხოლოდ განსაზღვრულ გეოგრაფიულ ზონებსა და განსაზღვრულ ბუნებრივ პირობებში იყო შესაძლებელი და ეს ასეც მოხდა. იგივე ითქმის ადამიანთა სამეურნეო საქმიანობის სხვა სახეობათა მიმართაც. კიდევ, მეტი. შესაფერისი ბუნებრივი გარემო პირობები ხელს უწყობს ისეთი არასაწარმოო დარგების განვითარებასა და განლაგებასაც კი, როგორიცაა, მაგალითად, ტურიზმი, სპორტული და საკურორტო მეურნეობა და ა. შ.

გეოგრაფიული გარემოს თავისებურებებზე გარკვეულწილად დამოკიდებულია არა მარტო სამეურნეო საქმიანობის ხასიათი, არამედ ქვეყნის **ეკონომიკური განვითარების დონე, თვით ადამიანის შრომის ნაყოფიერება.** იმისდა მიხედვით, ნაყოფიერია თუ არა ნიადაგი, ერთსა და იმავე ტექნიკურ საშუალებებზე დამყარებული ერთი და იმავე რაოდენობის შრომა სრულიად განსხვავებულ შედეგს გვაძლევს.

ქვეყანა, რომელსაც არა აქვს ან საკმაო რაოდენობით არა აქვს ქვანახშირი, ლითონი, ხე-ტყე, ნავთობი თუ სხვა ნედლეული, — იძულებულია იგი შეიძინოს ამ ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ქვეყნებიდან, ეს კი პირდაპირ გავლენას ახდენს ნედლეულის მიმწოდებელი და მომხმარებელი ქვეყნების ეკონომიკური პოტენციალის დონეებზე. ამ და სხვა მომენტებს თუ გავითვალისწინებთ, ცხადი იქნება, რომ გეოგრაფიული გარემო მნიშვნელოვან როლს ასრულებს საზოგადოების ცხოვრებაში, სახელდობრ, ი გ ი ა ჩ ქ ა რ ე ბ ს ა ნ ა ნ ე ლ ე ბ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს. ეს არის ერთ-ერთი უზოგადესი, ძირითადი კანონზომიერება, რომელიც ბუნებისა და საზოგადოების არსებით, აუცილებელ და განმეორებად ურთიერთკავშირს გამოხატავს.

რასაკვირველია, საზოგადოებრივი განვითარების დამჩქარებელია არა ყოველგვარი, არამედ მხოლოდ ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო, მაშინ, როდესაც არახელსაყრელი ბუნებრივი პირობები აფერხებენ და ანელებენ საზოგადოების წინსვლას. ამასთან გეოგრაფიული გარემოს დადებითი ან უარყოფითი როლი უნდა გავიგოთ და შევაფასოთ კ ო ნ კ რ ე ტ უ ლ-ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ, გარკვეული ეპოქის, ამა თუ იმ ქვეყანაში ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს მიღწეული დონის გათვალისწინებით. თუ ქვეყნის ბუნებრივი პირობები ბიძგს აძლევს წარმოების განვითარებას, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული გეოგრაფიული გარემო დადებითად ზემოქმედებს მთელს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. მაშასადამე, ბუნებრივი გარემოს გავლენა საზოგადოებაზე, რომელიც სა-

ერთოდ წარმოებით არის გაშუალებული, ამ შემთხვევაში სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მთავარ პირობად იქცევა და პირიქით, წარმოების განვითარებისათვის გამოუსადეგარი გეოგრაფიული გარემო დიდ დაბრკოლებას ქმნის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების გზაზე.

აღნიშნული დებულება, რომ გეოგრაფიული გარემოს ზეგავლენა საზოგადოებრივ ცხოვრებაზე ყოველთვის წარმოების განვითარების მდგომარეობით და დონით არის გაშუალებული, შეიძლება ზოგიერთი ისტორიული ფაქტების დამოწმებით ნათელვყოთ.

მაგალითად, დავაყენოთ კითხვა, თუ რა გავლენა მოახდინა გეოგრაფიულმა გარემომ საზოგადოების განვითარებაზე უძველეს დროში, როდესაც ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები დასასახლებლად ჩრდილოეთისაკენ ინაცვლებდნენ.

ერთი შეხედვით შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ჩრდილოეთის მკაცრი ბუნებრივი პირობები ხელს შეუშლიდა ახალმოსახლეებს, დააყენებდა მათ გაუთვალისწინებელი სიძნელეებისა და დაბრკოლებების წინაშე, მაშასადამე, გარკვეულწილად შეაჩერებდა მათ განვითარებას, რომ ეს იქნებოდა უკანდახევა საზოგადოებრივი პროგრესის თვალსაზრისით.

მაგრამ რა შედეგები გამოიწვია სინამდვილეში ხალხთა ამ გადაადგილებამ სამხრეთიდან ჩრდილოეთის ტერიტორიაზე? ისტორიულად მას სრულიად საპირისპირო, სახელდობრ დადებითი საზოგადოებრივი შედეგები მოჰყვა. ეს იმიტომ, რომ შეცვლილმა ბუნებრივმა პირობებმა ადამიანები აიძულეს შეექმნათ წარმოების მთელი რიგი ახალი დარგები, კიდევ მეტად განევითარებინათ საწარმოო ძალები, საბოლოო ჯამში კი მთელი საზოგადოებრივი ცხოვრება. „თავდაპირველი სამშობლოს თანაბრად ცხელი ჰავიდან უფრო ცივ მხარეებში გადასვლამ, სადაც წელიწადი ზამთრად და ზაფხულად იყოფოდა, ახალი საჭიროებანი წარმოშვა: ბინისა და ტანსაცმლისა სიცივისა და სინესტისაგან დასაფარავად, მაშასადამე, წარმოიშვა, შრომის ახალი დარგები და ამით საქმიანობის ახალი სახეები, რაც კიდევ უფრო აშორებდა ადამიანს ცხოველებისაგან“ [1]. მაშასადამე, ისტორიული განვითარების ამ საფეხურზე აღნიშნული გეოგრაფიული ზონის თითქოსდა უარყოფით, მკაცრ ბუნებრივ პირობებს ფაქტობრივად დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოების განვითარებისათვის.

ასევე შეიძლება გვეფიქრა, რომ ისტორიული თვალსაზრისით კაპიტალიზმის წარმოშობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა დაჩქარებულიყო არა ევროპის კონტინენტზე, არამედ იმ ქვეყნებში, სადაც ბუნება

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 121.

იმთავითვე უხვად შეიცავდა ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელ საშუალებებს და მწარმოებელთა მიერ დახარჯულ მცირე შრომას დიდი პროდუქტიულობით ანაზღაურებდა. მაგრამ სინამდვილეში, სწორედ ევროპის კონტინენტისათვის დამახასიათებელმა გეოგრაფიულმა გარემომ შეასრულა გარკვეული დადებითი როლი კაპიტალიზმის, — ფეოდალიზმთან შედარებით უფრო მოწინავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წარმოშობის დაჩქარებაში.

როდესაც ფეოდალიზმმა ისტორიულად ამოწურა თავისი შესაძლებლობანი, კაპიტალიზმის წარმოშობისა და განვითარებისათვის საჭირო ბუნებრივი პირობები არ აღმოჩნდა, არც უნაყოფიერესი და არც მეტისმეტად მწირი ნიადაგის მქონე ქვეყნებში. ამის შესახებ კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ „მეტისმეტად გულუხვი ბუნება „ადამიანს, როგორც ბავშვს ხელით ატარებს“ [1]. იგი პირველი რიგის აუცილებლობად არ ხდიდა საზოგადოების საწარმოო ძალების, მისი ტექნიკური ბაზის ყოველმხრივ განვითარებას, ადამიანის მზარდ ბატონობას ბუნებაზე, რაც იმ დროს ესოდენ აუცილებელი იყო კაპიტალისტური ფორმაციის ჩამოყალიბებისათვის. მეორე მხრივ, ისტორიული განვითარების შესაბამის ეტაპზე ჩრდილოეთის ცივი ქვეყნების მეტად მკაცრი და ღარიბი ბუნება, აგრეთვე არ იძლეოდა კაპიტალიზმის დასამკვიდრებლად საჭირო წარმოების დონის მიღწევის შესაძლებლობას, ადამიანთა მთელი შრომა არსებობის შენარჩუნების უზრუნველყოფას ხმარდებოდა. მაშასადამე, ამ ქვეყნებში შედარებით დაყოვნდა უფრო პროგრესული ფორმაციის წარმოშობის პროცესი.

ამიტომ მოხდა, რომ კაპიტალიზმზე, როგორც ფეოდალიზმთან შედარებით უფრო მოწინავე საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასასვლელად ისტორიულად ყველაზე ხელსაყრელი გეოგრაფიული პირობები, ევროპის, ზომიერ ზონაში აღმოჩნდა.

„კაპიტალის სამშობლოა — წერდა კ. მარქსი, — არა ტროპიკული ჰავა მისი. დიდმშვენიერი მცენარეულობით, არამედ — ზომიერი ზონა. არა ნიადაგის აბსოლუტური ნაყოფიერება, არამედ — მისი დიფერენცირება, მისი ბუნებრივი პროდუქტების მრავალფეროვნება შეადგენს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ბუნებრივ საფუძველს და აიძულებს ადამიანს, იმ ბუნებრივი პირობების ცვალებადობის მეოხებით, რომელშიც იგი მეურნეობას ეწევა, გაამრავალფეროვნოს თავისი საკუთარი მოთხოვნილებანი, უნარი, შრომის საშუალებანი და შრომის წესები“ [2].

სხვა მაგალითებიც შეიძლება მოვიყვანოთ იმის დასადასტურებ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 647.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 647.

ლად, რომ ხელსაყრელი გეოგრაფიული გარემო დადებით გაელენას ახდენს საზოგადოებრივ პროგრესზე ამა თუ იმ ცხოვრებისა და საქმიანობის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებში[1].

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ხელსაყრელია მხოლოდ ის გეოგრაფიული გარემო, რომელიც უბიძგებს საწარმოო ძალთა განვითარებას, რითაც, საბოლოოდ მთელ საზოგადოებრივ პროგრესსაც აჩქარებს.

არახელსაყრელი გეოგრაფიული გარემო კი პირიქით, დამამუხრუჭებლად ზემოქმედებს საზოგადოების განვითარებაზე. რაც უფრო ნაკლებია ნიადაგის ბუნებრივი ნაყოფიერება და უვარგისი ჰაეა, მით უფრო მეტია მწარმოებლის სიცოცხლის შენარჩუნებისა და კეთილდღეობისათვის აუცილებელი სამუშაო დრო. შრომის გამოუსადეგარი ბუნებრივი პირობები ართულებენ და ანელებენ საწარმოო ძალთა გაშლა-განვითარების საქმეს, მაშასადამე, არახელსაყრელად ჩაითვლება ისეთი გეოგრაფიული გარემო, რომელიც აფერხებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას და ამ ფაქტორით განსაზღვრულ მთელი საზოგადოების წინსვლას.

ამრიგად, გეოგრაფიული გარემო საზოგადოებრივი განვითარების განმაპირობებელი ერთ-ერთი აქტიური ძალაა. იმისდა მიხედვით ხელსაყრელია თუ არახელსაყრელია, იგი აჩქარებს ან ანელებს საზოგადოებრივი განვითარების მთლიან პროცესს.

ამასთან, გეოგრაფიული გარემო, ადამიანთა გარემომცველი ბუნება არასოდეს არ წარმოსდგება როგორც ისტორიული პროგრესის განმსაზღვრელი პირობა.

ისტორიული მატერიალიზმი, მართალია, ცნობს გეოგრაფიული გარემოს დიდ მნიშვნელობას, მაგრამ უარყოფს მის განმსაზღვრელ და თვითკმარ როლს საზოგადოების განვითარებაში.

გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში და მისი კრიტიკა. შეხედულება გეოგრაფიული გარემოს განმსაზღვრელი როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჯერ კიდევ ძველი დროიდან მომდინარეობს.

ანტიკურ ხანაში მას გამოთქვამდნენ პლატონი, არისტოტელე, სტრაბონი, ჰეროდოტე, პოლიბიოსი და სხვები. მათი აზრით ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები, უწინარეს ყოვლისა, კლიმატის თავისებურებანი, არსებით გავლენას ახდენენ ხალხთა ცხოვრებაზე, გან-

---

[1] გეოგრაფიული გარემოს როლი კაპიტალიზმამდელ და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებში ფართოდ არის განხილული გ. ყორანიშვილის წიგნში: „გეოგრაფიული გარემოს როლი საზოგადოების განვითარებაში". თბ. 1975.

საზღვრავენ მათ ჩვევებსა და ხასიათს, მართვის წესებსა და ისტორიული პროცესების მსვლელობასაც კი.

კაპიტალიზმის დროს საწარმოო ძალთა სწრაფი განვითარების შედეგად განსაკუთრებით გაიზარდა ბუნებრივი ფაქტორების როლი ხალხთა ცხოვრებაში. ამან ობიექტურად ხელი შეუწყო გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ ნატურალისტური კონცეფციების აღორძინებას, ჩამოყალიბდა გარკვეული მიმართულება სოციოლოგიაში, რომელსაც ამოსავალი პრინციპის შესაბამისად გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ი მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ა ე წ ო დ ა.

ახალ დროში აღნიშნული მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689—1755 წწ.). წიგნში „კანონთა სულის შესახებ" (1748 წ.) მონტესკიე ცდილობდა იმის დასაბუთებას, რომ ადამიანთა სულიერი, ფსიქიკური და მატერიალური ცხოვრება მთლიანად გეოგრაფიულ გარემოზე, კერძოდ ქვეყნის კლიმატურ პირობებზეა დამოკიდებული. „კლიმატის ძალა ყოველგვარ ძალაუფლებას აღემატება" — წერდა იგი. მისი აზრით სამხრეთის ცხელი ქვეყნების მცხოვრებლები განწირულნი არიან მონობისათვის, ვინაიდან ცხელი კლიმატური პირობები მათში შიშს, უძლურებას, მერყეე ხასიათს წარმოშობს, საიდანაც გამომდინარეობს თითქოს მათი მონური მდგომარეობა. რაც შეეხება ჩრდილოეთის ზომიერ ქვეყნებს იქ ცივი კლიმატური პირობები სიცოცხლისუნარიანობას მატებენ ადამიანებს, უყალიბებენ მათ სიმამაცის, გმირული მოქმედების უნარს. ამ ქვეყნების ადამიანების მოწოდებაა თავისუფლება, შეუზღუდველი ცხოვრება: „არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ შიშს ცხელი ჰავის ხალხები თითქმის ყოველთვის მონობამდე მიჰყავდა, მაშინ, როდესაც სიმამაცე ცივი ქვეყნების ხალხებს თავისუფალ მდგომარეობას უქმნიდა. ყოველივე ეს შედეგებია, რომლებიც მათი ბუნებრივი მიზეზებიდან გამომდინარეობენ"[1].

გეოგრაფიული მიმართულების ამავე ამოსავალ პრინციპს იცავდა XIX საუკუნის ინგლისელი სოციოლოგი ჰ. ბოკლი, რომელიც ირწმუნებოდა, რომ ქვეყნის სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარება არა მარტო კლიმატური პირობებით, არამედ აგრეთვე ლანდშაფტის თავისებურებებითაც (ამა თუ იმ გეოგრაფიული ზონისათვის სპეციფიკური რელიეფი, ნიადაგი, ვულკანური ამოფრქვევების, მიწისძვრების, ქარიშხლის, ბუნების სხვა მრისხანე მოვლენების სიხშირე და სხვ.) აიხსნებაო. ბოკლის თვალსაზრისით დედამიწის ისეთ ნაწილებში, სადაც დიდია ვულკანური ამოფრქვევების, მიწისძვრების და ბუნების სხვა სტიქიური მოვლენების ძალა, მუდმივი შიშისა

[1] Ш. Монтескье. О духе законов. 1900, стр. 170.

და მოუსვენრობის გამო ადამიანებს წარმოსახვის უნარი უვითარდებათ. წარმოსახვის უნარი კი საფუძვლად ედება ცრურწმენების, რელიგიური ფანატიზმის შემუშავებას. ბოკლის მიხედვით აქედან წარმოსდგება რელიგიის დიდი გავლენა იტალიაში, ესპანეთში. იმ ქვეყნებში კი, სადაც არ მოქმედებენ ბუნების ეს მრისხანე სტიქიური ძალები, ბუნება ხელს უწყობს ლოგიკური აზროვნების, მეცნიერული შემეცნების განვითარებას. ამით სურდა მას აეხსნა მეცნიერების აყვავების ფაქტები საბერძნეთსა და ინგლისში. იგი ფიქრობდა, რომ მთლიანად ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით არის განსაზღვრული მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურის განვითარება და სხვა საზოგადოებრივი მოვლენები საერთოდ.

გეოგრაფიულ მიმართულებას მომხრეები რუსეთშიც ჰყავდა. რუსი ისტორიკოსი ს. მ. სოლოვიოვი თავის თხზულებაში „რუსეთის ისტორია უძველესი დროიდან" (1851 — 1879 წწ.) ატარებს ძირითად აზრს, რომ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ წყობილებაზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს დედამიწის რელიეფის ისეთი თავისებურებანი, როგორიცაა მთები და ვაკეები. პირველთა საშუალებით ადამიანები მოიპოვებენ „თავისუფლებას, დამოუკიდებლობას. ქვის წყალობით ყველაფერი გამძლეა". მთები განაცალკევებენ ხალხებს, აქედან წარმოსდგება მათი მრავალფეროვნება. ეს დამახასიათებელია დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის. რაც შეეხება მეორე რიგის გეოგრაფიული ფაქტორის — ვაკეების როლს, აქ მდგომარეობა სხვაგვარია. ვაკეები არ ყოფენ ხალხებს ბუნებრივი ტიხრებით, ამიტომ აერთფეროვანებენ ადგილობრივ მოსახლეობათა ხასიათს. აქ ხალხებს ცხოვრება უხდებათ უპირატესად ხის შენობებსა, მაშასადამე, არაგამძლე ნაგებობებში, დამოუკიდებლობის შენარჩუნების ნაკლები შესაძლებლობა აქვთ. მისი აზრით ამას ემყარება აღმოსავლეთ ევროპის ხალხთა ფეოდალური ცხოვრების წესი, მონარქისტული სახელმწიფო, მაშინ, როდესაც დასავლეთ ევროპის ხალხებს აბსოლუტიზმი არ შეესაბამება და სხვ.

ს. მ. სოლოვიოვი უგულებელყოფდა იმ ფაქტს, რომ ბუნებრივი პირობების განსხვავებულობას დასავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის სრულიადაც არ შეუშლია ხელი გაევლოთ ფეოდალური, ბატონყმური წყობილების სტადია, ბატონყმობის გამართლება აღმოსავლეთ ევროპაში გეოგრაფიული ფაქტორებით უნიადაგო იყო უკვე ამ ფაქტის გამო.

რუს გეოგრაფსა და სოციოლოგს ლ. ო. მეჩნიკოვს (1838—1888) კი მიაჩნდა, რომ კაცობრიობის ცივილიზაციას ისტორიულად განსაზღვრავდა და განსაზღვრავს ჰიდროსფერო, წყლის რესურსები, მდინარეები, ზღვები და ოკეანეები, რომლებიც სხვადასხვა შესაძ-

ლებლობებს ქმნიდნენ ხალხთა ურთიერთობისა და განვითარებისათვის. წიგნში „ცივილიზაცია და დიდი ისტორიული მდინარეები. თანამედროვე საზოგადოების გეოგრაფიული თეორია“ (1889) მას უნდოდა დაესაბუთებინა, რომ კაცობრიობის ცივილიზაცია თითქოს იწყება სამდინარო პერიოდიდან, ე. ი. იმ პერიოდიდან, როდესაც მხოლოდ მდინარეების საშუალებით შეიძლებოდა ხალხთა შორის ურთიერთობა. შემდეგ კი კაცობრიობის ისტორია გაივლის საზღვაო პერიოდს და შედის საოკეანო პერიოდში. ეს უკანასკნელი ამერიკის აღმოჩენით იწყება და სხვადასხვა ქვეყნის ადამიანებს ურთიერთობის მაქსიმალურ შესაძლებლობებს უქმნის. ამ პერიოდში უნდა დამკვიდრდეს მათი თავისუფლება და „სოლიდარობა“, მაშინ როდესაც წინა პერიოდებს მეჩნიკოვის აზრით დესპოტიზმი, მონობა და ბატონყმობა შეესაბამებოდა.

გამოითქვა სხვა შეხედულებებიც გეოგრაფიული გარემოს როლის შესახებ [1].

გეოგრაფიული მიმართულების წარმომადგენლები განსხვავებული ბუნებრივი აგენტებით ცდილობდნენ მთელი საზოგადოების, ან ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების ახსნას, მაგრამ პრინციპულად არ ემიჯნებოდნენ ერთმანეთს, რამდენადაც საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელ ძალად ერთიან გეოგრაფიულ საფუძველს ცნობდნენ.

იმპერიალიზმის ეპოქაში, როდესაც უკვე განაწილებული დედამიწის გადანაწილებისათვის ბრძოლა იმპერიალისტური სახელმწიფოების დაპყრობითი პოლიტიკის ღერძად იქცა, გეოგრაფიულმა მიმართულებამ უაღრესად რეაქციული სახე მიიღო. შეიქმნა მისი ახალი ვერსია, ე. წ. „გეოპოლიტიკა“, რომელიც დღესაც არის აგრესიული იმპერიალისტური წრეების იდეოლოგიური იარაღი.

პირველი მსოფლიო ომის წლებში მას ქადაგებდნენ რ. ჩელენი (თვით ტერმინის „გეოპოლიტიკის“ შემომღები) ვ. რატცელი, ჰ. მაკინდერი, ა. მეხენი. ამ თეორიას ფართო პროპაგანდას უწევდნენ ჰიტლერულ გერმანიაში (კ. ჰაუსხოფერი, ე. ობსტი, ვ. მაული და სხვ.) და მის ფარგლებს გარეთ (ნ. სპიკმენი, ე. ხანტიგტონი, ჯ. კიფერი და სხვები).

---

[1] მაგ., გ. ვ. პლეხანოვი ცდებოდა გეოგრაფიული გარემოს შეფასებაში. გეოგრაფიულ ფაქტორს იგი გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებდა, ცდილობდა, რომ საზოგადოების საწარმოო ძალების, წარმოებითი ურთიერთობების და შესაბამისად მთელი პოლიტიკური ზედნაშენის განვითარება მისი თავისებურებებით აეხსნა. Свойства географической среды обусловливают собою развитие производительных сил, развитие же производительных сил обусловливает собою развитие экономических, а вслед за ними и всех других общественных отношений» (Г. В. Плеханов. Избранные философские произведения. М., 1957. стр. 153). „Развитие производительных сил, определяющее собою в последнем счете развитие всех общественных отношений, определяется свойствами географической среды“ (Там же, стр. 154).

„გეოპოლიტიკა" სიტყვასიტყვით მიწის პოლიტიკას ნიშნავს. გეოპოლიტიკის მქადაგებლების აზრით სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას გეოგრაფიული გარემოს თავისებურებები განსაზღვრავს. ფაშისტური გეოპოლიტიკა ქვეყნის „სასიცოცხლო სივრცის" გაფართოების მიზნით დაპყრობითი, მტაცებლური ომების წარმოებას, სხვისი ტერიტორიების მითვისებას და ოკუპირებული ქვეყნების მოსახლეობის დამონებას და გაჟლეტას ამართლებდა. ფაშისტურმა გეოპოლიტიკამ სრული საქვეყნო თეორიული და პრაქტიკული მარცხი განიცადა. მიუხედავად ამისა, იგი დღესაც აქტიურად არის ჩაყენებული იმპერიალისტური ქვეყნების რეაქციული წრეების სამსახურში.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში საზოგადოების სულიერი, მატერიალური, პოლიტიკური ცხოვრების განმსაზღვრელ საფუძვლად უშუალო გარემომცველ ბუნებას, მის თავისებურებებს აცხადებს. გეოგრაფიული გარემოს როლის აბსოლუტიზაცია ექსპლოატატორული კლასების ინტერესებს შეესაბამება. ამ გზით ბურჟუაზიულ იდეოლოგებს სურთ მშრომელ მასებს დაუმალონ სოციალურ უბედურებათა და კოლიზიების რეალური გამომწვევი მიზეზები, რომლებიც არა ბუნებაში, არამედ თვით საზოგადოებაში მოქმედებენ.

გეოგრაფიული გარემო არ შეიძლება მივიჩნიოთ საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალად შემდეგი მოსაზრებების გამო:

საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი ძალა გასაღებს უნდა იძლეოდეს საზოგადოების ხასიათის, მისი სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის გასაგებად. ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებით ამის ახსნა კი შეუძლებელია. ეს პირობები საერთოა ამა თუ იმ ქვეყნისა და ხალხისათვის, მაგრამ თვით ამ ქვეყნებსა და საზოგადოებაში ერთ მხარეზეა — გაბატონებული უმცირესობა, ხოლო მეორე მხარეზე — ექსპლოატირებული უმრავლესობა. მაშასადამე, ერთიანი ბუნებრივი პირობები სრულიადაც არ გამოდგება საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის, მით უმეტეს კლასთა ანტაგონიზმისა და ბრძოლის ასახსნელად. ზუსტად ასევე გეოგრაფიულ მიმართულებას არ მოეპოვება პასუხი კითხვაზე, თუ რატომ არსებობს ქვეყნის შიგნით რეაქციული და პროგრესული იდეები, მოწინავე და დრომოჭმული კულტურა, ხელოვნება და ა. შ.

საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი მიზეზი უნდა გვიხსნიდეს არა მარტო საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, მის სოციალურ-კლასობრივ სტრუქტურას, არამედ აგრეთვე საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობასა და განვითარებას. ამ საკითხშიც აშკარად ჩანს გეოგრაფიული დეტერმინიზმის ანტიმეცნიერული პთ-

ზიცია. გეოგრაფიული გარემო მაშინ შეასრულებდა საზოგადოებრივი პროგრესის ერთადერთი მარეგულირებელი ძალის როლს, თუ უშუალოდ მისი ცვალებადობა ძირეულ ცვლილებებს გამოიწვევდა სოციალურ სფეროში. მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა ხდება. საზოგადოებრივი ცხოვრება ძირეულ გარდატეხებს განიცდის ისე, რომ მას გეოგრაფიულ გარემოში არავითარი გამომწვევი ცვალებადობა არ შეესაბამება. ეს გასაგებიცაა; გეოგრაფიულ გარემოს რამდენადმე სერიოზული ცვლილებისათვის საჭიროა მილიონობით წლები, მაშინ, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების ძირეული ცვლილებებისათვის საკმარისია ასეული წლები, ზოგჯერ უფრო მცირე დროც. მაშასადამე, პირველი ვერ შეასრულებს მეორის განმსაზღვრელი ძალის ფუნქციას. ის, რაც ათეულათასობით წლების განმავლობაში თითქმის უცვლელია, შეუძლებელია იყოს იმის განვითარების მთავარი მიზეზი, რაც ძირფესვიანად ცვლილებებს განიცდის ასეული წლების მანძილზე.

სამი ათასი წლის განმავლობაში ევროპაში შეიცვალა პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური წყობილება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ და აღმოსავლეთ ევროპაში — აგრეთვე კაპიტალისტური წყობილებაც. მაგრამ ყოველივე ეს განხორციელდა გეოგრაფიული გარემოს მხოლოდ უმნიშვნელო ცვალებადობის პირობებში. გეოგრაფიული გარემოს არავითარ ცვლილებებთან არ არის დაკავშირებული ძირეული გარდატეხები აზიის, აფრიკის და ლათინური ამერიკის მთელ რიგ ქვეყნებში, რომლებმაც თავიდან მოიშორეს ექსპლოატატორული წყობილება და ძლევამოსილად მიიწევენ წინ დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით.

ამრიგად, საზოგადოებრივი ცხოვრების ცვალებადობა არ განისაზღვრება გეოგრაფიული გარემოს ცვალებადობით, რის გამოც ბუნებრივი პირობები შეუძლებელია იყოს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და განვითარების მთავარი მამოძრავებელი ძალა.

გეოგრაფიული ფაქტორებით არც ის ფაქტი აიხსნება, რომ მეტნაკლებად მსგავსი ბუნებრივი პირობების მქონე ქვეყნები საზოგადოებრივი განვითარების სრულიად განსხვავებულ სტადიებზე იმყოფებიან, და პირიქით, ბუნებრივი მონაცემებით მკვეთრად განსხვავებული ქვეყნები — ერთტიპურნი არიან საზოგადოებრივი წყობილების თვალსაზრისით. ცნობილია, მაგალითად, რომ ჩრ კავშირს, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს არა აქვთ ერთგვაროვანი ბუნებრივი პირობები, მაგრამ ეს ქვეყნები ერთტიპურნი — სოციალისტურნი არიან ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების თვალსაზრისით. გეოგრაფიული გარემოს მონაცემებით არანაკლებ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ისეთი სახელმწიფოები, როგორიცაა ამე-

რიკის შეერთებული შტატები, ინგლისი, იტალია, იაპონია და ა. შ., მაგრამ ამის მიუხედავად ამ ქვეყანაში ერთი და იგივე — კაპიტალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაა დამკვიდრებული.

გეოგრაფიული მიმართულების მიმდევრები ცდებიან იმის გამოც, რომ ისინი საზოგადოებრივი განვითარების მთავარ მიზეზს ეძებენ არა თვით საზოგადოებაში, არამედ მის მიღმა. გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში მეტაფიზიკურ მეთოდს ემყარება. მარქსისტული დიალექტიკა კი ცნობს სამყაროს მოვლენების და პროცესების განვითარების იმანენტურ წყაროს. ის რაც განვითარების საფუძველია, არ შეიძლება განვითარებაში მყოფი მოვლენებისა და პროცესებისაგან დამოუკიდებლად არსებობდეს. ცხადია, გარეგანი ძალებიც მოქმედებენ, ისინიც ზეგავლენას ახდენენ შინაგანზე, ხელს უწყობენ ან აფერხებენ მის განვითარებას, მაგრამ გარეგანი ფაქტორები არასოდეს არ ასრულებენ გადამწყვეტ როლს მოვლენებისა და პროცესების განვითარებაში, მაშასადამე, საზოგადოებრივ ცხოვრებას, მის ცვალებადობას აგრეთვე შინაგანი მიზეზები განსაზღვრავენ.

გარემომცველი ბუნება არამც თუ არ განსაზღვრავს საზოგადოების განვითარებას, არამედ, პირიქით, თვით განიცდის ცვლილებებს საზოგადოების ზეგავლენით. უფრო მეტიც, რაც უფრო მაღლდება საწარმოო ძალთა განვითარების დონე, რაც უფრო პროგრესულია საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება, მით უფრო ფართოვდება გეოგრაფიული გარემოს ცვლილებათა მასშტაბი.

რასაკვირველია, ბუნება იცვლება თავისთავადაც, ადამიანთა აქტიური ჩარევის გარეშე, მაგრამ ადამიანის როლი მის გარდაქმნაში განსაკუთრებით დიდია. მიზანდასახული საწარმოო საქმიანობის შედეგად იგი იმორჩილებს ბუნების ძალებს, სულ უფრო ნაკლებად ხდება დამოკიდებული მათზე. „მხოლოდ ადამიანმა შეძლო ბუნებისათვის თავისი დაღი დაესვა, ამასთან მან არა მარტო მცენარეებსა და ცხოველებს შეუცვალა ადგილი, არამედ მან შეცვალა აგრეთვე საცხოვრებელი ადგილის გარეგანი სახე და ჰავა, თვით მცენარეები და ცხოველებიც კი“ [1]. ადამიანმა ააშენა ქალაქები და სოფლები, დედამიწის წიაღიდან ამოზიდა ათასეული საუკუნეობით ხელუხლებელი რკინა, ქვანახშირი, მარგანეცი, ნავთობი და ა. შ. მან გაასწორა მთა და ბარი, შექმნა სარწყავი სისტემები, ხელოვნური ზღვები და ტბები, კალაპოტი შეუცვალა მდინარეებს, აითვისა მილიონობით ჰექტარი უამირი მიწები. ადამიანი გაიჭრა კოსმოსში, იგი ზედიზედ ხსნის სამყაროს საიდუმლოებებს, წყვეტდა და წყვეტს ბუნების გარ-

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 22.

დაქმნის დიდმასშტაბურ პრობლემებს, რომელთა შესახებ ადრე ოცნებაც კი არ შეიძლებოდა.

თუ ადრე შრომითი საქმიანობის პროცესში ადამიანები ზემოქმედებას ახდენდენ ბუნებრივი გარემოს ცალკეულ ობიექტებზე და ისიც უპირატესად სასოფლო-სამეურნეო ინტერესებისათვის, ამიერიდან მათ ზეგავლენას ბუნებაზე გლობალური ხასიათი მიეცა უზარმაზარი სამრეწველო დანიშნულების სისტემების მეოხებით. ამ გარდაქმნათა მაგალითებად შეიძლებოდა დაგვესახელებინა 5 ათასი კილომეტრი სიგრძის ნავთობსადენი „დრუჟბა“, რომელიც ვოლგისპირეთსა და უკრაინას ჩეხოსლოვაკიას, პოლონეთს, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და უნგრეთთან აკავშირებს, სოციალისტური ქვეყნების გაერთიანებული ენერგეტიკული სისტემა „მირი“, 3 ათასი კილომეტრის სიგრძის გაზსადენი „სოიუზი“, იგი სათავეს ორენბურგიდან იღებს, ბამი და მრავალი სხვა; ნავთობსადენები „დიდი დიუმი“ და „ტრანსარაბული“ (აშშ), მსხვილი სამრეწველო კომპლექსები სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ადამიანის ზემოქმედებითი ძალა ბუნების მოვლენების მიმართ კოლოსალურად გაიზარდა თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დროს. გეოგრაფიულ გარემოზე მძლავრ საწარმოო-ტექნიკურ და ტექნოლოგიურ ზეგავლენას რომ ახდენს, ამით საზოგადოება თავის თავს შეცვლილ ბუნებრივ პირობებში აყენებს. „ძალიანაც ნუ მოვიტყუებთ თავს ბუნებაზე ჩვენი ადამიანური გამარჯვებებით მოხიბლულნი. ყოველი ასეთი გამარჯვებისათვის ბუნება შურს იძიებს ჩვენზე. მართალია, ყოველ ამ გამარჯვებას პირველ რიგში სწორედ ის შედეგები აქვს, რომელთაც ჩვენ ვითვალისწინებთ, მაგრამ მეორე და მესამე რიგში მას აქვს სრულიად სხვა, გაუთვალისწინებელი შედეგები, რომლებიც ძალიან ხშირად იმ პირველ შედეგებს კვლავ აქარწყლებენ... ჩვენ სრულიადაც არ ვბატონობთ ბუნებაზე ისე, როგორც დამპყრობელი ბატონობს უცხო ხალხზე, როგორც ბუნების გარეშე მდგომი ვინმე, ჩვენ ხორცით, სისხლითა და ტვინით ბუნებას ვეკუთვნით და მის შიგნით ვიმყოფებით“ [1]. ამიტომ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ბუნებაში ადამიანის მიერ შეტანილი ცვლილებებით მისი არსებობისა და საქმიანობის პირობებიც იცვლება, მითუმეტეს იმის გამო, რომ ეს პირობები შესაძლოა უარყოფითიც იყოს.

ბუნებრივად შექმნილ რთულ ეკოლოგიურ სისტემებზე ადამიანი გარკვეულ გავლენას, ცხადია, ადრინდელ ეპოქებშიც ახდენდა. მაგრამ ანთროპოგენური ფაქტორის მოქმედებამ ამ ეპოქებში არსები-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, 1954, გვ. 184 — 185.

თად ვერ შეცვალა მილიონობით წლების განმავლობაში ჩამოყალიბებული და დამკვიდრებული ადამიანისათვის ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, მეტად განუვითარებელი იყო წარმოების იარაღები, რომელთა საშუალებით ჩვენი შორეული წინაპრები ზეგავლენას ახდენდნენ გარემომცველ ბუნებაზე რათა დაეკმაყოფილებინათ თავიანთი მოთხოვნილებანი. ასეთი ხასიათის ზემოქმედება კი შესამჩნევ ცვლილებებს არ იწვევდა ბუნებაში. მეორეც, საკაცობრიო ისტორიის უძველეს პერიოდებში განუვითარებელი იყო ადამიანთა მოთხოვნილებებიც, რაც მათ ბუნებრივი გარემოსა და მისი სიმდიდრეების ყოველმხრივი ათვისებისაკენ არ უბიძგებდა. მესამე, იმ დროს მოსახლეობის მცირე სიჭარბეც ობიექტურად არ წარმოშობდა ბუნებრივად დამყარებულ ეკოლოგიურ წონასწორობაში გაძლიერებული ჩარევისა და ამ გზით მისი დარღვევის საფრთხეს. მაშინაც კი როდესაც მეურნეობისა და ცხოვრებისათვის ადამიანთა მიერ გამოყენებული ფართობები საკმარის ბუნებრივ რესურსებს აღარ შეიცავდა, მათ ჰქონდათ მომიჯნავე ან დაშორებულ ტერიტორიებზე გადაადგილების საშუალება, ხოლო ამ ლოკალური გარდაქმნების რამდენადმე მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგები დედამიწის ბიოსფეროს არ დატყობია. ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოებაც მეტ-ნაკლებად შეუფერხებლად ხდებოდა.

სულ სხვა მდგომარეობა შეიქმნა მანქანურ წარმოებასთან დაკავშირებული ტექნიკური პროგრესის. განსაკუთრებით კი თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, როდესაც არნახულად გაიზარდა გარემოზე ადამიანის ზემოქმედების ძალა და ამის შედეგად გამოწვეულმა ცვლილებებმა ბიოსფეროში სულ უფრო დიდმასშტაბური სახე მიიღო. ადამიანთა მოთხოვნილებებიც, რომლებსაც თანამედროვე გიგანტურად განვითარებული საწარმოო ძალები ბადებენ როგორც შრომის, ისე არსებობის საშუალებებზე, — უაღრესად მრავალფეროვანი გახდა და დაკმაყოფილებისათვის ბუნებრივი სიმდიდრეების მაქსიმალურ გამოყენებას მოითხოვს .დაჩქარებული ტემპით გაიზარდა და იზრდება მოსახლეობის სიჭარბეც მსოფლიოში, გაძლიერებულ ანთროპოგენურ ჩარევას ბუნებაში დედამიწის ყველა რეგიონი და კუთხე დაექვემდებარა.

მეცხრამეტე, განსაკუთრებით კი მეოცე საუკუნეში ადრე უცნობი სისწრაფით განვითარდა აგრეთვე ურბანიზაციის პროცესი, იქმნება და იზრდება ქალაქები, ფართოვდება მათი შემოგარენი, მრავლდება ქალაქის ტიპის დასახლებული პუნქტები იმ ადგილებში, სადაც ადრე მეურნეობის სოფლური წესი იყო გაბატონებული. შრომისა და ყოფაცხოვრებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად აუცილებელი გახდა სარკინიგზო, საავტომობილო და სხვა სახის სატრანსპორტო

გზების გაყვანა. ყოველივე ამან გარემომცველ ბუნებას გამოაცალა ტერიტორიები შესაბამისი ფლორითა და ფაუნით, რომლებიც ადრე ბუნებრივ სისტემაში იყვნენ ჩართული და მათი ფუნქციონირების ელემენტებს შეადგენდნენ.

ბუნებრივ გარემოში ანთროპოგენური უარყოფითი შედეგები გამოვლინდა ნიადაგის, ჰაერის, წყლის გაჭუჭყიანების ფორმებით. გარემოს დანაგვიანებამ სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, შხამქიმიკატების, მინერალური სასუქების გადაჭარბებულმა გამოყენებამ, თანამედროვე ტექნიკის თანმხლებმა ტემპერატურულმა და ვიბრაციულმა ცვლილებებმა ადაპტაციის ძნელ პირობებში ჩააყენა ფლორა და ფაუნა, რომლებიც ეკოლოგიურ წონასწორობას ქმნიდნენ ადამიანის ცხოველქმედებისათვის საჭირო სხვა აგენტებთან ერთიანობაში. აღნიშნული და სხვა ფაქტორების მოქმედებას, როდესაც გათვალისწინებული არ არის ბუნებაზე ზეგავლენის უახლოესი და შორეული შედეგები და მათზე კონტროლის დაწესება არ ხერხდება, შეუძლია იმ ზომამდე დაარღვიოს ეკოლოგიური წონასწორობა, რომ აუნაზღაურებელი ზიანი მიაყენოს საზოგადოებას, და თუ ამას ავანტურისტული პოლიტიკაც დაემატება — უშუალო საფრთხე შეუქმნას მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს, თვით ადამიანთა საზოგადოების არსებობასაც კი ჩვენს პლანეტაზე. ამიტომ ამჟამად მეტად, ვიდრე ოდესმე, აუცილებელია ბუნებისა და საზოგადოების ურთიერთობის გონივრული რეგულირება, გლობალური და ლოკალური ეკოლოგიური საკითხების გადაჭრა, გამუდმებული ზრუნვა ჰაერის, წყლის, ნიადაგის დაცვისათვის, ბუნების დაცვისათვის საერთოდ [1].

კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, სადაც ბუნების დაცვას ზღუდავს უკონტროლო ტექნიკური განვითარება, სოციალიზმის პირობებში გეგმაზომიერად ტარდება ღონისძიებები ჯანსაღი გარემოს შენარჩუნებისა და დაცვის მიზნით.

---

[1] გეოგრაფიულ გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში და სოციალიზმის უპირატესობათა მნიშვნელობა ბუნების დაცვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანების გადასაჭრელად განხილულია საბჭოთა ავტორების მთელ რიგ ნაშრომებში: იხ. Гирусов Э. В. Система „общество — природа", М., 1976; Григорьян Т. Г. Природа и общество. М., 1977; Гудожник Г. С. Научно-техническая революция и экологический кризис. М., 1975; Лось В. А. Взаимоотношения между человеком и природой как глобальная проблема. „Вопросы философии", 1982, № 5; Плетников Ю. К. Современное состояние и перспективы взаимодействия общества и природы. В кн.: Исторический материализм и актуальные проблемы современности. М., 1980. გ. გამყრელიძე, სოციალური ეკოლოგია, კრებ. „სოციოლოგიური გამოკვლევები", ტ. II. თბ. 1976. კ. საპიცკი, ზ. ხელელიძე. „ადამიანი და ბუნება" თბ. 1983.

ჩვენს ქვეყანაში ბუნების დაცვის ორგანიზაციის, ბუნებრივი სიმდიდრეების სწორი გამოყენების ურყევ საფუძველს მიწის, მისი წიაღის, წყლის, ტყის სოციალისტური სახელმწიფო საკუთრება წარმოადგენს.

სოციალისტური სახელმწიფო შეუნელებელ ყურადღებას აქცევს ბუნების დაცვას, რასაც იგი ხალხისათვის ზრუნვის, ხალხის კეთილდღეობის ამაღლების ორგანულ შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების ღონისძიებებს ახამებს მზრუნველ დამოკიდებულებასთან ბუნებრივი რესურსებისადმი, რათა იგი არ გადაიქცეს ჰაერისა და წყლის საშიში გაჭუჭყიანების, მიწის გამოფიტვის წყაროდ. გაძლიერებულია მომთხოვნელობა საგეგმო სამეურნეო ორგანოებისა და საპროექტო ორგანიზაციებისადმი ბუნების დაცვის თვალსაზრისით ახალი საწარმოების დაპროექტებისა და მშენებლობის, მოქმედ საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების საქმეში.

ბუნების მოვლის, ბუნებრივი რესურსებისათვის მზრუნველი დამოკიდებულების გაძლიერების მიზნით ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ჰაერის, წყლის, მიწის სისუფთავის, ადამიანთა სანიტარულ-ჰიგიენური პირობების შექმნის ღონისძიებანი. შენდება სამრეწველო და საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების გასაწმენდი ნაგებობანი, გაზსაწმენდი და მტვერდამჭერი დანადგარები, იქმნება საშუალებანი ავტომობილების გამონაბოლქვი გაზებით ჰაერის გაჭუჭყიანების შესამცირებლად, მავნე ნივთიერებებით ატმოსფეროს მოწამვლის, საწარმოო, სატრანსპორტო და სხვა ხმაურის, ვიბრაციების, ელექტრული და მაგნიტური ველებისა და გამოსხივებათა ზემოქმედების უვნებელსაყოფად. ვითარდება უნარჩენო ტექნოლოგია. მწვანდება ქალაქები და სხვა დასახლებული პუნქტები, ძლიერდება მუშაობა წყლის რესურსების ამოქმედების, წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებისათვის.

მაღლდება ნიადაგის ნაყოფიერება, უმჯობესდება მისი დაცვა წყლისმიერი და ქარისმიერი ეროზიის, გამოშრობის, სამრეწველო ნარჩენებით დატბორვისა და გაჭუჭყიანების მავნე გავლენისაგან, ხორციელდება წყლის და ტყის რესურსების დაცვის კომპლექსური ღონისძიებანი.

სოციალისტური სახელმწიფოს უდიდესი ზრუნვა ბუნების დაცვის საქმეში კანონმდებლობით არის განმტკიცებული სსრ კავშირის კონსტიტუციის მე-18 მუხლით. „ახლანდელი და მომავალი თაობების ინტერესებისათვის სსრ კავშირში ხორციელდება საჭირო ღონისძიებანი მიწისა და მისი წიაღის, წყლის რესურსების, მცენარეული და ცხოველთა სამყაროს დაცვისა და მეცნიერულად დასაბუთებული,

რაციონალური გამოყენების მიზნით, ჰაერისა და წყლის სიუფთავის შენარჩუნების, ბუნებრივ სიმდიდრეთა აღდგენა-გამრავლებისა და გარემო ბუნების გაუმჯობესების მიზნით"[1]. ამ დებულების საილუსტრაციოდ მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ ჩვენი რესპუბლიკის სინამდვილიდან.

ამრიგად, ბუნების დაცვა ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონის რანგშია აყვანილი.

ზემოთქმულის საფუძველზე ნათელია, რომ გარემომცველი ბუნების დაჩქარებული გეგმაზომიერი შეცვლა მხოლოდ იმ საზოგადოებაშია შესაძლებელი, რომელიც მთელი ხალხის ინტერესებს გამოხატავს და თვითონაც გონივრულ მართვას ექვემდებარება.

ცხადია, ბუნების დაცვა-განვითარება არ არის მხოლოდ ლოკალური პრობლემა, იგი ამასთანავე გლობალური ხასიათისაა და მსოფლიო მასშტაბით მისი გონივრული გადაჭრა მარტო ჩვენი ქვეყნის, სოციალისტური სისტემის ქვეყნების ძალებით არ შეიძლება. მაგრამ მსოფლიოს სოციალისტური ნაწილი თავისი შინაგანი განვითარებით და საერთაშორისო ურთიერთობისადმი თავისი მიდგომით ყველაზე კარგ მაგალითს იძლევა ამ დიდი პრობლემის გადასაწყვეტად.

ბუნების დაცვა და გაჯანსაღება საბჭოთა კავშირისა და მოძმე სოციალისტური ქვეყნების ერთ-ერთი მთავარი საერთო საზრუნავია. ამავე მიზანს ემსახურება მთელი რიგი ხელშეკრულებები, რომელიც სსრ კავშირმა დადო ამერიკის შეერთებულ შტატებთან, საფრანგეთთან, ფინეთთან და სხვა ქვეყნებთან გარემოს დაცვის სასიცოცხლო მნიშვნელოვან საკითხებზე.

ყველაფერი უნდა გაკეთდეს იმისათვის, რომ უზრუნველყოთ ბუნების სრული ცხოველმოქმედება, რათა ჩვენი პლანეტის ბ ი ო ს ფ ე რ ო — აკადემიკოს ვ. ი. ვერნადსკის გამოთქმა რომ ვიხმაროთ, საზოგადოების მიერ გ ო ნ ი ვ რ უ ლ ა დ მოწესრიგებულ სფეროდ — ნ ო ო ს ფ ე რ ო დ ვაქციოთ.

მოსახლეობის როლი საზოგადოების განვითარებაში. მიუხედავად დიდი მნიშვნელობისა, რაც გეოგრაფიულ გარემოს ხალხთა ცხოვრებასა და საქმიანობაში ენიჭება, იგი საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთსა და თვითკმარ ძალას არ წარმოადგენს.

საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის, ცხადია, საჭიროა გეოგრაფიული გარემოს ათვისება, ბუნებრივად მოცემული მასალის, დედამიწის სიმდიდრეების მოპოვება, გარდაქმნა და გამოყენება. მაშასადამე, აუცილებელია თვით ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი, რომლებიც აქტიურად დაუპირისპირდებიან ბუნებას, შექმნიან მატერიალურ

[1] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი), გე. 13.

დოვლათს მოპოვებული ბუნებრივი მასალის გადამუშავებისა და გარდაქმნის გზით. „ადამიანთა ყოველი ისტორიის პირველი წანამძღვარი — ეს არის, რასაკვირველია, ცოცხალ ადამიანურ ინდივიდთა არსებობა“ [1]. ამასთან, ადამიანები მხოლოდ ერთმანეთთან კავშირში ქმნიან საზოგადოებას, მის მატერიალურსა და სულიერ ცხოვრებას. ადამიანთა ყოველგვარი რაოდენობა არ არის საკმარისი საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის.

საზოგადოების მატერიალური ცხოვრებისათვის აუცილებელია კავშირურთიერთობაში მყოფი ადამიანთა ჯგუფები, მოსახლეობის განსაზღვრული სიმჭიდროვის არსებობა. ადამიანთა გარკვეული მინიმუმის არსებობის გარეშე, განცალკევებულ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ ადამიანებს არ შეუძლიათ საზოგადოებრივი წარმოება და მაშასადამე, არც საზოგადოებად გაერთიანება. „განცალკევებულ ინდივიდთა წარმოება საზოგადოების გარეშე... ისეთივე უაზრობაა, როგორც ენის განვითარება ერთად მცხოვრებ და ერთმანეთთან მოლაპარაკე ინდივიდთა გარეშე“ [2].

საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ორგანიზებისათვის აუცილებელია კავშირურთიერთობაში მყოფი ადამიანების, მოსახლეობის განსაზღვრული სიდიდე და სიმჭიდროვე, რაც საზოგადოების წევრებს შესაძლებლობას აძლევს გაინაწილონ შრომა და ერთობლივი ძალებით შექმნან მათი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების დამაკმაყოფილებელი ღირებულებანი. „როგორც მანუფაქტურის შიგნით ერთსა და იმავე დროს მოსაქმე მუშების გარკვეული რიცხვი შრომის დანაწილების მატერიალურ წანამძღვარს შეადგენს, ასევე საზოგადოების შიგნით შრომის დანაწილებისათვის ამ წანამძღვარს წარმოადგენს მოსახლეობის სიდიდე და მისი სიმჭიდროვე“ [3] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ყოველი ქვეყნის მოსახლეობის სიდიდე მის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების საერთო რაოდენობით განისაზღვრება. რაც შეეხება მოსახლეობის სიმჭიდროვეს, იგი ადამიანთა იმ რაოდენობას გულისხმობს, რომელიც საშუალოდ მოდის მოცემული ქვეყნის ტერიტორიული ფართობის ერთეულზე (ჩვეულებრივ მიღებული გამოთვლით კვადრატულ კილომეტრზე). უმეტეს შემთხვევაში ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან როგორც ტერიტორიის სიდიდით, ისე მოსახლეობის საერთო რაოდენობით, ამიტომ ამ ქვეყნებში მოსახლეობის სიმჭიდროვეც სხვადასხვაგვარია. მოსახლეობის სიმჭიდრო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. 1, 1957, გვ. 10.
[2] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 257.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 448.

ვის მიხედვით მნიშვნელოვანი განსხვავება არსებობს თვით ერთი და იმავე ქვეყნის მხარეთა შორისაც. მაგალითად, სსრ კავშირის ევროპულ ნაწილს ქვეყნის მთელი ტერიტორიის მესამედი უკავია, მოსახლეობა კი აქ სამნახევარჯერ უფრო მჭიდროდაა დასახლებული, ვიდრე სსრ კავშირის აზიურ ნაწილში.

თავისთავად ცხადია, რომ მოსახლეობის საერთო რაოდენობა და მისი სიმჭიდროვე სხვადასხვაგვარია თვით ერთსა და იმავე ქვეყნებშიც ისტორიული განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე.

ისტორიული მატერიალიზმის წინაშე დგას საკითხი, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოსახლეობას და მის სიმჭიდროვეს საზოგადოებრივი ცხოვრებისათვის, თუ რა როლს ასრულებს მოსახლეობის, მისი სიმჭიდროვის ზრდა ან კლება საზოგადოების განვითარებაში. ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი კანონზომიერება, რომელიც მოქმედების ძალას ინარჩუნებს საზოგადოებრივი განვითარების ყველა საფეხურზე, არის ის, რომ მოსახლეობა, მისი სიმჭიდროვე არსებით გავლენას ახდენს საზოგადოებაზე, ხ ე ლ ს უ წ ყ ო ბ ს, ა ა დ ვ ი ლ ებ ს დ ა ა ჩ ქ ა რ ებ ს ან პ ირ ი ქ ით, ა ფ ე რ ხ ებ ს, ა ძ ნ ე ლ ებ ს, ა ნ ე ლ ებ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ივ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა ს.

მოსახლეობის და მისი სიმჭიდროვის როლი, გეოგრაფიული გარემოს როლის მსგავსად საზოგადოებრივ ცხოვრებაში — კონკრეტულ-ისტორიული პირობების მიხედვით უნდა შეფასდეს და განისაზღვროს.

როდესაც მოსახლეობის რაოდენობრივი მატება, მისი სიმჭიდროვის ზრდა წარმოების განვითარების ობიექტური მოთხოვნებით არის ნაკარნახევი, მაშინ იგი მთელი საზოგადოებრივი პროგრესის უზრუნველყოფის ერთ-ერთ მძლავრ ფაქტორად გვევლინება. ასეთ დროს ქვეყანა არ განიცდის სამუშაო ძალის ნაკლებობას. სწრაფი ტემპით ვითარდება წარმოება, იზრდება ბუნებრივი სიმდიდრეების, აუთვისებელი ტერიტორიების ათვისების, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის და სხვა შესაძლებლობა, საზოგადოებას უადვილდება წინსვლა ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული პროგრესის გზაზე; მაგრამ როდესაც მოსახლეობის სიმჭიდროვის ზრდა ჩამორჩება წარმოების განვითარების დონესა და ტემპებს, მაშინ იგი საზოგადოებრივი წინსვლის ერთ-ერთ შემაფერხებელ ძალად იქცევა.

ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარება გულგრილ დამოკიდებულებაში არ არის ხალხთსიმრავლის, მოსახლეობის სიმჭიდროვის მიმართ. მოსახლეობის რაოდენობრივ მატებას ან კლებას კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად შეუძლია შ ე ა ნ ე ლ ო ს

ან დააჩქაროს საზოგადოებრივი განვითარება. ორივე შემთხვევაში მოსახლეობის რაოდენობა და მისი დასახლების სიმჭიდროვე არის საზოგადოების მატერიალური ცხოვრების მუდმივმოქმედი და აუცილებელი პირობა.

მაგრამ დაუშვებელია მოსახლეობის სიდიდისა და სიმჭიდროვის, როგორც ისტორიული განვითარების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორის როლის გაზვიადება. მოსახლეობა და მისი სიმჭიდროვე არ წარმოადგენს საზოგადოებრივი განვითარების მთავარ დეტერმინანტს, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათის, საზოგადოების ფიზიონომიის განმსაზღვრელ ძალას, როგორც ამას ბურჟუაზიული სოციოლოგები და ეკონომისტები ირწმუნებიან.

შეხედულება მოსახლეობის, დემოგრაფიული ფაქტორის განმსაზღვრელი როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში დიდი ხანია რაც შემუშავდა, მას ახლაც ჰყავს მხარდამჭერები ბურჟუაზიის იდეოლოგთა შორის.

აღნიშნული კონცეფციის მქადაგებლები შეიძლება ორ ჯგუფად დავყოთ იმისდა მიხედვით, თუ რას აცხადებენ საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელ ძალად — მოსახლეობის სიდიდესა და მატებას, თუ მის სიმცირესა და კლებას. პირველთა მიხედვით (ვ. პეტი, ჰ. სპენსერი და სხვ.) საერთო-საზოგადოებრივი პროგრესი მთლიანად მოსახლეობის ზრდაზეა დამოკიდებული. ისინი გადაჭარბებით აფასებდნენ მოსახლეობის ზრდის როლს საზოგადოების განვითარებაში. მათი მოსაზრებით მხოლოდ მოსახლეობის მატება აიძულებს ადამიანებს გაიუმჯობესონ ცხოვრების პირობები, აწარმოონ უფრო მეტი საარსებო საშუალებანი, უკეთ შეეგუონ გარემომცველ ბუნებას. ამის შესაბამისად საზოგადოება დაჩქარებული ნაბიჯით ივლის წინ. მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების შეცვლასაც გამოიწვევს, ვინაიდან ასეთი ვითარებისას სულ უფრო უმჯობესდება ადამიანთა ურთიერთობის მარეგულირებელი საზოგადოებრივი კანონები, წესები და ა. შ.

შეხედულება მოსახლეობის ზრდის განმსაზღვრელი როლის შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რევოლუციამდელ რუსეთშიც გავრცელდა. მაგალითად, რუსი სოციოლოგი და ისტორიკოსი მ. მ. კოვალევსკი (1851—1916) მოსახლეობის ზრდას „ეკონომიკური ევოლუციის მთავარი მამოძრავებლის“ [1] ფუნქციას მიაწერდა.

კაცობრიობის სოციალურ-პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ცხოვრებაზე მეტად უარყოფითი გავლენა მოახდინეს ბურჟუაზიულ სოცი-

[1] Ковалевский М. М. Развитие народного хозяйства в Западной Европе. СПБ. 1899, стр. 2.

ოლოგთა და ეკონომისტთა მეორე ჯგუფის წარმომადგენლებმა, რომლებიც საზოგადოებრივი პროგრესის განმსაზღვრელ პირობად მსოფლიო მოსახლეობის აუცილებელ შემცირებას აცხადებდნენ. ამ თვალსაზრისის ერთ-ერთი ყველაზე თავგამოდებული მქადაგებელი ინგლისელი ბურჟუაზიული ეკონომისტი, მღვდელი ტ. მალთუსი (1766—1834) იყო. წიგნში „ცდა ხალხთმოსახლეობის კანონის შესახებ" (1798 წ.). მალთუსი მოსახლეობის ზრდას საზოგადოებრივი პროგრესის შემაჩერებელ ძალად, ყოველგვარი სოციალური უბედურების გამომწვევ მიზეზად მიიჩნევდა. მალთუსის აზრით ბუნებრივი კანონია შეუსაბამობა დედამიწის მოსახლეობისა და მისთვის საჭირო საარსებო საშუალებების ზრდას შორის. ნიადაგის სულ უფრო კლებადი ნაყოფიერების გამო ადამიანთა საარსებო საშუალებები ნელი ტემპით იზრდება, მაშინ როდესაც თვით ადამიანები სწრაფი ტემპით მრავლდებიან. ისე, რომ საარსებო საშუალებათა ზრდა სულ უფრო მეტად ჩამორჩება მოსახლეობის რაოდენობრივ მატებას; მოსახლეობა იზრდება გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით (1, 2, 4, 8, 16, 32 და ა. შ.), ხოლო საარსებო საშუალებანი — არითმეტიკული პროგრესიის მიხედვით (1, 2, 3, 4, 5, 6 და ა. შ.). უაზროა საქმიანობა საარსებო საშუალებათა მასის გადიდების მიზნით, ვინაიდან ამით გამრავლდება თვით მომხარებელთა რიცხვი, მაშასადამე, დისპროპორცია საარსებო საშუალებათა ზრდასა და საკუთრივ ადამიანთა რაოდენობრივ ზრდას შორის კიდევ მეტად გაღრმავდება. ეს შეუსაბამობა გადამწყვეტ უარყოფით გავლენას ახდენს თანამედროვე საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის მომავალზე. მასობრივი უმუშევრობა, სიღატაკე, ხალხის ეკონომიკური მდგომარეობის თანდათანობით გაუარესება — სავსებით კანონზომიერი მოვლენაა მალთუსის თანახმად.

„სიღატაკის მთავარი და განუწყვეტლივმოქმედი მიზეზი ძალზე უმნიშვნელოდ ან საერთოდ არ არის დამოკიდებული მართვა-გამგებლობის წესზე ან ქონების უთანაბრო განაწილებაზე. მდიდრებს არა აქვთ იმის საშუალება, რომ ღარიბები სამუშაოთი და საზრდოთი უზრუნველყონ, ამიტომ შექმნილი ვითარების ძალით ღარიბებს უფლება არა აქვთ, რომ მათ სამუშაო ან საზრდო მოსთხოვონ. აი, რა მნიშვნელოვანი ჭეშმარიტება გამომდინარეობს ხალხთმოსახლეობის კანონიდან" [1] — წერდა ტ. მალთუსი. ქორწინების რეგლამენტაცია, მშრომელთა ოჯახებში შობადობის რიცხვის შემცირება, შიმშილი, ომები — ასეთია გამოსავალი, რომელსაც იგი კაცობრიობის მომავლისათვის სახავდა.

მალთუსის საწინააღმდეგოდ უნდა აღინიშნოს, რომ სწორი არ

---

[1] Т. Мальтус. Опыт о законе народонаселения. Т. 11, 1868, стр. 341.

არის მისი თეორიული გაანგარიშების არც ერთი პუნქტი — არც ის, რომ საარსებო საშუალებანი არითმეტიკული პროგრესიის მიხედვით იზრდება, არც ის, რომ მოსახლეობა გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით მატულობს. ფ. ენგელსის სიტყვებით რომ ვთქვათ მალთუსის თეორია სხვა არაფერია, თუ არა „ორივე პროგრესიის წმინდა თვითნებური გამოყენება“ [1]. მაშასადამე, მიუღებელია ის დასკვნაც, რომელიც მალთუსს ამ „პროგრესების“ მიმართების საფუძველზე გამოაქვს.

ჯერ ერთი, მალთუსის პირველი გაანგარიშების შესახებ. მცდარია მალთუსის თეზისი: თითქოს საარსებო საშუალებების ზრდა, არითმეტიკული პროგრესიის მიხედვით ხდება, თითქოს ეს ზრდა „ბუნების კანონს“ ემორჩილება. მცდარია იმიტომ, რომ იგი არსებითად გამორიცხავს საარსებო საშუალებების ზრდის ტემპების დაჩქარებას ტექნიკური პროგრესისა და დედამიწის გამოუყენებელი რესურსების ათვისების ხარჯზე. ადამიანებს კი თანამედროვე პირობებში აქვთ ამის რეალური შესაძლებლობა.

„ჩვენ იქიდან გამოვდივართ, რომ იგივე ძალები, რომლებშიაც შექმნეს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება — ორთქლის მანქანა, თანამედროვე მანქანური წარმოება, მასობრივი კოლონიზაცია, რკინიგზები, ორთქლის გემები, მსოფლიო ვაჭრობა — და რომელნიც ახლა უკვე განუწყვეტლად განმეორებადი საეაჭრო კრიზისების გამო მის დანგრევასა და საბოლოო მოსპობაზე მუშაობენ, — რომ წარმოებისა და კავშირურთიერთობის ეს საშუალებანიც აგრეთვე სრულიად საკმარისი იქნება იმისათვის, რომ მოკლე დროში შეფარდება შებრუნდეს და თვითეული ცალკე ადამიანის საწარმოო ძალა იმდენად გაიზარდოს, რომ მან შესძლოს აწარმოოს 2, 3, 4, 5, 6 ადამიანის მოსახმარებლად საჭირო რაოდენობა;, რომ ქალაქის ინდუსტრიას შეუძლია ადამიანთა საკმაო რაოდენობის გარეშეც იოლად წავიდეს და სოფლის მეურნეობას სულ სხვა ძალები მოახმაროს, ვიდრე აქამდე იყო; რომ მეცნიერება, ბოლოს, სოფლის მეურნეობაშიც შეიძლება დიდი მასშტაბითა და ისევე თანამიმდევრობით იქნეს გამოყენებული, როგორც მრეწველობაში, რომ სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ ამერიკის ჩვენთვის ამოუშრეტელი თვითონ ბუნების მიერ გაპოხიერებული ოლქების ექსპლოატაცია შეიძლება სრულიად სხვაგვარი გრანდიოზული მასშტაბით იქნეს წარმოებული, ვიდრე ეს აქამდე იყო. თუ ყველა ეს მხარეები გადახნულ იქნა და მაინც ნაკლებობა ჩამოვარდება, მაშინ საკმაო დრო კიდევ იქნება, რომ საფრთხის წინააღმდეგ წინასწარ ღონისძიება იქნეს ნახ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 180.

მარი“ [1]. ამ ღონისძიებათა შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცნიერების მონაპოვრები, მეცნიერული მიღწევების დანერგვა საარსებო საშუალებათა წარმოების სხვადასხვა სფეროში. ეს ფაქტორი ააშკარავებს მალთუსის ძირითადი დასკვნების სიყალბეს მაშინაც კი თუ პირობით მის მიერ წამოყენებული თეორიული წანამძღვრების მართლზომიერებას ეცნობთ. „დავუშვათ, რომ დასამუშავებელი მიწის ფართობი განსაზღვრულია, ხოლო სამუშაო ძალა, რომელსაც ამ ფართობზე ვიყენებთ — იზრდება მოსახლეობის ზრდასთან ერთად. ისიც დავუშვათ, რომ მოსავლის სიდიდე შრომის დანახარჯების სიდიდესთან შედარებით ყოველთვის არ იზრდება იმ ზომით, როგორითაც შრომა. მაშინ რჩება მესამე ელემენტი... — მეცნიერება, მისი პროგრესი კი ისევე უსასრულოა და არა ნაკლებ სწრაფად მიმდინარეობს ვიდრე მოსახლეობის ზრდა“ [2]. მეცნიერების მიღწევების პრაქტიკაში დანერგვის ფაქტორი მძლავრად შეუწყობს ხელს საწარმოო ძალთა განვითარებას და ამდენად აამაღლებს თითოეული ადამიანის შრომის ნაყოფიერებას, — მიუთითებდა ენგელსი. შემდგომმა მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა სულ უფრო მზარდი ძალით დაადასტურა ამ დებულების ჭეშმარიტება. ეს არა მარტო წარსულის, არამედ აწმყოსა და მომავლის თვალსაზრისითაც ითქმის. მალთუსის მტკიცება ეწინააღმდეგება საარსებო საშუალებათა წარმოების ისტორიულ პრაქტიკას. ამჟამადაც კი კაცობრიობას, თუკი იგი გონივრულად აითვისებს სასოფლო სამეურნეო სავარგულებს, ათჯერ მეტი საკვების წარმოება შეუძლია, ვიდრე ეს დედამიწის ახლანდელი მოსახლეობისათვის არის საჭირო.

ამრიგად, მალთუსის დებულება, რომ „ბუნებრივი კანონია“ საარსებო საშუალებათა ზრდა არითმეტიკული პროგრესიის მიხედვით — სინამდვილეს არ შეეფერება.

მეცნიერული თვალსაზრისით ასევე გაუმართლებელი და მიუღებელია მალთუსის მეორე თეზისიც, რომლის თანახმად, დედამიწის მოსახლეობის ზრდა თითქოს გეომეტრიული პროგრესიის მიხედვით მიმდინარეობდეს, თითქოს აქაც შეუძლებელია თავიდან ავიცილოთ „აბსოლუტური ჭარბი მოსახლეობის“ „ბუნებრივი კანონი“. კაცობრიობის განვითარების ისტორია არ ადასტურებს არც ამ დებულების სისწორეს. ტენდენცია მოსახლეობის ზრდისა, რაც მის სიჭარბეში გადაიზრდება რასაკვირველია, მოქმედებს მაგრამ არა ყოველთვის და არა ყოველგვარ პირობებში. მოსახლეობის მატება იმ ზომამდე, როდესაც მისი სრული დასაქმება შეუძლებელია და სიჭარბეში ვადა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 181.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. I, გვ. 568 (რუს.).

იზრდება, კანონის სახეს იღებს მხოლოდ კაპიტალიზმის დროს. ამ კანონს „ძალა არა აქვს არც ბატონყმური წესწყობილებისათვის და არც ანტიკური მონობისათვის“ [1].

თუ კაცობრიობის ისტორიის წინაკაპიტალისტურ საფეხურებზე საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონე არ იძლეოდა შესაძლებლობას მოსახლეობის ნამეტის დასაქმებისათვის, და აქედან გამომდინარე საკმარისი საკვების წარმოებისათვის. გამოსავალი ის იყო, რომ მიგრაციული პროცესები განვითარდა: ფართოვდებოდა ადამიანებით დასახლებული ტერიტორიები, მოსახლეობის ნამეტი საწარმოო ძალად იქცეოდა.

რაც შეეხება კაცობრიობის ისტორიის შემდგომ ეტაპებს — ტექნიკური პროგრესის საფუძველზე, განსაკუთრებით თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში საარსებო საშუალებების ზრდა კი არ ჩამორჩება, არამედ პირიქით, წინ უსწრებს და ისიც მნიშვნელოვნად მოსახლეობის ზრდას როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებში. ცნობილია, რომ ამ ქვეყნებში ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით სულ უფრო მეტი სასურსათო და არასასურსათო დანიშნულების პროდუქცია იწარმოება, ვიდრე ეს მათი მოხმარებისათვის არის საჭირო.

ფ. ენგელსი აკრიტიკებდა მალთუსს „არსებობის საშუალებების დასაქმების საშუალებებთან აღრევის“[2] გამო. სინამდვილეში, კაპიტალიზმის დროს „მოსახლეობა დაწოლას ახდენს არა არსებობის საშუალებებზე, არამედ შ რ ო მ ი ს ა თ ვ ი ს ს ა ჭ ი რ ო ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ზ ე. კაცობრიობა უფრო ჩქარა გამრავლდებოდა, ეს რომ თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების მოთხოვნებს შეესაბამებოდეს“ [3]. აქ ადამიანებს იმიტომ კი არ აქვთ დასაქმების შესაძლებლობა რომ საარსებო საშუალებათა ნაკლებობაა, არამედ პირიქით, იმიტომ არა აქვთ საარსებო საშუალებანი, რომ წართმეული აქვთ დასაქმების შესაძლებლობა. თუ კაპიტალიზმის დროს ცოტა საარსებო საშუალებები იწარმოება — ეს ხდება არა იმიტომ, რომ წარმოების საზღვრები — თვით დღეისათვის და „დღევანდელი საშუალებების დროსაც კი — თითქოს ამოწურული იყოს. არა! იმიტომ რომ წარმოების საზღვრები განისაზღვრება არა მშიერი კუჭების რაოდენობით, არამედ, პირიქით, შემსყიდველი, გადახდისუნარიანი ქ ი ს ე ბ ი ს რაოდენობით. ბურჟუაზიულ საზოგადოებას არ სურს, არც შეუძლია სურდეს მეტი აწარმოოს. უფულო კუჭცარიელი მუშები, რომელთა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები. გვ. 180.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზ., ტ. I, გვ. 566 (რუს.).
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 180.

შრომა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს მ ო გ ე ბ ი თ, და რომელთაც, მაშასადამე, არც ყიდვა შეუძლიათ, ხვდებიან სიკვდილიანობის რიცხვში. თუ უეცარი სამრეწველო აღმავლობის დროს, როგორც ეს მუდმივად ხდება ხოლმე, მათი შრომა შეიძლება გამოყენებული იქნას მოგებით, მაშინ ამ მუშებსაც სასყიდლად ფული უჩნდებათ, და ამ შემთხვევაში არსებობის საშუალებებსაც ყოველთვის შოულობენ" [1].

კაპიტალიზმს არ შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა მშრომელი მასების სასარგებლოდ, რაც ფ. ენგელსის სიტყვებით, კიდევ ერთი საბუთია იმისათვის, რომ „ბურჟუაზიული საზოგადოება გამოვაცხადოთ განვითარების დამაბრკოლებელ ზღუდედ, რომელიც უნდა დაეშხოს" [2] და რომ „მალთუსის თეორიიდან ჩვენ გამოგვაქვს ყველაზე ძლიერი ეკონომიკური არგუმენტები სოციალური გარდაქმნებისათვის" [3].

მალთუსი საქმეს ისე წარმოსახავს, რომ მოსახლეობის ზრდა არ შეიძლება შეესაბამებოდეს საარსებო საშუალებათა ზრდას, მასთან შედარებით ამ უკანასკნელის დაბალი ტემპის გამო. სინამდვილეში თუ საარსებო საშუალებები ნელი ტემპით იზრდება — ეს იმიტომ ხდება, რომ მოსახლეობის გარკვეული ნაწილი შრომის საშუალებას არის მოკლებული.

იმისათვის, რომ მოსახლეობის ზრდა სრულ შესაბამისობაში მოვიდეს საარსებო საშუალებათა ზრდასთან საჭიროა მოსახლეობის სულ უფრო მზარდი მასების შეუზღუდველი ჩაბმა თვით ამ საშუალებათა წარმოებაში. ეს შესაძლებელია მხოლოდ სოციალიზმის დროს, როდესაც წარმოების მიზანს ხალხის მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის განუხრელი ამაღლება წარმოადგენს და სახალხო მეურნეობა გეგმაზომიერად ვითარდება. სწორედ სოციალიზმის დროს ისპობა „დაპირისპირება ჭარბ მოსახლეობასა — ერთი მხრივ და ჭარბ სიმდიდრეს შორის — მეორე მხრივ" [4]; საფუძველი ეცლება „უგუნურ მტკიცებას, რომ თითქოს მიწას არ შეუძლია ადამიანის გამოკვება" [5].

მალთუსის მოსახლეობის თეორია ბურჟუაზიის კლასობრივ მიზნებს ემსახურება, მშრომელთა ფართო მასების წინააღმდეგ არის მიმართული. როგორც კ. მარქსი წერდა „სწორედ ამ თეორიაზე დაყრდნობით ეკონომისტები უკვე ოცდაათ წელზე მეტია ამტკიცებენ, რომ სოციალიზმი ვერ გააუქმებს ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ დ ა მ ყ ა რ ე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 181—182.
[2] ი ქ ვ ე. გვ. 180—181.
[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზ., ტ. I, გვ. 567 (რუს.).
[4] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 566—567.
[5] ი ქ ვ ე.

ბულ სიღატაკეს, არამედ მხოლოდ საყოველთაოს გახდის მას, ვინაიდან იგი თანაბრად გაანაწილებს მას საზოგადოების მთელ ზედაპირზე“ [1].

მოსახლეობის კაცთმოძულე თეორიით მალთუსი ცდილობდა იმ ფაქტის დაფარვას, რომ მშრომელთა მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობები კაპიტალისტური წესწყობილების აუცილებელი შედეგია, რომ მასობრივ უმუშევრობას, სამრეწველო სარეზერვო არმიას, შეფარდებით ჭარბ მოსახლეობას სწორედ კაპიტალიზმი, მისი ექსპლოატატორული ბუნება წარმოშობს. როგორც ითქვა სიმართლეს არ შეიცავს დებულება, რომ თითქოს მოსახლეობის ზრდა წინ უსწრებს არსებობის საშუალებების ზრდას კაპიტალიზმის დროს. სინამდვილეში არსებობის საშუალებები იზრდება, მაგრამ კაპიტალისტური წარმოების წესი მშრომელი მასებისათვის ხელმიუწვდომელს ხდის მათ მიერვე შექმნილ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს, აღრმავებს კაპიტალიზმის ფარგლებში დაუძლეველ წინააღმდეგობას წარმოებასა და მოხმარებას შორის. მაშასადამე, შეფარდებით ჭარბი მოსახლეობა კი არ არის კაპიტალიზმის მანკიერებათა მიზეზი, არამედ თვით წარმოადგენს კაპიტალიზმის წინააღმდეგობათა გარდუვალ შედეგს და სწორედ ამ ნიადაგზე უნდა აიხსნას.

ფაქტია, რომ მსოფლიო მოსახლეობა მართლაც სწრაფად იზრდება საზოგადოების საწარმოო-ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური განვითარების კვალობაზე. ათი საუკუნის წინათ დედამიწაზე დახლოებით 300 მილიონი კაცი ცხოვრობდა. განსაკუთრებით სწრაფად მოიმატა მსოფლიო მოსახლეობამ უკანასკნელი 100—150 წლის, მეტადრე ბოლო ნახევარი საუკუნის განმავლობაში. მის გაზრდას ერთი მილიარდიდან ორ მილიარდ კაცამდე დასჭირდა 80 წელი (1850 — 1930 წლები), ორი მილიარდიდან სამ მილიარდ კაცამდე — 30 წელი (1930—1960 წლები), სამი მილიარდიდან 4 მილიარდამდე — სულ 16 წელი (1960 — 1976 წლები). ამჟამად ჩვენს პლანეტაზე 5 მილიარდი მცხოვრებია. დედამიწის მოსახლეობა ყოველ წუთში — 172 კაცით, ყოველდღიურად — 250 ათასი კაცით, ყოველწლიურად 90 მილიონი კაცით იზრდება. დემოგრაფების პროგნოზის თანახმად 2000 წლისათვის მსოფლიო მოსახლეობა 6 მილიარდ კაცს გადააჭარბებს. ამ დემოგრაფიული სტატისტიკითა და გამოთვლებით შეშფოთებულმა ბურჟუაზიულმა იდეოლოგებმა კვლავ გამოაცოცხლეს და ააღორძინეს მალთუსის ანტიმეცნიერული მოძღვრება, რომელმაც მათ ნაზრევში უკიდურესად რეაქციული ხასიათი მიიღო.

განახლებული მალთუსიანიზმი, ე. წ. ნეომალთუსიანიზმი მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივი მიზანსწრაფვის შეუნიღბავ გა-

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 24.

მოხატულებად იქცა. მისი მიმდევრები (უ. ტომპსონი, ე. ისტი, უ. ფოგტი, გ. ტეილორი (აშშ), გ. რაეო, გ. ბუტული (საფრანგეთი), და სხვ.) მალთუსის მოძღვრების პრინციპებს ემყარებიან, მაგრამ მათს და მალთუსის შეხედულებებს შორის გარკვეული განსხვავებაც არსებობს: ნეომალთუსიანელები მალთუსისაგან განსხვავებით მოითხოვენ მოსახლეობის რაოდენობის შემცირებას არა მხოლოდ მშობიარობის შემცირებისა და დაპყრობითი ომების, არამედ აგრეთვე ხალხთა მასობრივი გაჟლეტვის, ეპიდემიების გავრცელების გზით. ისინი ამართლებენ მოსახლეობის მოსპობის ისეთი საშუალებების გამოყენებას, როგორიცაა: ატომური, ქიმიური, ბაქტერიოლოგიური ომი და ა. შ. აღსანიშნავია ისიც, რომ ნეომალთუსიანელები გამოდიან როგორც განვითარებად ქვეყნებში სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მოწინააღმდეგენი. მათი აზრით ამ პოლიტიკის განხორციელების შემდეგ გაიზრდება საარსებო საშუალებები, ეს კი ახალ „დემოგრაფიულ აფეთქებებს“ გამოიწვევს. ამასთან, მათი იდეური წინამორბედის მოძღვრებას ნეომალთუსიანელები რასობრივი თეორიით განამტკიცებენ. ისინი კანონიერად თვლიან ჩვენი პლანეტის ყველა დანარჩენი მოსახლეობის შემცირებას გარდა „საუკეთესო“, ე. ი. საკუთარი რასისა (გობინო, ლაპუჟი (საფრანგეთი), დ. ნოტი, დ. გლიდონი, მ. გრანტი (აშშ), დ. ჰაიკრაფტი, ბ. კიდი (ინგლისი), ხ. ჩემბერლენი, ო. ამონი (გერმანია).

თუ ყველა ზემოდასახელებულ ანტიმეცნიერულ მოძღვრებათა არსს შევეხებით ამ კონცეფციისათვის საერთო იქნება დემოგრაფიული ფაქტორის განმსაზღვრელი როლის აღიარება საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სინამდვილეში დემოგრაფიული ფაქტორი არ არის და არც შეიძლება იყოს საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი ძალა. ამ ფუნქციას იგი მაშინ შეასრულებდა, თუ მისი საშუალებით გასაგები იქნებოდა საზოგადოებრივი წყობილების ბუნება, ერთი წყობილებიდან მეორე წყობილებაზე გადასვლის ხასიათი, საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი ცვალებადობა საერთოდ. მაგრამ სინამდვილეში მოსახლეობა, მისი სიმჭიდროვის მატება ან კლება სრულიად არ გამოდგება საზოგადოებრივი წყობილებისა და მისი ცვალებადობის ახსნის საფუძვლად. მოსახლეობისა და მისი რაოდენობრივი ცვალებადობის საფუძველზე გამორიცხულია იმის გაგება, თუ რატომ მოყვება მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია პირველყოფილ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას და რატომ ცვლის მას მაინც და მაინც ფეოდალური და არა სხვა რომელიმე წყობილება. ზუსტად ასევე წმინდა დემოგრაფიული ცვლილებებით არ საბუთდება ფეოდალიზმის კაპიტალიზმით შეცვლის, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე რევოლუციური გადასვლის აუცილებლობა. არამეცნიერული და მიუღებელია ხელოვნური კონსტრუქციები, რომლებსაც

დემოგრაფიული დეტერმინიზმის მქადაგებლები თვით საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურისა და მისი გამარადისების გასამართლებლად მიმართავენ. მეცნიერული და ჰუმანური პოზიციებიდან დემოგრაფიული ფაქტორის გამოცხადება სრულიად შეუწყნარებელია კლასობრივი ანტაგონიზმის, ერთთა განუსაზღვრელი სიმდიდრისა და უფლებამოსილების, ხოლო მეორეთა გარდაუვალი სიღატაკისა და უუფლებობის პირველმიზეზად. შეიძლებოდა პირიქით გვეთქვა, უაღრესად მწვავე და საკუთარ ბაზაზე გადაუჭრელ დემოგრაფიულ პრობლემებს სწორედ ექსპლოატატორული, ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი და გათიშული საზოგადოება ბადებს.

მოსახლეობის სიმრავლე საზოგადოების განვითარების განმსაზღვრელი რომ იყოს, მაშინ ადამიანთა უფრო მჭიდრო დასახლება საზოგადოებრივი წყობილების უფრო მაღალ ტიპს გამოიწვევდა. მაგრამ ისტორიული და თანამედროვე გამოცდილებით ასეთი მიზეზშედეგობრივი კავშირი არ დასტურდება. ასე, მაგალითად, მოსახლეობის საერთო რაოდენობით, აგრეთვე ადამიანთა დასახლების სიმჭიდროვით გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა სამჯერ აღემატება, რუმინეთის სოციალისტურ რესპუბლიკას, რომელიც საზოგადოებრივი წყობილების თვალსაზრისით გაცილებით მაღლა დგას პირველთან შედარებით. იგივე ითქმის ბელგიისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, იტალიისა და პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების მოსახლეობის რაოდენობისა და საზოგადოებრივი წყობილების თანაფარდობის შესახებ.

მეორე მხრივ არც მოსახლეობის დაბალი სიმჭიდროვეა საზოგადოებრივი პროგრესის მაღალი ტიპის გამომწვევი, მაგალითად, თურქეთში გაცილებით დაბალია მოსახლეობის სიმჭიდროვე, ვიდრე საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანის სოციალისტურ რესპუბლიკებში, მაგრამ კაპიტალისტური თურქეთი მთელი ისტორიული ეპოქით ჩამორჩება ამიერკავკასიის სოციალისტურ რესპუბლიკებს.

ცნობილია, აგრეთვე, რომ რიგ ქვეყნებში აღინიშნება მოსახლეობის ერთი და იგივე რაოდენობა ან სიმჭიდროვე. მაგრამ ეს ქვეყნები ცირეულად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილების მხრივ. მაგალითად, ავსტრიისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკისათვის მოსახლეობის თითქმის ერთნაირი სიმჭიდროვეა დამახასიათებელი, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თვალსაზრისით კი ისინი თვისებრივად განსხვავებულ სტადიებზე დგანან, ავსტრია კაპიტალისტური ქვეყანაა, ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკამ კი დიდი ხანია რაც ბოლო მოუღო კაპიტალიზმს და ამჟამად განვითარებულ სოციალიზმს აშენებს.

მოსახლეობის სიმჭიდროვე რომ არ განსაზღვრავს საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს იქიდანაც ჩანს, რომ არსებობენ წყობილებით ერთტიპური, მაგრამ მოსახლეობის სიდიდით და ადამიანთა დასახლების სიმჭიდროვით ძალზე განსხვავებული ქვეყნები. ასეთი განსხვავება დამახასიათებელია ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, იაპონიის, იტალიისა და სხვა ქვეყნებისათის, რომლებიც საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილებით ერთტიპურნი — კაპიტალისტურნი არიან. პოლონეთის, ბულგარეთის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკებში, აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის მთელი რიგი სხვა, წყობილებით ერთტიპური — სოციალისტური ქვეყნები აგრეთვე გაჰსხვავდებიან ერთმანეთისაგან მოსახლეობის რაოდენობისა და სიმჭიდროვის მიხედვით.

თვით ერთსა და იმავე ქვეყნებშიც მოსახლეობის თითქმის თანაბარი სიმჭიდროვის პირობებში ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე შეიძლება იყოს ერთი, ხოლო სხვა ეტაპზე მისგან თვისებრივად განსხვავებული მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილება.

ბეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო ნიადაგის კლებადი ნაყოფიერების თეორიას, რომელსაც მალთუსის და მისი მიმდევრების მოძღვრება ემყარება. საზოგადოებრივი პროგრესის, მეცნიერების და ინდუსტრიის განვითარების შესაბამისად საზოგადოებას სრული შესაძლებლობა აქვს გაადიდოს ნიადაგის ნაყოფიერება იმ მიწებზეც კი, რომლებიც ადრე უნაყოფოდ მიაჩნდათ. „უეჭველია, რომ ცივილიზაციის პროგრესთან ერთად სულ უფრო და უფრო ცუდი მიწები შედის დამუშავებაში, მაგრამ უეჭველია ისიც, რომ ეს ცუდი მიწები შეფარდებით კარგი მიწებია იმ მიწებთან შედარებით, რომლებიც წინათ კარგ მიწებად ითვლებოდა. ამის მიზეზია მეცნიერების და ინდუსტრიის პროგრესი“ [1].

მარქსიზმის კლასიკოსებს ჯერ კიდევ გასული საუკუნის სამრეწველო ბაზა მიაჩნდათ იმის გარანტიად, რომ ადამიანთა საარსებო მოთხოვნილებანი რაციონალურად ყოფილიყო დაკმაყოფილებული შესაბამისი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში.

მით უფრო ითქმის ეს თანამედროვე კაცობრიობის მიმართ, რომელსაც შესაბამისი სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების დროს კოლოსალური მატერიალური, ტექნიკური და მეცნიერული ძალები აღმოაჩნდება იმისათვის, რომ თავისუფლად დააკმაყოფილოს ყველა ადამიანის საარსებო მოთხოვნილებანი.

შევეხოთ თუნდაც კვების პროდუქტებით კაცობრიობის მოთხოვ-

---

[1] კ. მარქსი, ფ ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 39.

ნილების დაკმაყოფილების საკითხს. მეცნიერთა გამოთვლით, ერთ ადამიანს დღის განმავლობაში ესაჭიროება 750 გრამი მცენარეული და 250 გრამი ცხოველური წარმოშობის საკვები (ხმელ საკვებზე გაანგარიშებით). 3 მილიარდ მცხოვრებს ერთი წლის განმავლობაში აკმაყოფილებს 800 მილიონი ტონა მცენარეული და 270 მილიონი ტონა ცხოველური წარმოშობის საკვები, რისთვისაც აუცილებელია თანამედროვე აგროტექნიკური საშუალებებით ყოველწლიურად დამუშავდეს 310 მილიონი ჰექტარი მიწა. მიწის ფართობის ეს რაოდენობა შეადგენს ჩვენი პლანეტის ხმელეთის მხოლოდ 2,2 პროცენტს. საჭიროების შემთხვევაში შეიძლება ათვისებულ იქნეს დედამიწის მთელი ხმელეთის გაცილებით მეტი ფართობები. გარდა ამისა თუ მხედველობაში მივიღებთ მიწის აგროტექნიკური დამუშავების დარგში მოსალოდნელ მომავალ პროგრესს, გასაგები იქნება, რომ მსოფლიო მოსახლეობის მოთხოვნილებათა კვების პროდუქტებით დასაკმაყოფილებლად ფაქტიურად განუსაზღვრელი შესაძლებლობანი არსებობს. იგივე ითქმის სხვა საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიმართ. ამით ერთხელ კიდევ დასტურდება სიყალბე ბურჟუაზიული იდეოლოგიისა, რომელსაც ბიოლოგიური, გეოგრაფიული და სხვა მოტივებით შიმშილი, სიღატაკე და უბედურება კაცობრიობის განუყრელ ხვედრად მიაჩნია. სინამდვილეში ამ სოციალურ უბედურებათა წყაროს წარმოადგენს კაპიტალიზმი — ექსპლოატატორული წყობილება, რომელიც სისტემატურად ბადებს კონფლიქტს წარმოებასა და მოხმარებას შორის და მშრომელთა ფართო მასებს მზარდ ეკონომიკურ სიძნელეებს უქმნის.

„ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილ იქნეს არსებობა, რომელიც არა მარტო მატერიალურად სავსებით საკმაო იქნება და დღითი დღე უფრო ბარაქიანი გახდება, არამედ აგრეთვე მათი ფიზიკური და სულიერი ნიჭის სრულიად თავისუფალი განვითარებისა და გამოყენების გარანტიას მისცემს, ეს შესაძლებლობა ახლა პირველადაა მიღწეული, მაგრამ იგი მართლაც მიღწეულია“ [1] — აღნიშნავდა ფ. ენგელსი.

მაგრამ ეს არის შესაძლებლობა, რომელიც სინამდვილედ იქცევა მხოლოდ სოციალიზმის დროს, წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების პირობებში, საზოგადოებაში მოქმედი ძირეული ფაქტორებით, მატერიალური დოვლათის წარმოების წესით, საზოგადოებრივი წყობილების ხასიათით და მისი განვითარების დონით. „ადამიანის გამრავლების პირობები უშუალოდ დამოკიდებულია

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 337.

სხვადასხვა სოციალური ორგანიზმის აგებულებაზე, ამიტომ მოსახლეობის კანონი ყოველი ასეთი ორგანიზმისათვის უნდა შეევისწავლოთ ცალკე და არა „აბსტრაქტულად", საზოგადოებრივი წყობილების ისტორიულად სხვადასხვა ფორმის დამოუკიდებლად"[1] — წერდა ვ. ი. ლენინი.

მატერიალური წარმოების განვითარება კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად თვით ახდენს აქტიურ ზემოქმედებას მოსახლეობაზე, მისი სიმჭიდროვის ხასიათზე[2]. ისტორიულად განსაზღვრულ ყოველ წარმოების წესს მოსახლეობის საკუთარი წესი შეესაბამება. კაპიტალიზმისათვის სპეციფიკურია შეფარდებითი ჭარბი მოსახლეობის, სამრეწველო სარეზერვო არმიის შექმნისა და ზრდის წესი. ეს წესი სრულიადაც არ არის მარადიული, როგორსაც მას მალთუსიანელები სახავენ, არამედ მოქმედებს მხოლოდ კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების დროს, როდესაც წარმოება მაქსიმალური მოგების ინტერესებს ემსახურება. ამ პირობებში ტექნიკური პროგრესის, შრომის ნაყოფიერების ზრდის შედეგად გარდუვალია მუშების გამოდევნა წარმოების სფეროდან, მათი უმუშევრობა და სიღატაკე.

სოციალიზმმა მოსპო უდიდესი სოციალური ბოროტებანი — ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა და უთანასწორობა. მან წინსვლის კანონად აქცია ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფა, პიროვნების გონებრივ და ფიზიკურ ძალთა ჰარმონიული განვითარება. წარმოების დაქვემდებარება ხალხის კეთილდღეობის ინტერესებისადმი — სოციალიზმის დიდ უპირატესობებს მიეკუთვნება, რაც მთელი ძალით ვლინდება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში. სოციალისტური ეკონომიკა ხელს უწყობს მოსახლეობის სისტემატურ ზრდას და შრომითი რესურსების გაფართოებას, იძლევა ეფექტიანი დემოგრაფიული პოლიტიკის გატარების შესაძლებლობას. ჩვენი დემოგრაფიული პოლიტიკის მთავარი მიმართულებებია შობადობის დონის ზრდა და სიკვდილიანობის კლება, განქორწინების რიცხვის შემცირება, მიგრაციული და ურბანიზაციული პროცესების ოპტიმალური მართვა, საამისოდ საჭირო ღონისძიებების შემუშავება და გატარება.

სოციალისტური საზოგადოება ყველა საჭირო პირობას ქმნის ადამიანთა სრული დასაქმებისათვის, ყველგან, მათ შორის ქვეყნის

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 549.

[2] ამ საკითხზე იხ. Болдырев В. А. Экономический закон населения при социализме. М., 1968. Марксистско-ленинская теория населения. М., 1971; Исупов А. Рост мирового населения и вопросы демографической политики. М., 1982; Судоплатов А. Международные проблемы народонаселения современного мира. М., 1981. Сб. Факторы рождаемости. М. 1971.

ჯერ კიდევ აუთვისებელ ან ნაკლებად ათვისებულ ტერიტორიებზე მოსახლეობის ზრდისა და ნაყოფიერი შრომისათვის. ბუნებრივია, რომ მშრომელი მასების მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურის დონის განუხრელი ამაღლების, შრომის პირობების, საყოფაცხოვრებო, საბინაო, სამედიცინო, ჰიგიენური და სხვა სახის მომსახურების გაუმჯობესების შედეგად სულ უფრო იზრდება სიცოცხლის საშუალო ხანგრძლიობა სოციალისტურ საზოგადოებაში, იკლებს სიკვდილიანობის დონე. თუ 1913 წელს სიცოცხლის ხანგრძლიობა ჩვეხს ქვეყანაში 32 წელი იყო, 1940 წელს იგი უკვე 47 წლამდე ავიდა, ხოლო ამჟამად 70 წელს აჭარბებს. მოსახლეობის ყოველწლიური ბუნებრივი მატება ჩვენს ქვეყანაში 2 მილიონ კაცს უდრის. 1940 წელს სსრ კავშირის მოსახლეობა 194,1 მილიონი კაცი იყო, 1961 წელს 216,3 მილიონი, 1977 წელს 258,9 მილიონი, ხოლო 1988 წლის 1 იანვრისათვის მან 276,3 მილიონი კაცი შეადგინა.

მოსახლეობის ზრდის სწრაფი ტემპი სსრ კავშირში, აგრეთვე მის აღმოსავლეთ ნაწილში მოსახლეობის სიჭარბის ამაღლების ტენდენცია უპასუხებს და შეესაბამება ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების ობიექტურ მოთხოვნებს. ამის გათვალისწინებით ხდება სახალხო მეურნეობის მძლავრი განვითარების, სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის და უშიშროების ამოცანების გადაჭრა.

ცხოვრება თვითონ ააშკარავებს იმ ბურჟუაზიული ლეგენდების სიყალბეს, რომელიც კაცობრიობას მოუწოდებს შიშით ძრწოდეს „დემოგრაფიულ აფეთქებათა“ წინაშე.

სინამდვილეში მოსახლეობის ზრდა არავითარ ტრაგიკულ დასასრულს არ უქადის ადამიანთა საზოგადოებას, კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლას, მხოლოდ სოციალისტურ, კომუნისტურ საზოგადოებას შესწევს იმის უნარი, რომ დააკმაყოფილოს მშრომელების, მთელი მოსახლეობის მუდმივად მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი. ამისათვის საჭირო ბუნებრივ რესურსებს საკმაოდ შეიცავს ჩვენი დედამიწა, მისი ნაყოფიერი ნიადაგი, მდიდარი წიაღისეული, ჯერ კიდევ აუთვისებელი ოკეანეთა სიღრმეები და კოსმოსური სივრცეები და ა. შ.

ეს ასეა, მაგრამ სამერმისოდ კითხვა მაინც ისმის: ბოლოს და ბოლოს, თუნდაც მეტად შორეულ მომავალში კაცობრიობას ელის თუ არა მოსახლეობის ზრდით გამოწვეული საფრთხე, მის წინაშე დაგება თუ არა მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის რეგულირების პრობლემა? და თუ ეს პრობლემა დადგა — მაშინ რა გზებით შეეცდება იგი მის გადაჭრას? ამ კითხვაზე შესანიშნავი პასუხი გასცა ფ. ენგელსმა, რომელმაც აღნიშნა: „აბსტრაქტული შესაძლებლობა

კაცობრიობის ისეთი რიცხობრივი ზრდისა, რომელიც აუცილებელს გახდიდა ამ ზრდისათვის ზღვარი დაგვედო, რასაკვირველია, არსებობს. მაგრამ თუ ოდესმე კომუნისტური საზოგადოება იძულებული იქნება ადამიანთა წარმოება მოაწესრიგოს იმგვარადვე, როგორც იგი ამ დროისათვის უკვე მოაწესრიგებს საგანთა წარმოებას, მაშინ სწორედ ის ამის შესრულებასაც სულ ადვილად შეძლებს... ყოველ შემთხვევაში, კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანები თვითონ გადაწყვეტენ: არის თუ არა საჭირო ამისათვის რაიმე ზომების გამოყენება და როდის, როგორ, და სახელდობრ როგორი ზომების. მე არ მიმაჩნია ჩემი თავი იმისათვის მოწოდებული, რომ მათ რაიმე შეეთავაზო ანდა სათანადო რჩევა-დარიგებანი მივცე. ეს ადამიანები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენზე და თქვენზე უფრო ნაკლები ჭკუის როდი იქნებიან" [1].

უკვე ამჟამად მძლავრად იწყებენ მოქმედებას მოსახლეობის რიცხვის მასტაბილიზირებელი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, მათ შორის მზარდი ურბანიზაციისა და ინდუსტრიალიზაციის პროცესები, ქალის სულ უფრო მეტი რაოდენობით ჩაბმა შრომით საქმიანობაში, განათლების, კულტურის დონის ამაღლება, კულტურულ მოთხოვნილებათა გამრავალფეროვნება, მედიცინის განვითარება და სხვ. ყოველივე ამის შედეგად თვისებრივ მომენტებს შვილების აღზრდაში და ამასთან დაკავშირებით შვილების შეგნებულ შიდასაოჯახო რეგლამენტირებას მეტი ყურადღება ექცევა. თუ მეოცე საუკუნის დასაწყისში ამ მოთხოვნით უდგებოდა ბავშვების რაოდენობის რეგულირებას დაქორწინებულ წყვილთა მხოლოდ 8%, ამჟამად მათი რიცხვი 45%-ს აჭარბებს. დემოგრაფთა გაანგარიშებით, საკვარაუდოა აღნიშნული პროცესების გლობალური განვითარება, მოსალოდნელია, რომ უკვე 21-ე საუკუნის დასაწყისში შესაბამისი ფაქტორების საყოველთაოდ მოქმედების გამო ყოველ დაქორწინებულ წყვილს ეყოლება საშუალოდ 2,2—2,5 ბავშვი, რაც მსოფლიო მასშტაბით მოსახლეობის რიცხვის შეფარდებითი სტაბილიზაციის მაჩვენებელი იქნება (11 — 12 მილიარდი კაცი 21 საუკუნის დასასრულისათვის) [2].

ამრიგად, მოსახლეობის ზრდა საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი მიზეზი კი არ არის, არამედ თვითაა პირობადებული საზოგადოებაში მოქმედი სიღრმისეული ძალებით და მათ ბაზაზე აიხსნება.

შრომა, წარმოება — საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველი. ამრიგად, გეოგრაფიული გარემო და მოსახლეობა საზო-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. წერილები „კაპიტალის" შესახებ, 1952, გვ. 270—271.

[2] Философская энциклопедия. М., 1983. стр. 401.

გადოების არსებობისა და განვითარების მუდმივად მოქმედი ბუ-ნებრივ-მატერიალური პირობებია. როგორც აღინიშნა დიდია მათი მნიშვნელობა, მათ შეუძლიათ დააჩქარონ ან შეანელონ საზოგადოებების წინსვლა, მაგრამ არცერთი მათგანი არ არის საზოგადოებრივი განვითარების განმსაზღვრელი ძალა.

დიალექტიკური მატერიალიზმის თანახმად ცნობილია, რომ სამყაროს საგნების, მოვლენებისა და პროცესების განვითარების წყარო თვით მათ შინაგან ბუნებაში ძევს. როდესაც ამ დებულებას საზოგადოებას მივუყენებთ, ნათელი იქნება აგრეთვე, რომ საზოგადოების პროგრესული მოძრაობა თავის საკუთარ საფუძველს, მისთვის სპეციფიკურ იმანენტურ წყაროს ემყარება.

რასაკვირველია, ნათლად უნდა გვქონდეს გარკვეული, თუ რას ვგულისხმობთ „საზოგადოების საფუძვლის" ცნებაში.

საზოგადოების საფუძველი, უწინარეს ყოვლისა, არის ის, რაც მის არსებობას განსაზღვრავს. სწორედ მასზე დაყრდნობით გახდება შესაძლებელი იმის გაგება, თუ რატომ არსებობს საზოგადოება, რა უქმნის მას თავისთავადობას, როგორც ობიექტური სინამდვილის განსაკუთრებულ სფეროს. მაგრამ საზოგადოების საფუძვლით მარტო მისი არსებობა არ განისაზღვრება, მასზე დამოკიდებულია საზოგადოების სტრუქტურული ბუნებაც, ნებისმიერ ეპოქასა და პირობებში, იგი გასაღებას გვაძლევს საზოგადოების აგებულების გასაგებად.

საზოგადოების საფუძვლის როლი არც ამით ამოიწურება. იგი, საბოლოო ანგარიშით იწვევს ცვლილებებს მთელი საზოგადოების ცხოვრებასა და საქმიანობაში, მის სტრუქტურაში, მის ბაზაზე მოქმედებენ საზოგადოების მამოძრავებელი ძალები.

დაბოლოს, საზოგადოების საფუძველია ის, რაც მისი განვითარების განმსაზღვრელი და ამხსნელია, მას უნდა დავემყაროთ, რათა პროგრესის თვალსაზრისით შევაფასოთ ისტორიული პროცესების მსვლელობა, პასუხი მივიღოთ კითხვაზე: არსებობს თუ არა განვითარება საზოგადოებაში და კონკრეტულად რაში მდგომარეობს იგი?

ამრიგად, საზოგადოების საფუძველი არის სოციალური ორგანიზმის არსებობის, სტრუქტურის, ცვალებადობისა და განვითარების მთავარი განმსაზღვრელი ძალა.

საზოგადოებისათვის ამ როლს შრომა, მატერიალური წარმოება ასრულებს.

საზოგადოების არსებობისა და განვითარებისათვის მხოლოდ ორი, ბუნებრივ-მატერიალური პირობა — გეოგრაფიული გარემო და მო-

სახლეობა საკმარისი არ არის. ბუნებრივი გარემო მოცემულია ცხოველთა სამყაროსათვისაც, ცხოველებისთვისაც დამახასიათებელია აგრეთვე გარკვეული სახეობრივი სიმრავლე, მაგრამ ცხოველებიდან არასოდეს აღარ წარმოსდგება საზოგადოება. საზოგადოების არსებობისათვის აუცილებლია, რომ ადამიანები აქტიურ კავშირში იყვნენ გარემომცველ ბუნებასთან, გარდაქმნან იგი საკუთარი მიზნების შესაბამისად, მოიპოვონ მატერიალური დოვლათი, რომელიც უშრომლად არ იქმნება. მაშასადამე, წარმოება, შრომა, გეოგრაფიულ გარემოსა და ხალხთმოსახლეობის მსგავსად აგრეთვე არის საზოგადოების არსებობა-განვითარების აუცილებელი და მუდმივად მოქმედი პირობა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ამ პირობებს თანაბარი მნიშვნელობა ჰქონდეთ საზოგადოებისათვის.

შრომის, მატერიალური დოვლათის წარმოების თავისებურებაა ის, რომ იგი არის არა მარტო აუცილებელი, არამედ განმსაზღვრელიც საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობათა სისტემაში.

შრომის, წარმოების პროცესში იქმნება ადამიანთა საარსებო საშუალებანი და თვით საზოგადოების მატერიალური ცხოვრება. ადამიანთა საზოგადოების ფიზიკური არსებობა იმთავითვე მოითხოვს შინაგან მატერიალურ ბაზას, რომელსაც იგი ემყარება. კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ შრომა, წარმოება არის „პირველი წანამძღვარი ყოველი ადამიანური არსებობისა, მაშასადამე, ყოველი ისტორიისაც, სახელდობრ ის წანამძღვარი, რომ ადამიანებს უნდა ჰქონდეთ ცხოვრების შესაძლებლობა, რათა „ისტორიის კეთება“ შეეძლოთ“ [1]. და შემდეგ „ცხოვრებისათვის საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, საჭმელი და სასმელი, ბინა, ტანსაცმელი და კიდევ ზოგიერთი რამ. ამრიგად, პირველი ისტორიული აქტი ეს არის ამ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისათვის აუცილებლად საჭირო საშუალებათა წარმოება, წარმოება თვით მატერიალური ცხოვრებისა. ამასთან ეს ისეთი ისტორიული საქმეა, ყოველი ისტორიის ისეთი ძირითადი პირობაა, რომელიც (ამჟამად ისევე როგორც ათასეული წლების წინათაც) ყოველდღიურად და მუდმივად უნდა სრულდებოდეს — უკვე მარტო იმისათვის, რომ ადამიანებს ცხოვრება შეეძლოთ“ [2].

საზოგადოების სულიერი საქმიანობა წანამძღვრად აგრეთვე მატერიალური დოვლათის წარმოებას გულისხმობს. ადამიანები თეორიულ მოღვაწეობას ვერ შეუდგებიან, თუ წინასწარ უზრუნველყოფილი არ არიან საკუთარი მატერიალური არსებობის საშუალებე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 24.
[2] იქვე.

ბით. „... ადამიანები არავითარ შემთხვევაში არ იწყებენ იმით, რომ იდგნენ თეორიულ ურთიერთობაში გარე ქვეყნის საგნებთან... ისინიც იწყებენ იმით, რომ ჭამენ და სვამენ და ა. შ. ე. ი. კი არ დგანან რაიმე ურთიერთობაში, არამედ აქტიურად მოქმედებენ, მოქმედების მეშვეობით ეუფლებიან გარე ქვეყნის გახსაზღვრულ საგნებს და ამგვარად იკმაყოფილებენ თავიანთ მოთხოვნილებებს (ისინი, მაშასადამე, წარმოებით იწყებენ)“ [1].

ისიც უნდა ითქვას, რომ ადამიანთა სულიერი სამყარო, მათი შეხედულებები და წარმოდგენები მათსავე მატერიალურ ცხოვრებას ასახავენ. ამ თვალსაზრისითაც მატერიალური ცხოვრების წარმოება ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის წინაპირობა და საფუძველია.

მაშასადამე, საზოგადოების არსებობას და მის სულიერ საქმიანობას მატერიალური დოვლათის წარმოება განსაზღვრავს. წარმოება განსაზღვრავს აგრეთვე საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, საზოგადოების სტრუქტურას, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციიდან მეორეზე გადასვლას და ა. შ., რაც დასაბუთებული იქნება ისტორიული მატერიალიზმის შესაბამისი საკითხების განხილვის დროს.

შრომა. შრომის პროცესის ელემენტები. ბუნებაში მზამზარეული სახით არ მოიპოვება ადამიანთა არსებობისათვის აუცილებელი საშუალებანი: საკვები, ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცხოვრებელი ბინები, შრომის იარაღები, მიმოსვლის საშუალებანი და სხვ. ადამიანისათვის საჭირო ნივთიერი სიმდიდრის ყოველი ელემენტი გამეშვევებულია „სპეციალური, მიზანშეწონილად წარმართული მწარმოებლური მოქმედებით, რომელიც ბუნების გარკვეულ ნივთიერებებს ადამიანის გარკვეულ მოთხოვნილებებს უფარდებს“ [2]. ბუნება მხოლოდ მასალას, ნივთიერებას გვთავაზობს საარსებო საშუალებების შესაქმნელად. მაგრამ ბუნების მასალა ადამიანისათვის საჭირო სახეს ვერ მიიღებს თავისთავად, მასზე ზემოქმედებისა და გარკვეული მიმართულებით მისი გარდაქმნის გარეშე. ეს კი შრომის მეოხებით ხდება.

„შრომა არის უწინარეს ყოვლისა, პროცესი ადამიანსა და ბუნებას შორის, პროცესი, რომელშიც ადამიანი თავისი საკუთარი მოქმედებით მოსაშუალეობს, აწესრიგებს და კონტროლს უწევს ნივთიერებათა ცვლას თავისსა და ბუნებას შორის“ [3].

ამრიგად, ბუნების ნივთიერებას საკუთარი საჭიროებისათვის გა-

---

[1] კ. მარქსი, კრიტიკული შენიშვნები ადოლფ ვაგნერის წიგნზე, 1932, გვ. 14.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, 1954, ტ. I, გვ. 59.
[3] იქვე, 227.

მოსადეგი ფორმა რომ მისცენ, ადამიანებმა თავისი სამუშაო ძალა უნდა მოიხმარონ, ე. ი. ხელი მიჰყონ მატერიალური დოვლათის დამზადებას, წარმოებას, შრომას. „შრომის პროცესი... არის მიზანშეწონილი მოქმედება სახმარ ღირებულებათა შესაქმნელად, მითვისება ბუნების მონაცემისა ადამიანთა მოთხოვნილებათათვის, საყოველთაო პირობა ნივთიერებათა ცვლისა ადამიანსა და ბუნებას შორის, მარადიული ბუნებრივი პირობა ადამიანთა ცხოვრებისა, და მაშასადამე, იგი დამოუკიდებელია ამ ცხოვრების ამა თუ იმ ფორმისაგან, პირიქით, საერთოა მისი ყველა საზოგადოებრივი ფორმისათვის“ [1].

შრომის პროცესის მარტივი ელემენტებია: ა) მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ან უ თ ვ ი თ შ რ ო მ ა; ბ) შ რ ო მ ი ს ს ა გ ა ნ ი; გ) შ რ ო მ ი ს ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი.

შრომის პროცესი შეუძლებელია ისე, თუ არ არსებობს შრომის ს ა გ ა ნ ი, რომლის გარდაქმნაც უნდა მოხდეს. მაშასადამე, შრომის საგანი შეჭრილია წარმოების პროცესში და მის ერთ-ერთ ძირითად ელემენტს შეადგენს. შრომის საგანში იგულისხმება ყოველივე ის, რაზეც ადამიანი თავის შრომას მიმართავს.

დედამიწა არის ადამიანის შრომის საყოველთაო საგანი. როდესაც ადამიანი რაიმე ნივთს გარემომცველი ბუნებიდან გამოაცალკევებს, მაშინ ეს ნივთი ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანია. მაგრამ შრომის საგანი შეიძლება შეიცავდეს ადამიანთა წინანდელი შრომის შედეგსაც (მაგალითად, მადანი). ამ შემთხვევაში შრომის საგანი ნედლი მასალის სახით გვეძლევა. წარმოების პროცესში მონაწილეობს როგორც ბუნების მიერ მოცემული შრომის საგანი, ისე ნედლი მასალა, რომელშიც ადამიანის შრომა უკვე განივთებულია.

შრომის საგანი თავისთავად არ გარდაიქმნება ისე, რომ მან ადამიანის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. მისი გარდაქმნა ადამიანთა მოთხოვნილებების შესაბამისად მასზე გარკვეული მატერიალური საშუალებებით ზედმოქმედების გზით უნდა მოხდეს. ეს საშუალებები შრომის საშუალებებია, ვინაიდან მათი გამოყენებით ადამიანები ზემოქმედებენ შრომის საგანზე და გარდაქმნიან მას.

„შრომის საშუალება არის ნივთი ანუ კომპლექსი ნივთებისა, რომელთაც მუშა თავისსა და შრომის საგანს შორის ათავსებს და რომელნიც მისთვის ამ საგანზე მისი ზემოქმედების გადამტანის როლს ასრულებენ“ [2].

თავდაპირველად, კაცობრიობის განვითარების ადრეულ ეტაპებზე ადამიანს შრომის საშუალებად ემსახურებოდა ბუნების რაიმე შზა

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, 1954, ტ. I, გვ. 235 — 236.
[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, 1954. გვ. 229.

საგანი, მაგალითად, ქვა, რომელსაც იყენებდა სასროლად, საჭრელად, სახეხად, საწნევად და ა. შ. ამ დროს მას ჯერ კიდეე არ შეეძლო შრომის საშუალებების დამუშავება. შემდგომში კი შრომის პროცესის განვითარების კვალობაზე ადამიანმა ისწავლა შრომის საშუალებების დამუშავება. თანდათანობით ჩნდება ქვის, ხის, ძვლების, ნიჟარების სამუშაო იარაღები. შრომის დამუშავებული საშუალებების გამოყენება, რასაკვირველია, გაცილებით მეტ სარგებლობასთან იყო დაკავშირებული.

განვითარების რა საფეხურზედაც არ უნდა იდგეს საზოგადოება, წარმოების ფუნქციონირება შეუძლებელია შრომის საშუალებების გარეშე. ამიტომ შ რ ო მ ი ს ა შ უ ა ლ ე ბ ე ბ ი აგრეთვე არის შრომის პროცესის აუცილებელი ელემენტი. შრომის საშუალებებს კ. მარქსი ორ ჯგუფად ყოფდა: ა) შრომის მექანიკურ საშუალებებად, ე. ი. იმ ძირითად საშუალებებად, რომლითაც ადამიანები შრომის პროცესს ახორციელებენ. აქ უპირატესად იგულისხმება შრომის იარაღების ერთობლიობა, რასაც კ. მარქსი წარმოების ძვალ-კუნთოვან სისტემას უწოდებს. ბ) შრომის საშუალებებად, რომლებიც შრომის საგნის შენახვას ემსახურება (მაგალითად: კასრები, მილები, ქილები, კალათები და სხვ.). შრომის ამგვარ საშუალებათა ერთობლიობა, კ. მარქსის სიტყვებით, წარმოების სისხლძარღვოვანი სისტემაა.

შრომის პროცესი მაშინ ხორციელდება, როდესაც შრომის საშუალებები შრომის საგანს უკავშირდება. შრომის საშუალებების დაკავშირება შრომის საგანთან ხდება ადამიანის მიზანშეწონილი მოქმედების საფუძველზე, მისი უნარის მწარმოებლური ხარჯვის გზით.

მ ი ზ ა ნ შ ე წ ო ნ ი ლ ი მ ო ქ მ ე დ ე ბ ა შრომის პროცესის ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი მომენტია. ადამიანი შეგნებულ, მიზანდასახულ მოქმედებას ახდენს ბუნებაზე, რათა ბუნება საკუთარ მოთხოვნილებებს შეუგუოს. მისთვის წინასწარვე ცნობილია, თუ რა საშუალებებით უნდა იმოქმედოს ბუნებაზე, როგორ უნდა წარმართოს ეს მოქმედება და რა საბოლოო შედეგები უნდა მიიღოს შრომითი მოქმედების საფუძველზე. „შრომის პროცესის დასასრულს ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“ [1].

ადამიანი წარმოების სუბიექტია. შრომის პროცესში იგი აუცილებლად ხარჯავს საკუთარ, იმანენტურ ძალებს მიუხედავად იმისა, თუ რა სახისა და სრულყოფის იარაღებს აყენებს თავის თავსა და ბუნებას შორის. ამ ძალებისა და უნართა გამოყენება მიმდინარეობს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.

ორი მიმართულებით: ფიზიკურად და გონებრივად. სუბსტანციური ბუნების თვალსაზრისით ადამიანის შრომა არის მისი „საკუთარი ფიზიკური და სულიერი ძალების თავისუფალი მოძრაობა“ [1]; ადამიანს „მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება თავისი საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს“ [2].

ამრიგად, შრომის საგანი, შრომის საშუალებები და ადამიანის მიზანდასახული მოქმედება — ასეთია შრომის პროცესის მარტივი შემადგენელი ელემენტები. ამ აზრით შრომა და წარმოება ერთმანეთს ემთხვევა, წარმოების ელემენტები ამავე დროს შრომის ელემენტებს შეადგენენ. შეიძლება ითქვას, რომ ვიწრო მნიშვნელობით წარმოების პროცესი შრომის პროცესია. მაგრამ წარმოება უნდა განვიხილოთ ფართო მნიშვნელობითაც. სახელდობრ, საზოგადოებრივი წარმოების განხორციელებისათვის აუცილებელია როგორც პროდუქტების წარმოება, ისე მათი ინდივიდუალური მითვისება, ხოლო ~~წარმოებული~~ პროდუქტების ~~მოძრაობა~~ ~~ინდივიდუალურ~~ ~~მითვ~~ისებამდე გულისხმობს განაწილებას, გაცვლას და ბოლოს, მოხმარებას. წარმოება მოითხოვს ამ ელემენტებს, მათ ერთიანობას.

თუ წარმოებას განვიხილავთ ფართო მნიშვნელობით, იგი, მაშასადმე, ერთმანეთისაგან განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ ელემენტებს — საკუთრივ წარმოებას, განაწილებას, გაცვლასა და მოხმარებას შეიცავს.

შრომის საზოგადოებრივი ხასიათი. შრომა საზოგადოებრივი მოვლენაა ყოველ დროსა და ყოველგვარ პირობებში, იგი მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. მხოლოდ ადამიანებს შეუძლიათ შრომა, შრომის იარაღების შექმნა და გამოყენება მიზანდასახული საქმიანობის საფუძველზე.

ცხოველებს არა აქვთ შრომის იარაღების შექმნის, არც მიზანდასახული მოქმედების უნარი. მართალია, ჩანასახოვანი ფორმით ზოგიერთი სახეობის ცხოველებში შესამჩნევია შრომის იარაღების გამოყენების უნარი, მაგრამ ამ შემთხვევაში შრომის იარაღები უნდა გავიგოთ არა სპეციფიკურად ადამიანური, არამედ წმინდა ბიოლოგიური მნიშვნელობით. „იარაღები, სიტყვის ვიწრო გაგებით, ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ როგორც მხოლოდ საკუთარი სხეულის ასოები: ჭიანჭველებს, ფუტკრებს, წავებს“ [3]. ამ როლს ასრულებს ნესტარი — ფუტკრებისათვის, ნისკარტი — ფრინველებისათვის, ბრჭყა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 227—228.
[3] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, 1952, გვ. 22.

ლები, კბილები, რქები — სხვადასხვა სახეობის ცხოველებისათვის. ეს „იარაღები", ცხადია, არ არის შექმნილი თვით ცხოველების მიერ, არამედ მათი ორგანიზმის ბუნებრივი ნაწილები, სხეულის წამონაზარდებია, რომლებსაც ცხოველები საკვების მოსაპოვებლად თუ თავდაცვისათვის იყენებენ. შრომა კი მხოლოდ შრომის იარაღებით შეიძლება და ადამიანებმა შრომის იარაღები უნდა შექმნან რათა მათი საშუალებით მატერიალური დოვლათი აწარმოონ.

ცხოველებიც სიცოცხლეს საარსებო საშუალებებით ინარჩუნებენ, მაგრამ მათი მოპოვებისათვის შრომა არ სჭირდებათ. ეს საშუალებები ბუნებაში მზამზარეული სახითაა. საკმარისია მხოლოდ მათი მიგნება, საუკეთესო შემთხვევაში — შეგროვება. ცხოველი კიდევ ახერხებს ამას გარემოსთან უშუალო დამოკიდებულების ძალით, მოძრაობს, ეძებს, ნახულობს და ითვისებს საზრდოს. ცხოველის არსებობის ბუნებრივი მდგომარეობა გამორიცხავს საარსებო საშუალებათა მოპოვებას შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების გზით.

ადამიანთა საზოგადოებას პრინციპულად სხვა აუცილებლობა უდევს საფუძვლად. როგორც უკვე აღინიშნა, ადამიანთა საარსებო საშუალებები მზამზარეული სახით არ მოიპოვება ბუნებაში. ეს მით უფრო ითქმის ადამიანთა განცხრომისა და განვითარების საშუალებებზე, რაც აბსოლუტურად უცნობია ცხოველთა სამყაროსათვის. ადამიანებმა თვითონ უნდა შექმნან ცხოვრებისათვის აუცილებელი საშუალებები, რათა იარსებონ და განვითარდნენ. ამისათვის საჭიროა ბუნების ნივთიერების, მასალის გადამუშავება, მისთვის ადამიანთა მოთხოვნილების შესაბამისი შინაარსისა და ფორმის მიცემა. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ შრომით, შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების გზით. მაშასადამე, ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება წარმოუდგენელია შრომის იარაღებით საარსებო საშუალებათა მოპოვების გარეშე.

ამ მხრივ ცხოველი თვისებრივად განსხვავდება თუნდაც ველურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანებისაგან. „ველურის ხელს, — წერდა ენგელსი, — ასობით ისეთი ოპერაციების შესრულება შეუძლია, რომელსაც ვერც ერთი მაიმუნის ხელი ვერ წაბაძავს. არც ერთი მაიმუნის ხელს არასოდეს არ დაუმზადებია თუნდაც სულ უხეში ქვის დანაც კი" [1]. ამრიგად, შრომის იარაღების შექმნა და გამოყენება სპეციფიკურად ადამიანური მოქმედებაა.

ასევე სპეციფიკურია ადამიანისათვის მიზანდასახული საქმიანობა, რომელსაც აგრეთვე ვერ ვხდებით ცხოველთა სამყაროში. ცხოველ-

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 174.

თა მოქმედება ობიექტურად მიზანშეწონილია, მაგრამ არა სუბიექ-ტურად წინასწარგააზრებული, არა მიზანდასახული.

გარკვეული აზრით შეიძლება ითქვას, რომ ცხოველიც „შრომობს", მაგალითად, როდესაც ობობა ქსელს აბამს, ფუტკარი ფიქის უჯრედს აშენებს და ა. შ. მაგრამ ამგვარი ოპერაციების შესრულება თვისებრივად განსხვავდება ადამიანის შრომითი საქმიანობისაგან. ადამიანთა საზოგადოების მიღმა შრომა არ სცილდება „ცხოველისებურ ინსტინქტურ ფორმას" (კ. მარქსი). „ობობა ასრულებს ისეთ ოპერაციებს, რომელნიც ფეიქრის ოპერაციებს მოგვაგონებენ, და ფუტკარი თავისი ფიქის უჯრედების აშენებით ბევრ ხუროთმოძღვარს გააწბილებს. მაგრამ რაც ყველაზე მდარე ხუროთმოძღვარს იმთავითვე საუკეთესო ფუტკრისაგან განასხვავებს, ეს ის გარემოებაა, რომ ხუროთმოძღვარმა, ვიდრე ფიქის უჯრედებს ააშენებდეს, უკვე თავის თავში ააშენა იგი... იმაში, რაც ბუნებით მოცემულია, მუშას მარტო ფორმის ცვლილება როდი შეაქვს. იგი ამასთანავე ამ ბუნებით მოცემულში ახორციელებს თავის შეგნებულ მიზანს" [1].

ცხადია, ცხოველებიც ზემოქმედებენ გარემომცველ ბუნებაზე, მაგრამ ეს ზემოქმედება განუზრახველად ხდება, მას არა აქვს გარკვეული, წინასწარ ცნობილი მიზნისაკენ მიმართული მოქმედების ხასიათი. თუ ცხოველი, ვთქვათ, რომელიმე კუთხის მცენარეულობას ანადგურებს — მან არ იცის რას სჩადის, მას არა აქვს იმის უნარი, რომ ამა თუ იმ რაიონიდან იმაზე მეტი საზრდო მიიღოს, რასაც ეს რაიონი უშუალოდ იძლევა. ადამიანი კი თუ მცენარეულობას ანადგურებს, ეს იმისათვის, რათა განთავისუფლებული მიწა მოხნას, მარცვლეული დათესოს, ხეები და ვაზები დარგოს და ა. შ. ადამიანმა იცის, რომ ამ გზით მას უფრო მეტი სარგებლობის მიღება შეუძლია.

ცხოველის არაცნობიერ, შეუგნებელ მოქმედებაზე მიგვითითებს ის გარემოებაც, რომ ცხოველი უკიდურესად ფლანგავს საზრდოს, ჩანასახშივე სპობს საზრდოს ნამატს. „მგელი მონადირისაგან განსხვავებით არ ზოგავს შველს, რომელიც მომავალ წელს მას ნუკრებს მისცემდა" [2].

ამრიგად, ადამიანის შრომითი შოქმედება ცხოველის ინსტინქტური მოქმედებისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი იმთავითვე მ ი ზ ა ნ-დ ა ს ა ხ უ ლ ი ა, მაშინ როდესაც ცხოველის ინსტინქტური მოქმედება არ სცილდება მიზანშეწონილობის ფარგლებს.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.
[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 179.

ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს როგორც მიზანდასახული მოქმედების, ისე შრომის იარაღების შექმნისა და გამოყენების, ე. ი. შრომის უნარი.

მაგრამ შრომა, წარმოება საზოგადოებრივი მოვლენაა არა მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სპეციფიკურად ადამიანური მოქმედებაა, არამედ სხვა და ამასთან მეტად მნიშვნელოვანი მიზეზის გამოც.

ადამიანები შრომის, წარმოების პროცესში ეწევიან ბრძოლას ბუნებასთან და იყენებენ ბუნების მასალას მატერიალური დოვლათის დასამზადებლად. ბუნების ძალების წინააღმდეგ ბრძოლა კი მათ არ შეუძლიათ ერთმანეთისაგან იზოლირებულად, მოწყვეტილი ერთეულების სახით, აუცილებელი ურთიერთკავშირების დამყარების გარეშე. ბუნებასთან ურთიერთობის წინაპირობას თვით ადამიანთა ურთიერთობის, მათ შორის **საზოგადოებრივი კავშირის** არსებობა წარმოადგენს.

შრომის, წარმოების პროცესი, რომელიც ბუნების ძალებს ადამიანებს უმორჩილებს, რთული და მრავალმხრივი პროცესია. იგი მოითხოვს ადამიანთა გაერთიანებას ჯგუფებად, კოლექტივებად, საზოგადოებებად, მათს **ერთობლივ** მოქმედებას.

მაშინაც კი, როდესაც ადამიანი ინდივიდუალური გამოყენების შრომის იარაღებით, მაგალითად, თოხით, ბარით, ნაჯახით და ა. შ. სარგებლობს — მის საწარმოო საქმიანობაში შრომის საზოგადოებრივი ბუნება გამოსჭვივის: თვით ამ იარაღების შექმნა და მათი მოხმარების ჩვევების გამომუშავება შესაძლებელია მხოლოდ წინამავალი და თანამედროვე თაობების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე, რაც ბუნებასთან ხანგრძლივ ბრძოლაში შეიძინებოდა.

შრომის საზოგადოებრივი ბუნება, ცხადია, უფრო აშკარად შესამჩნევი ხდება კოლექტიური გამოყენების წარმოების იარაღებითა და მოწყობილობებით სარგებლობის დროს, მაგალითად, მანქანური წარმოების პროცესში, როდესაც წარმოების განსაზოგადოების დონე გაცილებით მაღალია. „მსხვილმა მრეწველობამ ჩამოგლიჯა ის ფარდა, რომელიც ადამიანებს უმალავდა წარმოების მათსავე საკუთარ საზოგადოებრივ პროცესს“ [1].

მაგრამ შრომის აშკარად საზოგადოებრივი ხასიათი მსხვილი მანქანური წარმოების პირობებში არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ ყოველ დროსა და ვითარებაში შრომა საზოგადოებრივ ბუნებას შეიცავს და მისი საშუალებით რეალიზდება.

შრომის როლი საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების პროცესში. საზოგადოებისა და ადამიანის წარმოშობა ერთიანი დია-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 614.

ლექტიკური პროცესია[1]. არ არსებობს საზოგადოება ადამიანამდე, ადამიანთა კავშირის გარეშე, ისევე როგორც ადამიანები — საზოგადოების წარმოშობამდე და მისგან დამოუკიდებლად. საზოგადოება მხოლოდ ადამიანების, მწარმოებლების ურთიერთობით იქმნება. მაშასადამე, არც ადამიანები არსებობენ საზოგადოებრივი გარემოსაგან იზოლირებულად.

ნაშრომში „შრომის როლი მაიმუნის ადამიანად გარდაქმნის პროცესში" ფ. ენგელსი ყოველმხრივ ასაბუთებს, რომ შრომამ, შრომის იარაღების კეთებამ და გამოყენებამ გამოყო ადამიანი ცხოველთა სამყაროდან და მასთან ერთად საზოგადოების წარმოშობას მისცა დასაბამი.

ადამიანი ვერ შეძლებდა შრომას, საამისოდ ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია რომ არ ჰქონოდა. ბუნებრივმა პირობებმა, რომლებშიც ადამიანის მსგავსი მაიმუნები ცხოვრობდნენ, ჩვენს შორეულ წინაპარს სხვა ცხოველებთან შედარებით განსაკუთრებით განუვითარა ზოგიერთი ორგანო, სასიცოცხლო ფუნქცია და უნარმიდრეკილება. მაგალითად, ხეებზე ცოცვამ მისი წინა კიდურების განვითარება შეუწყო ხელი. მიწაზე ჩამოსვლის შემდეგ ადამიანის მსგავსი მაიმუნები ხელების დახმარებას გადაეჩვივნენ; მათ ამართული სიარული შეითვისეს. ასე გახდა შესაძლებელი ხელისა და ფეხის ფუნქციების დიფერენცირება, რომლებსაც სხვადასხვა მოვალეობა დაეკისრათ: ფეხების საშუალებით ჩვენმა შორეულმა წინაპრებმა სიარული და გადაადგილება, ხოლო განთავისუფლებული ხელების საშუალებით გარკვეული, შრომითი ოპერაციების შესრულება ისწავლეს. ორი ფეხით სიარული, ისევე როგორც მარტივი ოპერაციების ხელით შესრულება შიმპანზეს, ორანგუტანსა და სხვა მაიმუნებშიც გვხვდება, მაგრამ ამ ორგანოების დიფერენცირებულ გამოყენებას ეს ცხოველები მხოლოდ უკიდურესი საჭიროების დროს მიმართავენ. ადამიანებისათვის კი იგი ყოველთვის აუცილებლობაა.

ადამიანის სხეულებრივი ორგანიზაციის უპირატესობა ცხოველთან შედარებით არ გამოიხატება მარტო იმით, რომ მას ვერტიკალური დგომა და მოქმედება, განთავისუფლებული წინა კიდურების გამოყენება შეუძლია. ადამიანს ცხოველისაგან სხეულებრივი ორგანიზაციის სხვა დიდმნიშვნელოვანი ნიშნებიც განასხვავებს. კერძოდ,

---

[1] ამ საკითხზე იხ. Андреев И. Л. Происхождение человека и общества. М., 1982. Гурьев Д. В. Становление общественного производства. М., 1973; Павлов Ю. М. Социально-философские проблемы общественного развития. М., 1982; Плетников Ю. К. О природе социальной формы движения М., 1971; Сб. «У истоков человечества (основные проблемы антропогенеза). М., 1964. Семенов Ю. И. Как возникло человечество. М., 1966.

მისთვის დამახასიათებელია საუკეთესო აგებულება. ჯერ კიდევ არისტოტელე ამბობდა, რომ „ხელი იარაღის იარაღია". ასეთ იარაღს კი მხოლოდ ადამიანი ფლობს. ადამიანს ცხოველისაგან განასხვავებს თავის ტვინისა და სხეულის საერთო წონის შეფარდებაც; ადამიანის თავის ტვინის წონა მისი სხეულის საერთო წონის ერთ მეორმოცედს უდრის, მაშინ როდესაც, მაგალითად, მაიმუნისათვის ასეთი შეფარდება შეადგენს 1/150, ხოლო ძაღლისათვის — 1/250. რაც მთავარია, ადამიანის თავის ტვინი ფუნქციონალური, ფიზიოლოგიური განვითარებით გამოირჩევა. ცხოველის ტვინთან შედარებით ადამიანის თავის ტვინის ქერქი გაცილებით მეტ ნაოჭებს შეიცავს.

ადამიანის მსგავს მაიმუნს, მართალია, განუვითარებელი ხორხი და პირის ორგანო ჰქონდა, მაგრამ ეს ორგანოები გარდაქმნისა და დანაწევრებული მეტყველებისათვის საჭირო სრულყოფის მაქსიმალურ შესაძლებლობებს შეიცავდნენ. იგივე ითქმის ტვინზე, რომლის განვითარებას დანაწევრებული მეტყველების წარმოშობისათვის მძლავრი სტიმული უნდა მისცემოდა და მიეცა კიდეც. „მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად, რომელიც მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსების მიუხედავად გაცილებით უფრო დიდია და უფრო სრულქმნილი" [1]. თავის მხრივ, ტვინის სრულყოფამ ადამიანის ყველა გრძნობის ორგანოს შემდგომი განვითარება გამოიწვია.

ადამიანს ცხოველისაგან სხვა სხეულებრივი ნიშნებიც განასხვავებს. მაგრამ, სხეულებრივი ორგანიზაციის სიმპტომების განსხვავება არ გვაძლევს საკმარის საფუძველს, რომ ადამიანის წარმოშობა მხოლოდ ამ ნიადაგზე ავხსნათ. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ადამიანი არ მარტო განსხვავდება ცხოველისაგან ფიზიოლოგიურ-ანატომიური ნიშნებით, არამედ ენათესაობა კიდეც მას (ჰეკელის გამოთვლით სხეულებრივი ორგანიზაციის მხრივ ადამიანს 613 საერთო ნიშანი აქვს ისეთ მაიმუნებთან, როგორიცაა შიმპანზე, გორილა, ორანგუტანი. მაგალითად, ადამიანის, აგრეთვე ამ მაიმუნთა ჩონჩხი 200 ძვლისაგან შედგება, რომელთა ასამოძრავებლად თითოეულს აქვს 300 კუნთი. როგორც ადამიანის, ისე მაიმუნის პირი 32 კბილს იტევს და სხვ.). მეორეც, ზოგიერთი ცხოველის ცალკეული ორგანო აგებულების მხრივ უფრო სრულყოფილია, ვიდრე ადამიანის შესაბამისი ორგანო. არწივი ბევრად უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, ძაღლს უფრო ფაქიზი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს.

მაშასადამე, ადამიანის წარმოშობას მხოლოდ სხეულებრივი ორგანიზაციის მონაცემებით ვერ ავხსნით, თუმცა სრულყოფილი სხეულებრივი ორგანიზაცია აუცილებელი მატერიალური წინაპირობა იყო

---

[1] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 178.

მის წარმოსაშობად. ამ მომენტს ხაზი უნდა გაესვას, ვინაიდან ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია რომ არ ჰქონოდათ ჩვენს შორეულ წინაპრებს, შრომით საქმიანობას ვერ შეძლებდნენ.

როგორც ზემოთ აღინიშნა, ისტორიის პირველი წანამძღვარია ცოცხალ ადამიანურ ინდივიდთა არსებობა და „პირველი კონკრეტული ფაქტი, რომელიც კონსტატირებულ უნდა იქნეს, ეს არის ამ ინდივიდთა სხეულებრივი ორგანიზაცია და ამით მათი გაპირობებული დამოკიდებულება დანარჩენ ბუნებასთან“ [1]. თვით შრომა, საარსებო საშუალებათა წარმოება — ესაა „ნაბიჯი, რომელიც გაპირობებულია მათი სხეულებრივი ორგანიზაციით“ [2].

მაგრამ ხელსაყრელი სხეულებრივი ორგანიზაცია რაგინდ დიდი არ უნდა იყოს მისი მნიშვნელობა, მაინც ბუნებრივ შესაძლებლობას შეიცავდა იმისათვის, რომ ადამიანის მსგავსი მაიმუნი ადამიანად გარდაქმნილიყო. ამ გარდაქმნის განმსაზღვრელი ფაქტორი სოციალური ია, ესაა საარსებო საშუალებათა წარმოება, შრომითი საქმიანობა. სწორედ შრომამ გამოყო და დააშორა ადამიანის მსგავსი მაიმუნი ცხოველთა სამყაროდან და იგი ადამიანად აქცია. სწორედ შრომა არის „ადამიანთა უარსებითესი ისტორიული საქმიანობა, ის საქმიანობა, რომელმაც ისინი ცხოველობიდან ადამიანობამდე აამაღლა და რომელიც ყველა მის დანარჩენი მოქმედებების მატერიალურ საფუძველს შეადგენს [3].

ბუნებრივია, რომ თვით უპირველესი შრომითი ჩვევების გამომუშავებას. ალბათ, მეტად ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი დასჭირდებოდა. საწყის ეტაპებზე ჩვენს შორეულ წინაპრებს ჯერ კიდევ არ შესწევდათ თუნდაც უმარტივესი იარაღების კეთების უნარი. თავდაპირველად მათი უმარტივესი იარაღები იყო ყველაფერი, რაც კი შემთხვევით ხელთ მოხვდებოდათ — ქვა, კეტი, ძვალი, ნიჟარა ან სხვა რაიმე საგანი. მაგრამ უკვე ამ უმარტივესი იარაღების გამოყენებამ არსებითად შეცვალა მათი ცხოვრების წესი. ისინი სულ უფრო ხშირად იყენებენ ბუნების მზა საგნებს მიზნის მიღწევის საშუალებად, ხოლო შემდეგ მათი ხელი შრომის პრიმიტიული იარაღების დამზადებასაც მიეჩვია. „ვიდრე ადამიანის ხელი პირველ კაჟს დანად გადაქცევდა, ალბათ, დროის ისეთი გრძელი პერიოდი უნდა გასულიყო, რომელთან შედარებით ჩვენთვის ცნობილი ისტორიული ხანა უმნიშვნელო პერიოდად მოსჩანს“ [4].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 10.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 11.
[3] ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 23.
[4] იქვე, გვ. 175.

შრომამ ადამიანს ახალი ყოფიერება შეუქმნა. მან ადამიანს მისცა ის, რასაც ბუნება თავისთავად, ადამიანის უკუმოქმედების გარეშე არ იძლევა. შრომამ გარდაქმნა ადამიანის გარემომცველი ბუნება, თვით ადამიანიც, რომლის ორგანიზმი ამიერიდან შრომით საქმიანობას შეეგუა.

ხანგრძლივი ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანები თანდათანობით ეუფლებიან რთული შრომითი ოპერაციების შესრულებას. ადამიანის ხელი არა მარტო შრომის ორგანოდ, არამედ მის პროდუქტადაც იქცევა. იგი სულ უფრო და უფრო იყო გამოყენებული ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული სამუშაოების შესასრულებლად.

ხელის განვითარება არსებითად ნიშნავდა ადამიანის სრულყოფას შრომითი საქმიანობისათვის. ამიტომ ეს განვითარება არ შეიძლება მთელის — ადამიანის ორგანიზმისაგან დამოუკიდებლად განვიხილოთ. შრომითმა საქმიანობამ ობიექტურად მოითხოვა ადამიანის სხვა ორგანოების, მაგალითად, მეტყველების ორგანოს განვითარებაც. საერთო მოქმედების საჭიროებამ შეგნებამ წარმოშვა იმის მოთხოვნილება, რომ ადამიანებს აზრები გაეცვალათ ერთმანეთისათვის, ცალ-ცალკე ბრძოლა ბუნების წინააღმდეგ შეუძლებელი იყო. აზრთა ურთიერთგაგებინების, ადამიანთა შორის კომუნიკაციის აუცილებლობამ შესაბამისი ორგანოც — მეტყველების ორგანოც წარმოშვა და განავითარა, ადამიანებმა დაიწყეს აზრების ურთიერთგაცვლა ენის შემწეობით. ამრიგად, ენა წარმოიშვა „შრომიდან და შრომასთან ერთად“ (ფ. ენგელსი).

ენა სპეციფიკური ადამიანური უნარია, ცხოველებს არ აქვთ ენა, დანაწევრებული მეტყველება. ისინი დანაწევრებული მეტყველების გარეშეც აგებინებენ ერთმანეთს იმას, რისი შეტყობინებაც უნდათ. ბუნებრივ მდგომარეობაში ისინი ლაპარაკს არ საჭიროებენ.

ენის გაჩენით მძლავრი ბიძგი მიეცა ტვინის განვითარებას, რომლის თვისებასაც ცნობიერება წარმოადგენს. ტვინის განვითარებას კი თან ახლდა გრძნობის ყველა ორგანოს დახვეწა-სრულყოფა. „ტვინისა და მისდამი დაქვემდებარებული გრძნობების განვითარების, სულ უფრო და უფრო ნათელქმნილი ცნობიერების, აბსტრაქციისა და დასკვნის უნარის განვითარების უკუზეგავლენა შრომასა და ენაზე, ორივეს სულ ახალ-ახალ ბიძგს აძლევდა შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც არამც თუ არ დასრულდა მას შემდეგ, რაც ადამიანი საბოლოოდ მაიმუნს გამოეყო, არამედ მას შემდეგ, საერთოდ და მთლიანად მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ სხვადასხვა ხალ-

ხებსა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხარისხითა და მიმართულებით“ [1].

ადამიანის ტვინის, მთელი ადამიანური ორგანიზმის განვითარებისათვის ხორცეულ საჭმელს, ცეცხლის გამოყენებას, ცხოველთა მოშინაურებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ადამიანმა ისწავლა ვარგისი საჭმელების ჭამა, სხვადასხვა კლიმატურ პირობებში ცხოვრება. იგი მოედო საცხოვრებლად გამოსადეგ მთელ დედამიწას, ხოლო ცხელი ჰავიდან ცივ მხარეებში გადასვლამ ახალი საჭიროებანი წარმოშვა — ბინის, ტანსაცმლის დამზადების, მეურნეობის სხვადასხვა დარგის განვითარებისათვის.

როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, ხელის, მეტყველების და ტვინის ერთობლივი მოქმედებით ადამიანებმა სულ უფრო და უფრო რთული შრომითი ოპერაციების, მაღალი მიზნების დასახვისა და მიღწევის უნარი შეიძინეს. შრომა თაობიდან თაობაში მრავალმხრივი ხდებოდა. „ნადირობასა და მესაქონლეობას მიემატა მიწათმოქმედება, ამ უკანასკნელს რთვა და ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ნაოსნობა, ვაჭრობისა და ხელოსნობის გვერდით გაჩნდა ბოლოს ხელოვნება და მეცნიერება, ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მათთან ერთად ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში: რელიგია“ [2].

ამრიგად, შრომა ის საფუძველია, რომელმაც ადამიანი და მასთან ერთად საზოგადოება შექმნა, სოციალური ცხოვრების გამრავალფეროვნება და განვითარება გამოიწვია. რაკი შრომა იარაღის გამოყენებას ემყარება, თვით იარაღის შექმნა შრომის უპირველესი აუცილებელი კომპონენტია, „შრომა იარაღების დამზადებით იწყება“ [3].

III თ ა ვ ი. საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება

საზოგადოებრივი ცხოვრება მიუხედავად იმისა, თუ რომელ ისტორიულ ეპოქაში მიმდინარეობს იგი, მოიცავს ორ განსხვავებულ, მაგრამ ერთმანეთთან ორგანულად დაკავშირებულ მხარეს — მატერიალურსა და სულიერს. ადამიანთა მატერიალური ცხოვრება, მათი სოციალური მოღვაწეობის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი მ ხ ა რ ე — საზოგადო-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 178.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 182
[3] ი ქ ვ ე.

ებრივ ყოფიერებას, ხოლო მათი სულიერი ცხოვრება, სულიერი მოღვაწეობა — საზოგადოებრივ ცნობიერებას შეადგენს.

საზოგადოებრივ ყოფიერებაში, უწინარეს ყოვლისა, იგულისხმება მატერიალური წარმოება, რომლის მეოხებით ადამიანები არსებობისათვის აუცილებელ საშუალებებს მოიპოვებენ.

მატერიალური წარმოების პროცესში ისინი ავლენენ აქტიურ, პრაქტიკულ დამოკიდებულებას ბუნების მიმართ და ამყარებენ ეკონომიკურ ურთიერთობებს ერთმანეთს შორის. როგორც პირველი, ისე მეორე მომენტი — საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი საზოგადოებრივ ყოფიერებაში შედის, მაგრამ საზოგადოებრივი ყოფიერება ადამიანთა მხოლოდ ეკონომიკური ცხოვრებით და ბუნების მოვლენებისადმი მათი საწარმოო-პრაქტიკული დამოკიდებულებით არ ამოიწურება. გარდა ამისა, ადამიანთა მატერიალური ცხოვრება მრავალგვარ გამოხატულებას პოულობს. ისინი ამყარებენ საყოფაცხოვრებო, ოჯახურ და სხვა სახის პრაქტიკულ-მატერიალურ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი ყოფიერება აერთიანებს ადამიანთა პრაქტიკული ცხოვრებისა და მოქმედების მრავალფეროვან გამოვლინებას, მათი მატერიალური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. იგი არის ადამიანთა „ცხოვრების რეალური პროცესი“ [1].

საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი სფეროა მატერიალური დოვლათის წარმოება, ვინაიდან მის ბაზაზეა შესაძლებელი საზოგადოების არსებობა საერთოდ, და, მაშასადამე, ადამიანთა საქმიანობის სხვა მომენტების გაშლა და განვითარება.

როგორც ითქვა, საზოგადოებრივი ცხოვრება თავის გამოხატულებას პოულობს სულიერი მოღვაწეობის სფეროშიც [2]. ადამიანებს აქვთ გარკვეული გრძნობები და მისწრაფებანი, საზოგადოებრივი ფსიქიკა, წარმოდგენები და აზრები. საზოგადოებაში ყალიბდება სხვადასხვაგვარი იდეები, შეხედულებები და თეორიები.

ადამიანთა სულიერი მოღვაწეობა თავის გამოვლენის მრავალფეროვნებით საზოგადოებრივ ცნობიერებად ყალიბდება. საზოგადოებრივი ცნობიერების შემადგენელი ნაწილია საზოგადოებრივი ფსიქიკა — ადამიანთა გარკვეული ჯგუფების, კლასობრივ საზოგადოებაში — ცალკეული კლასების საზოგადოებრივი გრძნობები, ჩვეულებები,

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 17.

[2] საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთშიმართების საკითხები ფართოდ არის გაშუქებული ლიტერატურაში. იხ. Бурдина А. Н. Общественное сознание как проблема диалектического и исторического материализма. М. 1979; Барулин В. С. Соотношение материального и идеального в обществе. М., 1977; Демин М. В. Анализ структуры сознания. М., 1980. Категории исторического материализма. М., 1980. Духовное производства. М., 1981; Уледов А. К. Духовная жизнь общества. М., 1980.

ეროვნული ფსიქიკური წყობის თავისებურებანი და სხვ. თითოეულ ხალხს, კლასს, ერს მატერიალური ცხოვრების განსხვავებულ პირობებში უხდება არსებობა. უშუალო მატერიალური ცხოვრების პირობების განსხვავებულობა კი საზოგადოებრივი ფსიქიკის, კლასობრივი ფსიქოლოგიის, ეროვნული ფსიქიკური წყობის სხვადასხვაობას წარმოშობს. შესაბამის ისტორიულ საფეხურებზე[1]. საზოგადოება თავის აზროვნებას წარმართავს ბუნებისა და სოციალური სინამდვილის შემეცნებისაკენ. ადამიანთა საზოგადოებრივი აზროვნება სახიერდება მათს ფილოსოფიურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, რელიგიურ, ზნეობრივ, მხატვრულ შეხედულებებში, მეცნიერულ ცოდნაში. ამისდა მიხედვით ყალიბდება საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები — პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებები, რელიგია, მორალი, ხელოვნება, ფილოსოფია, მეცნიერება. ესა თუ ის კლასი ცდილობს თანამიმდევრულად გაატაროს თავისი ინტერესები საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმაში. ისინი იმუშავებენ იდეოლოგიას — შეხედულებათა სისტემას გარე სამყაროს და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენების, მათდამი ადამიანთა დამოკიდებულების შესახებ. ანტაგონისტურ საზოგადოებაში დაპირისპირებულ კლასებს ურთიერთსაწინააღმდეგო იდეოლოგია აქვთ.

კაცობრიობის განვითარების ისტორია გვიჩვენებს, რომ სხვადასხვა დროსა და პირობებში სხვადასხვაგვარი იდეები და თეორიები წარმოიშობა. ერთი და იგივე ეპოქაშიც, ერთი და იგივე საზოგადოების შიგნით დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო იდეები და თეორიები არსებობენ. უფრო მეტიც, ერთი და იგივე კლასის იდეებიც არ არის უცვლელი და ტრანსფორმაციას განიცდის საზოგადოებრივი განვითარების სხვადასხვა საფეხურზე.

შეხედულებებისა და თეორიების ძირეული განსხვავებულობა განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მყოფ საზოგადოებათა შორის ან კლასობრივი საზოგადოების შიგნით გამომდინარეობს არა საზოგადოებრივი ცნობიერების, არამედ საზოგადოებრივი ყოფიერების ბუნებიდან.

საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან. საზოგადოებრივი ყოფიერება დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ე ლ ი ა ადამიანთა ნებისყოფისაგან, მათი ცნობიერებისაგან, ე. ი. ობიექტურია.

ახასიათებდა რა საზოგადოებრივი ყოფიერების ამ თავისებურებას მატერიალური ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტის — წარმოებითი ურთიერთობის მიხედვით კ. მარქსი აღნიშნავდა,

---

[1] Степанян Э. Х. Классовое и национальное сознание. М., 1976; Шаронов В. В. Психология класса. Л., 1975.

რომ „თავიანთი ცხოვრების საზოგადოებრივი წარმოებისას ადამიანები ერთმანეთთან ამყარებენ განსაზღვრულ, აუცილებელ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ურთიერთობას, წარმოებით ურთიერთობას“[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ამ არსებით მომენტს ხაზს უსვამდა აგრეთვე ვ. ი. ლენინი: „საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია ადამიანთა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან“[2].

საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობას კ. მარქსი **ონტოლოგიური** პოზიციიდან ასაბუთებდა, რისთვისაც საზოგადოების მატერიალური საწარმოო საფუძვლების ანალიზს ემყარებოდა. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ მარქსამდელი სოციოლოგია უგულებელყოფდა მატერიალური წარმოების განმსაზღვრელ როლს საზოგადოებაში. მაშინდელ პირობებში ყურადღება სწორედ ამ მომენტზე უნდა გამახვილებულიყო.

ვ. ი. ლენინმა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობის მარქსისტული დებულება განსხვავებული, სახელდობრ გნოსეოლოგიური პოზიციიდან დაასაბუთა. ეს მახისტური სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლის თავისებურებებით იყო გამოწვეული.

რაში მდგომარეობს საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობა საზოგადოებრივ ცნობიერებისაგან? რატომ ხდება, რომ ადამიანები თვითონ ქმნიან თავიანთ ისტორიას, თავიანთ მატერიალურ ცხოვრებას, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება კი დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან, ადამიანთა ნებისყოფისაგან?

საზოგადოებრივი ყოფიერება იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მიგვეჩნია დამოკიდებულად საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, თუ ეს უკანასკნელი მის არსებობას, ცვალებადობასა და განვითარებას განსაზღვრავდა, თუ ადამიანთა ნება-სურვილი საკმარისი პირობა იქნებოდა მათი მატერიალური ცხოვრების შეცვლისა და განვითარებისათვის, თუ ადამიანთა თეორიებისა და იდეების განსხვავებას მათივე მატერიალური ცხოვრების განსხვავება მოჰყვებოდა. პირველი შეხედვით შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ ადამიანები, როგორც შეგნებული არსებანი, თავიანთი ნება-სურვილით ქმნიან საკუთარ მატერიალურ ცხოვრებას და მაშასადამე, საზოგადოებრივი ყოფიერება მთლიანად მათს ნება-სურვილზე და ინტერესებზე, ზრახვებსა და მისწრაფებებზეა დამოკიდებული. მაგრამ სინამდვილეში ეს ასე არ ხდება.

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 414.

ამის მიზეზი კი, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ ადამიანები თავისუფალნი არ არიან საწარმოო ძალების არჩევაში. საწარმოო ძალების განვითარებას. ისევე როგორც მთელი წარმოების განვითარებას, თავისი შინაგანი კანონები განაგებენ.

ისტორიული ცვალებადობის ყოველ საფეხურზე საზოგადოებისათვის საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონეა დამახასიათებელი. ადამიანთა ყოველი თაობა იმ საწარმოო ძალებით მოიპოვებს საარსებო საშუალებებს, რომლებიც მის განკარგულებაშია ხოლმე. მაგრამ მის განკარგულებაში აღმოჩნდება მხოლოდ ის საწარმოო ძალები, რომლებიც წინა თაობისაგან არის გადმოცემული. ისტორიულ ასპარეზზე გამოსულ ახალ თაობას მუდამ მზად ხვდება წინა თაობის მიერ მოპოვებული საწარმოო ძალები, რომელსაც თავის მოქმედებას უფარდებს და გაუმჯობესებული სახით მომდევნო თაობას გადასცემს. მაშასადამე, ადამიანები ყოველთვის განსაზღვრული არიან იმ საწარმოო ძალებით, რომლებიც წინა თაობის საქმიანობის შედეგია. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოო ძალთა განვითარების დონე არასოდეს არ არის დეტერმინირებული ადამიანთა ნებისყოფით, არ არის დამოკიდებული მათს ნება-სურვილზე. ადამიანებს არ შეუძლიათ სურვილისამებრ უარი თქვან საწარმოო ძალთა განვითარების არსებულ დონეზე. „ადამიანები არ არიან თავისუფალნი თავიანთ საწარმოო ძალთა არჩევაში, რომელნიც მთელი მათი ისტორიის საფუძველს წარმოადგენენ“ [1].

ობიექტურად განსაზღვრულ ადამიანთა ცნობიერებისაგან დამოუკიდებელია არა მარტო საწარმოო ძალთა განვითარების დონე და ხასიათი, არამედ აგრეთვე წარმოებითი ურთიერთობების მოცემული ფორმები.

ადამიანები თავისუფალნი არ არიან არც საზოგადოებრივ ყოფიერების მეორე მნიშვნელოვანი მხარის — წარმოებით ურთიერთობათა ფორმების არჩევაში. ის კონკრეტული წარმოებითი ურთიერთობანი, რომელთა საშუალებით საზოგადოება ფუნქციონირებს და ცვალებადობა-განვითარებას განიცდის, სწორედ მოცემული საწარმოო ძალების, შრომის საშუალებების განვითარების დონითაა შეპირობებული. შრომის საშუალებანი, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, ერთი მხრივ არის ადამიანის სამუშაო ძალის განვითარების საზომი, მეორე მხრივ კი, იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის მაჩვენებელი, რომელშიც შრომა წარმოებს [2]. საწარმოო ძალთა განვითარების ყოველ გარკვეულ საფეხურს მისთვის სპე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 542.
[2] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 230.

ციფიკური წარმოებითი ურთიერთობანი, საკუთრების, გაცვლის, განაწილებისა და მოხმარების ფორმები შეესაბამება. მაგალითად, ფეოდალური საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი ვერ დაემყარებოდა მონათმფლობელური საზოგადოების საწარმოო ძალებს, კაპიტალისტური ეკონომიკური ფორმაციის წარმოებითი ურთიერთობანი — ფეოდალური საზოგადოების საწარმოო ძალებს. „აიღეთ ადამიანთა საწარმოო ძალების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ გაცვლისა და მოხმარების შესაბამის ფორმას. აიღეთ წარმოების გაცვლის, მოხმარების განვითარების განსაზღვრული საფეხური და თქვენ მიიღებთ საზოგადოებრივი წყობილების შესაბამის ფორმას, ოჯახის, წოდებათა ან ცლასთან შესაბამის ორგანიზაციას, ერთი სიტყვით, შესაბამის სამოქალაქო საზოგადოებას. აიღეთ ასეთი სამოქალაქო საზოგადოება და თქვენ მიიღებთ შესაბამის პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების მხოლოდ ოფიციალური გამოხატულებაა“ [1].

ამრიგად, ყოველ ახალ თაობას მოღვაწეობა უხდება მზა წარმოებითი ურთიერთობების პირობებში, რაც არა ადამიანთა ნებისყოფით, არა მათი ნება-სურვილით და გადაწყვეტილებებით, არამედ საზოგადოების მატერიალური საწარმოო ძალებით, საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეული დონით არის განსაზღვრული. ადამიანთა შეგნებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის ფაქტი არ აუქმებს ობიექტური აუცილებლობის არსებობას, რომელსაც საზოგადოების მატერიალური და სულიერი ცხოვრება ემორჩილება. „იმ გარემოებიდან, რომ თქვენ ცხოვრობთ და მეურნეობას ეწევით, ბავშვებს შობთ, პროდუქტებს აწარმოებთ და ცვლით, ეწყობა მოვლენათა ობიექტურად აუცილებელი ჯაჭვი. განვითარების ჯაჭვი, რომლებიც დამოუკიდებელია თქვენი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ცნობიერებისაგან“ [2].

როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, ადამიანები თვითონ ქმნიან საკუთარ ისტორიას, მაგრამ ქმნიან მას არა თვითნებურად, არა ნებაყოფლობით არჩეულ პირობებში, არამედ უშუალოდ არსებულ და გადმოცემულ პირობებში [3].

ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ ადამიანებს არ შეუძლიათ წარმოებით ურთიერთობათა მოძველებული, განვითარებული საწარმოო ძალებისათვის შეუფერებელი ფორმების შეცვლა. პირიქით,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 541—542.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 414.
[3] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 494.

ისინი ცვლიან წარმოებით ურთიერთობათა მემკვიდრეობით მიღებულ, შემდგომი პროგრესის შემაფერხებელ საზოგადოებრივ ფორმას.

„ადამიანები არასოდეს არ ამბობენ უარს იმაზე, რაც მოუპოვებიათ, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ ისინი არასოდეს არ იტყვიან უარს იმ საზოგადოებრივ ფორმაზე, რომელშიც მათ მოიპოვეს გარკვეული საწარმოო ძალები. პირიქით, რათა მიღწეული შედეგები არ მოესპოთ, რათა ცივილიზაციის ნაყოფი არ დაკარგონ, ადამიანები იძულებულნი არიან შეცვალონ ყველა, მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმა იმ მომენტიდან, როცა მათი ურთიერთობის წესი უკვე აღარ შეეფერება მოპოვებულ საწარმოო ძალებს“ [1].

მაგრამ როდესაც ადამიანები სპობენ ძველ წარმოებით ურთიერთობებსა და მათ ნაცვლად ახალ წარმოებით ურთიერთობებს ამკვიდრებენ, ამ ძირეული შემობრუნების ხასიათი და მიმართულება არ არის მათი ნება-სურვილით განსაზღვრული. ჯერ ერთი, საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობების რევოლუციური გარდაქმნის ამოცანას ისინი მ ხ ო ლ ო დ მ ა შ ი ნ ისახავენ, როცა საამისოდ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ი პ ი რ ო ბ ე ბ ი უ კ ვ ე ა რ ს ე ბ ობ ს ანდა წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს პ რ ო ც ე ს შ ი ა. მეორეც, ადამიანები იბრძვიან არანებისმიერი, არამედ მ ხ ო ლ ო დ იმ წარმოებითი ურთიერთობების დამკვიდრებისათვის, რომლებიც ახალ საწარმოო ძალთა განვითარების დონეს შეესაბამება, მაშასადამე, გზას უკაფავენ წარმოებით ურთიერთობათა ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ ა უ ც ი ლ ებ ე ლ ახალ ფორმებს საწარმოო ძალთა მოთხოვნების შესაბამისად.

საზოგადოების პროგრესული ძალების შეგნებული ბრძოლა საზოგადოების დრომოჭმული ძალების წინააღმდეგ აჩქარებს საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესს, რაც მისივე ობიექტური მატერიალური საფუძვლებით არის მომზადებული.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება ობიექტური სოციალური რეალობაა, დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან.

საზოგადოებრივი ყოფიერების ობიექტურობა დასტურდება საზოგადოებრივი ყოფიერებისადმი საზოგადოებრივი ცნობიერების უკუმიმართების ხასიათითაც. ეს არგუმენტი ვ. ი. ლენინმა ბოგდანოვის სუბიექტურ-იდეალისტური სოციოლოგიური თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ წამოაყენა.

ეწეოდა რა ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი პრინციპის რევიზიას სუბიექტურ-იდეალისტურ ნიადაგზე, ბოგდანოვი საზოგა-

---

[1] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 643.

დოებრივ ყოფიერებასა და საზოგადოებრივ ცნობიერებას ერთმანეთთან აიგივებდა.

ბოგდანოვის თვალსაზრისით, ადამიანთა ყოფიერებაში არაფერია ისეთი, რაც იმთავითვე ცნობიერ, შეგნებულ ხასიათს არ ატარებს. ადამიანთა პრაქტიკული ურთიერთობა შეგნებული ურთიერთობაა, ხოლო ყოველგვარ შეგნებულ ურთიერთობას პრაქტიკული ურთიერთობის სახე აქვს. მაშასადამე, დაასკვნის ბოგდანოვი, ერთი და იგივეა საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება. „არსებობისათვის ბრძოლაში ადამიანებს არ შეუძლიათ სხვანაირად გაერთიანდნენ, თუ არ აცნობიერებენ შემწეობით: ცნობიერების გარეშე საზოგადოებრივი ურთიერთობა არ არსებობს. ამიტომ სოციალური ცხოვრება ყველა თავისი გამოსახულებით შეგნებულად ფსიქიკურია... სოციალურობა განუყოფელია ცნობიერებასთან. საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება, ამ სიტყვების ზუსტი გაგებით — ერთი და იგივეა“ [1].

ა. ბოგდანოვის ეს დებულება ლოგიკურად გამომდინარეობდა მისივე საერთო ფილოსოფიური კონცეფციიდან. როგორც ემპირიოკრიტიციზმის მიმდევარი, იგი ტოლობის ნიშანს სვამდა ფსიქიკურსა და ფიზიკურს, შეგრძნებასა და მის ობიექტს შორის. „ამრიგად, — წერდა იგი, „ფიზიკური სხეული“ არის აღქმების ჯერ ინდივიდუალური, ხოლო შემდეგ კოლექტიური დაჯგუფებისა და სისტემატიზაციის შედეგი“[2]. — „ფიზიკური ნიშნავს ცდის გარკვეულ კავშირს, ამ კავშირის ყველაზე მწყობრ ორგანიზებულ, ყველაზე დამუშავებულ ფორმას[3]. ამ თვალსაზრისს ა. ბოგდანოვი საზოგადოებრივი მოვლენების გაგებაზეც ავრცელებდა. მისი შეხედულებით „მანქანური წარმოების მუშაკს მის ყოველდღიურ შრომით ცდაში მუდმივად ეძლევა მასალა „ფსიქიკურისა“ და „ფიზიკურის“ პრინციპული ერთგვაროვნების იდეისათვის“ [4].

ამავე თვალსაზრისს იზიარებდა იმანენტი შუბერტ-ზოლდერნი. „გნოსეოლოგიურად წარმოების გარეგანი პროცესი კი არ არის პირველადელი ... არამედ სუბიექტი, ან სუბიექტები; სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ: წარმოების წმინდა მატერიალურ პროცესსაც არ გამოვაყავართ ცნობიერების საერთო ურთიერთობიდან“ [5].

ვ. ი. ლენინმა გამოამჟღავნა ბოგდანოვის, შუბერტ-ზოლდერნის და

---

[1] იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 410.
[2] А. А. Богданов. Эмпириокритицизм. 1905. стр. 19.
[3] იქვე, გვ. 31.
[4] А. А. Богданов. Эмпириомонизм. 1906. стр. 151.
[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 412.

სხვათა არგუმენტაციის სიყალბე, უარყო საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების გაიგივების მცდარი დებულება.

თავისთავად ცხადია, რომ ადამიანები ურთიერთობაში არიან ერთმანეთთან როგორც შეგნებული არსებანი, მაგრამ აქედან საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების იგივეობა არ გამომდინარეობს. ყოველ ადამიანს შეგნებული აქვს რა ინდივიდუალური მოქმედება, არა აქვს შეგნებული, თუ რა საზოგადოებრივ ურთიერთობას ამყარებს იგი სხვა ადამიანებთან, რა კანონებით ვითარდება ეს ურთიერთობანი, თუ რა ცვლილებას გამოიწვევს მისი ინდივიდუალური მოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაში.

ყოველი მწარმოებელი, რომელიც საქონელს ამზადებს და ცვლის, ამით ობიექტურად გარკვეულ ურთიერთობაშია სხვა საქონელმწარმოებლებთან. ღირებულება, რომელიც მის საწარმოში შეიქმნა, მსოფლიო ბაზარზე გადის, ერთვის მას და მონაწილეობას იღებს ღირებულებათა საერთო ტოლქმედის ჩამოყალიბებაში, რაც ობიექტურად, მისი შეგნებისა და ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად მიმდინარეობს. „პროდუქტების გაცვლა-გამოცვლის დროს ადამიანები შედიან წარმოებითს ურთიერთობაში, ისე რომ არც კი აქვთ შეგნებული, რომ აქ საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობაა“ [1].

ყოველმა საქონელმწარმოებელმა იცის, თუ რა უშუალო სასარგებლო ეფექტი მოჰყვება ტექნიკურ გაუმჯობესებას, რომელსაც იგი საწარმოში ნერგავს. მაგრამ მას არ შეუძლია იცოდეს ამ გაუმჯობესებათა საზოგადოებრივი შედეგები. იქ, სადაც წარმოებასა და გაცვლა-გამოცვლას უშუალო მოგებისათვის მისდევენ, პირველ რიგში მხედველობაში შეიძლება იქნეს მიღებული მხოლოდ უახლოესი, ყველაზე უშუალო შედეგი [2].

„ყოველ ცალკეულ მწარმოებელს მსოფლიო მეურნეობაში შეგნებული აქვს, რომ მას რაღაც ცვლილება შეაქვს წარმოების ტექნიკაში, ყოველ მეურნეს შეგნებული აქვს, რომ იგი ამა თუ იმ პროდუქტებს სხვა პროდუქტებზე ცვლის, მაგრამ ამ მწარმოებლებს და ამ მეურნეებს შეგნებული არა აქვთ, რომ ისინი ამით საზოგადოებრივ ყოფიერებას ცვლიან“ [3].

ცხადია, ადამიანები თვით არიან შეგნებული არსებანი და მათი ყოველგვარი ურთიერთობა შეგნებულ არსებათა ურთიერთობის სახეს

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. I გვ. 150.
[2] იხ. ფრ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, გვ. 128.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 413.

იღებს.. მაგრამ შეგნებულ ადამიანთა ურთიერთობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეგნებას. ინდივიდუალური კავშირურთიერთობის საზოგადოებრივი შედეგების გაგებას. „არც ერთ ცოტად თუ ბევრად რთულ საზოგადოებრივ ფორმაციაში — განსაკუთრებით კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ფორმაციაში — ადამიანებს, ურთიერთობის დამყარების დროს, შეგნებული არა აქვთ, თუ რა საზოგადოებრივი ურთიერთობა მყარდება მათ შორის, რა კანონებით ვითარდება ეს ურთიერთობა და სხვ... მაგალითად, როცა გლეხი პურს ყიდის, იგი „ურთიერთობას" ამყარებს პურის მსოფლიო მწარმოებლებთან მსოფლიო ბაზარზე, მაგრამ მას ეს შეგნებული არა აქვს, როგორც შეგნებული არა აქვს ისიც, რა საზოგადოებრივი ურთიერთობა იქმნება აღებ-მიცემობით" [1].

შეუძლებელია ზუსტად განისაზღვროს მწარმოებელთა ინდივიდუალური საწარმოო-პრაქტიკული მოქმედებით შეტანილი ცვლილებანი საზოგადოებრივ ყოფიერებაში. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ კაპიტალისტურ მსოფლიო მეურნეობაში ამ ცვლილებათა ჯამს მთელი მათი განშტოებით თავს ვერ გაართმევდა 70 მარქსიც კი. მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ შეგვიძლია ვიცოდეთ მთავარ ხაზებში „ამ ცვლილებათა და მათი ისტორიული განვითარების ობიექტური ლოგიკა". „კაცობრიობის უმაღლესი ამოცანაა — ზოგად და ძირითად ხაზებში მოიცავს ევოლუციის (საზოგადოებრივი ყოფიერების ევოლუციის) ეს ობიექტური ლოგიკა, რათა რაც შეიძლება ნათლად, გარკვეულად და კრიტიკულად შეუთანხმოს მას თავისი საზოგადოებრივი ცნობიერება და ყველა კაპიტალისტური ქვეყნის მოწინავე კლასების ცნობიერება" [2].

საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან, როგორც უზოგადესი კანონზომიერება, მოქმედების ძალას სოციალიზმის პირობებშიც ინარჩუნებს. სოციალიზმის დროს, წინა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისაგან განსხვავებით, სამეურნეო ცხოვრება გეგმაზომიერად ვითარდება. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების დიდმნიშვნელოვანი კანონზომიერება მოქმედებს წარმოების საშუალებათა განსაზოგადოების ბაზაზე, სოციალისტურ ეკონომიკურ წყობილებასა და საწარმოო ძალთა განვითარების მიღწეულ დონეს, ე. ი. სოციალისტური საზოგადოების მატერიალურ საფუძვლებს ემყარება. სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება ობიექტური პროცესია, დამოუკიდებელი ადამიანთა ნებისყოფისაგან, მათი ცნობიერებისაგან. ამ კა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 411.

[2] იქვე, გვ. 414.

ნონის მოქმედება სოციალიზმის დროს მაქსიმალურ შესაძლებლობას ქმნის იმისათვის, რომ შევისწავლოთ სახალხო მეურნეობის განვითარების მოთხოვნები, სწორად დავგეგმოთ და გონიერულად წარვმართოთ სოციალისტური სახალხო მეურნეობა. მაგრამ მგეგმავი ორგანოების შეგნებული მოქმედება, მათ მიერ სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოთხოვნების გათვალისწინება არ უარყოფს თვით იმ ფაქტს, რომ აღნიშნული კანონზომიერება ობიექტურად, ადამიანთა ნებისყოფისაგან დამოუკიდებლად არსებობს. გარდა ამისა, არც სოციალიზმის პირობებშია შესაძლებელი მთელი სიზუსტით აისახოს სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარების კანონის მოთხოვნები. ისე, რომ სოციალისტური სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება ჩვენი შეგნებული მოქმედებით კი არ განისაზღვრება, არამედ პირიქით, თვით არის მისი განმსაზღვრელი.

ამასთან, როგორც არ უნდა ჰქონდეთ შეგნებული ადამიანებს თავიანთი საკუთარი მოქმედება, საზოგადოებრივი ყოფიერება მაინც ობიექტურ რეალობად რჩება და თავისი განვითარების ობიექტურ, ადამიანთა ნებისყოფისა და შეგნებისაგან დამოუკიდებელ კანონებს ექვემდებარება.

საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების იგივეობის იდეალისტურ თეზისს მეცნიერებასთან არაფერი აქვს საერთო. „საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება ერთი და იგივე არ არის, — სწორედ ისევე, როგორც ერთი და იგივე არ არის ყოფიერება და ცნობიერება საზოგადოდ“ [1].

საზოგადოებრივი ცნობიერება ისევეა დამოკიდებული საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, როგორც ცნობიერება ყოფიერებაზე საერთოდ. აუცილებელ კავშირს დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ამ დებულებათა შორის პრინციპული მნიშვნელობა აქვს.

„მატერიალიზმი საერთოდ ცნობს ობიექტურად რეალურ ყოფიერებას (მატერიას), დამოუკიდებელს კაცობრიობის ცნობიერებისა, შეგრძნებისა და ცდისაგან და სხვ. ისტორიული მატერიალიზმი ცნობს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია კაცობრიობის საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან“ [2] (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ლ.).

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ საზოგადოებრივი ყოფიერების და-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 14, გვ. 410—411.

[2] იქვე, გვ. 415.

მოუკიდებლობა საზოგადოებრივ ცნობიერებისაგან როგორც მისი სუბსტანციური ბუნების გამოხატულება საზოგადოებრივი ყოფიერების არსებას არ ამოწურავს. საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლად მაგალითად, გეოგრაფიული გარემოც არსებობს. მაშასადმე, საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან დამოუკიდებლობა როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების, ისე გეოგრაფიული გარემოს საერთო ნიშანს წარმოადგენს. მაგრამ თვისებრივად სხვადასხვაა ის როლი, რომელსაც ეს მატერიალური მხარეები საზოგადოებრივი ცნობიერების ცვალებადობასა და განვითარებაში ასრულებენ.

საზოგადოებრივი ყოფიერება დამოუკიდებელია საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან, მაგრამ ამავე დროს მისი განმსაზღვრელია, მაშინ როდესაც გეოგრაფიული გარემო არ ასრულებს განმსაზღვრელ როლს საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ.

საზოგადოებრივი ყოფიერება როგორც პირველადი, განმსაზღვრელი; საზოგადოებრივი ცნობიერება როგორც მეორადი, განსაზღვრული. საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადი და განმსაზღვრელია საზოგადოებრივი ცნობიერების მიმართ. ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი სწორედ საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის პრინციპის აღიარებასა და გატარებაში მდგომარეობს.

საზოგადოებრივი სულიერი ცხოვრების ჩამოყალიბების, საზოგადოებრივი ცნობიერების, შეხედულებებისა და თეორიების როგორც წარმოშობის, ისე ცვალებადობის წყარო თვით საზოგადოებრივ თეორიებსა და შეხედულებებში არ უნდა ვეძიოთ.

„ადამიანთა ცნობიერება კი არ განსაზღვრავს მათს ყოფიერებას, არამედ, პირიქით, მათი საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს მათს ცნობიერებას“ [1]. საზოგადოებრივ შემეცნებას საზოგადოებრივი ყოფიერება უდევს საფუძვლად. ის წარმართავს ადამიანთა გონებას სინამდვილის მოვლენების შეცნობისაკენ. ადამიანთა შემეცნების ობიექტებად იქცევიან ის საგნები და მოვლენები, რომლებიც მათი მატერიალური ცხოვრების მოთხოვნილებებთან, მათს საზოგადოებრივ-წარმოებით და რევოლუციურ პრაქტიკასთან არიან დაკავშირებული.

საზოგადოებრივი შემეცნების ცვალებადობა ადამიანთა საზოგადოებრივი ყოფიერების ცვალებადი მოთხოვნილებებითაა განსაზღვ-

---

[1] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, 1953, გვ. 10.

რული. ყოველი ახალი ნაბიჯი ადამიანთა მატერიალურ ცხოვრებაში საზოგადოებრივი, შემეცნების ჰორიზონტის გაფართოებას იწვევს.

საზოგადოებრივი შემეცნების დამოკიდებულებას საზოგადოებრივ ყოფიერებაზე ადასტურებს ისიც, რომ ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები ისევ მათსავე მატერიალურ ცხოვრებას უბრუნდება და ამ ცხოვრების სამსახურში დგება. ადამიანები შეიცნობდნენ და შეიცნობენ ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებს, განუწყვეტლივ წინ მიიწევენ მათი შემეცნების საქმეში. რათა თავიანთი მდგომარეობა გაიუმჯობესონ, ბუნებისა და საზოგადოების სტიქიურ ძალებზე გაბატონდნენ. საზოგადოებრივი შემეცნება ვითარდებოდა და ვითარდება საზოგადოებრივი პრაქტიკის ცვალებადობის, საზოგადოებრივი პრაქტიკის მიერ წამოყენებული ახალ-ახალი ამოცანების კვალდაკვალ.

საზოგადოებრივი პრაქტიკა ადამიანთა იდეების ამოსავალი, მათი შეცვლა-განვითარების უშუალო წყაროა. სხვადასხვა შეხედულებებისა და თეორიების წარმოშობა აიხსნება ადამიანთა მატერიალურ-საწარმოო და საზოგადოებრივი საქმიანობის თავისებურებებით ისტორიული განვითარების განსხვავებულ საფეხურებზე.

„როგორც ადამიანის შემეცნება ასახავს მისგან დამოუკიდებლად არსებულ ბუნებას, ე. ი. განვითარებაში მყოფ მატერიას, სწორედ ასევე ადამიანის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ა (ე. ი. სხვადასხვანაირი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი და მოძღვრებანი) ასახავს საზოგადოების ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ წ ყ ო ბ ა ს[1].

ვ. ი. ლენინმა საზოგადოებრივი ცნობიერება განსაზღვრა როგორც ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყ ო ფ ი ერ ებ ი ს ა ს ა ხ ვ ა, რითაც ახალი მომენტი შეიტანა ადამიანთა საკუთრივ მატერიალური და სულიერი ცხოვრების თანაფარდობის საკითხის მარქსისტულ გადაწყვეტაში.

ცნობიერება საერთოდ არ არის პირველადი და განმსაზღვრელი, რადგან გარე სამყაროს ასახვას, შემეცნებულ ყოფიერებას წარმოადგენს. ცნობიერება არსებობს იმდენად, რამდენადაც არსებობს ყოფიერება, რომელსაც იგი ასახავს. ამ ნიშანთვისებას ამჟღავნებს იგი საზოგადოებრივ ცხოვრებაშიც.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმის თანახმად, ასახვა საერთოდ არ არსებობს მისი ობიექტის, ასახვის საგნისაგან დამოუკიდებლად. მაშასადამე, საზოგადოებრივი ცნობიერებაც იმთავითვე გულისხმობს გარკვეული ობიექტის, კერძოდ საზოგადოებრივი ყო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 6.

ფიერების არსებობას, რომელსაც იგი ასახავს. საზოგადოებრივი ყოფიერება წინ უსწრებს მისი შესაბამისი სურათის გაჩენას ადამიანთა შეხედულებებსა, წარმოდგენებსა და თეორიებში და ა. შ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებრივ ცნობიერებას აბსოლუტური დამოუკიდებლობა არ გააჩნია: იგი განსაზღვრულია საზოგადოებრივი ყოფიერებით, დამოკიდებულია საზოგადოებრივ ყოფიერებაზე. როგორიცაა საზოგადოებრივი ყოფიერება, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობები, ისეთივეა მისი სულიერი ცხოვრება, ადამიანთა ცნობიერება.

საზოგადოების სულიერი მოღვაწეობის შინაარსი მისივე მატერიალური ცხოვრებაა, საზოგადოებრივი ყოფიერებაა. ადამიანები გრძნობენ და განიცდიან იმას, ფიქრობენ იმაზე, რასთანაც მატერიალურ ცხოვრებაში აქვთ კავშირი. მათი ფანტასტიკური წარმოდგენებიც კი „... აუცილებელი პროდუქტებია, თავისებური ანაორთქლებია მათი მატერიალური საარსებო პროცესისა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს ემპირიულად და რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ წანამძღვრებთან“ [1]. და შემდეგ: „თუ მთელს იდეოლოგიაში ადამიანები და მათი ურთიერთობანი, როგორც კამერა-ობსკურაში, თავდაყირა დაყენებული მოჩანან, ეს მოვლენაც სავსებით ისევე გამომდინარეობს მათი ცხოვრების ისტორიული პროცესიდან, როგორც საგანთა უკუგამოსახულება თვალის ბადურაზე მათი ცხოვრების უშუალოდ ფიზიკური პროცესიდან გამომდინარეობს“ [2].

საზოგადოებრივი ცნობიერება სხვა არაფერია, თუ არა ასახული საზოგადოებრივი ყოფიერება, შეცნობილი საზოგადოებრივი ყოფიერება. საზოგადოებრივი ცნობიერების ამგვარი გაგება ლოგიკურად გამომდინარეობს ყოფიერებისა და ცნობიერების ურთიერთობის ზოგადი პრინციპიდან, რომელზეც მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმია დაფუძნებული.

„ცნობიერება საზოგადოდ ასახავს ყოფიერებას, — ეს მთელი მატერიალიზმის ზოგადი დებულებაა. შეუძლებელია ამ დებულების პირდაპირი და განუყრელი კავშირი არ დავინახოთ ისტორიული მატერიალიზმის დებულებასთან: საზოგადოებრივი ცნობიერება ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას“ [3].

საზოგადოებრივი ცნობიერება საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვას წარმოადგენს. იგი სხვადასხვა ფორმის საშუალებით ასახავს საზოგადოებრივ ყოფიერებას მის სირთულესა და მრავალფეროვნებაში. მაგრამ ეს ასახვა არ შეიძლება მუდმივი, დასრულებული და ამომწურავი იყოს.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 17.
[2] იქვე.
[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 411.

მარქსისტული ფილოსოფიური მატერიალიზმიდან ცნობილია, რომ სამყარო შეცნობადია და რომ ჩვენს ცოდნას სინამდვილისა და მისი კანონების შესახებ ობიექტური ჭეშმარიტების მნიშვნელობა აქვს. თუ ამ დებულებას საზოგადოებრივი ცხოვრების, საზოგადოებრივი განვითარების მიმართ გავავრცელებთ, მივალთ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება აგრეთვე შეცნობადია, რომ სარწმუნოა ცოდნა საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მისი განვითარების კანონების შესახებ.

ცხადია, საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვა საზოგადოებრივ შეხედულებებს, იდეებსა და თეორიებში არ შეიძლება საბოლოოდ სრულყოფილი, ამომწურავი იყოს. უფრო მეტიც, ხშირად ადამიანთა შეხედულებები საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაზე, გარე სამყაროზე აშკარად მცდარად, ფანტასტიკურად ასახავენ სინამდვილეს, ამახინჯებენ მას, რითაც ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში გაბატონებული კლასები არიან დაინტერესებული. საზოგადოებრივ შეხედულებებში საზოგადოებრივი ყოფიერების ამომწურავად ასახვის შესაძლებლობას ძირითადად განსაზღვრავს: ა) საზოგადოებრივი ცხოვრების სირთულე, მისი მრავალმხრივობა, ბ) საზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივი ცვალებადობა, გ) ადამიანთა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის შეზღუდულობა ყოველ ისტორიულ პერიოდში. ამ და მთელი რიგი სხვა მიზეზების გამო საზოგადოებრივი ცნობიერება არის საზოგადოებრივი ყოფიერების „... ასახვა, უ კ ე თ ე ს შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი მ ი ს ი დ ა ა ხ ლ ო ე ბ ი თ სწ ო რ ი (ადეკვატური, იდეალურად ზუსტი) ასახვა“ [1] (ხაზგასმა ჩვენია.—ბ. ლ.).

საზოგადოებრივი ცნობიერება, როგორც საზოგადოებრივი ყოფიერების ასახვა, თვისებრივად განსხვავდება მის მიერ ასახული ობიექტის — საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან. ეს უკანასკნელი ობიექტური რეალობაა, ხოლო საზოგადოებრივი ცნობიერება მის ანარეკლს წარმოადგენას.

ისტორიული მატერიალიზმის ერთ-ერთი ძირეული კანონზომიერება სწორედ ის არის, რომ საზოგადოებრივი ცნობიერებისა და საზოგადოებრივი ყოფიერების ურთიერთქმედებაში განმსაზღვრელი როლი საზოგადოებრივ ყოფიერებას ეკუთვნის. მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების განსაზღვრულობა საზოგადოებრივი ყოფიერებით არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს საზოგადოებრივი ცნობიერება ავტომატურად გამოიყვანება არსებული მატერიალური ცხოვრების პირობებისაგან, საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან. სწორედ ამას ქადაგებდნენ მარქსიზმის ვულგარიზატორები ბერნშტეინი, შულიატი-

---

[1] ვ. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 14, გვ. 415.

კოვი, ბოგდანოვი და სხვები, მოითხოვდნენ რა იდეოლოგიური ფორმების უშუალო გამოყვანას წარმოების დონიდან, ტექნიკის მდგომარეობიდან. ფაქტები სხვაზე მეტყველებენ. მაგალითად, ცნობილია შემთხვევები, როდესაც ხალხი, რომელიც ჩამორჩება სხვა ხალხებს მატერიალური ცხოვრების განვითარების დონით, მათ წინ უსწრებს სულიერი მოღვაწეობის ამა თუ იმ დარგში. ასეთი ვითარება შეიქმნა ფილოსოფიური აზროვნების მხრივ XVIII საუკუნის საფრანგეთში ეკონომიკურად უფრო განვითარებული ინგლისის ფილოსოფიური აზროვნების მიმართ; ასეთივე ვითარება იყო შემდგომ პერიოდში გერმანიაში საფრანგეთისა და ინგლისის მიმართ. საყოველთაოდ ცნობილია აგრეთვე, რომ XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული კლასიკური ლიტერატურა იმდროინდელ, ეკონომიკურად საკმაოდ ჩამორჩენილ რუსეთში შეიქმნა.

ამრიგად, საზოგადოებრივი განვითარების რეალური მსვლელობა არ ადასტურებს აზრს იმის შესახებ, თითქოს იდეოლოგიური ფორმები უშუალოდ გამომდინარეობენ წარმოებისა და ტექნიკის მიღწეული დონიდან.

თუ საზოგადოებრივი ცნობიერების ცალკეულ ფორმებს განვიხილავთ, მათი გამომდინარეობა საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან არც ისე თვალსაჩინოა. ბურჟუაზიული პროფესიული პოლიტიკოსების, სახელმწიფო სამართლის თეორეტიკოსებისა და სამოქალაქო სამართლის იურისტების აზროვნებაში, — როგორც აღნიშნავდა ფ. ენგელსი, — სრულიად იკარგება იდეოლოგიის კავშირი ეკონომიკურ ფაქტებთან [1]; მათ წარმოუდგენიათ, რომ აპრიორული დებულებებით ხელმძღვანელობენ, მაშინ როდესაც ეს დებულებები მატერიალური ცხოვრების ეკონომიკის ანარეკლს შეადგენენ.

რელიგიური და ფილოსოფიური შეხედულებების კავშირი ადამიანთა მატერიალური არსებობის პირობებთან საზოგადოების საწარმოო-ეკონომიკურ საფუძვლებთან კიდევ უფრო დახლართული და ბუნდოვანია.

სხვადასხვა იდეოლოგიური შეხედულებებისა და წარმოდგენების ესოდენ დაშორება საზოგადოებრივი ყოფიერებისაგან წარმოშობს ილუზიას, თითქოს იდეოლოგიას თავისთავადი მატერიალური ცხოვრებისაგან სრულიად დამოუკიდებელი ისტორია ჰქონდეს. ეს უკვე მეორე უკიდურესობაა რომელსაც ისტორიული მატერიალიზმი აგრეთვე გადაჭრით უარყოფს.

საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა. ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით საზოგადოებრივ

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964. გვ. 484.

ცნობიერებას, იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმას შეფარდებითი დამოუკიდებლობის თვისება აქვს, რომელსაც საზოგადოებრივ ყოფიერებასთან მიმართებაში ამჟღავნებს.

საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებრივ ცნობიერებას განვითარების ისეთი მიმართულების მიღება შეუძლია, როდესაც საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებას აღარ ასახავს. საზოგადოებრივი ცნობიერება ყოველთვის ადამიანთა მატერიალური ცხოვრების პროდუქტი, მისი ასახვაა. მაგრამ, მეორე მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერება მექანიკურად, ფოტოგრაფიული უშუალობით არ გამომდინარეობს საზოგადოებრივი ყოფიერებიდან. საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცნობიერებას საბოლოოდ და არა პირდაპირ და სწორხაზობრივად. საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი თავისთავადობა, მისი დამოუკიდებლობის შეფარდებითი ხასიათი აქედანაც წარმოსდგება.

როგორც აღინიშნა, XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული კლასიკური ლიტერატურა ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნის პირმშო იყო. ამასთან იგი ერთგვარად გასცილდა კიდეც იმდროინდელი რუსეთის ეკონომიკური განვითარების დონეს. მაგრამ, საბოლოო ჯამში, XIX საუკუნის პირველი ნახევრის რუსული კლასიკური ლიტერატურის წარმოშობას კვლავ რუსეთის მატერიალური ცხოვრების პირობებში აქვს თავისი საფუძველი. იგი გამოხატავდა რუსეთის პროგრესული ძალების მოძრაობას, რომელიც მიმართული იყო ცარიზმისა და ბატონყმობის წინააღმდეგ. მშრომელი მასების პრაქტიკული გულისწყრომა და შეურიგებლობა მეფის რუსეთის ბატონყმური წყობილებისადმი, მათი სწრაფვა ბატონყმური უღლისაგან განთავისუფლებისათვის რუსული კლასიკური ლიტერატურის შთამაგონებელი სიდიადისა და გაფურჩქვნის უშრეტ წყაროს წარმოადგენდა.

სხვა მრავალი მაგალითითაც შეიძლება იმის ნათელყოფა, რომ საზოგადოებრივი ცნობიერების, იდეოლოგიის ამა თუ იმ ფორმების დამოუკიდებლობა მხოლოდ შეფარდებითია, რომ საბოლოო ანგარიშით საზოგადოებრივ ცნობიერებას საზოგადოებრივი ყოფიერება განსაზღვრავს.

ისტორიული მატერიალიზმის მიხედვით, საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა სხვადასხვა ფაქტორის მოქმედებით აიხსნება. ეს ფაქტორებია: საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადი ბუნება, საზოგადოებრივი ცნობიერების შინაგანი აქტიურობა, კლასობრივი ძირები, მემკვიდრეობითობა, იდეოლოგიური ფორმების ურთიერთკავშირი, ტრადიციის ძალა და სხვ.

რაკი ყოფიერების ასახვაა, ცნობიერების ცვალებადობა ყოფიერების ცვალებადობაზეა დამოკიდებული. ჯერ ყოფიერება იცვლება, შემდეგ კი ცნობიერება. ყოფიერების სფეროში მომხდარი ცვლილებები წინ უსწრებენ ცნობიერების სფეროში მომხდარ ცვლილებებს. „ცნობიერება ჩამორჩება ყოფიერებას“ [1]. ეს კანონზომიერება თავს იჩენს საზოგადოებრივი ყოფიერების და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერმიმართებაშიც. საზოგადოებრივი ცნობიერება იცვლება მას შემდეგ, რაც საზოგადოებრივი ყოფიერება გარკვეულ ცვლილებებს განიცდის. ამის გამო ადამიანთა ცნობიერება მათსავე ყოფიერებას ჩამორჩება.

საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა უწინარეს ყოვლისა ამაში მჟღავნდება.

საზოგადოებრივი ყოფიერების ცვალებადობა შინაგანი აუცილებლობით იწვევს საზოგადოებრივი ცნობიერების ცვალებადობას. მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების შეცვლა არ უნდა გავიგოთ როგორც მთლიანად ხელის აღება ადრინდელ შეხედულებებსა და თეორიებზე, ჩვეულებებსა და ტრადიციებზე და ა. შ. არც ძველი იკარგება უკვალოდ, არც ახალი წარმოიშობა სრულიად ცარიელ ადგილზე. ძველი საზოგადოებრივი იდეებიდან და შეხედულებებიდან გარკვეული მომენტები შემოინახება, რაც ადამიანთა მატერიალური ცხოვრების შეცვლილ ვითარებას შეესაბამება. ამასთან, წარსულიდან გადმოცემული და შემორჩენილი სულიერი მემკვიდრეობა ახალ საზოგადოებრივ იდეებსა და შეხედულებებს ერწყმის, რომელთა წარმოშობა შეცვლილმა საზოგადოებრივმა ყოფიერებამ განაპირობა.

მ ე მ კ ვ ი დ რ ე ო ბ ი თ ო ბ ა ს რომ არ ჰქონოდა ადგილი საზოგადოებრივი ცნობიერების განვითარების პროცესში, მაშინ, საზოგადოებრივი ყოფიერების ყოველ ძირეულ შეცვლასთან ერთად, ადამიანებს ხელახლა უნდა დაეწყოთ თავიანთი სულიერი მოღვაწეობის ისეთი დარგების შექმნა, როგორიცაა ფილოსოფია, ხელოვნება, მეცნიერება, რელიგია და ა. შ. მაგრამ, როგორც კაცობრიობის აზროვნების განვითარების ისტორიიდან არის ცნობილი, ეს ასე არ ხდება. საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები მას შემდეგ, რაც აღმოცენდებიან, ყოველთვის წარსულის მიერ ნაანდერძევ მასალას შეიცავენ. „... ყოველი იდეოლოგია, რაკი უკვე წარმოშობილია, არსებულ წარმოდგენათა მასალის გამოყენებით ვითარდება და თავის მხრივ მის შემდგომ დამუშავებას იწვევს“ [2].

ქრისტიანული რელიგია, რომელიც რელიგიის გაბატონებული

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 223.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 485.

ფორმაა ბევრ თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყანაში, ცხადია, შეხამებულია ბურჟუაზიული საზოგადოების ეკონომიკურ სტრუქტურასთან და მას ემსახურება, მაგრამ ისეთ ფანტასტიკურ-მითურ წარმოდგენებსაც შეიცავს, რომლებიც ჯერ კიდევ პირველყოფილ-თემური საზოგადოებიდან მომდინარეობს.

ფილოსოფიის განვითარების ისტორიასაც თუ დავაკვირდებით, ადვილად შევამჩნევთ, რომ შემდგომი პერიოდის ფილოსოფია აგრეთვე წინა პერიოდის ფილოსოფიურ აზროვნებას ეყრდნობა ხოლმე. ყველა ეპოქის ფილოსოფიას, ფ. ენგელსის სიტყვით, წანამძღვრად აქვს გარკვეული სააზროვნო მასალა, რომელიც მას წინამორბედისაგან გადმოეცა და რომლიდანაც ის გამოდის [1].

მაგალითად, შევადაროთ მატერიალიზმის ორი, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებული ფორმა — ანტიკური დროის მატერიალიზმი, — სტიქიური მატერიალიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი. სტიქიური მატერიალიზმი და დიალექტიკური მატერიალიზმი სრულიად განსხვავებულ ისტორიულ ეპოქებში, საზოგადოებრივი ყოფიერების განვითარების სრულიად განსხვავებულ ეტაპებზე წარმოიშვნენ და ერთი შეხედვით, მემკვიდრეობითი კავშირები მათ შორის თითქოს გამორიცხული უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ეს კავშირი არსებობს. დიალექტიკური მატერიალიზმი, როგორც მატერიალიზმის უმაღლესი ფორმა წარმოადგენს ანტიკური მატერიალიზმის პრინციპების თავისებურ აღდგენას, მაგრამ არა ძველი მატერიალიზმის უბრალო ხელახლა აღდგენას, არამედ მისი ურყევი საფუძვლების შეერთებას ფილოსოფიის და ბუნებისმეცნიერების ორი ათასი წლის განვითარების მთელ იდეურ შინაარსთან, თვით ამ ორი ათასი წლის ისტორიასთან [2].

მემკვიდრეობით გადმოცემული მასალის ათვისება ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების არა მარტო რელიგიურ და ფილოსოფიურ, არამედ აგრეთვე მორალურ, ესთეტიკურ, პოლიტიკურ და სხვა სფეროში. ადამიანთა ყოველი ახალი თაობა, როდესაც სულიერ მოღვაწეობას შეუდგება, ეყრდნობა იმ სულიერ მასალას, რომელიც წინამავალმა თაობამ მას მემკვიდრეობით უანდერძა და ახდენს ამ მასალის გადამუშავებას მატერიალური ცხოვრების შეცვლილი პირობების შესაბამისად, კლასობრივი მდგომარეობისა და ბრძოლის კონკრეტული ვითარების მოთხოვნებისამებრ.

ამრიგად, საზოგადოებრივი იდეებისა და შეხედულებების განვი-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 485.
[2] ფ. ენგელსი. ანტი-დიურინგი. 1952. გვ. 165.

თარება შეუძლებელია მემკვიდრეობითი მომენტების გარეშე წარმოვიდგინოთ.

მემკვიდრეობითობა საზოგადოებრივი ცნობიერების შედარებით დამოუკიდებლობას განამტკიცებს.

პროლეტარიატი, როგორც ყველაზე მოწინავე, რევოლუციური კლასი, თავის საკუთარ კულტურას ქმნის, მაგრამ პროლეტარული კულტურა არც მოწყვეტილია ძველ კულტურულ მემკვიდრეობისაგან და არც იგივეობრივია მასთან. „პროლეტარული კულტურა არ არის საიდანლაც გამომხტარი რამ, იგი არ არის იმ ადამიანთა გამონაგონი, რომელნიც თავისთავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე ჩმახია. პროლეტარული კულტურა უნდა იყოს ცოდნის იმ მარაგის კანონზომიერი განვითარება, რომელიც კაცობრიობამ შეიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულური საზოგადოების, მოხელური საზოგადოების უღელქვეშ“ [1].

საზოგადოებრივი იდეებისა და შეხედულებების, პროლეტარული კულტურის, მატერიალური წარმოებისა და სხვა საზოგადოებრივი მოვლენების განვითარება მემკვიდრეობითი, შემონახული მომენტების ბაზაზე ხდება.

ცნობილია ვ. ი. ლენინის ბრძოლა პროლეტკულტელების — ა. ბოგდანოვის, პ. ლებედევ-პოლიანსკის, ბ. არვატოვის, ვ. პლეტნევის და სხვათა წინააღმდეგ, რომლებიც ეწეოდნენ მარქსიზმის ფალსიფიკაციას წარსულის კულტურული მემკვიდრეობისადმი დამოკიდებულების საკითხში. პროლეტკულტელები ქადაგებდნენ ნიჰილისტურ დამოკიდებულებას ადრინდელი კულტურული მემკვიდრეობისადმი, მოითხოვდნენ ეგრეთ წოდებულ „წმინდა პროლეტარული კულტურის“ შექმნას, კულტურული მშენებლობის თავიდან დაწყებას, კაცობრიობის მიერ კაპიტალიზმის დროს და წინა ფორმაციებში შექმნილი კულტურის სრულ უგულებელყოფას. ვ. ი. ლენინმა გამოააშკარავა პროლეტკულტელების შეხედულებათა უსაფუძვლობა.

ებრძოდა რა პროლეტკულტელებს, იგი აღნიშნავდა, რომ ძალაუფლების ამღები მუშათა კლასი „ამოცანად დაისახავს გადააქციოს კაპიტალიზმის მიერ დაგროვილი უმდიდრესი, ჩვენთვის ისტორიულად გარდუვალ-აუცილებელი მთელი მარაგი კულტურისა, ცოდნისა და ტექნიკისა, — გადააქციოს ყველაფერი ეს კაპიტალიზმის იარაღიდან სოციალიზმის იარაღად“ [2]. ეს ამოცანა წარმატებით გადაწყდა ახალი, სოციალისტური ეკონომიკისა და კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების პროცესში.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 343.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 27, გვ. 501.

ანტაგონისტურ საზოგადოებაში თითოეულ კლასს საკუთარი ფსიქოლოგია, შეხედულებები და თეორიები, იდეოლოგია აქვს. თითოეული მათგანი წინა იდეოლოგიური არსენალიდან იმას ითვისებს, რაც მისთვის ხელსაყრელია, ხოლო იმას უკუაგდებს, რაც მისთვის არ არის გამოსადეგი. აქედან გამომდინარე, გარკვეული შეხედულებები და წარმოდგენები, რომლებიც გაცილებით ადრე, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების განვითარების უფრო ადრინდელ საფეხურზე წარმოიშვნენ, მართალია, შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში, მაგრამ მაინც განაგრძობენ არსებობას, სწორედ იმის გამო, რომ ეს ამა თუ იმ კლასისათვის არის სასარგებლო. შეცვლილი საზოგადოებრივი ყოფიერების პირობებში შემორჩენილი ადრინდელი შეხედულებები და თეორიები ამა თუ იმ კლასის ინტერესების სამსახურში დგება.

ეკონომიკურად და პოლიტიკურად გაბატონებული ექსპლოატატორი კლასი იდეოლოგიურადაც ბატონობს საზოგადოებაში. იგი აქტიურად იყენებს თავის იდეოლოგიას მშრომელი მასების დასათრგუნავად და დასამონებლად. ამიტომ ძველი იდეოლოგიური მემკვიდრეობიდან იგი იმ იდეებს ითვისებს, რომლებიც მისი ბატონობის განსამტკიცებლად გამოდგება.

ამრიგად, თუ საზოგადოებაში მაინც ვხვდებით ისეთ იდეებსა და შეხედულებებს, რომელთა წარმოშობის მატერიალურმა პირობებმა დიდი ხანია ძალა დაკარგეს, ამის ერთ-ერთი მიზეზი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ინ ტ ე რ ე ს ებ შ ი ც უნდა ვეძებოთ. როგორც ვხედავთ, აქ არაფერია ისეთი, რასაც თავისი საფუძველი კვლავ მატერიალური ცხოვრების პირობებში არ ჰქონდეს.

საზოგადოებრივი ცნობიერების ცვალებადობა ერთბაშად არ მოსდევს საზოგადოებრივი ყოფიერების ცვალებადობას, ახალი მატერიალური ცხოვრების ახლებურად გააზრება რთული გზებით მიმდინარეობს. შეცვლილი მატერიალური სინამდვილის შეცვლილად ასახვის ამოცანას აძნელებს ის გარემოება, რომ ადამიანები, რომლებიც შ ე ე ჩ ვ ი ვ ნ ე ნ ძველებურად აზროვნებას, ვერ ახერხებენ ერთბაშად ხელის აღებას ძველ შეხედულებებსა და წარმოდგენებზე. „... იდეოლოგიის ყოველ დარგში ტრადიცია დიდ კონსერვატიულ ძალას წარმოადგენს“ [1].

საზოგადოებაში ასე თუ ისე ყოველთვის არსებობენ ძველი, ტ რ ა დ ი ც ი უ ლ ი წ ა რ მ ო დ გ ე ნ ებ ი და შ ე ხ ე დ უ ლ ებ ებ ი, თუმცა ისინი სრულიადაც აღარ შეეფერებიან ადამიანთა შეცვლილ მატერიალურ ცხოვრებას.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 438.

ისტორიული განვითარების პროცესში ადამიანები სძლევენ ძველ შეხედულებებსა და წარმოდგენებს, ცვლიან მათ ახალი საზოგადოებრივი ყოფიერების შესაბამისი შეხედულებებითა და წარმოდგენებით, მაგრამ ტრადიციის, ჩვეულების ძალა ასე თუ ისე ყოველთვის იჩენს თავს მათს ცხოვრებაში, რაც თავის მხრივ, საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მიზეზია. ცხადია, ტრადიციის ძალა არ არის ზებუნებრივი, მიღმური. მისი არსებობაც საბოლოო ანგარიშით საზოგადოების მატერიალურ ცხოვრებაზეა დამოკიდებული. ადამიანები გარკვეული წესრიგით აზროვნებას ეჩვევიან მატერიალური ცხოვრების განსაზღვრულ პირობებში ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო.

ამრიგად, ზემოთ დასახელებული ფაქტორები საზოგადოებრივი ცნობიერების დამოუკიდებლობას განაპირობებენ. მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების დამოუკიდებლობა მხოლოდ შეფარდებითია. ეს შეფარდებითი დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობის და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის ზოგადი კანონზომიერების ჩარჩოებშია მოქცეული.

საზოგადოებრივი ცნობიერების სხვადასხვა ფორმა, რომლებიც საზოგადოებრივი ყოფიერების ამა თუ იმ მხარეს ასახავენ, იზოლირებული არ არიან ერთმანეთისაგან, გავლენას ახდენენ ერთმანეთზე, ურთიერთს მსჭვალავენ.

მაგალითად, ცნობილია, თუ რა მჭიდროდ უკავშირდება ფილოსოფია პოლიტიკურ და სამართლებრივ შეხედულებებს, მორალს, მეცნიერებას, რელიგიას და პირიქით, ფილოსოფიაზე, როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავდა, „...უდიდეს პირდაპირ გავლენას ახდენენ პოლიტიკური, იურიდიული და მორალური რეფლექსები“ [1]. ურთიერთს განაპირობებენ აგრეთვე საზოგადოებრივი ცნობიერების სხვა ფორმებიც.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმები, განსაზღვრული არიან რა საზოგადოებრივი ყოფიერებით, გარკვეულ დამოკიდებულებაში იმყოფებიან აგრეთვე ერთმანეთისადმი. საზოგადოებრივი ცნობიერების ძირეული შეცვლისათვის აუცილებელი ხდება საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათის შეცვლაც ახალი საზოგადოებრივი ყოფიერების შესაბამისად, რის განხორციელებაც ხანგრძლივ დროს მოითხოვს.

საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმების ურთიერთგადახლართვის ფაქტი საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებით დამოკიდებულებას გამოხატავს და განამტკიცებს.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 608.

ამრიგად, საზოგადოების სულიერი ცხოვრება საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირველსაფუძველი კი არ არის, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების ასახვას წარმოადგენს.

ამასთან, საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობიდან სრულიადაც არ გამომდინარეობს მისი პასიური და უმოქმედო ბუნება, როგორც ამას მარქსიზმის ეულგარიზატორები ქადაგებენ. მართალია, საზოგადოებრივი ცნობიერება საზოგადოებრივ ყოფიერებაზეა დამოკიდებული და მას ასახავს, მაგრამ თავის მხრივ ნეიტრალური როდია მის მიმართ, იგი აქტიურ უკუმოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ყოფიერებაზე. ხელს უწყობს ან ხელს უშლის, მაშასადამე, აჩქარებს ან აფერხებს საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებას.

საზოგადოებრივი ცნობიერება როგორც აქტიური ძალა. საზოგადოებრივი ცნობიერების უკუმოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე. საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა განსაკუთრებული ძალით მის ქმედით ბუნებაში ელინდება.

ადამიანთა ცნობიერება სინამდვილეს ასახავს არა სარკისებურად, არამედ აქტიურად, მასში ცვლილებების შეტანის. მისი გარდაქმნის თვალსაზრისით. იგივე ითქმის საზოგადოებრივ ცნობიერებაზეც. საზოგადოებრივი ცნობიერება პასიურად არ გამოხატავს სოციალურ სინამდვილეს. მას უნარი შესწევს შეიცნოს საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებანი, წინასწარ განსაზღვროს მოსალოდნელი ცვალებადობა, ხელი შეუწყოს საზოგადოებრივ ძალებს აქტიურად ჩაერიონ ობიექტური პროცესების მსვლელობაში, გამოიყენონ საზოგადოებრივი კანონზომიერებანი თავიანთი ინტერესებისათვის. საზოგადოებრივ ყოფიერებაზე აქტიური ზემოქმედება საზოგადოებრივ ცნობიერებას გარკვეულ დამოუკიდებლობას და თავისთავადობას ანიჭებს. მაგრამ საზოგადოებრივი ცნობიერების თავისთავადობა და დამოუკიდებლობა მხოლოდ შეფარდებითი ხასიათისაა, რამდენადაც იგი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პროდუქტია, იმითაა განსაზღვრული.

პრაქტიკის საფუძველზე აღმოცენებულ და პრაქტიკით განმტკიცებულ იდეებს, შეხედულებებს, მოწინავე თეორიებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ საზოგადოებისათვის, საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა-განვითარებისათვის. ვ. ი. ლენინმა კ. მარქსის მოძღვრება ცნობიერების აქტიურობის შესახებ განუყოფლად დაუკავშირა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის სასიცოცხლოდ აუცილებელ პრაქტიკულ ამოცანებს და განავითარა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ი ს ა და ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი ი დ ე ო ლ ო გ ი ი ს შ ე ე რ თ ე ბ ი ს, მ ო წ ი ნ ა ვ ე ი დ ე ე ბ ი ს მ ა მ ო ბ ი ლ ი ზ ე ბ ე ლ ი, მ ა ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ ე ლ ი

ცნობიერების, ისევე როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიური როლი უცნობი იყო მარქსამდელი მატერიალისტებისათვის.

მარქსამდელი მატერიალიზმი ცნობიერებას განიხილავდა როგორც პასიურ ფენომენს. მარქსამდელი მატერიალიზმის მიხედვით, სუბიექტი განსაზღვრულია ობიექტის ზემოქმედებით და უპირისპირდება მას როგორც პასიური მკვრეტელი. კ. მარქსი წერდა:

„მთავარი ნაკლი მთელი წინანდელი მატერიალიზმისა, — ფოიერბახის მატერიალიზმის ჩათვლით — ისაა, რომ იგი საგანს, სინამდვილეს, გრძნობიერებას მხოლოდ ობიექტის, ანუ განჭვრეტის, ფორმაში განიხილავს და არა როგორც ადამიანის გრძნობად მოქმედებას, პრაქტიკას, არა სუბიექტურად“ [1]. მარქსამდელი მატერიალიზმი უძლური აღმოჩნდა საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიური ბუნების გაგების საკითხშიც. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „... ძველმა მატერიალიზმმა არ იცოდა იდეათა მეცნიერული გამოკვლევა (ისტორიული მატერიალიზმის შემწეობით)“ [2]. ცნობიერების აქტიურობის ფაქტს ყოველთვის იდეალიზმი ებღაუჭებოდა. მაგრამ იდეალიზმი უარყოფს აზროვნებითი აქტიურობისაგან განსხვავებულ მატერიალურ აქტიურობას და ადამიანის შემეცნებით მოღვაწეობას აბსოლუტური დამოუკიდებლობის პრედიკატს მიაწერს.

„... მოქმედ მხარეს, წინააღმდეგ მატერიალიზმისა, იდეალიზმი აკითარებდა, მაგრამ მხოლოდ აბსტრაქტულად, რადგან იდეალიზმი, რასაკვირველია, ნამდვილ, გრძნობად მოქმედებას როგორც ასეთს. არ იცნობს“ [3].

საკითხი იდეალური და მატერიალური მხარეების ურთიერთობის, იდეალური მხარის აქტიური ბუნების, მოწინავე იდეების გარდამქმნელი როლის შესახებ ბოლომდე თანამიმდევრულად კ. მარქსის ფილოსოფიაში გადაიჭრა.

მარქსისა და ენგელსის მოღვაწეობა იმ პერიოდს უკავშირდება, როდესაც გადაუდებელ ისტორიულ აუცილებლობად იქცა ბრძოლა იდეალიზმის წინააღმდეგ სოციოლოგიაში, ბრძოლა იდეალიზმის გასაძევებლად მისი „უკანასკნელი თავშესაფარიდან“. იდეალიზმის განდევნა სოციოლოგიიდან, იდეების როლის მეცნიერული გარკვევა შესაძლებელი იყო მხოლოდ ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე. ისტორიულად შექმნილი ვითარების გამო მარქსისა და ენგელსის მეცნიერული მოღვაწეობის ცენტრში საზოგადოებრივი

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 1.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 14, გვ. 309.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 1.

ცნობიერებისა და მისი ფორმების წარმოშობის საკითხის დამუშავება იდგა. მათ დაასაბუთეს, რომ საზოგადოების სულიერი ცხოვრება საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირველსაფუძველი კი არ არის, არამედ საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პროდუქტია, საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობებს ასახავს. ამაზე ენგელსიც მიუთითებდა: „ჩვენ იძულებული ვიყავით მოწინააღმდეგეთა საპირისპიროდ მათ მიერ უარყოფილი მთავარი პრინციპისათვის გაგვესვა ხაზი...“ [1] თავის წერილებში (1890—1894 წწ.) ენგელსი რამდენიმეჯერ ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ კ. მარქსთან ერთად იგი, უწინარეს ყოვლისა, იდეების წარმოშობის საკითხს ამუშავებდა, რაც უშუალოდ მარქსიზმის მტრებთან ბრძოლის თავისებურებებით იყო გამოწვეული.

ისტორიის მატერიალისტური გაგების ამოსავალი დებულება იმის შესახებ, რომ განმსაზღვრელ მომენტს ისტორიაში საბოლოო ანგარიშით მატერიალური ცხოვრების წარმოება წარმოადგენს, მარქსიზმის მტრების თავდასხმის ობიექტად იქცა ჯერ კიდევ ენგელსის სიცოცხლეში. მარქსისტული ფილოსოფიის ამ პრინციპულ საკითხს ამახინჯებდნენ რევიზიონისტების დამახასიათებელი ხერხით, „მარქსიზმის დაცვის“ ლოზუნგით. გამოდიოდნენ რა მარქსიზმის დებულებიდან, რომ იდეოლოგიის სფეროს არ გააჩნია საზოგადოების მატერიალური ცხოვრებისაგან დამოუკიდებელი ისტორია, მარქსიზმის მტრები არაფრისმთქმელ, აბსტრაქტულ ფრაზად აქცევდნენ მას. ფ. ენგელსმა უკუაგდო მათი მტკიცება იდეების, თეორიის, ზედნაშენის შეუფასებლობის, საზოგადოებრივი განვითარების ერთადერთ განმსაზღვრელ მომენტად ეკონომიკური მომენტის მიჩნევის შესახებ.

ცნობიერების, იდეების, სუბიექტური ფაქტორის აქტიური როლის კონცეფცია, რომელიც მარქსმა შეიმუშავა, პრინციპულად და ძირითად ხაზებში, რასაკვირველია, თანამიმდევრულად არის გატარებული მის ნაშრომებში. ფ. ენგელსი წერდა: „მარქსს ისეთი არა დაუწერია რა, სადაც ეს თეორია როლს არ ასრულებდეს“[2]. „მარქსის შრომებში საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზისა და რომელიმე ისტორიული პერიოდის მეცნიერული გამოსახვის დროს ყოველთვის ნაჩვენებია ის როლი, რომელსაც ეკონომიკურ მხარესთან ერთად პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი, იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმა, იდეოლოგების კონსერვატორული ან რევოლუციური შეხედულებები ასრულებენ. მაგრამ ბრწყინვალე პრაქტიკული გამოყენების მიუხედავად საკითხს იდეების როლის შესახებ მარქსისა და ენგელსის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული ნაწერები, ტ. II. 1964. გვ. 600.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II. 1964. გვ. 600.

შრომებში უფრო ნაკლები ყურადღება აქვს დათმობილი, ვიდრე საკითხს იდეების წარმოშობის შესახებ. ამაზე არაერთხელ მიუთითებდა ენგელსი. „საქმის ამ მხარეს... ჩვენ ყველანი, მე მგონია ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდით, ვიდრე ის ამის ღირსი იყო“ [1]. მეორეგან ენგელსი აღნიშნავდა, რომ ეს გარემოება „... არც მარქსის და არც ჩემს შრომებში, როგორც წესი, საკმაოდ არაა ხაზგასმული...“ [2], რომ ამის გამო „ახალგაზრდობა ხანდახან ეკონომიკურ მხარეს უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებს, ვიდრე ეს მას ეკუთვნის“ [3].

როგორც ითქვა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ მარქსისა და ენგელსის შრომებში არ მოიპოვებოდეს სახელმძღვანელო დებულებები იდეების აქტიური როლის შესახებ საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში.

ცნობიერების ქმედითი ბუნების საფუძველს, მარქსიზმის მიხედვით წარმოება, საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკა წარმოადგენს. ბუნებასთან ადამიანის აქტიური დამოკიდებულების აუცილებლობა მის მიერ მატერიალური სინამდვილის აქტიური ასახვის აუცილებლობას იწვევს. იგი სინამდვილეს ასახავს პრაქტიკული ზემოქმედების შედეგად მოსალოდნელი ცვალებადობის გათვალისწინებით, აქტიურად. „შრომის პროცესის დასასრულს, — აღნიშნავს მარქსი, — ვღებულობთ შედეგს, რომელიც ამ პროცესის დაწყებისას მუშის წარმოდგენაში, მაშასადამე, იდეალურად უკვე არსებობდა“ [4]. ამრიგად, შრომის პროცესში ადამიანის მოქმედება შრომის საგნის წინასწარ გათვალისწინებულ ცვლილებას ახდენს.

ვიდრე ეს ცვლილება რეალურად განხორციელდება, მანამდე იგი ადამიანმა უნდა გაიაზროს. ამ გაგებით აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, რომ „ადამიანის ცნობიერება არა მარტო ასახავს ობიექტურ სამყაროს, არამედ კიდევაც ქმნის მას“ [5].

ადამიანი შეიცნობს და გარდაქმნის საზოგადოებრივ ცხოვრებას. იდეები, თეორიები, რომლებიც სოციალურ მოვლენებს ასახავენ, ამავე დროს გარკვეულ უკუზეგავლენას ახდენენ მათზე, გზას უღობავენ ან ხელს უწყობენ საზოგადოებრივი ცხოვრების წინსვლას. თეორია, რომელიც პასუხობს სოციალური ცხოვრების მომწიფებულ ამოცანებს და სახავს მათი გადაჭრის გზებს, უაღრესად რეოლუციურ, გარდამქმნელ ხასიათს იძენს.

კ. მარქსი ჯერ კიდევ ადრინდელ შრომაში „ჰეგელის სამართლის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 611.
[2] იქვე, გვ. 609—610.
[3] იქვე, გვ. 600.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.
[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 38, გვ 210.

ფილოსოფიის კრიტიკისათვის, შესავალი" წერდა: „თეორიაც მატერიალურ ძალად იქცევა, როგორც კი ის მასებს დაეუფლება. თეორიას აქვს უნარი, მასები დაიპყროს.." [1]. იგი, თეზისებში ფოიერბახის შესახებ" მიუთითებდა თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობაზე. თეორიის როლზე სამყაროს პრაქტიკული გარდაქმნისათვის.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად **განმარტავდნენ** სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი **შეცვლილ იქნეს**" [2].

მარქსამდელი მატერიალისტები, ფოიერბახის ჩათვლით, სამყაროს ახსნით, არსებული „გრძნობადი სამყაროს განმარტებით" კმაყოფილდებოდნენ, მაგრამ, არსებითად, ვერც ხსნიდნენ მას, ვინაიდან მოწყვეტილი იყვნენ სოციალურ-ისტორიულ პრაქტიკას, საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონზომიერებებს არ იცნობდნენ. მარქსამდელი მატერიალიზმის საწინააღმდეგოდ მარქსიზმის ფილოსოფია მოითხოვს საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციურ გარდაქმნას საზოგადოებრივი ცხოვრების მეცნიერული გაგების საფუძველზე დასახული გზების მიხედვით.

„... **პრაქტიკული** მატერიალისტისათვის, ე. ი. **კომუნისტისათვის** მთელი საქმე იმაში მდგომარეობს, რომ არსებული სამყარო გაარევოლუციოროს, არსებული ვითარების წინააღმდეგ პრაქტიკულად გაილაშქროს და იგი შეცვალოს" [3].

შრომაში „კომუნისტური პარტიის მანიფესტი" მარქსი და ენგელსი ლაპარაკობენ იდეებზე, „რომელნიც მთელ საზოგადოებას არევოლუციონერებენ". ამასთანავე, მარქსი და ენგელსი აღნიშნავენ, რომ იდეები, რომლებსაც კომუნისტები ქადაგებენ, არ ემყარებიან „მსოფლიოს ამა თუ იმ რეფორმატორის" მიერ აღმოჩენილ პრინციპებს. ეს იდეები „მხოლოდ არსებული კლასობრივი ბრძოლის ფაქტიური ვითარების, ჩვენს თვალწინ წარმოებული ისტორიული მოძრაობის საყოველთაო გამოხატულებას წარმოადგენენ" [4]. ამ იდეებიდან გამომდინარე, კომუნისტები მოითხოვენ ბურჟუაზიის ძალაუფლების დამხობას, პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობას პროლეტარიატის მიერ.

დებულებებს იდეების, ზედნაშენის, იდეოლოგიის სხვადასხვა ფორმის როლის შესახებ ვხვდებით მარქსის შრომებში: „თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა", „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკი-

---

[1] კ. მარქსი, ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის, 1971, გვ. 14.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 4.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. I. გვ. 20.

[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 143.

სათვის", „კლასთა ბრძოლა საფრანგეთში 1948 წლიდან 1850 წლამდე", „სამოქალაქო ომის საფრანგეთში", „კაპიტალი" და სხვ.

ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფ. ენგელსის წერილები (1891—1894 წწ.), რომლებშიც ენგელსი სპეციალურად არკვევს იდეების, ზედნაშენური ხასიათის მოვლენების როლის საკითხს. ფ. ენგელსი აღნიშნავს, რომ ადამიანთა შემეცნებითი მოღვაწეობის შედეგები, რომლებიც საზოგადოებრივ ყოფიერებას ასახავენ, თავის მხრივ უკუზეგავლენას ახდენენ მასზე.

„ეკონომიკური მდგომარეობა ბაზისია, მაგრამ ისტორიული ბრძოლების მსვლელობაზე ზეგავლენას ახდენენ აგრეთვე და მრავალ შემთხვევაში უმთავრესად მის ფ ო რ მ ა ს განსაზღვრავენ ზედნაშენის სხვადასხვა მომენტები... ნამდვილი ბრძოლების თვით ასახვაც კი მონაწილეთა ტვინში, პოლიტიკური, იურიდიული, ფილოსოფიური თეორიები, რელიგიური შეხედულებანი..." [1] ადამიანთა შეხედულებები, „მათი შეცდომების ჩათვლით, უკუგავლენას ახდენენ მთელ საზოგადოებრივ განვითარებაზე, ეკონომიურზეც კი"[2].

ამრიგად, მარქსიზმის ფუძემდებლების შრომებში არსებითად გარკვეულია ის როლი, რომელსაც იდეები საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარებაში ასრულებენ, დასაბუთებულია მოწინავე თეორიის მნიშვნელობა მუშათა მოძრაობისათვის. ვ. ი. ლენინი მარქსიზმის ფუძემდებლებს უდიდეს ისტორიულ დამსახურებად უთვლიდა სოციალიზმის წარმართვას მუშათა მოძრაობასთან შეერთებისაკენ.

„ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი ს წ ა რ მ ა რ თ ვ ა მ უ შ ა თ ა მ ო ძ რ ა ო ბ ა ს თ ა ნ შ ე ე რ თ ე ბ ი ს ა კ ე ნ კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის მთავარი დამსახურებაა: მათ შეჰქმნეს რევოლუციური თეორია, რომელმაც გაარკვია ა ს ე თ ი რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი შ ე ე რ თ ებ ი ს ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა და სოციალისტებს ამოცანად დაუსახა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ორგანიზაცია" [3] . (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ზემოთქმულის მიუხედავად, მარქსს და ენგელსს ყოველმხრივად არ დაუმუშავებიათ მუშათა მოძრაობის სუბიექტური და ობიექტური მხარეების ურთიერთობის საკითხი, არ მოუციათ მუშათა მოძრაობისათვის სოციალიზმის თეორიის მნიშვნელობის ყოველმხრივი ანალიზი, რაც ისტორიული ვითარების თავისებურებით აიხსნება.

მარქსი და ენგელსი მოღვაწეობდნენ იმ პერიოდში, როდესაც პროლეტარიატი რევოლუციისათვის ემზადებოდა, მაგრამ პროლეტა-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 598.
[2] ი ქ ე ე, გვ. 607.
[3] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 4, გვ. 310.

რული რევოლუცია არსებითად უშუალო პრაქტიკულ აუცილებლობას არ წარმოადგენდა. ბუნებრივია, რომ რევოლუციის წინა პერიოდში, რევოლუციის ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების პერიოდში სუბიექტური ფაქტორის — შეგნებულობისა და ორგანიზებულობის როლის, იმ პარტიის როლის საკითხს, რომელიც შეიარაღებულია მოწინავე თეორიით, არ შეიძლებოდა ჰქონოდა ისეთი პრაქტიკული მნიშვნელობა, რაც მან მზარდი პროლეტარული რევოლუციის, აშკარა რევოლუციური შეტაკებების პირობებში მოიპოვა.

საქმის ვითარება ძირეულად შეიცვალა ლენინის მოღვაწეობის პერიოდში, როდესაც კაპიტალიზმი მის უმაღლეს სტადიაში — იმპერიალიზმში შევიდა და რევოლუციის ცოტად თუ ბევრად მშვიდობიანი განვითარების ადგილი აშკარა რევოლუციურმა შეტაკებებმა დაიკავა. კაპიტალიზმზე გადამწყვეტი იერიშის განხორციელების საჭიროებამ უაღრესად გაზარდა სუბიექტური ფაქტორის — შეგნებულობის, ორგანიზებულობის, ხელმძღვანელობის როლი. საკითხმა მოწინავე იდეების მამობილიზებელი, მაორგანიზებელი და გარდამქმნელი ძალის შესახებ პირველხარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა.

იდეების როლის საკითხის შემდგომი დამუშავებისა და კონკრეტიზაციის ამოცანა მთელი სიმწვავით დადგა ლენინის წინაშე.

ლენინმა შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული მოძღვრება იდეების როლის შესახებ საზოგადოებრივ განვითარებაში, გაარკვია და დაასაბუთა სოციალისტური შეგნებულობისა და პროლეტარული ორგანიზებულობის მნიშვნელობა კაპიტალიზმზე გადამწყვეტი გამარჯვების მოპოვებისა და სოციალიზმის მშენებლობის დიად საქმეში.

თეორიის უდიდესი როლისა და პრაქტიკაში მისი გამოყენების აუცილებლობის შესახებ ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1894 წელს წერდა: „... რაც უფრო ადრე გაიგებენ რუსი სოციალისტები, რომ თანამედროვე ცოდნის პირობებში შეუძლებელია რევოლუციური თეორიის არსებობა მარქსიზმის გარეშე, რაც უფრო ადრე მიმართავენ მთელ თავიანთ ძალებს ამ თეორიის გამოსაყენებლად რუსეთისათვის, როგორც თეორიულად, ისე პრაქტიკულად, — მით უფრო უტყუარი და ჩქარი იქნება რევოლუციური მუშაობის წარმატება“ [1].

შრომაში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ და როგორ ომობენ ისინი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ?“ ვ. ი. ლენინმა აღნიშნა აგრეთვე, რომ სოციალისტების თეორიული და პრაქტიკული მოღვაწეობა არ უნდა იყოს ერთმანეთისაგან მოწყვეტილი, არამედ უნდა გაერთიანდეს; რომ თეორიისა და პრაქტიკის ერთიანობა იმით უნდა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 391.

გამოიხატოს, რომ თეორიამ გვიჩვენოს გამოსავალი არსებული წყობილებიდან.

შრომაში „უკუსვლითი მიმართულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში“ (1899 წ.) ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შეერთების აუცილებლობა.

„ვინც არ სცნობს ამ შეერთებას, ვინც მიისწრაფის ხელოვნურად გაავლოს რაღაც მიჯნა მუშათა მოძრაობასა და სოციალიზმს შორის რუსეთში, მას სარგებლობა კი არა, ზიანი მოაქვს რუსეთის მუშათა სოციალიზმისა და მუშათა მოძრაობის საქმისათვის“ [1].

„... უნდა შეგვეძლოს სტიქიურობის შეგნებულობამდე ამაღლება“, — წერდა ვ. ი. ლენინი ნაწარმოებში „საუბარი ეკონომიზმის დამცველებთან“ [2] (1901 წ.).

მუშათა მოძრაობისათვის თეორიის მნიშვნელობის საკითხი ყოველმხრივად დაამუშავა ვ. ი. ლენინმა ნაშრომში „რა ვაკეთოთ?“ აქ, საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ანალიზის საფუძველზე ვ. ი. ლენინი დაასკვნის: „რევოლუციური თეორიის გარეშე შეუძლებელია რევოლუციური მოძრაობაც“ [3]. პარტია ვერ გაუძღვება მუშათა კლასს, ვერ უხელმძღვანელებს მის ბრძოლას, თუ არ ერკვევა საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებში, თუ შეიარაღებული არ არის საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების კანონების ცოდნით. „მოწინავე მებრძოლის როლის შესრულება შეუძლია მხოლოდ ისეთ პარტიას, რომელიც მოწინავე თეორიით ხელმძღვანელობს“ [4].

მოწინავე იდეების გარდამქმნელი როლი იმაში როდია, რომ მათ საფუძველზე შესაძლებელი იყოს სინამდვილის კანონზომიერებათა გარდაქმნა, შეცვლა, ახალი კანონზომიერებების შექმნა.

მოწინავე იდეების აქტიური, გარდამქმნელი როლი ვლინდება მათს უნარში — ასახოს ობიექტური კანონზომიერებანი, შეიმუშაოს სინამდვილის შეცვლა-განვითარების სწორი სურათი და ამით ადამიანებს საშუალება მისცეს აქტიურად გაერკვნენ ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებში, გაბატონდენ ბუნებისა და საზოგადოების ობიექტურად მოქმედ ძალებზე. ასახავენ რა ობიექტური პროცესების კანონზომიერებებს, ადამიანები იყენებენ მათ, აძლევენ მათ მსვლელობას საზოგადოებისათვის სასარგებლო მიმართულებას, ზღუდავენ ან აფართოებენ მათი მოქმედების სფეროს იმისდა მიხედვით,

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 311.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5, გვ. 392.
[3] იქვე, გვ. 460.
[4] იქვე, გვ. 461—462.

თუ ობიექტურად რა სასარგებლო შედეგებს მოელიან მათგან. სინამდვილის მეცნიერული შემეცნება ემსახურება ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური მოვლენების შეგნებულად გამოყენების, ბუნებისა და საზოგადოების ნგრევითი ძალების „მოთოკვისა“ და ადამიანთა სამსახურში მათი ჩაყენების საქმეს, რაც ხორციელდება არა ობიექტური კანონების დარღვევის, შეცვლის ან მოსპობის გზით, არამედ მათი სწორი ასახვისა და, ამაზე დაყრდნობით, პრაქტიკაში მათი უნარიანი გამოყენების გზით.

პროლეტარული სოციალიზმის თეორია კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური გზით დამხობისა და სოციალისტური წყობილების გამარჯვების მეცნიერული გამოხატულებაა და იგი, როგორც მოწინავე თეორია, უდიდეს გარდამქმნელ როლს ასრულებს. მეცნიერული სოციალიზმის რევოლუციური, გარდამქმნელი ძალა პრაქტიკასთან მის განუყოფელ ერთიანობაშია. მისი შეთვისების შედეგად მშრომელი მასები მაღლდებიან ისტორიული განვითარების კანონზომიერების გაგებამდე. ისინი, ამ თეორიით შეიარაღებულები, ფართოდ ებმებიან გარდამქმნელ, რევოლუციურ საქმიანობაში.

იდეები, აღებულნი თავისთავად, ცხოვრებაში და პრაქტიკაში მათი გამოყენების, სინამდვილესთან მათი დაკავშირების გარეშე, ცხადია, ვერავითარ გარდამქმნელ როლს ვერ შეასრულებენ. კარლ მარქსი „წმინდა ოჯახში“ აღნიშნავდა, რომ იდეებს საერთოდ არაფრის შესრულება არ შეუძლიათ. მათი განხორციელებისათვის აუცილებელია ადამიანები, რომლებიც პრაქტიკულ ძალას გამოიჩენენ. მოწინავე თეორია მატერიალურ ძალად იქცევა მხოლოდ პრაქტიკასთან კავშირში. თეორია დაკარგავს ძალას და უსაგნო გახდება, თუ ადამიანთა პრაქტიკულ საქმიანობას არ შეერწყმება. თეორია უნდა გადაიქცეს მასების კუთვნილებად, მან უნდა აამოძრაოს მასები, თავის მხრივ, მასებმა უნდა განახორციელონ მისი მოთხოვნები.

ვ. ი. ლენინმა ახალი ისტორიული ვითარების შესაბამისად შემდგომ განავითარა მარქსისტული თვალსაზრისი საზოგადოებრივი ცნობიერების აქტიურობის შესახებ, დააკონკრეტა იგი მოძღვრებად თეორიის მაორგანიზებელი, მამობილიზებელი და გარდამქმნელი როლის შესახებ.

აყალიბებდნენ რა ისტორიული მატერიალიზმის ძირეულ დებულებას საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის შესახებ, „ეკონომისტებს“ მიაჩნდათ, რომ საზოგადოების ისტორიული განვითარება ობიექტურ აუცილებლობაში ადამიანთა ყოველგვარი შეგნებული, აქტიური ჩარევის გარეშე უნდა მიმდინარეობდეს.

„ეკონომიზმის“ მიხედვით სოციალისტური შეგნების შეტანა მუშათა მოძრაობაში უნაყოფო ძალდატანებაა, ვინაიდან მუშათა მოძრა-

ობა თვითონ, თავის საკუთარი ძალებით შეიმუშავებს სოციალისტურ იდეოლოგიას, მეცნიერულ სოციალიზმს, ვინაიდან ეკონომიკური განვითარება და კლასთა ბრძოლა ქმნის არა მარტო პირობებს სოციალისტურ წყობილებაზე გადასასვლელად, არამედ სტიქიურად ბადებს შესაბამის შეგნებასაც. სოციალისტური შეგნება წარმოიშობა მუშათა მოძრაობის შიგნით, მის წიაღში როგორც ამ მოძრაობის აუცილებელი და პირდაპირი შედეგი. რაკი მუშათა მოძრაობა თვითონ გამოიმუშავებს სოციალისტურ შეგნებას, მეცნიერულ სოციალიზმს, მიზანშეწონილი არ არის დავაყენოთ მუშათა მოძრაობაში სოციალისტური შეგნების გარედან შეტანის ამოცანა და სხვ. ამის საპასუხოდ ვ. ი. ლენინი წერდა:

„ყველას, ვინც ლაპარაკობს „იდეოლოგიის გადაფასებაზე", შეგნებული ელემენტის როლის გაზვიადებაზე და სხვ., ისე აქვს წარმოდგენილი, რომ წმინდა მუშათა მოძრაობას თავისთავად შეუძლია გამოიმუშაოს და გამოიმუშავებს კიდეკაც თავისთვის საკუთარ იდეოლოგიას, ოღონდ კი მუშებმა „თავიანთი ბედი ხელიდან გამოგლიჯონ ხელმძღვანელებს". მაგრამ ეს დიდი შეცდომაა" [1].

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ მეცნიერული სოციალიზმი როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუციური გარდაქმნის თეორია მუშათა მოძრაობის შიგნით არ იბადება. ამ უკანასკნელს არ შეუძლია უ შ უ ა ლ ო დ წარმოშვას მეცნიერული სოციალიზმი. იგი მუშავდება მუშათა მოძრაობის გარეთ, მუშათა მოძრაობის სტიქიური ზრდისგან დამოუკიდებლად. მუშათა კლასი გარედან იღებს სოციალიზმის თეორიას, შემუშავებულს შეძლებულ კლასთა განათლებული წარმომადგენლების მიერ. მარტო საკუთარი ძალებით მას შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედუნიონისტული შეგნება, კავშირების შედგენის, მეპატრონეებთან ბრძოლის, მთავრობისაგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოცემის მოთხოვნით.

თავისთავად მუშათა მოძრაობაში არსებობს მხოლოდ ლტოლვა სოციალიზმისაკენ, რაც აუცილებელ ბაზას ქმნის სოციალისტური შეგნების გასავრცელებლად. თვით ლტოლვას სოციალიზმისაკენ განპირობებს მდგომარეობა, რომელშიც პროლეტარიატი იმყოფება. მაგრამ სოციალიზმისაკენ სვლის მიდრეკილებას თან არ ახლავს სოციალისტური შეგნებულობა, მასებს ჯერ კიდევ არა აქვთ შეთვისებული, რომ მათი ინტერესები შეურიგებელ წინააღმდეგობაშია არსებულ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წყობილებასთან.

იგივე ობიექტური პირობები, რომლებშიც პროლეტარიატი იმყო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 5, გვ. 478—479.

ფება, წარმოშობს მასში მეორეგვარ ლტოლვასაც ლტოლვას ბურჟუა-ზიული იდეოლოგიისაკენ, რაც გარკვეულ დრომდე (მაგრამ არა საბო-ლოოდ) ხელს უშლის აქტიური, გარდამქმნელი მოღვაწეობის შეგნების გაღვივებას პროლეტარულ მოძრაობაში. პროლეტარიატის სასიცო-ცხლო ინტერესს წარმოადგენს სოციალისტური იდეოლოგიის, სი-ნამდვილის რევოლუციური გარდაქმნის თეორიის შეთვისება, მაშასა-დამე, კავშირის გაწყვეტა ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, საკუთა-რი მდგომარეობის შეგნება და რევოლუციური მოქმედება.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ მუშათა მოძრაობაში შეგნებული ელემენტის დამცირებისა და სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრის ოპორტუნისტული თეორია გადაჭრით ეწინააღმდეგება მუშათა მოძ-რაობის რევოლუციურ ხასიათს, უარყოფს სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობას მუშათა მოძრაობაში, უარყოფს პარტიის ხელმძღვანელ როლს, აქცევს მას მოძრაობის პასიურ დანამატად.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ „ეკონომისტების“ მოთხოვნა მუ-შათა მოძრაობაში სოციალისტური იდეოლოგიის შეტანაზე ხელის-აღების და მუშათა მოძრაობის შიგნით სოციალისტური იდეოლოგიის გამომუშავების შესახებ, ბურჟუაზიის წინაშე მუშათა კლასის კაპი-ტულაციას ნიშნავს. „ეკონომიზმის“ მიზანია მუშათა კლასის დატოვე-ბა მეცნიერული სოციალიზმის, სინამდვილის რევოლუციური გარ-დაქმნის ნათელი პროგრამის გარეშე.

მუშათა მოძრაობისათვის სოციალიზმის თეორიის მნიშვნელობის, მოწინავე იდეების გარდამქმნელი როლის მარქსისტულ პრინციპს რომ იცავდა და ავითარებდა ვ. ი. ლენინმა გააკრიტიკა აგრეთვე პლე-ხანოვი, რომელმაც თავის წერილში „მუშათა კლასი და სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენცია“, მისი შრომის „რა ვაკეთოთ?“ ძი-რითადი იდეების წინააღმდეგ გაილაშქრა. წერილში „მუშათა კლასი და სოციალ-დემოკრატიული ინტელიგენცია“ საზოგადოებრივი ყო-ფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთდამოკიდე-ბულების საკითხის ლენინურ გადაჭრას პლეხანოვი ახასიათებდა როგორც იდეალისტურს, იმის გამო, რომ ამ გაგებით თითქოს უაღ-რესად გაზრდილია მუშათა მოძრაობის სუბიექტური ფაქტორის რო-ლი და უგულებელყოფილია მუშათა მოძრაობის ობიექტური ფაქ-ტორის მნიშვნელობა. პლეხანოვი ცდილობდა ვ. ი. ლენინის თეორია დაეყენებინა კ. მარქსისა და ფ. ენგელსის მიერ თავის დროზე უარ-ყოფილი ბრუნო ბაუერის „კრიტიკული კრიტიკის“ თეორიის გვერ-დით. იგი აღნიშნავდა, რომ მარქსს, ცოცხალი რომ ყოფილიყო იგი, ლენინის შეხედულებები ბრუნო ბაუერის შეხედულებათა სახესხვა-ობად მოეჩვენებოდა, რომ ლენინის თეორია არის „არა მარქსიზმი,

არამედ... ბაუერიზმი, გმირებისა და ბრბოს თეორიის ახალი გამოცემა“ [1].

პლეხანოვი უხეშად უპირისპირებდა ერთმანეთს მარქსსა და ლენინს, თავის თავს დამსახურებად უთვლიდა, რომ ვ. ი. ლენინის „იდეალისტური თეორია „უარყო“ მარქსიზმის პოზიციიდან. პლეხანოვი ვერ გაერკვა შეცვლილ ისტორიულ ვითარებაში.

ცნობილია, რომ გასული საუკუნის 80—90-იან წლებში რუსეთში, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ხალხოსნების იდეური განადგურება წარმოადგენდა. წარმატებითი ბრძოლა ხალხოსნების წინააღმდეგ, რომლებიც სუბიექტივისტურ თვალსაზრისს იცავდნენ სოციოლოგიაში, მოითხოვდა, რომ მკვეთრად გასმოდა ხაზი მარქსისტულ დებულებას საზოგადოებრივი ყოფიერების პირველადობისა და საზოგადოებრივი ცნობიერების მეორადობის შესახებ, იდეების წარმოშობის ობიექტური, მატერიალური წყაროს შესახებ, მაგრამ მას შემდეგ, რაც დაძლეულ იქნა ხალხოსნების სუბიექტივისტური შეხედულებები სოციოლოგიაში და რუსეთის მასშტაბით, ისევე როგორც საერთაშორისო მასშტაბით, პროლეტარიატის მოძრაობისათვის „ეკონომიზმის“ ოპორტუნისტული თეორია საშიშ ძალად იქცა, საჭირო იყო ისტორიული მატერიალიზმის ძირითადი საკითხის — საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის საკითხის — შემდგომი კონკრეტიზაცია და განვითარება, რაც ლენინმა მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის შეერთების შესახებ მწყობრი მოძღვრების შექმნით განახორციელა.

პლეხანოვმა ვერ შეითვისა ლენინის მიერ შემუშავებული მოძღვრება მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის თეორიის ერთიანობის შესახებ, უფრო მეტიც. იგი იფარგლებოდა იმის აღნიშვნით, რომ საზოგადოებრივი ყოფიერება პირველადია, საზოგადოებრივი ცნობიერება კი მეორადი, რომ ამიტომ ხელი უნდა ავიღოთ შეგნებული ელემენტის შეტანაზე მუშათა მოძრაობაში, საზოგადოებრივი მდგომარეობა სტიქიურად წარმოშობს მის შესაბამის ცნობიერებას მუშათა მოძრაობაში და სხვ. პლეხანოვი ლენინს ებრძოდა იმავე საბუთებით და იმავე წესით, როგორითაც ხალხოსნების წინააღმდეგ გამოდიოდა.

ვ. ი. ლენინმა შემოქმედებითი მარქსიზმის პოზიციებიდან გაარკვია, რომ მოწინავე სოციალისტური იდეები, რომლებიც გარედან უნდა შევიტანოთ მუშათა მოძრაობაში, უდიდეს გარდამქმნელ ზეგავ-

---

[1] Г. В. Плеханов, т. 13, стр. 133.

ლენას ახდენენ საზოგადოებრივ ყოფიერებაზე, მის დაჩქარებით შეცვლა-განვითარებაზე.

შემდეგში საერთაშორისო ოპორტუნიზმმა სტიქიურობის თეორიის არა ერთი და ორი ვარიანტი შექმნა. პირველ რიგში ეს ითქმის II ინტერნაციონალის პარტიების „თეორიებზე". აქ ყველგან გავრცელდა სტიქიურობის წინაშე ქედის მოხრისა და მუშათა კლასის მოძრაობაში შეგნებული ელემენტის როლის დამცირების თეორია, თუმცა, რამდენადმე სხვა ფორმით. მას მიეკუთვნება, მაგალითად, კაუცკის ეგრეთ წოდებული „საწარმოო ძალთა" თეორია. ეს თეორია ამახინჯებს მარქსის დებულებას იმის შესახებ, რომ კაცობრიობა მხოლოდ ისეთ ამოცანებს ისახავს, რომელთა გადაწყვეტაც მას შეუძლია, რასაც თავის მხრივ საწარმოო ძალთა განვითარების დონე განსაზღვრავს. „საწარმოო ძალთა" თეორიის მიხედვით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანთა აქტიური ჩარევა უსაზრისოა, ვინაიდან ისტორიაში ყველაფერი ხდება და ყველაფერი მოხდება „საწარმოო ძალთა" განვითარების „დონის" შესაბამისად და მის შედეგად, ფატალისტურად გაგებული აუცილებლობის ნიადაგზე. უნდა მივყვეთ მოვლენათა სტიქიურ მსვლელობას, ყველაფერი უნდა იყოს ისე, როგორც თავისთავად ხდება. „საწარმოო ძალთა" განვითარების „დონე" არ იძლევა სხვა რაიმეს გაკეთების შესაძლებლობას. ამ თეორიის მიმდევრები რუსეთში — მენშევიკები — ირწმუნებოდნენ, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული რევოლუციისათვის საწარმოო ძალთა განვითარების დაბალი დონის გამოო.

სტიქიურობის თეორიის სახეცვლილებას წარმოადგენს სოციალიზმში კაპიტალიზმის მშვიდობიანი შეზრდის, კაპიტალიზმის ავტომატური კრახის, საწარმოო ძალთა იმანენტური განვითარების და სხვა მემარჯვენე სოციალისტური თეორიები.

ამ თეორიების საერთო დამახასიათებელი ნიშანია ობიექტური ფაქტორების როლის გააბსოლუტება, სუბიექტური ფაქტორის მნიშვნელობის უარყოფა ისტორიაში.

საზოგადოებრივი ცხოვრება ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორთა ორივე რიგს აერთიანებს. განმსაზღვრელი მომენტის როლს ისტორიაში საბოლოო ანგარიშით ობიექტური, მატერიალური პირობები ასრულებენ, მაგრამ სუბიექტური ფაქტორი — მოწინავე იდეები და თეორიები, მასების შეგნებულობა, დარაზმულობა, პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენი, პარტია და ა. შ., რომელიც თავის რეალურ შინაარსს ობიექტური ფაქტორიდან იძენს, თავის მხრივ, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, მის წინსვლა-განვითარებაზე.

საზოგადოებრივი ცხოვრების შეგნებული რევოლუციური გარდაქმნისათვის აუცილებელია რევოლუციური თეორიის შეერთება რევოლუციურ პრაქტიკასთან, მეცნიერული სოციალიზმის შეერთება მუშათა მოძრაობასთან.

ვ. ი. ლენინმა, ეყრდნობოდა რა მარქსის მოძღვრებას საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების ურთიერთობის შესახებ, მოახდინა მისი კონკრეტიზაცია მუშათა მოძრაობის ობიექტური და სუბიექტური მხარეების ურთიერთდამოკიდებულების მეცნიერული გარკვევის ფონზე.

მუშათა მოძრაობის ობიექტურ მხარეში იგულისხმება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონე, პროლეტარიატისა და სხვა კლასების სტიქიური მოძრაობა, კლასთა ბრძოლა და სხვ. მუშათა მოძრაობის ობიექტური მხარე წარმოადგენს ამ მოძრაობის სტიქიურ ელემენტს.

მუშათა მოძრაობის ობიექტური პროცესები აისახებიან პროლეტარიატის ცნობიერებაში და ქმნიან მოძრაობის სუბიექტურ მხარეს, მუშათა მოძრაობის შეგნებულ ელემენტს.

მარქსიზმი მეცნიერულად ასახავს ობიექტურ საზოგადოებრივ პროცესებს მათს ცვალებადობასა და განვითარებაში, ასაბუთებს კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის გარდუვალობას, განსაზღვრავს პროლეტარული მოძრაობის უახლოეს და საბოლოო მიზნებს. სინამდვილის რევოლუციური გარდაქმნის თეორია, მასების კუთვნილება რომ ხდება, აჩქარებს და აადვილებს მუშათა მოძრაობას, უმოკლესი და უმტკივნეულო გზით წარმართავს მას. სწორედ მუშათა მოძრაობასთან შეერთების პირობებში ასრულებს მოწინავე თეორია უდიდეს გ ა რ დ ა მ ქ მ ნ ე ლ, რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ როლს.

ზემოთქმულიდან არ გამომდინარეობს, რომ მუშათა მოძრაობა, თუ მას სოციალისტური იდეოლოგია არ ახლავს თან, საბოლოოდ ასცდება სოციალისტური რევოლუციის გზას.

ვ. ი. ლენინმა დაასაბუთა, რომ ეკონომიკური განვითარება დროთა განმავლობაში მუშათა კლასს აუცილებლად გააწყვეტინებს კავშირს ბურჟუაზიულ იდეოლოგიასთან, რომ კლასთა ბრძოლას, რომელსაც არა აქვს სოციალ-დემოკრატიული ხასიათი, საბოლოოდ რევოლუციისაკენ მიჰყავს მუშათა კლასი, რომ მუშათა კლასი სტიქიურად მიიღტვის სოციალიზმისაკენ. მაგრამ თუ სოციალიზმზე გადასვლის ისტორიული აუცილებლობის შეგნება დაკავშირებული არ არის მუშათა მოძრაობასთან — საბოლოო მიზნამდე მისვლა დიდ დროსა და წვალებასთან იქნება დაკავშირებული.

მოწინავე სოციალისტური იდეოლოგიის უდიდესი მნიშვნელობა

ის არის, რომ მისი შეთვისების შედეგად პროლეტარიატი რევოლუციური პარტიის ხელმძღვანელობით შეგნებულად დააჩქარებს ისტორიული აუცილებლობის მოქმედებას, სოციალური გარდაქმნები მოხდება რაც შეიძლება ადრე და მიზანდასახულად. ამიტომ პროლეტარიატი სასიცოცხლოდაა დაინტერესებული მოწინავე იდეებით, ითვისებს სოციალისტურ იდეოლოგიას, რომელიც მის კლასობრივ მდგომარეობას, ცხოვრებისა და ბრძოლის პირობებს შეესაბამება.

მოწინავე თეორია, რომელიც მასებს შეუსისხლხორცდა, როგორც მათი უძლეველობისა და გამარჯვების იდეური იარაღი უდიდეს მ ა მ ო ბ ი ლ ი ზ ებ ელ და გ ა ა რ დ ა მ ქ მ ნ ე ლ როლს ასრულებს. იგი მუშათა კლასს ამაღლებს ჭეშმარიტი კლასობრივი ინტერესების შეგნებამდე, იწვევს პროლეტარიატის ფართო მასების ამოძრავებას, მათს ერთობლივ სწრაფვას სოციალიზმისაკენ.

მოწინავე იდეები მასებისათვის თვალსაჩინოს ხდიან საზოგადოებრივი ცხოვრების აწმყოსა და მომავალს, ააშკარავებენ არსებული საზოგადოებრივი ცხოვრების უარყოფით მხარეებს, მომავალი საზოგადოებრივი წყობილების უპირატესობას არსებულთან შედარებით, სახავენ დღევანდელობის შეცვლის კონკრეტულ გზებს.

ახალი საზოგადოებრივი იდეებით, ახალი პოლიტიკური შეხედულებებით შეიარაღებული მასები იწყებენ ბრძოლას საზოგადოების რეაქციული ძალების დასამხობად, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკული გარდაქმნის პროცესში მოწინავე თეორია მასებს გარემომცველ საზოგადოებაში ორიენტირების ძალას, პერსპექტივის სიცხადეს ანიჭებს.

მამობილიზებელ და მაორგანიზებელ მუშაობას რომ ასრულებენ, მოწინავე იდეები უდიდეს ენერგიას წარმოშობენ მასებში. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის ენერგია დიდია, როდესაც მეცნიერულად არის დასაბუთებული რევოლუციური ბრძოლის მიზნები და ამოცანები.

მოწინავე იდეებთან ერთად, რომლებიც გზას უნათებენ საზოგადოების პროგრესიულ ძალებს ექსპლოატატორთა წინააღმდეგ ბრძოლაში, არსებობენ და საზოგადოებრივი განვითარების წინსვლას ამუხრუჭებენ ძველი, რეაქციული იდეები და თეორიები. ეს იდეები საზოგადოების დრომოჭმული ელემენტების კლასობრივ ინტერესებს შეესაბამებიან.

ამ იდეებსა და თეორიებში სინამდვილე ასახულია არა ისე, როგორც ის ობიექტურად არსებობს, არამედ ყალბად და დამახინჯებულად. მოცემულ შემთხვევაში ამ თეორიის აქტიური ბუნება საზოგადოების მოწინავე ძალების გარდამქმნელი რევოლუციური მოქმედების შეფერხებით ამოიწურება. რეაქციული თეორიები აბნელებენ

საზოგადოების პროგრესული ძალების შეგნებას, ყოველმხრივ უშლიან ხელს მათი გათვითცნობიერების საქმეს, უკარგავენ რევოლუციურ ძალებს სინამდვილის მოვლენებში ორიენტაციის საშუალებას. პერსპექტივის სიცხადეს. ძველი იდეები და თეორიები მით უფრო ადვილად ახერხებენ ამ ამოცანის შესრულებას, რაც უფრო ნაკლებადაა დანერგილი და გავრცელებული მოწინავე იდეები მშრომელთა ფართო მასების შეგნებაში. ამიტომ რეაქციული კლასი და მისი იდეოლოგია ყოველთვის ეწინააღმდეგება მოწინავე იდეების გავრცელებას, აუფასურებს სოციალიზმის თეორიის როლს მუშათა კლასის მოძრაობაში.

რეაქციული იდეები და თეორიები უარყოფით ზეგავლენას ახდენენ მუშათა მოძრაობაზე, იწვევენ მშრომელი მასების დეზორგანიზაციას და დაქსაქსვას, მათს ჩამოშორებას რევოლუციური ბრძოლის პოზიციებიდან, შემარიგებლობასა და შემთანხმებლობას არსებულისადმი.

ამრიგად, დიდია საზოგადოებრივი იდეებისა და თეორიების მნიშვნელობა ისტორიაში მუშათა კლასის პრაქტიკულ-რევოლუციურ მოქმედებაში.

როგორც აღინიშნა, საზოგადოებრივი ყოფიერებისა და საზოგადოებრივი ცნობიერების კატეგორიები სოციალური სინამდვილის ორ უზოგადეს მხარეს — მატერიალურსა და სულიერ მხარეებს ასახავს. ამასთან ისტორიულად ყოველთვის განსაზღვრულია ამ უზოგადესი მხარეების ურთიერთმოქმედების, მათ შორის არსებული ორგანული კავშირის წესი და შინაარსი. ამ კავშირ-მიმართებათა გაგება შეუძლებელია საზოგადოების, როგორც კონკრეტულ-ისტორიული მთლიანობის ბუნების გაუთვალისწინებლად. ამისათვის კი აუცილებელია ვიცოდეთ, რას ნიშნავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, რაში მდგომარეობს ამ კატეგორიის არსებითი ნიშნები.

IV თავი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნებას დიდი თეორიული და მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ენიჭება. ეს ცნება უცნობი იყო მარქსამდელი სოციოლოგების, ისტორიოგრაფებისა და ეკონომისტებისათვის. მხოლოდ მისი შინაარსის ზუსტად განსაზღვრამ „შექმნა მეცნიერული სოციოლოგიის შესაძლებლობა", „პირველად აიყვანა სოციოლოგია მეცნიერების სიმაღლეზე" [1].

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 150—151.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების შემუშავებით კ. მარქსი დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ სოციოლოგებს, ეკონომისტებსა და ისტორიოგრაფებს, რომლებიც უარყოფდნენ საწარმოო-ეკონომიკური ფაქტორების გადამწყვეტ როლს საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ამ უკანასკნელის განვითარების მთავარ მამოძრავებელ ძალად იდეურ მოტივებს აცხადებდნენ. კ. მარქსის უდიდესი დამსახურება იყო ის, რომ მან „გვიჩვენა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების წარმოშობის, განვითარების და დაცემის პროცესის ყოვლისმომცველი, ყოველმხრივი შესწავლის გზა“ [1].

ვ. ი. ლენინს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მარქსისტული გაგების დაცვა მოუხდა უმთავრესად ხალხოსნების (ნ. მიხაილოვსკი, პ. ლავროვი და სხვ.) სუბიექტური სოციოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლაში. სუბიექტური სოციოლოგების გაგებით საზოგადოება არ წარმოადგენს მთლიან სოციალურ სისტემას. ისინი აბსტრაქტულად განიხილავდნენ მას, უგულებელყოფდნენ საზოგადოებრივ ურთიერთობათა განსაზღვრულობას ეკონომიკური საფუძვლებით; საზოგადოებრივი განვითარება არ არის ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, საზოგადოებრივი პროგრესი მთლიანად დამოკიდებულია სუბიექტურ ფაქტორებზე — ასეთ დასკვნამდე მიდიოდნენ ისინი.

ვ. ი. ლენინმა, ებრძოდა რა სუბიექტურ სოციოლოგიას, განავითარა კ. მარქსის თვალსაზრისი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ. მან გამოჰყო და ყოველმხრივ გააანალიზა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ისეთი არსებითი ნიშნები, როგორიცაა მთლიანობა, კონკრეტულობა, ზოგადობა, წარმოებით ურთიერთობათა განმსაზღვრელი კავშირი ფორმაციის სხვა მხარეებთან, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პროგრესული ხასიათი და სხვ.

შევეხოთ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების არსებით ნიშნებს ცალ-ცალკე.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური ცხოვრების განსხვავებული მხარეების ორგანული მთლიანობა[2]. საზოგადოება ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ მხარეებსა და მიმართებებს მოიცავს.

---

[1] *ვ. ი. ლენინი*, თხზ., ტ. 21, გვ. 52.

[2] საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცხოვრების მთლიანობის მაჩვენებელია. იხ. ამის შესახებ: Общественно-экономическая формация: Проблемы теории. М., 1978. Теория общественно-экономической формации. М., 1982. Проблемы социально-экономических формаций. М., 1975; *Израитель* В. Я. Проблемы формационного анализа общественного развития. Горький. 1972; *Разин* В. И. Марксистско-ленинское учение об общественно-экономических формациях и современность. М., 1979.

მას განვითარების რომელ საფეხურზეც არ უნდა იდგეს, არ შეუძლია არსებობა საწარმოო ძალების, შრომის საშუალებების გარეშე. შრომის იარაღების გამოყენების გზით ბუნების ძალებზე აქტიური ზემოქმედების გარეშე, მაშასადამე, ადამიანები გარკვეულ საწარმოო-პრაქტიკულ მიმართებას ამყარებენ ბუნებასთან.

როგორიც არ უნდა იყოს საზოგადოებრივი განვითარების დონე, ადამიანებს შორის აუცილებლობით ყალიბდება საკუთრების, განაწილების, გაცვლის, მოხმარების ურთიერთობანი, ე. ი. წარმოებითი ურთიერთობანი. მაშასადამე, ადამიანები გარკვეულ ეკონომიკურ ურთიერთობაში იმყოფებიან ერთმანეთთან.

ყოველი დროისა და ვითარებისას საზოგადოებაში გამომუშავდება და გავრცელებულია ესა თუ ის შეხედულებანი, იდეები, თეორიები, ადამიანთა შორის გაბმულია სულიერ ურთიერთობათა რთული ქსელი.

საზოგადოებაში ყოველთვის არსებობს განვითარების სხვადასხვა დონეზე მყოფი ზედნაშენი.

საზოგადოებრივი განვითარების ანტაგონისტურ საფეხურებზე ადამიანთა შორის დამკვიდრებულია კლასობრივი, პოლიტიკური, ეროვნული და სხვა სახის ურთიერთობანი. აქ საზოგადოების წევრთა ერთი ნაწილის მისწრაფებანი ძირეულად ეწინააღმდეგება მეორე ნაწილის მისწრაფებებს, არის დაპირისპირება და ბრძოლა მათ შორის. ყოველი ხალხის ცხოვრებაში, როგორც ამას ანტაგონისტური საზოგადოების განვითარების ისტორია ადასტურებს, ერთმანეთს ცვლიდა მშვიდობისა და ომების, შეჩერებისა და სწრაფი პროგრესის ანდა დაცემულობის პერიოდები.

ხომ არ გვევლინება ადამიანთა ისტორია როგორც საზოგადოებრივ ძალთა უწესრიგო თამაში, როგორც ქაოსი, სადაც შეუძლებელია დადგინდეს გარკვეული კანონზომიერი კავშირი საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მოვლენებსა და მხარეებს შორის? ხომ არ წარმოადგენს ისტორია ამ მხარეებისა და მიმართებების შემთხვევით თავმოყრას?

საზოგადოებრივი მოვლენების და პროცესების შესახებ არსებითად ასეთი შეხედულება იყო გაბატონებული მარქსამდელ სოციოლოგიაში.

მარქსამდელმა სოციოლოგებმა ვერ გაიგეს საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენათა კანონზომიერი კავშირი და ორგანული ერთიანობა. ისინი, რასაკვირველია ამჩნევდნენ სხვადასხვა ურთიერთობებსა და მხარეებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ „...უკეთეს შემთხვევაში იძლეოდნენ დაუმუშავებელი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად შეკ-

რებილი ფაქტების გროვას და ისტორიული პროცესის ცალკეული მხარეების სურათს"[1].

საზოგადოებრივი ცხოვრების ასეთი გაგება გზას უხსნიდა სუბიექტივიზმს სოციოლოგიაში, ავანტიურიზმს პრაქტიკაში.

ადრინდელი სოციოლოგებისაგან განსხვავებით, კ. მარქსმა პირველად გვიჩვენა ისტორია როგორც კანონზომიერი პროცესი მთელ თავის მრავალმხრივობასა და წინააღმდეგობებში.

„მარქსმა ბოლო მოუღო შეხედულებას საზოგადოებაზე, როგორც ინდივიდთა მექანიკურ აგრეგატზე, რომელიც შეიძლება ყოველნაირად შეიცვალოს უფროსის ნება-სურვილით (ან, რაც იგივეა, საზოგადოებისა და მთავრობის ნება-სურვილით), რომელიც წარმოიშობა და იცვლება შემთხვევით"[2].

მან დაასაბუთა, რომ საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მხარეებისა და ურთიერთობების უბრალო თავმოყრა კი არ არის, არამედ მათი ორგანული მთლიანობაა. სოციალური სინამდვილის ყოველი მხარე ყველა დანარჩენისაგან განსხვავდება, მაგრამ, ამასთანავე, განუყრელ, აუცილებელ კავშირშია მათთან. ეს მხარეები და მიმართებანი მთლიანობას ქმნიან, ერთიან „სოციალურ ორგანიზმს"[3] შეადგენენ. თითოეული მათგანი განსაკუთრებულ ადგილს იკავებს და გარკვეულ ფუნქციას ასრულებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

კ. მარქსი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას განიხილავდა როგორც „სოციალურ ორგანიზმს", რომელიც მისთვის სპეციფიკურ ობიექტურ კანონებს ემორჩილება. ეს კანონები „... აწესრიგებენ მოცემული საზოგადოებრივი ორგანიზმის წარმოშობას, არსებობას, განვითარებასა და სიკვდილს და მის შეცვლას სხვა, უფრო მაღალი ორგანიზმით"[4].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია საშუალებას გვაძლევს სოციალური ცხოვრების ურთიერთგანსხვავებულ და ურთიერთსაწინააღმდეგო მოვლენებს შორის ბუნებრივ-ისტორიული კავშირები დავადგინოთ და მრავალფეროვნებით აღსავსე საზოგადოება მკაცრი ობიექტური კანონზომიერებით განსაზღვრულ მთლიანობად წარმოვსახოთ.

ის გარემოება, რომ, მაგალითად, ანტაგონისტური საზოგადოების ისტორიას მიღებული აქვს ურთიერთდაპირისპირებული ძალებისა და ტენდენციების სახე, ის გარემოება, რომ ამ საზოგა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 21, გვ. 52.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 153.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 608.
[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 186.

დოებაში სრულიად სხვადასხვაგვარია სოციალური ჯგუფების და ჯგუფებს შიგნით ფენების ინტერესები და მისწრაფებანი, საკუთ-ებით ნათელი და გასაგები გახდება მას შემდეგ, თუ გავითვალის-წინებთ ამ მოვლენების საფუძველს — კლასთა ეკონომიკურ მდგო-მარეობას, მათი მატერიალური ცხოვრების განსხვავებულ პირო-ბებს, რაც თავის მხრივ მატერიალური წარმოების განვითარების გან-საზღვრული დონით არის შეპირობებული.

კაპიტალიზმის ეკონომიკური ეპოქები „...მოიცავს ათეულ და ასეულ საუკუნეებს და წარმოადგენს ისეთ უამრავ პოლიტიკურ ფორმას, სხვადასხვაგვარ პოლიტიკურ მოძღვრებას, შეხედულებას, რევოლუციას, რომ ყველა ამ უდიდეს სიჭრელეებსა და უაღრეს მრავალფეროვნებაში გარკვევა... მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძ-ლება, თუ სახელმძღვანელო ძირითად გეზად მტკიცედ აიღებთ საზოგადოების ამ დაყოფას კლასებად, კლასობრივი ბატონობის ფორმების შეცვლას და ამ თვალსაზრისით გაერკვევით ყველა სა-ზოგადოებრივ საკითხში — ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სულიერ, რე-ლიგიურ და სხვა საკითხებში“ [1].

ანტაგონისტურ საზოგადოებაში წარმოების განვითარების ყოველ განსაზღვრულ დონეს შეესაბამება სოციალური კლასების განსხვავე-ბული ეკონომიკური პირობები, ამ უკანასკნელს — კლასთა ინტერე-სებისა და მისწრაფებების განსხვავებულობა და დაპირისპირებუ-ლობა, ხოლო ყოველივე ამის ნიადაგზე წარმოებს შეურიგებელი ბრძოლა ადამიანთა დიდ ჯგუფებს შორის სხვადასხვა ფორმებითა და საშუალებებით. მაშასადამე, ანტაგონისტური საზოგადოებრივი ცხოვ-რების ერთი მხარე მიზეზ-შედეგობრივადაა დაკავშირებული მეორე მხარესთან, მეორე — მესამესთან და ა. შ. ყველა მხარე კი კანონ-ზომიერ გაერთიანებას ექვემდებარება. რასაკვირველია, იგივე ითქმის არაანტაგონისტური საზოგადოების მრავალფეროვანი მხარე-ებისა და ურთიერთობების შესახებაც, რომლებიც ასევე განუყრე-ლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია შესაძლე-ბელს ხდის საზოგადოება განვიხილოთ როგორც ერთიანი, მთლიანი, რომელშიც კავშირში მყოფ მხარეებს თავისი განსა-კუთრებული ადგილი უკავიათ, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთო-ბანი არა შემთხვევით, არამედ კანონზომიერად თანაარსებობენ.

ამრიგად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება ასახავს მეტად მნიშვნელოვან მომენტს, სახელდობრ იმას, რომ საზოგადო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 561.

ებრივი ცხოვრების განსხვავებული მხარეები მთლიან სისტემად არიან გაერთიანებული.

კონკრეტულობა როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსებითი ნიშანი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია არ მიგვითითებს მხოლოდ იმაზე, რომ საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა მხარეების მთლიანობაა. ეს კატეგორია იმასაც გამოხატავს, რომ საზოგადოება გარკვეულ, კონკრეტულ მთლიანობას წარმოადგენს.

ყოველი კონკრეტული მრავალი განსაზღვრების შემცველი, მრავალსახეობის ერთიანობაა (კ. მარქსი). საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება გულისხმობს საზოგადოებას არა საერთოდ, არამედ კონკრეტულად, საზოგადოებას, რომელშიც სხვადასხვა მხარეები და ურთიერთობანი გარკვეული, მხოლოდ ამ ფორმაციისათვის დამახასიათებელი წესით არიან შეერთებულნი და დაკავშირებულნი.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნების ეს ნიშანი — კონკრეტულობა — იმას აღნიშნავს, რომ საზოგადოებრივი წყობილება ყოველთვის გარკვეული ტიპისაა. საზოგადოებას, როგორც კონკრეტულს, თავისი სპეციფიკური თავისებურებები, განვითარების საკუთარი კანონზომიერებანი ახასიათებს.

მარქსისტული სოციოლოგია ამ პუნქტშიც ძირეულად განსხვავდება არამარქსისტული სოციოლოგიისაგან, რომელიც საზოგადოებას აბსტრაქტულად განიხილავდა. ძველი სოციოლოგები და ეკონომისტები „მსჯელობენ საზოგადოებაზე საერთოდ", კამათობენ იმაზე, თუ „როგორია საერთოდ საზოგადოების მიზანი და არსი" [1]. ამიტომ ძველი ეკონომისტებისა და სოციოლოგებისათვის „საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება სრულიად ზედმეტია" [2]. ეს თეორიები მდგომარეობდა „წმინდა აპრიორულ, დოგმატურ, აბსტრაქტულ აზრთწყობაში იმის შესახებ, თუ რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი?.. მაგრამ ასეთი თეორიები ხომ უვარგისი არიან... თავიანთი ძირითადი მეთოდების, თავიანთი სრული და გამოუვალი მეტაფიზიკურობის გამო. დაწყება საკითხებით — რა არის საზოგადოება, რა არის პროგრესი? — ეს ხომ ბოლოდან დაწყებას ნიშნავს. საიდან მიიღებთ წარმოდგენას საზოგადოებასა და პროგრესზე საზოგადოდ, როცა თქვენ ჯერ კიდევ არცერთი საზოგადოებრივი ფორმაცია არ შეგისწავლიათ კერძოდ, თვით ეს ცნებაც კი ვერ დაგიდგენიათ" [3].

ასეთ პირობებში შეუძლებელია შევიმუშაოთ ჭეშმარიტი ცოდნა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 146.

[2] იქვე.

[3] იქვე, გვ. 155.

ერთი რომელიმე. კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესახებ. დიალექტიკური მატერიალიზმი საერთოდ არ ცნობს აბსტრაქტულ ჭეშმარიტებას; თუ საგანი განხილულია სხვა საგნებისაგან მოწყვეტით, თუ უარყოფილია საგნის კავშირი გარკვეულ პირობებთან, დროსა და ადგილთან, მაშინ ცოდნა არ არის განსაზღვრული საგნის ბუნებით და მას აბსტრაქტული ხასიათი აქვს.

საზოგადოება სინამდვილის ნაწილია და ისევე როგორც სინამდვილის სხვა საგნები და მოვლენები, კონკრეტული, გარკვეული მოცემულობის სახით არსებობს.

ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის ნიშანდობლივია წარმოების განსაკუთრებული, მისთვის სპეციფიკური წესი. ეს იმას ნიშნავს, რომ საწარმოო ძალები ერთ საზოგადოებაში სხვა წესით არიან შეერთებული წარმოების საშუალებებთან, მეორე საზოგადოებაში კი სხვა წესით.

„როგორიც უნდა იყოს წარმოების საზოგადოებრივი ფორმები, მუშები და წარმოების საშუალებანი მუდამ მის ფაქტორებად რჩებიან... იმისათვის, რომ საერთოდ აწარმოო, ეს ფაქტორები ერთმანეთს უნდა შეუერთდნენ. ის განსაკუთრებული ხასიათი და წესი, რომლითაც ეს შეერთება ხორციელდება, განასხვავებს საზოგადოებრივი სტრუქტურის სხვადასხვა ეკონომიკურ ეპოქებს“ [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ამ შეერთების წესი პირველად გამოვლენას წარმოების საშუალებების საკუთრების ფორმებში ჰპოვებს. საზოგადოებრივი წყობილებანი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორია საკუთრების დამკვიდრებული ფორმები.

ამასთან, ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის ნიშანდობლივია მისთვის სპეციფიკური იდეები, თეორიები, ზედნაშენური ხასიათის სხვადასხვა მოვლენა. როდესაც ვმსჯელობთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე, ყოველთვის მხედველობაში გვაქვს კონკრეტული განვითარების გარკვეულ საფეხურზე მდგომი საზოგადოება, მისთვის დამახასიათებელი წარმოების წესით, საზოგადოებრივი ყოფიერებით და საზოგადოებრივი ცნობიერებით, მისი ზედნაშენით.

წარმოებითი ურთიერთობანი არსებობენ როგორც მოცემული საზოგადოების წარმოებითი ურთიერთობანი. მარქსისათვის ზოგადი და მარადიული არ არის „ერთი... ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ფორმაციის კატეგორიები და ზედნაშენები“ [2].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, 1957, გვ. 41.

[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 170.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება საშუალებას გვაძლევს ერთმანეთისაგან განვასხვავოთ განვითარების სხვადასხვა ისტორიულ საფეხურზე მდგომი საზოგადოებანი. პირველყოფილი თემური საზოგადოება — მონათმფლობელურისაგან, მონათმფლობელური საზოგადოება — ფეოდალურისაგან, ფეოდალური საზოგადოება — კაპიტალისტურისაგან, კაპიტალისტური საზოგადოება — სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოებისაგან.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოებას განვიხილავთ როგორც კონკრეტულს, გარკვეული წარმოების წესითა და მისი შესაბამისი ზედნაშენით, მონახული იქნება რეალური გზა არა მარტო საზოგადოებათა ურთიერთგანსხვავებისათვის, არამედ და უწინარეს ყოვლისა თვით მოცემული საზოგადოების არსების გაგებისათვის.

„მარქსის თეორიით, წარმოებითი ურთიერთობის ყოველი ასეთი სისტემა წარმოადგენს განსაკუთრებულ სოციალურ ორგანიზმს, რომელსაც თავისი ჩასახვის, მოქმედებისა და უმაღლეს ფორმაში გადასვლის, სხვა სოციალურ ორგანიზმად გადაქცევის განსაკუთრებული კანონები აქვს“ [1]. (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

რასაკვირველია, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კონკრეტულობა ყოველი კონკრეტული ხალხისათვის სპეციფიკურ საზოგადოებრივ გაერთიანებასა და ცხოვრებაზე არ მიგვანიშნებს. ასე რომ იყოს, მაშინ იმდენი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია იქნებოდა, რამდენიც ცალკეული ხალხი და ქვეყანა არსებობს. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კონკრეტულობა იმ საერთოს და ზოგადის მოცემულობას გულისხმობს, რაც დამახასიათებელია ამა თუ იმ ქვეყნების მთელი ჯგუფისათვის. ამას უკავშირდება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიშანი — ზოგადობა.

საზოგადოებრივ ეკონომიკური ფორმაცია როგორც საერთოსა და განმეორებადის გამოხატულება. ქვეყნები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მარტო ბუნებრივი პირობებით, არამედ ეკონომიკური განვითარების დონით, კლასობრივ ძალთა თანაფარდობით, პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თავისებურებებით, წესჩვეულებებისა და ტრადიციების ნაირნაირობით, ისტორიული წარსულითა და აწმყოთი. მაგრამ არსებობს თუ არა ის, რაც საერთო და განმეორებადია სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ხალხებისათვის და რაც ამის გამო საზოგადოებრივი განვითარების კანონზომიერებას შეადგენს?

მარქსამდელ სოციოლოგებს არც კი უცდიათ, რომ შეემჩნიათ საერთო და განმეორებადი სხვადასხვა ქვეყნის საზოგადოებრივ მოვ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 493.

ლენებში, მათ „არ გამოურკვევიათ თვით შესაძლებლობა სულ სხვადასხვა სოციალური წესების განზოგადებისა სოციალურ ორგანიზმთა განსაკუთრებულ სახეებად“ [1].

გამომდინარეობს რა ზოგადსა და ცალკეულის კავშირის დიალექტიკური პრინციპიდან, ისტორიული მატერიალიზმი მოითხოვს, რომ ის, რაც საერთოა, სხვადასხვა ქვეყნის ხალხთა ცხოვრებაში, გამოვყოთ იმისაგან, რაც თითოეული მათგანისათვის სპეციფიკურია. ისტორიულმა მატერიალიზმმა „სოციალური მეცნიერებისათვის გამოიყენა განმეორებადობის ის ობიექტური, ზოგადმეცნიერული კრიტერიუმი, რომლის სოციოლოგიის მიმართ გამოყენების შესაძლებლობას სუბიექტივისტები უარყოფდნენ“ [2].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია სწორედ იმ იდენტურს გამოხატავს, რაც განსხვავებული ქვეყნების მატერიალური და სულიერი ცხოვრებისათვის არის დამახასიათებელი.

„მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ანალიზმა ერთბაშად მოგვცა შესაძლებლობა შეგვენიშნა განმეორებითობა და სისწორე საზოგადოებრივი ფორმაციის ერთ ძირითად ცნებად განგვეზოგადებინა სხვადასხვა ქვეყნის წესები“ [3]. ამ ურთიერთობათა მეცნიერული ანალიზი გამოაცალკევებს იმას, რაც ერთ ქვეყანას მეორისაგან განასხვავებს და „იკვლევს იმას, რაც მათ საერთო აქვთ“ [4].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორია ასახავს საერთოს და ზოგადს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრები ხალხებისათვის.

ახასიათებდა რა მარქსის დამსახურებას, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ამ თანამედროვე წყობილებას, რომელიც სხვადასხვანაირია, სხვადასხვა ევროპულ და არაევროპულ სახელმწიფოებში, მან გამოუნახა საერთო საფუძველი — კაპიტალისტური საზოგადოებრივი ფორმაცია, რომლის მოქმედებისა და განვითარების კანონებს ობიექტური ანალიზი გაუკეთა (მან დაგვანახვა ექსპლოატაციის აუცილებლობა ამ წყობილებაში)“ [5].

კ. მარქსის თეორიამ ამა თუ იმ ქვეყნისათვის დამახასიათებელი „ინდივიდუალობანი“ გარკვეულ ზოგად კანონებს დაუქვემდებარა. ერთ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციად წარმოადგინა იგი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 494.
[2] იქვე, გვ. 493.
[3] იქვე, გვ. 150—151.
[4] იქვე, გვ. 151.
[5] იქვე, გვ. 174.

ეობრივი განსხვავებულობაში, აღმოაჩინა თვით ამ ფორმაციების ცვლის კანონზომიერება.

„ადამიანთა ყველა საზოგადოების განვითარება მრავალი ათასი წლის მანძილზე გამოუკლებლივ ყველა ქვეყანაში. გვიჩვენებს ამ განვითარების საერთო კანონზომიერებას, სისწორეს და თანამიმდევრობას ისე, რომ პირველად ჩვენ გვაქვს უკლასო საზოგადოება... შემდეგ — მონობაზე დამყარებული საზოგადოება, მონათმფლობელური საზოგადოება. ეს გზა განვლო მთელმა თანამედროვე ცივილიზებულმა ევროპამ — მონობა საკუთებით გაბატონებული იყო ორი ათასი წლის წინათ. ეს გზა განვლო ქვეყნის დანარჩენი მხარეების ხალხთა დიდმა უმეტესობამ...

ამ ფორმას ისტორიაში მოჰყვა მეორე ფორმა — ბატონყმობა“ [1]. ამის შემდეგ კი დასავლეთ ევროპასა და რუსეთში მთელ რიგ რევოლუციებს „შედეგად მოჰყვა საზოგადოების ერთი ფორმის შეცვლა მეორე ფორმით — ბატონყმობის შეცვლა კაპიტალიზმით“ [2], რაც გარდუვალად უნდა შეცვალოს სოციალიზმმა.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კატეგორიას არ მოეთხოვება ასახოს ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სხვა სახის ურთიერთობათა კონკრეტულ-ისტორიული ფორმები და თავისებურებები.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება გამოხატავს იმ ზოგადს, რითაც სხვადასხვა ქვეყნებში ერთი და იგივე სოციალური ორგანიზმის არსებობა დასტურდება.

ახასიათებდა რა კაპიტალისტური წარმოების წესს და მისი შესაბამისი წარმოებისა და გაცვლის ურთიერთობათა განმასხვავებელ თავისებურებებს, ერთი მხრივ, კაპიტალიზმის კლასიკურ ქვეყნებში — ინგლისსა და მეორე მხრივ, კონტინენტური დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებში, კ. მარქსი წერდა:

„არსებითია აქ, თავისთავად არა მაღალი ან დაბალი დონე იმ საზოგადოებრივი ანტაგონიზმების განვითარებისა, რომელნიც კაპიტალისტური წარმოების ბუნებრივი კანონებიდან გამომდინარეობენ. არსებითია თვით ეს კანონები, თვით ეს ტენდენციები, რომელნიც რკინისებური აუცილებლობით მოქმედებენ და ხორციელდებიან. ინდუსტრიულად უფრო განვითარებული ქვეყანა ნაკლებად განვითარებულ ქვეყანას მხოლოდ მისი მომავლის სურათს უჩვენებს“ [3].

სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური, პოლიტიკური, იდეოლოგი-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 559.
[2] იქვე, გვ. 560.
[3] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 7.

ური, ეროვნული და სხვა თავისებურებების მიღმა მოჩანს ის, რაც განმეორებადია ყოველი ცალკეული ქვეყნისათვის და რაც მათთვის საერთო მნიშვნელობის საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციად არის გაერთიანებული. კაპიტალიზმის მსგავსად არც ფეოდალური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია არსებობდა „წმინდა", აბსოლუტურად განმეორებადი სახით, ამა თუ იმ ხალხთა მატერიალური და სულიერი ცხოვრების პრიზმაში სპეციფიკურად გარდატეხის გარეშე. „განა ფეოდალიზმი ოდესმე თავის ცნებას შეესატყვისებოდა? — დასავლეთ ფრანკონიის სამეფოში წარმოშობილი, ნორმანდიაში ნორვეგიელი დამპყრობლების მიერ შემდგომ განვითარებული, ინგლისსა და სამხრეთ იტალიაში ფრანგი ნორმანების მიერ სრულქმნილი, — იგი თავის ცნებას ყველაზე უფრო მეტად დაუახლოვდა იერუსალიმის ერთდღიან სამეფოში" [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება არ ამოწურავს სამეურნეო და იდეოლოგიური ცხოვრების ტიპურ მხარეებს. მაგალითად, ერთი რომელიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში, ტიპური წარმოებითი ურთიერთობის პარალელურად შეიძლება სხვადასხვა სამეურნეო წყობაც არსებობდეს. ასეთ შემთხვევებს მაშინ ვხვდებით, როდესაც ძველი წყობილების წიაღში ახალი ეკონომიკური ორგანიზაციის ელემენტები ისახება, ანდა როდესაც ახალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის (ან ფორმაციების) ელემენტებია შემორჩენილი. ცნობილია, მაგალითად, რომ ჩვენს ქვეყანაში გარდამავალ პერიოდში წამყვანი სოციალისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობის გვერდით გარკვეულ დრომდე თანაარსებობდნენ: ძნიშვნელოვანწილად ნატურალური, გლეხური მეურნეობის, წვრილი საქონლო წარმოების, კერძო სამეურნეო კაპიტალიზმის და სახელმწიფო კაპიტალიზმის წყობები.

სხვადასხვა ეკონომიკური წყობა ადრინდელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებშიც თანაარსებობდა.

გაბატონებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში არსებობას განაგრძობენ „დრომოქმული წარმოების წესები და მათი შესაბამისი დროის შეუფერებელი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ურთიერთობანი" [2].

წარმოების ახალი წესის დამკვიდრების პროცესი მეტად რთულია. იგი წარმოების ადრინდელი წესების გადმონაშთებთან ბრძოლაში მიმდინარეობს. „ხოლო თუ ავიღებთ საკითხს არსებითად, განა

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული წერილები, 1949, გვ. 534.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, გვ. 7.

ყოფილა ისტორიაში, რომ წარმოების ახალი წესი ერთბაშად დანერგილიყოს, მთელ რიგ წარუმატებლობათა, შეცდომათა და რეციდივთა გარეშე? ბატონყმობის გადავარდნიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ, რუსეთის სოფელში კიდევ დარჩა ბატონყმობის მრავალი ნაშთი. ამერიკაში ზანგების მონობის გაუქმებიდან ნახევარი საუკუნის შემდეგ ზანგების მდგომარეობა იქ ხშირად კიდევ ნახევრადმონური რჩებოდა“ [1].

გვაძლევს თუ არა ეს იმის საფუძველს, რომ ერთი და იგივე საზოგადოებისათვის ვცნოთ რამდენიმე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ერთდროული არსებობა? ცხადია, არა, ყოველი მოცემული საზოგადოებისათვის გარკვეულ დროსა და პირობებში საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს. სახელდობრ ის, რომელიც გაბატონებულ წარმოების წესს ემყარება და რომელსაც გარკვეული ზედნაშენი შეესაბამება. რაც შეეხება სხვა სამეურნეო წყობებს, მათ გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვთ მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ორგანიზაციის ბუნების განსაზღვრისათვის.

შესაძლებელია სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ერთდროული არსებობა, რომლებშიც ცხოვრება უხდება სხვადასხვა ქვეყნის ხალხებს, მაგრამ შეუძლებელია ერთი და იგივე ხალხის ცხოვრება ერთდროულად ორი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში. მაშინაც კი, როცა გაბატონებული წარმოების წესის პარალელურად ამა თუ იმ სამეურნეო წყობის ელემენტები არსებობს — ეს სამეურნეო წყობა წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების, სამუშაო ძალისა და წარმოების საშუალებათა შეერთების წესის თავისებურებებით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ესა თუ ის სამეურნეო წყობა დროებითია საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის გაბატონებულ წარმოების წესთან შედარებით.

წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა — საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის როგორც გარკვეული სოციალური მთლიანობის, მთლიანობაში მყოფი სხვადასხვა მხარეების საფუძველი მატერიალური დოვლათის წარმოების წესია. მაგრამ თვით წარმოება, როგორც ცნობილია, გულისხმობს ადამიანთა დამოკიდებულებას, ერთი მხრივ, ბუნებისადმი და, მეორე მხრივ, ერთმანეთისადმი. რა განსაზღვრავს საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნებას?! — ბუნების ძალებისადმი ადამიანთა

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 29, გვ. 496.

დამოკიდებულების ხასიათი თუ ადამიანთა შორის ურთიერთობის ხასიათი? ამ როლს ასრულებს ადამიანთა ურთიერთობა ერთმანეთს შორის, რომელიც აშუალებს მათსავე ურთიერთობას ბუნების მიმართ. საზოგადოებაში ადამიანთა ურთიერთობებით გაუშუალებელი ურთიერთობა ბუნებასთან არ არსებობს.

წარმოების პროცესი, რომელიც ბუნების ძალებს ადამიანებს უმორჩილებს, ადამიანთა ერთობლივ მოქმედებას მოითხოვს. ბუნებაზე პრაქტიკული წარმოებითი ზემოქმედებისათვის საჭიროა, რომ მათ თავდაპირველად გარკვეული ურთიერთობა დაამყარონ ერთმანეთთან.

„წარმოების დროს ადამიანები გავლენას ახდენენ არა მარტო ბუნებაზე, არამედ ერთიმეორეზედაც... რათა აწარმოონ, ისინი შედიან განსაზღვრულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ფარგლებში ხდება მათი გავლენა ბუნებაზე, ხდება წარმოება“[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

სხვადასხვა რიგის მიმართებებიდან, რომელთაც ადამიანები ამყარებენ ერთმანეთს შორის და ბუნებასთან — ადამიანთა შორის ურთიერთობა ძირითადია. წარმოება, როგორც მარქსი აღნიშნავდა, ყოველთვის წარმოადგენს ბუნების ძალების მითვისებას ადამიანების მიერ გარკვეული საზოგადოებრივი ფორმის შიგნით და ამ ფორმის მეშვეობით.

ამრიგად, წარმოების გარკვეული სახე მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობაზეა დამოკიდებული.

ამიტომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას განსაზღვრავდა როგორც „მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობას“[2], სწორედ წარმოებითი ურთიერთობანი შეადგენენ კ. მარქსის სიტყვებით, „...ისტორიული განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე მდგომ საზოგადოებას, თავისებური განსხვავებული ხასიათის საზოგადოებას“[3].

იგივე აზრი ფორმულირებულია კ. მარქსის ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“, სადაც წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა განსაზღვრულია როგორც საზოგადოების რეალური ბაზისი. ამ მატერიალისტური პრინციპის დასაბუთებით კ. მარქსმა გადატრიალება მოახდინა სოციოლოგიური აზროვნების

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 192—193.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. I გვ. 153.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 193.

ისტორიაში. „მანამდე სოციოლოგები, ვერ ახერხებდნენ რა ისეთ უმარტივეს და პირველადელ ურთიერთობათა დანახვას, როგორიცაა წარმოებითი ურთიერთობანი, პირდაპირ ხელს ჰკიდებდნენ პოლიტიკურ-იდეოლოგიური ფორმების გამოკვლევას და შესწავლას, ეჯახებოდნენ იმ ფაქტს, რომ ეს ფორმები კაცობრიობის ამა თუ იმ იდეებიდან წარმოიშობიან ამა თუ იმ დროს — და ამაზე ჩერდებოდნენ: ისე გამოდიოდა, თითქოს საზოგადოებრივ ურთიერთობას ადამიანები შეგნებულად ქმნიან“ [1].

მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველია იმის გამოც, რომ მისი შეცვლა საზოგადოების პოლიტიკური და სამართლებრივი შეხედულებების, საზოგადოებრივი იდეებისა და თეორიების და საერთოდ ზედნაშენური მოვლენების შეცვლას იწვევს.

რასაკვირველია, ცვალებადობას საწარმოო ძალებიც განიცდიან. უფრო მეტიც, საწარმოო ძალები უფრო სწრაფად იცვლებიან, ვიდრე წარმოებითი ურთიერთობანი, მაგრამ საწარმოო ძალთა ცვალებადობა უშუალოდ ზედნაშენის ცვალებადობას არ იწვევს.

საწარმოო ძალებისა და მისი ნივთიერი ელემენტების — შრომის იარაღებისა და მოწყობილობების — ცვლილებას ავტომატურად არ მოსდევს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა. ერთი საზოგადოების, ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ადგილს მეორე საზოგადოება, მეორე საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მხოლოდ მას შემდეგ იჭერს, რაც ძველი წარმოებითი ურთიერთობები ახალი წარმოებითი ურთიერთობებით იცვლება.

საწარმოო ძალთა ცვალებადობას წარმოებით ურთიერთობათა შეცვლა მოსდევს და მხოლოდ ამ ცვლილებათა საფუძველზე ხდება გადატრიალება საზოგადოების იდეოლოგიურ ზედნაშენში. მაშასადამე, წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოების სულიერი ცხოვრების, საზოგადოების პოლიტიკური, სამართლებრივი, მხატვრული და სხვა შეხედულებების და მათი შესაბამისი დაწესებულებების ცვალებადობა-განვითარების საფუძველია.

კ. მარქსის მიერ შექმნილ მეცნიერულ სოციოლოგიას რომ ახასიათებდა, ლენინი წერდა: „ამ თეორიამ შეიმუშავა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ რ ი ვ ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა ც ი ი ს ცნება. მან ამოსავალ წერტილად აიღო ყოველგვარი თანაცხოვრების ძირითადი ფაქტი — საარსებო საშუალებათა მოპოვების წესი, მას დაუკავშირა ის ურთიერთობა ადამიანთა შორის, რომელიც მყარდება საარსებო საშუალებათა მოპოვების განსაზღვრული წესების გავლენით, და ამ

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 149.

ურთიერთობის („წარმოებითი ურთიერთობის" — მარქსის ტერმინოლოგიით) სისტემაში აღნიშნა საზოგადოების ის ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი რომელიც პოლიტიკურ-იურიდიულ ფორმებსა და საზოგადოებრივი აზროვნების განსაზღვრულ მიმდინარეობათა სახეს იღებს" [1].

გარდა ამისა, საწარმოო ძალთა განვითარების დონე თავისთავად არ არის საკმარისი იმისათვის, რომ ერთი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მეორისაგან განვასხვავოთ. ეს შესაძლებელია მხოლოდ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათის გათვალისწინებით. მაგალითად, ტექნიკური პროგრესის ძირითადი მიმართულებანი — მექანიზაცია და ავტომატიზაცია — როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში არსებობს. ერთიც და მეორეც მატერიალურ-ტექნიკურ ბაზად ემსახურება ორ, ერთმანეთისაგან ძირეულად განსხვავებულ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას. მანქანური წარმოების, თანამედროვე საწარმოო ძალების განვითარების დონე, თავისთავად აღებული, არ იძლევა საფუძველს, რომ ავხსნათ განსხვავება დიამეტრალურად საწინააღმდეგო, კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებას შორის. მაშინ, როდესაც ეს განსხვავება სავსებით ნათელი გახდება, თუ წარმოებით ურთიერთობათა ტიპების განსხვავებიდან და არა საწარმოო ძალთა განვითარების დონეებიდან ამოვალთ.

ვ. ი. ლენინის თქმით, კ. მარქსის ისტორიის მატერიალისტური თეორიის ძირითადი იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ მან „... საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგიდან გამოჰყო ეკონომიური დარგი, ყველა საზოგადოებრივი ურთიერთობიდან გამოჰყო წ ა რ მ ო ე ბ ი თ ი ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ნ ი, როგორც ძირითადი, პირველადელი, ყველა დანარჩენი ურთიერთობის განმსაზღვრელი" [2].

მაგრამ მოცემულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა მხოლოდ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველს შეადგენს. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მასზე არ დაიყვანება.

მისთვის ნიშანდობლივია საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეული დონეც. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია გულისხმობს საზოგადოებრივ ურთიერთობათა რთულ სისტემას, რომელიც მოცემულ წარმოებით ურთიერთობების და საწარმოო ძალთა განვითარების დონით განისაზღვრება. „მხოლოდ საზოგადოებრივი ურთიერთობის დაყვანამ წარმოებითს ურთიერთობამდე და საწარმოო ძალთა სიმაღლეზე ამ უკანასკნელის აყვანამ მოგვცა მტკიცე საფუძველი იმი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 1, გვ. 147.
[2] ი ბ ე ვ ე.

სათვის, რომ საზოგადოებრივ ფორმაციათა განვითარება წარმოვიდგინოთ როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი"[1].

წარმოებითი ურთიერთობანი „სოციალური ორგანიზმის" მზოლოდ ჩონჩხს ქმნიან. ამ ჩონჩხს ხორცი უნდა შეესხას, რათა მთლიან ორგანიზმად ჩამოყალიბდეს. კ. მარქსი, „...ხსნიდა რა მოცემული საზოგადოებრივი ფორმაციის წყობასა და განვითარებას მხოლოდ და მხოლოდ წარმოებითი ურთიერთობებით — იგი, მიუხედავად ამისა, ყველგან და მუდამ თვალს ადევნებდა ამ წარმოებით ურთიერთობებისადმი შესაფერ ზედნაშენებს, სისხლს და ხორცს ასხამდა ჩონჩხს"[2].

ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მოცემულ წარმოებით ურთიერთობებთან ერთად გაბატონებულ იდეოლოგიურ და კლასობრივ საზოგადოებაში პოლიტიკურ ზედნაშენსაც მოიცავს.

ამრიგად, საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია მოცემულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა, რომელიც საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ დონეს შეესაბამება.

ისტორიულად დამკვიდრებულ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მატერიალური საფუძველია. საზოგადოების პრაქტიკული ცხოვრება შეუძლებელია ადამიანთა შორის გარკვეული ურთიერთობის დამყარების გარეშე. ადამიანთა შორის ყალიბდება საწარმოო-ეკონომიკური, იდეოლოგიური, ოჯახური, კლასობრივ საზოგადოებაში — კლასობრივი, პოლიტიკური, ეროვნული და მრავალგვარი სახის სხვა ურთიერთობანი. მაგრამ რაოდენ მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობანი, ისინი ან მატერიალური, ან სულიერი ცხოვრების სფეროში ვლინდებიან. ამისდა მიხედვით „საზოგადოებრივი ურთიერთობანი ორნაირია — მატერიალური და იდეოლოგიური[3].

კ. მარქსის მიერ შემუშავებული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ცნება ადამიანთა როგორც მატერიალურ, ისე იდეოლოგიურ ურთიერთობების ერთობლიობას ასახავს. მაგრამ იგი ამასთანავე მათ შორის ძირითადსა და განმსაზღვრელზეც მიუთითებს.

რომელი მომენტი წარმოადგენს ძირითადს და განმსაზღვრელს ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის ამ ორი ჯგუფიდან? რასაკვირველია, შეუძლებელია, რომ ორივე რიგის ურთიერთობები —

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 151.
[2] იქვე, გვ. 152.
[3] იქვე, გვ. 165.

იდეოლოგიური და მატერიალური მომენტები ერთდროულად ასრულებდნენ საზოგადოებრივი ფორმაციის განმსაზღვრელ როლს.

თუ საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძვლად ორ, ერთმანეთისაგან თვისებრივად განსხვავებულ მხარეს მივიჩნევთ, მაშინ კი არ გადავწყვეტთ, არამედ ხელახლა დავაყენებთ საკითხს, თუ რომელი მხარეა განმსაზღვრელი თვისობრივად განსხვავებულ ამ ურთიერთობათა შორის.

მარქსისტული მონისტური მსოფლმხედველობა მოითხოვს, რომ ერთიანი საფუძვლიდან ამოვიდეთ როგორც ბუნების, ისე საზოგადოების გაგებაში. ძველ მატერიალიზმს სწორედ ეს არ შეეძლო.

ძველი მატერიალიზმის არათანმიმდევრულობის, დაუმთავრებლობისა და ცალმხრივობის შეგნებამ მარქსი დაარწმუნა, რომ აუცილებელია „შევუთანხმოთ მეცნიერება საზოგადოების შესახებ მატერიალისტურ საფუძველს“ [1] და შემდეგ: „თუ მატერიალიზმი საერთოდ ცნობიერებას ყოფიერებით ხსნის და არა პირიქით, კაცობრიობის საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ გამოყენებისას მატერიალიზმი მოითხოვდა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ცნობიერების ახსნას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ყოფიერებით“ [2].

ისტორიული მატერიალიზმის თანახმად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძირითადი და განმსაზღვრელია ადამიანთა მატერიალური ურთიერთობები, რომელთა დამყარება დაკავშირებულია მატერიალური დოვლათის შექმნის აუცილებლობასთან.

„ადამიანებს, პირველ ყოვლისა, უნდა ჰქონდეთ საჭმელი, სასმელი, საცხოვრებელი ბინა და ტანისამოსი, რათა მათ შეძლონ ხელი მოჰკიდონ პოლიტიკას, მეცნიერებას, ხელოვნებას, რელიგიას და სხვ.... არსებობის უშუალო მატერიალური საშუალებების წარმოება და მასთან ერთად ამა თუ იმ ხალხის ან ისტორიული ეპოქის ეკონომიკური განვითარების შესაფერისი საფეხური შეადგენს საფუძველს, საიდანაც ვითარდებიან სახელმწიფო დაწესებულებანი, უფლებრივი შეხედულებანი, ხელოვნება და თვით რელიგიური წარმოდგენებიც კი და, რომლიდანაც უნდა გამოვდიოდეთ ყველა ამ მოვლენის ახსნის დროს და არა პირიქით, როგორც აქამდე ეგონათ“ [3].

მატერიალური დოვლათის წარმოება არის ადამიანთა სულიერი მოღვაწეობის წინაპირობა და საფუძველი. ეხებოდა რა დამოკიდებულებას მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობათა შორის,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 21, გვ. 49—50.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 50.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. II, 1964, გვ. 197—198.

ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „უკანასკნელნი მხოლოდ პირველთა ზედნაშენს წარმოადგენს, პირველნი კი ადამიანთა ნებისყოფისა და ცნობიერების გარეშე იქმნებიან, როგორც (შედეგი) ფორმა ადამიანის საქმიანობისა, რომელიც მისი არსებობის შენარჩუნებისაკენ არის მიმართული“ [1].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური პროგრესის საფეხური. ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია სოციალური პროგრესის გარკვეულ საფეხურს გამოხატავს. სოციალური პროგრესის ეს საფეხურები განსხვავდებიან როგორც საწარმოო ძალთა განვითარების დონით, ისე, განსაკუთრებით წარმოებით ურთიერთობათა ხასიათით, პოლიტიკური და იდეოლოგიური ზედნაშენის თავისებურებებით. ისტორია მიემართება აღმავალი ხაზით [2], განვითარების დაბალი საფეხურიდან მაღალი საფეხურისაკენ, უფრო სრულყოფილი მდგომარეობისაკენ. მისი პროგრესული განვითარება ადამიანთა ნებისყოფით არ არის განსაზღვრული. „მარქსი საზოგადოებრივ მოძრაობას განიხილავს როგორც ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს, დაქვემდებარებულს ისეთი კანონებისადმი, რომელნიც არა თუ დამოკიდებულნი არ არიან ადამიანების ნებისყოფასა, შეგნებასა და განზრახვებზე, არამედ, პირიქით, განსაზღვრავენ მათს ნებისყოფას, შეგნებასა და განზრახვებს“ [3].

საზოგადოებრივი განვითარება ბუნებრივ-ისტორიული პროცესია. ისტორიული პროცესი იმდენად, რამდენადაც ადამიანთა მოქმედების შედეგია, ბუნებრივი პროცესი იმდენად, რამდენადაც მათი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელია, ობიექტურია, კანონზომიერია. მაგრამ ნამდვილად ხორციელდება თუ არა პროგრესული წინსვლა საზოგადოებაში, ნამდვილად წარმოადგენს თუ არა საზოგადოების მიერ მოპოვებული მდგომარეობა ახალ საფეხურს აღმავალი მოძრა-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 165.

[2] საზოგადოებრივი პროგრესის, როგორც საზოგადოების აღმავალი განვითარების ბუნების, მისი შინაარსისა და კრიტერიუმების შესახებ იხ. Волков Г. Н. Истоки и горизонты прогресса; Злобин И. С. Культура и общественный прогресс. М., 1980; Левяш И. Я. Содержание и критерии общественного прогресса. Саратов. 1973; Мчедлов М. П. Социализм — становление нового типа цивилизации. М., 1980; Павлов Ю. М. Социально-философские проблемы общественного развития; Семенов Ю. Н. Общественный прогресс и социальная философия современной буржуазии. М., 1965; Скворцов Л. В. Социальный прогресс и свобода. М., 1979.

ვ. კალანდარიშვილი. საზოგადოებრივი პროგრესის მეცნიერული თეორიის შემუშავება. 1974. ფ. ენგელსი და საზოგადოებრივი პროგრესის პრობლემა, 1981. ი. ნაჭყებია საზოგადოებრივი პროგრესის მარქსისტულ-ლენინური თეორია. 1969.

[3] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 185.

ობის გზაზე — ამის განსაზღვრა შეუძლებელია ისე, თუ მხედველობაში არ მივიღეთ, რომელ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციასთან არის დაკავშირებული თვით ეს მოძრაობა.

საზოგადოებრივი ცვალებადობა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოასწავებს საზოგადოებრივ განვითარებას, თუ ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დამკვიდრებასა და სრულყოფას უწყობს ხელს, მეორე მხრივ, ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის წარმოშობა ყოველთვის ძველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის განვითარებით არის შემზადებული.

კაცობრიობის პროგრესული წინსვლა სხვა არაფერია, თუ არა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების თანამიმდევრობით ცელა. ამ განვითარების საწყისი ისტორიული მდგომარეობაა პირველყოფილი თემური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია, ხოლო მისი უმაღლესი საფეხური — კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია. კ. მარქსი წერდა:

„ა ნ ტ ი კ უ რ ი საზოგადოება, ფ ე ო დ ა ლ უ რ ი საზოგადოება, ბ უ რ ჟ უ ა ზ ი უ ლ ი საზოგადოება წარმოებით ურთიერთობათა ისეთ მთლიან შეერთებას წარმოადგენს, რომ თითოეული მათგანი განსაკუთრებული საფეხურია კაცობრიობის ისტორიულ განვითარებაში“ [1].

„ფართო მოხაზულობით, შესაძლებელია აზიურ, ანტიკურ, ფეოდალურ და თანამედროვე ბურჟუაზიულ წარმოებით წესს ეკონომიკური საზოგადოებრივი ფორმაციის პროგრესული ეპოქები ეწოდოს“ [2].

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების, განსაკუთრებით აზიური წარმოების წესის შესახებ მეცნიერთა წრეში სხვადასხვა მოსაზრებებია გამოთქმული. ამ პრობლემასთან დაკავშირებით ფართო დისკუსიები გაიმართა ჩვენს ქვეყანაში 30-იან, 60-იან წლებში, კვლევა-ძიება დღესაც გრძელდება [3]. მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად ნათლად ჩანს ჩვენთვის მნიშვნელოვანი საერთო პოზიცია, რომ საკაცობრიო ისტორია შეუქცევადია და მას აღმავალი ხასიათი აქვს. ყოველი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლა ხდება არა უკვე განვლილი ფორმაციის, არა უკან დაბრუნების გზით, არამედ თვისებრივად ახალი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის მიმართულებით, რომელიც რეალური ისტორიული პროცესის წინამავალი მსვლელობით არის შემზადებული. ამა თუ იმ

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 193.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 625.

[3] კ. მარქსისა და ფ. ენგელსის, აგრეთვე. ვ. ი. ლენინის შეხედულებანი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების, წარმოების აზიური წესის შესახებ განხილულია და ორიგინალურად არის ინტერპრეტირებული გ. ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი ს წიგნში: „მარქსი და ენგელსი კაპიტალიზმამდელი ფორმაციების შესახებ, თბ. 1976.

ხალხს მხოლოდ მაშინ შეუძლია ერთი ან რამდენიმე ფორმაციის გამოტოვება და უფრო მაღალ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლა, როდესაც მასზე ზეგავლენას ახდენენ სხვა ხალხები, და საზოგადოებანი, რომლებიც უკვე სოციალური პროგრესის ზედა საფეხურზე იმყოფებიან.

მსჯელობა საზოგადოებრივი პროგრესის შესახებ ისტორიული თვალსაზრისით უსაგნო და არაფრისმომცემია, თუ იგი არ ემყარება კონკრეტული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შესწავლას, თუ არ ითვალისწინებს მოცემული საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის თავისებურებებს, ამ ფორმაციის ადგილს სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების რიგში. სწორედ ასეთ თვალსაზრისს ავითარებდნენ სუბიექტური სოციოლოგიის წარმომადგენლები, რომლებიც სოციალური პროგრესის განმსაზღვრელ საწარმოო ეკონომიკურ, მატერიალურ ფაქტორებს უგულებელყოფდნენ. „სუბიექტივისტები სცნობდნენ ისტორიული მოვლენების კანონშესაბამისობას, მაგრამ ვერ ახერხებდნენ იმას, რომ მათი ევოლუცია განეხილათ, როგორც ბუნებრივ-ისტორიული პროცესი, — და ეს სწორედ იმიტომ, რომ ჩერდებოდნენ ადამიანის საზოგადოებრივ იდეებსა და მიზნებზე, ვერ ახერხებდნენ რა ამ იდეებისა და მიზნების დაყვანას მატერიალურ საზოგადოებრივ ურთიერთობამდე“ [1].

კ. მარქსმა, პირველად კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში, მეცნიერულად ახსნა საზოგადოებრივი პროგრესის მთელი მექანიზმი.

მარქსის თეორიის თანახმად, ცვლილებები საზოგადოების არასაწარმოო, სოციალურ სფეროში პირდაპირ ან არაპირდაპირ დამოკიდებულია ცვლილებებზე საწარმოო ეკონომიკურ სფეროში. ჯერ იცვლება საზოგადოების მატერიალური წარმოებითი ურთიერთობანი, ხოლო შემდეგ და მის შესაბამისად საზოგადოების პოლიტიკური, სოციალური, იდეოლოგიური ცხოვრება.

მაგრამ რა კანონზომიერებებით ხორციელდება თვით წარმოების განვითარება, რაც განსაზღვრავს საზოგადოების ცვალებადობის პროგრესულ ხასიათს საერთოდ?

რამდენადაც საზოგადოებრივი ცხოვრების არსებობისა და განვითარების საფუძველი მატერიალური დოვლათის წარმოებაა, ხოლო წარმოების ყველაზე დინამიურ ელემენტს საწარმოო ძალები წარმოადგენენ, იმდენად საზოგადოებრივი პროგრესის ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელი არის თვით საწარმოო ძალთა განვითარების, შრომის იარაღების, ტექნიკის განვითარების დონე. რაც უფრო განვითარებულია საწარმოო ძალები, მით უფრო იზრდება ადამიანური შრომის

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 151.

ნაყოფიერება, მით უფრო მეტი წარმატებით მოიპოვებენ ადამიანები მათთვის საჭირო საარსებო საშუალებებს. საწარმოო ძალების განვითარება ზრდის ადამიანთა ბატონობას ბუნების მიმართ, აღრმავებს და აფართოვებს მის თავისუფლებას. სრულყოფილი შრომის იარაღები ამცირებენ პროდუქტის დამზადებისათვის საზოგადოებრივად აუცილებელ დროს და ობიექტურად ქმნიან იმის შესაძლებლობას, რომ ამ გზით გამოთავისუფლებული დრო ხელსაყრელ სოციალურ პირობებში ცოცხალი საწარმოო ძალის ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის იქნეს გამოყენებული.

ამის გამო საწარმოო ძალები საზოგადოებრივი პროგრესის „უმაღლესი კრიტერიუმია“ [1]. მაგრამ საწარმოო ძალების გაშლა და განვითარება მხოლოდ და მხოლოდ გარკვეულ, მათ ხელშემწყობ წარმოებით ურთიერთობათა ჩარჩოებშია შესაძლებელი. მაშასადამე, საწარმოო ძალები საზოგადოებრივი პროგრესის კრიტერიუმის როლს ასრულებენ არა თავისთავად, არამედ კონკრეტულ წარმოებით ურთიერთობებთან კავშირში. საზოგადოებრივი პროგრესის განსაზღვრისათვის არ კმარა ის, თუ განვითარების რა დონეზე დგანან საწარმოო ძალები, წარმოების ტექნიკური საშუალებანი. აუცილებელია აგრეთვე წარმოებით ურთიერთობათა, უწინარეს ყოვლისა, საკუთრების ურთიერთობის ტიპებისა და ფორმების გათვალისწინება, რომლებიც კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად აჩქარებენ ან ამუხრუჭებენ საწარმოო ძალთა განვითარების პროცესს. აქედან გამომდინარე, წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონეც სოციალური პროგრესის კრიტერიუმს შეადგენს. საზოგადოებრივი პროგრესის მაჩვენებელია აგრეთვე კულტურის, დემოკრატიის, მეცნიერებისა და ა. შ. განვითარების მდგომარეობა და ხასიათი, მაგრამ ზედნაშენური, სოციალურ-კულტურული მოვლენებისა და პროცესების პროგრესულობა საბოლოო ანგარიშით საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების დონით განისაზღვრება. ანტაგონისტურ საზოგადოებაში სოციალური და კულტურული პროგრესის მიღწევებს ექსპლოატატორული კლასები ეუფლებიან, ხალხთა ფართო მასები კი მოკლებულნი არიან მას. კაპიტალიზმის პირობებში „...იზრდება საზოგადოების საწარმოო ძალები იმ დროს, როცა შესაბამისად არ იზრდება ხალხის მოხმარება, არ ხდება ამ საწარმოო ძალების გამოყენება მშრომელი მასების სასარგებლოდ“ [2].

ეკონომიკური და სოციალური პროგრესის საფუძველზე მოპოვე-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 13, გვ. 297.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 190.

ბული მატერიალური და სულიერი ღირებულებანი ხალხის ნაშდვილ კუთნილებად იქცეეა მხოლოდ სოციალისტური რევოლუციის შემდეგ ე. ი. იმ ეპოქალური გარდატეხის მომენტიდან, როდესაც საკუთრივ ხალხი ხდება თავისი თავის ბატონ-პატრონი.

V თ ა ვ ი. საზოგადოება, კოლექტივი, ადამიანი

მარქსამდელ მოაზროვნეთა პოზიცია. საზოგადოების და ადამიანის, მათი ბუნებისა და ურთიერთკავშირის პრობლემები უძველესი დროიდანვე იდგა საკაცობრიო აზროვნების წინაშე. მაგრამ მარქსამდელი ფილოსოფიური, სოციოლოგიური და სოციალურ-პოლიტიკური თეორიების დონეზე საზოგადოებისა და ადამიანის არსება და, აქედან გამომდინარე, საზოგადოებისა და ადამიანის ურთიერთობის ჭეშმარიტი გაგება მიუღწეველი დარჩა. თავის მხრივ, ეს გარემოება სულ ცოტა ორი მიზეზით იყო შეპირობებული: ა) მარქსამდელი მოაზროვნეები ი ს ტ ო რ ი ი ს ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ გ ა გ ე ბ ა ს ემყარებოდნენ, ისინი უგულებელყოფდნენ მატერიალური ფაქტორების გადამწყვეტ მნიშვნელობას საზოგადოების განვითარებაში; მათი კონცეფციების თანახმად სოციალურ ცხოვრებაში მომხდარ გარდაქმნებს, ასევე საკუთრივ ადამიანის ფორმირებას იდეური ფაქტორები განსაზღვრავენ; ბ) მარქსამდელი მოაზროვნეების საზოგადოებრივი და ანთროპოლოგიური შეხედულებები არსებითად შემეცნების მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ უ რ მ ე თ ო დ ს ეყრდნობოდა. ამიტომ იყო, რომ საზოგადოებას, ადამიანს განიხილავდნენ ანტიისტორიულად, ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, უცვლელი სახით, ვერ ამჩნევდნენ სიღრმისეულ კავშირებს საზოგადოებასა და ადამიანს, საზოგადოებასა და პიროვნებას შორის, წყვეტდნენ მათ ერთმანეთისაგან და თითოეულის შესახებ აბსტრაქტული მსჯელობით კმაყოფილდებოდნენ.

ამ შეხედულებათა ისტორიული და თეორიული შეზღუდულობის მიუხედავად საკაცობრიო აზროვნების განვითარების წინა სტადიებზე აღნიშნული პრობლემის ირგვლივ ბევრი საყურადღებო მიხვედრა შემუშავდა, რაც ობიექტურად მისი სწორი გადაწყვეტის მიმართულებას სახავდა [1].

მაგალითად, ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა ადამიანის საზოგადოებრივი ბუნება. საზოგადოებას ადამიანები ქმნიან; ადამიანი სხვა არსებათაგან საზოგადოებრიობის ნიშნით გამოირჩევა, იგი „პო-

[1] იხ. Историко-философские исследования. Проблема человека в домарксистской философии. Свердловск. 1976.

ლიტიკური ცხოველია". კ. მარქსი ყურადღებას აქცევდა სოციალურობის მომენტს ადამიანის არისტოტელისეულ განსაზღვრებაში. „ადამიანი ბუნებით, თუ პოლიტიკური არა, როგორც ამას არისტოტელე ფიქრობს, ყოველ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ცხოველია"[1]. „არისტოტელეს განსაზღვრება ამ ცნებისა, არსებითად იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანი ბუნებით საქალაქო რესპუბლიკის მოქალაქეა"[2].

ახალ დროში კიდევ მეტად განმტკიცდა შეხედულება ადამიანის საზოგადოებრივი ბუნების შესახებ.

ჯ. ვიკო, მაგალითად, კაცობრიობის ისტორიას იმით განასხვავებდა ბუნების ისტორიისაგან, რომ იგი ადამიანების მიერ არის შექმნილი, მაშინ როდესაც ბუნების ისტორიას ადამიანები არ ქმნიან. ჯ. ვიკოს თანახმად „ადამიანად ყოფნა" სხვა არაფერია თუ არა „საზოგადოებაში ცხოვრება"[3]. კ. მარქსი დადებითად აფასებდა ჯ. ვიკოს დამსახურებას საზოგადოებისა და ადამიანის ბუნების გაგებაში[4].

ადამიანის დამოკიდებულება სოციალურ გარემოზე ძირითად ხაზად გასდევს განმანათლებლებისა და XVIII საუკუნის ფრანგი მატერიალისტების შეხედულებებს საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ. მართალია, მათ ნააზრევში გაჩნილი არ არის სოციალური გარემოს რეალური შინაარსი, მაგრამ ამ მოაზროვნეთათვის დებულება, რომ ადამიანი საზოგადოებრივი გარემოს პირმშოა — წარუვალ ღირებულებას ინარჩუნებს. ამასთან ადამიანის სოციალური ბუნების იდეა კიდევ უფრო დაკონკრეტდა: ადამიანს განმანათლებლების თანახმად, ყველა სხვა ცხოველებისაგან შრომა განასხვავებს. „შრომა არის ადამიანის ცხოვრება" (ვოლტერი). ადამიანის საზოგადოებრივ ბუნებას შრომა გამოავლენს.

ჰეგელის მიხედვით შრომა ადამიანის საზოგადოებრივ არსებას შეადგენს, თუმცა კ. მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, ჰეგელთან იგი, აბსტრაქტულ-სულიერ პროცესად არის გაგებული.

ადამიანის სპეციფიკის ამოცნობას ყველაზე მეტად ამერიკელი განმანათლებელი ბენჯამინ ფრანკლინი მიუახლოვდა[5]. მის განსაზღვრებაში, რომ „ადამიანი არის იარაღის მკეთებელი ცხოველი" ნათლადაა წარმოდგენილი ადამიანის განმასხვავებელი თავისებურება — შრომის საშუალებათა შექმნისა და გამოყენების უნარი.

დებულებები, რომ საზოგადოება და ადამიანი არ არსებობს ერთ-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ 415.

[2] იქვე, გვ 230.

[3] Дж. Вико. Основания новой науки об общей природе наций. 1940, стр. 103.

[4] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 472.

[5] იქვე, გვ. 230.

მანეთის გარეშე, რომ ადამიანი სოციალური არსებაა, რაც შრომით საქმიანობაში, უწინარეს ყოვლისა, იარაღების გაკეთებასა და ვამოყენებაში ვლინდება — მარქსამდელი აზროვნების დადებითი მონაპოვარია. კ. მარქსმა კრიტიკულად აითვისა ეს დებულებები და ანლებურად დაასაბუთა ისტორიის მატერიალისტური გაგების საფუძველზე.

როდესაც ვეხებით მარქსამდელ მოაზროვნეთა შეხედულებებს საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ — განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს უტოპისტ-სოციალისტების კონცეფციები აღნიშნულ საკითხზე. ეს იმით აიხსნება, რომ უტოპისტ-სოციალისტების მოძღვრებაში იმდროინდელი საზოგადოებრივი წყობილებისა და საზოგადოებაში ადამიანის მიერ დაკავებული ადგილის კრიტიკულ ანალიზთან ერთად საზოგადოებისა და ადამიანის, რაც მთავარია მათი მომავლის გაზრების დიდმნიშვნელოვანი ცდაა მოცემული.

უტოპიური სოციალიზმი საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ. საზოგადოებისა და ადამიანის ძირეული შეცვლისა და სრულყოფის იდეა სოციალიზმთან პირველად უტოპისტ-სოციალისტებმა დააკავშირეს. მათ ეკუთვნით ამ იდეის მართალია შეზღუდული, მაგრამ ისტორიული თვალსაზრისით მნიშვნელოვანი ახსნა და არგუმენტაცია.

უტოპისტების თანახმად საზოგადოება და მისი წყობილება ამოსავალია ადამიანისა და მისი განვითარების მიმართულების განსაზღვრისათვის.

უტოპისტთა საზოგადოებრივი წყობილების პროექტებს საზოგადოებრივი საკუთრება უდევს საფუძვლად. კერძო საკუთრებას ისინი განიხილავენ როგორც სოციალურ ბოროტებას, კერძო საკუთრება ასახიჩრებს ადამიანს, პიროვნების გადაგვარებას იწვევს. კერძო საკუთრების შედეგია ერთის მხრივ მონობა, სიღატაკე, მძიმე დამამცირებელი შრომა, მეორე მხრივ კი ბატონობა, სიმდიდრე და უსაქმურობა. სწორედ კერძო საკუთრება აღვივებს პიროვნებაში მიკერძოებებს უსამართლობისა და უთანასწორობისადმი, მისი მოსპობით საზოგადოება და მისი წევრები არაადამიანურ, ქონებრივ-პრივილეგირებულ და სულიერ დიფერენციაციას დააღწევენ თავს. პირველი უტოპისტი თ. მორი აღნიშნავდა: „მე მტკიცედ ვარ დარწმუნებული იმაში, რომ სახსრების განაწილება თანაბარზომიერი და სამართლიანი წესით და კეთილდღეობა ადამიანთა საქმიანობის მსვლელობაში ზოლოდ კერძო საკუთრების მოსპობითაა შესაძლებელი. მაგრამ თუ კერძო საკუთრება დარჩება, მაშინ კაცობრიობის უდიდეს და საუკეთესო ნაწილს სამუდამოდ დააწვება მწუხარებათა მძიმე და აუტანელი ტვირთი“ [1].

---

[1] T. More. Золотая книга. 1935. стр. 91.

კამპანელას წარმოსახვითი „მზის ქალაქის“ „თემი ერთსა და იმავე დროს ყველას აქცევს როგორც მდიდრებად, ისე ღარიბებად: მდიდრებად იმის გამო, რომ მათ ყველაფერი გააჩნიათ, ღარიბებად იმის გამო, რომ მათ არა აქვთ არავითარი საკუთრება და ამიტომ თვითონ კი არ ემსახურებიან ნივთებს, არამედ ნივთები ემსახურებიან მათ“ [1]. კერძო საკუთრების გაუქმებით და საზოგადოებრივი საკუთრების შექმნით ეკონომიკურ უთანასწორობასაც ბოლო მოეღება. საზოგადოება, რომელიც საერთო მფლობელობის საძირკველზეა დაშენებული ძირფესვიანად განსხვავდება კერძო საკუთრებაზე დამყარებული საზოგადოებისაგან, ვინაიდან იგი თითოეულ ადამიანს ეკონომიკურად თანაბარ პირობებში ჩააყენებს. შეიცვლება საზოგადოებრივი დოვლათის განაწილების პრინციპი;

ამ საზოგადოებაში დამკვიდრებული სამართლიანი განაწილება საზოგადოებრივ და პირად ინტერესებს შეათანხმებს ერთმანეთთან. წარმოების საზოგადოებრივი ორგანიზაცია ბუნებრივი გარდუვალობის გამო იწვევს ცვალებადობას გაცვლა-გამოცვლის სისტემაში: საზოგადოების შიგნით ფულადი მეურნეობა ზედმეტი გახდება, ადამიანები შექმნიან მატერიალური დოვლათის გარკვეულ სახეობებს, რომლებსაც საზოგადოებრივი საწყობები ჩაიბარებენ. სამაგიეროდ, ყოველივე იმას, რაც მათ საარსებო საჭიროებას უპასუხებს საზოგადოებრივი საწყობებიდან მიიღებენ. წარმოების ეს იდეალური სისტემა, უტოპისტების აზრით ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის ზუსტი აღრიცხვის და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების წინასწარი გათვალისწინებით აიგება.

უტოპიური სოციალისტების თანახმად, თანასწორობისა და სამართლიანობის გარემო იმ პირობით შეიძლება სუფევდეს, თუ შრომა ყველას მოვალეობად გადაიქცევა.

ახალ საზოგადოებაში დარჩება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და სპეციალიზაცია, გონივრულად, მთელი ხალხისათვის აუცილებლ და მისაღებ ფარგლებში.

უტოპიური საზოგადოების ყველა წევრი მცოდნე, განათლებული იქნება და ამის ფაქტიურ უფლებას საერთო მფლობელობაზე დამყარებული წყობილება უზრუნველყოფს. ეს საზოგადოება ყოველ ადამიანს მზა მატერიალურ და სულიერ პირობებს დაახვედრებს გონებრივი პროგრესის მისაღწევად. ვინც ამ პირობებსა და უფლებებს ვერ გამოიყენებს, მან პასუხი საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს. განათლებული პიროვნება ისეევა საჭირო საზოგადოების განვითარე-

---

[1] Кампанелла. Город Солнца. 1954, стр. 70—71.

ბისათვის, როგორც განათლებული საზოგადოება ინდივიდის განვითარებისათვის.

ამ ადამიანთა განვითარების ძირითადი კომპონენტებია:

ა) საბუნებისმეტყველო-მეცნიერული განათლება. საბუნებისმეტყველო-თეორიული ცოდნის საფუძვლებს ახალგაზრდები უკვე სასკოლო ასაკში შეისწავლიან, მაგრამ ბუნებისმეტყველებას დიდი მიმზიდველობითი ძალა ექნება სამოღვაწეო ასპარეზზე ადამიანთა დამოუკიდებელი გამოსვლის შემდეგაც. თ. მორის თანახმად თავისუფალ დროს პიროვნება მეცნიერების შესწავლისათვის გამოიყენებს, ფიზიკური შრომის, ძილის და კვებისათვის საჭირო დროის გადარჩენილ „შუალედებს უმრავლესობა მეცნიერებას უთმობს“ [1].

„განყენებული მეცნიერების შესწავლა და ხელოსნობა საერთოა როგორც მამაკაცებისათვის, ისე ქალებისათვის“ [2]. ამასთან, თავისუფალი დროის გამოყენება მეცნიერული ცოდნის გაფართოების მიზნით სრულიადაც არ არის იძულებითი, პიროვნება თვით ილტვის მეცნიერებისაკენ. ესაა „სასიამოვნო მეცადინეობა მეცნიერებაში“ [3].

ბ) მორალური განვითარება. უტოპიური სოციალისტების თანახმად ახალი საზოგადოების ადამიანები ზნეობრივადაც სრულყოფილნი იქნებიან. პიროვნების ზნეობრიობას საკუთარი და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიულობა დაედება საფუძვლად. საზოგადოების წევრები „თავიანთი ურთიერთდამოკიდებულებით წარმოგვიდგებიან როგორც ერთი და იგივე სხეულის ნაწილები“ [4], საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მთელისათვის და შემდეგ კი მისი ნაწილებისათვის ვიზრუნოთ (კამპანელა). „მოწოდების საგანი იქნება საერთო კეთილდღეობისა და პირადი ბედნიერების განუყოფელი კავშირის განხორციელება“ [5].

ადამიანი „... აღწევს უდიდეს სიამოვნებას, თუ მიისწრაფვის თავისი პირადი ხვედრის გაუმჯობესებისაკენ უმრავლესობისათვის სასარგებლო მიმართულებით“ [6].

ზნეობრივ დამოკიდებულებაში საზოგადოებისადმი პიროვნება იმდენადვეა სუვერენული, რამდენადაც არასუვერენული. იგი სუვერენულია, ვინაიდან ყოველმხრივი გასაქანი ეძლევა მის მოქმედებას საზოგადოებრივ ინტერესებთან ერთიანობა-შეხამების მიმართულებით. მაგრამ პიროვნება კარგავს ავტონომიურობას თავის გადაწყვეტილებებსა და საქციელში, თუ მისი ზნეობრივი მოქმედება თუნდაც

---

[1] Мор. Золотая книга. стр. 110.
[2] Кампанелла. Город Солнца. стр. 56.
[3] იქვე, გვ. 70.
[4] Кампанелла. Город Солнца, стр. 99—100.
[5] Морелли. Кодекс природы. 1956, стр. 239.
[6] Сен-Симон. Избранные произведения. 1948, стр. 247.

ოდნავ აღუდგება წინ საზოგადოებრივ ინტერესებს და ზიანს მიაყენებს ამ უკანასკნელთ.

განსაკუთრებული ძალით გამოვლინდება მეგობრობა და სიყვარული ადამიანთა შორის, ცხოვრების სოციალისტური ორგანიზაცია მასობრივსა და ღრმად შინაარსეულს გახდის ამ დიად გრძნობას, რომლის განმტკიცებისათვის სრულიადაც არაა საჭირო სიღატაკე და გაჭირვება. მეგობრობის ნამდვილი საფუძველი მაშინ არსებობს, როცა საზოგადოება კეთილდღეობას განიცდის. ახალი საზოგადოების ადამიანები ერთმანეთს ძმებს უწოდებენ (კამპანელა).

სიყვარულის ღრმა გრძნობა დააკავშირებთ ,ადამიანებს სამშობლოსთან. „ისინი აღგზნებულნი არიან ისეთი სიყვარულით სამშობლოსადმი, რომლის წარმოდგენაც კი ძნელია“ [1]. სამშობლოსადმი სიყვარულის ამ გრძნობასაც ცხოვრების სოციალისტური ორგანიზაცია ასაზრდოებს. „თუ მე არა მაქვს არავითარი საკუთრება, და თუ მთავრობისაგან ვიღებ ყველაფერს, რაც კი მჭირდება, დარწმუნებული იყავით, რომ მეყვარება ჩემი სამშობლო, ვინაიდან ყველაფრით მისგან ვიქნები დაკალებული“ [2].

ბ) ესთეტიკური განვითარება. ახალი საზოგადოება ამაღლებს ყველა მისი წევრის ესთეტიკურ გემოვნებას, მიდრეკილებას იმისაკენ, რომ მშვენიერებასა და სილამაზეს ეზიაროს.

უტოპისტების მიერ წარმოსახული მომავლის ადამიანები სიამოვნებით კითხულობენ მხატვრული ლიტერატურის შედევრებს, ეატაცებით საუბრობენ ხელოვნების საკითხებზე, ათვალიერებენ და აფასებენ ფერწერის ნიმუშებს და სხვ. ესთეტიკური ტკბობა აღარ არის განსაკუთრებული, — თანამდებობის ან სხვა ცალკეული პირების კუთვნილება, ხოლო დანარჩენთათვის გარეგნული, თავს მოხვეული საქმე. იგი შერწყმულია ინდივიდის ბუნებაში, როგორც ერთ-ერთი სასიამოვნო მოთხოვნილება, ხოლო საზოგადოება, სხვა მოთხოვნილებებთან ერთად და მათ მსგავსად მისი ყოველდღიური დაკმაყოფილებისათვის ზრუნავს.

თ. მორის „თემური ოჯახების“ წევრები მღერიან, საამო მუსიკას ისმენენ, ასეა ეს ყოველდღიურად და არა მარტო საზოგადოებრივი ზეიმის, ქორწილის ან სხვა ბედნიერი შემთხვევის დროს. „თემური ოჯახი“ ვახშმობს ტკბილი მუსიკისა და სიმღერების თანხლებით. უტოპიელები სასიამოვნოდ თვლიან „ისეთ კმაყოფილებას, რომელიც გვეძლევა ჩვენ სმენის, მხედველობის და ყნოსვის საშუალებით... როგორც ადამიანის განსაკუთრებული უპირატესობა“ [3].

---

[1] Кампанелла. Город Солнца. стр. 47.
[2] Мабли. Избранные сочинения. 1950, стр. 109.
[3] Т. Мор. Золотая книга. стр. 149.

უტოპიელთა საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობებიც კი ამის გათვალისწინებითაა განლაგებული და კეთილმოწყობილი, რაც შეიძლება სრულად პასუხობს თითოეული წევრის ესთეტიკურ გემოვნებას. სახლები ნათელია და მოხერხებული. ყოველი საცხოვრებელი სახლის ეზოს მინდორი, ბაღი, ვენახი, ხეხილი და ყვავილნარი ამშვენებს. მართალია, საცხოვრებელი სახლები ყველა სამსართულიანია, ყველას მთლიანად მსგავსი სტრუქტურა და განლაგება აქვს, მართალია ისიც, რომ უტოპიელები ერთნაირი ფორმის, ფერის და გამძლეობის ტანსაცმელითაც კი იმოსებიან, მაგრამ ეს მათს ესთეტიკურ გემოვნებას არ აქვეითებს; პირიქით, თ. მორის აზრით იგი სავსებით განამტკიცებს საყოველთაო თანასწორობის სასიცოცხლო პრინციპს გარდა იმისა, რომ აბსოლუტურად შეესაბამება მას.

უტოპისტები მოითხოვენ მხატვრული გემოვნების ჩაყენებას იმ კალაპოტში, რომლითაც საბოლოოდ აღმოიფხვრება ტრადიციული მიდრეკილება ყალბი ესთეტიკური კერპებისადმი. ადამიანები არ უნდა მივაჩვიოთ „... უსარგებლო და უშინაარსო ხელოვნებას, რომელიც ფუფუნებასა და პატივმოყვარეობას ემსახურება, აღაგზნებს მხოლოდ ამპარტავნობას, წარმოშობს შურსა და განხეთქილებას“ [1].

დ) ფიზიკური განვითარება. ფიზიკური სრულყოფა აგრეთვე არის ახალი საზოგადოების ადამიანის განუყრელი ნიშანთვისება. საზოგადოება ზრუნავს ახალგაზრდობის ფიზიკური წრთობისათვის, მასში სიმამაცეს, სიმტკიცესა და ჯანსაღ სულს ნერგავს. ამ საზოგადოების „ადამიანები მნიშვნელოვანი სიცოცხლისუნარიანობით გამოირჩევიან და იშვიათად ავადდებიან“ [2]. კამპანელას მიერ წარმოსახულ ქვეყანაში „სოლიარებთან“ განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ფიზიკურ ვარჯიშს, როგორც ფიზიკური განვითარების ერთ-ერთ მძლავრ საშუალებას, „ისინი სხეულებრივი ვარჯიშით სისუსტესა და ქარებს სდევნიან“ [3].

ე) ხელობის ცოდნა. უტოპისტებთან ვხვდებით შრომისა და სწავლების შეკავშირების იდეის საწყის ელემენტებს. საზოგადოებაში, რომელიც კერძო საკუთრებას გამორიცხავს, საყოველთაო შრომა კოლექტიური და ინდივიდუალური არსებობის საფუძველია. ამიტომ შრომით აღზრდას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

უტოპიელები, როგორც თ. მორი აგვიწერს, ბავშვთა ნაყოფიერ ფიზიკურ დასაქმებას უკვე სწავლების პროცესშივე იწყებენ. საზოგადოების ყველა წევრს მიწათმოქმედების ცოდნა და შესაბამისი შრომითი ჩვევების გამომუშავება ევალება. მიწათმოქმედების შესწავლა

---

[1] Д. Верас. История Севарамбов, 1956, стр. 263.
[2] Мор. Золотая книга. стр. 149.
[3] Кампанелла. Город Солнца. стр. 92

ბავშვობიდან იწყება, „ნაწილობრივ სკოლაში თეორიის შეთვისების გზით, ნაწილობრივ კი ქალაქის ახლო მინდვრებში, სადაც ბავშვები თითქოსდა სათამაშოდ გაჰყავთ, მაგრამ ფიზიკური ვარჯიშის საბაბით ამუშავებენ კიდეც მათ“ [1].

მიწათმოქმედების გარდა ამ საზოგადოების წევრებმა ერთი რომელიმე ხელობა უნდა აითვისონ — ეს იქნება მატყლის რთვა, სელის გამოყვანა, ქვისმთლელობა, მელითონეობა თუ ხის დამუშავების სპეციალობა.

მორელი სასწავლო დაწესებულებას „საზოგადოებრივ აკადემიას“ უწოდებს. აქ ბავშვებმა 10 წლის ასაკიდან 15—16 წლამდე პროფესიული განათლება უნდა მიიღონ. ისინი სკოლიდან ყოველდღიურად სახელოსნოში გაიგზავნებიან რამდენიმე საათით, რათა ამა თუ იმ პროფესიის საწყისებს გაეცნონ.

დ. ვერასის თანახმად საზოგადოებრივ სკოლებში (7—დან 11 წლის ასაკში) მიღებული ცოდნის შემდეგ ბავშვებმა აუცილებლად მიწათმოქმედება უნდა შეისწავლონ. ამ მიზნით ისინი 11 წლის ასაკიდან სოფლად მიჰყავთ, სადაც ფიზიკურად მუშაობენ ყოველდღიურად 4 საათის განმავლობაში, ხოლო შემდგომ 4 საათს სკოლაში უკვე მიღებული ცოდნის განმეორებას უთმობენ.

ჯერარდ უინსტენლი ბავშვთა წმინდა მწიგნობრულ აღზრდას სქოლასტიკად სთვლიდა, ხოტბას ასხამდა დაკვირვებასა და პრაქტიკულ დასაქმებას სწავლების პროცესში. „რესპუბლიკისათვის სასარგებლო იქნება, რომ ბავშვებმა ისწავლონ ხელობა და რომელიმე ფიზიკური შრომა...“ [2] ჯ. უინსტენლის აზრით ახალგაზრდობამ შრომითი მოღვაწეობა საზოგადოებრივი პრაქტიკის ხუთ ძირითად დარგში უნდა გაშალოს. ეს დარგებია: მიწათმოქმედება, მეცხოველეობა, მეტყევეობა, გეოლოგიური კვლევა-ძიება და ასტრონომიული დაკვირვება თავიანთი მრავალრიცხოვანი ქვედარგებით. სწავლა და შრომა ერთნაირად სავალდებულოა როგორც ვაჟების, ისე ქალიშვილებისათვის. თუმცა ამ უკანასკნელთა შრომა სპეციფიკური და შედარებით მსუბუქი იქნება [3]. მეტისმეტად საყურადღებოა რევოლუციონერი უტოპისტ-სოციალისტის ფ. ბუონაროტის მოსაზრებები ახალგაზრდობის შრომითი აღზრდის შესახებ. „ახალგაზრდობა, რომელიც შრომას მიეჩვია, რომელსაც სოფლის მეურნეობა და აუცილებელი ხელობანი აქვს შესწავლილი და სასარგებლო ცოდნას ფლობს ყველა მოქალაქის იმედი და ნუგეში იქნება. ახალგაზრდობა მნიშვნელოვნად შეამსუბუქებს მათ შრომას“ [4].

---

[1] Мор. Золотая книга. стр. 108—109.
[2] Д. Уинстенли — Избранные памфлеты. 1950, стр. 321.
[3] Там же.
[4] Буонаротти. Заговор во имя равенства. 1948, т. 1, стр. 384:

ფ. ბუონაროტის მიხედვით ახალგაზრდობის შრომა ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის შემადგენელი ნაწილია.

ახალგაზრდობის შრომითი აღზრდა სოციალისტური საზოგადოების ძირითადი პრინციპის — შრომის საყოველთაობის პრინციპის განხორციელებას უნდა ემსახურებოდეს. ეს თავისთავად სწორია. მაგრამ შრომის საყოველთაობის იდეა მეტად მოუმწიფებელი და ხშირ შემთხვევაში ეულგარული ფორმითაა გატარებული უტოპიური სოციალისტების სანიმუშო სოციალურ პროექტებში. რა თქმა უნდა, სრულყოფილი საზოგადოებრივი ორგანიზაცია თითოეული მისი წევრისაგან ნაყოფიერ შრომას მოითხოვს. მაგრამ ამ მოთხოვნის ნებაყოფლობით ფაქტიურ რეალიზაციას ყოველთვის როდი აღწევს. უტოპისტ-სოციალისტებს არა აქვს იმის იმედი, რომ მოქალაქეები ყოველგვარი სახეობის სამუშაოს ნებაყოფლობით მოჰკიდებენ ხელს. ზოგიერთი შრომატევადი საქმის კეთებისათვის დაშვებულია იძულებითი შრომის, უფრო მეტიც, მონათა შრომის გამოყენებაც (მორი). მათი აზრით ყველა მოქალაქე, მოხუცებისა და ავადმყოფების გამოკლებით, ვალდებულია სოფლის მეურნეობაში ორი წლის ვადით მუშაობდეს. მორელი მიწათმოქმედების სხვადასხვა დარგებში სავალდებულო მუშაობის ვადას 5 წლით (20-დან 25 წლის ასაკამდე) განსაზღვრავს. იძულებითი შრომის საჭიროების მსგავს შეხედულებებს სხვა უტოპისტებთანაც ვხვდებით.

უტოპისტების თანახმად საზოგადოებამ მკაცრად უნდა დასაჯოს ურჩი წევრები, რომლებიც თანაცხოვრების აღიარებულ საყოველთაო ნორმებს არ ეგუებიან და ნაყოფიერ შრომას გაურბიან. ასეთი პირების წინააღმდეგ საზოგადოებრივმა ბოიკოტმა გამოხატულება უნდა ჰპოვოს მაიძულებელ აღმზრდელობით კანონმდებლობაში, რომელიც დასჯის სხვადასხვაგვარ გრადაციას გაითვალისწინებს. საზოგადოებისათვის საეს ებით ჰუმანურია ანტისაზოგადოებრივის ძალით აღკვეთა, თუნდაც ეს ამა თუ იმ პიროვნებას ძვირად დაუჯდეს. უსაქმურობა დანაშაულის რანგამდეა აყვანილი, უსაქმურობისათვის უსაქმურმა პასუხი უნდა აგოს.

საავალდებულო შრომისა და, ამასთან დაკავშირებით, უსაქმურთა რეპრესიის დაკანონებულ მოთხოვნებს უტოპიური სოციალისტები სულ მცირე სამი არგუმენტით განამტკიცებდნენ: 1. თანასწორობის მოთხოვნით: თანასწორობისა და სამართლიანობის სამეფოში გამონაკლისები არ უნდა არსებობდეს. თანასწორობა უნდა გატარდეს, როგორც მოხმარების, ისე შრომის სფეროში. მაშასადამე, შრომა ყველასათვის საავალდებულოა. 2. ტრადიციული ზიზღითა და უნდობლობით მქონებელთა მიმართ. უტოპისტების აზრით გამათანაბრებელი საზოგადოების პირობებშიც აღმოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უშრომლად ცხოვრებას შეეცდებიან, როგორც ეს მქონებლებს სჩვევიათ უთანასწორო საზოგადოების დროს. საზოგადოებამ ძალის გამოყენებით

უნდა აღკვეთოს ასეთი მიდრეკილებანი. 3. ზოგიერთი შრომატევადი, უსიამოვნო, „შავი“ სამუშაოების არსებობით, რომელთა ნებაყოფლობითი გზით შესრულება არ ხერხდება.

ყოველივე ზემოთქმულიდან აშკარაა, რომ უტოპისტებს წარმოდგენა არა აქვთ იმ მატერიალურ-ტექნიკურ და ეკონომიკურ ბერკეტებზე, რომლებიც შრომას ადამიანის სასიცოცხლო მოთხოვნილებად აქცევენ და ინდივიდუალური შეგნების ტრანსფორმაციას იწვევენ საზოგადოებრივ ინტერესებთან შეხამების მიმართულებით.

საკუთარი მრწამსის გადმოცემის გულუბრყვილო და არამეცნიერული ფორმა უტოპიურ სოციალისტებს და კომუნისტურ თეორეტიკოსებს ხელს არ უშლით იმაში, რომ საკაცობრიო აზროვნების წინაშე გამოიტანონ ღრმა სოციალური პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ახალი საზოგადოების პიროვნების ჩამოყალიბებასთან და დასახონ ამ პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზები. მათი პოზიტიური შეხედულებების კვინტესენცია შეიძლება შემდეგნაირად გამოიხატოს:

1. საზოგადოება სოციალური სამართლიანობის დიად მოწოდებას მაშინ განახორციელებს, თუ ცნობს და ცხოვრებაში გაატარებს ადამიანთა თანასწორობის ბუნებრივ პრინციპს. იდეალური საზოგადოება საერთო საკუთრებას და ერთობლივ შრომას უნდა დაემყაროს, რაც მის წევრებს თავისუფლების, თანასწორობის, ჰუმანური ურთიერთდამოკიდებულების და პიროვნული ძალების მრავალმხრივი განვითარების გარანტიას მისცემს.

2. სამართლიანი საზოგადოების ადამიანებისათვის დამახასიათებელი იქნება მრავალმხრივი განვითარება. სათანადო განათლება, შრომითი საქმიანობის ჩვევები, ზნეობრივად გამართლებული ქცევა, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება, ფიზიკური სრულყოფა თითოეულ მათგანში შეხამებულად გამოვლინდება.

3. პიროვნების მრავალმხრივი განვითარების აღზრდის საქმეს თვით საზოგადოება აწესრიგებს. ახალი საზოგადოების წევრები ყალიბდებიან არა კასტური აღზრდის გზით, არამედ კოლექტივში და კოლექტივის მეშვეობით. აღზრდის ფენომენში სასკოლო სწავლა და ნაყოფიერი შრომა მონაცვლეობს და ერთიანდება. ამით საზოგადოებრივ ადამიანს შესაძლებლობა ეძლევა ბუნებრივად მონიჭებული სრულყოფილება დაიბრუნოს, რომელიც მას ქონებრივმა უთანასწორობამ და მისი შესაბამისი აღზრდის სისტემამ წაართვა.

4. მხოლოდ შრომისა და სწავლების შეკავშირების გზით გადაიჭრება ორი უმნიშვნელოვანესი პრობლემა: საზოგადოებრივი შრომის გონივრული დანაწილება და პიროვნების თავისუფლება პროფესიის არჩევაში.

5. ადამიანთა ყოველმხრივი აღზრდა და უნივერსალური განვითარება თავისუფალი და თანასწორუფლებიანი საზოგადოების ძირეული პრინციპია, რომელიც მიწათმოქმედებისა და მრეწველობის განვითარების შინაგანი აუცილებლობიდან გამომდინარეობს.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა ფურიესა და ოუენის შესახებ, რომ „ორივე მოითხოვს რომ, როგორც მიწათმოქმედებაში, ისე მრეწველობაში შემოღებულ იქნეს რაც შეიძლება მეტი ცვალებადობა თითოეული პიროვნების საქმიანობაში და ამის მიხედვით ახალგაზრდობამ აღზრდა მიიღოს რაც შეიძლება უფრო ყოველმხრივი ტექნიკური მოღვაწეობისათვის. ორივე იმ აზრისაა, რომ ადამიანი უნივერსალურად უნდა განვითარდეს უნივერსალური პრაქტიკული მოღვაწეობის შემწეობით, შრომას ხელახლა უნდა დაუბრუნდეს დანაწილების წყალობით დაკარგული მიმზიდველობა, ეს უნდა მოხდეს, უწინარეს ყოვლისა, ამ მონაცვლეობისა და თითოეული სამუშაოსადმი მიძღვნილი მოკლე „სეანსის“ შემწეობით, ფურიეს გამოთქმა რომ ეიხმაროთ“ [1] (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ლ.).

თუ უტოპისტ-სოციალისტებმა შენიშნეს მატერიალური საფუძველი, სახელდობრ, კერძო საკუთრება წარმოების საშუალებებზე, რომელიც ეკონომიკურ და უფლებრივ უთანასწორობას ბადებს, სამაგიეროდ სრულიად აუარეს გვერდი საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის მატერიალურ საშუალებებს და საერთო-იდეალისტური მსოფლმხედველობრივი პოზიციის შესაბამისად საზოგადოების თვისებრივი შეცვლის ძირების ძიება იდეური მოტივების ჩარჩოებში მოაქციეს.

მათი აზრით სრულიად საკმარისია ადამიანებს, პირველ რიგში კი მმართველ წრეებს ახალი საზოგადოებრივი წესწყობილების მიზანშეწონილება შევაგნებინოთ, საკმარისია ადამიანებში ახალი თვისებები აღვზარდოთ ამ უკანასკნელთა უპირატესობის რწმენის ჩანერგვის გზით, რათა მათ ხელი აიღონ ცხოვრების ძველწესზე და თითოეული პიროვნების ხვედრად თანასწორუფლებიანობისა და სამართლიანობის სამეფო დაამკვიდრონ.

ფრანგი უტოპისტი სენ-სიმონი თავის ნაწარმოებში „მეწარმეთა კატეხიზისი“ სოციალური ორგანიზაციის გაუმჯობესების ძირითად პირობად ხალხის მასებში განათლებისა და ცივილიზაციის შეტანას თვლიდა. მისი მეხედულებით ვანათლებული ხალხისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა რაიმე სირთულესთან დაკავშირე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 351.

ბულია, ადარ იქნება. „მეფეს ეს უბრალოდ, ორდონანსის საშუალებით შეუძლია“ [1]. როგორც სენ-სიმონის, ისე სხვა უტოპიური სოციალისტების მიხედვით საზოგადოებრივი გონიერება და აღზრდა თვითკმარ და თავისთავად ძალად გვევლინება, იგი არის ადამიანთა მატერიალური ცხოვრების საერთო საკეთილდღეო გარდაქმნის უნარმქონე, ყველა ინდივიდუალური და საზოგადოებრივი ინტერესების შემთანხმებელ-მომწესრიგებელი.

განათლებისა და აღზრდის გაზვიადებული და საზოგადოების მატერიალური საფუძვლებით შეუპირობებელი გაგება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო, რომელიც ადრინდელი სოციალიზმის უტოპიურ ხასიათს განსაზღვრავდა.

მარქსისტულ-ლენინური თეორია პრინციპულად სხვა პოზიციიდან წყვეტს საზოგადოების, ადამიანის და მათი განვითარების საკითხს. მარქსიზმ-ლენინიზმის ზოგად-ფილოსოფიური და სოციოლოგიური პრინციპების თანახმად ადამიანის საკითხი წარმოებული, დამოკიდებული საკითხია. ადამიანის არსება, მისი ცვალებადობა და განვითარება საზოგადოების, მატერიალური საწარმოო საფუძვლების, საზოგადოებრივი ურთიერთობის, საზოგადოებრივი ყოფიერების ცვალებადობის და განვითარების ნიადაგზე უნდა აიხსნას.

საზოგადოების, ადამიანის, პიროვნების ცნებები. ცოცხალი ადამიანური ინდივიდი საზოგადოების — მთლიანი სტრუქტურული წარმონაქმნის საწყისი შემადგენელი ელემენტია. ამიტომ იგი მთელის, ე. ი. საზოგადოების კანონზომიერებით არის განსაზღვრული. გასაგებია ამის გამო, რომ საკუთრივ ადამიანის, საზოგადოებასთან მისი რეალური მიმართების გარკვევა წინაპირობად საზოგადოების, როგორც მთლიანი სოციალური ორგანიზმის კანონზომიერებათა ცოდნას მოითხოვს. ვიდრე ეს კანონზომიერებანი უცნობი იყო ადამიანის პრობლემაც გადაუჭრელი რჩებოდა.

კ. მარქსი მის მიერვე დაყენებულ კითხვაზე თუ „რა არის საზოგადოება, როგორიც კი უნდა იყოს მისი ფორმა?“ უპასუხებდა — „პროდუქტი ადამიანთა ურთიერთმოქმედებისა“ [2].

ეს ურთიერთქმედება ვლინდება ადამიანთა ცხოვრების წარმოებით ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და სხვა სფეროებში. ამ ურთიერთქმედების, პირველ რიგში წარმოების პროცესში დამყარებული ურთიერთობის ხასიათი განსაზღვრავს საზოგადოების ბუნებას, ხოლო მისი საშუალებით ადამიანის არსებობასაც. „ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში

---

[1] Сен-Симон. Избранные сочинения. т. II, 1948 г. стр. 171.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 642.

ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“ [1].

იმისათვის, რომ მოიპოვოს არსებობისათვის აუცილებელი საშუალებები. ადამიანი, რასაკვირველია, ბუნებას მიმართავს, გარდაქმნის მას საკუთარი მოთხოვნილებების შესაბამისად [2]. მაგრამ ადამიანს ადამიანად ხდის არა უბრალოდ ვიწრო პრაქტიკული მიმართება ბუნებასთან, არამედ საწარმოო ზემოქმედება ბუნებაზე სხვა ადამიანებთან გაერთიანების მეოხებით, ე. ი. საზოგადოებრივი კავშირი, საზოგადოებრივი ურთიერთობა. ადამიანი მწარმოებელი, პრაქტიკულად ბუნებაზე ზემოქმედი არსებაა მხოლოდ სხვა ადამიანებთან საზოგადოებრივი კავშირის საფუძველზე. მაშასადამე, საზოგადოებრივი კავშირი განმსაზღვრელი წინაპირობაა ბუნებასთან კავშირის დასამყარებლად. ადამიანები „აწარმოებენ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც განსაზღვრული წესით ერთად მოქმედებენ და თავიანთ საქმიანობას ერთიმეორეზე ცვლიან; რათა აწარმოონ, ისინი შედიან განსაზღვრულ დამოკიდებულებასა და ურთიერთობაში, და მხოლოდ ამ საზოგადოებრივი დამოკიდებულებისა და ურთიერთობის ფარგლებში ხდება მათი გავლენა ბუნებაზე, ხდება წარმოება“ [3] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

განვითარების ყოველ კონკრეტულ-ისტორიულ საფეხურზე ადამიანები გარკვეულ ჯგუფებად, კოლექტივებად ყალიბდებიან, ქმნიან ამა თუ იმ მასშტაბის გაერთიანებას, რომლის უმაღლესი ფორმა საზოგადოებაა. იგი გვევლინება როგორც მწარმოებელ ადამიანთა გაერთიანება. საზოგადოების არსებობა შეუძლებელია ადამიანების, პიროვნებათა გარეშე. ადამიანთა ისტორიის „პირველი წინამძღვარი — ეს არის, რასაკვირველია, ცოცხალ ადამიანურ ინდივიდთა არსებობა“ [4]. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოებას ადამიანებისაგან მხოლოდ რაოდენობრივი მხარე განასხვავებს. საზოგადოება ადამიანთა მექანიკური ჯამი, მათი რიცხობრივი შენაკრები არ არის არსებითად აქ საქმე გვაქვს ძირეულ თვისებრივ განსხვავებულობასთან. რასაკვირველია, საზოგადოება შედგება პიროვნებათაგან, ადამიანთა ჯგუფებისა და კოლექტივებისაგან. მაგრამ ადამიანთა რაოდენობრივი გაერთიანება ახალ თვისებრიობაში გადადის, განსხვავებული თვისებ-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 3.

[2] ადამიანთა არსება ამ კუთხით — მისი აქტიურობის, საწარმოო საქმიანობის, საგნობრივი მოქმედების მიხედვით გაანალიზებულია ჯ. კორძაიას წიგნში „ადამიანი როგორც პრაქტიკის სუბიექტი“, 1982.

[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 192—193.

[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 10.

რივი მაჩვენებლებით ხასიათდება. ეს ახალი თვისებრიობა არის სწორედ საზოგადოება.

საზოგადოება ადამიანთა ისეთი გაერთიანებაა, რომელიც აღმოცენებულია წარმოების გარკვეული წესის ბაზაზე. საზოგადოებას ქმნის მწარმოებელ ადამიანთა გაერთიანება, რაც კონკრეტული-ისტორიული წარმოების წესით არის განსაზღვრული. საზოგადოებისათვის არსებითია ის, რომ ადამიანები ეწეოდნენ წარმოებას, ქმნიდნენ მატერიალურ და სულიერ ღირებულებებს გარკვეული, ისტორიულად ჩამოყალიბებული წარმოების წესის შესაბამისად.

ამა თუ იმ სახის გაერთიანებებს ცხოველებსა, ფრინველებსა და მწერებშიც ვხვდებით. მაგრამ ეს გაერთიანებანი საზოგადოებას არ შეადგენენ. ცხოველთა წინაშე არ დგას იმის აუცილებლობა, რომ შეკავშირდნენ, რათა ბრძოლა აწარმოონ ბუნების ძალების გარდაქმნისათვის, მათი შეგნებული დამორჩილებისათვის. ასეთი გაერთიანებანი ესაჭიროებათ მხოლოდ ადამიანებს, რომლებიც ერთობლივი საწარმოო მოქმედების შედეგად ქმნიან და მოიხმარენ მატერიალურ დოვლათს, ეწევიან განუწყვეტელ და შეუპოვარ ბრძოლას იმისათვის, რომ სახე შეუცვალონ ბუნების მასალას საზოგადოების ინტერესებისათვის. სწორედ ამიტომაა საჭირო ადამიანთა გაერთიანება ჯგუფებად, კოლექტივებად, საზოგადოებად.

ამრიგად, საზოგადოება სოციალურ ურთიერთობაში მყოფი ადამიანების გაერთიანებაა არსებობისა და განვითარების საკუთარი, სპეციფიკური კანონზომიერებებით [1].

---

[1] ადამიანის, მისი არსების, საზოგადოებასთან და კოლექტივთან მისი მიმართების და მარქსისტული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის სხვა საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ქვეყნის, ისე რესპუბლიკის მასშტაბით მნიშვნელოვანი მონოგრაფიები, კრებულები, ცალკეული სამეცნიერო სტატიები გამოქვეყნდა: Ананьев Б. Г. Человек как предмет познания. Л., 1968. Ануфриев Е. Г. Социальная роль и активность личности. М., 1971. Архангельский Л. М. Социально-этические проблемы теории личности. М., 1974. Батенин С. С. Человек в его истории. М., 1976. Буева Л. П. Социальная среда и сознание личности. М., 1968. Буслов К. П. Формирование социального в человеке. Минск. 1980. Григорян Б. П. Философия о сущности человека. М. 1973. Философская антропология. М. 1982. Демин М. В. Проблема теории личности. М., 1977. Какабадзе З. М. Человек как философская проблема. Тб., 1970. Кемеров В. Е. Проблема личности: Методология исследования и жизненный смысл. М., 1977. Кикнадзе Д. А. Система факторов действия и развития личности. Тб. 1982. Формирование коммунистической личности. М., 1980. Кон И. С. Социология личности. М., 1980. Кон И. С. Социология личности. М., 1967. Открытие „Я". М. 1978. Корнеев. Проблема социальной типологии личности. М. 1971. Крутова О. Н. Человек и история. М. 1982. Мысливченко А. Г. Человек как предмет философского познания. М. 1972. Мялкин А. В. Способности и потребности личности. М. 1984. Орлов В. В. Концепция человека в диалектическом материализме. Пермь. 1974. Петровский А. В. Личность, деятельность, коллектив. М. 1982. Тугаринов В. П. Природа, цивилизация, человек. Л. 1978. Сев Л. Марксизм

ადამიანის ჩამოყალიბება, მოქმედება, განვითარება, აზროვნება და ა. შ. შესაძლებელია მხოლოდ საზოგადოებაში, საზოგადოებასთან მიმართებაში და ამ უკანასკნელის მეოხებით „ნაწილი უნდა შეეწყოს მთელს, და არა პირიქით“ [1]. იგი ქმნის მატერიალურ დოვლათს, მაგრამ არა სხვა ადამიანებისაგან იზოლირებულად, როგორც ითქვა, არამედ მათთან ერთად, მათთან შეკავშირების გზით. იგი სარგებლობს იარაღებით, რომელთა შექმნა და სრულყოფა მრავალი თაობის ადამიანთა შრომასთანაა დაკავშირებული. მას აქვს საწარმოო ჩვევები, რომლებიც აგრეთვე წინამავალი თაობების შრომითი საქმიანობის გამოცდილებას განაზოგადებს და აგრძელებს. ადამიანი მოღვაწეობს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პირობებში და მას ამის გამო, საზოგადოების სხვა წევრებთან შრომითი საქმიანობის გაცვლა უხდება. პიროვნებას გაცნობიერებული აქვს სინამდვილის საგნები, მოვლენები, მათი თვისებები და მიმართებანი, რაც აგრეთვე შეპირობებულია საზოგადოებრივი წარმოებით და მისი განვითარების დონით. იგი აზროვნებს ენის საშუალებით, აღწევს სხვა ადამიანებთან ურთიერთგაგებას ენობრივ ბაზაზე. ენაც აგრეთვე საზოგადოებრივი მოვლენაა და საზოგადოების მიერ არის შექმნილი. კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ ინდივიდის განვითარება განპირობებულია ყველა სხვა ინდივიდის განვითარებით, რომლებთანაც იგი პირდაპირ ან არაპირდაპირ ურთიერთობაშია, და რომ ინდივიდთა სხვადასხვა თაობანი, რომლებიც ურთიერთობაში შედიან ერთმანეთთან, დაკავშირებულნი არიან ერთიმეორესთან, რომ გვიანდელ თაობათა ფიზიკური არსებობა განისაზღვრება მათი წინაპარი თაობებით, რომ ეს შემდგომი თაობანი მემკვიდრეობით იღებენ წინა თაობების მიერ დაგროვებულ საწარმოო ძალებს და ურთიერთობის ფორმებს, რაც მათს საკუთარ ურთიერთდამოკიდებულებას განსაზღვრავს. ერთი სიტყვით, ხდება განვითარება და ცალკეული ინდივიდის ისტორია სრულიადაც არ შეიძლება მოწყვეტილ იქნას მისი წინაპარი ანდა თანამედროვე ინდივიდების ისტორიისაგან, არამედ მათით განისაზღვრება“ [2].

и теория личности. Л. 1978. Смирнов Г. Л. Советский человек. формирование социалистического типа личности. М. 1980. Фролов И. Т. Перспективы человека. М. 1979. Шевченко Ю. Г. Некоторые вопросы биосоциальной природы человека. М. 1976. Сб. Человек и его бытие как проблема современной философии. М. 1978.

ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, ნაწილი 1 — 7. თბ., 1969—1983. რ. ბალანჩივაძე. ადამიანი, თავისუფლება, პასუხისმგებლობა. თბ. 1976. ი. ქიკნაძე. ადამიანის მოქმედების საკითხისათვის. თბ. 1971.

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 12, გვ. 601.

[2] იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ., ტ. 3, გვ. 440 (მეორე რუსული გამოცემა).

როდესაც პიროვნებას ვეხებით, ცხადია, მხედველობაში გვყავს რეალური, მოქმედი, კონკრეტული ადამიანი. მაგრამ კონკრეტული ადამიანის ყველა მონაცემი მისი პიროვნების განსაზღვრაში როდი შედის. მაგალითად, ყოველ ადამიანს, ისევე როგორც ყოველ ცოცხალ არსებას, გარკვეული ინდივიდუალურობა, „მეობა", ფიზიოლოგიური განსაკუთრებულობა და განუმეორებლობა ახასიათებს. ეს მომენტი კი თავისთავად არაფერს გვაძლევს ადამიანის პიროვნების დასადგენად. ადამიანები სხვადასხვა ინდივიდუალური თავისებურებებით ხასიათდებიან, მაგრამ როგორც პიროვნებანი შესაძლოა ერთ გარკვეულ ჯგუფს ეკუთვნოდნენ.

ადამიანის პიროვნება ყალიბდება მხოლოდ საზოგადოებაში[1]. ამიტომ პიროვნება სოციალური კატეგორიაა. ადამიანის ხასიათი, მიდრეკილებები და ინტერესები, უნარი, ნიჭი და ა. შ. ალმოცენდება, ვითარდება ან იზღუდება გარკვეულ საზოგადოებრივ პირობებში და ამ უკანასკნელთა განმსაზღვრელი ზეგავლენით.

როგორი სპეციფიკურობითაც უნდა ავლენდეს ადამიანი თავის პიროვნებას, მას მაინც სხვა პიროვნებებთან საერთო, ტიპობრივი თვისებები აქვს. ადამიანის პიროვნების სპეციფიკურობა დამოკიდებულია იმ კონკრეტულ პირობებზე, რომლებშიც ამა თუ იმ ინდივიდს უხდება ცხოვრება და მოღვაწეობა. მისი ტიპობრივი თვისებები კი განსაზღვრულია საზოგადოების ეკონომიკური და საზოგადოებრივი წყობილებით. ამ ნიადაგზე განსხვავებული ინდივიდები რომელიმე გარკვეულ სოციალურ ჯგუფად ან კლასად ერთიანდებიან.

ამასთან დაკავშირებით, ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ნიშნებისა და თვისებების ორი ძირითადი რიგი, რომელიც ყოველ კონკრეტულ პიროვნებაშია შერწყმული.

პირველი რიგის თვისებები ფსიქიკურია: ყოველ ცალკეულ ინდივიდს აქვს გარკვეული ტემპერამენტი, ხასიათი, მიდრეკილებანი და ინტერესები, ნებისყოფა, ნიჭი და სხვ. ცხადია, პიროვნების თვითეული ფსიქიკური თვისება ყალიბდება და ვითარდება საზოგადოების სხვა წევრებთან ურთიერთობის პროცესში, საზოგადოებრივი ხასიათის მქონეა. მაგრამ ადამიანი პიროვნება ფსიქიკური თვისებებით არ ამოიწურება, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი მნიშვნელოვანწილად გამოხატავენ ინდივიდის პიროვნულ ბუნებას.

მეორე რიგის ნიშნები, რომელთა გარეშე კონკრეტულ-ისტორიული პიროვნება წარმოუდგენელია, არსებითად განსხვავდებიან ფსიქიკური თვისებებისაგან, თუმცა განუყრელად არიან დაკავშირებულნი მათთან. ეპოქის და კლასობრივ-სოციალური მდგომარეობის მიხედ-

---

[1] რ. ნ ა თ ა ძ ე, ზოგადი ფსიქოლოგია, 1977, გვ. 11.

ვით პიროვნება არის მესაკუთრე ან საკუთრების არ მქონე, მჩაგვრელი ან ჩაგრული, თავისუფალი ან უუფლებო, ცალმხრივად განვითარებული ან ყოველმხრივ განვითარებული და ა. შ. ფსიქიკური, თვისებებისაგან განსხვავებით, რომლებიც უპირატესად პიროვნების შინაგან მდგომარეობას გამოხატავენ, ზემოდასახელებულ და სხვა მსგავს ნიშნებს უშუალოდ საზოგადოებრივი შინაარსი გააჩნიათ. არავითარი ფიზიოლოგიური და ფსიქიკური მიზეზებით არაა გამოწვეული ის, რომ ერთი პიროვნება ექსპლოატატორია, მეორე კი ექსპლოატირებული, ერთი ფიზიკურ შრომას ეწევა, ხოლო მეორე გონებრივ შრომას და ა. შ. ამგვარი პიროვნული ნიშნები ადამიანებში წარმოიშობა და ვითარდება ღრმა სოციალური, ეკონომიკური მიზეზების მოქმედებით, საზოგადოებრივი გარემოს ზეგავლენით. ასეთი ნიშნები ახასიათებს პიროვნებას, როგორც ამა თუ იმ კლასის, სოციალური ჯგუფის, ფენის წარმომადგენელს. ესაა პიროვნების სოციალური ნიშნები: „როგორიცაა ინდივიდთა სასიცოცხლო მოქმედება, ისეთივენი არიან თვით ისინი. ის, რასაც ისინი წარმოადგენენ, ემთხვევა, მაშასადამე, მათს წარმოებას — ემთხვევა როგორც იმას, რ ა-ს ა-ც ისინი აწარმოებენ, ასევე იმასაც, თუ როგორ აწარმოებენ ისინი. თუ რას წარმოადგენენ ინდივიდები — ეს დამოკიდებულია, მაშასადამე, მათი წარმოების მატერიალურ პირობებზე“ [1]. საზოგადოების ეკონომიკური ორგანიზაცია განსაზღვრავს საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას, ამა თუ იმ კლასის წარმომადგენლებს კი საერთო, ტიპობრივი სოციალური ნიშნები ახასიათებთ.

მეთოდოლოგიური თვალსაზრისით ინდივიდის, პიროვნებისა და ადამიანის ცნებების განსაზღვრისას მიზანშეწონილია ერთეულის, განსაკუთრებულის და ზოგადის კატეგორიებით ვიხელმძღვანელოთ. ეს კატეგორიები საერთოდ საშუალებას გვაძლევენ მოვიცვათ ცალკეულის, განსაკუთრებული ჯგუფის და ყველა მოვლენისა და პროცესისათვის დამახასიათებელი ნიშნები. ჩვენი საკითხის მიმართაც უნდა ითქვას, რომ ადამიანის, პიროვნებისა და ინდივიდის სახით ზოგადის, განსაკუთრებულის და ცალკეულის თავისებურ კავშირთან გვაქვს საქმე.

როგორც ზოგადი არ არსებობს ცალკეულისაგან იზოლირებულად და პირიქით, ადამიანი არ არსებობს პიროვნული და ინდივიდუალური სპეციფიკაციით გამოვლენის გარეშე; ზუსტად ასევე ინდივიდუალური თავის მხრივ, პიროვნულისა და ადამიანურის არსობრივ მხარეებს, პიროვნულსა და ადამიანურს წარმოაჩენს.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I. გვ. 11.

ყოველი ინდივიდი თავის თავში აერთიანებს თვისებებს, რომლებიც სპეციფიკურად მისთვის არის დამახასიათებელი. ყოველი პიროვნება ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფის წარმომადგენლების საერთო თვისებების მატარებელია. „ადამიანის თვისებები ინდივიდუალურ თავისებურებებზე არ დაიყვანება. ისინი ზოგადსაც შეიცავენ და განსაკუთრებულსა და ცალკეულსაც. პიროვნება მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო მეტად არის ზოგადი მის ინდივიდუალობაში წარმოდგენილი. პიროვნების ინდივიდუალური ნიშნები არ არის ინდივიდის პიროვნული ნიშნების, ე. ი. მისთვის როგორც პიროვნებისათვის დამახასიათებელი თვისებების იგივეობრივი“ [1]. რამდენადაც საზოგადოებრივად განსაზღვრული საერთო თვისებების მატარებელია, პიროვნება ინდივიდზე არ დაიყვანება. „განსაკუთრებული პიროვნების“ არსებას მისი წვერი და სისხლი, მისი აბსტრაქტული ფიზიკური ბუნება კი არ შეადგენს, არამედ მისი სოციალური თვისებრიობა“ [2]. მაგრამ ის საერთო თვისებები, რომლებიც პიროვნებაშია მოცემული, ზოგადობის ხარისხის თვალსაზრისით ადამიანის თვისებების ექვივალენტური არ არის. ადამიანი ხასიათდება საზოგადოების ყველა წევრისათვის საერთო, უზოგადესი არსებითი ნიშნებით, რაც მის სპეციფიკურ თავისთავადობას შეადგენს. სახელდობრ იმას, რომ იგი „თავის სინამდვილეში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობაა“ [3], საზოგადოებრივ ურთიერთობაში მყოფი მწარმოებელი, სინამდვილის გარდამქმნელი არსებაა. ესაა ადამიანის ძირითადი მახასიათებელი, რაც მისი არსების იდენტურია.

ადამიანის ცნების ამ წესით დეფინაციის დროს ჩვენ აბსტრაგირებას ვახდენთ ცალკეული ინდივიდებისაგან, გარკვეული სოციალური ჯგუფების წარმომადგენელ პიროვნებათაგან, ვაფიქსირებთ იმას, რაც ზოგადი და არსებითია ყველა და თითოეული პიროვნებისათვის, ინდივიდისათვის. ადამიანი ეს გაგება მკვეთრად უნდა გავმიჯნოთ წარმოდგენებისაგან „საერთოდ ადამიანის“, „აბსტრაქტული ადამიანის“ შესახებ.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი სწორედ იმის გამო აკრიტიკებდნენ ლ. ფოიერბახს, რომ იგი ლაპარაკობდა „ადამიანზე როგორც ასეთზე“ და არა „ამდვილ“ ისტორიულ“ ადამიანზე“ [4], იგი „ადამიანებს განიხილავს არა მათს მოცემულ საზოგადოებრივ კავ-

---

[1] Рубинштейн С. Л. Бытие и сознание. М., 1957, стр. 309.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений. М., 1969, стр. 591.
[3] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 3.
[4] იქვე, გვ. 20.

შირში, არა მათს გარემოშცველ საარსებო პირობებში, რომლებშაც იგი გახადა იმათ, რასაც ისინი სინამდვილეში წარმოადგენენ[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

როგორც ფ. ენგელსი წერდა ფოიერბახი „ფორმით რეალისტია, მისი ამოსავალი წერტილი ადამიანია, მაგრამ იგი კრინტსაც არ ძრავს იმ სამყაროზე, რომელშიც ეს ადამიანი ცხოვრობს, და ამიტომ მისი ადამიანი იმავე აბსტრაქტულ ადამიანად რჩება, როგორც რელიგიის ფილოსოფიაში მოგვევლინა“[2]. და შემდეგ: „ეს ადამიანი... ნამდვილ, ისტორიულად წარმოშობილ და ისტორიულად განსაზღვრულ ქვეყანაში როდი ცხოვრობს; მართალია, მას ურთიერთობა აქვს სხვა ადამიანებთან, მაგრამ თითოეული მათგანიც მასავით აბსტრაქტული არსებაა“[3].

ფოიერბახი არ განიხილავდა ადამიანს მის ისტორიულ მოქმედებაში[4].

საზოგადოებრივი ურთიერობანი კონცენტრირებულ გამოხატულებას ჰპოვებენ ადამიანში, პიროვნებაში. ამიტომ განსხვავებულ საზოგადოებრივ ურთიერთობებს საზოგადოებრივი ცხოვრების ასპარეზზე ყოველთვის სხვადასხვა, კონკრეტულ-ისტორიული ბუნების ადამიანი, პიროვნება გამოჰყავთ.

თუ პიროვნება წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, ექსპლოატატორი ანდა მათი არამესაკუთრე, ექსპლოატირებულია, თუ იგი გარკვეული სოციალური მახასიათებლებით არის წარმომდგარი საზოგადოების, კოლექტივის წინაშე — ეს ფარე სამყაროსთან მისი პრაქტიკული დამოკიდებულების განსაკუთრებულობით არ აიხსნება, რაც ყველა ადამიანის გვარეობითი ნიშანია. ეს განსაზღვრულია იმ საზოგადოებრივ ურთიერთობათა კონკრეტულ-ისტორიული ბუნებით, რომლებშიც მათ არსებობა და საქმიანობა უხდებათ.

ასევე, როდესაც ერთი ტიპის ექსპლოატატორს მეორე ტიპის ექსპლოატატორი ცვლის, ხოლო ერთი ტიპის წარმოების მუშაკის ადგილს მეორე ტიპის წარმოების მუშაკი იჭერს — ეს იმიტომ ხდება, რომ საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად იცვლება საზოგადოებრივი, უწინარეს ყოვლისა, წარმოებითი ურთიერთობანი, რომელნიც ამის გამო საზოგადოებრივი ჯგუფებისა და მათში შემავალი ადამიანების ახალ პოლარულ განსხვავებულობას და დაპირისპირებულობას წარმოშობენ.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 23.
[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 465.
[3] იქვე.
[4] იქვე.

„ძველი საზოგადოება დამყარებული იყო ასეთ პრინციპზე: ან შენ ძარცვავ სხვას, ან სხვა გძარცვავს შენ, ან შენ მუშაობ სხვისთვის, ან სხვა მუშაობს შენთვის, ან მონათმფლობელი ხარ, ან მონა. და გასაგებია, რომ ასეთ საზოგადოებაში აღზრდილი ადამიანები, შეიძლება ითქვას, დედის რძესთან ერთად ითვისებენ ფსიქოლოგიას, ჩვეულებას, ცნებას — ან მონათმფლობელი, ან მონა, ამ წვრილი მესაკუთრე, წვრილი მოსამსახურე, წვრილი მოხელე, ინტელიგენტი, — ერთი სიტყვით, ადამიანი, რომელიც მარტო იმაზე ზრუნავს, რომ თავისი ჰქონდეს, სხვისი ჯავრი კი არა აქვს“ [1].

ადამიანთა განსხვავებული მისწრაფებების და გრძნობების, ზრახვებისა და იდეალების არსებობა და ცვალებადობა სრულიად გაუგებარი იქნება, თუ მათი წარმოშობის წყაროს არ მივაკვლიეთ, თუ უგულებელვყავით ის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომელთა ბაზაზეც პიროვნების ჩამოყალიბება და მისი სოციალური თვისებების ფორმირება და ტრანსფორმაცია ხდება.

აკრიტიკებდა რა რუს სუბიექტივისტ სოციოლოგებს და მათ იდეურ ბელადს სტრუვეს, ვ. ი. ლენინი წერდა, რომ „ცოცხალი პიროვნების“ „ზრახვები და გრძნობები“ „იქმნებიან მისი ცხოვრების პირობებით, წარმოებითი ურთიერთობის ამა თუ იმ სისტემით“ [2]. ყოველი საზოგადოებრივი ურთიერთობის არსების დადგენა აუცილებელი პირობაა ამავე ურთიერთობათა პროდუქტის, შესაბამისი პიროვნების სოციალური ბუნების განსაზღვრისათვის. „სოციოლოგი-მატერიალისტი, რომელიც თავის შესწავლის საგნად ადამიანთა განსაზღვრულ საზოგადოებრივ ურთიერთობას იღებს, ამით უკვე თვით იმ რეალურ პ ი რ ო ვ ნ ებ ებ ს ა ც სწავლობს, რომელთა მოქმედებისაგან სდგება ეს ურთიერთობა“ [3].

თითოეული პიროვნება ჩართულია საზოგადოებრივ ურთიერთობათა ქსელში, საზოგადოებრივი ურთიერთობანი ცალკეული ადამიანების მოქმედების შედეგად ყალიბდებიან და სწორედ ამიტომ საზოგადოებრივი ურთიერთობა — როგორც მთელის ბუნება პიროვნების მოქმედების — როგორც მისი შემადგენელი ელემენტის განმსაზღვრელია.

„როცა ნ ა მ დ ვ ი ლ საზოგადოებრივ ურთიერთობას და ნ ა მ დ ვ ი ლ განვითარებას ვიკვლევ, მე სწორედ ცოცხალ პიროვნებათა მოქმედების ნაყოფს ვიკვლევ“ [4].

თუ წარმოების საშუალებებზე კერძო საკუთრება არსებობს, მა-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 352.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 1, გვ. 352.
[3] ი ბ ე ვ ე, გვ. 487.
[4] ი ქ ე ვ ე, გვ. 491.

შინ საზოგადოება გათიშულია მდგომარეობით და ინტერესებით ურთიერთსაპირისპირო სოციალურ კლასებად. ერთ მხარეზეა წარმოების საშუალებათა მფლობელი, გაბატონებული, ექსპლოატატორი, ხოლო მეორე მხარეზე — წარმოების საშუალებების მთლიანად ან ნაწილობრივ არამქონე, ექსპლოატირებული. ამის შესაბამისად ადამიანთა ურთიერთობას ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობის სახე აქვს. ბუნებრივია, რომ ასეთ პირობებში საზოგადოებასა და პიროვნებას შორის ნაპრალია გაჟღენთილი, მოქმედებს ურთიერთსაპირისპირო ტენდენციები საზოგადოებასა და პიროვნებას შორის.

დიამეტრალურად საწინააღმდეგო მდგომარეობაა სოციალისტურ საზოგადოებაში, როდესაც წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრებაა დამკვიდრებული, მშრომელი ხალხი განაგებს საკუთარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებას და საზოგადოების წევრებს ერთიანი მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. აქ ყველა პირობა იქმნება საზოგადოების და პიროვნების ჰარმონიული კავშირურთიერთობისა და მისი შემდგომი განმტკიცებისათვის.

ყოველი კონკრეტული ინდივიდი კლასობრივ საზოგადოებაში ამა თუ იმ კლასის მდგომარეობას, ინტერესებსა და მისწრაფებებს გამოხატავს. „...არც ერთ ცოცხალ ადამიანს არ შ ე უ ძ ლ ი ა არ მ ი ე მ ხ რ ო ს ამა თუ იმ კლასს (რაკი მან შეიგნო მათი ურთიერთდამოკიდებულება), არ შეუძლია არ გაიხაროს ამ კლასის წარმატებით, არ შეუძლია არ შეწუხდეს მისი მარცხის გამო, არ შეუძლია არ აღშფოთდეს იმათ წინააღმდეგ, ვინც ამ კლასს მტრობს, იმათ წინააღმდეგ, ვინც ხელს უშლის მის განვითარებას ჩამორჩენილ შეხედულებათა გავრცელებით და სხვ.“ [1].

ყოველ გაბატონებულ წარმოების წესს გარკვეული საზოგადოება, და მაშასადამე, გარკვეული, კონკრეტულ-ისტორიული პიროვნება შეესაბამება.

პიროვნება ცხოვრობს და მოღვაწეობს საზოგადოებაში და მისგან განისაზღვრება. მისი დამოუკიდებლობა საზოგადოებისაგან მხოლოდ მოჩვენებითია. პიროვნებას საზოგადოება ძერწავს, მაგრამ მხოლოდ იმ მასალით და ფორმით, რომელიც მას მოეპოვება. როგორიცაა საზოგადოება, ისეთივეა პიროვნება. ის, რაც პიროვნებამ საზოგადოებისაგან მიიღო, საუკეთესო შემთხვევაში ეკვივალენტურია იმისა, რაც საერთოდ შეიძლებოდა მიეცა მას პიროვნებისათვის. სხვანაირად ეს იმასაც ნიშნავს, რომ პიროვნების უნარისა და საქმიანობის ეფექტურობა საზოგადოების ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. პიროვნე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. II, გვ. 664.

ბის საშუალებით საზოგადოება საკუთარ თავზეც გვიქმნის წარმოდგენას, უფრო მეტიც, პიროვნების არსებით საზოგადოებას საქვეყნო სამსჯავროზე გამოაქვს საკუთარი არსება.

„აქ ლაპარაკია პ ი რ ო ვ ნ ე ბ ებ ზ ე მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი ა რ ი ა ნ ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ კ ა ტ ე გ ო რ ი ა თ ა გ ა ნ ს ა ხ ი ე რ ებ ა ნ ი, გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი კ ლ ა ს ო ბ რ ი ვ ი უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ა დ ა ი ნ ტ ე რ ე ს ებ ი ს მ ა ტ ა რ ებ ე ლ ნ ი. ჩემ თვალსაზრისს, რომელიც ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ფ ო რ მ ა ც ი ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ებ ა ს განიხილავს როგორც ბ უ ნ ებ რ ივ-ი ს ტ ო რ ი უ ლ პ რ ო ც ე ს ს, უფრო ნაკლებად შეუძლია, ვიდრე სხვა რომელიმე თვალსაზრისს, ცალკეული პიროვნება პასუხისმგებელი გახადოს იმ ურთიერთობისათვის, რომლის ქმნილებადაც იგი რჩება სოციალურად, რაგინდ მაღლაც აიწიოს მან ამ ურთიერთობაზე სუბიექტურად“ [1].

ყოველი პიროვნება კოლექტივის, საზოგადოების წევრია. პიროვნებასა და საზოგადოებას შორის კოლექტივი დგას. მას პირდაპირი და უშუალო დამოკიდებულება აქვს არა მთელ საზოგადოებასთან, არამედ ადამიანთა გარკვეულ კოლექტივთან; საზოგადოებისა და პიროვნების კავშირურთიერთობა კოლექტივის საშუალებით მყარდება.

კოლექტივი და მისი დამახასიათებელი ნიშნები. კოლექტივი, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ადამიანთა სოციალურ ერთობას [2], მათს გაერთიანებას, რომელიც უ შ უ ა ლ ო ურთიერთობის შედეგად იქმნება. სადაც კოლექტივია — იქ ადამიანთა გარკვეული სიმრავლეც არის. მაგრამ ადამიანთა ყოველგვარი გაერთიანება კოლექტივს არ შეადგენს. ადამიანების გაერთიანება შეიძლება დროებითი ან, ამდენად, შემთხვევითიც იყოს, როგორც ეს ხდება, მაგალითად, ერთობლივი მგზავრობის დროს, სანახაობებზე ერთად დასწრების ან სხვა ანალოგიურ შემთხვევებში. ცხადია, ადამიანთა ამ გაერთიანებებსაც თავისი საფუძველი აქვს. მათი ერთად ყოფნის ფაქტი თავისთავად იმაზე მეტყველებს, რომ საერთო პირობა არსებობდა მათი გაერთიანებისათვის, მაგრამ ამგვარი ერთობა დროებითი, ეფემერული, გაერთიანებაში მყოფი მხარეებისათვის სრულიად შემთხვევითია, მისი არსებობა მხოლოდ კონკრეტულად შექმნილი — ეპიზოდური სიტუაციითაა შეპირობებული. მაშასადამე, ადამიანთა ყოველგვარი ერთობლიობა, მათი კრებადობა, თუნდაც იგი გარკვეულ საფუძველს ემყარებოდეს, კოლექტივს ჯერ კიდევ არ გვაძლევს. ზემოთქმულიდან გამომდინარე-

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1963 წ. გვ. 518.

[2] იხ. К н я з е в Б. В. Коллектив — ассоциация коммунистической формации. М., 1979; Р а т н и к о в В. П. Коллектив как социальная общность. М., 1978.

ობს, რომ განსაზღვრულ საფუძველზე ადამიანთა გაერთიანება კოლექტივის შექმნის ერთ-ერთი აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ნიშანია.

კოლექტივი ცალკეული ადამიანების გაერთიანების გზით წარმოსდგება, თუმცა მათი მექანიკური შენაკრები არ არის. იგი გაცილებით მეტია, ვიდრე მასში შემავალი ადამიანების ცალკე შესაძლებლობათა ჯამი. კოლექტივი გარკვეული თვისებრიობაა, რომელიც, ცხადია, რაოდენობრივ მხარესაც მოიცავს. აქ, ისევე როგორც ყველა სხვა შემთხვევაში, რაოდენობა თვისებრიობაში გადადის, თვისებრიობა კი რაოდენობრივად არის განმტკიცებული. ცხადია, განცალკევებული ადამიანები კოლექტივს ვერასოდეს ვერ შექმნიან. კოლექტივი მხოლოდ მათი გაერთიანებებით იქმნება. მაგრამ მას შემდეგ, რაც კოლექტივი ყალიბდება, მასში შემავალი ელემენტები ახალ სინთეზურ მთლიანობას ექვემდებარებიან, როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი თვალსაზრისით. კოლექტივის თითოეული წევრი არის მისი, როგორც მთლიანობის ორგანული ნაწილი.

კოლექტივის თითოეულ წევრს განსაკუთრებული ადგილი უკავია საზოგადოებრივი ფუნქციის შემსრულებლებს შორს, მისი მოქმედება მჭიდროდ არის დაკავშირებული ყველა დანარჩენის მოქმედებასთან და პირიქით. ასეთი ერთობის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, ადამიანები მხოლოდ მაშინ არიან შეკრულნი მთლიან კოლექტივად, როდესაც მათ საერთო საქმიანობა, საერთო ამოცანები, ერთიანი მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. ეს, რასაკვირველია, არ გამორიცხავს კოლექტივის თითოეული წევრის პირად ინტერესებს და ამოცანებს, ადამიანური მისწრაფებების ნაირნაირობას, რაც პიროვნების ინდივიდუალური თავისებურებებით, მისი სპეციფიკური მდგომარეობით აიხსნება. მაგრამ ის, ვინც კოლექტივის მთლიანობას ერწყმის, უწინარეს ყოვლისა, კოლექტივის ცხოვრებით ცხოვრობს, კოლექტივის საქმეს, აზრს და გრძნობას ინაწილებს. სხვანაირად შეუძლებელია ნამდვილი კოლექტივის არსებობა, ამ სიტყვის პირდაპირი და სრული მნიშვნელობით. თითოეული პიროვნების, როგორც კოლექტივის წევრის დამოუკიდებლობა შეფარდებითია, ვინაიდან პიროვნება მთლიანშია ჩართული, მთლიანი კი ცალკეულ ადამიანთა ორგანულ კავშირს განასახიერებს.

შრომით კოლექტივში შესვლითა და მასში მონაწილეობით პიროვნების მოქმედება კოლექტივის მოქმედების ნაწილად იქცევა, კოლექტივის საქმიანობა კი პიროვნების ადგილის განმსაზღვრელი, მისი საქმიანობის წარმმართველი ხდება.

ამასთან არის დაკავშირებული კოლექტივის კიდევ ერთი განმა-

სხვავებელი ნიშანი: ყოველი კოლექტივისათვის ნიშანდობლივია აგრეთვე შ ე დ ა რ ე ბ ი თ ი ს ი მ ყ ა რ ე, შ ე ფ ა რ დ ე ბ ი თ ი ს ტ ა ბ ი ლ უ რ ო ბ ა. ყოველ კოლექტივს დროში აქვს დასაწყისი. იგი იქმნება, იცვლება, ვითარდება. მაგრამ ის, რაც წარმოიშობა და ვითარდება, გარკვეული თავისთავადობის შემცველია. საერთო საქმე, საერთო მიზნები და ინტერესები კოლექტივის წევრებს ერთად ყოფნის და თანამშრომლობის, გამოცდილების დაგროვების, ურთიერთგაცვლის და გადაცემის მდგომარეობაში აყენებს. რასაკვირველია, კოლექტივი დინამიურიცაა, რამდენადაც ახალი წევრებით ივსება, ახალ ძალებს იწოვს, სწრაფადაც კი იზრდება, თუ ამას ობიექტური ვითარება მოითხოვს. ხდება პირიქითაც: ზოგი ტოვებს კოლექტივის რიგებს სხვადასხვა მიზეზების გამო, მაგრამ თავის ბირთვს კოლექტივი ყოველთვის ინარჩუნებს, ძველი და ახალი წევრების საქმიანობას ახამებს. კოლექტივის შემადგენლობის სტაბილურობას მისი წევრების საერთო საქმიანობისა და მიზნების სიმყარე განსაზღვრავს.

კოლექტივისათვის აუცილებელია არა მხოლოდ ადამიანთა შედარებით მყარი გაერთიანება გარკვეული საქმიანობისა და მიზნების საფუძველზე, არამედ მათი ურთიერთთანამშრომლობაც. რაკი კოლექტივის თითოეული წევრის საქმიანობა საერთო ინტერესებს ემორჩილება, ერთმანეთთან შემჭიდროება და ურთიერთმხარდაჭერა მათი წარმატების უზრუნველყოფის გარანტიაა.

მაშასადამე, კოლექტივის დამახასიათებელი თავისებურებაა აგრეთვე მ ხ ა რ დ ა ჭ ე რ ი ს ა და თ ა ნ ა მ შ რ ო მ ლ ო ბ ი ს ურ თ ი ე რ თ ო ბ ა ადამიანთა შორის.

სადაც არ არის ურთიერთთანამშრომლობა — არ არის კოლექტივიც. განსაზღვრული, მხოლოდ განსაზღვრული აზრით კოლექტივები არსებობენ ყოველ საზოგადოებაში[1] დაწყებული პირველყოფილი საზოგადოებიდან, სადაც ადამიანთა შორის სისხლისნათესაობრივი კავშირები იყო დამყარებული. წარმოება საზოგადოებრივი პროცესია და იგი ხორციელდება ყოველთვის და ყოველგვარ პირობებში გარკვეულ ჯგუფებად ადამიანთა გაერთიანებისა და მათი შეთანხმებული მოქმედების გზით. ამ თვალსაზრისით შეიძლება ითქვას, რომ ადამიანთა დაყოფა ცალკეულ შრომით, საწარმოო კოლექტივებად საზოგადოებისათვის ისევე აუცილებელია, როგორც თვით წარმოება. ადამიანთა გაერთიანება კოლექტივებად ბუნების ძალებზე ბატონობის და მაშასადამე, საზოგადოების არსებობისა და განვითარების მუდმივი პირობაა. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირობებში კოლექტივებს შო-

[1] А. С. Фриш. Коллектив. В кн.: Марксистско-ленинская теория исторического процесса. М., 1983, стр. 108.

რის განსხვავება არ არსებობდეს, რომ კოლექტივები გულგრილნი იყვნენ ეკონომიკური წყობილების, საკუთრების ფორმების, აგრეთვე ზედნაშენური ხასიათის მოვლენების მიმართ. სწორედ პირიქით, რა საფუძვლებსაც ესა თუ ის საზოგადოება ემყარება, მათში შემავალი კოლექტივებიც იმავე საფუძვლებითაა განსაზღვრული. ამიტომ სხვადასხვა საზოგადოების წიაღში არსებული კოლექტივები თავიანთი სოციალური ბუნებით ისევე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც თვით ეს საზოგადოებანი [1].

ადამიანები კაპიტალიზმის დროსაც არიან გაერთიანებულნი გარკვეულ ჯგუფებად. საზოგადოებრივი წარმოება, ბუნებრივია, იქაც შეუძლებელია სრულიად გარკვეული მიზნით ადამიანთა შეერთების გარეშე, მაგრამ ჭეშმარიტ კოლექტივებთან აქ ჯერ კიდევ არა გვაქვს საქმე. კაპიტალისტური საზოგადოების ანტაგონისტური წინააღმდეგობები, რომლებიც ყოველ კერძომესაკუთრულ საწარმოსა და დაწესებულებაში იჩენენ თავს, ნამდვილ კოლექტივებად ადამიანთა გაერთიანების შესაძლებლობას გამორიცხავენ. სადაც ჩაგვრისა და მორჩილების ურთიერთობა ბატონობს, სადაც ერთ მხარეზეა წარმოების საშუალებათა მესაკუთრე, ექსპლოატატორი, ხოლო მეორე მხარეზე ამ საშუალებებს მოკლებული, ექსპლოატირებული მშრომელი მასები, იქ ბაზა ნამდვილი კოლექტივების არსებობისათვის მოსპობილია, იქ ფომუშავეთა გაერთიანებას საქმიანობის მიხედვით შიგნიდან ღრღნის კლასობრივ-სოციალური წინააღმდეგობანი, უსამართლობა და უთანაბრობა.

განასხვავებდნენ რა ადამიანთა ჭეშმარიტ კოლექტიურ გაერთიანებას ანტაგონისტური კლასობრივი საზოგადოების კოლექტიურობისაგან, კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ:

„მოჩვენებითი კოლექტიურობა, რომელშიც აქამდე ინდივიდები ერთიანდებოდნენ, მუდამ უპირისპირდებოდა მათ რაღაც დამოუკიდებელის სახით; — და რადგან ეს კოლექტიურობა იყო გაერთიანება ერთი კლასისა მეორის წინააღმდეგ, ამიტომ დაქვემდებარებული კლასისათვის იგი წარმოადგენდა არა მარტო ილუზორულ კოლექტიურობას, არამედ ახალ ბორკილებსაც, ნამდვილი კოლექტიურობის პირობებში ინდივიდები თავიანთ ასოციაციაში და ამ უკანასკნელის მეშვეობით ამასთანავე თავისუფლებასაც აღწევენ“ [2]. ამასთან, მარქსი და ენგელსი ჰარმონიული ურთიერთობის დამყარებას პიროვნებასა, კოლექტივსა და საზოგადოებას შორის კაპიტალისტური საზოგადოების ძირეულ რევოლუციურ გარდაქმნას უკავშირებდნენ. პროლეტა-

---

[1] В. П. Ратников. Коллектив как социальная общность. М., 1978. стр. 34—35.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 71—72.

რებმა „უნდა მოსპონ თავიანთი საკუთარი არსებობის წინანდელი პირობები, რომელნიც იმავე დროს მთელი წინანდელი საზოგადოების არსებობის პირობებიცაა... მათ უნდა დაამხონ სახელმწიფო, რათა განახორციელონ თავიანთი თავი როგორც პიროვნებანი“ [1].

მხოლოდ სოციალიზმის დროს — თავისუფალ საზოგადოებაში — პიროვნებები და მათი კოლექტივები მშრომელთა ძმური კავშირებით შედუღაბებულ სოციალურ ფთლიანობად ერთიანდებიან [2].

ჭეშმარიტი კოლექტივები მხოლოდ იმ საზოგადოებაშია, რომელშიც ადამიანთა შრომითი გაერთიანება წარმოების საზოგადოებრივ ხასიათს, საკუთრების, განაწილების, გაცვლისა და მოხმარების საზოგადოებრივ ფორმებს შეესაბამება.

თუ წარმოების საზოგადოებრივი ხასიათი იმაში ვლინდება, რომ საარსებო საშუალებათა მოპოვება მხოლოდ და მხოლოდ ადამიანთა გაერთიანების, მათი ერთობლივი შრომის გზით უნდა განხორციელდეს, წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება ადამიანთა შორის თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობას მოითხოვს. ამიტომ კოლექტივები სოციალიზმის დროს თვისებრივად განსხვავდებიან ანტაგონისტურ საზოგადოებაში არსებული კოლექტივებისაგან, თუკი შესაძლებელია მათ საერთოდ კოლექტივები ეწოდოთ. ეს განსხვავება ძირითადში იმაში მდგომარეობს, რომ შრომის, წარმოების პროცესში სოციალიზმის დროს ადამიანები კოლექტივებად ყალიბდებიან წარმოების საშუალებათა სოციალისტური საკუთრების ბაზაზე. ადამიანთა გაერთიანება კოლექტივებად სახალხო მეურნეობის ყოველ დარგში არა მხოლოდ მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნის აუცილებლობით, არამედ საერთო ეკონომიკით, ერთიანი საზოგადოებრივი საკუთრებით არის შეპირობებული [3].

ამით აიხსნება ის, რომ სოციალიზმის დროს თვით კოლექტივებსაც საერთო მიზნები და ინტერესები ამოძრავებთ. სოციალიზმისათვის უცხოა საზოგადოების ეკონომიკური და იდეოლოგიური გათიშულობა. კაპიტალიზმის პირობებში კი კოლექტივების ერთიანი მიზნები და ინტერესები, საერთო იდეოლოგია არ არსებობს. მტრულ კლასებად გაორებულ საზოგადოებაში ადამიანთა იდეები და ინტერესები დიამეტრალურად უპირისპირდება ერთმანეთს.

სოციალისტური საზოგადოების ერთიანი ეკონომიკური და სოციალურ-კლასობრივი ბუნება საბჭოთა ადამიანებისა და კოლექტივე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 72.

[2] Бакшутов В. К. Теория социалистического коллектива. М., 1967.

[3] ამ საკითხზე იხ. «Социалистический производственный коллектив как категория политической экономии». М, 1971.

ბის საერთო იდეებს, მიზნებსა და ინტერესებს, ერთიან იდეოლოგიას, მათ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობას განაპირობებს.

როგორც ითქვა, ნამდვილი კოლექტივები მხოლოდ იქ იქმნება, სადაც კოლექტივის წევრები შედუღაბებული არიან ერთიანი იდეებით, მიზნებითა და ინტერესებით და რამდენადაც ამ ინტერესების დაკმაყოფილება თითოეულის მიერ საზოგადოებრივ შრომაში მიღებული მონაწილეობის მიხედვით ხდება, იმდენადვე საზოგადოებრივი და პირადული ერთმანეთს მოითხოვენ და ერთმანეთს განამტკიცებენ. ამიტომ სოციალიზმის დროს არა მარტო კოლექტივები, არამედ თვით ამ კოლექტივების წევრები, ახალი ადამიანები თვისებრივად ახალი ნიშნებით ხასიათდება.

კოლექტივებში, რომელთა ფუნქციონირება სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობის პირობებში ხდება — განუყოფლად ბატონობს ზნეობრივი პრინციპი — ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის. კოლექტივისა და მისი წევრების დიალექტიკურ ერთიანობაში გადამწყვეტი როლი კოლექტივს, ცალკეული ადამიანების გამაერთიანებელ ჯგუფებს ეკუთვნით.

კოლექტივისა და მისი წევრის — პიროვნების ურთიერთობა სოციალური განვითარების ზოგად კანონზომიერებას ემორჩილება, რაც იმაში მდგომარეობს, რომ საზოგადოება განსაზღვრავს პიროვნებას, შშრომელ მასებს ეკუთვნით გადამწყვეტი როლი ისტორიაში და არა ცალკეულ ადამიანებს. შრომითი კოლექტივის წევრის თვალით „პირველადი საზოგადოება" სწორედ შრომითი კოლექტივია, კოლექტივის ძალა — უმაღლესი ძალაა მისი თითოეული წევრისათვის, კოლექტივის ინტერესები უძირითადესი ინტერესებია შრომით საქმიანობაში შემჭიდროებული ადამიანებისათვის.

ადამიანთა კოლექტიური გაერთიანების ფორმები; შრომითი კოლექტივების განმსაზღვრელი როლი მათ შორის. საზოგადოება მოიცავს მის წევრებს შორის კავშირურთიერთობის დამყარების ამოუწურავ შესაძლებლობებს როგორც საწარმოო, ისე არასაწარმოო სფეროებში. სხვადასხვა ურთიერთობებსა და კონტაქტებში შესვლით კი ადამიანები კოლექტიური გაერთიანების განსხვავებულ ფორმებს ქმნიან.

ყოველი კოლექტივი გარკვეულ პირობებში მისი წევრებისათვის საერთო ნიადაგზე ყალიბდება. როდესაც ადამიანთა გაერთიანების საფუძველი განსაზღვრული შრომითი საქმიანობაა — ამ ბაზაზე იქმნება და ვითარდება შრომითი კოლექტივები — ადამიანთა გაერთიანების ყველაზე უარსებითესი ფორმა.

თუ ადამიანთა გაერთიანებას ნათესაობის პრინციპი უდევს საფუძვლად, მაშინ ამის შედეგია ნათესაური კოლექტივი, რომლის ბირთვს ოჯახი წარმოადგენს.

ადამიანები დასახლებული არიან გარკვეულ ტერიტორიაზე, ურთიერთობაში იმყოფებიან სხვა ადამიანებთან, როგორც მათი თანასოფლელები, თანამოქალაქეები და ა. შ. ტერიტორიული ერთობის მიხედვით ისინი იყოფიან გარკვეული რეგიონების მცხოვრებთა და მშრომელთა კოლექტივებად.

ადამიანები ერთიანდებიან აგრეთვე ორგანიზაციულ საფუძველზე, რის გამოც ამა თუ იმ ორგანიზაციის კოლექტივის წევრები არიან.

საზოგადოება იცნობს ადამიანთა კოლექტივების სხვა მრავალ ფორმასაც. რაკი ადამიანთა კოლექტივები კონკრეტულად მოცემულ პირობებში იქმნება, ბუნებრივია, რომ მათი გაერთიანების სხვადასხვა საფუძველი განსხვავებულ კოლექტივებს გვაძლევს. საზოგადოების ყველა წევრი კავშირთა მთელი სიმრავლითაა მიმართებაში სხვა ადამიანებთან; ამიტომ თითოეული პიროვნება ერთდროულად სხვადასხვა კოლექტივის წევრად გვევლინება. როგორც საწარმოო ძალა, იგი ამა თუ იმ შრომითს კოლექტივს მიეკუთვნება. ამავე დროს არის ოჯახის, ნათესაური კოლექტივის წევრი, მეგობართა გარკვეული კოლექტივის წევრი და ა. შ.

მართალია, საზოგადოების ყოველი წევრი ადამიანთა სხვადასხვა კოლექტივებში მონაწილეობს, მაგრამ ამ გაერთიანებათაგან ყველაზე ძირითადი შრომითი კოლექტივია. ადამიანთა გაერთიანება ტერიტორიულ, ყოფითს, მეგობრულ ან სხვა რაიმე საფუძველზე არ არის პირველადი და განმსაზღვრელი შრომითს გაერთიანებასთან შედარებით. ეს იმიტომ, რომ ყველა დანარჩენ შემთხვევაში ადამიანთა ერთობა სასიცოცხლოდ დამოკიდებულია თვით მთელი საზოგადოებისათვის არსებრივ, სიღრმისეულ ძალებზე — შრომითს, საწარმოო საქმიანობაზე.

საზოგადოებასა და კოლექტივს შორის არსებული დამოკიდებულება შეიძლება დავახასიათოთ აგრეთვე როგორც მთელისა და ნაწილის დამოკიდებულება. მთელი განსაზღვრავს ნაწილს, როგორც მის მომენტს, მისი თვისებრიობის გამოვლენით მხარეს. აქედან გამომდინარეობს მთელისა და ნაწილის ურთიერთდამოკიდებულების ერთ-ერთი, მეტად მნიშვნელოვანი კანონზომიერება — მთელის საფუძველი — ნაწილის საფუძველიცაა.

თუ საზოგადოებისა და კოლექტივის ურთიერთდამოკიდებულებას ამ კუთხიდან შევაფასებთ, ნათელი იქნება, რომ საზოგადოების არსებობისა და განვითარების განმსაზღვრელი ძალა ამავე დროს კოლექტივის არსებობისა და განვითარების ძირეულ საწყისსაც წარმოადგენს. ასეთი განმსაზღვრელი საფუძველია საზოგადოებისათვის მატერიალური წარმოება, შრომითი საქმიანობა. ისტორიული მატერიალიზმის დებულება, რომ შრომა არის საზოგადოების საყრდენი, მისი

შინაგანი ბაზა, საზოგადოებრივი განვითარების წყარო, — უცვლელ მნიშვნელობას ინარჩუნებს კოლექტივების მიმართ, ისევე როგორც კოლექტივებში შემავალი ადამიანების მიმართაც. კოლექტივად ადამიანთა შერწყმის ფუძე შრომაა. მართალია, ადამიანებს სხვა ნიშნითაც შეუძლიათ გაერთიანდნენ კოლექტივებად, რის შესახებაც ზემოთ ითქვა, მაგრამ ამ კოლექტივებს შორის შრომითი კოლექტივები მთავარი და განმსაზღვრელია.

ისევე როგორც ადამიანთა გაერთიანება მთელი საზოგადოების მასშტაბით მხოლოდ შრომითი საქმიანობის ნიადაგზეა შესაძლებელი, — ადამიანთა ყოველგვარი სხვა გაერთიანება უნდა განხორციელდეს და ხორციელდება კიდეც აუცილებელი პირველადი კავშირურთიერთობის — შრომითი საქმიანობის საშუალებით.

სწორედ შრომითს კოლექტივებში მონაწილეობის გზით დასტურდება ადამიანის საზოგადოებრივი არსება, კოლექტიური შრომის პროცესში ადამიანის ქმედითუნარიანობა საზოგადოებრივი არსებობისა და განვითარების განმსაზღვრელ ძალებს ერთვის და მათში მონაწილეობს. აქედან გამომდინარეობს ის გადამწყვეტი მნიშვნელობა, რომელიც შრომითს კოლექტივს ადამიანთა კოლექტიური გაერთიანების სხვა ფორმებთან შედარებით ენიჭება. შრომითი კოლექტივი — ადამიანთა კოლექტიური გაერთიანების უარსებითესი ფორმაა იმიტომ?. რომ იგი მატერიალურ და სულიერ ღირებულებათა შექმნის პროცესში საზოგადოების წევრთა ერთობლივი მონაწილეობის აუცილებლობით ყალიბდება.

თვით შრომითი კოლექტივებიც შეიძლება სხვადასხვა ნიშნით დახასიათდეს.

შრომითი კოლექტივები ემსგავსებიან ერთმანეთს ან განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კონკრეტული საქმიანობის, პროფესიული მიმართულების მიხედვით. შრომითი კოლექტივების საქმიანობის სხვადასხვაობა სახალხო მეურნეობის დარგების სხვადასხვაობითაა გამოწვეული. ამ ნიადაგზე იქმნება მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მეცნიერების, განათლების, კულტურისა და ა. შ. მუშაკთა კოლექტივები.

კოლექტივები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან სახალხო მეურნეობის დარგებით და საქმიანობის ხასიათითაც. შრომის დანაწილება, შრომის ცალკეული პროცესების გამოყოფა და თანაარსებობა საჭიროა არა მარტო დარგებს შორის, არამედ დარგებს შიგნით; მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობის და ა. შ. დარგებს შიგნით სულ უფრო და უფრო ღრმავდება შრომის სპეციალიზაცია, წარმოიშობა ადამიანის შრომითი საქმიანობის ახალ-ახალი სახეები.

ყოველი შრომითი კოლექტივი შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კანონზომიერებას ემორჩილება, რაც მთელ საზოგადოებაში

მოქმედებს. შრომით კოლექტივშიც აუცილებელია განსხვავებულ საქმიანობათა თანაარსებობა. კოლექტივის საერთო საქმე არ გაკეთდება შრომის განსხვავებული სახეების თანაარსებობის, შრომითი საქმიანობის ურთიერთგაცვლისა და ურთიერთშევსების გარეშე. ამიტომ ყოველი მსხვილი შრომითი კოლექტივი თავის მხრივ განსხვავებული შრომითი ფუნქციების მქონე პირველადი კოლექტივებისაგან შედგება.

ამ თვალსაზრისით, კოლექტივის საერთო საქმეში ადამიანთა მონაწილეობის დონის მიხედვით ისინი საერთო და პირველად შრომით კოლექტივებად არიან გაერთიანებულნი.

კოლექტივებს ერთმანეთისაგან განვასხვავებთ რიცხობრივი შემადგენლობის ნიშნითაც. ამ თვალსაზრისით, შესაძლებელია ვილაპარაკოთ დიდ ან პატარა, მცირე კოლექტივებზე. ამასთან კოლექტივის შემადგენლობის მცირერიცხოვნება ან მრავალრიცხოვნება სრულიადაც არ არის უმნიშვნელო მისი ცხოვრებისა და საქმიანობის მიმართ. კოლექტივის წინაშე მდგარი ამოცანების გადაწყვეტა მისი წევრების ერთობლივი ძალებით ხდება. ადამიანთა რაოდენობას, მათ განლაგებას საერთო საქმისათვის შრომასა და ბრძოლაში, ცხადია, დიდი, კერძო შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობაც კი ენიჭება.

ზოგჯერ კოლექტივის საქმიანობის ხასიათი დიდად არის დამოკიდებული მისი რაოდენობრივი ზრდის მდგომარეობაზე, რიცხობრივ განმტკიცებაზე და ა. შ. ამიტომ კოლექტივის რაოდენობრივი მხარე ყოველთვის კონკრეტულ მიდგომასა და ანალიზს საჭიროებს.

თუ ასაკობრივ მხარეს გავითვალისწინებთ, კოლექტივი შეიძლება აგრეთვე სხვადასხვაგვარი იყოს. იმისდა მიხედვით, თუ როგორია კოლექტივის წევრთა საშუალო ასაკი, შეიძლება ვიმსჯელოთ მასზე, როგორც ახალგაზრდულ თუ არაახალგაზრდულ კოლექტივზე; ამასთან, კოლექტივის ასაკობრივ მაჩვენებლებს, თაობათა ურთიერთობას ყოველ კოლექტივში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს, ვინაიდან ყოველი თაობის წარმომადგენლებს გარკვეული სპეციფიკა ახასიათებს, რაც მათ საქმიანობაშიც მეღავნდება. თითოეული თაობის წარმომადგენლებს მათი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე ცხოვრებისეული და შრომითი გამოცდილების შესაბამისად განსხვავებული წვლილი შეაქვთ კოლექტივის საერთო საქმეში. საჭიროა მემკვიდრეობითობისა და ახლის ჰარმონიული შეხამება, თაობათა ურთიერთობების სწორი რეგულირება.

მეტად მნიშვნელოვანია კოლექტივის დახასიათება ეროვნული შემადგენლობის ნიშნის მიხედვით. სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა გაერთიანება ძმურ შრომით კოლექტივებად — სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი მონაპოვარია. სო-

ციალიზმის პირობებში სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლებს საერთო მიზანი, საერთო ინტერესები აქვთ, მეგობრული ურთიერთობა და თანამშრომლობა აკავშირებთ[1]. კოლექტივის მრავალეროვნება მისი წევრების კულტურულ გათვითცნობიერებას და ურთიერთგამდიდრებას უწყობს ხელს. სოციალისტური ერების შემდგომი ეკონომიკური, პოლიტიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, კულტურული და სხვა სახის კავშირების განმტკიცების გზით კიდევ უფრო ვითარდება საბჭოთა ადამიანების ინტერნაციონალური გრძნობები.

არსებობს კოლექტივის ურთიერთგანმასხვავებელი სხვა ნიშნებიც. ყოველ შრომითს კოლექტივს აქვს თავისი „ინდივიდუალურობა", „მეობა", რაც მთელი რიგი ფაქტორებითაა შეპირობებული. შრომითი კოლექტივები იქმნებიან და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან საქმიანობის სახეობის მიხედვით. მაგრამ კოლექტივის „მეობას" მარტო საქმიანობის ხასიათი არ განსაზღვრავს, ვინაიდან ზოგჯერ ათეულ ათასობით შრომითი კოლექტივია ჩაბმული ერთიდაიგივე შრომით საქმიანობაში. თითოეული მათგანის თავისებურებები იმითაცაა გამოწვეული, რომ ისინი იმყოფებიან არაერთგვაროვან პირობებში, აქვთ სხვადასხვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საწარმოო-ტექნიკური აღჭურვილობა, შრომის მეცნიერული ორგანიზაციის დაყენების არათანაბარი დონე. შრომითი კოლექტივების ურთიერთგანსხვავებულობას კიდევ უფრო აღრმავებს მისი წევრების სოციალური შემადგენლობის თავისებურებანი, მომუშავე პერსონალის პროფესიული, ტექნიკური, ზოგადსაგანმანათლებლო მომზადების, კვალიფიკაციის, კულტურის არაიგივეობრივი დონეები. ყოველ შრომითს კოლექტივს აქვს საკუთარი ისტორია და ტრადიციები, ორგანიზაციული მუშაობის, პარტიული და სამეურნეო ადმინისტრაციული ხელმძღვანელობის სხვადასხვა გამოცდილება. მათი განსხვავება სხვა მრავალი მაჩვენებლითაც შეიძლება.

ამიტომ შეცდომა იქნებოდა მოგვეხდინა შრომითი კოლექტივების ეკონომიკური, საწარმოო-ტექნიკური და სოციალური განვითარების ნიველირება, მისი სპეციფიკური თავისებურებების უგულებელყოფა, შრომითი კოლექტივი სოციალური ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია და მასთან ერთად ფუნქციონირებს. ყოველ შრომითს კოლექტივს თავისი ცხოვრება აქვს, თითოეული მათგანის განვითარება თავისებურად მიმდინარეობს.

სოციალურ კოლექტივებს აერთიანებს საერთო საზოგადოებრივი

---

[1] Громов И. А. Этика взаимоотношений в трудовом коллективе. М., 1973.

საქმე, საერთო მიზნები, რასაც საზოგადოება ისახავს. თითოეულ მათგანს თავისი წვლილი შეაქვს სოციალური პროგრესის საერთო ამოცანების გადაწყვეტაში, მათს ერთობლივ მეცადინეობაზეა დამოკიდებული მთელი საზოგადოებრივი წინსვლა, მშრომელთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობის ამაღლება და სხვ. შრომითი კოლექტივები იმ საერთოსაც შეიცავენ, რომლებიც ერთიანი მთლიანის — საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველს შეადგენენ და ამის გამო თვით საზოგადოების წევრთა განვითარებასაც განსაზღვრავენ [1]. შრომით კოლექტივებს მთავარი ადგილი უკავიათ საზოგადოებაში ადამიანთა კოლექტიური - გაერთიანების სხვა ფორმებთან შედარებით.

სოციალისტური შრომითი კოლექტივი — სოციალისტური საზოგადოების ძირითადი უჯრედი — ყველა იმ მუშაკს აერთიანებს, რომლებიც ერთობლივად შრომობენ სახელმწიფო საზოგადოებრივ საწარმოში, ორგანიზაციაში, კოლმეურნეობასა და კოოპერაციულ ორგანიზაციაში [2]. ერთობლივი შრომა შრომით კოლექტივებში ამხანაგური თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების, სახელმწიფო, საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების ერთიანობის, კოლექტივის წინაშე თითოეულის პასუხისმგებლობის საფუძველზე ხორციელდება.

როგორც ეს შრომითი კოლექტივების შესახებ სსრ კავშირის კანონშია ფიქსირებული ისინი დიდმნიშვნელოვან ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ ფუნქციებს ასრულებენ.

ეკონომიკურ სფეროში მათ მინიჭებული აქვთ პერსპექტიული და მიმდინარე, აგრეთვე შემხვედრი გეგმების შემუშავების, კოლექტიურ ხელშეკრულებათა დადების უფლებამოსილებანი. მათი საზრუნავია სოციალისტური საკუთრების დაცვა-შენახვა და მატერიალური რესურსების რაციონალური გამოყენება, მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, შრომის ორგანიზაციის, ნორმირებისა და ანაზღაურების პროგრესული ფორმების დამკვიდრება, შრომის დისციპლინის უზრუნველყოფა და სხვ.

სოციალურ დარგში შრომითი კოლექტივები განსაზღვრავენ განვითარების პერსპექტივებს მშრომელთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების, კადრების მომზადების, მათი კვალიფიკაციის ამაღლების, კოლექტივის წევრთა კომუნისტური აღზრდის და მათი შრომითი აქტიურობის გაძლიერების და სხვა მიმართულებით, სახავენ და ახორციელებენ სოციალური განვითარების ქმედით ღონისძიებებს.

---

[1] Подмарков В. Г. Социалистический рабочий коллектив. М., 1978.
[2] შრომითი კოლექტივებისა და საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების მართვაში მათი როლის ამაღლების შესახებ. 1983, გვ. 7.

შრომითი კოლექტივების პოლიტიკური ფუნქციის არსია მშრომელთა ფართო და აქტიური ჩაბმა სამეურნეო და საზოგადოებრივი საქმეების მართვაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპების თანმიმდევრული გატარების გზით.

პიროვნების უკუგავლენა კოლექტივზე. სოციალისტური შრომითი კოლექტივისა და პიროვნების მიმართებას, ორი მხარე აქვს. ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო კოლექტივი კი არ არის გარკვეულ დამოკიდებულებაში პიროვნების მიმართ, არამედ პიროვნებაც, რა ადგილიც არ უნდა ეკავოს მას კოლექტივში, უკვე კოლექტივში ყოფნის გამო განსაზღვრულ მიმართებას ამყარებს მასთან. აქედან გამომდინარე, თუ ერთი მხრივ კოლექტივი კავშირშია და გავლენას ახდენს პიროვნებაზე, მეორე მხრივ პიროვნებაც დაკავშირებულია კოლექტივთან, ზემოქმედებს კოლექტივზე, მისი მოქმედების კვალს კოლექტივის საქმიანობა აღბეჭდავს[1]. კოლექტივისა და პიროვნების ურთიერთობა კოლექტივის გადამწყვეტი როლის გამო ცალმხრივი დამოკიდებულების ფორმით არ არსებობს. კოლექტივი და პიროვნება დიალექტიკურ კავშირში, ორგანულ ურთიერთმიმართებაში იმყოფებიან. ეს კავშირი უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანობაში მყოფი მხარეების კავშირი ურთიერთზემოქმედების მთელი მრავალფეროვნებით.

რაკი კოლექტივში ცალკეულ ადამიანთა შრომაა გაერთიანებული, მისი წინსვლა თითოეული მათგანის შრომითს აქტიურობასა და შეგნებულობაზეა დამოკიდებული. პიროვნება კოლექტივის განმსაზღვრელ ზეგავლენას განიცდის, მაგრამ თვითონაც ზემოქმედებას ახდენს კოლექტივზე, ხელს უწყობს კოლექტიური საქმის წარმატებას, ზოგჯერ შესაძლებელია აფერხებდეს კიდეც კოლექტივის საერთო საქმის წინმსვლელობას.

განსაკუთრებით დიდია ხელმძღვანელი მუშაკების, ორგანიზატორების როლი შრომითს კოლექტივებში.

ყოველ სოციალისტურ შრომითს კოლექტივში არიან ადამიანები, რომლებსაც მინდობილი აქვთ კოლექტივის გაძღოლის, მისი მართვის რთული და საპატიო საქმე. ესენი არიან საწარმოს, დაწესებულების, საამქროს, ბრიგადის და ა. შ. სამეურნეო-ადმინისტრაციული ხელმძღვანელები, პარტიული და კომკავშირული, პროფკავშირული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები, სხვადასხვა მმართველი თანამდებობის ადამიანები. ამ ადამიანთა საქმიანობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ ისინი სათავეში უდგანან მშრომელთა გარ-

---

[1] Иванов В. Г. Коллектив и личность. Л., 1971.

კვეულ ჯგუფებს, რის გამოც ხელმძღვანელი მუშაკების მოქმედებას იმთავითვე უშუალო და ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი აქვს. ეს ბუნებრივიცაა. შრომითი კოლექტივის ხელმძღვანელები მშრომელთა ნდობით სარგებლობენ. მათ უნდა დაიცვან და გაატარონ შრომითი კოლექტივის და მისი ცალკეული წევრების ინტერესები. მათი პიროვნების საქმიან, პოლიტიკურ, მორალურ თვისებებზე დიდად არის დამოკიდებული შრომითი კოლექტივების მიღწევები ან წარუმატებლობა. მათ მისაბაძ მოქალაქეობრივ თვისებებს, ორგანიზაციულ ნიჭს, დაკვირვებას, ანალიზისა დ. განზოგადების უნარს, ახლის გრძნობას, სწორ გადაწყვეტილებებს შეუძლია ის, რომ დააჩქაროს შრომითი კოლექტივის წინსვლა, დასახოს გზები არსებული სიძნელეებისა და ნაკლოვანებების დასაძლევად, აღაფრთოვანოს კოლექტივის წევრები ახალი შრომითი მიღწევებისათვის ბრძოლაში. მათი მაღალი პოლიტიკური სიმწიფე და იდეურობა მშრომელებში ახალი საზოგადოებისაკენ სწრაფვის იდეალებს აღვივებს, მათი ღირსეული ზნეობრივი სახე მშრომელებისათვის არის კომუნისტური ქცევისა და ყოფაცხოვრების ნიმუში.

ცხადია, კარგ მაგალითს შრომითს კოლექტივში შეიძლება იძლეოდნენ არა მარტო ხელმძღვანელი მუშაკები, საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, არამედ შრომითი კოლექტივის რიგითი წევრებიც.

შრომითი კოლექტივის წინსვლის საქმეში განსაკუთრებით დიდ როლს ასრულებენ წარმოების ნოვატორები, რომლებიც ახალ გზებს კაფავენ კოლექტივის შრომითს საქმიანობაში, მისაბაძი ხდებიან კოლექტივის სხვა წევრებისათვის, რაც საერთო აღმავლობის პირობად იქცევა.

შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების კეთილშობილური გრძნობის დანერგვას დიდად უწყობენ ხელს შრომითი კოლექტივების მოწინავეები, მათი საქმიანობა, მათ მიერ საგეგმო დავალებების და ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება შრომით ენთუზიაზმს და მოწინავეებისადმი გატოლების სურვილს ბადებს.

მოწინავეთა მრავალი მნიშვნელოვანი წამოწყება კანონზომიერად ვრცელდება შრომითი კოლექტივების ფარგლებს გარეთაც.

შემოქმედებითი შრომის ახალი მაძიებელი ძალა განსაკუთრებით სოციალისტური შეჯიბრების დროს ვლინდება. შრომითი მეტოქეობა კოლექტივებს იმისკენ უბიძგებს, რომ საერთო აღმავლობის მიზნით და მეგობრული ურთიერთობის ფარგლებში ოპტიმალურ შედეგებს მიაღწიონ, მონახონ გამოუყენებელი შესაძლებლობანი, გამოძებნონ და დანერგონ მუშაობის ახალი მეთოდები. სოციალისტური შრომითი

კოლექტივი დიდ როლს ასრულებს ახალი ადამიანის ფორმირების საქმეში. იგი პიროვნების სასიცოცხლო ძალებისა და უნარ-მიდრეკილებათა სრულყოფას, უწინარეს ყოვლისა, შრომით საქმიანობაში მისი აქტიური მონაწილეობით ახორციელებს.

VI თ ა ვ ი. პ ი რ ო ვ ნ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ს ა წ ა რ მ ო ო ს ა ფ უ ძ ვ ლ ე ბ ი

თვისებრივი სიახლე პიროვნების განვითარების საფუძვლების გაგებაში. ადამიანის საკითხმა საერთოდ, პიროვნების და მისი განვითარების საწარმოო-მატერიალური საფუძვლების საკითხმა კერძოდ, პროლეტარული იდეოლოგიის ფორმირების პროცესშივე მიიპყრო კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ყურადღება. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ახალი მოძღვრების მიხედვით „საზოგადოება ვერ განთავისუფლდება ისე, თუ თითოეული ცალკე ადამიანი არ განთავისუფლდა“ [1]. საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის პროცესი სისხლხორცეულად არის დაკავშირებული თვით ადამიანის გარდაქმნის პროცესთან. ამან კი თავისი გამოხატულება თეორიაშიც ჰპოვა.

კ. მარქსი და ფ. ენგელსი ჯერ კიდევ ადრინდელ შრომებში მიეიდნენ იმ დასკვნამდე, რომ ადამიანი საზოგადოებაში მოქმედი ობიექტური აუცილებლობითაა განპირობებული, რომ „ინდივიდი არის საზოგადოებრივი არსება. ამიტომ მისი ცხოვრების გამოვლინება... არის საზოგადოებრივი ცხოვრების გამოვლინება“ [2]. სტატიებში პრუსიის საცენზურო ინსტრუქციის, შეშის ქურდობის საწინააღმდეგო კანონის, ებრაელთა საკითხის შესახებ და სხვ. კ. მარქსი მტკიცე ბრძოლას უცხადებდა იმდროინდელ ხელისუფალთ პიროვნებისადმი დამოკიდებულების საკითხში დაკავებული ანტიჰუმანური პოზიციის გამო. იგი უტოპისტებისა და ანარქისტებისაგან განსხვავებით, რომლებიც პიროვნების განთავისუფლების საწყისებს მის იმანენტურ ბუნებაში ეძებდნენ, პრობლემას სრულიად ახალ პრინციპულ საფუძველზე აყენებდა: „რაკი დასაბუთებულია, რომ მოცემული მოვლენების ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს არსებული ურთიერთობანი წარმოშობენ“ საჭიროა „მოქმედ პიროვნებათა ნებისყოფაში საერთო ურთიერთობათა მძლავრი მოქმედება აღმოვაჩინოთ“ [3].

ამ თვალსაზრისის ლოგიკური გაგრძელება იყო. კ. მარქსის დებუ-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 352.
[2] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с. Из ранних произведений. 1956, стр. 594.
[3] К. М а р к с и Ф. Э н г е л ь с. Соч., т. I, стр. 193.

ლება იმის შესახებ, რომ პიროვნების შეცვლის აუცილებელი წანაშძღვარი თვით საზოგადოების, საზოგადოებრივ ურთიერთობათა გარდაქმნა და განახლებაა. „საზოგადოებრივ ურთიერთობებზეა დამოკიდებული თუ რამდენად შეუძლია ინდივიდს განვითარება“ [1]; „თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, გარემოებანი ადამიანური გავხადოთ, რათა თითოეულ ინდივიდს მიეცეს აუცილებელი საზოგადოებრივი ასპარეზი მისი სასიცოცხლო ძალების გამოსავლენად“ [2].

სწორედ ამიტომ მასობრივი მასშტაბით ადამიანთა შეცვლის მაგისტრალურ მიმართულებად, კ. მარქსმა თვით საზოგადოების, საზოგადოებრივი ურთიერთობების თვისებრივი შეცვლა დასახა. მან დაასაბუთა, რომ მშრომელი ადამიანის ხსნა საუკუნეობრივი ჩაგვრის, უუფლებობისა და გონებრივი სიბნელისაგან რეალობად იქცევა ამ სოციალურ მანკიერებათა მასაზრდოებელი წყაროს — კაპიტალიზმის მოსპობისა და მის ნანგრევებზე ახალი, კომუნისტური საზოგადოების აშენების შედეგად. მშრომელი კაცობრიობის ემანსიპაციის მისია უნდა შეასრულოს პროლეტარიატმა — ყველაზე პროგრესულმა და რევოლუციურმა კლასმა ისტორიაში. მან უნდა დაამხოს ექსპლოატატორთა ბატონობა ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის საფუძველზე. მოიპოვოს პოლიტიკური ძალაუფლება და შეჰქმნას ყველა საჭირო ეკონომიკური და სოციალური პირობა საზოგადოების წევრთა თავისუფალი განვითარებისათვის.

კ. მარქსმა უკვე მსოფლმხედველობრივი ფორმირების ადრინდელ საფეხურზე წამოაყენა კომუნისტურ საზოგადოებაში ადამიანის ყოველმხრივი განვითარების იდეა. მისი თვალსაზრისით სწორედ კომუნისტური საზოგადოება შექმნის „...მდიდარსა და ყოველმხრივს, ყველა მისი გრძნობებით და აღქმებით ღრმა ადამიანს“ [3].

ფ. ენგელსი თავის ნაშრომში „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“ (1845 წ.) კ. მარქსისაგან დამოუკიდებლად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შრომის კაპიტალისტური დანაწილება დამამონებელ ზეგავლენას ახდენს პიროვნებაზე; მან ამ ფაქტორის მოქმედებით ახსნა პიროვნების ცალმხრივი განვითარების მახინჯი ფორმები კაპიტალიზმის დროს. ამასთან პროლეტარიატი გამოაცხადა კლასად, რომელმაც საკუთარი თავი თვითონვე უნდა გაითავისუფლოს არსებული შეზღუდულობებისა და მანკიერებისაგან.

---

[1] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. 3, стр. 252.

[2] კ. მარქსი. კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ. 1971, გვ. 13—14.

[3] К. Маркс. Экономическо-философские рукописи. 1844 г. См. К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений. 1956, стр. 594.

კომუნიზმის დროს ადამიანთა ყოველმხრივი განვითარების კონცეფცია საფუძვლიანად არის არგუმენტირებული კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ერთობლივ ნაშრომში — „გერმანული იდეოლოგია“ (1845 წ.).

ამ ნაშრომში მკვეთრად არის გატარებული აზრი, რომ საზოგადოებრივი მასშტაბით ადამიანთა თავისუფალი და ყოველმხრივი განვითარების უპირველეს პირობას კაპიტალისტური წყობილების რევოლუციური შეცვლა წარმოადგენს „კომუნისტური შეგნების როგორც მასობრივი წარმოშობისათვის, ისე თვით მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია ადამიანთა მასობრივი შეცვლაც, რაც შესაძლებელია მხოლოდ პრაქტიკულ მოძრაობაში, რევოლუციაში“ [1].

კაპიტალიზმის დამხობის შემდეგ წარმოების გარდაქმნა კოლექტივისტურ საფუძველზე აქ პიროვნების სრული განვითარების ობიექტურ საფუძვლად არის მიჩნეული. კომუნისტურ საზოგადოებაში „არავინ არ არის შეზღუდული მოქმედების რაიმე განსაკუთრებული არეთი, არამედ თითოეულს შეუძლია ყოველ დარგში დახელოვნდეს“ [2]. „მხოლოდ კოლექტივში არსებობს ყოველი ინდივიდისათვის იმის საშუალება, რომ მან თავისი ნიჭი ყოველმხრივ განავითაროს [3].

ადამიანის ცალმხრივ განვითარებას იწვევს შრომის კაპიტალისტური დანაწილება, ე. ი. შრომის დანაწილება „წარმოების იარაღთა მასის“ „ტოტალური მითვისების“ პირობებში, ხოლო ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას — წარმოების საშუალებათა მითვისება „გაერთიანებული ინდივიდების“ მიერ.

კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ამ ნაწარმოებში ვხვდებით დებულებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მოსპობის აუცილებლობის შესახებ. ცხადია, ამ დებულების გაგება არ შეიძლება იმ აზრით, რომ კ. მარქსი და ფ. ენგელსი ყოველგვარი შრომის დანაწილების მოსპობის წინააღმდეგნი იყვნენ. ისინი ლაპარაკობდნენ შრომის ძველი, კაპიტალისტური დანაწილების ისტორიულ გარდამავლობაზე. ეს ნათლად ჩანს მათივე დებულებიდან: „ამასთან, შრომის დანაწილება და კერძო საკუთრება — ეს იდენტური გამოთქმებია: ერთ შემთხვევაში მოქმედების შესახებ ამბობენ იმავეს, რასაც მეორე შემთხვევაში მოქმედების პროდუქტის მიმართ იტყვიან“ [4].

კომუნისტური საზოგადოება პიროვნებას ათავისუფლებს ვიწრო პროფესიული მონობისაგან და მისი ნიჭის ყოველმხრივ განვითარე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 38.
[2] იქვე, გვ. 31.
[3] იქვე, გვ. 71.
[4] იქვე, გვ. 29.

ბას უზრუნველყოფს. სწორედ „საყოველთაო წარმოების მოწესრიგება საზოგადოების მიერ“ რეალური საფუძველია იმისათვის, რომ პიროვნებამ თავისი სურვილისამებრ შეძლოს შრომითი და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის მონაცვლეობა, სამუდამოდ გაითავისუფლოს თავი ცალმხრივი, იძულებითი პროფესიული ბორკილებისაგან.

„...კომუნისტური საზოგადოების ფარგლებში, — ერთადერთი საზოგადოებისა, რომელშიც ინდივიდთა თვითთარსი და თავისუფალი განვითარება არ არის უბრალო ფრაზა, — ეს განვითარება განპირობებულია სწორედ ინდივიდთა კავშირით, რომელიც მდგომარეობს ნაწილობრივ ეკონომიკურ წანამძღვრებში, ნაწილობრივ ყველას თავისუფალი განვითარების აუცილებელ სოლიდარობაში და ბოლოს, მოცემული საწარმოო ძალების საფუძველზე ინდივიდთა მოღვაწეობის უნივერსალურ ხასიათში“ [1].

შემდგომში კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა დააკონკრეტეს და განავითარეს ეს იდეა.

კერძოდ, „ფილოსოფიის სიღატაკეში“ კ. მარქსმა ყურადღება გაამახვილა უკვე პროგრესულ ტექნიკურ გარემოზე, რომელიც პროფესიულ დიფერენციაციას ვერ ულავსდება და ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას მოითხოვს. ავტომატური საწარმო ამის ტექნიკური პირობაა. „...შრომის დანაწილებას ავტომატურ ფაბრიკაში ახასიათებს ის, რომ იქ შრომას სრულიად დაკარგული აქვს სპეციალობის ხასიათი. მაგრამ იმ მომენტიდან, როდესაც ყოველგვარი სპეციალური განვითარება ჰქრება, საგრძნობი ხდება მოთხოვნილება უნივერსალობისა, მისწრაფება ინდივიდუმის ინტეგრალური განვითარებისადმი, ავტომატური ფაბრიკა სპობს სპეციალისტებსა და პროფესიულ იდიოტიზმს“[2]. კაპიტალიზმს არ ძალუძს პიროვნების ინტეგრალური განვითარების უზრუნველყოფა. წარმოების ეს ობიექტური მოთხოვნა საზოგადოებამ წარმოების კომუნისტური ორგანიზაციის საშუალებით უნდა დააკმაყოფილოს. ამ დებულებიდან აშკარაა, რომ კ. მარქსის შეხედულებები პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესახებ საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოების განმსაზღვრელი როლის აღიარებას ემყარება.

ამავე თვალსაზრისს ავითარებდა ფ. ენგელსი ნაშრომში „კომუნიზმის პრინციპები“ (1847 წ.). აქაც ყოველმხრივად განვითარებული ადამიანების ჩამოყალიბების აუცილებლობა საბოლოო ჯამში მატერიალურ-საწარმოო ფაქტორების მოქმედებით არის ახსნილი. „...ის

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი სახალხო განათლების შესახებ, 1942 წ., გვ. 31.
[2] კ. მარქსი, ფილოსოფიის სიღატაკე, გვ. 216.

მრეწველობა, რომლის გაძღოლა სრულდება ერთად და გეგმაზომიერად მთელი საზოგადოების მიერ, გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული ნიჭის პატრონ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი გაერკვნენ წარმოების მთელ სისტემაში“ [1].

ფ. ენგელსის მიხედვით ახალი ადამიანის ფორმირების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორებია: ა) წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია, სახალხო მეურნეობის გეგმაზომიერი განვითარება; ბ) შრომის ადრინდელი დანაწილების ლიკვიდაცია; გ) ახალგაზრდა თაობის საწარმოო აღზრდა; დ) შრომითი საქმიანობის მონაცვლეობა. ამასთანავე, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების, მისი საქმიანობის მონაცვლეობის იმედს ფ. ენგელსი მნიშვნელოვანწილად ახალგაზრდობის აღზრდაზე ამყარებდა.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების პრობლემას განსაკუთრებული ადგილი კ. მარქსის „კაპიტალში“ ეთმობა. ბურჟუაზიული საზოგადოებისა და მისი ეკონომიკური საფუძვლების ღრმა ანალიზის საფუძველზე, კ. მარქსი ფართოდ განიხილავს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების მატერიალურ წანამძღვრებს და ამასთან დაკავშირებით დიდმნიშვნელოვან დასკვნებს აყალიბებს:

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება პიროვნების განვითარების უმნიშვნელოვანესი მარეგულირებელი ეკონომიკური ბერკეტია. შრომის დანაწილება მანუფაქტურული წარმოების პირობებში პიროვნების ფიზიკურ და სულიერ დამახინჯებას იწვევს;

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კაპიტალიზმის დროს პიროვნებას მანქანის დანამატად აქცევს;

კაპიტალისტური წარმოების ტექნიკური ბაზა რევოლუციურია, რაც შრომის მონაცვლეობისა და მწარმოებლის სამუშაო ფუნქციების დენადობის შესაძლებლობას ქმნის. ეს გარემოება სამუშაო ძალის ცვალებადობას ედება საფუძვლად;

კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი ზღუდავენ შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედებას, რითაც ინდივიდის ცალმხრივი განვითარების ახალ ფორმებს ამკვიდრებენ;

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ კომუნისტურ საზოგადოებაში, სადაც საწარმოო ძალები და წარმოებითი ურთიერთობანი თვისებრივი სრულყოფის უმაღლეს დონეს მიაღწევს, ძირეულად შეიცვლება შრომის ხასიათი და ადამიანის საქმიანობაში შრომის მონაცვლეობა დამკვიდრდება.

„კაპიტალში“ წარმოჩენილია აგრეთვე მთელი რიგი სხვა მატერია-

---

[1] ფ. ენგელსი. კომუნიზმის პრინციპები, 1972, გვ. 22.

ლური, აგრეთვე სულიერი ფაქტორების როლი პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში.

დაუპირისპირდა რა დიურინგს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საკითხის გაგებაში, ფ. ენგელსმა დაიცვა და განავითარა კ. მარქსის „კაპიტალში" ფორმულირებული შეხედულებები ადამიანის ყოველმხრივი განვითარების საწარმოო საფუძვლების შესახებ. მან შრომის საზოგადოებრივი დანაწილების წარსულის, აწმყოსა და მომავლის გარკვევის ფონზე განსაზღვრა პიროვნების სრულყოფის მიმართულებანი, დაადგინა ორგანული კავშირი ახალი ადამიანის ფორმირებისა და გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირების მოსპობის პრობლემებს შორის.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საკითხი მრავალი ასპექტითაა გარკვეული ვ. ი. ლენინის შრომებში. ვ. ი. ლენინი პიროვნების ცალმხრივი და შეზღუდული განვითარების მიზეზად კაპიტალისტური წყობილებისათვის დამახასიათებელ შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას თვლიდა. მან რუსეთის ეკონომიკური ცხოვრების ანალიზის საფუძველზე ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომში — „კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში" — გამოიტანა დასკვნა, რომ „კაპიტალისტურ მანუფაქტურაში შრომის დანაწილება ამახინჯებს და ასახიჩრებს მუშას, აგრეთვე მედეტალე „შინამრეწველსაც". ჩნდებიან შრომის დანაწილების ვირტუოზები და ხეიბრები; პირველნი — როგორც იშვიათი ერთეულები... მეორენი — როგორც მასობრივი გაჩენა „შინამრეწველებისა", რომლებიც მკერდსუსტნი, უზომოდ განვითარებული ხელების მქონე, „ცალმხრივად კუზიანები" არიან და სხვ.[1].

ნაშრომებში — „სახელმწიფო და რევოლუცია", „მემარცხენეობის საყმაწვილო სენი კომუნიზმში" და სხვ. ვ. ი. ლენინი საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის ერთ-ერთ ძირითად შედეგად შრომის კაპიტალისტური დანაწილების მოსპობას და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას მიიჩნევდა.

ვ. ი. ლენინის დასკვნით კომუნიზმს მივყავართ „ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ ი და ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ მომზადებული ადამიანების აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც ყ ვ ე ლ ა ფ რ ი ს გ ა კ ე თ ე ბ ა ე ც ო დ ი ნ ებ ა თ[2].

ვ. ი. ლენინმა შეიმუშავა ახალგაზრდობის პოლიტექნიკური აღზრდის, სწავლისა და ნაყოფიერი შრომის შეერთების პრინციპები, დაასაბუთა მათი უდიდესი მნიშვნელობა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანების ფორმირებისათვის, წამოაყენა დებულება ტექნიკური პროგრესის მნიშვნელობის შესახებ ადამიანის შრომის ხასიათის

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 3. გვ. 506.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 42.

შეცვლაში, რაც თავის მხრივ პიროვნების განვითარების საწარმოო პირობაა. ამასთან ხაზს უსვამდა არა მხოლოდ ფიზიკური შრომის, არამედ აგრეთვე გონებრივი შრომის ხასიათის შეცვლის საჭიროებას თვით „მართვაჟამგეობის შრომის ორგანიზაციის დარგშიც“ [1] კი.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების თანახმად პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ობიექტური სოციალური აუცილებლობაა, რომელსაც ცენტრალური ადგილი უკავია კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის კანონზომიერებათა სისტემაში. იგი საზოგადოებრივი პროგრესის უმაღლეს დონეს გამოხატავს და შეესაბამება. მის ძალას საკაცობრიო განვითარების ისტორიული პრაქტიკა ადასტურებს.

მარქსისტული იდეოლოგიით დასახულ გზას მტკიცედ მიჰყვება კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი, სულ უფრო ფართოვდება სამყაროს რევოლუციური გარდაქმნისათვის შებრძოლი ხალხების რიგები. ეს გზა არა მარტო საზოგადოების, არამედ თვით ადამიანის გარდაქმნის გზაცაა. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, სოციალისტური რევოლუცია და წარმოების სოციალისტური ორგანიზაცია აუცილებელია საზოგადოების „ყველა წევრის სრული კეთილდღეობისა და თავისუფალი, ყოველმხრივი განვითარების უზრუნველსაყოფად“ [2].

მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის ეს გარდატეხა მთელი საზოგადოებისა და თვით ადამიანების განვითარებაში, რასაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციით მიეცა დასაწყისი, გამოხატულებას იმაშიც ჰპოვებს, რომ ჩამოყალიბდა ახალი, საბჭოთა ადამიანი — თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი, სოციალისტური საზოგადოების თავისუფალი და თანასწორუფლებიანი წევრი, პიროვნება, რომლის ფიზიკური და გონებრივი ძალების, ინდივიდუალური მიდრეკილებების განვითარება მუდმივად სრულყოფადი ობიექტური და სუბიექტური პირობებით არის განმტკიცებული.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ გაანეიტრალონ მარქსიზმის მიმზიდველობითი ძალა, მშრომელ ადამიანს დაუკარგონ იმის რწმენა, რომ მისი არსობრივი ძალების გამოვლენა და აყვავება საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნაზე, წარმოებისა და ცხოვრების სოციალისტურ ორგანიზაციაზეა დამოკიდებული [3]. იმის გამო, რომ ისტო-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 582.
[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6, გვ. 15.
[3] თანამედროვე ბურჟუაზიული ანთროპოლოგიის სხვადასხვა მიმართულების კრიტიკა იხ. შრომებში: ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები. ნაწ. II., 1971. ა. ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი. ადამიანის პრობლემა ედ. ჰასერლის ფენომენოლოგიაში; იქვე, რ. ბ ა ლ ა ნ ჩ ი ვ ა ძ ე, ადამიანის პრობლემა ჟან პოლ სარტრის ფილოსოფიაში. იქვე, გ. ც ი ნ ც ა ძ ე, ადამიანის პრობლემა პერსონალისტიკაში, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები. ნაწ. IV. 1977. ა. ბ რ ე გ ა ძ ე, მარქსიზმი და ეგზისტენციალიზმი გაუცხოების შესახებ და სხვ.

რიული მატერიალიზმი ადამიანის არსებისა და მომავლის პრობლემის გადაჭრას, საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და მათს რევოლუციურ გარდაქმნას უკავშირებს, ბურჟუაზიული ფილოსოფოსები და სოციოლოგები მთავარ ყურადღებას სწორედ ამ კავშირის უარყოფაზე ამახვილებენ. მაგალითად, ეგზისტენციალიზმის მიხედვით (მ. ჰაიდეგერი; კ. იასპერსი, ს. სარტრი, გ. მარსელი და სხვ.) ადამიანის არსება საზოგადოებრივი აუცილებლობით განუპირობებელ მისსავე ყოფიერებაში, ეგზისტენციაშია. პერსონალიზმი (რ. ფლუელინგი, ვ. ბრაიტშენი და სხვ.) პიროვნებას ყოფიერების სულიერ პირველ ელემენტად აცხადებს. ნეთომიზმის (ჟ. მარიტენი, ე. უილსონი, დე ფრიზი და სხვ.) თანახმად პიროვნების, როგორც თვითმოქმედი სულიერი სუბსტანციისა და სინამდვილესთან მისი მიმართების ობიექტურ საფუძვლად ღვთაებრივი ნებისყოფა გვევლინება.

ფრანკფურტის სკოლის სოციალური ფილოსოფიის წარმომადგენელთა (ე. ფრომი, ჰ. მარკუზე, თ. ადორნო და სხვ.) თვალსაზრისით ადამიანს მხოლოდ მასში მთვლემარე ირაციონალური ძალები და მისწრაფებანი განაგებენ, საზოგადოების, ტექნიკური ყოფიერების ზემოქმედება მხოლოდ უარყოფით შედეგებს იწვევს.

ამ სკოლის ერთ-ერთი წარმომადგენელი ფრომი თავის თავს დამსახურებად უთვლის ცალმხრივობათა დაძლევას ადამიანის არსების გაგებაში. მისი აზრით ვერც მარქსმა და ვერც მისმა მოწინააღმდეგეებმა ვერ შეძლეს ამ ცალმხრიობებისაგან თავის დაღწევა: კ. მარქსმა თითქოს ადამიანი მთლიანად საზოგადოებრივ აუცილებლობას დაუქვემდებარა, მასში საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობა იგულისხმება, მაშასადამე, პიროვნული საზოგადოებრივში გათქვიფა. ამით კი მისი ავტონომიური, თავისთავადი ბუნება უარყო.

რაც შეეხება ზ. ფროიდს, მან ადამიანი და მისი მოქმედება მხოლოდ შინაგან, ფსიქიკურ, არაცნობიერ ფაქტორებზე დაიყვანა.

ე. ფრომი გამოსავალს ამ ცალმხრივობათა მოხსნაში ხედავს. მისი თვალსაზრისით ადამიანის არსება მისგან დამოუკიდებელი და მასზე დამოკიდებული ძალების ერთიანობაში მეღავნდება. მაგრამ ორივე ძალა პიროვნებაშია. ადამიანის, როგორც ირაციონალური არსების ქცევა პიროვნებაში მთვლემარე, მაგრამ პიროვნებისაგან დამოუკიდებელი ინსტინქტური, ქვეცნობიერი მისწრაფებებითაა განსაზღვრული.

ამიტომ თუ მიზნად ადამიანის ბუნების გარდაქმნას ვისახავთ, ამისათვის პიროვნების საზღვრებიდან გასვლა, ე. ი. საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნა სრულიადაც არ არის საჭირო.

ადამიანის გარდაქმნის საჭიროება კი, ფრომის მიხედვით, ნამდვილად არსებობს: ტექნიკისა და მეცნიერების ზეგავლენით დაირღვა „წონასწორობა" ადამიანსა და ბუნებას შორის, ადამიანი უფრო

ძლავრად მოექცა გაუცხოების მარწუხებში, იგი მორალურად გადაგვარდა და ფსიქიკურად დაავადდა თანამედროვე საზოგადოებაში. ამიტომ თავი და თავი ადამიანის გარდაქმნაა, ხოლო საზოგადოების შეცვლა ამ გარდაქმნის შედეგი იქნება. ფრანკფურტის სოციალური ფილოსოფიის მეორე წარმომადგენელმა ჰ. მარკუზემ ამ პროცედურას „რევოლუცია რევოლუციამდე" უწოდა. „სოციალურ რევოლუციას წინ უნდა უძღოდეს რევოლუცია ადამიანში" [1]. ეს რევოლუცია ფრომისა და ფრანკფურტის სკოლის სხვა წარმომადგენლების მიხედვით განხორციელდება ფსიქოთერაპიული მეთოდების გამოყენების, ადამიანთა მორალური თვითგაწმენდის, მისი ბუნების სიღრმეში მოქმედი ირაციონალური ძალების მოწესრიგების გზით. ამით აღდგება ადამიანის ერთიანობა ბუნებასთან, დაკმაყოფილდება მისი ბუნებრივი მოთხოვნილებები და მისწრაფებები.

ფრომი და მისი თანამოაზრეები, რასაკვირველია, უარყოფენ სოციალისტურ რევოლუციას, რომელსაც ახდენს პროლეტარიატი სხვა მშრომელ მასებთან კავშირში საზოგადოებისა და მაშასადამე, საკუთრივ მშრომელი ადამიანის განთავისუფლების, მისი „გაუცხოების" ლიკვიდაციის მიზნით.

აღნიშნული თვალსაზრისის საწინააღმდეგოდ შემდეგი უნდა ითქვას:

ჯერ ერთი, არ არის სწორი თითქოს მარქსიზმი ადამიანის ავტონომიურობას და თავისთავადობას უარყოფდეს. კ. მარქსის მიერ ადამიანის ბუნების საზოგადოებრივ ურთიერთობათა ერთობლიობად წარმოსახვა ამის არგუმენტად არ გამოდგება. ადამიანი არ არის სოციალური მთლიანის პასიური ელემენტი. მართალია, იგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტია, მაგრამ მეორე მხრივ ეს ურთიერთობებიც ადამიანთა აქტიური ურთიერთქმედებით იქმნება. „როგორც თვით საზოგადოება ქმნის ადამიანს, ისე ადამიანი ქმნის საზოგადოებას" [2]. ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები მეტაფიზიკურად განიხილავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებსა და ადამიანს, წყვეტენ მათ ერთმანეთისაგან. სინამდვილეში საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლებიც ადამიანთა სოციალურ ბუნებას განსაზღვრავენ, არასოდეს მათი მისწრაფებების, მოთხოვნილებების, ინტერესებისაგან დამოუკიდებლად არ ყალიბდებიან, საზოგადოებრივ ცხოვრებას სწორედ ადამიანთა აქტიურობის შედეგად ეძლევა კონკრეტულ-ისტორიული სახე, მათივე აქტიურობის საშუალებით იცვლება თვით საზოგადოებრივი ურთიერთობანი. ეს დებულება წინააღმდეგობაში არ არის ისტორიულ კანონზომიერებასთან, რომლის მიხედ-

[1] Социальная философия франкфуртской школы. М., 1978. стр. 205.
[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Из ранних произведений, стр. 585.

ვით საზოგადოებრივი სინამდვილის შეცვლა ადამიანის ინტერესებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად — საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა განვითარების მოპოვებული დონით არის პირობადებული. საზოგადოება როგორც თვითრეგულირებადი სისტემა ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების ერთიანობას გულისხმობს.

მეორე, მეთოდოლოგიური თვალსაზრისით მცდარია ფრანკფურტის სკოლის სოციოლოგთა მოთხოვნაც, რომ ადამიანის გარდაქმნა საზოგადოების ტრანსფორმაციის გადამწყვეტი და თვითკმარი საშუალებაა. სინამდვილეში მთელის სტრუქტურული მთლიანობის გარდაქმნა მისი შემადგენელი ნაწილის შეცვლაზე არ არის დამოკიდებული. სოციალური გარდაქმნების გზა მიემართება არა ადამიანიდან საზოგადოებისაკენ, არამედ პირიქით, საზოგადოებიდან ადამიანისაკენ. საზოგადოებრივ ურთიერთობათა რევოლუციური შეცვლა მასობრივი მასშტაბით ადამიანთა გარდაქმნის განმსაზღვრელი პირობაა. და ბოლოს, ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლებს აგრეთვე არ შეუძლიათ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსისა და შედეგების სწორი გაგება: მათი აზრით საზოგადოების საწარმოო ძალებში მომხდარი ძვრები სრულიადაც არ არის დამოკიდებული სოციალურ წყობილებაზე, საზოგადოებრივ ურთიერთობათა ხასიათზე. ამიტომ, ადამიანის გაუცხოების, მისი ბუნებრივი მოთხოვნილებების შეზღუდვის, ბუნებასა და საზოგადოებას შორის წონასწორობის დარღვევას და ადამიანთან დაკავშირებულ სხვა პრობლემებს ისინი აბსტრაქტული ჰუმანიზმის პოზიციიდან უდგებიან.

არგუმენტები, რომლებსაც „მემარცხენე" რადიკალები იშველიებენ, საბოლოო ანგარიშით, რასაკვირველია, კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის უარსაყოფად არის გამიზნული. ასეთია ამ ფილოსოფოსთა შეხედულებების კლასობრივი არსი.

საზოგადოების, ადამიანის რაობის საკითხებზე სხვადასხვა პასუხს იძლევიან აგრეთვე ბურჟუაზიული ფილოსოფიური ანთროპოლოგიის წარმომადგენლები (მ. შელერი, ჰ. პლესნერი, ჰ. ლანდსბერგი და სხვ.). მაგრამ მათ შორის გარკვეული განსხვავების მიუხედავად, ბურჟუაზიული ფილოსოფოსებისა და სოციოლოგების კონცეფციებისათვის დამახასიათებელია საერთო ხაზი და საერთო მიზანდასახულება: უარყონ ისტორიული მატერიალიზმის ფუძემდებლური დებულება იმის შესახებ, რომ ადამიანის არსება და მისი მომავალი განვითარება საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, საზოგადოებრივ-წარმოებითი ფაქტორების ზემოქმედებაზეა დამოკიდებული.

ადამიანის განვითარების მარქსისტული თეორია საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოების განმსაზღვრელი როლის აღიარებას ემყარე-

ბა. ადამიანი თვით არის მთავარი მწარმოებელი ძალა, ხოლო საწარმოო ძალთა და წარმოებით ურთიერთობათა ხასიათი და განვითარება აუცილებელსა და არსებით უკუზეგავლენას ახდენს მასზე, რაც ყოველთვის კონკრეტულ-ისტორიულად დგინდება ცვალებადი კომპონენტების გათვალისწინების შედეგად.

შრომის ხასიათის ძირეული შეცვლა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საფუძველი. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას განაპირობებენ, ერთ-ერთი ძირითადის როლს შ რ ო მ ი ს ხ ა ს ი ა თ ი ს შეცვლა ასრულებს. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სოციალისტური წარმოებითი ურთიერთობისა და მათი სრულყოფის პირობებში არსებითად ცვლის შრომის ხასიათს, ხოლო ამ უკანასკნელის განმსაზღვრელი ზეგავლენით პიროვნება განვითარების ახალ საფეხურზე დგება.

ტერმინით — „შრომის ხასიათი“ სხვადასხვაგვარი შინაარსი მოიაზრება. მაგალითად, როცა შრომის ბუნებას ამა თუ იმ ნიშნის მიხედვით ვარკვევთ—მის კონკრეტულ ან აბსტრაქტულ, საზოგადოებრივ ან ინდივიდუალურ, გეგმიურ ან არაგეგმიურ ხასიათზე ვმსჯელობთ. როდესაც კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის შრომის ხასიათის განსხვავებას ვადგენთ — მივუთითებთ, რომ კაპიტალიზმის პირობებში შრომა იძულებითი და გაუცხოებულია. რომ კაპიტალიზმი გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირებას აღრმავებს, ამწვავებს ადამიანთა პროფესიული შეზღუდულობით გამოწვეულ წინააღმდეგობებს და ა. შ. ამის საწინააღმდეგოდ სოციალიზმის დროს შრომა არის თავისუფალი, საყოველთაო, უშუალოდ საზოგადოებრივი ბუნების, დამკვიდრებულია მეგობრული თანამშრომლობა გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებს შორის, დანერგილია ახლებური დამოკიდებულება შრომისადმი: მასობრივი სოციალისტური შეჯიბრება, მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის, რაციონალიზატორობა, გამომგონებლობა, გამოცდილების ურთიერთგაზიარება და სხვ. ეს ნიშნები ასახავენ თვისებრივ სოციალურ განსხვავებას შ რ ო მ ი ს ხ ა ს ი ა თ შ ი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს.

მაგრამ შრომის ხასიათზე უნდა ვილაპარაკოთ სხვა კუთხითაც, კერძოდ, შრომის ი მ ა ნ ე ნ ტ უ რ მ ო ც ე მ უ ლ ო ბ ა შ ი მომხდარი ცვლილებების მიხედვით, რაც მეტად არსებითია ადამიანის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისათვის. შრომის იმანენტურ მოცემულობაში მომხდარი ცვლილებები, ცხადია, უნდა განვასხვაოთ იმ ცვლილებებისაგან, რომლებიც მისდამი დამოკიდებულების სფეროში ხდება. სოციალიზმი ძირეულად ახალ ნიადაგზე აფუძნებს ადამიანის დამოკიდებულებას შრომისადმი, გეგმაზომიერად ქმნის საამისოდ საჭირო ობიექტურ პირობებს. მაგრამ შრომისადმი

ადამიანის დამოკიდებულების შეცვლის აუცილებელ წანამძღვარს თვით მიმართებაში მყოფი ორივე მხარის — შრომისა და ადამიანის ცვალებადობა წარმოადგენს. იცვლება შრომა, ასევე ადამიანი. ამ პირობებში კი ყალიბდება ადამიანის ახლებური დამოკიდებულება შრომისადმი. საბოლოო ჯამში თვით ადამიანის, როგორც ცოცხალი საწარმოო ძალის შეცვლის ძირები, უწინარეს ყოვლისა, შრომის იმანენტური ხასიათის ცვალებადობაში უნდა ვეძიოთ.

შრომა საზოგადოების არსებობისა და განვითარების საყოველთაო პირობაა. მაგრამ კაცობრიობის ისტორიული ცხოვრების განსხვავებულ სტადიებზე მისი ხასიათი და შინაარსი ერთი და იგივე არ არის. როგორც ადამიანის სამუშაო ძალის მიზანშეწონილი ხარჯვა — იგი, რასაკვირველია, წარმოების ფუნქციონირების მუდმივ საფუძველს შეადგენს, როგორც ამ ძალთა ხარჯვის წესი — ცვალებადი კატეგორიაა. შრომის ხასიათი სწორედ იმაზეა დამოკიდებული, თუ რა წესით ხდება ადამიანის მწარმოებლური უნარის გამოყენება. იგი სამუშაო ძალის ხარჯვის წესით განისაზღვრება.

მიუხედავად იმისა, თუ რა სახისა და სრულყოფის საშუალებებით გარდაქმნის ბუნებას, წარმოების სუბიექტი შრომის პროცესში საკუთარ იმანენტურ ძალებს ხარჯავს. ამ ძალების მწარმოებლური უნარის გამოყენება ორი მიმართულებით მიმდინარეობს: ფიზიკურად და გონებრივად. სუბსტანციური ბუნების მიხედვით ადამიანის შრომა არის მისი „საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ძალების თავისუფალი მოძრაობა“ [1]. ადამიანს „მოძრაობაში მოჰყავს თავისი სხეულის ბუნებრივი ძალები: მკლავები და ფეხები, თავი და ხელი, რათა ბუნების ნივთიერება საკუთარი არსებობისათვის გამოსადეგი ფორმით მიითვისოს“ [2]

შრომის ხასიათი ადამიანის მწარმოებლური უნარის გამოყენების მიმართულებას გამოხატავს. თუ იგი ისტორიულად არ არის სტაბილური — ეს იმით აიხსნება, რომ ორ ძირითად, თავისი არსით დინამიურ და ურთიერთქმედებაში მყოფ ფაქტორს — საწარმოო ძალებსა და მათს შესაბამის წარმოებით, საზოგადოებრივ ურთიერთობებს ემყარება. ეს ურთიერთობანი და შრომის ტექნიკური საფუძველი იცვლება და ვითარდება სხვადასხვა ისტორიულ ეპოქებსა და პირობებში. შრომის ხასიათიც ცვალებადობას განიცდის წ ა რ მ ო ე ბ ა შ ი მ ო მ ხ დ ა რ ი ცვლილებების კვალობაზე.

საწარმოო ძალთა განვითარების დღემდე არსებული დონის პირობებში შრომითი საქმიანობა უპირატესად ფიზიკური ენერგიისა და

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 228.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 227—228.

ანდა უპირატესად გონებრივი ძალების გამოყენების გზით წარმოებდა. იმისდა მიხედვით თუ რომელი ელემენტი იყო დომინანტური ადამიანთა შრომით საქმიანობაში — ისინი ობიექტურად გონებრივი და ფიზიკური შრომის მუშაკებად იყვნენ გათიშული. ისტორიულად ჩამოყალიბებული სოციალური პირობების გამო ფიზიკური შრომის მუშაკებს არ ეძლეოდათ გონებრივი განვითარების შესაძლებლობა, ხოლო გონებრივი შრომის მუშაკები ფიზიკურ განვითარებას იყვნენ მოკლებულნი. ამის შედეგად მოყვა ადამიანთა ცალმხრივი განვითარება საუკუნეთა განმავლობაში. ექსპლოატატორულმა საზოგადოებებმა ადამიანები ფიზიკურ ან გონებრივ შრომას მიაჯაჭვეს და ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკები ერთმანეთს დაუპირისპირეს.

სოციალიზმმა მოსპო ეს დაპირისპირება, ფიზიკურსა და გონებრივ შრომას თვისებრივად ახალი ეკონომიკური, სოციალური და მორალური ატმოსფერო შეუქმნა. მან ძირეულად შეცვალა საკუთრივ შრომის ხასიათი იმით, რომ ადამიანის საქმიანობაში განავითარა და დააახლოვა სასიცოცხლო მოქმედების ორივე საწყისი — ფიზიკური და გონებრივი. მიუხედავად ამისა არსებითი განსხვავება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის სოციალიზმის დროს დაძლეული არ არის.

ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არსებული ზღვარის წაშლა რთული და მრავალმხრივი პროცესია, რომელიც სხვადასხვა გზებითა და საშუალებებით ხდება უკვე ამჟამად, განვითარებადი სოციალიზმის ეტაპზე.

შრომის ხასიათის შეცვლის, ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არსებული განსხვავების თანდათანობითი შემცირებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეცნიერების გადაქცევას უშუალო საწარმოო ძალად, შრომითი პროცესების მექანიზაციას და ავტომატიზაციას, საწარმოო ძალთა განვითარების მზარდ დონეს. ამ პირობებში მატერიალური დოვლათი მანქანებისა და მათი სისტემების; კომბინირებული მექანიზმების, რთული ტექნიკური მოწყობილობების, იარაღებისა და მეთოდების გამოყენებით იქმნება. მოწინავე ტექნიკა მარტო საზოგადოებრივი სიმდიდრის მოპოვებისა და ზრდის საშუალებას არ წარმოადგენს. იგი, ამასთანავე არის უმნიშვნელოვანესი ობიექტური ფაქტორი, რომელიც მძლავრ ზეგავლენას ახდენს წარმოების მუშაზე, ფიზიკური და გონებრივი ძალების სრულყოფის მდგომარეობაში აყენებს მას.

მექანიზაცია და ავტომატიზაცია ერთმანეთისაგან განსხვავდებიან როგორც მანქანური წარმოების განვითარების საფეხურები. მათი შუალედური რგოლებია ნაწილობრივი და კომპლექსური მექანიზა-

ცია, ნაწილობრივი და კომპლექსური ავტომატიზაცია, სრული ავტომატიზაცია.

„ყოველი განვითარებული მანქანური მოწყობილობა შედგება სამი არსებითად სხვადასხვა ნაწილისაგან: მანქანა-ძრავისაგან, გადამცემი მექანიზმისაგან და, ბოლოს, მანქანა-იარაღისაგან ანუ სამუშაო მანქანისაგან. მანქანა-ძრავა მოქმედებს როგორც მთელი მექანიზმის მამოძრავებელი ძალა. იგი თვითონ წარმოშობს თავის საკუთარ ძრავ-ძალას... ანდა იმპულსს იღებს გარედან, ბუნების რომელიმე ძალისაგან... გადამცემი მექანიზმი... აწესრიგებს მოძრაობას, ცვლის სადაც ეს საჭიროა მის ფორმას... ანაწილებს მოძრაობას და გადააქვს იგი სამუშაო მანქანებზე. მექანიზმის ორივე ეს ნაწილი მხოლოდ იმიტომ არსებობს, რომ სამუშაო მანქანა მოძრაობაში მოიყვანოს, რის მეოხებითაც ეს უკანასკნელი შრომის საგანს ჩაიჭერს და მიზანშეწონილად შეცვლის მას“ [1].

მანქანური წარმოება იმის ობიექტურ შესაძლებლობას იძლევა, რომ ადამიანი განთავისუფლდეს მთელი რიგი სამუშაოებისაგან, რომლებიც ადრე უმანქანოდ, უპირატესად მისი კუნთოვანი ენერგიის გამოყენებით სრულდებოდა, მას მინიმუმამდე დაჰყავს ადამიანის მექანიკური ენერგიის ხარჯვის წილი თანამედროვე წარმოებაში. მსოფლიო მასშტაბით იგი გამოყენებული ერთობლივი ენერგიის ერთ პროცენტსაც არ შეადგენს..

ცხადია, მექანიზებული წარმოების დროს ადამიანი კვლავ მონაწილეობს საწარმოო პროცესებში, მაგრამ არსებითად უკვე მანქანების, მექანიზმებისა და მოწყობილობების მართვის ფუნქციას ასრულებს. უშუალოდ სამუშაო ოპერაციები კი მანქანების საშუალებით სრულდება.

დადგენილია მანქანური შრომის უპირატესობანი ადამიანის შრომასთან შედარებით [2], როცა იგი მანქანის გამოუყენებლად ხდება. მანქანა ამსუბუქებს ადამიანის შრომას, თავისუფლად ითავსებს ურთულეს ოპერაციებს, წინასწარ „ჩანერგილი“ თვისებების გამო ამჟღავნებს მოსალოდნელი შემთხვევისადმი ზუსტი რეაგირების „უნარს“, სწრაფად სტაბილურად და უშეცდომოდ ასრულებს მინდობილ დავალებებს. მისთვის უცნობია ადამიანური გადაღლა, „ყურადღების“ შესუსტება, დაბნეულობა და ა. შ. ამ მხრივ იგი გამარჯვებულია ადამიანის შესაძლებლობებთან შეჯიბრში.

ეკონომიკური თვალსაზრისით მთავარია ის, რომ მანქანური შრომა დიდად ამცირებს პროდუქტის დასამზადებლად საჭირო დროის

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 472.

[2] იხ. Пушкин В. Н. Згурский В. С. Человек и автомат. М., 1963, стр.6—7. Попов Е. П. Ющенко А. С. Роботы и человек. М., 1984.

დანახარჯებს, ზრდის შრომის ნაყოფიერებას და სხვ. მანქანურ შრომას სხვა მრავალი უპირატესობაც აქვს.

მანქანური წარმოების პირველ ეტაპზე ადამიანები მანქანების მართვას ახორციელებდნენ უპირატესად კუნთოვანი ძალის გამოყენებით.

შემდგომ, მეორე ეტაპზე, კუნთების ძალასთან შედარებით ადამიანს უფრო მეტად უხდება გონებრივი შრომის გამოყენება — „ტვინის ხარჯვა", რაც აუცილებელია საწარმოო პროცესის მართვისა და კონტროლისათვის.

მესამე ეტაპზე — ავტომატები და ავტომატური ნაკადური ხაზები საერთოდ არ მოითხოვენ ან მხოლოდ ნაწილობრივ საჭიროებენ ადამიანის უშუალო მონაწილეობას საწარმოო პროცესებში. ავტომატიზაციის პირობებში სამუშაო ციკლი ადამიანის ფიზიკური მონაწილეობის გარეშე სრულდება.

„როდესაც სამუშაო მანქანა ადამიანის დაუხმარებლად ასრულებს ყველა იმ მოძრაობას, რაც აუცილებელია ნედლი მასალის დასამუშავებლად, და მხოლოდ ადამიანის მხრივ კონტროლს საჭიროებს, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს მანქანების ავტომატურ სისტემასთან, რომელიც მაინც ატარებს დეტალებში მუდმივი გაუმჯობესების შესაძლებლობას"[1].

თუ მექანიზებული წარმოების დროს მანქანას ადამიანი მართავს, ავტომატური წარმოების მანქანის მართვის ფუნქციასაც უკვე სამართავი მოწყობილობა ასრულებს. ამით იხურება უკანასკნელი კარები ადამიანის უშუალო ფიზიკური მონაწილეობისათვის წარმოების პროცესში. ავტომატიზაციის დროს საწარმოო პროცესების მართვისა და რეგულირების ფუნქციები მანქანებსა და მოწყობილობებს გადაეცემათ, ადამიანს კი მათი მეთვალყურეობის ფუნქცია რჩება.

თვით ავტომატიზაციაც არ დგას ერთ დონეზე, მუდმივი ქმნადობის პროცესშია. თავდაპირველად იგი მექანიკურ კავშირებს ემყარებოდა, რაც შეესაბამებოდა გასული საუკუნის ტექნიკისა და მეცნიერების განვითარების დონეს. თანამედროვე პირობებში ავტომატიზაცია ელექტრული, მაგნიტური, პნევმატური, ჰიდრავლიკური და სხვა კავშირებით ფუნქციონირებს. ავტომატიზაციის სამსახურში ჩადგნენ მაღალგანვითარებული მეცნიერებანი: კიბერნეტიკა, ელექტრონიკა, რადიოტექნიკა, ჰიდრაელიკა და სხვ.

ელექტრული გამომთვლელი მანქანების გამოყენება დღეს ავტომატიზაციის ღერძია. აგრეგატებისა და დაზგების, ავტომატური ხაზე-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 483.

ბისა და მთელი ქარხნებისა და მათი სისტემების ავტომატური მუშაობა სწორედ გამოთვლითი ტექნიკის ბაზაზეა შესაძლებელი.

მექანიზაცია და ავტომატიზაცია, მათი სახეები შეიძლება დახასიათებულ იქნეს სამუშაო ოპერაციების შესრულების მოცულობის მიხედვითაც. როდესაც მანქანა ან მანქანათა ჯგუფი ნაწარმის გადამუშავებისა და პროდუქტის დამზადებისათვის საჭირო შრომითი ოპერაციების მხოლოდ გარკვეულ ნაწილს ასრულებს, — მაშინ ნაწილობრივ მექანიზაციასთან ანდა ნაწილობრივ არასრულ ავტომატიზაციასთან გვაქვს საქმე.

ნაწილობრივი მექანიზაცია და არასრული ავტომატიზაცია გადაიზრდება მანქანური წარმოების უფრო მაღალ ფორმებში, რომლებიც პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო თითქმის ყველა სამუშაო ოპერაციას აერთიანებენ. ეს უკვე კომპლექსური მექანიზაციისა და კომპლექსური ავტომატიზაციის საფეხურია.

მანქანური წარმოების უმაღლესი სტადია აღინიშნება სრული ავტომატიზაციით. ამ დროს ყველა საწარმოო ოპერაცია მანქანებით და მანქანური სისტემებით სრულდება. წარმოების განვითარების ეს დონე დამახასიათებელია ქარხანა-ავტომატებისათვის. მთელი უწყვეტი ტექნოლოგიური პროცესის შესრულება ნედლეულის მიღებიდან მზა პროდუქტის გამოშვებამდე მანქანურ სისტემებს ეკისრებათ.

წარმოების ტექნიკური აღჭურვილობისა და მისი ტექნოლოგიის დონის ცვალებადობა წარმოების პროცესში ადამიანის მონაწილეობის ხასიათს და მისი სამუშაო ფუნქციების სხვადასხვაობას განსაზღვრავს.

მანქანები და მათი სისტემები არ აუქმებენ მათდამი ადამიანის ფიზიკური შრომის მიმართვის აუცილებლობას. როდესაც მანქანის მართვა ადამიანის ფიზიკური ძალის გამოყენებით ხდება — ამ ვითარებას ნაწილობრივი ან კომპლექსური მექანიზებული წარმოება შეესაბამება.

როდესაც ადამიანი უპირატესად გონებრივი შრომით წარმართავს საწარმოო პროცესებს და კონტროლს უწევს მათ, მაშინ ავტომატიზებულ წარმოებასთან (ნაწილობრივ ან კომპლექსურ ავტომატიზაციასთან) გვაქვს საქმე.

ავტომატიზებული წარმოების შემდგომი განვითარება, კომპიუტერებისა და რობოტების ფართოდ გამოყენება კიდევ მეტად აამაღლებს გონებრივი შრომის როლს წარმოების პროცესში.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნიკური პროგრესი მხოლოდ კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის გზით არ წარიმართება. საზოგადოებრივი წარმოება ხორციელდება ტექნიკური პროგრესის სხვა მიმართულებებითაც, რომლებიც გამო-

რიცხავენ მექანიკურ დამუშავებას ანდა შეავსებენ მას, კერძოდ ისეთი მეთოდებით, როგორიცაა ქიმიური დამუშავება, ელექტროენერგიის ტექნოლოგიური გამოყენება, ელექტროქიმია, რადიოელექტრონიკა, ულტრაბგერა, ნახევარგამტარები და სხვ., გაუმჯობესდება ტექნოლოგიური პროცესები — ოპტიმალური ნედლეულისა და მასალების შერჩევა, გამოიძებნება მათი დამუშავების ყველაზე რაციონალური გზები.

ტექნოლოგიის სრულყოფა წარმოადგენს აგრეთვე ტექნიკური პროგრესის მნიშვნელოვან მხარეს.

თვისებრივი ცვლილებები ხდება ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალებში. ჩვენი ენერგეტიკის მომავალი — ეს არის, უწინარეს ყოვლისა, უახლესი ატომური რეაქტორების გამოყენება, ხოლო პერსპექტივაში — მართული თერმობირთვული სინთეზის პრობლემის გადაჭრაც. დღის წესრიგში დგას ისეთი ამოცანებიც, როგორიც არის წინასწარ გათვალისწინებული თვისებების მქონე მასალების მიღება, ბიოტექნოლოგიის განვითარება, მრეწველობაში უნარჩენო და ენერგოდამზოგველი ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება. ყოველივე ამას ნამდვილი რევოლუცია მოყვება ჩვენს სახალხო მეურნეობაში.

ეს რევოლუცია მთავარ საწარმოო ძალას — ადამიანს, მისი შრომის ხასიათს, ცხადია, ხელუხლებლად არ ტოვებს [1].

თანამედროვე პირობებში შრომის ხასიათის შეცვლის ძირითადი მიმართულებებია: ა) მძიმე ფიზიკური, ხოლო შემდეგ ყოველგვარი არაკვალიფიციური შრომის თანდათანობითი ლიკვიდაცია; ბ) ფიზიკური შრომის გადანაცვლება მანქანებისა და მოწყობილობების მართვისა და კონტროლის დარგში, მისი ინტელექტუალიზაცია; გ) მძიმე,

---

[1] შრომის ხასიათის ცვლილებებისა და მასთან დაკავშირებით ადამიანის განვითარების საკითხების შესახებ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში -ხ. შრომები: Волков Г Н. Человек и научно-техническая революция. М., 1979. Длугач Т. В. Человек в мире техники и техника в мире человека. М., 1978. Глазачев А. А., Молдаван В. С. Труд и всестороннее развитие личности. Ломов Б. Ф. Человек и техника. М., 1966. Марков Н. В. Социалистический труд и его будущее. М., 1976. Научно-техническая революция: анализ, перспективы, последствия. М., 1973. Мирзоян В. А. Научно-техническая революция и изменение содержания труда. Ереван. 1977. Петроченко П. Ф. Влияние научно-технического прогресса на содержание и организацию труда. М., 1975. Рогов И. М. Научно-техническая революция и развитие личности. Л., 1974. Суслов В. Я. Труд в условиях развитого социализма. М., 1976. Фомин В. А. Человек, труд, машина в условиях развитого социализма.Минск. 1976. Сб. Научно-техническая революция и человек. М., 1977. Социально-экономические вопросы труда в условиях развитого социализма. Казань. 1974. Чангли И. И. Труд. Социологические аспекты теории и методологии исследования. М., 1973. Сб. ст. Научно-техническая революция и личность. Л., 1982. Сб. ст. Человек и научно-технический прогресс в современную эпоху. Л., 1982.

მონოტონური, შემოქმედებითი აზროვნების გარეშე შესასრულებელი გონებრივი სამუშაოების ლიკვიდაცია; დ) გონებრივი და ფიზიკური შრომის ჰარმონიული გაერთიანება ადამიანის საწარმოო საქმიანობაში.

აქ ჩამოთვლილი მიმართულებანი შრომის ხასიათის ძირეულად შეცვლას გამოხატავენ. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი ერთმანეთთან, ერთობლივად ქმნიან საჭირო წანამძღვრებს ადამიანის ყოველმხრივი განვითარებისათვის.

მძიმე ფიზიკური, ხოლო შემდეგ ყოველი \ არაკვალიფიციური შრომის ლიკვიდაცია. როგორც აღინიშნა, სოციალიზმმა მოსპო ეკონომიკური საფუძვლები, რომლებსაც გონებრივი და ფიზიკური შრომის დაპირისპირება ემყარებოდა, აღმოფხვრა ინტერესთა პრინციპული წინააღმდეგობა ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანებს შორის, რაც მის დიდ უპირატესობათა რიცხვს მიეკუთვნება. ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანები ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა საზოგადოების ძმურ კოლექტივს შეადგენენ. ისინი ერთიანი მიზნებითა და ინტერესებით არიან გამსჭვალულნი, მათ შორის დამკვიდრებულია სასიცოცხლოდ აუცილებელი ურთიერთთანამშრომლობა, მაგრამ სოციალისტურ საზოგადოებაში ჯერ კიდევ არის გათიშვა მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონეების მიხედვით. მართალია, აქ მძლავრად მოქმედებს ფიზიკური შრომის გონებრივი შრომის სიმაღლეებისაკენ სვლის ტენდენცია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ხსნის მათ შორის არსებული ზღვარის წაშლის პრობლემას.

კომუნისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის პირველი ფაზის ფარგლებში მზადდება ობიექტური და სუბიექტური პირობები ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის არსებითი განსხვავების დაძლევისათვის.

ამ პროცესის ერთ-ერთი კანონზომიერი მიმართულებაა მძიმე ფიზიკური შრომის თანდათანობითი ლიკვიდაცია.

ხელით შრომის შეცვლა მანქანური შრომით არის ტექნიკური პროგრესის აუცილებელი მხარე და მსხვილი მანქანური ინდუსტრიის განვითარების პირობაც. „მანქანური შრომით ხელის შრომის შეცვლაში... მდგომარეობს ადამიანთა ტექნიკის მთელი პროგრესული მუშაობა. რაც უფრო მეტად ვითარდება ტექნიკა, მით უფრო მეტად იდევნება ადამიანის ხელით შრომა, იცვლება რა მთელი რიგი სულ უფრო და უფრო რთული მანქანებით: ქვეყნის საერთო წარმოებაში სულ უფრო მეტ ადგილს იჭერენ მანქანები და მათ გასაკეთებლად საჭირო საგნები“ [1]. ვ. ი. ლენინის ამ დებულებას განსაკუთრებული

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 111.

მნიშვნელობა აქვს სოციალიზმის პირობებში, როდესაც საზოგადოებრივი წარმოება ადამიანს, მის ყოველმხრივ და ჰარმონიულ განვითარებას ემსახურება. სოციალიზმის დროს შრომის ხასიათის შეცვლა, უწინარეს ყოვლისა, სწორედ მძიმე ფიზიკური შრომის ლიკვიდაციის გზით ხორციელდება. ეს ამოცანა წყდება კომპლექსური მექანიზაციის საშუალებით მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში. ადამიანის საწარმოო საქმიანობაში თანდათანობით მცირდება მძიმე ფიზიკური შრომის გამოყენების საჭიროება.

მძიმე ფიზიკური შრომის თანდათანობით ლიკვიდაციის კვალობაზე ფიზიკური შრომა მსუბუქდება, რაც აუცილებელი პირობაა შრომის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევისათვის.

რთული მანქანების, მექანიზმების და მოწყობილობების გამოყენება სახალხო მეურნეობაში ინდივიდუალური სამუშაო ძალის მომზადებას, მისი ტექნიკური ჩვევების სრულყოფას, კვალიფიკაციის ამაღლებას იწვევს. ტექნიკური პროგრესი ამით არაკვალიფიციურ შრომასაც აცლის საფუძველს.

ფიზიკური შრომის შემსუბუქებას, ცხადია, უაღრესად დიდი საწარმოო და სოციალური მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით იმის გამო, რომ იგი შრომის ამ სახეობის ინტელექტუალიზაციასთან არის დაკავშირებული. ფიზიკური შრომა სულ უფრო მეტად ინაცვლებს რთული მანქანებისა და მექანიზმების მართვისა და კონტროლის სფეროში, ხდება მისი ინტელექტუალიზაცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ფიზიკური შრომის მუშაკის საქმიანობა თავისი ხასიათით თანდათანობით ადის ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის საქმიანობის დონემდე.

იმ ადამიანების საქმიანობაში, რომლებიც ფიზიკურ მუშაობას ეწევიან თანდათანობით მცირდება უშუალო ფიზიკური შრომის წილი და იზრდება გონებრივი შრომის ხვედრითი წონა. ეს კანონზომიერება პიროვნების განვითარების მძლავრ ფაქტორად იჩენს თავს სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის ეტაპზე: მასობრივად მიმდინარეობს ფიზიკური შრომის ხასიათის გარდაქმნა ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და განმტკიცების გზით.

ფიზიკური შრომის თანდათანობით ინტელექტუალიზაცია უწინარესად ვლინდება სახალხო მეურნეობის იმ დარგებსა და საწარმოებში, რომლებიც უახლესი ტექნიკით არიან აღჭურვილნი.

მაგალითად, დგუშების დამამზადებელი საწარმოს ამწყობმა იცის ყველაფერი, რაც კი აგრეგატების მუშაობის გამართვასა, დგუშების დამუშავებასა და შემჩნეულ დაზიანებათა გამოსწორებასთან არის დაკავშირებული. ამ ამოცანების შესასრულებლად მას სჭირდება არა

მარტო ტექნიკისა და ტექნოლოგიური პროცესების საფუძვლიანი ცოდნა, არამედ ელექტრონული და ჰიდრავლიკური მართვის ჩვევების გამომუშავება.

თანამედროვე საწარმოების ხარატი ერკვევა მექანიკასა, ელექტრონიკასა, ჰიდრავლიკასა და სხვა დარგებში, სარგებლობს რთული გასაზომი ინსტრუმენტებით, კითხულობს ნახაზებს. აღსანიშნავია, რომ ადრე ხარატის პროფესია 20 სპეციალობად იყოფოდა.

ზეიკანლს, რომელიც ამწყობად მუშაობს ავტომატურ ხაზებზე, ელექტრონიკის, ჰიდრავლიკის, საკონტროლო საზომი ინსტრუმენტების აგებულების ცოდნა, ნახაზების კითხვა მოეთხოვება. სოფლის მეურნეობის მექანიზატორს ტრაქტორის, კომბაინის ან სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღის მართვის ჩვევებთან ერთად აგროტექნიკისა და წარმოების ეკონომიკის საფუძვლების ცოდნაც ესაჭიროება.

ამრიგად, ტექნიკური პროგრესი ფიზიკური შრომის ადამიანთა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდას, მათი პროფესიული და ზოგადსაგანმანათლებლო დიაპაზონის გაფართოებას იწვევს. „ავტომატიზაციას, საბოლოო ანგარიშით აქვს არაკვალიფიციური შრომის ყველა სახეობის, ყველა მონოტონური, შაბლონურად შესასრულებელი შრომითი პროცესების ლიკვიდაციისა და ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის სამუშაოებზე მუშათა დასაქმების ტენდენცია; ეს სამუშაოები მოხერხებულობასთან ერთად, ყოველ შემთხვევაში, ასეთივე ტონის შემოქმედებით აზროვნებას მოითხოვენ“ [1].

ამ დებულების ჭეშმარიტება სავსებით დასტურდება საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის პრაქტიკით სოციალისტური სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. სპეციალიზებულ საწარმოებში, სადაც ერთგვაროვან პროდუქციას უშვებენ და ამის გამო მექანიზაცია და ავტომატიზაცია უფრო სრულად არის დანერგილი, მკვეთრად იზრდება მუშათა ტექნიკური ცოდნა და განათლება, მცირდება ზღვარი მუშათა კლასსა და ინჟინერ-ტექნიკურ პერსონალს შორის კულტურულ-ტექნიკური დონის თვალსაზრისით.

სოციალიზმის თანდათანობითი სრულყოფის პერიოდში იცვლება ფიზიკური შრომის ხასიათი, ფიზიკური შრომის მუშაკების კულტურულ-ტექნიკური დონე კანონზომიერად და ფართო ფრონტით უახლოვდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კულტურულ-ტექნიკურ დონეს.

ამასთან, როგორიც უნდა იყოს წარმოების ტექნიკური საფუძველი, მეცნიერული ექსპერიმენტები, მათი მონაცემების ანალიზი და განზოგადება, წარმოების მომზადება, მომსახურება, რემონტი, ორ-

---

[1] С. Лилли. Автоматизация и социальный прогресс. М., 1958 г., стр. 151.

განისაცია და სხვ. გარკვეულწილად კვლავ დარჩება ადამიანის ფიზიკური შრომის ფართო ასპარეზად.

„უდიდესი შეცდომაა იმის მტკიცება, რომ წარმოების ავტომატიზაციასთან ერთად კომუნისტურ საზოგადოებაში გაქრება ფიზიკური შრომაც. რა თქმა უნდა, გიგანტური ტექნიკური პროგრესი განუზომლად შეამსუბუქებს ფიზიკურ შრომას, ბევრი პროფესია, რომელიც ქანცავს ადამიანს ქრება და გაქრება მომავალში. მაგრამ ადამიანის ჰარმონიული განვითარება წარმოუდგენელია, თუ არ არის ფიზიკური შრომა, შემოქმედებითი და სასიხარულო შრომა, რომელიც აკაჟებს ორგანიზმს, ადიდებს მის სასიცოცხლო ფუნქციებს“ [1].

ფიზიკური შრომა კი არ ისპობა, არამედ გონებრივი შრომის მიმართულებით მაღლდება, აღწევს ახალ, სინთეზურ გაერთიანებას გონებრივ შრომასთან. ეს ხელს უწყობს ახალი თანაფარდობის დამყარებას ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის პიროვნების საწარმოო საქმიანობაში.

მძიმე მონოტონური გონებრივი შრომის თანდათანობითი ლიკვიდაცია. გონებრივი შრომაც მოექცა ტექნიკური პროგრესის კეთილმყოფელი ზეგავლენის ორბიტაში, იცვლება აგრეთვე გონებრივი შრომის ხასიათი.

ადამიანის გონებრივი შრომა ინფორმაციების მიღების, დაკავშირების და გადამუშავების რთულ ოპერაციებს აერთიანებს. თანამედროვე ტექნიკური მოწყობილობანი საშუალებას იძლევიან, რომ ადამიანი განთავისუფლდეს ზოგიერთი მათგანის უშუალო შესრულებისაგან. ეს უპირატესად იმ აზროვნებით ოპერაციებს ეხება, რომლებიც ინფორმაციების მიღებას და გარდაქმნას გულისხმობენ გარკვეული, წინასწარ ცნობილი და განმეორებადი წესის მიხედვით. მძიმე მონოტონური აზროვნებითი ოპერაციების შესრულებისაგან ადამიანის განთავისუფლების ფუნქცია ახლა გამომთვლელ მანქანებს ეკისრებათ.

ისინი არანაკლები სიზუსტითა და ნაყოფიერებით იქცევიან ტვინის იარაღებად, ვიდრე მაშინ, როცა ისინი ადამიანის კიდურებს აგრძელებენ [2].

გამომთვლელი მანქანები იმავე ოპერაციებს ასრულებენ და იმავე კანონზომიერების მკაცრი დაცვით, რასაც მოაზროვნე ადამიანები აკე-

---

[1] ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და ჩვენს ქვეყანაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თეზისები. იხ. სახალხო განათლების ახალი სისტემა, დოკუმენტებისა და მასალების კრებული... თბილისი, 1961, გვ. 63.

[2] Я п Аусерхан. Автоматизация и общество. М., 1960. стр. 5.

თებენ. ამ თვალსაზრისით ისინი აზროვნების ანალოგიურად „აზროვნებენ", მაგრამ მათ მთელი რიგი უპირატესობანიც გააჩნიათ: ინფორმაციების წარმოუდგენლად დიდი სიმრავლის „შენახვის" უნარი, მაქსიმალური სიზუსტე ოპერაციებზე მუშაობის დროს, სისწრაფე და სხვ. მათი ფართოდ გამოყენება გონებრივი სამუშაოების შესრულების მიზნით საფუძველს გვაძლევს დავასკვნათ, რომ გონებრივი შრომის ხასიათში დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები მიმდინარეობს:

გონებრივი შრომა გარკვეულწილად თავისუფლდება ერთფეროვანი. მექანიკური, მოსაწყენი მძიმე აზროვნებითი სამუშაოებისაგან. ამგვარი შრომა „ტვინის ინტენსიურ ხარჯვას", ყურადღების დიდ კონცენტრაციას და ნერვულ დაძაბულობას მოითხოვს. იგი შეიძლება კვალიფიცირებულ იქნეს როგორც არაშემოქმედებითი, მძიმე გონებრივი შრომა. მომავალში საწარმოო პროგრესი თანამიმდევრულად კამოიწვევს გონებრივი შრომის ამ სახეობის ლიკვიდაციას.

გონებრივი შრომის სულ უფრო და უფრო დაკავშირება ელექტრო-გამომთვლელი და სხვა სახის ტექნიკასთან პიროვნების კულტურულ-ტექნიკური დონის განუხრელ ზრდას, რთული მანქანებისა და მოწყობილობების მართვის პრინციპების ცოდნას და მათი გამოყენების ჩვევების გამომუშავებას საჭიროებს.

თანამიმდევრულად გაიზრდება გონებრივი შრომის წილი მატერიალური წარმოების პროცესში, ინტელექტუალური შრომა საზოგადოებრივი სიმდიდრის ზრდის მთავარი წყარო იქნება [1].

მომავალში გონებრივი შრომის სამოქმედო უბანი არამც თუ შემცირდება არამედ კიდევ უფრო გაიზრდება ავტომატიზაციის განვითარებასთან დაკავშირებით და მის საფუძველზე. მანქანები ადამიანს გაათავისუფლებენ მხოლოდ ერთფეროვანი და მომქანცველი მექანიკური გონებრივი სამუშაოებიდან და საშუალებას მისცემენ ნიჭი და ენერგია წარმართოს ფართო შემოქმედებითი გონებრივი მოღვაწეობისაკენ. ამ სამუშაოთა მექანიზაციის შემდეგაც ადამიანის გონებას მრავალი საზრუნავი დარჩება, მათ შორის წარმოების მიზნების განსაზღვრა, წარმოების შეფასების კრიტერიუმების არჩევა, საკვლევაძიებო და სხვა პრობლემების გადაჭრა...

..იმ ავტომატების შექმნა, რომლებიც ყველა ჩვეულებრივ ოპერაციას და მოქმედებას ასრულებენ, რასაც ადამიანი ასრულებდა —

---

[1] საწარმოო ძალთა შემდგომი მძლავრი განვითარების შედეგად გონებრივი შრომის მასშტაბების, მისი როლის თვისებრივი შეცვლის შესახებ მეტად საყურადღებო მოსაზრებებია გამოთქმული გ. მ ა ლ ა შ ხ ი ა ს წიგნში „ავტომატიზაცია სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები". თბ., 1984. ავტორის აზრით შრომითი საქმიანობის ინტელექტუალიზაცია — „ადამიანის და შრომის განვითარების ძირითადი ხაზია" (იხ. დასახელებული ნაშრომი, გვ. 80).

სრულიადაც არ ნიშნავს, რომ გონება საჭირო აღარ არის ოპერატორისათვის. პირიქით, ადამიანის გონებრივი დაძაბულობა მართვის დროს მნიშვნელოვნად იზრდება. მართვის ავტომატური სისტემის ტექნიკური მომსახურება და მუშაობის კოორდინაცია აზროვნების სიცხადეს და ტექნიკურ ინტუიციას მოითხოვს. რეგულიატორებს აქვთ მხოლოდ ის თვისებები, რაც მათ ინჟინრებმა და მათემატიკოსებმა ჩაუნერგეს. ავტომატური სისტემების კონსტრუირება... უზარმაზარ დაძაბვას, გამომგონებლობასა და წარმოსახვას მოითხოვს"[1]. წარმოების სფეროს გარეთაც, მეცნიერების, ხელოვნების და სხვა დარგებში გონებრივი შრომა სასიცოცხლოდ აუცილებელ, შემოქმედების უშრეტ წყაროდ გადაიქცევა.

ამრიგად, ავტომატიზებული წარმოება კიდევ მეტად აამაღლებს გონებრივი შრომის ძალას, დაინტერესების, ძიების, შემოქმედების მასტიმულირებელი იქნება.

ფიზიკური და გონებრივი შრომის გაერთიანება პიროვნების საწარმოო საქმიანობაში. მომავლის ადამიანების შრომით მოღვაწეობაში ორგანულად შეერწყმება ერთმანეთს გონებრივი და ფიზიკური საქმიანობის ელემენტები. სოციალიზმის დროს მზადდება საამისოდ საჭირო წანამძღვრები: განუხრელად მაღლდება ფიზიკური შრომის ადამიანთა კულტურულ-ტექნიკური დონე, უშუალო მწარმოებელი გონებრივი მუშაკის მთელ რიგ ნიშან-თვისებებს იძენს. ასევე რთული მექანიზმებისა და მოწყობილობების პრაქტიკული გამოყენების ჩვევების გამოყენება, გარკვეული ფიზიკური მონაწილეობა საწარმოო ოპერაციების გაძღოლისა და შესრულების საქმეში დამახასიათებელი ხდება საინჟინრო-ტექნიკური, აგროტექნიკური, სამეცნიერო, სამედიცინო, პედაგოგიური და ინტელიგენციის სხვა პროფესიული ჯგუფების წარმომადგენლებისათვის. შრომით საქმიანობაში ფიზიკური და გონებრივი მხარეების დაახლოების პროცესი შემდგომში უფრო ფართოდ და მრავალფეროვანი ფორმებით გაიშლება[2]. მაგრამ იგი ნიშანდობლივია ამჟამადაც, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დასაქმებულნი არიან მაღალი განათლების, სათანადო პროფესიული მომზადებისა და კვალიფიკაციის გონებრივი და ფიზიზიკური შრომის მუშაკები. მათ საქმიანობაში ორივე — გონებრივი და ფიზიკური საწყისი მონაწილეობს. კ. მარქსის თქმით „...ყოველი შრომის უნარის მქონე მოზრდილი უნდა ემორჩილებოდეს ბუნების

---

[1] Автоматическое управление. М., 1961. стр. 82—83.

[2] „წარმოების ავტომატიზაციისა და მშრომელთა ზოგადსაგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებას წარმოებითი საქმიანობის ისეთი სახეობების დამკვიდრებისაკენ მიეყავართ, რომლებშიც გონებრივი და ფიზიკური შრომა ორგანულად ერთიანდება". Смирнов Г. П. Советский человек. 1980, стр. 358.

იმ საერთო კანონს, რომ მან უნდა იმუშაოს არა მარტო თავით, არამედ ხელებით"[1]. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ობიექტური მოთხოვნები მთლიანად შეესაბამება სოციალისტური საზოგადოების შინაგან ბუნებას, საზოგადოებისა, რომლის უმაღლეს მიზანს ადამიანი, მისი გონებრივი და ფიზიკური ძალების აყვავება და სრულყოფა წარმოადგენს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თავისებურებანი. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია გამოხატავს საწარმოო ძალების განვითარების თვისებრივად ახალ ეტაპს, მას განსაკუთრებით ფართო გასაქანი ეძლევა იმ უპირატესობათა ნიადაგზე რაც სოციალისტურ საზოგადოებას ახასიათებს. იგი მძლავრი ბერკეტია განვითარებადი სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაქმნელად. ამავე დროს მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს მთელი საზოგადოების მასშტაბით, ხელს უწყობს სოციალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა შემდგომ სრულყოფას, უდიდეს კეთილმყოფელ ზეგავლენას ახდენს თვით მთავარ საწარმოო ძალაზე — ადამიანზე, მისი შრომის ხასიათზე.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მრავალი ისეთი თავისებურებებით ხასიათდება, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ადამიანის განვითარების ძირითად მიმართულებათა განსაზღვრისათვის[2]. მათგან უმთავრესია წარმოებისა და მეცნიერების შეერთება. ტექნიკის განვითარება ყოველთვის იყო საზოგადოებრივი წარმოების ფუნქციონირების პირობა. საზოგადოება ყოველთვის მიისწრაფოდა იქითკენ, რომ განევითარებინა შრომის იარაღები და მოწყობილობანი, გამოეძებნა ბუნებაში წარმოებისათვის საჭირო ახალი მასალები, ენერგიის ხელსაყრელი წყაროები, სულ უფრო სრულყოფილი საშუალებებით დაეკმაყოფილებინა თავისი მატერიალური მოთხოვნილებანი. მაგრამ თანამედროვე ტექნიკური პროგრესი წინანდელისაგან იმით განსხვავდება, რომ იგი წარმოებაში მეცნიერების უახლეს მონაპოვართა სისტემატურ, სწრაფ და ფართო დანერგვას გულისხმობს. თუ წინათ პროგრესი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ტექნიკასა და მეცნიერებაში ცალ-ცალკე ხორციელდებოდა, ამჟამად ერთის განვითარება მეორის გარეშე და პირიქით შეუძლებელია. თანამედროვე ტექნიკური პროგრესი არსებითად მეცნიერული

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, სახალხო განათლების შესახებ. 1942, გვ. 96.

[2] Белов Л. М. Научно-техническая революция и развитие личности. Л., 1974. Волкоганов. Научно-технический прогресс и развитие личности. Епископов Г. Л. Социологические проблемы научно-технической революции. М., 1982. Марахов В. Г. Научно-техническая революция и ее социальные последствия. М., 1975. Парыгин Б. Д. Научно-техническая революция и личность. М. ,1978. Сб. ст. Современные изменения в науке и технике и их социальные последствия. М., 1978.

პროგრესიცაა ისევე, როგორც მეცნიერული პროგრესი განუყოფელია ტექნიკური პროგრესისაგან. ესაა ახალი თვისებრიობა — მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი, რომელიც მეცნიერებისა და ტექნიკის უმაღლეს განვითარებას ემყარება.

ამასთან არის დაკავშირებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მეორე არსებითი თავისებურება — მისი საყოველთაო ხასიათი. ამჟამად მეცნიერების შეერთება წარმოებასთან, მათი ორგანული კავშირი სახალხო მეურნეობის მხოლოდ რომელიმე ცალკეულ უბანს როდი მოიცავს. იგი კანონზომიერია საზოგადოებრივი შრომის ყველა სფეროსათვის, გლობალური ბუნებისაა. ადრე წარმოება, მისი ესა თუ ის კონკრეტული დარგი მეცნიერების ცალკეული მიღწევების დანერგვით იფარგლებოდა, მაგრამ ეს საკმარისი არ აღმოჩნდა ტექნიკური პროგრესის თანამედროვე ეტაპზე. ამჟამად მთელი წარმოების პროცესი და მისი მართვა მეცნიერების მიღწევებს განასახიერებს. თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მთელი წარმოების მაღალ მეცნიერულ-ტექნიკურ დონეს ემყარება. მეცნიერული კვლევა-ძიების მნიშვნელოვანი გაფართოება თვით მრეწველობაში, საკონსტრუქტორო ბიუროების, მძლავრი ექსპერიმენტული ბაზების შექმნა საწარმოებში, მეცნიერ მუშაკთა დიდი რაოდენობით მოზიდვა მრეწველობაში თანამედროვე წარმოების ნიშანდობლივი თვისებაა.

ასეთ პირობებში სწრაფად ვითარდება მეცნიერება და ამით უფრო მეტი შესაძლებლობა იქმნება ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის. მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად [1], მისი შეღწევა და გავრცელება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მძლავრი ხელშემწყობი ფაქტორია ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპების უზრუნველსაყოფად. განვითარების სწრაფი ტემპები აგრეთვე შეადგენს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთ მეტად არსებით თავისებურებას.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მიმდინარეობს მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებში და განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. მაგრამ კერძო კაპიტალისტურ საკუთრებაზე დაფუძნებული წარმოება და საზოგადოებრივი წყობილება, შრომასა და კაპიტალს შორის არსებული წინააღმდეგობა აფერხებს მეცნიერულ მიღწევათა საყოველთაო დანერგვას, გამორიცხავს მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების გამოყენებას მშრომელი ხალხის კეთილდღე-

---

[1] მეცნიერება, როგორც სოციალური მოვლენა, მისი ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად საფუძვლიანად არის გაანალიზებული ვ. გ ა გ ო ი ძ ი ს წიგნში „მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად". თბ., 1979. იხ. აგრეთვე: Сб. ст. Социальные проблемы науки. М. 1983.

ობისათვის. ამით არის განპირობებული მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის განვითარების დაბალი ტემპები კაპიტალისტურ ქვეყნებში.

ძირეულად საპირისპირო ვითარებაა სოციალისტურ საზოგადოებაში. აქ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნაყოფი მშრომელი ხალხის კუთვნილებაა. ამიტომ მეცნიერებისა და ტექნიკის სწრაფი განვითარებით მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის დაჩქარებულ განვითარებას თვით სოციალისტური საზოგადოების უპირატესობები განსაზღვრავს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ იგი საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ დონეს, კომპლექსურ მექანიზაციასა და ავტომატიზაციას, ტექნოლოგიის სრულყოფას ემყარება.

მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას მისი დამახასიათებელი თავისებურებებით უდიდესი მნიშვნელობა აქვს ადამიანის სასიცოცხლო ძალებისა და უნარ-მიდრეკილებათა განვითარებისათვის. მის ბაზაზე კიდევ უფრო იზრდება საზოგადოებაში მოქმედი ობიექტური და სუბიექტური ფაქტორების როლი ახალი ადამიანის ჩამოყალიბებაში.

რაკი თანამედროვე ეტაპზე ტექნიკური პროგრესი, წარმოების ურთულესი იარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა წარმოებისა და მეცნიერების შერწყმის გზით მიმდინარეობს, გასაგებია, რომ მას ადამიანთა მაღალი მეცნიერულ-ტექნიკური მომზადება უნდა შეესაბამებოდეს.

რაკი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის ზრდის პირობებში სახალხო მეურნეობის ყველა დარგს მოიცავს, ცხადია, სამუშაო ძალის, მუშაკის დახელოვნება, მისი საწარმოო ჩვევებისა და გამოცდილების სრულყოფა მთელი საზოგადოების მასშტაბით უნდა განხორციელდეს.

ამასთან რამდენადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სწრაფი ტემპით ხასიათდება, იმდენად თვით ახალი ადამიანის აღზრდაც არ შეიძლება სტიქიურად, თვითდინებით და უსისტემოდ წარიმართოს. საზოგადოებამ მუდმივად უნდა გამოიყენოს და სრულყოს სწრაფად ცვალებადი ტექნიკური პროგრესის შესაბამისი, ადამიანთა გეგმაზომიერი აღზრდის სისტემა, შექმნას მათი უნარ-მიდრეკილების ყოველმხრივი განვითარების ეფექტიანი სუბიექტური პირობები.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მშრომელი ადამიანის მეცნიერული და ტექნიკური მომზადების დონის ზრდის, მისი უნარისა და ნიჭის ყოველმხრივი განვითარების მატერიალური ბაზაა, უბიძგებს მას დაეუფლოს თანამედროვე მეცნიერების საფუძვლებს, გაერკვეს წარმოების ძირითად დარგებში და შესაბამისი ჩვევა-გამოცდილებით

შეიარაღდეს. ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდის ამოცანა, უპირველეს ყოვლისა, თვით თანამედროვე წარმოების ობიექტური მოთხოვნებიდან გამომდინარეობს.

ამრიგად, მეცნერულ-ტექნიკურ პროგრესს ადამიანის შრომის ხასიათში, მაშასადამე, საკუთრივ წარმოების სუბიექტშიც დიდმნიშვნელოვანი ცვლილებები შეაქვს. მაგრამ ეს ცვლილებები, რომლებიც მწარმოებელი ადამიანის გონებრივი და ფიზიკური ძალების ჰარმონიულ განვითარებას განაპირობებენ, მარტო საწარმოო ძალთა სფეროში მომხდარი თვისებრივი ძვრებით არ აიხსნება.

უდავოა, რომ მექანიზაცია და ავტომატიზაცია არ არის სოციალისტური საზოგადოების სპეციფიკური განსაზღვრულობა. საწარმოო პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია ისტორიულად კაპიტალიზმის დროს იღებს სათავეს და ამჟამადაც წარმოადგენს ტექნიკური პროგრესის ძირითად მიმართულებას კაპიტალისტურ საზოგადოებაში. მაგრამ, როგორც ადრეც აღინიშნა, თუ მექანიზაცია და ავტომატიზაცია სრულიად განსხვავებულ სოციალურ შედეგებს უკავშირდება კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებაში, ცხადია, რომ ეს მექანიზაციის და ავტომატიზაციის შინაგანი, ტექნიკური არსით მონიშებული კანონზომიერებებიდან არ გამომდინარეობს.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე იცვლება შრომის ხასიათი როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ მას ადამიანისათვის, მისი ფიზიკური და გონებრივი განვითარებისათვის დიამეტრალურად საწინააღმდეგო შედეგები მოყვება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული პოლარიზაციის მიზეზი საკუთრივ მექანიზაციის და ავტომატიზაციის ტექნიკურ ყოფიერებაში არ მოქმედებს.

ამის პირდაპირი მიზეზია ეკონომიკური წყობილება, წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა, რომელიც სრულიად სხვადასხვა სოციალურ პარამეტრებს უქმნის ტექნიკურ პროგრესს და მის ზეგავლენას ადამიანსა და მისი შრომის ხასიათზე სოციალიზმისა და კაპიტალიზმის დროს [1].

ეხებოდა რა მანქანური წარმოების თავისებურებებს კაპიტალისტურ საზოგადოებაში, კ. მარქსი აღნიშნავდა, რომ თავისთავად მანქანა შრომას აადვილებს, მისი კაპიტალისტური გამოყენება კი შრომის ინტენსივობას აძლიერებს; თავისთავად მანქანა სამუშაო დროს ამოკლებს, მისი კაპიტალისტური გამოყენება კი სამუშაო დღეს

---

[1] ლ. ობუხოვა სწორად აღნიშნავს, რომ „შრომის ხასიათი წარმოების წესის მთელი რეალური ფორმით განისაზღვრება... ეს არის წარმოებით ურთიერთობებთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია". იხ. Обухова Л. Е. Автоматизированное производство и человек. М., 1984. стр. 131.

აგრძელებს. თავისთავად იგი მოასწავებს ადამიანის გამარჯვებას ბუნებაზე, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება ბუნების ძალთა მეშვეობით ადამიანებს იმონებს, თავისთავად იგი ამრავლებს მწარმოებლის სიმდიდრეს, ხოლო მისი კაპიტალისტური გამოყენება მას აღატაკებს და ა. შ.

„ჩვენ ვხედავთ, რომ მანქანა, რომელსაც აქვს საკვირველი ძალა შეამციროს და უფრო ნაყოფიერი გახადოს ადამიანის შრომა, წარმოშობს შიმშილს და დაუძლურებას. სიმდიდრის ახლადგამოგონილი წყარონი, რაღაც საბედისწერო თილისმის მეოხებით, გაჭირვების წყაროებად იქცევიან. ტექნიკის გამარჯვებანი თითქოს მორალის დაკარგვის გზითაა მოპოვებული. იმ ზომით, რა ზომითაც კაცობრიობა ბუნების უფალი ხდება, ადამიანი თითქოს მეორე ადამიანის მონობაში ვარდება ანდა თავისი საკუთარი სისაძაგლის მონად იქცევა. მეცნიერების წმინდა სინათლეც კი, თითქოს ისე ვერ იბრწყინვალებს, თუ არ უვიცობის ბნელ გარემოცვაში“ [1].

ის რაც ითქმოდა ადრეული მანქანური წარმოების მიმართ გასული საუკუნის პირობებში მით უფრო დამახასიათებელია მექანიზაციის და ავტომატიზაციის გამოყენებისათვის თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ავტომატიზაციის სოციალური შედეგები საერთოდ და ინდივიდუალური მწარმოებლის მიმართ კერძოდ არ შეიძლება აბსტრაქტულად, იმ საზოგადოებრივი ურთიერთობის გაუთვალისწინებლად განვიხილოთ, რომელშიც საწარმოო ძალებს ფუნქციონირება და ცვალებადობა უხდებათ. ხოლო როცა უკანასკნელ მომენტს გავითვალისწინებთ, აღმოჩნდება, რომ ტექნიკურ პროგრესს სრულიად ურთიერთსაწინააღმდეგო სოციალური შედეგები მოსდევს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს.

ბურჟუაზიული სოციოლოგები, ეკონომისტები, მეცნიერები ცდილობენ ამ არსებითი მომენტის მიჩქმალვას, მათს კონცეფციებში გატარებულია ერთიანი აზრი, რომ ტექნიკური პროგრესი თითქოს უშუალოდ, წარმოებითი ურთიერთობებისაგან დამოუკიდებლად იწვევს საერთო შედეგებს როგორც კაპიტალისტურ, ისე სოციალისტურ ქვეყნებში, რომ შრომის ხასიათიც აგრეთვე ერთნაირად იცვლება სხვადასხვა სისტემის მქონე საზოგადოებებში. „სინამდვილეში, კაპიტალისტურ, ასევე სოციალისტურ ქვეყნებში ტექნიკური პროგრესის შედეგები, საბოლოო ანგარიშით, ერთი და იგივეა“ [2] (მ. რუსტანი).

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 620.

[2] В. Я. Ельмеев. Коммунизм и развитие человека как производительной силы общества. М., 1964, стр. 52.

კაპიტალიზმის დროს ტექნიკურ პროგრესსა და საზოგადოების ყველა წევრის შრომასა და კეთილდღეობას შორის პირდაპირი და უშუალო კავშირი არსებობს[1] (ჯ. ტომსონი).

კონვერგენციის თეორიის (ჯ. გელბრაიტი, უ. როსტოუ, ჟ. ფურასტიე, ი. ტინბერგი), „ინდუსტრიალური საზოგადოების" თეორეტიკოსების (რ. არონი, დ. ბელი და სხვ.) ფრანკფურტის სოციალური სკოლის წარმომადგენლების, ბურჟუაზიული საზოგადოების სხვადასხვა მიმართულების აპოლოგეტების აზრით, ტექნიკური პროგრესი გულგრილია სოციალური სისტემის მიმართ, კაპიტალიზმსა და სოციალიზმს არ შეუძლიათ თავიდან აიცილონ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით გამოწვეული საერთო შედეგები, რომლებიც ამ სისტემებს ერთმანეთთან აახლოებს და ერთგვაროვან ბუნებას ანიჭებს მათ.

გნოსეოლოგიური თვალსაზრისით აღნიშნული შეხედულებების საფუძველია იმ საერთო მომენტების გაზვიადება და გააბსოლუტება, რომლებიც მართლაც დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისათვის კაპიტალისტურ და სოციალისტურ საზოგადოებაში. ორივე სისტემის პირობებში მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ნიშანდობლივი თავისებურებებია: მეცნიერების შერწყმა ტექნიკასთან, მეცნიერების გადაქცევა უშუალო საწარმოო ძალად და მისი როლის ზრდა საზოგადოებაში. ორივე წყობილების დროს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ხორციელდება საერთო ძირითადი მიმართულებებით — კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ქიმიზაციის, ენერგიის ახალი წყაროების გამოყენების და სხვა გზებითა და საშუალებებით. ჩნდება წარმოების, საერთოდ, შრომითი საქმიანობის ახალი დარგები, იცვლება შრომითი საქმიანობის ადრინდელი ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზისი. ამის შესაბამისად ქრება ზოგიერთი ძველი პროფესია, მათ ადგილს თანამედროვე ტექნიკის შესაბამისი პროფესიები იკავებენ. ამავე მიზეზით ძლიერდება ფიზიკური შრომის ინტელექტუალიზაციის პროცესი, იზრდება სულიერი აგენტების წილი ადამიანის შრომით საქმიანობაში, ფართო გასაქანს იღებს საინჟინრო-ტექნიკური შრომა. ტექნიკური და ტექნოლოგიური სიახლეების დანერგვის შედეგად ორივე წყობილების დროს იზრდება შრომის ნაყოფიერება, რაც თავის მხრივ მატერიალური წარმოების სფეროში დასაქმებული მუშაკების რიცხვის შემცირებას იწვევს. შეიძლებოდა სხვა საერთო შედეგების დადგენაც, რაც დამახასიათებელია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისათვის როგორც კაპიტალიზმის, ისე სოციალიზმის პირობებში.

---

[1] Д. Томсон. Предвидимое будущее. М., 1958, стр. 148—152.

მაგრამ ჩამოთვლილი და მთელი რიგი სხვა საერთო ნიშნები არ გამოდგება არგუმენტად დასკვნისათვის, რომ თითქოს შრომის ხასიათი იდენტურია კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს.

ყველაფერი, რაც ზემოთ ითქვა გამოხატავს ცვლილებებს, რითაც აღინიშნება საწარმოო ძალთა განვითარების მდგომარეობა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის თანამედროვე ეტაპზე.

მართალია, საზოგადოების საწარმოო ძალების ძვრები არსებითად იმ მატერიალურ ბაზაშია მომხდარი, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით სოციალური შედეგები ემყარება, მაგრამ საკუთრივ სოციალური შედეგების ხასიათი და შინაარსი არსებითად წარმოებითი ურთიერთობების ბუნებით არის განსაზღვრული და მათი ახსნა მარტოოდენ საწარმოო ძალთა განვითარების დონით ცალმხრივი და ამდენად მიუღებელია. მაგალითად, ის გარემოება, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მეცნიერების როლის ზრდას იწვევს საზოგადოებაში, თავისთავად არაფერს გვეუბნება იმის შესახებ თუ ვის სამსახურშია ჩაყენებული მეცნიერების მონაპოვრები სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემებში. ეს უკანასკნელი კი დამოკიდებულია არა საკუთრივ საწარმოო ძალთა განვითარების დონეზე, არამედ წარმოებით ურთიერთობათა ხასიათზე, რომელიც სრულად განსხვავებულ პარამეტრებს უქმნის მეცნიერების მონაპოვრების გამოყენებას კაპიტალიზმისა და სოციალიზმის დროს.

ზრდის რა შრომისნაყოფიერებას და შესაბამისად კაპიტალისტის მოგებას, ავტომატიზაცია მშრომელთა დიდ მასებს სამუშაოსა და ხელფასისაგან ათავისუფლებს და უმუშევართა არმიის რიგებში ისვრის. წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრება თავისი არსით ეწინააღმდეგება იმას, რომ მუშათა კლასმა შეუზღუდავად გაკაფოს მისასვლელები როგორც მატერიალური დოვლათის შექმნის, ისე და მით უმეტეს მისი მოხმარებისაკენ. სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების ძალით კაპიტალიზმის დროს ავტომატიზაცია პიროვნებას მასობრივად უსპობს ინდივიდუალური ძალების გამოყენებისა და განვითარების შესაძლებლობას. „კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესი ნიშნავს პროგრესს ქანცის გამოცლის ხელოვნებაში“ [1]. უმუშევრობა, მუშათა დეკვალიფიკაცია, ინდივიდუალური მიდრეკილებების შეზღუდვა კაპიტალიზმის სოციალური თანამგზავრებია. მათი მიზეზი, როგორც აღინიშნა, თავისთავად მექანიზაცია და ავტომატიზაცია კი არ არის, არამედ კაპიტალიზმის საზოგადოებრივი ურთიერთობანი, მისი ეკონომი-

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 720.

კური წყობილება, რომელიც ტექნიკურ პროგრესს კაპიტალის ინტერესებს უმორჩილებს.

„მანქანების გამოყენებით შრომისნაყოფიერება მრავალჯერ იზრდება; მაგრამ კაპიტალისტი მთელ ამ სარფას მუშების წინააღმდეგ იყენებს: სარგებლობს რა იმით, რომ მანქანები ნაკლებ ფიზიკურ შრომას მოითხოვენ. იგი მანქანებზე ამუშავებს ქალებს და ბავშვებს, რომლებსაც ნაკლებ ხელფასს აძლევს. სარგებლობს რა იმით, რომ მანქანებს გაცილებით ნაკლები მუშა სჭირდება, იგი აუარებელ მუშას ერეკება ფაბრიკიდან და ამ უმუშევრობას იყენებს იმისათვის, რათა უფრო დაიმონოს მუშა, რათა გაადიდოს სამუშაო დღე, რათა წაართვას მუშას ღამის დასვენება და სხვ.“ [1].

ავტომატიზაცია კაპიტალიზმის პირობებში მადეფორმირებლად ზემოქმედებს მასობრივ ადამიანზე, როგორც მთავარ საწარმოო ძალაზე, ვინაიდან შრომის საშუალებას ართმევს მას. სწორი იყო ნ. ვინერი — კიბერნეტიკის ფუძემდებელი, როდესაც აღნიშნავდა: „სავსებით ნათელია, რომ ავტომატური მანქანების დანერგვა გამოიწვევს უმუშევრობას, რომელთანაც შედარებით წარმოების თანამედროვე დაცემა და თვით 30-იანი წლების კრიზისიც კი სასიამოვნო ხუმრობად მოგვეჩვენება“ [2]. ასეა ეს კაპიტალიზმის დროს.

სულ სხვა მდგომარეობაა სოციალიზმის დროს, როდესაც მექანიზებულ და ავტომატიზებულ წარმოებას საზოგადოებრივი ურთიერთობა მშრომელი ხალხის ინტერესების სამსახურში აყენებს. სოციალიზმის პირობებშიც, ცხადია, შრომისნაყოფიერების ზრდა და ცოცხალი შრომის ეკონომია მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ბუნებრივი შედეგია, მაგრამ იგი უმუშევრობას კი არ წარმოშობს. სახალხო მეურნეობის განვითარება გეგმიურ საწყისებზე სრულ შესაძლებლობას იძლევა საიმისოდ, რომ გატარდეს საჭირო ღონისძიებები გამოთავისუფლებული მუშახელის დასაქმების, მისი კვალიფიკაციის, კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლების მიზნით. პიროვნების შრომითი უფლებები სახელმწიფოებრივად გარანტირებულია.

სოციალისტური მეურნეობის განვითარების გეგმაზომიერი ხასიათი ტექნიკური პროგრესის საფუძველზე გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის დროული და რაციონალური განაწილებისა და გამოყენების გარანტიას ქმნის.

სოციალისტური მექანიზებული ავტომატიზებული წარმოების ერთ-ერთი დიდმნიშვნელოვანი სოციალური შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ იგი წარმოების მუშაკთა შრომის შემსუბუქების, შრომის

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 2, გვ. 110.

[2] ნ. ვ ი ნ ე რ ი, კიბერნეტიკა და საზოგადოება, 1961, გვ. 201.

პირობების გაუმჯობესების საშუალებად არის გამოყენებული. ვ. ი. ლენინი ეხებოდა რა ელექტრიფიკაციის გამოყენებას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, წერდა: „ყველა ფაბრიკისა და რკინიგზის ელექტრიფიკაცია შრომის პირობებს უფრო ჰიგიენურს გახდის, მილიონობით მუშებს ააშორებს კვამლს, მტვერს და ჭუჭყს, დაიჩქარებს ჭუჭყიანი საძაგელი სახელოსნოების გარდაქმნას სუფთა, ნათელ, ადამიანის საკადრის ლაბორატორიებად“ [1].

საწარმოო პროცესიდან მუშის უშუალო ფიზიკური მონაწილეობის გამოთიშვით, დისტანციური მართვის სისტემების განვითარებით, ტექნიკის უსაფრთხოების საშუალებათა დანერგვით და სხვა გზებით — ავტომატიზაცია სოციალიზმის დროს შრომის საუკეთესო პირობებში აყენებს წარმოების მუშაკს, ამსუბუქებს მის შრომას.

სოციალიზმის დროს მექანიზაცია და ავტომატიზაცია პირველ რიგში იმ უბნებზე ვრცელდება, სადაც საწარმოო პროცესების შესრულება ადამიანისათვის მძიმე, უსიამოვნო და საზიანოა. ამ მიმართულებით მჟღავნდება სოციალისტური წყობილების უპირატესობა — მანქანური წარმოების ჩაყენება მშრომელი ხალხის სამსახურში, ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. სოციალისტური წყობილების უპირატესობაა მანქანური წარმოების ჩაყენება მშრომელი ხალხის სამსახურში, ზრუნვა ადამიანისათვის, მისი კეთილდღეობისათვის. სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის პერიოდში ეს ტენდენცია უფრო სრული სახით ვლინდება.

სოციალიზმის დროს ტექნიკური პროგრესი იწვევს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდას, რომელიც გამოხატულებას ჰპოვებს ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკური, პროფესიული მომზადების დონის ამაღლებაში, ესთეტიკურ სრულყოფასა და სხვა მნიშვნელოვან კულტურულ მაჩვენებლებში.

აქ ტექნიკურ პროგრესსა და მწარმოებელთა განათლებისა და კულტურის დონეს შორის დიალექტიკური ურთიერთმოქმედებაა: ტექნიკური პროგრესის ძალით სულ უფრო მაღლდება მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონე. მაგრამ ეს უკანასკნელიც აქტიურ უკუგავლენას ახდენს ტექნიკურ პროგრესზე, აჩქარებს მას, ზრდის მის როლს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში.

მომავალი საწარმოო პროგრესი კიდევ მეტად შეცვლის შრომის ხასიათს, ე. ი. უფრო და უფრო დააახლოებს ფიზიკურ და გონებრივ შრომას ადამიანის საწარმოო საქმიანობაში. შრომის ხასიათის თვისებრივი შეცვლა არსებითად პიროვნების გონებრივი და ფიზიკური საქმიანობის შერწყმას ნიშნავს, იგი მაღალგანვითარებული საწარმოო

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 19, გვ. 49—50.

ძალების, უმაღლესი ტექნიკური პროგრესის ბაზაზე ხორციელდება. ეს დონე შრომის ხასიათისა და მაშასადამე, თვით მშრომელი ადამიანის განვითარებაში, თავის მხრივ შრომითი და საზოგადოებრივი ფუნქციების მონაცვლეობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

შრომის ხასიათის ძირეული შეცვლა პიროვნების გონებრივი და ფიზიკური ძალებისა და მიდრეკილებების მრავალმხრივი განვითარების საწარმოო-მატერიალური პირობაა, რასაც შრომითი საქმიანობის მონაცვლეობა განამტკიცებს.

შრომის მონაცვლეობის კანონის როლი პიროვნების განვითარებაში. პიროვნების ყოველმხრივი განვითარება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედებაზე. იგი ადამიანს ისეთ პირობებში აყენებს, როდესაც ვიწრო პროფესიული საზღვრების გადალახვა, სამუშაო ფუნქციების შეთავსება სხვა საზოგადოებრივ ფუნქციებთან ობიექტურად აუცილებელი ხდება[1].

კ. მარქსის განმარტებით შრომის მონაცვლეობა არის „საზოგადოებრივი წარმოების საყოველთაო კანონი"[2]. მას არსებითი ცვლილებები შეაქვს ადამიანის სასიცოცხლო ძალების სრულყოფასა და განვითარებაში. ფ. ენგელსი „მოქმედების ცვლას"[3] პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთ ძირითად გზად და საშუალებად სახავდა. ვ. ი. ლენინს მანქანური ინდუსტრიის უმნიშვნელოვანეს პროგრესულ შედეგად მიაჩნდა ის, რომ იგი „...შრომის მანუფაქტურულ დანაწილებას ანგრევს, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ს ხდის მუშების გადასვლას ე რ თ ი ს ა მ უ შ ა ო დ ა ნ მ ე ო რ ე ზ ე"[4] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ბუნების ნივთიერებას ადამიანისათვის სასარგებლო სახე რომ მიეცეს დამუშავების და გადამუშავების მთელი ციკლია საჭირო. შრომის პროდუქტის წარმოების პროცესი მრავალ მომენტს მოიცავს, რომელთაგან თითოეული აუცილებელი, ყველა ერთად კი საკმარისია მის დასამზადებლად. პროდუქტის წარმოებისათვის საჭირო შრომითი

---

[1] ის გარემოება, რომ შრომითი საქმიანობის მონაცვლეობა დადებით ზეგავლენას ახდენს ადამიანის განვითარებაზე — ჯერ კიდევ უტოპიური სოციალისტებისათვის იყო ცნობილი. მაგალითად, შ. ფ ურ ი ე ს თანახმად ინდივიდის ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის ცვლა კომუნისტური საზოგადოების ადამიანის თავისებურებაა და იგი მის ფიზიკურ და სულიერ ძალებს ავითარებს. „ადამიანის სიჯანსაღეს განაპირობებს ის, რომ მუდმივად ცვალოს ფუნქციები, ავარჯიშოს რიგრიგობით სხეულის და გონების ყველა უნარი და ამრიგად, შეინარჩუნოს ყოველმხრივი საქმიანობა და წინასწორობა". Ш. Ф у р ь е. Новый промышленный и общественный мир. М. 1939. стр. 80.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 619.

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 109.

[4] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. II, გვ. 219.

ოპერაციების სიმრავლე, სირთულე, თანამიმდევრობა და ა. შ. დასაშუშავებელი მასალის ფიზიკური, ქიმიური, მექანიკური ან სხვა თვისებებით. აგრეთვე შრომის იარაღების განვითარების დონით არის განპირობებული.

თითოეული შრომითი ოპერაცია მომდევნო შრომითი ოპერაციის საშუალებით ივსება, მანამდე გრძელდება, ვიდრე პროდუქტს დასრულებული სახე არ მიეცემა. ამასთანავე, ამ ოპერაციების თითოეული რგოლი სხვა დანარჩენებისაგან განსხვავდება, ერთგვარად შრომითი საქმიანობის ატომს შეადგენს. თითოეულ შრომით ოპერაციას თავისი გარკვეული მეობა გააჩნია, იგი გარკვეული, მისთვის სპეციფიკური მოძრაობისა და მოქმედების შესრულებას მოითხოვს. მაშასადამე, შრომის ერთი ოპერაციის მეორით და ა. შ. შეცვლა თვით სახმარ ღირებულებათა წარმოების ბუნებიდან გამომდინარეობს. ამიტომ შრომის მონაცვლეობა უნდა განვიხილოთ როგორც საწარმოო-ტექნიკური აუცილებლობა.

მაგრამ მანქანურ წარმოებამდე შრომის მონაცვლეობა უშუალოდ ადამიანის ხელისაგან დამოუკიდებლად არ ხდებოდა. უშუალოდ ხელის შრომაზე დამყარებულ საწარმოო ძალთა კონსერვატიული ბაზის მქონე საზოგადოებაში კი შრომის იარაღების ცვალებადობას მეტად ნელი ტემპები ახასიათებდა. შრომის ინსტრუმენტი „რაკი ერთხელ ნაპოვნია ემპირიულად მისი სათანადო ფორმა, იგი შეაქვავებდა ამ ფორმას, როგორც ამას ამტკიცებს მისი ერთი თაობის ხელიდან მეორე თაობის ხელში გადასვლა ხშირად ათასეული წლების განმავლობაში“ [1]. რასაკვირველია, დროთა განმავლობაში იცვლებოდა შრომის იარაღები და ინსტრუმენტები, აგრეთვე ნედლეული, რაც გარკვეულად აისახებოდა თვით შრომითი ოპერაციების ცვალებადობაში. მაგრამ მანქანურ წარმოებამდე პროდუქტის შესაქმნელად საჭირო შრომის მონაცვლეობას არსებითად ჰქონდა ერთი და იგივე შრომითი ოპერაციების თანამიმდევრული ცვლის სახე, ამას შეესაბამებოდა თითოეული ინდივიდის ცალმხრივი დახელოვნება და ერთი და იგივე სამუშაო ფუნქციებისა და საწარმოო ჩვევების გადაცემა თაობიდან თაობაში. შრომის მონაცვლეობა არსებობდა ობიექტურად, მაგრამ არა სუბიექტურად. ადამიანი სიცოცხლის განმავლობაში ერთი და იგივე სამუშაო ფუნქციას ან ფუნქციებს ასრულებდა, შრომის მონაცვლეობა კი მთელი საზოგადოების კომბინირებული ძალებით ხორციელდებოდა.

მსხვილი მრეწველობის პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ ყოველი წარმოების პროცესს იგი მის შემადგენელ ელემენტებად ანა-

---

[1] მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 614.

წილებს, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის ხელისაგან დამოუკიდებლად. შრომის სწრაფი მონაცვლეობის აუცილებლობა სწორედ ამან წარმოშვა.

კაპიტალისტური მსხვილი მრეწველობის გაბატონებამ შრომის ურთულესი, ადრინდელი სამყაროსათვის აბსოლუტურად უცნობი დანაწილება და სპეციალიზაცია გამოიწვია, ხოლო ტექნიკურ პროგრესს მსხვილი მრეწველობის სფეროში — შრომის პროცესის საზოგადოებრივი კომბინირებისა და წარმოების მუშაკთა ფუნქციების განუწყვეტელი ცვალებადობა მოჰყვა. „ვიდრე ხელოსნობა და მანუფაქტურა საზოგადოებრივი წარმოების საერთო საფუძველს შეადგენს, მწარმოებლის დაქვემდებარება წარმოების მხოლოდ ერთი განსაკუთრებული დარგისადმი, მისი საქმიანობის პირვანდელი მრავალფეროვნების დარღვევა განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს“ [1].

მანუფაქტურული წარმოების დროს თითოეული მუშა ნაწილობრივ ოპერაციას ასრულებს, რაც განსაკუთრებული ფუნქციის სახით ყალიბდებოდა პროდუქტის დამზადების პროცესში, ხოლო ერთობლივი პროდუქტის წარმოება ნაწილობრივი მუშების კავშირის საშუალებით ხორციელდებოდა.

შრომა მანუფაქტურული წარმოების დროს ვიწრო ტექნიკურ ბაზისს ემყარებოდა. უფრო ზუსტად, მის ბაზისად ხელოსნობა რჩებოდა [2], ვინაიდან ხელოსნური დახელოვნება აქაც წარმოების საფუძველი იყო. ოპერაციებად. დაშლილი წარმოების პროცესის თითოეული ფაზა — ხელოსნური ნაწილობრივი შრომის სახით სრულდებოდა. მანუფაქტურამ ხელოსნური საქმიანობა მის შემადგენელ ნაწილებად დაშალა.

ამის გარდუვალი შედეგი ის იყო, რომ მუშა იძულებული გახდა შეგუებოდა მარტოოდენ ერთ ნაწილობრივ ფუნქციას: იგი ნაწილობრივი ფუნქციის შემსრულებლად იქცა სიცოცხლის განმავლობაში. „მუშა, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლე ერთსა და იმავე მარტივ ოპერაციას ასრულებს, მთელ თავის სხეულს ამ ოპერაციის ავტომატურ ცალმხრივ ორგანოდ აქცევს“ [3]. მას უხდება შეზღუდული შოძრაობის „მუდმივი განმეორება და ყურადღების კონცენტრაცია ამ შეზღუდულ სფეროზე“ [4], რითაც ნაწილობრივმა მუშამ ვირტუოზობას მიაღწია.

ხელოსნისაგან განსხვავებით, რომელიც პროდუქტის დასამზადებლად საჭირო სხვადასხვა ოპერაციას ერთიმეორეზე მიყოლებით ას-

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 613—614.
[2] იქვე, გვ. 430.
[3] იქვე, ტ. I, გვ.430
[4] იქვე, გვ. 431.

რულებდა, მანუფაქტურის მუშა ცალმხრივ, ნაწილობრივ შრომით საქმიანობას ეწეოდა. მის მიერ რომელიმე ოპერაციის შესრულება განსაკუთრებულ ფუნქციად ყალიბდებოდა.

მანუფაქტურის დროს მთავარი იყო ინდივიდუალური დახელოვნება ამ ვიწრო სფეროში, კუნთების განვითარება, თვალის სიმახვილე, ხელის ვირტუოზობა.

მანქანების, ქიმიური პროცესებისა და სხვა მეთოდების გამოყენება, როგორც კ. მარქსი აღნიშნავდა, მუდამ არევოლუციურებს შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით და განუწყვეტლივ ისვრის კაპიტალისა და მუშათა მასებს წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. შრომის განუწყვეტელი ცვალებადობა, საწარმოო ფუნქციების დენადობა და საწარმოო ძალის ყოველმხრივი მობილობა — მსხვილი მრეწველობის არსებობის წესად გადაიქცა, რომელიც უკვე ყოველმხრივ განვითარებულ პიროვნებას საჭიროებს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ კაპიტალიზმს შესწევდეს პიროვნების, როგორც მწარმოებლის ყოველმხრივი ფაქტიური განვითარების უნარი. მუშის მრავალმხრივობა — ესაა კაპიტალისტური წარმოების ობიექტური მოთხოვნა, მისი ბუნებრივ-ისტორიული ტენდენცია და ასეთად რჩება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობის პირობებში. კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი შეუძლებელს ხდიან პიროვნების რეალურ ყოველმხრიობას და ამ დანაკლისის შესავსებად კვლავ შრომის ძველ დანაწილებას აღადგენენ მისი სხვადასხვა გაქვავებული სპეციალობით. ესაა სწორედ კაპიტალისტური საწარმოო ძალებისა და წარმოებით ურთიერთობათა მწვავე წინააღმდეგობების გამოვლენის ერთ-ერთი ფორმა.

მანქანური წარმოება ისევე გამორიცხავს შრომის დანაწილების მანუფაქტურულ წესს ერთი და იგივე მუშის ერთსა და იმავე ფუნქციაზე სამუდამო მიმაგრებით, როგორც მანუფაქტურული წარმოება შრომის დანაწილების მანქანურ წესს — სამუშაო პერსონალის მობილობას შრომის პროცესის შეუწყვეტლად. მაგრამ შრომის მანუფაქტურული დანაწილების უარყოფა მის აბსოლუტურ უკუგდებას არ გულისხმობს. მანქანური წარმოება სპობს და თავიდან იშორებს შრომის მანუფაქტურული დანაწილების ფორმას. თუმცა საერთოდ ინარჩუნებს შრომის დანაწილებას, როგორც წარმოების ფუნქციონირების აუცილებელ პირობას. მანქანური წარმოების დროს საჭირო აღარაა სპეციალისტ მუშების მთელი იერარქია, რაც მანუფაქტურულ წარმოებას ახასიათებდა. და ეს იმიტომ, რომ მანქანა საკუთარი, ტექნიკური არსის ძალით სამუშაოთა ნიველირების ტენდენციას ბადებს. ამით მანუფაქტურულ-პროფესიული კიბე იმსხვრევა. შრომის მანუფაქტურული დანაწილების ადგილს მანქანური წარმოება იჭერს შრო-

მის წმინდა ტექნიკური დანაწილებით. ასეთ პირობებში შრომითი ფუნქციები მანქანასთან მომუშავე მუშებსა, მათს დამხმარეებსა, ინჟინრებსა და სხვა მეთვალყურე ან შემკეთებელ პერსონალს შორის არის განაწილებული.

მანუფაქტურული წარმოებისაგან განსხვავებით მანქანური წარმოება იმდენად ამარტივებს შრომით საქმიანობას, რომ საკმაოდ შესაძლებელს ხდის მასში ჩართული პირების სწრაფ და მუდმივ ცვლას, და რაც მთავარია სისტემატურად წარმოშობს ამის გარდუვალობას. ამიტომ კაპიტალისტური მანქანური წარმოების რომელ დარგშიც არ უნდა განახორციელოს შრომითი საქმიანობა, მუშა ყველგან ექცევა მანქანის გარკვეული ნაწილის ანუ ნაწილობრივ მანქანის დანამატად. ამით შენარჩუნებული და გაღრმავებულია ადამიანის მახინჯი ცალმხრივი განვითარების ის წესი, რომელიც შრომის მანუფაქტურულ წარმოებასთან არის დაკავშირებული.

როცა იცვლება შრომის ტექნიკური საფუძველი და შესაბამისი შრომითი ფუნქციაც — მუშა გამოუსადეგარია ახალი ფუნქციის შესრულებისათვის. კაპიტალისტი თავიდან იშორებს მას და სანაცვლოდ ახალ სამუშაო ძალას აბამს წარმოებაში. მაგრამ ამ უკანასკნელის ბედიც ისეთივეა, რაც მისი წინამორბედისა. ის რაც გარკვეულ ნაწილობრივ ოპერაციას ზედმეტად ხდის — ნაწილობრივ მუშასაც ზედმეტად აქცევს. პერსონალის ცვლა შრომის პროცესის შეუწყვეტლად მიმდინარეობს. თითოეულ საწარმოო რგოლში კვლავ აღდგენილია შრომის მანუფაქტურული დანაწილება იმ განსხვავებით, რომ მანქანური წარმოების დროს მუშა მანქანის დამატებადაა გადაქცეული. მსხვილი მრეწველობა „თავისი კაპიტალისტური ფორმით კვლავ აღადგენს შრომის ძველ დანაწილებას მისი სხვადასხვა გაქვავებული სპეციალობით“, და სპობს „მუშის მდგომარეობის ყოველნაირ სიმშვიდეს, სიმყარეს და უზრუნველყოფილობას, მუდამ ემუქრება მას შრომის საშუალებებთან ერთად საარსებო საშუალებებიც ხელიდან გამოსტაცოს და მის ნაწილობრივ ფუნქციასთან ერთად თვით იგიც ზედმეტი გახადოს“ [1]. ასეთ პირობებში „სპეციალობა, რომელიც წარმოადგენდა ნაწილობრივი იარაღის ხმარებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში, იქცევა სპეციალობად, რომელიც წარმოადგენს ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი მ ა ნ ქ ა ნ ი ს მ ო მ ს ა ხ უ რ ე ბ ა ს მ თ ე ლ ი ს ი ც ო ც ხ ლ ი ს გ ა ნ მ ა ვ ლ ო ბ ა შ ი“ [2] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ამრიგად, კაპიტალიზმი ერთი მხრივ იმის რეალურ-ტექნიკურ პირობებს ქმნის, რომ სამუშაო ფუნქციების დენადობა არსებობდეს,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 616.
[2] ი ქ ვ ე, გვ. 534.

რაც ობიექტურად ინდივიდის ყოველმხრივი განვითარების ისტორიულად გადასაწყვეტ ამოცანას ამწიფებს, ხოლო მეორე მხრივ ფაქტიურად პიროვნებას ცალმხრივი განვითარებისაკენ უბიძგებს.

წარმოების განვითარების იმავე ობიექტური კანონზომიერებით, რომელმაც პიროვნების ცალმხრივობა საკუთარი მოძრაობის კანონად აქცია, აღდგენილ უნდა იქნას ინდივიდის ფიზიკური და სულიერი უნარის ჰარმონიული მთლიანობა და ნაწილობრივი ინდივიდის ნაცვლად მწარმოებელმა ძალამ მთლიანი ადამიანის ბუნებრივი სახე უნდა მიიღოს.

„მსხვილი მრეწველობა თავისი კატასტროფებით სიკვდილ-სიცოცხლის საკითხად ხდის იმას, რომ შ რ ო მ ი ს ც ვ ა ლ ე ბ ა დ ო ბ ა და ამიტომ მ უ შ ე ბ ი ს რ ა ც შ ე ი ძ ლ ე ბ ა მ ე ტ ი მ რ ა ვ ა ლ მ ხ რ ი ვ ო ბ ა აღიარებულ იქნას ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი წ ა რ მ ო ე ბ ი ს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო კ ა ნ ო ნ ა დ, რომლის ნორმალურ განხორციელებას უნდა შეეგუონ ურთიერთობანი“ [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

მაშასადამე, შრომის ხშირი მონაცვლეობა და შრომის ფუნქციების დინამიურობა ბუნებრივად შეუთავსებელია შეზღუდულ ინდივიდთან, რომელსაც ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქცია გააჩნია. მისთვის აუცილებელია ადამიანი, რომლის გამოყენება შრომის ცვალებადი მოთხოვნილებებისათვის რეალურად არის შესაძლებელი. ნაწილობრივი ინდივიდი, ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის უბრალო მატარებელი უნდა „შეცვალოს ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ მ ა ი ნ დ ი ვ ი დ მ ა, რომლისთვისაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქცია წარმოადგენს საქმიანობის ერთიმეორის შემცვლელ სხვადასხვა წესს“ [2] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). ადამიანის ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობა მაშინ არის მოცემული, როდესაც გაფანტული და წვრილი მასშტაბის შრომითი პროცესები საყოველთაოდ მსხვილი, საზოგადოებრივი მასშტაბის კომბინირებული შრომითი პროცესებით იცვლება.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, როგორც აღინიშნა, იმის ფაქტობრივ შესაძლებლობას გულისხმობს, რომ ინდივიდმა თავისი უნარი და მიდრეკილებები სხვადასხვა სფეროში გამოავლინოს. ადამიანი, რომელიც მთელი სიცოცხლის განმავლობაში საქმიანობის მხოლოდ ერთ რაიმე სახეობაშია ჩართული, ისევე ცალმხრივია, როგორც მის მიერ შესრულებული მოქმედება. მაშასადამე, მრავალმხრივი განვითარებისათვის საჭიროა პიროვნებას მრავალმხრივი მოქმედების, საქმიანობის მონაცვლეობის საშუალება მიეცეს.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 616.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 617.

მაგრამ ცვლის თუ არა იგი საქმიანობას და ავლენს თუ არა მრავალმხრივი მოქმედებისათვის საჭირო უნარს — ეს გარემოება თვით პიროვნების ნება-სურვილზე სრულიადაც არ არის დამოკიდებული. იგი განსაზღვრულია მისი ნებისყოფისაგან დამოუკიდებელი, ობიექტური აუცილებლობით. პირველ ყოვლისა, საწარმოო ძალთა, წარმოების ტექნიკური საშუალებების განვითარების დონით.

თუ შრომის იარაღების, წარმოების ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზის ცვლა იმდენად სწრაფად მიმდინარეობს, რომ შესაბამისად განუწყვეტლივ იწვევს სამუშაო ფუნქციების ცვლის საჭიროებას, — ეს იმას ნიშნავს, რომ წარმოების გაძღოლა უკვე შეუძლებელია თვით სამუშაო ძალის სრულყოფის გარეშე. მრავალმხრივი სამუშაო ფუნქციების შესასრულებლად საჭირო უნარ-მიდრეკილებათა განვითარების გარეშე. მაშასადამე, პიროვნების მრავალმხრივი, ნამდვილად ჰუმანური განვითარების აუცილებლობა თვით წარმოების ყოფიერებაში განხორციელებული პროგრესიდან გამომდინარეობს. ამასთანავე, ეს პროგრესი არა მხოლოდ საწარმოო ძალთა სრულყოფის დონით, არამედ წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობითაც არის განსაზღვრული.

თანამედროვე პირობებში განვითარების მაღალ დონეზეა მოწინავე კაპიტალისტური ქვეყნების მატერიალურ-ტექნიკური ბაზაც. წარმოების მთელ რიგ დარგებსა და ქვედარგებში მოპოვებულია ელექტრიფიკაციის, მექანიზაციისა და ავტომატიზაციის მნიშვნელოვანი დონე; ამ ქვეყნებშიც ფართოდ ინერგება ქიმიზაცია, ენერგიის ახალ წყაროებს იყენებენ და სხვ. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ კაპიტალიზმი ყოველმხრივად განვითარებული ადამიანების აღზრდას და ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს. პირიქით, მაღალგანვითარებული ტექნიკის კაპიტალისტური გამოყენება გადაულახავ სიძნელეებს ქმნის ამ მიმართულებით: აძლიერებს მუშაკთა პროფესიულ შეზღუდულობას, უმუშევრობას იწვევს, მოგების ინტერესებისათვის აქვეითებს მშრომელთა კულტურულ-ტექნიკურ დონეს.

თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგები ყოველმხრივად ცდილობენ თეორიულად გაამართლონ მშრომელი ადამიანის ინდივიდუალური შემოქმედებითი ძალების შეზღუდვა და დაქვეითება კაპიტალისტურ საზოგადოებაში. ტექნოკრატიული თეორიის მქადაგებლები (ბერნჰემი, ელესკო, ფრიში და სხვ.) კანონზომიერად თვლიან მუშათა კლასის დაბალ კულტურულ-ტექნიკურ დონეს, ხოტბას ასხამენ ტექნიკურ ინტელიგენციას, რომელიც მათი აზრით საზოგადოებრივი განვითარების წამყვან ძალად იქცა. „მენეჯმენტის“ თეორიის (დრაკერი, დევისი, კოულა და სხვ.) მომხრეთა მიხედვით ტექნიკური

ცოდნა მხოლოდ ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მონოპოლია უნდა იყოს. „მენეჯერების“ და მუშათა კლასის დაპირისპირება, მათი განცხადებით თანამედროვე ტექნიკური პროგრესის უშუალო გარდუვალი შედეგია, რაც თავს იჩენს კულტურულ-ტექნიკური განვითარების დიამეტრიულად ურთიერთსაპირისპირო ტენდენციებში.

სინამდვილეში ექსპლოატირებულთა დაბალი კულტურულ-ტექნიკური დონე, მშრომელი პიროვნების მრავალმხრივი უნარისა და მიდრეკილებების შეზღუდვა გამომდინარეობს არა უშუალოდ ტექნიკიდან, არამედ ტექნიკის გამოყენების იმ საზოგადოებრივი წესიდან, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმის შინაგან ბუნებას მსჭვალავს.

არ კმარა ის, რომ წარმოების განვითარების ტექნიკური და ტექნოლოგიური ბაზა მრავალმხრივ მომზადებულ პიროვნებას საჭიროებდეს.

აუცილებელია აგრეთვე ისეთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემა, რომელიც პიროვნებას რეალურად მისცემს ყოველმხრივი განვითარების საშუალებას, რათა თავისუფლად შეძლოს შრომითი ფუნქციების მონაცვლეობა წარმოების სხვადასხვა დარგში, განახორციელოს საქმის ცოდნით შეპირობებული გადაადგილება არასაწარმოო სფეროში.

საწარმოო ძალთა მაღალი დონე, რომელიც შრომის მონაცვლეობას იწვევს და შესაბამის წარმოებით ურთიერთობათა სრულყოფა, რაც შრომის მონაცვლეობას ფაქტიურად შესაძლებელს ხდის — ასეთია პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ორი ძირითადი ობიექტური ფაქტორი.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში შრომის მონაცვლეობის კანონი გულისხმობს:

1. წარმოებითი პროცესის ტექნიკური საფუძვლების სისტემატურ ცვალებადობას. როგორც აღინიშნა, წარმოების ყველა ადრინდელი წესისაგან განსხვავებით კაპიტალიზმის ტექნიკური საფუძველი რევოლუციურია; მანქანების, ავტომატების, ქიმიური პროცესების, ტექნოლოგიური სიახლეების შეჭრა წარმოების პროცესში განუწყვეტლივ ცვლის ფორმებს, რომელშიც თვით წარმოება ხორციელდება.

2. წარმოების პროცესის ფორმირების ცვალებადობით გამოწვეულ გადატრიალებას თვით შრომით ფუნქციებში. ადრე სამუშაო ძალა ისე იყო შეხორცებული წარმოების საშუალებებთან, როგორც „ლოკოკინა ნიჟარასთან“ (კ. მარქსი), ახლა წარმოების საშუალებათა ხშირი ცვლა შიგნიდან ამსხვრევს შრომის დანაწილების გაყინულ ფორმებს და შრომას მუდმივი მონაცვლეობის მდგომარეობაში აყენებს. შრომის მონაცვლეობასთან ერთად წარმოიშობა

სრულიად ახალი შრომითი ფუნქციები, ისპობა ძველი შრომითი ფუნქციები ანდა ხდება მათი სახეცვლა.

3. შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედების ობიექტური მოთხოვნაა თვით სამუშაო ძალის ცვალებადობა. შრომის ცვალებადი მოთხოვნილებანი მრავალმხრივ განვითარებული ადამიანების ფორმირების აუცილებლობას, პიროვნების ყოველმხრივ მობილობას განაპირობებენ.

კაპიტალიზმის დროს შრომის მონაცვლეობის კანონი სტიქიურად იკაფავს გზას და ყველგან დაბრკოლებას აწყდება. იგი მხოლოდ აყენებს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების მოთხოვნას, მაგრამ ვერ აღწევს მის რეალიზაციას ადამიანის ფიზიკური და გონებრივი ძალების სისრულით განვითარების საქმეში.

შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედება სოციალიზმის დროს. სოციალისტურ საზოგადოებაში ფართოვდება შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედების ასპარეზი, მეტად მნიშვნელოვანია მისი სოციალური შედეგები.

სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობანი სამუშაო ფუნქციების მონაცვლეობას და კომბინირებას ადამიანის მრავალმხრივი განვითარების სამსახურში აყენებენ. შრომითი ოპერაციების მონაცვლეობა ახალი ადამიანის ფორმირების ერთ-ერთ საწარმოო საფუძვლად იქცევა [1].

შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედება აღკვეთს პროფესიული კარჩაკეტილობის გამოვლინებებს და პიროვნების ინტეგრალური განვითარების ერთ-ერთ პირობად წარმოსდგება. იგი პიროვნების წინაშე აყენებს წარმოების ძირითადი დარგების ცოდნისა და შესაბამისად საწარმოო ჩვევების გამომუშავების ამოცანას. ეს აუცილებელია შრომითი საქმიანობისათვის როგორც წარმოების რომელიმე კონკრეტულ დარგში, ისე წარმოების ერთი დარგიდან მეორეში გადაადგილების დროს. შრომის მონაცვლეობა მომავალში მით უფრო თავისუფალი იქნება, რაც უფრო მეტად შეაღწევს მექანიზაცია და ავტომატიზაცია სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში და განსხვავებული შრომითი პროცესები ერთიან ტექნიკურ საფუძველს დაემყარება.

---

[1] Басария Р. Взаимосвязь общественного разделения труда и перемены труда. Тб., 1974. Добрусин А. М. Перемена труда и мобильность рабочей силы в развитом социалистическом обществе. Саратов. 1977. Костриченко В. М. Закон перемены труда в марксистско-ленинской экономической теории. Воронеж. 1984. Кандалов Д. П. Закон перемены труда и всестороннее развитие личности. М., 1968. Калинин Л. Н., Калинина К. В. Перемена труда и всестороннее развитие личности. Чебоксары. 1967. Лузан П. П. Закон перемены труда и воспроизводство рабочей силы в социалистическом обществе. М. ,1980.

სოციალიზმის განვითარების დღევანდელ ეტაპზე საწარმოო პროცესები ჩვენს ქვეყანაში ჯერ კიდევ არ არის იმ ზომით მექანიზებული და ავტომატიზებული, რომ შრომის მონაცვლეობის კანონი სრული ძალით მოქმედებდეს; დიდია მძიმე ფიზიკური შრომის წილი სახალხო მეურნეობაში.

გასაგებია, რომ ასეთ პირობებში შრომითი გადაადგილება ობიექტურად შეპირობებულ გარკვეულ სიძნელეებს აწყდება. მიუხედავად ამისა, შრომის მონაცვლეობის კანონი სულ უფრო ფართოდ მოქმედებს და ახალ-ახალი ფორმებით პოულობს გამოვლენას საწარმოო ძალთა განვითარების თანამედროვე ეტაპზე, განსაკუთრებით იმ დარგებსა და ქვედარგებში, რომლებიც მოწინავე ტექნიკური საშუალებებით არიან აღჭურვილნი. ამ ტენდენციის დანერგვას და განვითარებას ხელს უწყობს პარტიისა და მთავრობის ფართო ღონისძიებანი ახალგაზრდობის პროფტექნიკური მომზადების, მშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლების საქმეში.

სწორედ ასეთ ხელსაყრელ ტექნიკურ-ეკონომიკურ და სოციალურ პირობებში იჩენს თავს შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედება. შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედების ტექნიკური პირობაა მართვისა და კონტროლის საშუალებათა შეფარდებითი ნიველირება. შრომის ცვალებადობა, მწარმოებლის თავისუფალი მოძრაობა წარმოების რომელიმე დარგში, ანდა მისი შრომითი გადაადგილება წარმოების ერთი დარგიდან მეორეზე, პრაქტიკულად განუხორციელებელი იქნება, თუ საწარმოო პროცესების მართვისა და კონტროლის ტექნიკური საშუალებანი არ შეთანასწორდნენ, თუ ეს საშუალებანი რადიკალურად იქნებიან განსხვავებულნი ერთმანეთისაგან. სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების მართვისა და კონტროლის სისტემების დაახლოებით ტექნიკურად ივსება ის ნაპრალი, რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავდა წარმოების თუნდაც ერთი დარგის ან ქვედარგის შიგნით მომუშავე ადამიანთა შრომას და თითოეული მუშაკის ვიწრო პროფესიულ შეზღუდულობას განამტკიცებდა.

თანამედროვე მანქანური წარმოება გარკვეულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირშია პიროვნების სამუშაო ფუნქციების დენადობასა, კომბინირებასა და ბოლოს, შეფარდებით ნიველირებასთან.

ავტომატიზაციის დანერგვა, გადასვლა ავტომატ-საწარმოებსა და საამქროებზე, კიბერნეტიკის, ელექტრული საანგარიშო გამომთვლელი და სამართავი მოწყობილობების გამოყენება, ტექნიკური პროგრესის სიახლენი მნიშვნელოვან ძვრებს იწვევენ თვით მწარმოებლის სამუშაო ფუნქციებში. ეს ცვალებადობა ფუნქციათა შეთანაბრების მიმართულებით მიმდინარეობს. „ავტომატურ ფაბრიკაში თავს იჩენს

ტენდენცია იმ საპუშაოთა გათანაბრებისა ანუ ნიველირებისა, რომლებიც მანქანების თანაშემწეებმა უნდა შეასრულონ“ [1].

ტექნიკური პროგრესი იწვევს მთელი რიგი არაერთგვაროვანი საწარმოო პროცესების მართვის ნიველირებას, რაც განსაკუთრებით ნიშანდობლივია წარმოების განვითარების თანამედროვე ეტაპისათვის. სრულიად განსხვავებული პროდუქციის დასამზადებლად გამართულ ავტომატურ ხაზებს მართვის შედარებით ერთგვაროვანი სისტემა აქვთ, რის გამოც მათ ფართო საერთო პროფილის ოპერატორები და ამწყობები ემსახურებათ.

ავტომატიკის, ტელემექანიკის და სხვა ტექნიკური სიახლეების დანერგვას სახალხო მეურნეობის სხვადასხვა უბანზე შედეგად მოსდევს განსხვავებული პროფესიის მქონე ადამიანების შრომის თანდათანობითი დაახლოება. დადგენილია საფეიქრო, საკაბელო, ქაღალდის მრეწველობის, ლითონის, ხის დამუშავების და მთელ რიგ სხვა დარგებში ავტომატებისა და ნახევრად ავტომატების ამწყობთა შრომის ბევრი საერთო ნიშანი. აქ მომუშავე ადამიანებს ფაქტიურად ერთნაირი ფუნქციები აქვთ დაკისრებული, საჭიროა ტექნიკური მომზადების შედარებით თანაბარი დონე ამ ფუნქციების შესასრულებლად.

მოსალოდნელია, რომ ტექნიკური პროგრესი ხელსაყრელ ნიადაგს შექმნის მანქანებისა და მექანიზმების მართვის სისტემათა ნიველირებისა და მაშასადამე, შრომის თავისუფალი მონაცვლეობისათვის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მათ შორის სოფლის მეურნეობაშიც. მართალია, მანქანები და მანქანათა სისტემები, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში იყენებენ ამა თუ იმ კულტურის მოყვანისა და აღების ტექნოლოგიის სპეციფიკურობის გამო ჯერ კიდევ განსხვავებულნი არიან ერთმანეთისაგან. მაგრამ ეს განსხვავება შემცირდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის უნივერსალიზაციის და უნიფიკაციის შედეგად. აქაც სულ უფრო გაიზრდება სამუშაო ძალის შრომის მონაცვლეობის შესაძლებლობა. ეს ტენდენცია რამდენადმე უკვე ამჟამად ვლინდება, მაგრამ მომავალში იგი მეტად გაძლიერდება.

როდესაც განხორციელდება მანქანებისა და მექანიზმების მზარდი ნიველირება სახალხო მეურნეობის მეტწილ დარგებში — ამით შეიქმნება ტექნიკური საფუძველი პიროვნების შრომის მონაცვლეობის მასშტაბების გასაფართოებლად. განსხვავებულ შრომით ოპერაციებს, ცხადია, განსხვავებული მუშა-მანქანები და მექანიზმები შეასრულებენ. მაგრამ მათ მოძრაობაში არსებითად მართვის გათანაბრებულ სისტემებს დაუფლებული ადამიანები მოიყვანენ.

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 532.

ამასთან აქვე უნდა ითქვას, რომ წარმოების ყველა დარგსა და ქვედარგში ავტომატური სისტემების მართვის გათანაბრება არ შეიძლება აბსოლუტური მნიშვნელობით გავიგოთ.

სამართავი და საკონტროლო მოწყობილობების შეთანასწორება, მიმსგავსება, შეთანაბრება, მიახლოება არც ამ მოწყობილობათა აბსოლუტურ გაიგივებას, არც მათი ამოძრავებისა ან ზედამხედველობისათვის საჭირო სამუშაო ფუნქციებს შორის განსხვავების აბსოლუტურად წაშლას გულისხმობს. ტექნიკის განვითარება ამ განსხვავებას შეამცირებს, მაგრამ ვერ მოსპობს, რამდენადაც პროდუქტის საწარმოებელი ტექნოლოგიური პროცესების სხვადასხვაობა ავტომატურ მოწყობილობათა მართვისა და კონტროლის სისტემაში გარკვეულ სპეციფიკურობას შეიტანს.

მაშასადამე, საკითხი იმგვარად კი არ დგას, რომ ავტომატური სისტემები მართვისა და კონტროლის მთლიანად იგივეობრივ სამუშაო ფუნქციებს საჭიროებენ, არამედ ისე, რომ ავტომატური მართვისა და კონტროლის სისტემების დაახლოება შრომითი ფუნქციების დაახლოებას გამოიწვევს და ამით ტექნიკური დასაყრდენი იქნება იმისათვის, რომ ადამიანმა შეძლოს შრომითი გადაადგილება წარმოების დარგს შიგნით ანდა ერთი დარგიდან მეორეზე. „ეს შექმნის მოცემული წარმოების ფარგლებში მუშაკის შრომის მონაცვლეობის და სხვა მომიჯნავე და დაშორებულ სფეროებში მისი გამოყენების უფრო მეტ შესაძლებლობას“ [1]. ცხადია, შრომის მონაცვლეობა განხორციელდება როგორც საზოგადოების, ისე პიროვნების მოთხოვნილებების გათვალისწინებით.

პოლიტექნიკური აღზრდა, როგორც შრომის მონაცვლეობის უმნიშვნელოვანესი პირობა. მანქანური წარმოებით გამოწვეულ შრომით მონაცვლეობას და თვით ინდივიდის სრულყოფას შრომის ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად — კ. მარქსი გადატრიალებას უწოდებდა. ამ გადატრიალების პროცესის ერთ-ერთ მომენტად იგი ტექნიკურ სკოლებსა და სასწავლებლებს მიიჩნევდა, რაც მოზარდ თაობას წარმოების სხვადასხვა დარგის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის ელემენტებს აძლევს. მაგრამ წარმოების კაპიტალისტური ფორმა, კ. მარქსისავე სიტყვებით რომ ვთქვათ, „დიამეტრალურ წინააღმდეგობაშია გადატრიალების ასეთ ფერმენტებთან“. კაპიტალიზმის პირობებში ტექნოლოგიური სწავლება მხოლოდ სამუშაო ძალის გაძლიერებული ექსპლოატაციისათვის არის გამოყენებული.

მიუხედავად ამისა, საფაბრიკო აღზრდის ის სისტემა, რომელიც

---

[1] Г. П. Смирнов. Советский человек. М., 1980, стр. 358.

კაპიტალიზმის პირობებში ისახება, შეიცავს რაციონალურ მარცვლებსაც, რომელიც მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში შეიძლება განვითარდეს უაღრესად პოზიტიური მნიშვნელობით. როგორც წარმოების, ისე მწარმოებლის ინტერესებისათვის. „საფაბრიკო სისტემიდან, როგორც ეს დაწვრილებით შეიძლება დავინახოთ რობერტ ოუენის ნაწერებში, აღმოცენდა ჩანასახი მომავალი აღზრდისა, რომელიც გარკვეულ ასაკს ზევით ყველა ბავშვისათვის მწარმოებლურ შრომას სწავლებასა და ტანვარჯიშს უკავშირებს, და ეს იქნება არა მარტო მეთოდი საზოგადოებრივი წარმოების გასადიდებლად, არამედ — ერთადერთი მეთოდიც ყოველმხრივ განვითარებულ ადამიანთა შესაქმნელად“ [1].

სოციალიზმის დროს პოლიტექნიკური სწავლება არა მარტო წარმოების, არამედ ახალი ადამიანის სრულყოფის მძლავრი საშუალებაა. ცხადია, პოლიტექნიკური აღზრდა ყველაფრის სწავლებას არ ნიშნავს, მისი შინაარსიდან ტექნიკური სინამდვილის ყრვლისმცოდნეობა უნდა გამოვრიცხოთ. პოლიტექნიკური სწავლების პრინციპი „არ მოითხოვს ყველაფრის სწავლებას“ (ვ. ი. ლენინი).

პოლიტექნიკური სწავლება არ უნდა გავიგოთ აგრეთვე როგორც მრავალხელოსნობის დაუფლება, მოზარდი თაობის მიერ ხელოსნობის სხვადასხვა სახეების გაცნობა და შესაბამისი ჩვევების გამომუშავება. რა თქმა უნდა, პრაქტიკულად იმის განხორციელება უფრო შესაძლებელია, რომ სასკოლო ასაკში ბავშვებმა შეისწავლონ ესა თუ ის ხელობა, რომელიც შეზღუდულ ხელოსნურ შრომას ემყარება. მაგრამ ეს არა წინ, არამედ უკან გადადგმული ნაბიჯი იქნება. ხელოსნური შრომა შეესაბამებოდა საწარმოო ძალთა განვითარების დაბალ დონეს, რომელიც ისტორიულად განვლილ ეტაპს შეადგენდა და ამჟამად შეუთავსებელია თანამედროვე ინდუსტრიული წარმოების მატერიალურ-ტექნიკურ საფუძვლებთან.

თანამედროვე პირობებში ადამიანის შრომა ემყარება ურთულესი მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობების, კომპლექსურ-მექანიზებული და ავტომატიზებული სისტემების, ენერგიის ახალი წყაროების, ადრე უცნობი მასალების გამოყენებას. პოლიტექნიკური სწავლების ფესვები სწორედ ინდუსტრიული წარმოების ნიადაგში უნდა იყოს გადგმული. ამის შესაბამისად პოლიტექნიკური სწავლება „აცნობს წარმოების პროცესის ძირითად პრინციპებს და ამავე დროს აძლევს ბავშვს და მოზარდს ყველა წარმოების უმარტივესი იარაღების გამოყენების ჩვევებს“ [2]. კ. მარქსის ამ დებულებაში პოლიტექნიკური სწავლების არსია განსაზღვრული.

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 611—612.

[2] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, სახალხო განათლების შესახებ, 1942 წ., გვ. 31.

იმისათვის, რომ მაღალგანვითარებული მანქანური წარმოების საწარმოო ძალად მომწიფდეს, ახალგაზრდობამ სასკოლო ასაკშივე წარმოების ყველა ძირითადი პრინციპი, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა — თანამედროვე ინდუსტრიის საფუძვლები უნდა შეითვისოს. მაგრამ პოლიტექნიკური სწავლება არ დაიყვანება მოზარდის თეორიულ გათვითცნობიერებაზე. იგი ამასთანავე გულისხმობს საზოგადოებრივად სასარგებლო შრომასაც, წარმოების მარტივი იარაღების და მექანიზმების გამოყენების პრაქტიკული ჩვევების გამომუშავების საფუძველზე. ახალგაზრდობის საწარმოო-თეორიული და საწარმოო-პრაქტიკული სწავლების გაერთმთლიანება — პოლიტექნიკური აღზრდის პოსტულატს შეადგენს.

„ელექტრიფიკაციისათვის წერა-კითხვის უცოდინარი ხალხი არ გამოდგება, აქ უბრალო წერა-კითხვის ცოდნა არ კმარა. აქ საკმარისი არაა იცოდეთ თუ რა არის ელექტრობა; უნდა იცოდეთ ტექნიკურად როგორ გამოიყენოთ იგი მრეწველობაშიც, მიწათმოქმედებაშიც, მრეწველობის და მიწათმოქმედების ცალკეულ დარგებშიც. ეს თვითონ უნდა ისწავლოთ, ეს უნდა ასწავლოთ მთელ მოზარდ მშრომელ თაობას“ [1].

თეორიულ და პრაქტიკულ საშუალებათა გაერთიანებული ზემოქმედებით პოლიტექნიკური სწავლება ამზადებს ნიადაგს იმისათვის, რომ ახალგაზრდობა თანამედროვე წარმოების მოთხოვნებს მოერგოს, შემდგომში კი მის ბატონ-პატრონად იქცეს.

„... სოციალისტურ საზოგადოებაში შრომა და სწავლა-განათლება უნდა შეკავშირდეს და ამით უზრუნველყოფილი გახდეს როგორც ყოველმხრივი ტექნიკური მომზადება, ისე პრაქტიკული საფუძველი მეცნიერული აღზრდისათვის“ [2].

მაგრამ, რამდენადაც ცვალებადია თვით წარმოება და ტექნიკურ გადატრიალებათა სტადიებს გადის, რამდენადაც იგი ენერგიის სულ უფრო ახალი წყაროებისა და ახალი მასალების გამოყენებას ემყარება, იმდენად პოლიტექნიკური აღზრდის კონკრეტული შინაარსი არ შეიძლება უცვლელი იყოს. იგი ყოველთვის დამოკიდებული იქნება წარმოების განვითარების მდგომარეობაზე და მისგან განისაზღვრება.

სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში სახალხო მეურნეობის ელექტრიფიკაციის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ამოცანის შესაბამისად, პოლიტექნიკური სწავლების შემადგენელ ელემენტებად ვ. ი. ლენინს მიაჩნდა ელექტროტექნიკის, მასალათა მექანიკური და ქიმიური დამუშავების, აგრონომიის საფუძვლების ცოდნა და ძირი-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 346—347.

[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 386.

თადი საწარმოო ჩვევების გამომუშავება. თანამედროვე წარმოება ახალ ამოცანებს აყენებს პოლიტექნიკური სწავლების წინაშე, უახლესი მონაცემებით ავსებს და ამდიდრებს მის შინაარსს.

ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ სკოლებში პოლიტექნიკური სწავლების გზით მოზარდ თაობას შეუმუშავდება ტიპური ტექნოლოგიის პროცესების, მანქანების, მექანიზმების, მოწყობილობების მეცნიერული საფუძვლების ცოდნა, მათი გამოყენების ჩვევები, განუვითარდება მისწრაფება შრომითი ამოცანების შემოქმედებითი გადაწყვეტის, ტექნიკური აზროვნების, რაციონალიზატორული მუშაობის მიმართულებით.

კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად სრულყოფილი ხდება პოლიტექნიკური აღზრდის გზები და საშუალებანი, მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაცია.

ამრიგად, შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედებისათვის აუცილებელია არა მარტო ტექნიკური და ეკონომიკური პირობები, არამედ სუბიექტური პირობებიც, რომელთა შორის პოლიტექნიკურ აღზრდას არსებითი ადგილი უკავია.

საზოგადოებრივი ფუნქციების მონაცვლეობის ფორმები განვითარებადი სოციალიზმის პერიოდში. საწარმო პროფილის გაფართოება და კომბინირება საზოგადოებრივი ფუნქციების ცვლის ერთერთი ფორმაა. სამუშაო ფუნქციების დინამიურობა, ძველი ფუნქციების ქრობა და ახალთა წარმოშობა ხელუხლებელს არ ტოვებს ადამიანთა ცოდნისა და დახელოვნების შინაარსსა და ფორმას, მთელი რიგი პროფესიები და სპეციალობანი დამოუკიდებლობას კარგავენ, ან უფრო ფართო პროფესიებს ერწყმიან. მაგალითად, მანქანათმშენებლობის დარგში წინათ არსებული 2960 პროფესიისა და სპეციალობის ნაცვლად 158 პროფესია და სპეციალობა დამკვიდრდა. აქ ძირითად პროფესიებად ოპერატორების, ამწყობების, პროგრამისტების და მთელი რიგი სხვა თანამედროვე პროფესიები ითვლება.

უკანასკნელ წლებში ქვანახშირის წარმოებაში მიწისქვეშა პროფესიები 50-დან 17-მდე შემცირდა. მბურღავების, ამფეთქებლების, გვირაბგამყვანების, გამომტანების, მებიგეების, მტვრეველების, მზიდავების და სხვა პროფესიები მბურღავი მემანქანეების, მეელმავლეების, მოტორისტების და სხვა პროფესიებმა შეცვალა. ფართოდ დანერგილი დისპეტჩერის პროფესიამ რამდენიმე ძველი პროფესიის ადგილი დაიკავა. ახლა დისპეტჩერი დისტანციურად, ტელემექანიკური ტექნიკის საშუალებებით მართავს საწარმოო პროცესებს მიწის ზედაპირიდან.

მშენებლობის დარგში კალატოზების, მიწისმთხრელების, დურგლების და სხვა პროფესიების ნაცვლად მემონტაჟეების, მეექსკავა-

ტორეების, ამწესა და ბულდოზერის მემანქანეების და სხვა პროფესიები ჩამოყალიბდა.

ავტომატიზებულ წარმოებას ასევე ფართო პროფესიული დიაპაზონის ადამიანები ემსახურებიან. იცვლება ამ სფეროში დასაქმებულ მუშათა პროფესიული სტრუქტურა. მაგალითად, მანქანათმშენებლობაში ავტომატიზაციის დანერგვამდე ოპერატორების რიცხვი მუშათა მთელი რაოდენობის 65 პროცენტს უდრიდა, მაშინ როდესაც ავტომატიზებულ საწარმოებში მათი წილი 7 — 19 პროცენტამდე შემცირდა. ფართო პროფესიული დიაპაზონის მუშაკების — ავტომატიზებული საწარმოების ამწყობების წილი 7-დან 50 პროცენტამდე, ხოლო ზეინკალ-შემკეთებლებისა — 5-დან 24 პროცენტამდე გაიზარდა.

ავტომატური ხაზების ამწყობი, რომელსაც სხვადასხვა კონსტრუქციის მქონე რამდენიმე დაზგასთან უხდება მუშაობა, მეთვალყურეობას უწევს ავტომატურ ხაზებში გაერთიანებულ აგრეგატებს და საჭიროების შემთხვევაში მათს შეფერხებებსაც კი უვნებელყოფს. ასეთი აქტიური ჩარევა ავტომატური ხაზების გამართული მუშაობის უზრუნველსაყოფად ამწყობს მხოლოდ მაშინ შეუძლია, როდესაც კარგად ესმის თითოეული აგრეგატის სამუშაო ფუნქცია, წარმოების ტექნოლოგია, აგრეთვე ტექნიკური პირობები, რომლებიც ავტომატური დანადგარების როგორც ნორმალურ მუშაობას, ისე შეფერხებებს განსაზღვრავენ.

თანამედროვე პირობებში შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედების აუცილებელი შედეგია საწარმოო პროფილის გაფართოება, ფართო პროფილის მუშაკთა ფორმირება. მუშაკის მიერ მომიჯნავე, ხოლო ზოგჯერ დაშორებული სპეციალობის დაუფლება არამც თუ სასურველი, არამედ სასიცოცხლო, აუცილებელი ხდება. მოწინავე შრომითი კოლექტივის წევრები ჩაბმულნი არიან მოძრაობაში, რომელიც სხვადასხვა მონათესავე სპეციალობების შესწავლისა და შეთავსების მიზნით მიმდინარეობს. ასეთ კოლექტივებში მუშები ენაცვლებიან ერთმანეთს, ურთიერთს ეხმარებიან და კონტროლს უწევენ საერთო ინტერესებისათვის.

ფართოვდება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის სამუშაო ფუნქციებიც.

განსაკუთრებით ფართოდ ვრცელდება მოძრაობა მეორე, მომიჯნავე პროფესიის დასაუფლებლად. მუშა-ოპერატორები ამწყობის ფუნქციებს ეუფლებიან; ხუროები კალატოზის სპეციალობას ითავსებენ და სხვ. ტექნიკური პროგრესის, შრომის ხასიათის შეცვლის და

ამის შესაბამისად წარმოების მუშაკთა მეცნიერულ-ტექნიკური დონის ამაღლების კვალობაზე მოსალოდნელია, რომ ამწყობის სპეციალობას ტექნოლოგის, მერემონტისა და თვით კონსტრუქტორის სპეციალობებიც კი შეუერთდეს.

შრომითი ფუნქციების მონაცვლეობის ფორმა, — მეორე პროფესიის შეთავსება, ამჟამად თითქმის ყველა სამრეწველო საწარმოში ვეხვდება. წარმოების მუშაკი არ კმაყოფილდება საკუთარი უშუალო შრომითი ფუნქციით და მას მომიჯნავე პროფესიის შრომითი ფუნქციით ან ფუნქციებით ამდიდრებს.

რაც უფრო მეტად ინერგება ტექნიკური სიახლეები წარმოებაში, მით უფრო იზრდება საშუშაო ფუნქციების ინტეგრაციის მოთხოვნილება. ავტომატიზაციის ღონისძიებათა გატარება კიდევ მეტად დაჩქარებს სამუშაო ფუნქციების კომბინირებისა და შეთავსების პროცესს. მთელი რიგი ძველი პროფესიების ქრობა, გაერთიანება ან შერწყმა ახალ პროფესიებად წარმოების იმპერატიული მოთხოვნაა.

შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედების გამოვლინების ფორმაა აგრეთვე წარმოების მუშაკთა რ ა ც ი ო ნ ა ლ ი ზ ა ტ ო რ უ ლ ი და გ ა მ ო მ გ ო ნ ე ბ ლ ო ბ ი თ ი საქმიანობა.

ის გარემოება, რომ: ა) წარმოების საშუალებები სოციალისტურ საკუთრებას შეადგენს და წარმოების მიზანი ადამიანთა მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის, მათი კეთილდღეობის უზრუნველყოფაა; ბ) საზოგადოების და პიროვნების ინტერესთა შესაბამისობა და ამ შესაბამისობის შეგნება, მაღალი მორალური სტიმულები; გ) მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა და მიახლოება ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის კულტურულ-ტექნიკური განათლების დონემდე; დ) მატერიალური დაინტერესება შრომის როგორც საზოგადოებრივი, ისე პირადი შედეგებით და სხვა მნიშვნელოვანი ფაქტორები განაპირობებენ იმას, რომ უშუალო მწარმოებლის შრომა თანდათანობით შემოქმედებითი ძიების ელემენტებით ივსება, ნოვატორობას, გამომგონებლობასა და რაციონალიზატორობას ფართო გასაქანი ეძლევა. ერთი და იგივე პიროვნება ერთსა და იმავე დროს როგორც მუშის, ისე რაციონალიზატორის და გამომგონებლის ფუნქციას ასრულებს, მაშასადამე, მის შრომითს საქმიანობაში საწარმოო ფუნქციებს ისეთი ფუნქციებიც ენაცვლება, რომლებიც მის უშუალო საწარმოო მოვალეობათა ფარგლებს სცილდება.

თავის მხრივ ახალი ტექნიკური და ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენება და მათი გაუმჯობესების გზების ძიება მუშა-რაციონალიზატორების წინაშე მეცნიერების ძირითადი პრინციპების შეთვისების ამოცანას აყენებს. ამ თვალსაზრისით მუშა-რაციონალიზატორის შრომა საინჟინრო-ტექნიკური, საკონსტრუქტორო და მეცნიერუ-

ლი საქმიანობის ელემენტებს შეიცავს, სხვადასხვა სახეობის შრომითი საქმიანობის ინტეგრაციის მაჩვენებელია.

უეჭველია, რომ მომავალი საწარმოო პროგრესი წარმოების მუშაკის შრომითი საქმიანობის მონაცვლეობის ახალ ფორმებს და ნაირსახეობებს წარმოშობს. შრომითი საქმიანობის ყოველ რგოლში ერთმანეთს შეერწყმება გონებრივი და ფიზიკური ძალისხმევის ელემენტები. მაგრამ წარმოების ცვალებადი მოთხოვნილებების შესაბამისად მუშაკთა გარდაქმნის, მათ საქმიანობაში განსხვავებული შრომითი ფუნქციების მონაცვლეობის ტენდენცია ამჟამად ნათლად არის გამოკვეთილი.

ამასთან ადამიანის საქმიანობის მთელი მრავალფეროვნება საკუთრივ შრომითი ოპერაციების მონაცვლეობაზე არ დაიყვანება. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე თანდათანობით იზრდება წარმოების მუშაკის განკარგულებაში არსებული თავისუფალი დრო, რაც მას საშუალებას აძლევს არასაწარმოო სფეროშიც სრულად გამოავლინოს თავისი უნარი და მიდრეკილებანი.

საქმიანობის მონაცვლეობის შინაარსი განსაზღვრულია როგორც საზოგადოებრივი ისე ინდივიდუალური ინტერესებით, პიროვნების გონებრივი, ფიზიკური, ესთეტიკური, მორალური მოთხოვნილებებით. ინდივიდის საქმიანობაში ერთმანეთს ენაცვლებიან და ერთმანეთის ადგილს იჭერენ სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციები.

სახელმწიფო, სამეურნეო, საზოგადოებრივ მართვა-გამგებლობაში მონაწილეობა, ჯანსაღი დასვენება და კულტურული გართობა, ესთეტიკური სრულყოფა და სპორტი, სოციალური აქტიურობის მრავალფეროვანი სახეები, განუშორებელია ადამიანის სისხლსავსე ცხოვრებისაგან.

შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების ლიკვიდაცია, როგორც პიროვნების ყოველმხრივი განვითარების წანამძღვარი. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება შრომითი საქმიანობის დიფერენციაციასა და ცალკეულ სახეობებად თანაარსებობას გულისხმობს [1]. იგი განსაზღვრულია თვით მატერიალური წარმოებისა და კვლავწარმოების საჭიროებით. იმისათვის, რომ დაიკმაყოფილონ საარსებო მოთხოვნილებანი, ადამიანებმა ხელი უნდა მიჰყონ წარმოებას, უნდა შექმნან მატერიალური დოვლათი. მაგრამ მატერიალურ, მით უმეტეს სულიერ ღირებულებათა შექმნის პროცესი არ არის მარტივი და

---

[1] შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და მისი როლის შესახებ პიროვნების განვითარებაში იხ. Курилев А. К. Разделение труда и всестороннее развитие личности. М., 1968. Левицкий Н. А. Проблемя общественного разделения труда К., 1979. ჩიქავა ლ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება სოციალიზმის დროს. თბ., 1964.

ერთგვაროვანი. ყოველი სახეობის პროდუქტის დამზადება ადამიანისაგან მოითხოვს განსხვავებული საწარმოო ოპერაციების შესრულებას პროდუქტის დამუშავების თავისებურებების გათვალისწინებით და სხვადასხვა იარაღებისა და მასალების გამოყენებას სრულიად სხვადასხვა პირობებში. ამიტომ, ისტორიულად ადამიანები იძულებული გახდნენ გაენაწილებინათ შრომა, შრომის იარაღები და საგნები, დახელოვნებულიყვნენ ამა თუ იმ სახეობის პროდუქტის წარმოებაში, გაეცვალათ საქმიანობა ერთმანეთს შორის. საზოგადოებაში იქმნება ყველაფერი, რაც აუცილებელია ადამიანთა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. მაგრამ ყოველივე ეს განსხვავებული ხელებით და იარაღებით იქმნება. თითოეული მწარმოებელი მისი გარემომცველი საზოგადოებისაგან საქმიანობის ურთიერთგაცვლის გზით იღებს მისთვის საჭირო პროდუქტებს.

ამრიგად, შრომის სხვადასხვა სახეების თანაარსებობა და საქმიანობის ურთიერთგაცვლა ადამიანთა ეკონომიკური ურთიერთობის განუყოფელი მხარეა და საერთოდ რომ ითქვას, — საზოგადოებრივი წარმოების არსებობის აუცილებელი პირობაა.

კაცობრიობის ისტორია შრომის დანაწილების მრავალ ფორმას იცნობს. საზოგადოების განვითარების ადრეულ საფეხურებზე შრომის დანაწილების ყველაზე გავრცელებულ სახეობას შრომის ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა წარმოადგენდა. იგი წარმოიშვა ფიზიოლოგიურ საფუძველზე, ადამიანთა სქესობრივი და ასაკობრივი სხვაობიდან. პირველყოფილი თემური საზოგადოების წევრები სქესის და ასაკის გათვალისწინებით განსხვავებულ შრომით საქმიანობას ეწეოდნენ და მათი შენაკრებით ოჯახის, გვარის, თემის არსებობისათვის აუცილებელ ერთობლივ პროდუქტს ქმნიდნენ.

საწარმოო ძალთა განვითარების შედეგად შეუძლებელი გახდა მკვეთრად დაცილებადი სხვადასხვა შრომითი საქმიანობა ერთი და იმავე ადამიანთა მიერ. ერთი და იგივე ტომები ეწეოდნენ როგორც მიწათმოქმედებას, ისე მესაქონლეობას. მაგრამ მიწათმოქმედების, აგრეთვე მეცხოველეობის ინტერესებმა თითოეულ მათგანში მოითხოვა შრომის ინტენსიური ხარჯვა. გარდა ამისა, მეჯოგეობის განვითარებას ხშირი ადგილგადანაცვლება ესაჭიროებოდა, რაც საკუთრივ სამიწათმოქმედო საქმიანობის ხასიათთან შეუთავსებელი იყო. მოხდა შრომის პირველი დიდი დანაწილება — მ ე ჯ ო გ ე ო ბ ა მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს გამოეყო.

ისტორიული განვითარების შემდგომ ეტაპზე მიწათმოქმედების დარგშიც განხორციელდა შრომითი საქმიანობის შემდგომი დიფერენციაცია, მას მოჰყვა პროდუქტების მრავალფეროვნება და მათი დამზადებისათვის საჭირო დახელოვნება. ადამიანებს უნდა დაემზადე-

ბინათ რკინის სხვადასხვა შრომის იარაღები, მოეყვანათ ხორბალი, ღვინო, ზეთი, ხილი და სხვ., მაგრამ „ასეთი სხვადასხვაგვარი საქმიანობის შესრულება ერთი და იმავე პირს უკვე აღარ შეეძლო; მოხდა შრომის მეორე დიდი დანაწილება; ხ ე ლ ო ს ნ ო ბ ა გ ა მ ო ე ყ ო მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ს“[1].

მიწათმოქმედების, მეჯოგეობისა და ხელოსნობის ცალ-ცალკე განვითარებამ ის გამოიწვია, რომ თითოეულ დარგში შრომის პროდუქტის ნაწილი სულ უფრო და უფრო მეტი რაოდენობით მზადდებოდა უშუალოდ გაცვლის მიზნით, იგი აღემატებოდა საკუთარი მოხმარებისათვის საჭირო ზომებს. ამან საქმიანობის ახალი სახეობა წარმოშვა — პროდუქტთა გაცვლა-გამოცვლა. მიწათმოქმედებსა, მეჯოგეებსა და ხელოსნებს შორის უშუალო მწარმოებლებს გამოეყვნენ ადამიანები, რომლებიც მხოლოდ პროდუქტთა გაცვლას ეწეოდნენ. საქმიანობის ახალ სახეობად ვ ა ჭ რ ო ბ ა იქცა.

ხელოსნობის გამოყოფამ და მისმა დიფერენციაციამ, აგრეთვე ვაჭრობის განვითარებამ დასაბამი მისცა ქალაქური ცხოვრების წესის შემოღებას და შრომის დანაწილების გაღრმავებას ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას შორის.

კ. მარქსი ეთანხმებოდა სკარბეკს და შრომის დანაწილებას წარმოების მსხვილ გვარეობებად შ რ ო მ ი ს ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა ს უწოდებდა. მაგრამ შრომის დანაწილება, შრომის ცალკეულ სახეობებად გამოყოფა და მათი თანაარსებობა ხდება არა მარტო დარგებს შორის, არამედ დარგებს შიგნითაც. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ვაჭრობისა და სხვა სფეროებში სულ უფრო და უფრო გაღრმავდა შრომის სპეციალიზაცია, წარმოიშვა ადამიანის შრომითი საქმიანობის ახალ-ახალი სახეები.

თანამედროვე სოციალისტურ მრეწველობაში შრომა დანაწილებულია ისეთ ქვედარგებს შორის, როგორიცაა მანქანათმშენებლობა და ლითონდამუშავება, ელექტროენერგიისა და თბოენერგიის მრეწველობა, სათბობის მრეწველობა, შავი და ფერადი მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, საშენ მასალათა მრეწველობა, სატყეო, ხის დასამუშავებელი და ქაღალდის მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საგნების წარმოება. თითოეული ეს დარგი თავის მხრივ, მრავალ ქვესახეს მოიცავს. შრომითი საქმიანობის მთელ რიგ ქვედარგებს და ქვესახეობებს აერთიანებს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო წარმოება, კაპიტალური მშენებლობა, ტრანსპორტი, ვაჭრობა, მეცნიერება, ხე-

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, თბ., 1953, გვ. 224.

ლოვნება და ა. შ. წარმოების მსხვილ გვარეობათა შიგნით შრომის დანაწილებას სახეობებად და ქვესახეობებად კ. მარქსი შრომის განსაკუთრებულ დანაწილებას უწოდებდა. მაგრამ შრომის დანაწილება არც ამ საფეხურზე მთავრდება. იგი დანაწილებულია აგრეთვე ცალკეულ ადამიანთა შორის საწარმოო და არასაწარმოო დანიშნულების ობიექტებზე, სადაც თითოეული ადამიანის შრომითი საქმიანობა უშუალოდ ვლინდება. კ. მარქსის განმარტებით ეს არის შრომის ცალკეული დანაწილება.

საზოგადოებაში შრომა დანაწილებულია ტერიტორიულადაც. „საზოგადოდ შრომის დანაწილებასთან უშუალოდ დაკავშირებულია, შრომის ტერიტორიული დანაწილება, ცალკეული რაიონების სპეციალიზაცია ერთი პროდუქტის, ზოგჯერ ერთი ხარისხის პროდუქტის ან კიდევ პროდუქტის განსაკუთრებული ნაწილის წარმოებაში" [1].

შრომის ტერიტორიული დანაწილება ემყარება ბუნებრივ და ეკონომიკურ თავისებურებებს, რაც დამახასიათებელია სხვადასხვა რეგიონების, მხარეებისა და ქვეყნებისთვისაც კი. ამიტომ იგი ხდება საფუძველი შრომის საერთაშორისო დანაწილებისა, რომელიც თანამედროვე მსოფლიოში შემდეგი ფორმებით ხორციელდება: შრომის დანაწილება სოციალისტურ ქვეყნებს შორის, კაპიტალისტურ ქვეყნებს შორის, სხვადასხვა სოციალური სისტემის ქვეყნებს შორის.

შრომის დანაწილება ცვალებადობას განიცდის არა მარტო საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების მიხედვით. არამედ ფორმაციის შიგნითაც. ეს გამოწვეულია შრომ' იარაღების სრულყოფის სხვადასხვა დონით ერთი და იმავე საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების განვითარების განსხვავებულ ეტაპებზე. მაგალითად, შრომის მანუფაქტურული დანაწილება უარყო კაპიტალისტურმა მანქანურმა წარმოებამ შრომის სპეციფიკური დანაწილებით. წარმოების ტექნიკური საფუძვლების ცვლა გადატრიალებებს იწვევს თვით შრომის დანაწილების სისტემაშიც, მაგრამ რა ფორმებითაც არ უნდა განხორციელდეს შრომის დანაწილება, იგი, ზოგადად აღებული, ყოველთვის წარმოადგენს ერთობლივი შრომის დასახსრვას მის შემადგენელ ელემენტებად, ამ ელემენტთა თანაარსებობას საზოგადოებრივი მასშტაბით.

რაკი ადამიანის ფორმირება შრომის პროცესში ხდება, შეუძლებელია შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ინდიფერენტული იყოს პიროვნების მიმართ. აქ საქმე გვაქვს საზოგადოებისა და პიროვნებისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ურთიერთქმედებასთან, რომელიც კონკრეტულ-ისტორიულად უნდა შეფასდეს.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 507.

მაგალითად, XIX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ფრანგი წვრილი მესაკუთრე გლეხების შესახებ, რომლებიც ამ პერიოდში საფრანგეთის მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენდნენ, კ. მარქსი აღნიშნავდა: „მათი წარმოების წესი ერთმანეთისაგან აცალკევებს მათ. იმის ნაცვლად, რომ ურთიერთდამოკიდებულებაში აყენებდეს. განცალკევებას ხელს უწყობს საფრანგეთის ცუდი კავშირურთიერთობის საშუალებანი და გლეხთა სიღატაკე. მათი წარმოების არე, მიწის პატარა ნაკვეთი არავითარ საშუალებას არ იძლევა შრომა დანაწილდეს და მეცნიერების მიღწევები იქნეს მასზე გამოყენებული, მაშასადამე, მრავალმხრივი განვითარება, ნიჭთა სხვადასხვაობა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა მრავალფეროვნება იქნეს მიღებული. თითოეული ცალკე გლეხის ოჯახი თავისთავს თვითთვე იკმაყოფილებს, ის თვითვე ამზადებს თავისი მოხმარების საგანთა უდიდეს ნაწილს და, ამრიგად, თავის საარსებო საშუალებებს უფრო ბუნებასთან გაცვლით მოიპოვებს, ვიდრე საზოგადოებასთან აღებმიცემობით“ [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). მაშასადამე, ამ კონკრეტული შემთხვევის მიმართ უნდა ითქვას, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შეზღუდვას ნეგატიური მნიშვნელობა ჰქონდა საზოგადოებისა და საკუთრივ პიროვნების განვითარებისათვის.

უკვე ანტიკური პერიოდის მოაზროვნეები ცნობდნენ, რომ ადამიანის სხვადასხვა მიდრეკილება და ტალანტი ყოველთვის შესაფერ სამოქმედო სფეროს ირჩევს და რომ ადამიანს მხოლოდ ამ სფეროში შეუძლია მნიშვნელოვანი შედეგების მოპოვება. შრომის საზოგადოებრივი დანაწილების და თითოეულ რგოლში ადამიანის ადგილოვნების დადებით მნიშვნელობაზე ჯერ კიდევ პლატონმა გაამახვილა ყურადღება: „...როდესაც ადამიანი მხოლოდ ერთ საქმეს აკეთებს, რომელიც მის ნიჭს შეეფერება, ამასთანავე თავის დროზე და ისე, რომ სხვა სამუშაო ხელს არ უშლის, მაშინ ყველაფერი უფრო ადვილად, უხვად და კარგად მზადდება“ [2]. ამავე თვალსაზრისისა იყვნენ თუკიდიდე, ქსენოფონტი და სხვები. ქსენოფონტის თანახმად „სრულიად შეუძლებელია, რომ ადამიანმა, რომელიც ამდენ სხვადასხვა საქმეს ჰკიდებს ხელს, ყველაფერი კარგად გააკეთოს. მაგრამ დიდ ქალაქებში, სადაც ყოველი ხელოსანი მრავალ მყიდველს პოულობს, ერთი ხელობაც საკმარისია თავის სარჩენად. ხშირად ერთ ადამიანს რაიმე ხელობის მთლიანად ცოდნაც კი არ სჭირდება... აუცილებლად ასეა, რომ ვინც უმარტივეს სამუშაოს ასრულებს, იგი მას უეჭველად სა-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975, გვ. 591—592.

[2] იხ. კ. მარქსი, კაპიტალი,ტ. I, გვ. 465—466.

უკეთესად ასრულებს“ [1]. პლატონის თანამედროვე მწერალი იზოკრატე აღნიშნავდა, რომ „...ვინც ხელობას ხშირად იცვლის, არც ერთ საქმეს საფუძვლიანად არ აკეთებს, ხოლო ვინც მუდამ ერთსა და იმავე ხელობაზეა, თავის საქმეს საუკეთესოდ ასრულებს“ [2]. ამრიგად, ჯერ კიდევ ანტიკური პერიოდის მოაზროვნეები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ საზოგადოებრივი წარმოების სხვადასხვა დარგებად დანაწილება შრომის პროდუქტსა და შრომის იარაღებს აუმჯობესებს, სრულყოფს თვით მწარმოებელსაც, რადგანაც მასში გარკვეულ დახელოვნებას ავითარებს, მისი საწარმოო ჩვევების დახვეწას იწვევს. ისტორიულად ამით გამოვლინდა სწორედ შრომის საზოგადოებრივი დანაწილების პროგრესული მნიშვნელობა. მან საწარმოო ძალთა გაშლას და სრულყოფს, შრომის ახალ-ახალი საშუალებების გამოყენებას, ინდივიდუალური სამუშაო ძალის შრომის ნაყოფიერების ზრდას შეუწყო ხელი.

შრომის მანუფაქტურული დანაწილება აგრეთვე უნდა განვიხილოთ როგორც მნიშვნელოვანი ეკონომიკური ფაქტორი, რომელიც ისტორიული განვითარების აუცილებელ მომენტს შეადგენდა და მაშასადამე, უარყოფითთან ერთად დადებით მხარეებსაც შეიცავდა. კ. მარქსი შრომის მანუფაქტურული დანაწილების როლის შესახებ აღნიშნავდა, რომ „თუ, ერთი მხრივ, იგი საზოგადოების ეკონომიკურად ჩამოყალიბების პროცესში ისტორიულ პროგრესს და განვითარების აუცილებელ მომენტს წარმოადგენს, მეორე მხრივ, იგი ცივილიზებული და გაქნილი ექსპლოატაციის საშუალებაა“ [3].

შრომის მანქანურმა დანაწილებამ კაპიტალიზმის დროს, რომელმაც შრომის მანუფაქტურული დანაწილება შეცვალა, აგრეთვე დიდად განაპირობა საწარმოო ძალთა შემდგომი განვითარება, ობიექტურად, ეკონომიკურად და ტექნიკურად მოამზადა ნიადაგი შრომის დანაწილების თვისებრივად ახალი ფორმის — შრომის სოციალისტური დანაწილების წარმოშობისა და მასთან ერთად ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ხელსაყრელი ფაქტორების მოქმედებისათვის.

დიდად ორგანიზებული და შეწყობილი სოციალისტური წარმოება აღრმავებს შრომის სპეციალიზაციის და კომბინირების პროცესს. ამ გზით უფრო რაციონალურად იყენებს ნედლეულსა და ტექნიკას, აღწევს მაღალ ეკონომიკურ ეფექტს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება დაწყებული მისი უმარტივესი ფორმებიდან, რომლებიც პირველყოფილ-თემურ საზოგადოება-

---

[1] იხ. კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 466.

[2] ი ქ ვ ე.

[3] ი ქ ვ ე, გვ. 464.

ში ჩაისახა, დამთავრებული ურთულესი ფორმებით კომუნისტურ საზოგადოებაში იყო, არის და იქნება საზოგადოებრივი წარმოების აუცილებელი პირობა. კანონზომიერია ერთობლივი საზოგადოებრივი შრომის დანაწილება ადამიანთა შორის, გარდაუვალია თანაარსებობა შრომის დანაწილებული ფორმებისა, რათა საზოგადოების მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდეს. არც ერთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარეშე.

„თვითეულმა ბავშვაც კი იცის, რომ ყოველი ერი შიმშილით აქოწყდებოდა, თუკი ის მუშაობას შეაჩერებდა, არ ვლაპარაკობ ერთი წლით, თუნდ რამდენიმე კვირითაც კი. ასევე ყველამ იცის, რომ იმ პროდუქტთა მასისათვის, რომლებიც მოთხოვნილებათა სხვადასხვა მასას შეეფერება, საჭიროა საზოგადოებრივი ერთობლივი შრომის სხვადასხვა და რაოდენობრივად განსაზღვრული მასა. თავისთავად ცხადია, რომ საზოგადოებრივი შრომის გარკვეული პროპორციით დაყოფის ეს აუცილებლობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მოისპოს საზოგადოებრივი წარმოების განსაზღვრული ფორმით; შეიძლება შეიცვალოს მხოლოდ მისი გამოვლინების ფორმა“ [1].

კ. მარქსი შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას როგორც შრომის ცალკეული სახეების თანაარსებობას სოციალურ ფორმისაგან დამოუკიდებელ მუდმივ კატეგორიად მიიჩნევდა.

„სხვადასხვაგვარ სახმარ ღირებულებათა, ანუ საქონლის სხეულთა ერთობლიობაში ვლინდება ერთობლიობა ასევე მრავალნაირი, თავისი გვარეობით, სახეობით, ჯგუფით, ქვესახეობით, ნაირსახეობით ერთმანეთისაგან განსხვავებული სასარგებლო შრომისა, — ვლინდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. ეს უკანასკნელი საქონელწარმოების არსებობის პირობაა, თუმცა, შებრუნებით, საქონელწარმოება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების არსებობის პირობას არ შეადგენს“ [2]. მაგალითად, ძველი, ინდური თემის შიგნით არსებობდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, მაგრამ არ იყო საქონელწარმოება. აქედან გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება საზოგადოების განვითარების ყოველ საფეხურს ახასიათებს.

სწორედ ამ ძირითადი მნიშვნელობით იყენებდა კ. მარქსი ტერმინს „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება“.

---

[1] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 565.
[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 58.

კაპიტალიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გულისხმობს წარმოების საშუალებათა დაქსაქსვას და საქმიანობის ურთიერთგაცვლას ერთიმეორისაგან დამოუკიდებელ მწარმოებლებს შორის, რაც მაქსიმალური მოგების მიზნით ხორციელდება.

მაგრამ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება გარდუვალია არა მარტო კაპიტალიზმისათვის, არამედ საერთოდ ყოველგვარი საქონელწარმოების პირობებში. იგი „ყოველი საქონელწარმოების საყოველთაო საფუძველს შეადგენს“ [1]. „შრომის დანაწილება მთელ საზოგადოებაში, — სულ ერთია საქონელგაცვლის მეშეობით ხდება იგი, თუ მისგან დამოუკიდებლად, — სრულიად სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას ეკუთვნის“ [2].

ადამიანის შრომა, როგორც კ. მარქსი აღნიშნავს, იმ შრომის საერთო ჯამის ნაწილია, რომელსაც საზოგადოება ხარჯავს [3] და მაშასადამე, ექვემდებარება შრომის დანაწილებას საზოგადოების შიგნით; ის ემატება და ავსებს შრომის სხვა ნაწილებს და პირიქით.

ერთობლივი შრომა დანაწილებულია საზოგადოების წევრებს შორის, რომლებიც საქმიანობას ურთიერთცვლიან და ურთიერთავსებენ. წარმოუდგენელია, რომ თანამედროვე ადამიანის მოთხოვნილებანი დაკმაყოფილდეს შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარეშე, ადამიანმა საკუთარი ფიზიკური და გონებრივი ძალებით მოახერხოს ყველა იმ პროდუქტის დამზადება, რომელიც მისი არსებობისათვის არის საჭირო. ამ მნიშვნელობით არ საბუთდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ლიკვიდაციის აუცილებლობა. სწორედ პირიქით. მომავალი ტექნიკური პროგრესი კიდევ მეტად გააღრმავებს შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას. „საზოგადოებრივი შრომის განუწყვეტელი დანაწილება... იწვევს იმას, რომ წარმოების პროცესები, რომელნიც ერთმანეთის შემავსებელნი არიან, უფრო და უფრო იყოფა დამოუკიდებელ პროცესებად [4]. მისი თანმხლები იქნება შრომის შემდგომი სპეციალიზაცია. „იმისათვის, რომ გაიზარდოს ნაყოფიერება ადამიანის შრომისა, რომელიც მიმართულია, მაგალითად, მთელი პროდუქტის რომელიმე ნაწილაკის დამზადებისაკენ, საჭიროა, რომ მოხდეს ამ ნაწილაკის წარმოების სპეციალიზაცია, იქცეს განსაკუთრებულ წარმოებად, რომელსაც საქმე ექნება მასობრივ პროდუქტთან და ამიტომ დაუშვებს (და გამოიწვევს) მანქანების გამოყენებას“ [5].

---

[1] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 446.
[2] იქვე, გვ. 456—457.
[3] იხ. კ. მარქსი, და ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1964. ტ. I, გვ. 476
[4] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. II, გვ. 13.
[5] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. I, გვ. 105—106.

სოციალისტური წარმოების პირობებშიც შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და მისი შემდგომი სრულყოფა შრომის ნაყოფიერების ზრდის მძლავრი საშუალებაა. წარმოების შემდგომი სპეციალიზაცია და კოოპერირება აჩქარებს ტექნიკურ პროგრესს, აუმჯობესებს შრომის ორგანიზაციას, ზრდის პროდუქციის წარმოებას უმცირესი შრომითი და მატერიალური დანახარჯების პირობებში და ა. შ.

ამასთან, ყოველგვარი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არ წარმოადგენს საზოგადოებრივი და ინდივიდუალური განვითარების ხელშემწყობ პირობას. მარქსიზმის კლასიკოსები ყურადღებას ამახვილებდნენ შრომის, ძველი საზოგადოებრივი დანაწილების ნეგატიურ შედეგებზე, მოითხოვდნენ მის ლიკვიდაციას მომავალ საზოგადოებაში.

შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების მანკიერი მხარეები ჯერ კიდევ მარქსამდელმა მოაზროვნეებმა შენიშნეს. მაგალითად, ეკონომისტ ჯონ ბელერს, „უკვე XVII საუკუნის დამლევს სრულიად ნათლად ესმოდა ახლანდელი აღზრდისა და შრომის დანაწილების მოსპობის აუცილებლობა, რომელნიც საზოგადოების ორივე კიდურზე, თუმცა საპირისპირო მიმართულებით წ ა რ მ ო შ ო ბ ე ნ ჰ ი პ ე რ ტ რ ო ფ ი ა ს და ა ტ რ ო ფ ი ა ს“ [1] ((ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

კ. მარქსის მოწონებას იმსახურებს ჯ. ბელერის ხატოვანი დებულება — ფიზიკური შრომა „სიცოცხლის ჭრაქს ზეთს უმატებს, ხოლო აჩრი მას ანთებს“, რომლითაც აღიარებულია ადამიანის ფიზიკური და გონებრივი საქმიანობის ერთიანობის მიზანშეწონილება, რასაც გამორიცხავს ძველი შრომის საზოგადოებრივი დანაწილება. კ. მარქსი აღნიშნავს, რომ ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთდაცილებას ყურადღება მიაქციეს აგრეთვე ა. ფერგიუსონმა და მისმა მოწაფემ ა. სმიტმა. „მანუფაქტურა ყველაზე მეტად იქ ჰყვავის, სადაც ყველაზე მეტად დახშულია ადამიანის სულიერი მხარე, ასე, რომ სახელოსნო შეიძლება განვიხილოთ როგორც მანქანა, რომლის ნაწილებსაც ადამიანები შეადგენენ“ [2].

ა. სმიტის თანახმად, „ადამიანთა დიდი უმრავლესობის ინტელექტუალური განვითარება აუცილებლად მათი ყოველდღიური საქმიანობით განისაზღვრება. ადამიანს, რომელიც მთელ თავის სიცოცხლეს მცირეოდენი მარტივი ოპერაციების შესრულებას ანდომებს... არა აქვს შემთხვევა ავარჯიშოს თავისი გონება... საერთოდ იგი იმდენად

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 617.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 460.

გონებაჩლუნგი და უვიცი ხდება, რამდენადაც კი შესაძლებელია ისეთი ქმნილებისათვის, როგორიც ადამიანია“ [1].

შრომის ფიზიკურ და გონებრივ საქმიანობად დანაწილების მავნე შედეგები ცნობილი იყო უტოპისტებისათვის, რომლებსაც კარგად ესმოდათ, რომ ასეთ პირობებში შრომის პროცესი ერთი და იგივე მოქმედების ერთფეროვანი, მექანიკური გამეორებით იფარგლება, ხოლო პიროვნება სახიჩრდება ცალმხრივი ოპერაციის განუწყვეტელი შესრულებით.

ფ. ენგელსმა გააკრიტიკა ე. დიურინგი, რომელიც „შრომის დანაწილების ბუნებრივ კანონს ცნობდა: „ეს ფორმულირება მცდარია, რადგან ის მხოლოდ ბურჟუაზიული წარმოებისათვის არის სწორი და სპეციალობათა დაყოფა უკვე იქვე აღმოჩნდება წარმოებისათვის ზღუდის დამდები ინდივიდთა დასახიჩრებისა და გაშეშების გამო, მაგრამ მომავალში იკი სრულიად გაქრება. ჩვენ აქ უკვე ვხედავთ, რომ სპეციალობათა ეს დაყოფა დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ ყაიდაზე დიურინგისათვის წარმოადგენს რაღაც მუდმივ უცვლელ რამეს, რასაც სოციალისტებისათვისაც გააჩნია ძალა“ [2].

ე. დიურინგის საწინააღმდეგოდ, რომლის მიხედვით მომავალ საზოგადოებაში პიროვნება „მ ხ ო ლ ო დ დ ა მ ხ ო ლ ო დ ე რ თ ი სახის საქმიანობას უნდა მისდევდეს“ [3], ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ ერთ გარკვეულ საქმიანობაზე პიროვნების სამუდამო მიჯაჭვა — შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების შედეგია. საზოგადოებას არ შეუძლია „დაეპატრონოს საწარმოო საშუალებებს მთლიანად, ისე რომ ძირფესვიანად არ გადაატრიალოს წარმოების ძველებური წესი და, უწინარეს ყოვლისა, არ მოსპოს შ რ ო მ ი ს ძ ვ ე ლ ე ბ უ რ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა“ [4].

საზოგადოების რევოლუციურმა ძალებმა „...შრომის ძ ვ ე ლ ი დ ა ნ ა წ ი ლ ე ბ ა და მასთან ერთად ქალაქისა და სოფლის გათიშულობა უნდა მოსპონ“ [5].

მაშასადამე, საქმე ეხება არა ყოველგვარი შრომის დანაწილების მოსპობას, არამედ ისეთისას, რომელიც ცალმხრივად ავითარებს ადამიანის მრავალფეროვან უნარსა და მიდრეკილებებს. ე. დიურინგი, მართალია, სოციალისტური საზოგადოების პიროვნებას უფლებას უტოვებდა, რომ საქმიანობის ესა თუ ის დარგი საკუთარი ნიჭისა და მიდრეკილების შესაბამისად აერჩია. მაგრამ იფარგლებოდა ამით,

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 460.
[2] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, გვ. 432.
[3] ი ქ ვ ე, გვ. 348.
[4] ი ქ ვ ე. გვ. 356.
[5] ი ქ ვ ე, გვ. 357.

პროფესიული შეზღუდულობის დაძლევას არ მოითხოვდა. „გამოდის, რომ საზოგადოება მთლიანად საწარმოო საშუალებათა ბატონი უნდა გახდეს, ხოლო თითოეული ცალკე პირი თავისი საწარმოო საშუალებების მონა დარჩეს, მხოლოდ ისე, რომ მას მხოლოდ უფლება ექნება თავისი დამონების განსაზღვრული საშუალება ამოირჩიოს“ [1].

დიურინგის მიხედვით კაცობრიობა მომავალშიც დამახინჯებულ „ეკონომიკურ სახესხვაობებად“ იქნება დანაწილებული მეურმე-მეეტლეების, ხუროთმოძღვრების და სხვა პროფესიის ადამიანების მსგავსად. იმისათვის, რომ ადამიანის პროფესიული შეზღუდულობა მოისპოს, აუცილებელია „ძირფესვიანად დაიმსხვრეს წარმოების ძველი წესი და განსაკუთრებით კი უნდა გაქრეს შრომის ძველი დანაწილება“ [2].

კითხვაზე, თუ რა დაიკავებს შრომის ძველი დანაწილების ადგილს, ფ. ენგელსი უპასუხებდა: წარმოების ისეთი ორგანიზაცია, რომელშიც „მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების საშუალების მაგიერ ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა“ [3], როდესაც თითოეულ ინდივიდს შესაძლებლობა მიეცემა ყოველმხრივ განავითაროს თავისი ნიჭი და უნარი. ფ. ენგელსი მკაცრად ემიჯნებოდა პიროვნების პროფესიული მიჯაჭვულობის იდეას, დაუშვებლად თვლიდა ადამიანთა პროფესიულ შეზღუდულობას კომუნისტურ საზოგადოებაში.

ამავე თვალსაზრისს თანმიმდევრულად იცავდა და ავითარებდა ვ. ი. ლენინი. „კაპიტალიზმი აუცილებლად უტოვებს მემკვიდრეობად სოციალიზმს ერთი მხრივ, ძველ, საუკუნეობით შექმნილ პროფესიულ და ხელოსნურ განსხვავებას მუშებს შორის, მეორე მხრივ, პროფკავშირებს, რომლებიც მხოლოდ მეტად ნელა, წლობით და წლობით შეიძლება ვითარდებოდნენ და განვითარდებიან უფრო ფართო, ნაკლებად ამქრულ, საწარმოო კავშირებად (რომლებიც მოიცავენ მთელ წარმოებებს და არა საამქროებს, ხელობებსა და პროფესიებს) და შემდეგ ამ საწარმოო კავშირების საშუალებით გადავლენ ადამიანთა შორის შრომის დანაწილების მოსპობაზე ყოველმხრივ განვითარებული და ყოველმხრივ მომზადებული ადამიანის აღზრდასა, სწავლებასა და მომზადებაზე, ადამიანებისა, რომლებსაც ყველაფრის გაკეთება ეცოდინებათ“ [4].

ამ დებულებაში კატეგორიულადაა ლაპარაკი ორ ურთიერთდაკავშირებულ პროცესზე — შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილე-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 356.
[2] იქვე, გვ. 356.
[3] იქვე.
[4] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 42.

ბის მოსპობასა და პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაზე. მით უმეტეს, ვ. ი. ლენინი ამ პროცესს „სავსებით განვითარებულ, სავსებით განმტკიცებული და ჩამოყალიბებული, სავსებით გაშლილი და მომწიფებული კომუნიზმის მომავალ შედეგს“ [1] უწოდებს.

მარქსიზმის კლასიკოსების მიხედვით შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილება და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, საბოლოო ჯამში, შეუთავსებელია ერთმანეთთან. შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების სისტემა უნდა დაიმსხვრეს ისევე, როგორც მთლიანად აღებული ძველი კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი. მაგრამ როდესაც ძველი წარმოებითი ურთიერთობები ისპობა, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ საზოგადოება თავიდან იშორებს ყოველგვარ წარმოებით ურთიერთობებს. ეს ეხება შრომის ძველ დანაწილებასაც. წარმოების პროცესში ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობის ნაცვლად სოციალიზმის დროს იმარჯვებს მეგობრობისა და თანამშრომლობის ურთიერთობა, რომელიც სოციალისტურ საკუთრებას და მის განმტკიცებასა და განვითარებას ემყარება. იგივე ითქმის შრომის საზოგადოებრივი დანაწილების მიმართ. სოციალიზმის დროს და მით უმეტეს კომუნიზმის პირობებში ადამიანები ინაწილებენ და გაინაწილებენ გეგმაზომიერად წარმართულ საზოგადოებრივ შრომას ერთმანეთს შორის, გაცვლიან საქმიანობას ერთმანეთში, რაც როგორც საზოგადოების, ისე ინდივიდის ინტერესებს შეესაბამება. ამაში მდგომარეობს ის შინაარსეული სპეციფიკურობა, რასაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობების ლიკვიდაციის შემდეგ იძენს.

სოციალიზმის დროსაც ადამიანის შრომა საზოგადოებრივი შრომის ჯამის ნაწილია, ორგანულ კავშირშია შრომის სხვა ნაწილებთან.

როდესაც შრომის დანაწილების შენარჩუნებაზე ლაპარაკობდნენ, მარქსიზმის კლასიკოსებს მხედველობაში ჰქონდათ არა შრომის დანაწილება საერთოდ, არამედ მისი გარკვეული სახეები, რომლებმაც მართლაც უნდა განაგრძონ არსებობა კომუნისტურ საზოგადოებაში. ეს ვრცელდება მაგალითად, შრომის საყოველთაო, განსაკუთრებულ და ცალკეულ დანაწილებაზე. კომუნიზმის დროსაც სახალხო მეურნეობას ექნება თავისი დარგები, ქვედარგები და ქვესახეები; ცხადია, ერთიანი ტექნიკური ბაზისის პირობებში მათ შორის კავშირი უფრო განმტკიცდება, მაგრამ განსხვავებაც დარჩება. მაშასადამე, ადამიანები თავიანთ შრომით უფლებებსა და მოვალეობებს წარმოების განსხვავებულ სფეროებში გამოავლენენ. ისინი გაინაწილებენ ერ-

---

[1] ვ. ი. ლენინი, ნაწ., ტ. 31, გვ. 42—43.

თობლივ შრომას შრომის ერთობლიობისათვის, მთელი საზოგადოების საწარმოო საქმიანობის კომბინირებისათვის.

მაშინ საკითხავია, თუ რა მნიშვნელობით ლაპარაკობენ მარქსიზმის კლასიკოსები შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ლიკვიდაციაზე კომუნიზმის პირობებში?

კატეგორიულად უნდა აღინიშნოს, რომ ისინი უარყოფდნენ არა შრომის დანაწილებას, რომელიც აუცილებელია წარმოების არსებობისა და განვითარებისათვის, საზოგადოებრივი და ინდივიდუალური პროგრესისათვის, არამედ შრომის ძველ დანაწილებას, რომელიც მშრომელი ადამიანის დამონებას იწვევს.

შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილება ადამიანს ან გონებრივი ან ფიზიკური შრომისათვის, ხოლო თითოეულის შიგნით — ვიწრო პროფესიული მონობისათვის სწირავდა. იგი გულისხმობდა ერთიანი საზოგადოებრივი შრომის დანაწილებას ადამიანთა შორის ექსპლოატატორთა ეკონომიკური და პოლიტიკური მიზნების განსამტკიცებლად, ამასთან თითოეული პირის ჩაბმას ფიზიკური ან გონებრივი შრომის ამა თუ იმ სახეობაში, ხოლო ამ სახეობის შიგნით — ამა თუ იმ მეტად შეზღუდულ, ვიწრო სპეციალობაში მთელი სიცოცხლის მანძილზე.

შრომის დანაწილების ამ სახეობას — შრომის დანაწილებასა და დაპირისპირებას ფიზიკურ და გონებრივ შრომას შორის, მარქსიზმის კლასიკოსები უწოდებდნენ „შრომის დამმონებელ, დამასახიჩრებელ დანაწილებას", „შრომის პროფესიულ დანაწილებას", რომელიც ექსპლოატატორულ საზოგადოებათა წარმოებით ურთიერთობებს შეესაბამებოდა.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ამ ფორმას, — შრომის დანაწილებას ფიზიკურ და გონებრივ მუშაკებს შორის საზოგადოებრივი მასშტაბით, მის მომავალს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ შრომის ნამდვილი საზოგადოებრივი დანაწილება არსებობს მას შემდეგ, რაც გონებრივი შრომა ფიზიკურს გამოეყო. „შრომის დანაწილება ნამდვილ დანაწილებად იქცევა მხოლოდ იმ მომენტიდან, როცა მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება ჩნდება" [1].

ეს დანაწილება ფაქტიურად თავს იჩენს აგრეთვე როგორც შრომის პროფესიული დანაწილება: თითოეული ადამიანი გონებრივი ან ფიზიკური შრომის გარკვეულ მონაკვეთზეა მიმაგრებული მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ამიტომ მისი შრომითი საქმიანობა პროფესიულ გარსშია გახვეული.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975. გვ. 28.

ცხადია, შრომის დანაწილება ფიზიკურ და გონებრივ საქმიანობად პროფესიულ დანაწილებაზე არ დაიყვანება. მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს. პროფესიული დანაწილება ხორციელდება თვით გონებრივი შრომის დარგშიც და ფიზიკური შრომის სფეროშიც, ამიტომ იგი ფიზიკური და გონებრივი შრომის დანაწილების მხოლოდ ერთ მომენტს გამოხატავს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ყველა სხვა შემთხვევაში ნიშნავდა ადამიანთა დანაწილებას შრომის პროცესში, შრომის დანაწილებას ადამიანთა შორის. მაგრამ როდესაც ვეხებით შრომის დანაწილებას ფიზიკურ და გონებრივ მომუშავეთა შორის, მხედველობაში არ გვაქვს მხოლოდ ზემოთ დასახელებული მომენტი. საქმე ისაა, რომ აქ ადგილი აქვს აგრეთვე ს ა კ უ თ რ ი ვ შ რ ო მ ი ს, როგორც ერთიანი პროცესის დაყოფას მის სუბსტანციურ შემადგენელ ელემენტებად — ფიზიკურ და გონებრივ შრომად. იგი შრომის დანაწილების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით წარმოადგენს საკუთრივ შრომის გაორებას მისი მხარეების ურთიერთგამოცალკევებით, საკუთრივ შრომის გახლეჩას ფიზიკურ და გონებრივ საქმიანობად და თითოეული მათგანის დამოუკიდებლად არსებობას და განვითარებას.

შრომის დანაწილება ფიზიკურსა და გონებრივ შრომას შორის აღნიშნავს თვით შრომის წიაღში მომხდარ დანაწილებას, შრომის ბუნებრივი ელემენტების გათიშვას, დაშორებას და დაპირისპირებას საზოგადოებრივი მასშტაბით, ადამიანთა მიმაგრებას ფიზიკური ან გონებრივი შრომის რომელიმე სახეობასთან მთელი სიცოცხლის მანძილზე. იგი, სხვა მომენტებს კიდეც რომ არ მივაქციოთ ყურადღება, აუცილებლობით გულისხმობს ცალკე ფიზიკური შრომის მუშაკებისა და ცალკე გონებრივი შრომის მუშაკების არსებობას. ვიდრე ძალაშია ამ სახის შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, ადამიანები გაერთიანებული იქნებიან ან ფიზიკური, ან გონებრივი შრომის მუშაკთა კატეგორიაში.

შეიძლება თუ არა ვამტკიცოთ, რომ კაცობრიობისათვის გარდუვალია ადამიანის საქმიანობის ამგვარი გაორება? არა. ფიზიკურ და გონებრივ სახეებად შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ისტორიული კატეგორიაა. იგი წარმოიშვა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ საფეხურზე და მოისპობა იმავე მიზეზით — საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობით. პირველყოფილ-თემური წყობილება არ იცნობდა გონებრივ შრომას, როგორც გამოცალკევებულ ადამიანურ მოღვაწეობას.

საწარმოო ძალთა განვითარებამ, შრომისნაყოფიერების ზრდამ, რამაც ადამიანთა გარკვეული ნაწილი უშუალო ფიზიკური საქმიანობისაგან გამოათავისუფლა, ქალაქის გამოყოფამ სოფლისაგან, დასაბამი მისცა საზოგადოების წევრთა გათიშვას ფიზიკური და გონებრივი შრომის მუშაკებად და დაპირისპირებას მათ შორის.

ისტორიული განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ადამიანთა ორი დიდი ჯგუფი, რომელთაგან ერთი ფიზიკურს, ხოლო მეორე გონებრივ შრომას მიეჯაჭვა. ექსპლოატატორულმა წყობილებამ ფიზიკური შრომის ადამიანებს გზა გადაუჭრა გონებრივი პროგრესისაკენ და პირიქით, ფიზიკურ შრომას გონებრივი დარგის მუშაკები ჩამოაშორა. ამას შედეგად ქალაქელთა ფიზიკური დაუძლურება და სოფლელთა გონებრივი დაჩლუნგება მოჰყვა[1]. ეს დაპირისპირება თანდათანობით მზარდ, ღრმა სოციალურ ჭრილობად იქცა, რადგან ადამიანთა პროფესიული საქმიანობა სულ უფრო დაქუცმაცდა, ხოლო ვიწრო საქმიანობის განვითარებას მსხვერპლად შეეწირა ადამიანის მთელი ფიზიკური და გონებრივი უნარი. ხელოსნობის შეცვლა მანუფაქტურული წარმოებით გარკვეული ეტაპი იყო პიროვნების უნარის ცალმხრივად განვითარებაში. მანუფაქტურულმა წარმოებამ დაამახინჯა მუშა, ხელოვნურად გაწვრთნა მასში ერთი რომელიმე სპეციალური უნარი, დაუხშო მას დანარჩენ საწარმოო მიდრეკილებათა და უნართა სამყარო, საკუთარი არსებობის პირობად აქცია პიროვნების მთლიანობის უხეში დარღვევა, შექმნა სტანდარტული ინდივიდი, რომელიც მხოლოდ ცალმხრივი განსაკუთრებული ფუნქციის შესასრულებლად იყო გამოსადეგი. მანუფაქტურული წარმოება „სასიცოცხლო ფესვებში სწვდება“ ინდივიდუალურ სამუშაო ძალას, „ხელოვნურად ავითარებს მასში მარტოოდენ ერთ ცალმხრივ დახელოვნებას მთელი მისი დანარჩენი მწარმოებლური მიდრეკილებისა და ნიჭის ჩახშობის გზით, — მსგავსად იმისა, როგორც ლა-პლატის სახელმწიფოებში ცხოველს კლავენ. რათა მისი ტყავი ან ქონი მიიღონ“[2].

ეს ნიშნავდა ნაწილობრივი სამუშაოების არა უბრალო დანაწილებას ინდივიდებს შორის, არამედ თვით ინდივიდთა დანაწილებას და მათ გადაქცევას ნაწილობრივი შრომის (ამ შემთხვევაში ფიზიკურის) ავტომატურ მამოძრავებელ იარაღად. ამით ინდივიდის შრომიდან გამოიდევნება ცოდნისა და გამოცდილების ის მარაგი, რომელიც მთლიანი შრომითი ოპერაციის შესასრულებლად იყო საჭირო.

„ის ცოდნა, განჭვრეტა და ნებისყოფა, რომელსაც, თუმცა მცირე მასშტაბით ავითარებს დამოუკიდებელი გლეხი და ხელოსანი... ახლა

---

[1] პოლ ლაფარგი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ «Отделение физического труда от умственного нарушило основной закон жизни, гласящий: mens sana in corpore sano (здоровый дух в здоровом теле). Одностороннее занятие физическим трудом притупляет умственные, вообще духовные способности, — точно также и одностороннее занятие умственным трудом разрушительно действует на него, доводя интеллигентных людей до исчезновения мускулов, малокровия и нервной болезни, истощая весь организм. П. Лафарг. Умственный труд и машина. 1960, стр. 89—90.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 458.

საჭიროა მხოლოდ მთელი სახელოსნოსათვის“ [1]. კ. მარქსის სიტყვებით, წარმოების სულიერი პოტენცია აფართოებს თავის მასშტაბს ერთ მხარეზე, ხოლო სრულიად აქრობს მას სხვა მრავალ მხარეზე და უპირისპირდება მუშებს როგორც სხვისი საკუთრება და მათზე გაბატონებული ძალა.

პიროვნების შემდგომი სულიერი და ფიზიკური დამახინჯება კაპიტალისტური წარმოების წესის განვითარების კვალდაკვალ გაგრძელდა. მსხვილი მრეწველობის, მანქანური წარმოების პირობებში პიროვნება მანქანის უბრალო დანამატად გადაიქცა.

„მანუფაქტურასა და ხელოსნობაში მუშა იარაღს იმსახურებს, ფაბრიკაში კი თვით ემსახურება მანქანას. იქ შრომის იარაღის მოძრაობა მისგან გამომდინარეობს, აქ კი უნდა მიყვეს მის მოძრაობას. მანუფაქტურაში მუშები ცოცხალი მექანიზმის ორგანოებს წარმოადგენენ. ფაბრიკაში მკვდარი მექანიზმი მათგან დამოუკიდებლად არსებობს და ისინი მასთან დაკავშირებული არიან როგორც ცოცხალი დანართნი“ [2].

დამონებული შრომის მოსაწყენ ერთფეროვნებას ფ. ენგელსი სიზიფეს შრომას უწოდებს.

შრომის საზოგადოებრივი დანაწილების კანონზომიერება, რომელიც ინდივიდის ცალმხრივ განვითარებას იწვევს, არა მარტო პროლეტარებს, არამედ კაპიტალისტური საზოგადოების ყველა სხვა კლასისა და ფენის წარმომადგენლებს იქვემდებარებს.

სოციალური შედეგების თვალსაზრისით ეს უკანასკნელნიც მიჯაჭვული არიან თავიანთ პროფესიაზე, შრომის დანაწილების საშუალებით თავიანთი საქმიანობის იარაღის მონები ხდებიან.

„სულიერად გამოფიტული ბურჟუა თავისი საკუთარი კაპიტალისა და საკუთარი მოგების წყურვილის მონაა. იურისტი მონაა თავისი გაქვავებული სამართლის წარმოდგენებისა, რომლებიც მასზე ბატონობენ დამოუკიდებელი ძალის სახით: „განათლებული კლასები“ საერთოდ, დამონებული არიან მრავალგვარი ადგილობრივი შეზღუდულობისა და ცალმხრივობის ფორმების მიერ... თავიანთი დამახინჯების მიერ, რომელსაც იწვევს ერთი გარკვეული სპეციალობისაკენ მიმართული აღზრდა-განათლება და თვით ამ სპეციალობაზე მიჯაჭვა მთელი სიცოცხლის განმავლობაში, თვით მაშინაც კი, როცა ეს სპეციალობა არაფრის მაქნისია“ [3].

კაპიტალიზმი უკანასკნელი ანტაგონისტური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციაა, რომელიც უკიდურესობამდე აცალმხრივებს

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 459.

[2] ი ქ ვ ე, გვ. 535.

[3] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 350.

პიროვნებას, თელავს მის ადამიანურ ღირსებებს, აღრმავებს უფსკრულს საზოგადოებასა და პიროვნებას შორის.

სოციალიზმი პიროვნებას ათავისუფლებს შემზღუდველი ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური მარწუხებისაგან. კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე და კომუნიზმზე გადასვლის ეპოქა ფართოდ ხსნის საუკუნეობრივი ტყვეობისაგან პიროვნების განთავისუფლების, მისი უნარის ყოველმხრივი და ჰარმონიული განვითარების გზას.

შეიძლება ითქვას, რომ შრომის იმანენტური საზოგადოებრივი დანაწილება შრომის პროცესის ბუნებრივი ერთიანობის უარყოფაა, მისი უარყოფა კი, გარკვეული აზრით, ფიზიკური და გონებრივი შრომის ერთიანობის აღდგენაა. მაგრამ აქ უბრალო აღდგენასთან როდი გვაქვს საქმე. ესაა ფიზიკური და გონებრივი შრომის შერწყმა უმაღლეს სინთეზში. თავისთავად, დამოუკიდებელ არსებობას კარგავს როგორც ფიზიკური, ისე გონებრივი შრომა; ამის შესაბამისად, მომავლის ადამიანები იქნებიან არა მხოლოდ ინტელიგენტები და არა მხოლოდ ფიზიკური მუშაკები, არამედ ინტელიგენტ-მუშაკები, მათ საქმიანობაში ჰარმონიულად გაერთიანდება გონებრივი და ფიზიკური შრომის ელემენტები.

ორი ტენდენცია პიროვნების განვითარებაში. 60-იანი წლების დასაწყისში ჩვენში მიმდინარეობდა ფართო დისკუსია ფილოსოფიის, პოლიტიკური ეკონომიისა და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენელთა შორის პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საკითხებზე. დისკუსიის პროცესში განსაკუთრებით მწვავედ დაისვა შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და პიროვნების ყოველმხრივი განვითარების კავშირმიმართების პრობლემა. ამ საკითხის გარშემო შეიქმნა მოკამათეთა ორი, დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო ჯგუფი. თითოეული ჯგუფი თავის მსჯელობასა და დასკვნას მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გამონათქვამებს უფარდებდა, მაგრამ უთანხმოება ამ გამონათქვამთა სხვადასხვაგვარმა ინტერპრეტაციამ წარმოშვა.

საბჭოთა მეცნიერების ერთ ჯგუფს მიაჩნდა, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ემყარება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალ ფორმას, რომელიც დამახასიათებელი იქნება კომუნისტური საზოგადოებისათვის, რომ პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას შრომის საზოგადოებრივი დანაწილება განაპირობებს.

მაგალითად, ა. კურილოვი, რომლის სტატიითაც დაიწყო დისკუსია ჟურნალ „ვოპროსი ფილოსოფიის" ფურცლებზე, აღნიშნავდა, რომ წარმოების ყოველ ახალ წესს შეესაბამება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ახალი სისტემა[1], „სოციალისტური სპეციალი-

[1] Журн. «Вопросы философии», 1962, № 10, стр. 23.

ზაცია შრომის დანაწილების ახალი ფორმაა“ [1] და შრომის საზოგადოებრივი დანაწილება ადამიანთა შორის, მიუხედავად მისი სოციალურ-ეკონომიკური შინაარსისა, არ გამორიცხავს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას [2].

ანალოგიური იყო ნ. ნოვოსელოვის დასკვნაც: „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება იარსებებს (ცხადია, შეუდარებლად უფრო განვითარებული სახით) კომუნიზმის უმაღლეს ფაზაზეც“, „შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კომუნიზმის დროს არ გამორიცხავს პიროვნების ყოველმხრივი განვითარების შესაძლებლობას“ [3].

ვ. სუხომლინსკის მიხედვით აგრეთვე პიროვნების ყოველმხრივი განვითარება წარმოუდგენელია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების გარეშე. „შრომის დანაწილების გარეშე ვერ მოვიაზრებთ ვერც წარმოების პროცესს, ვერც ადამიანის პიროვნების ჰარმონიულ განვითარებას“ [4].

ზემოთ დასახელებულ ავტორთა მოსაზრებას მხარს უჭერდნენ ვ. ბელოზერცევი, ვ. ფომინა: „შრომის კომუნისტური დანაწილება პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას არ გამორიცხავს“ [5]. ამავე თეზისს იცავდნენ აგრეთვე ა. ანდრეევი, ი. ტიმოშკოვი, ე. სტრუკოვი, ო. კოზლოვა, მ. ბიშაევი, ს. ლენსკაია და სხვები.

საბჭოთა მეცნიერების მეორე ჯგუფი უარყოფდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილების შენარჩუნების აუცილებელ კავშირს პიროვნების ყოველმხრივ განვითარებასთან. ამ ჯგუფის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება მხოლოდ მას შემდეგ არის შესაძლებელი, რაც შრომის საზოგადოებრივი დანაწილება მოისპობაო. მაგალითად, აკადემიკოსი ს. სტრუმილინის თვალსაზრისით „კომუნიზმის გამარჯვება შრომის დანაწილების ლიკვიდაციამდე მიგვიყვანს და პიროვნების ყოველმხრივ, ჰარმონიულ განვითარებას უზრუნველყოფს“ [6].

ს. მ. სტრუმილინის მიხედვით შრომის საზოგადოებრივ დანაწილებას შეცვლის შრომის დანაწილება მანქანებს შორის, ავტომატურ სისტემებს შორის. „როგორც ჩანს შრომის ეს ახალი დანაწილება დაიყვანება „უწინარეს ყოვლისა“, მუშათა განაწილებაზე სპეციალი-

---

[1] Журн. «Вопросы философии». 1962. № 3. стр. 24.
[2] იქვე, გვ. 22.
[3] Журн. «Вопросы философии». 1963. № 3. стр. 50.
[4] იქვე. № 4. стр. 54.
[5] იქვე. № 9. стр. 35.
[6] იქვე. № 3.

ზებულ მანქანებთან. გამოდის, რომ აქ ადამიანები კი არ სპეციალიზირდებიან, არამედ მანქანები“ [1]. რაც შეეხება ადამიანების მიერ ამ მანქანების მართვასა და კონტროლს, იგი განსხვავებული არ იქნება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში.

ცხადია, შრომის საზოგადოებრივი დანაწილების ლიკვიდაცია გარკვეულად აისახება წარმოების პროცესში, მანქანებისა და მათი ავტომატური სისტემების, ტექნიკური ფუნქციების დიფერენციაციასა და ინტეგრაციაში, გადატრიალებებს იწვევს შრომის მანქანურ დანაწილებაში, მაგრამ სწორი არ უნდა იყოს შეხედულება, რომლის თანახმად შრომის საზოგადოებრივი დანაწილება უარყოფილია იმ საბაბით, რომ შრომა მანქანებს შორის ნაწილდება. ჯერ ერთი, შრომის მანქანური დანაწილება კაპიტალიზმის დროსაც არსებობს და მას არავითარი გავლენა არ მოუხდენია შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საფუძვლების შერყევაზე. მეორეც, შრომის მანქანური დანაწილება — ესაა დანაწილება იმ სამუშაო ფუნქციებისა, რომლებიც მანქანებმა უნდა შეასრულოს. ესაა დანაწილება ადამიანების მიღმა, ცხადია, საბოლოო ჯამში, გამოწვეული ადამიანების მიერ. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება კი არის თვით ადამიანების დანაწილება, მათი დანაწილება და დაჯგუფება გარკვეული პროფესიის ფიზიკურ და გონებრივ მუშაკებად.

ამ დისკუსიის მონაწილეს — ვ. ი. ელმეევს მიაჩნდა, რომ შრომის საზოგადოებრივი დანაწილება და პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ერთმანეთთან შეუთავსებელია. „შრომის დანაწილებას ადამიანთა შორის პიროვნების ცალმხრივი განვითარება მოყვება, მის ყოველმხრივ სრულყოფას ეწინააღმდეგება“[2]. და შემდეგ „რაც შეეხება ადამიანთა შორის, სოციალურ ჯგუფებს შორის შრომის დანაწილებას, თვით ეს პრინციპი ლიკვიდირებულ იქნება განვითარებულ კომუნისტურ საზოგადოებაში“[3]. სხვა არგუმენტებით, მაგრამ იმავე დასაბუთებას ცდილობდა კ. სერგეევი. „კომუნიზმის დროს შრომის საზოგადოებრივი დანაწილება — სრულიად შეუძლებელი მოვლენაა, იგი საერთოდ არ უკავშირდება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნებას“ [4].

ამრიგად, როგორც ვხედავთ შრომის საზოგადოებრივი დანაწილებისა და პიროვნების ყოველმხრივი ურთიერთმიმართების საკითხში მეცნიერთა შორის აზრთა ძირეული განსხვავება არსებობდა.

მაგრამ ამ დისკუსიას, გამოთქმულ მოსაზრებათა მკვეთრი განსხვა-

---

[1] С. Г. Струмилин. На путях построения коммунизма. М., 1959, стр. 9—14.
[2] Журн. «Вопросы философии», 1962, № 10, стр. 27.
[3] იქვე.
[4] Журн. «Вопросы философии». 1963, № 11, стр. 92.

ვებულობის მიუხედავად, დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. მის ფონზე შრომის საზოგადოებრივ დანაწილებასთან დაკავშირებით კიდევ უფრო ნათლად გამოიკვეთა ორი ტენდენცია პიროვნების განვითარებაში. სოციალიზმისა და მისი სრულყოფის ეტაპზე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სისტემატურად წარმოშობს და არსებობის პირობად იხდის ორ ობიექტურ ტენდენციას პიროვნების განვითარებაში: ერთი მხრივ ვერ ეგუება და თავიდან იშორებს ადამიანთა ვიწრო პროფესიული შეზღუდულობის ძველ, ისტორიულად დრომოჭმულ ფორმებს და პიროვნებას საკუთარი უნარისა და მიდრეკილებების ყოველმხრივი განვითარების გზაზე აყენებს. მეორე მხრივ კი, მისგან სპეციალიზაციას, გარკვეულ სფეროში მომზადებასა და დახელოვნებას მოითხოვს.

ერთი შეხედვით აქ საქმე გვაქვს გადაუჭრელ წინააღმდეგობასთან, რომლის დაძლევა პიროვნულ შესაძლებლობებს აღემატება. მართლაც, თუ პიროვნება ყოველმხრივად განვითარებულია, უკვე ამ ფაქტის გამო პროფესიული, სპეციალური განათლებითა და მომზადებით თითქოსდა არ უნდა შემოიფარგლოს. ხოლო თუ იგი საქმიანობის გარკვეულ სფეროშია სპეციალიზებული, მისი განვითარების ყოველმხრივობა გამორიცხული უნდა იყოს.

სინამდვილეში ასეთი დასკვნების გამოტანა სწორი არ არის. ან ცალმხრივი განვითარება — ვიწრო პროფესიონალიზმი, ან ყოველმხრივი განვითარება, გაგებული როგორც უნივერსალიზმი — ამაში მდგომარეობს აღნიშნული საკითხის გადაჭრის მეტაფიზიკური ალტერნატივა.

ისმის კითხვა: შეთავსებადია თუ არა ერთმანეთთან პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისა და მისი პროფესიული, სპეციალიზებული განვითარების ტენდენციები? ეს ტენდენციები შეთავსებადია.

პიროვნების ფორმირების დიალექტიკა სწორედ იმაში მეღავნდება, რომ მისი განვითარების ყოველმხრივობა პროფესიულ და სპეციალიზებულ მომზადებას არ უპირისპირდება, ერთიანობაშია იმ დარგის საფუძვლიან ცოდნასა და ფლობასთან, რომელშიც პიროვნება ს უ რ ვ ი ლ ი ს ა მ ე ბ რ არის დასაქმებული.

ამ გიგანტური ნახტომისათვის პიროვნების განვითარებაში აუცილებელია მატერიალური და სულიერი ფაქტორების სრული კომპლექსი; საამისო წანამძღვრები უკვე სოციალიზმის და მისი სრულყოფის ეტაპზე მზადდება[1]. ტექნიკური პროგრესის კვალობაზე

---

[1] Глезерман Г. Е. Рождение нового человека. М., 1982. Ковалев С. М Формирование социалистической личности. М., 1980 Крутова О. Н. Формирование нового человека. М., 1982. Смирнов Г. Л. Советский человек. Формирование социалистического типа личности. М 1980. Фролов И. Т. Перспективы человека. М. 1983. Л. Н. Коган. Цель и смысл жизни человека. М., 1984.

ჩნდება სრულიად ახალი პროფესიები, თანდათანობით იდევნება საწარმოო ძალთა განვითარების ადრინდელი სტადიებისათვის სპეციფიკური პროფესიები, რომლებიც მძიმე ფიზიკურ შრომასთან, მონოტონურ და არაშემოქმედებით გონებრივ სამუშაოებთან იყო დაკავშირებული. ის, რაც ადრე ინდივიდუალური საწარმოო ძალის დახელოვნების ატრიბუტი იყო — შემდგომში ანაქრონიზმად იქცევა. იმ სპეციალობებსა და პროფესიებში კი, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე გამძლეობას ინარჩუნებენ — ტექნიკურ პროგრესს ჭარბად შეაქვს სიახლის ელემენტები, რაც პიროვნებისაგან შრომით შემგუებლობასა და მზარდ დახელოვნებას მოითხოვს. მექანიზებული და არამექანიზებული შრომის თანაფარდობაში განუხრელად და სწრაფი ტემპით იზრდება მექანიზებული შრომის წილი, ხორციელდება ფიზიკური შრომის ინტელექტუალიზაციის პროცესი. თავის მხრივ, მექანიზებული და ავტომატიზებული წარმოება ახალი, თანამედროვე ტექნიკური პროგრესისათვის შესაფერისი პროფესიების საჭიროებას იწვევს. ეს პროცესი მომავალშიც გაგრძელდება. ადამიანები სისტემატურად სრულყოფენ ცოდნას.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, ცხადია, მის აბსოლუტურ სრულყოფას, ინდივიდუალური მომწიფების ისეთ მდგომარეობას არ ნიშნავს, როდესაც შემდგომი პროგრესის შესაძლებლობა ამოწურულია. ყოვლად გაუმართლებელია აგრეთვე, რომ კომუნისტური საზოგადოება იმ ადამიანთა საკრებულოდ წარმოვსახოთ, რომლებსაც იგივეობრივი მიდრეკილებები, ცოდნა, საწარმოო ჩვევები აქვთ.

შრომითი საქმიანობის ყველა სფეროში ადამიანები თავიანთ უნარს, მისწრაფებებს, მოსაზრებულობას, გამოცდილებას და ა. შ. განსხვავებულად გამოავლენენ. იგივე ითქმის საზოგადოებრივი საქმეების მართვის, მეცნიერების, ხელოვნების, სპორტის და სხვ. სფეროების მიმართაც, აქაც ადამიანებს განსხვავებული ინტერესები და მიდრეკილებანი აღმოაჩნდებათ. მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის ყოველ დარგში ისინი სხვადასხვა უნარს, მისწრაფებას, დაინტერესებას წარმოაჩენენ და სხვადასხვა შედეგებს მოიპოვებენ. მაგრამ ყველა მათგანის პროფესიული საქმიანობა კომბინირებული იქნება სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულებასთან, პროფესიული მომზადება ყოველმხრივ განვითარებასთან.

სხვა ფაქტორებთან ერთად, რომლებიც ამ ორი ტენდენციის ერთიანობას უწყობს ხელს, ადამიანთა მუდმივად მზარდი მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. პიროვნებაში არსებული ძალები შეუზღუდავად და ყველა მიმართულებით მხოლოდ მაშინ გაიშლება, როცა მისი გონება სამუდამოდ გათავისუფლდება ყოველდღიური ეკონომიკური

საზრუნავისაგან და საზოგადოებრივი სიმდიდრე სავსებით საკმარისი იქნება საკუთარ მოთხოვნილებათა სრულად დაკმაყოფილებისათვის.

კაპიტალიზმის პირობებში შექმნილ ღირებულებათა განაწილება, კაპიტალისტური წარმოების წესის შესაბამისად ხდება. მოხმარების მეტი საშუალებები იმის განკარგულებაში კი არ გადადის ვინც მეტი იშრომა, არამედ იმისა, ვინც კაპიტალის მფლობელია. „კაპიტალისტური წარმოების წესი იმაზეა დამყარებული, რომ წარმოების ნივთიერი პირობები კაპიტალის საკუთრებისა და მიწის საკუთრების ფორმით არამუშებს ეკუთვნის, მაშინ, როდესაც მასა ფლობს წარმოების მხოლოდ პირად პირობას — სამუშაო ძალას. რაკი წარმოების ელემენტები ასეა განაწილებული, აქედან თავისთავად გამომდინარეობს მოხმარების საშუალებათა თანამედროვე განაწილება“ [1].

კაპიტალიზმს საზოგადოების ერთი, ვიწრო ჯგუფის ხვედრად უზარმაზარი სიმდიდრე, ხოლო ღირებულებათა ნამდვილი შემქმნელებისათვის გაჭირვება და ხელმოკლეობა მოაქვს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში „მუშა არსებულ ღირებულებათა ზრდის მოთხოვნილებისათვის არსებობს, ნაცვლად იმისა, რომ, პირიქით, მატერიალური სიმდიდრე მუშის განვითარების მოთხოვნილებისათვის არსებობდეს. როგორც რელიგიაში ადამიანზე ბატონობს მისი საკუთარი თავის პროდუქტი, ისე კაპიტალისტურ წარმოებაში ადამიანზე ბატონობს მისი საკუთარი ხელის პროდუქტი“ [2].

შრომა როგორც ადამიანის არსებობისა და განვითარების საფუძველი, კაპიტალისტურ საზოგადოებაში „გაუცხოებულია“. შრომის პროდუქტი უპირისპირდება მწარმოებელს „როგორც უცხო არსება, როგორც ძალა, რომელიც დამოუკიდებელია“ [3]: თვით „კერძო საკუთრება არის გასხვისებული შრომის პროდუქტი“.

პიროვნების ფიზიკური და გონებრივი ძალების ყოველმხრივი განვითარებისათვის აუცილებელია, რომ საგნობრივი სინამდვილე „გადამიანურდეს“, ყველა მშრომელისათვის ხელმისაწვდომი გახდეს.

აკრიტიკებდნენ რა მ. შტირნერს, რომლისთვისაც საგნის თვისება, თუკი იგი პიროვნებასთან მიმართებას გამოხატავს, პიროვნებისავე საკუთრებას შეადგენს, კ. მარქსი და ფ. ენგელსი აღნიშნავდნენ, რომ სამყაროს გადაქცევა ადამიანის საკუთრებად მის „ქისაზე და ცხოვრების მდგომარეობაზეა დამოკიდებული. ეს მდგომარეობა მას წილად ხვდება შრომის საზოგადოებრივი დანაწილების საშუალებით, და

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 19—20.

[2] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 783.

[3] К. Маркс. Ф. Энгельс. Из ранних произведений. М., 1956. стр. 560.

გზას უღობავს, რომ „ადამიანურ სამყაროს“ მისწვდეს და დაეპატრონოს.

ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობილების ძირეული განსხვავებულობის გამო პიროვნების განვითარების ახალი გარემო იქმნება სოციალიზმის პირობებში. ადამიანი კლასობრივ-შემზღუდველი არტახებისაგან თავისუფლდება, მის მიერ შექმნილი საგნობრივი სინამდვილე — მისთვის ხელმისაწვდომი ხდება. სულიერი მოღვაწეობაც ჭეშმარიტად ადამიანურ შინაარსს იძენს. მატერიალური და კულტურული ღირებულებანი ადამიანთა სამსახურში დგება. მძლავრი ბიძგი ეძლევა პიროვნების შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარის განვითარებას, მის სწრაფვას პროფესიული მომზადების სრულყოფის, კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

სოციალიზმის პირობებში ხალხის მატერიალური კეთილდღეობა უშუალო და პირდაპირ კავშირშია წარმოების მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური განვითარების დონესთან და მისით განისაზღვრება. ამ დროს „ის შესაძლებლობა, რომ საზოგადოებრივი წარმოების შემწეობით საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფილ იქნეს არსებობა, რომელიც არა მარტო მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ა დ ს ა ვ ს ე ბ ი თ ს ა კ მ ა ო ი ქ ნ ე ბ ა, და ღიმი დღე უფრო ბარაქიანი გახდება, არამედ აგრეთვე მათი ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა ს უ ლ ი ე რ ი ნ ი ჭ ი ს ს რ უ ლ ი ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა დ ა ვ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს გ ა რ ა ნ ტ ი ა ს მ ი ს ც ე მ ს, ეს შესაძლებლობა ახლა პირველადაა მიღწეული, მაგრამ იგი მართლაც მიღწეულია“ [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

ამის მაჩვენებელია უდიდესი წარმატებები საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების, განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის და სხვა სფეროებში.

შემდგომი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საფუძველზე საზოგადოებრივი წარმოება თითოეულ ინდივიდს შეუქმნის ცხოვრებას, რომლის დონე ასევე განუწყვეტლივ ამაღლდება, სულ უკეთ დაკმაყოფილდება ადამიანთა მზარდი მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებები.

მომზადდება მაქსიმალურად ხელსაყრელი მატერიალური პირობები საიმისოდ, რომ პიროვნებამ ერთმანეთთან შეათავსოს საწარმოო შრომითი და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციები, აიმაღლოს განათლება და კულტურა, ისარგებლოს გონებრივი და ფიზიკური სრულყოფის ყველა საშუალებით.

---

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. ანტი-დიურინგი, 1952, გვ. 337.

ამისათვის მარტო მატერიალური კეთილდღეობა საკმარისი არ არის. პიროვნების უნარისა და ნიჭის ყოველმხრივ განსავითარებლად, ამასთანავე, თავისუფალი დროა საჭირო. სოციალისტური საზოგადოება წარმატებით წყვეტს ამ პრობლემასაც.

თავისუფალი დრო პიროვნების ყოველმხრივი განვითარების აუცილებელი პირობაა. როგორც საზოგადოების, ისე მისი წევრების განვითარების ყოველმხრივობა მნიშვნელოვანწილად დროის დაზოგვასა და გამოთავისუფლებაზეა დამოკიდებული. ყოველგვარი ცვალებადობა დროში მიმდინარეობს. ადამიანის სასიცოცხლო ძალებისა და უნარ მიდრეკილებების გაშლა და სრულყოფაც დროში ხდება. ამ თვალსაზრისით „დრო ადამიანის განვითარების სივრცეა“ [1].

ადამიანის მთელი სასიცოცხლო დრო ორ ნაწილად იყოფა. პირველი ნაწილია სამუშაო დრო, ე. ი. ის დრო, რომლის განმავლობაში ადამიანი შრომით საქმიანობას ეწევა. მეორე ნაწილია არასამუშაო, ე. ი. თავისუფალი დრო, აუცილებელი იმისათვის, რომ ადამიანმა სოციალური, კულტურული, ესთეტიკური, ფიზიოლოგიური, ჰიგიენური და სხვა მოთხოვნილებები დაიკმაყოფილოს.

ფართო მნიშვნელობით თავისუფალი დრო არასამუშაო დროს ემთხვევა, მაგრამ თუ მას დიფერენცირებულად განვიხილავთ — ორ ძირითად ნაწილად იყოფა. მისი ერთი ნაწილი ორგანიზმის სასიცოცხლო ფუნქციების (ძილი, კვება და ა. შ.) აღდგენისა და შენარჩუნების, საყოფაცხოვრებო, სატრანსპორტო და სხვა მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვისაა გამოყენებული, ხოლო მეორე ნაწილი — უშუალოდ ინდივიდის ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას ეთმობა. როდესაც თავისუფალი დროის, როგორც პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორის შესახებ ვლაპარაკობთ, უპირატესად სწორედ ეს მეორე მომენტი გვაქვს მხედველობაში.

რაც უფრო მოკლეა სამუშაო დრო, მით უფრო იზრდება თავისუფალი დრო და პირიქით. მისი გამოყენების ხასიათს არსებითად საზოგადოებრივ-ეკონომიკური წყობილების ბუნება განსაზღვრავს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგალითად, ბურჟუაზიის თავისუფალი დრო მშრომელი მასების სასიცოცხლო დროის სამუშაო დროდ გადაქცევის საშუალებით იქმნება.

ხოლო მუშა, „თავისუფალ დროს მოკლებული ადამიანი, რომელმაც მთელი ცხოვრება წმინდა ფიზიკური პაუზების გამოკლებით ძილისთვის, ჭამისთვის და სხვ. კაპიტალისტის სამსახურს უნდა შესწიროს, — ასეთი ადამიანი ტვირთმზიდავ პირუტყვზე დაბლა დგას“ [2].

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, 1963. თხზ., ტ. 1, გვ. 503.
[2] იქვე.

განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში მოქმედებს თავისუფალი დროის ზრდის ტენდენცია, რასაც თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს. კაპიტალი ამ ტენდენციას აძლევს მშრომელთა ინტერესების საწინააღმდეგო მიმართულებას. შექმნილ გარემოებათა გამო მშრომელები იძულებულნი არიან თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად დაუთმონ „სამომხმარებლო საზოგადოების" „კულტურულ ღირებულებებს". მასობრივი ცნობიერება მონოპოლიების ბატონობის საზღვრებში ექცევა. საზოგადოებაში, რომელიც გეგმაზომიერ მართვას არ ექვემდებარება, მშრომელთა თავისუფალი დროის რაციონალური გამოყენება, ცხადია, გამორიცხულია.

თუ კაპიტალისტურ საზოგადოებაში ტექნიკური პროგრესის შედეგად გამოთავისუფლებული დრო კაპიტალის გასადიდებლად და მისი ინტერესების განსამტკიცებლად არის გამოყენებული, — სოციალისტურ საზოგადოებაში თავისუფალი დრო პიროვნების განვითარებისა და სრულყოფის დიდმნიშვნელოვან პირობად გვევლინება.

„ინდივიდუალობის თავისუფალი განვითარება, ამიტომ აუცილებელი სამუშაო დროის შემცირება არა ზედმეტი შრომის გადიდებისათვის, არამედ საზოგადოების აუცილებელი შრომის დაყვანა მინიმუმამდე. მ ა შ ი ნ ა მ ა ს შ ე ე ს ა ტ ყ ვ ი ს ე ბ ა ი ნ დ ი ვ ი დ ე ბ ი ს მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი, მ ე ც ნ ი ე რ უ ლ ი დ ა ა. შ. ა ღ ზ რ დ ა მ ათთვის თავისუფალ დროში და იმ საშუალებებით, რომლებიც ხ ე ლ მ ი ს ა წ ვ დ ო მ ი გ ა ხ დ ნ ე ნ ყ ვ ე ლ ა ს ა თ ვ ი ს" [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

სოციალიზმის დროს თავისუფალი დროის გადიდება აუცილებელია იმისათვის, რომ პიროვნებამ ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიული დონე აიმაღლოს, ფართო საზოგადოებრივ მოღვაწეობას მიჰყოს ხელი, იზრუნოს ესთეტიკური, მხატვრული კულტურის განვითარებისათვის, ფიზიკური სრულყოფისათვის და სხვ.

მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან ერთად თავისუფალი დროის ზრდას ხელს უწყობს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სატრანსპორტო, კომუნალური და სხვა სახის მომსახურების გაუმჯობესება. იგი სწავლას, თვითგანათლებას, მეცნიერების დაუფლებას, კულტურულ ღირებულებათა შეთვისებას, საზოგადოებრივი საქმეების მართვას, გართობას, სპორტს, დასვენებას, ბავშვების აღზრდას ამხანაგურ შეხვედრებს ხმარდება, ადამიანის უნარმიდრეკილებათა უფრო სრულად განვითარებისათვის არის გამოყენებული.

ფ. ენგელსი წერდა რომ საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლუ-

---

[1] Из неопубликованных рукописей К. Маркса, см. журнал «Большевик». 1939 г. № 11—12, стр. 62.

ციური გარდაქმნის საფუძველზე თითოეულს ექნება „საკმაოდ თავისუფალი დრო, რათა ისტორიულად გადმოცემული კულტურიდან — მეცნიერებიდან, ხელოვნებიდან, საერთო ყოფაცხოვრების ფორმებიდან და სხვ. ავითვისოთ ყოველივე ის, რასაც ნამდვილად ღირებულება აქვს, და არა მარტო ავითვისოთ, არამედ გადავაქციოთ იგი გაბატონებული კლასის მონოპოლიიდან მთელი საზოგადოების საერთო კუთვნილებად და ხელი შევუწყოთ მის შემდგომ განვითარებას“ [1].

სოციალიზმმა ეს წინასწარხედვა რეალობად აქცია.

კომუნისტური საზოგადოება ყველა პირობას შექმნის იმისათვის, რომ უმაღლესად სრულყოფილი საზოგადოებრივი წარმოების საფუძველზე თითოეული ინდივიდი, ყოველმხრივ განვითარებისათვის საჭირო თავისუფალი დროით უზრუნველყოს.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების შინაარსი. პიროვნების ყოველმხრივი განვითარების[2] ცნება შეიძლება ორგვარი წესით განისაზღვროს: ა) გაირკვეს ამ ცნების არსებითი ნიშნები; ბ) დადგინდეს მისი შინაარსი შემადგენელი კომპონენტების მიხედვით.

საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, პედაგოგიურ, ფილოსოფიურ ლიტერატურაში უპირატესად უკანასკნელ გზას მიმართავენ. მიუთითებენ, რომ ყოველმხრივი, ჰარმონიულად განვითარებული პიროვნების დამახასიათებელია სულიერი სიმდიდრე, მეცნიერული მსოფლმხედველობა, იდეურობა, ზოგადსაგანმანათლებლო, სპეციალური, პროფესიული განვითარების მაღალი დონე, მორალური სისპეტაკე, დახვეწილი ესთეტიკური გემოვნება, ფიზიკური სრულყოფა და ა. შ. ამ უკანასკნელი წესით პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების შინაარსის დეფინიციის საწინააღმდეგოდ არაფერი ითქმის, მაგრამ მისი წინაპირობა აღნიშნული ცნების არსებითი ნიშნების დადგენა უნდა იყოს.

როდესაც მარქსიზმის კლასიკოსები პიროვნების განვითარების საკითხს ეხებიან — ეს განვითარება იმისდა მიხედვით არის გაანალიზებული და გაგებული, თუ რა სახეს იღებს ინდივიდის ქმედითუნარიანობა, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო სფეროში. რა წესით ხდება მისი ფიზიკური და გონებრივი ძალების ამოძრავება საზოგადოებრივად განსაზღვრული შრომითი საქმიანობის პროცესში.

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 654 — 655.

[2] „პიროვნების ყოველმხრივი განვითარების“ ექვივალენტური მნიშვნელობით მარქსიზმის კლასიკოსები იყენებენ ტერმინებს: „პიროვნების სრული განვითარება“, „პიროვნების ინტეგრალური განვითარება“ პიროვნების „ნაწილობრივი“ ან „არასრული“ განვითარების საპირისპიროდ.

ადამიანის გონებრივი და ფიზიკური უნარი, ცხადია, გამოყენებას ჰპოვებს არასაწარმოო საქმიანობის პროცესშიც. მაგრამ საწარმოო ქმედითუნარიანობა მისი საქმიანობის ყველა სხვა დანარჩენ სახეებს განსაზღვრავს.

განვითარების მრავალმხრივობას, ისევე როგორც ნაწილობრივ განვითარებას ადამიანი პრაქტიკულ, საწარმოო-საზოგადოებრივ საქმიანობაში ავლენს. მისი მრავალმხრივი განვითარების კრიტერიუმია მზადყოფნა სხვადასხვაგვარი პრაქტიკული ფუნქციების შესასრულებლად, პიროვნული ძალების სრულყოფა შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად.

საქმიანობის მონაცვლეობა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების არსებით ნიშანს შეადგენს. კომუნისტურ საზოგადოებაში მუდმივად იქნება პიროვნების სრული განვითარების რეალური პირობები. თითოეულ ინდივიდს საშუალება მიეცემა თავისუფლად შეასრულოს საწარმოო და არასაწარმოო ფუნქციები საზოგადოებრივი და პიროვნული ინტერესების გათვალისწინებით.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების შინაარსი, უწინარეს ყოვლისა, სწორედ ამ მნიშვნელობით უნდა განისაზღვროს.

თვით წარმოების განვითარების აუცილებლობითაა შეპირობებული „...რომ ნ ა წ ი ლ ო ბ რ ი ვ ი ინ დ ი ვ ი დ ი, უბრალო მატარებელი ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციისა, შეცვალოს ყ ო ვ ე ლ მ ხ რ ი ვ გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ უ ლ მ ა ინ დ ი ვ ი დ მ ა, რ ო მ ლ ი ს თ ვ ი ს ა ც ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ფ უ ნ ქ ც ი ა წ ა რ მ ო ა დ გ ე ნ ს საქმიანობის ერთიმეორის შემცვლელ სხვადასხვა წესს“ [1] (ხაზგასმა ჩვენია — ბ. ლ.).

იგივე თვალსაზრისს ავითარებდა ფ. ენგელსი, როდესაც საზოგადოებრივი მასშტაბით ახალი ადამიანების ფორმირების აუცილებლობას ასაბუთებდა: „წარმოების გაძღოლას მთელი საზოგადოების ძალებით და აქედან გამომდინარე ახალ განვითარებას წარმოებისას სრულიად ა ხ ა ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი დასჭირდება და იგი შექმნის მათ კიდეც.

წარმოების საზოგადოებრივი გაძღოლა არ შეიძლება განხორციელებულ იქნეს დ ღ ე ვ ა ნ დ ე ლ თ ა მ ს გ ა ვ ს ი ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ი ს მიერ, რომელთაგან თითოეული ემორჩილება წარმოების ერთ რომელსამე დარგს, მიჯაჭვულია მასზე, განიცდის ექსპლოატაციას მის მიერ, ავითარებს თავის უნართა მხოლოდ ერთ მხარეს ყველა დანარჩენის ხარჯზე და იცის მთელი წარმოების მხოლოდ ერთი დარგი ან დარგის რომელიმე ნაწილი. უკვე დღევანდელ მრეწველობას სულ

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 617.

უფრო და უფრო ნაკლებ ძალუძს ასეთი ადამიანების გამოყენება. მით უფრო ის მრეწველობა, რომლის გაძღოლა სრულდება ერთად და გეგმაზომიერად მთელი საზოგადოების მიერ, გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული ნიჭის პატრონ ადამიანებს, რომელთაც შესწევთ უნარი გაერკვნენ წარმოების მთელ სისტემაში... ამგვარად, კომუნისტურ საფუძველზე ორგანიზებული საზოგადოება შესაძლებლობას მისცემს თავის წევრებს ყოველმხრივ გამოიყენონ თავიანთი ყოველმხრივად განვითარებული უნარი"[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

მაშასადამე, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ადამიანის გონებრივი და ფიზიკური ძალების სრულყოფის იმ დონეს გულისხმობს, როდესაც შესაძლებელი გახდება მათი რეალიზაცია საზოგადოებრივი წარმოებისა და საქმიანობის სხვადასხვა სფეროში.

ვ. ი. ლენინი ყოველმხრივ განვითარებულ ინდივიდებს განსაზღვრავდა როგორც ადამიანებს, „რომლებსაც ყველაფრის გაკეთება ეცოდინებათ[2]. აქაც ადამიანის ყოველმხრივი განვითარების მაჩვენებელია მისი მზადყოფნა „გაკეთებისათვის" შრომით საქმიანობასა და საზოგადოებრივ მოღვაწეობაში.

ცნობილია, რომ განათლებული ადამიანის ჰეგელისეულმა განსაზღვრებამ კ. მარქსის მოწონება დაიმსახურა. ჰეგელის თანახმად „განათლებულ ადამიანად შეგვიძლია, უწინარეს ყოვლისა, ვიგულისხმოთ ისეთი ადამიანი, რომელსაც ძალუძს გააკეთოს ყველაფერი ის, რასაც სხვები აკეთებენ"[3]. ამ მომენტს, როგორც არსებითს ანგარიში უნდა გაეწიოს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ცნების დეფინიციის დროს.

პიროვნება მაშინ არის განვითარებული ყოველმხრივად და ჰარმონიულად, როდესაც მომზადებულია მრავალფეროვანი საქმიანობის შესასრულებლად და სხვადასხვა საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებს პრაქტიკულად. ამ თვალსაზრისით იგი ძირეულად განსხვავდება ნაწილობრივ, ცალმხრივად განვითარებული პიროვნებისაგან, რომელსაც ვიწრო სპეციალობა იმონებს; ეს უკანასკნელი „ავითარებს მასში მარტოოდენ ერთ ცალმხრივ დახელოვნებას მთელი მისი მწარმოებლური მიდრეკილებისა და ნიჭის ჩახშობის გზით"[4].

ერთ პოლუსზე — გამოცალკევებულ შრომით ფუნქციაში გაწაფულობა, ხოლო მეორეზე — ყველა სხვა უნარის და მიდრეკილების შე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, 1975. გვ. 108.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 42.
[3] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 462.
[4] კ. მარქსი, კაპიტალი. ტ. I, 458.

ზღუდვა და ჩახშობა — ასეთია დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო შედეგები, რომელიც მუშის ცალმხრივი დახელოვნებითაა გამოწვეული. პიროვნების განვითარების ცალმხრივობა შრომითი ფუნქციების შესრულებით განისაზღვრება. ცალმხრივად განვითარებული პიროვნება ნაწილობრივი საზოგადოებრივი ფუნქციის მატარებელი ხდება, მაშინ როდესაც ინტეგრალურად განვითარებული პიროვნება სხვადასხვა ფუნქციას ათავსებს თავის შრომით და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

ზუსტად ისევე, როგორც საქმიანობის ცალმხრივობას ადამიანის განვითარების ცალმხრივობა შეესაბამება, მისი შრომითი საქმიანობის მრავალმხრივობას განვითარების მრავალმხრივობა შეესატყვისება.

ამრიგად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება უწინარეს ყოვლისა უნდა გავიგოთ როგორც ადამიანის სრულყოფა მრავალმხრივი შრომითი საქმიანობისათვის, სამუშაო ძალის სრული ქმედითუნარიანობა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფუნქციის შესრულებისათვის.

ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება მ რ ა ვ ა ლ ფ ე რ ო ვ ა ნ ი ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ფ უ ნ ქ ც ი ე ბ ი ს შ ე მ ს რ უ ლ ე ბ ე ლ ი ა დ ა მ ი ა ნ ი ა.

მაგრამ ერთი და იგივე პიროვნებაში გონებრივი და ფიზიკური უნარების ყოველმხრივი გაშლა და სრულყოფა ისევ და ისევ შრომის, წარმოების, საწარმოო ძალთა განვითარების დონითაა განსაზღვრული. ექსპლოატატორული წყობილებისაგან განსხვავებით, სადაც შრომის დამმონებელი დანაწილება ადამიანში ცალმხრივ დახელოვნებას ავითარებდა, სოციალისტური, კომუნისტური საზოგადოება ძირეულად ცვლის შრომის ხასიათს და ამით ინდივიდის გონებრივი და ფიზიკური ძალების სრულყოფის ობიექტურ აუცილებლობას განაპირობებს.

„მწარმოებლური შრომა ადამიანის დამონების საშუალების მაგიერ ადამიანის განთავისუფლების საშუალებად გადაიქცევა, რამდენადაც იგი თითოეულ პიროვნებას შესაძლებლობას მიანიჭებს ყ ო ვ ე ლ ა მ ი მ ა რ თ უ ლ ე ბ ი თ გ ა ნ ა ვ ი თ ა რ ო ს დ ა ა ა მ ო ქ მ ე დ ო ს ყ ო ვ ე ლ ი თ ა ვ ი ს ი უ ნ ა რ ი, რ ო გ ო რ ც ფ ი ზ ი კ უ რ ი, ი ს ე ს უ ლ ი ე რ ი“ [1]. საზოგადოებრივ საკუთრებაზე დამყარებული წყობილება ყველა წევრს „მათი ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა ს უ ლ ი ე რ ი ნ ი ჭ ი ს ს რ უ ლ ი ა დ თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს ა დ ა გ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს გ ა რ ა ნ ტ ი ა ს მ ი ს ც ე მ ს“ [2]. (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). ფ ი ზ ი კ უ რ ი დ ა გ ო ნ ე ბ რ ი ვ ი უ ნ ა რ ი ს ჰ ა რ-

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, 1952 წ., გვ. 352.
[2] იქვე, გვ. 337.

მოხიული გაერთიანება და განვითარება ყველა მიმართულებით — აგრეთვე შეადგენს ახალი ადამიანის ერთ-ერთ არსებით ნიშანს.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარება უმაღლეს საფეხურს გამოხატავს ადამიანის არსებითი ძალების სრულყოფაში.

კომუნიზმის დროს ადამიანის წინაშე გადაიშლება შრომითი და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების მონაცვლეობის, მისი გონებრივი და ფიზიკური უნარის ყოველმხრივი განვითარების ფართო ასპარეზი.

ამისათვის საჭირო წანამძღვრები მზადდება სოციალისტურ საზოგადოებაში მეცნიერული მსოფლმხედველობის შემუშავების, ზოგადი და სპეციალური განათლების, პოლიტექნიკური მომზადების, შრომითი, მორალური და ესთეტიკური აღზრდის, ფართო საზოგადოებრივი მოღვაწეობის, ფიზიკური სრულყოფის ბაზაზე.

მეცნიერული მსოფლმხედველობა, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის საფუძველზე ყალიბდება, პიროვნებას საშუალებას აძლევს: სწორად გაერკვეს გარემომცველი სამყაროს, საზოგადოების განვითარების კანონზომიერებებში, მსოფლიო განვითარების მსვლელობასა და პერსპექტივებში, ღრმად ჩაინერგოს ახალი საზოგადოების მშენებლობის იდეალები და იბრძოლოს მათი რეალიზაციისათვის.

ადამიანთა აღზრდა მეცნიერული მსოფლმხედველობის სულისკვეთებით, მათი მოქალაქეობრივი სიმწიფე აღმშენებლობით საქმეებს უკავშირდება. მასების შეგნებულობის ამაღლებისა და მათი სულიერი ენერგიის მობილიზაციის კვალობაზე ფართო გასაქანი ეძლევა მშრომელთა შემოქმედებით შრომას, ინიციატივას, მეტი წარმატებებით წყდება სოციალიზმის და მისი სრულყოფის ამოცანები.

საბჭოთა ადამიანები სულ უფრო მეტად არიან მომზადებული დიდად ორგანიზებული და შეწყობილი თანამშრომლობისათვის. კომპლექსური მექანიზაციის და ავტომატიზაციის ღონისძიებათა გატარება, ახალი ტექნოლოგიის დანერგვა სახალხო მეურნეობის დარგებში მათგან საზოგადოებრივი ფუნქციების ზუსტად განაწილებას და დისციპლინის მკაცრად დაცვას მოითხოვს. ამის შესაბამისად მაღალი ზნეობრივი პრინციპები და ნორმები მტკიცედ მკვიდრდება მათს შრომასა და ცხოვრებაში. საზოგადოების წევრთა გეგმაზომიერად ორგანიზებული შრომა ამხანაგური ურთიერთდახმარებისა და მხარდაჭერის ურთიერთობანი სულ უფრო მეტი შედეგიანობით იწვევს ადამიანთა შეგნების ტრანსფორმაციას კოლექტივიზმის, შრომისმოყვარეობის, ჰუმანიზმის სულისკვეთებით. მორალური ფაქტორის გაძლიერების პარალელურად მცირდება ადმინისტრაციული ზემოქმედების საჭიროება ადამიანთა ქცევის რეგულირების საქმეში.

ახალი ადამიანის მორალური სახის გამომხატველია კეთილსინ-

დისციერი შრომა საზოგადოებრივი მოვალეობის ღრმა შეგნებით. კოლექტიური შრომის პროცესში მასობრივად ვლინდება შრომითი ნოვატორობა, ინიციატივა, შემოქმედება, საუკეთესო შედეგების მოპოვებისაკენ სწრაფვა. კიდევ უფრო ძლიერდება თითოეული ადამიანის ზრუნვა საზოგადოებრივი საკუთრების დაცვისა და გამრავლებისათვის. ახალი ადამიანები იზრდებიან პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით. კოლექტივიზმი და ამხანაგური ურთიერთდახმარება, ჰუმანურობა და კეთილშობილება, მაღალდისციპლინიანობა, მომთხოვნელობა საკუთარი თავისა და სხვების მიმართ, შეურიგებლობა უსამართლობისადმი, პატიოსნება და სიმართლე, უბრალოება და თავმდაბლობა, გაბედულება და სიმტკიცე, რევოლუციური სიფხიზლე, კლასობრივი მტრებისადმი სიძულვილი და შეურიგებლობა — ასე წარმოსდგება ახალი ადამიანის — სოციალისტური ტიპის პიროვნების ზნეობრივი სახე.

საბჭოთა ადამიანები უფრო მეტად ინტერესდებიან მეცნიერებით, ხელოვნებით, გონებრივი სრულყოფის ყველა საშუალებით[1].

პიროვნების ესთეტიკური კულტურის ამაღლებას მძლავრად უწყობს ხელს მასობრივი მხატვრული თვითმოქმედება. საზოგადოებრივი საწყისი მხატვრული გემოვნებისა და კულტურული ჩვევების გამომუშავებაში მილიონობით ადამიანს ეუფლება.

ადამიანებს ასევე სრულად უვითარდებათ საზოგადოებრივი საქმეების მართვის უნარი, მზადდება ყველა საჭირო პირობა, რათა ხალხთა მასებმა გაიარონ საზოგადოებრივი საქმეების მართვის სკოლა, გაფართოვდეს მშრომელთა მონაწილეობა სახელმწიფოს წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის მართვაში.

ადამიანთა ფიზიკური მომზადებაც შეუნელებელი ყურადღების საგნად იქცევა. მათი ფიზიკური წრთობის მიზნით საზოგადოება აღზრდის მრავალფეროვან ფორმებსა და მეთოდებს იყენებს. ვითარდება ახალგაზრდობის სასკოლო და სკოლისგარეშე ფიზიკური მომზადება, მუშაკთა საწარმოო ფიზიკური კულტურა, მასობრივი სპორტი; ხორციელდება კომპლექსური ღონისძიებანი იმისათვის, რომ ჰარმონიულად განვითარდეს თითოეული ინდივიდის ფიზიკური და გონებრივი ძალები და უნარ-მიდრეკილებანი.

ამრიგად, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნება შეიძლება განვსაზღვროთ: ა) მის მიერ შრომითი და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების შესრულების ხასიათის მიხედვით, რ..სთვისაც გო-

---

[1] ამ საკითხის შესახებ Л. Н. Коган. Цель и смысл жизни человека. М., 1984, стр. 48—67.

ნებრივი და ფიზიკური ძალების სრულყოფაა საჭირო, ბ) კომუნისტური აღზრდის იმ ელემენტების დადგენის გზით, რის საფუძველზეც ახალი ადამიანის ფორმირება ხდება.

ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილია აღინიშნოს, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნება ერთმნიშვნელოვნად არ არის გაგებული ჩვენს საბჭოთა ფილოსოფიურ, სოციალურ-პოლიტიკურ, პედაგოგიურ და სხვა სახის ლიტერატურაში. ავტორები, რომლებიც უშუალოდ ან არა პირდაპირ პიროვნების პრობლემას ეხებიან სოციალიზმის დროს, ბუნებრივია, გვერდს ვერ უვლიან პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნებას და მასთან დაკავშირებით თავის გარკვეულ თვალსაზრისს გამოთქვამენ. ეს შეხედულებები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა, ამიტომ მათი დაჯგუფება შესაძლებელია. აქედან ჩვენ მხოლოდ ზოგიერთს შევეხებით.

უკვე სამოციანი წლებიდან, როდესაც ჩვენს ქვეყანაში პიროვნების განვითარების პრობლემის ინტენსიური კვლევა დაიწყო, ფილოსოფოსთა შორის შემუშავდა და გავრცელდა აზრი იმის შესახებ, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება ადამიანის ყველა უნარისა და მიდრეკილების გაშლა-სრულყოფასა და რეალიზაციას ნიშნავს, რომ იგი „ადამიანის უნართა და მიდრეკილებათა ყველაზე სრულ და ყოველმხრივ გამომჟღავნებასა და გამოყენებაში მდგომარეობს“ [1]. ეს დებულება მომავლის ადამიანის სრულყოფის მდგომარეობას აღწერს. მართლაც მას ყოველმხრივ ექნება განვითარებული ყველა უნარი და მიდრეკილება, რაც პრაქტიკულ საქმიანობაში გამოვლინდება. მიუხედავად ამისა, ზემოაღნიშნული არ შეიძლება პიროვნების ყოველმხრივი განვითარების სრულფასოვან განსაზღვრებად ჩაითვალოს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ამ განსაზღვრებიდან არ ჩანს, თუ რა უნარებისა და მიდრეკილებების განვითარებაზეა აქ მსჯელობა.

გარდა ამისა, ეს განსაზღვრება ტავტოლოგიურია, ვინაიდან ადამიანის ყოველმხრივი განვითარება მისი მიდრეკილებებისა და უნარების სრულყოფილ განვითარებად არის გაგებული. მაშასადამე, თვით ყოველმხრივი განვითარების არსი ამ დებულებაში გახსნილი არ არის.

ზოგიერთი ავტორი არ კმაყოფილდება იმის აღნიშვნით, რომ ადამიანის ყოველმხრივი განვითარება მისი უნარისა და მიდრეკილებების სისრულით გაშლაში მჟღავნდება. არამედ ამ საკითხს უფრო კონკრეტულად უდგება, სახელდობრ, ჩამოთვლის ელემენტებს, რომლებიც ადამიანის ყოველმხრივი განვითარების ცნებით მოიაზრება.

მაგალითად, ე. სტრუკოვის თანახმად პიროვნების ყოველმხრივი განვითარება „ადამიანის, როგორც მშრომელი შემოქმედის, საზოგა-

---

[1] Журнал «Вопросы философии». 1964. № 6, стр. 134.

დოებრივი მოღვაწის ჰარმონიულ, სულიერად, ზნეობრივად და ფიზიკურად სრულყოფილ პიროვნებად ფორმირებას მოიცავს“ [1].

მეცნიერული კომუნიზმის სახელმძღვანელოში პიროვნების ყოველმხრივი განვითარების მსგავსი გაგებაა ჩამოყალიბებული: „პიროვნების ყოველმხრივ განვითარებაში იგულისხმება აღზრდა ადამიანისა, რომელშიც ჰარმონიულადაა შეხამებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფილება“ [2].

ი. ტ. ფროლოვის მიხედვით ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ძირითადი ნიშნებია: მეცნიერული მსოფლმხედველობა, კომუნისტური დამოკიდებულება შრომისადმი, მაღალი ზოგადსაგანმანათლებლო, ზოგადკულტურული განვითარება, დახვეწილი მორალური და ფსიქოლოგიური თვისებები, კოლექტივიზმი, მოქალაქეობრიობა, პრინციპულობა, დისციპლინა და თვითდისციპლინა, გონივრული მოთხოვნილებანი, ფიზიკური სრულყოფილება და ა. შ. [3].

წინა განსაზღვრებისაგან განსხვავებით, რომელიც ადამიანის ნიჭის, უნარის, მიდრეკილებების ყოველმხრივი განვითარების და რეალიზაციის აღნიშვნით იფარგლება, აქ დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი თვისებები, რომლებითაც ახალი ადამიანი ნიჭსა და მიდრეკილებებს ავლენს.

ანალოგური განსაზღვრებების სხვა მრავალი მაგალითის მოყვანაც შეიძლება.

ეს განსაზღვრებები წინასთან შედარებით უკეთ გამოხატავენ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების შინაარსს, მაგრამ მათზე შეჩერებაც სწორი არ იქნებოდა.

უეჭველია, რომ სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე, ფიზიკური სრულყოფილება ორგანულად იქნება შეხამებული მომავლის ადამიანთა ბუნებაში. მაგრამ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება მისი შინაგნი სამყაროს ამ დიდმნიშვნელოვანი მხარეების ერთობლიობაზე არ დაიყვანება.

ჩვენი აზრით, პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების გავრცელებული დეფინაციები, რაც ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ, სოციალურ-პოლიტიკურ და სხვა სახის ლიტერატურაში გვხვდება, არსებითად პედაგოგიკიდან გადმოტანილი დეფინიციების სხვადასხვა ვარიაციებს წარმოადგენს. ფილოსოფიას, ცხადია, არ შეუძლია გულგრილი იყოს პედაგოგიური მეცნიერების მონაპოვრების მიმართ. მან

---

[1] Струков Э. В Всестороннее и гармоническое развитие личности. М., 1963 стр. 4.

[2] მეცნიერული კომუნიზმი, 1980, გვ. 495.

[3] Фролов И. Т. Перспективы человека. М., 1980. стр. 294.

ეს მონაპოვრები უნდა გამოიყენოს. მაგრამ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ პედაგოგიური მეცნიერების ცნებები საერთოდ, ისევე როგორც ამ კერძო შემთხვევაში, კვლევის ობიექტის სპეციფიკურობით არის განსაზღვრული. სპეციფიკურის ზოგადი მნიშვნელობის ხარისხში აყვანას კი არა აქვს გამართლება.

პედაგოგიკა პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების დეფინიციას, რასაკვირველია, მოსწავლეთა აღზრდის კუთხით გვაძლევს. პედაგოგიკის თანახმად პიროვნების ყოველმხრივი განვითარება გულისხმობს „გონებრივ აღზრდასა და ფიზიკურ განვითარებას, რომელიც ტექნიკურ სწავლებასა და პრაქტიკულ შრომით საქმიანობაში ახალგაზრდობის მონაწილეობასთან არის შეერთებული“ [1].

ძირითადი ნაკლი, რომელიც ფილოსოფიურ და სოციალურ-პოლიტიკურ ლიტერატურაში ფორმულირებულ განსაზღვრებებს ახასიათებს ისაა, რომ მათში პიროვნების ყოველმხრივი განვითარება მისი ყოველმხრივი განათლების შინაარსით არის წარმოდგენილი. მაგრამ სინამდვილეში პიროვნების ყოველმხრივი განვითარება არ შეიძლება მის ყოველმხრივ განათლებას ემთხვეოდეს. ეს უკანასკნელი მხოლოდ გზაა ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირებისათვის.

რას გულისხმობს თვით პედაგოგიკა განათლების ცნებაში? განათლების შინაარსი გაგებულია როგორც „ცოდნის, უნარისა და ჩვევების სისტემა, რომელთა დაუფლება მოსწავლეთა გონებრივი და ფიზიკური ძალების განვითარებას, მათი კომუნისტური მსოფლმხედველობის საფუძვლების და მორალის, შესაბამისი ქცევის ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს და მათ ცხოვრებისათვის, შრომისათვის ამზადებს“ [2].

„განათლების შინაარსი — ცოდნის, უნარის და ჩვევების ზუსტად შემოსაზღვრული მოცულობაა, რაც მოსწავლეთა ყოველმხრივი განვითარებისა და მათი დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველს წარმოადგენს“ [3].

„განათლების შინაარსი — ესაა ცოდნის, უნარის და ჩვევების, საქმიანობის წესების სისტემა, რომელსაც მოსწავლეები უნდა დაეუფლონ“ [4].

„ნამდვილი განათლება არის მოწინავე მეცნიერებისა და ტექნიკის ძირითადი საფუძვლების მტკიცე ცოდნა და ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი“ [5].

---

1 Педагогика. под редакцией Ю. К. Бабинского. М., 1983. стр. 9.
2 Педагогика. М., 1983. стр. 67.
3 Савина Н. В. Педагогика. М., 1978. стр. 56.
4 Педагогика. Под редакцией А. П. Кондратюка. К., 1982, стр. 59.
5 პედაგოგიკა, თბილისი, 1956, გვ. 5.

განათლების მეტნაკლებად ანალოგიური განმარტებები ჩამოყალიბებულია პედაგოგიკის სხვა სახელმძღვანელოებშიც [1].

აღნიშნული გაგება საკამათო არ არის. საკამათოა მხოლოდ ის, რომ ფილოსოფიის, მეცნიერული კომუნიზმის და მეცნიერების სხვა დარგების წარმომადგენლები პიროვნების ყოველმხრივ განვითარებას არსებითად იმ ნიშნებით წარმოადგენენ, რასაც პედაგოგიკა განათლების ცნების შინაარსსა და მისი შესაბამისი აღზრდის სისტემაში გულისხმობს.

პედაგოგიკის სპეციალისტთა საერთო აღიარებით, იმისათვის, რომ ყოველმხრივად განვითარებული ადამიანი მოვამზადოთ, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, გონებრივი, პოლიტექნიკური, შრომითი, ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდაა საჭირო.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების უმთავრეს ნიშნად მისი ცოდნის მრავალმხრივობაა გამოცხადებული.

ეს განსაზღვრება პალიატიურია თავისი შინაარსით, ვინაიდან არ აფიქსირებს მეტად არსებით მომენტს: განსაზღვრებიდან არ ჩანს, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება, უწინარეს ყოვლისა, მისსავე შრომითი და სხვა საზოგადოებრივი საქმიანობის მრავალმხრივობაში ვლინდება.

პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ეს გაგება სწორი არ უნდა იყოს სხვა მოსაზრების გამოც; სახელდობრ, იგი ბადებს ილუზიას, თითქოს ახალი ადამიანის ფორმირება მთლიანად აღზრდასა და განათლებაზეა დამოკიდებული, თავის თავში ფარულად ატარებს პიროვნების ფორმირებისათვის აღზრდის გადამწყვეტი მნიშვნელობის რწმენას.

მართლაც, თუ პიროვნების ყოველმხრივი განვითარება მისი ცალმხრივი განვითარებისაგან მხოლოდ სულიერი სიმდიდრის, მორალური და ფიზიკური სრულყოფის ნიშნებით განსხვავდება, მაშინ აღზრდის ახალი სისტემა ერთადერთ საშუალებად უნდა ვცნოთ, რომელიც ამ პიროვნებათა ჩამოყალიბებას უზრუნველყოფს.

მაშასადამე, ზემომოყვანილი გაგების მიხედვით, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება აღზრდით მისაღწევი მდგომარეობაა, მაშინ, როდესაც ეს განვითარება, ისევე როგორც თვით აღზრდის ხასიათიც, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო-ეკონომიკური პირობებით, შრომის ხასიათითა და მისი მონაცვლეობით არის პირობადებული. „აღმზრდელი თვით უნდა აღიზარდოს" [2]. აღმზრდელის აღმზრდელის როლში სწორედ საწარმოო-ეკონომიკური ყოფიერება

---

[1] Педагогика. Под редакцией Ю. К. Бабинского. М., 1983, стр. 61, и др.

[2] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 2.

ვამოდის. ცხადია, ამით ოდნავადაც არ მცირდება სასკოლო და საზოგადოებრივი აღზრდის მთელი სისტემის მნიშვნელობა პიროვნების სრულყოფილად განვითარების საქმეში.

ამასთან, თუ ადამიანის ყოველმხრივ განვითარებას მის ფიზიკურ, გონებრივ, პოლიტექნიკურ, მორალურ, ესთეტიკურ და ა. შ. მომზადებასთან გავაიგივებთ, მაშინ რჩება შთაბეჭდილება, რომ ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების ფორმირების პრობლემა შესაძლებელია უკვე სასკოლო სწავლების პროცესში გადაწყდეს. ცხადია, სასკოლო განათლება და აღზრდა არის ყოველმხრივად განვითარებული ადამიანების ფორმირების აუცილებელი და დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. იგი მოზარდ თაობას მეცნიერებათა საფუძვლების მტკიცე ცოდნით, მარქსისტულ-ლენინური მსოფლმხედველობის პრინციპების შეთვისებით, შრომითი და პოლიტექნიკური სწავლებით, ზნეობრივი, ესთეტიკური და ფიზიკური მომზადებით უზრუნველყოფს. მაგრამ ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების ფორმირება სასკოლო სწავლების ეტაპზე არ მთავრდება. ჯერ ერთი, პიროვნებისათვის აუცილებელია ფართო, თეორიული, მეცნიერული, პოლიტიკური და სპეციალური თვალსაწიერი, რასაც იგი სწავლების უფრო მაღალ ფორმებში ჩაბმით იძენს. მეორეც, პიროვნების ყოველმხრივი განვითარება არა მარტო სასწავლო-აღმზრდელობითი, არამედ მთელი რიგი სხვა საზოგადოებრივი ფაქტორების კომპლექსურად მოქმედების პირობებში მიმდინარეობს.

დაბოლოს ისიც უნდა ითქვას, რომ პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ზემოთ მოყვანილი გაგება გაუმართავია ლოგიკურადაც, რამდენადაც ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების აღზრდისა და თვით ყოველმხრივად განვითარებული პიროვნების ცნებათა შინაარსი აქ ერთმანეთს ემთხვევა. მართლაც რას გულისხმობს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნების აღზრდა? იგი პიროვნების ფიზიკურ, გონებრივ, პოლიტექნიკურ, შრომით, მორალურ და ესთეტიკურ მომზადებას ნიშნავს. რასღა წარმოადგენს ყოველმხრივ განვითარებული პიროვნება? — იგი არის გონებრივად, პოლიტექნიკურად, შრომითად, მორალურად და ესთეტიკურად, ფიზიკურად მომზადებული ადამიანი. ასეთია ჩვენს ლიტერატურაში გავრცელებული პასუხი.

რა თქმა უნდა, ყოველმხრივად განვითარებულ პიროვნებას ყველა ზემოჩამოთვლილი ნიშანი ახასიათებს, მაგრამ მას ყოველმხრივ განვითარებული ადამიანის პრედიკატი მიეწერება არა მხოლოდ ამის გამო. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის, რომ მრავალმხრივი მომზადების, საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური წყობილებით მო-

ნიჭებულ უპირატესობათა ნიადაგზე მას სრულყოფილად აქვს განვითარებული შრომითი და სხვა საზოგადოებრივი ფუნქციების თავისუფალი მონაცვლეობის უნარი, მათი რეალიზაციისათვის საჭირო გონებრივი და ფიზიკური ძალები.

VII თავი. თაობა და თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში

თაობის დამახასიათებელი თავისებურებანი. არ არსებობს ისეთი საზოგადოება, რომელიც განსხვავებული თაობებისაგან არ შედგებოდეს. ყოველ დროსა და ეპოქაში უმცროსი და ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლების გვერდით ცხოვრობენ და მოღვაწეობენ უფროსი და მოხუცი თაობის ადამიანები. ყოველ დროსა და ეპოქაში საზოგადოების წევრები ამა თუ იმ თაობას მიეკუთვნებიან, ხოლო საზოგადოება, — ეწარმოებელ ადამიანთა გაერთიანება, თაობათა ბუნებრივ თანაარსებობად გვეელინება.

თაობა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანთა დიდი ჯგუფია, თუმცა ადამიანთა ყოველგვარი ერთობლიობა თაობას არ ქმნის. საზოგადოებაში სხვა სოციალური ჯგუფებიც არსებობენ. თაობა უნდა განვასხვაოთ მათგან. მაგალითად, ისეთი დიდი სოციალური ჯგუფი, როგორიც ერია. ადამიანებს ტერიტორიის, ენის, ეკონომიკური და ფსიქიკური წყობის ნიშნებით აერთიანებს, მაგრამ თაობისათვის არც ერთი ეს ნიშანთაგანი სპეციფიკური არ არის. გარკვეული ნიშნები ახასიათებს კლასებს, — აგრეთვე დიდ საზოგადოებრივ ჯგუფებს, ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან ადგილით საზოგადოებრივი წარმოების ისტორიულად განსაზღვრულ სისტემაში, დამოკიდებულებით წარმოების საშუალებებისადმი, როლით შრომის საზოგადოებრივ ორგანიზაციაში, საზოგადოებრივი სიმდიდრის მიღების წესით და წილით. ადამიანთა თაობებად დაყოფა კი არცერთ ზემოდასახელებულ ნიშანს არ გულისხმობს. არც ერი, არც კლასი, არც სხვა რომელიმე სოციალური ჯგუფი არ შეიძლება თაობასთან გავაიგივეოთ იმის გამოც, რომ თითოეული მათგანი სხვადასხვა თაობების წარმომადგენლებისაგან შედგება, ყოველ თაობაში კი სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ადამიანები შედიან.

აქედან ცხადია, რომ თაობის აღრევა სხვა რომელიმე საზოგადოებრივ ჯგუფთან სწორი არ არის. აქედან ნათელია აგრეთვე, უმართებულობა იმისა, რომ თაობათა ურთიერთობის პრობლემამ კლასების ან სხვა სოციალური ჯგუფების ურთიერთობის პრობლემა შეცვალოს.

როდესაც თაობებზე ვმსჯელობთ, პირველ ყოვლისა, ადამიანთა განსაკუთრებულ, სახელდობრ, ასაკობრივ ჯგუფებს ვგულისხმობთ. ახალგაზრდა თაობას უფროსი ან რომელიმე სხვა თაობისაგან სწორედ ასაკობრივი ნიშნით გამოვყოფთ. ასაკობრივი მომენტი თაობათა განსხვავებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

ადამიანი თავდაპირველად ნორჩ თაობას, შემდეგ კი ახალგაზრდა, საშუალო და ბოლოს მოხუც თაობას მიეკუთვნება. გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში ადამიანთა მიკუთვნებულობა მათივე ასაკობრივი, ფიზიოლოგიური ზრდა-განვითარების მთავარი ეტაპებით არის განსაზღვრული. მაგრამ არ იქნებოდა სწორი თუ თაობათა განსხვავებულობას ადამიანთა მხოლოდ ასაკობრივი განვითარების ძირითადი სტადიებით შემოვფარგლავდით.

ბიოლოგიური განვითარების კანონზომიერებებით შეუძლებელია სოციალური განვითარების არსის გაგება. თაობათა ურთიერთობა ასაკობრივ მხარესაც ემყარება, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. დროული განსაზღვრულობა არ არის საკმარისი პირობა თაობის სპეციფიკის დასადგენად, მიუხედავად იმისა, რომ ყოველი თაობა გარკვეულ დროულ ჩარჩოებშია მოქცეული.

თაობები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან არა მხოლოდ იმით, რომ პირველი უფროსი ან უმცროსია მეორესთან შედარებით, რომ ერთი მეორის ადგილს იკავებს და ა. შ. ისინი ერთმანეთისაგან აგრეთვე თვისებრივი სოციალური თავისთავადობით განსხვავდებიან. თითოეული თაობისათვის გარკვეული სოციალური თავისებურებებია ნიშანდობლივი.

სიტყვაში ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის სრულიად რუსეთის III ყრილობაზე ვ. ი. ლენინი ახასიათებდა თაობას, „რომლის წარმომადგენლები ახლა დაახლოებით 50 წლისანი არიან“ და იმ თაობას, „რომელიც ახლა 15 წლისაა“ [1] და მათ მდგომარეობითა და ამოცანებით განასხვავებდა. ვ. ი. ლენინი პირველ შემთხვევაში ითვალისწინებდა ადამიანთა იმ ჯგუფს, რომელიც დიდი ხანია რაც საწარმოო-შრომით საქმიანობას ეწეოდა, ხოლო მეორე შემთხვევაში იმ თაობას, რომელიც შრომითი მოღვაწეობის დასაწყებად ემზადებოდა. გასაგებია, რომ განსხვავებული მდგომარეობა განსხვავებულ ამოცანებს აყენებდა ამ თაობების წინაშე.

მაშასადამე, თითოეული თაობა უნდა განვიხილოთ როგორც ადამიანთა სოციალური განვითარების განსაზღვრული საფეხური, როგორც მათი არა მხოლოდ წმინდა ასაკობრივი, არამედ, ამასთანავე, სოციალური, ე. ი. სოციალურ-ასაკობრივი ჯგუფი.

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 359.

მაგალითისათვის შევეხოთ ახალგაზრდა თაობას, რომელიც მთელი რიგი სპეციფიკური თვისებებით ხასიათდება.

ახალგაზრდულ ასაკში ადამიანი ფიზიოლოგიურად მწიფდება, მასში მანამდე უცნობი სხვადასხვა სასიცოცხლო უნარ-მიდრეკილება და პოტენცია იჩენს თავს. ამ ასაკში მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური ცვლილებები ხდება ადამიანის განვითარებაში. არსებითად ახალგაზრდობისას ყალიბდება პიროვნების ხასიათი, ნებისყოფა, სხვა ფსიქოლოგიური თვისებები.

ახალგაზრდულ ასაკში მიმდინარეობს პიროვნების სოციალიზაცია, პიროვნება სოციალურ მეობას პირველად განიცდის, საზოგადოებრივ უფლებებსა და მოვალეობას ეზიარება, მისთვის ცხადი ხდება, რომ უნდა აირჩიოს დამოუკიდებელი ცხოვრების გზა, დაეუფლოს რომელიმე სპეციალობას, თეორიულად და პრაქტიკულად მოემზადოს შრომითი საქმიანობისათვის. არსებითად ახალგაზრდულ ასაკში ყალიბდება აგრეთვე პიროვნების მსოფლმხედველობრივი, იდეური, ზნეობრივი, ესთეტიკური სახე და ა. შ.

ახალგაზრდა ადამიანების ფორმირების პროცესი გარკვეულ თავისებურებებთანაა დაკავშირებული, რაც ამ თაობას უფროსი თაობისაგან განასხვავებს.

ახალგაზრდობა საზოგადოების ყველაზე დინამიურ, მგზნებარე, სიცოცხლის უნარმქონე ნაწილს შეადგენს. იგი მიისწრაფის იქითკენ, რომ თავისი დამოუკიდებელი ადგილი მონახოს საზოგადოებაში, შრომით კოლექტივში, განიმტკიცოს თავისი მდგომარეობა. როგორც ვ. ი. ლენინი განმარტავდა ახალგაზრდობა „დაუდგრომელი, აბობოქრებული, მაძიებელია“ და სწორედ იმიტომ, რომ მუდმივ ძიებაშია, ახალგაზრდობა სიახლის მძაფრი გრძნობით, ახლის ამთვისებლობის უნარით არის დაჯილდოებული. რასაკვირველია, მას ჯერ კიდევ არ გააჩნია მყარი იდეოლოგიური პოზიციები და საკმარისი პრაქტიკული გამოცდილება, „თეორიული გარკვეულობა და სიმტკიცე“. შეიძლება შეცდეს კიდეც, სწორად ვერ გაერკვეს მოვლენათა მსვლელობაში. ეს გარემოება ახალგაზრდობისადმი განსაკუთრებულ მიდგომას, მზრუნველ დამოკიდებულებას მოითხოვს. „ა ს ე თ ი ადამიანების არასაკმაო თეორიულ გარკვეულობას საჭიროა მოვეპყრათ სრულიად სხვაგვარად“ [1], საჭიროა „ყოველმხრივ დავეხმაროთ მათ“. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ გულწრფელი და უშუალო ახალგაზრდობის მიერ დაშვებული შეცდომები უფრო გამოუცდელობას მიეწერება.

დღევანდელ პროცესში მყოფი ახალგაზრდობა მტკივნეულად განიცდის უსამართლობას, ამჟღავნებს მეამბოხე სულისკვეთებას და

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 209.

მზადყოფნას იმისათვის, რომ იბრძოლოს და იშრომოს სიახლის დასამკვიდრებლად. ამ ბრძოლაში და შრომაში ახალგაზრდობა მისთვის ჩვეული გატაცებით ებმება, თავგანწირულობას, შეუპოვრობას, მიზნისაკენ სწრაფვის დაუცხრომელ წყურვილსა და ხალისს ავლენს. ეს თვისებები ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობას რომ მტკიცედ დაიკავოს რადიკალური, რევოლუციური პოზიცია ანტაგონისტურ საზოგადოებაში და ამ საზოგადოების მთავარ მამოძრავებელ ძალებთან ერთად მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს დიდ სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ გარდაქმნებში.

ახალგაზრდობის მსგავსად გარკვეული შეფარდებითი დამოუკიდებლობა და სპეციფიკური თავისებურებანი სხვა თაობებსაც ახასიათებს.

ყოველი ადამიანი ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური განვითარების გარკვეულ საფეხურზე დგას. მაშასადამე, მის ასაკობრივ სტადიებს განვითარების გარკვეული მახასიათებლები შეესაბამება. ამასთან, შესაძლოა, რომ ეს მაჩვენებლები ერთნაირი ტემპითა და ძალით არც განვითარდნენ. მაგალითად, ერთდროულად არ მიმდინარეობს ადამიანთა ფიზიოლოგიური და სოციალური მომწიფებულობის პროცესები.

ფიზიოლოგიური განვითარების თვალსაზრისით თაობები ძირითად ასაკობრივ პერიოდებს გულისხმობენ. ამას მოზარდი, ახალგაზრდა, უფროსი და მოხუცი თაობები შეესაბამება.

ზოგადსოციოლოგიური თვალსაზრისით კი ისინი ორ ძირითად კატეგორიად იყოფიან: ესაა ძველი და ახალი თაობა, „მამები“ და „შვილები“, რომლებიც საზოგადოებაში თანაარსებობენ, ამასთან დროთა განმავლობაში პირველის ადგილს მეორე იკავებს. „მამების“ შეპირისპირება „შვილებთან“, ძველი თაობისა ახალ თაობასთან და პირიქით, — მუდმივი საზოგადოებრივი აუცილებლობაა, რაც სხვადასხვაგვარ შინაარსს იძენს კონკრეტულ-ისტორიული პირობების შესაბამისად ყოველ ცალკეულ ხალხსა და ქვეყანაში.

ადამიანთა არსებობა და განვითარება შეუძლებელია ასაკობრივი და სოციალური მომწიფების სტადიების გავლის გარეშე. ამიტომ თაობას ზოგადსოციოლოგიური კატეგორიის რანგში განვიხილავთ, თაობები ყოველთვის გარკვეულ ურთიერთობაში იმყოფებიან.

თაობა შეფარდებითი თავისთავადობით ხასიათდება, რაც, ცხადია, შიდათაობრივ განსხვავებებს არ გამორიცხავს. შიდათაობრივ განსხვავებულობას, უწინარეს ყოვლისა, ასაკობრივი მომენტი უდევს საფუძვლად: ამ ნიშნით უდაოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან ყოველ თაობაში შესვლისა და იმავე თაობიდან გამოსვლის სტადიები. ამისდა მიხედვით შიდათაობრივ ასაკობრივ დაჯგუფებებთან გვაქვს საქმე.

ახალგაზრდობა, მაგალითად, რთული შედგენილობის თაობად წარმოსდგება, მას, ჩვეულებრივ, ადრეულ, საშუალო, გვიანდელ ახალგაზრდობად ჰყოფენ, რომელსაც შესაბამისად 14—18, 18—25 და 25—35 წლებით განსაზღვრავენ.

შიდათაობრივი განსხვავებანი სხვა თაობებშიც ფიქსირდება. ეს განსხვავება მეტი სიმკვეთრით წარმოსდგება სოციალური შედგენილობის თვალსაზრისით, ვინაიდან ყოველი თაობა სრულიად სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების, განსხვავებული მიზნებისა და ინტერესების მქონე ადამიანებს აერთიანებს. მაგალითად, კაპიტალისტური საზოგადოების პირობებში ახალგაზრდა თაობას მუშების, გლეხების, ექსპლოატატორული კლასების ახალგაზრდა წარმომადგენლების, ინტელიგენციის, ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა შეადგენს. ამასთან, თითოეული ეს ახალგაზრდული ჯგუფი ერთგვაროვანი არ არის.

ყოველი თაობა რთული სოციალური შედგენილობისაა, რაც თავის მხრივ კონკრეტულ-ისტორიული პირობების კვალობაზე იცვლება.

ამ გარემოებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. მუშათა კლასის რევოლუციური ბრძოლისათვის ყოველთვის აუცილებელია მისი მოკავშირე და მოწინააღმდეგე საზოგადოებრივი ძალების ზუსტი განსაზღვრა, მათი სოციალური ბუნებისა და ინტერესების გათვალისწინება. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის მიერ სტუდენტობის, როგორც ახალგაზრდობის ერთ-ერთი ჯგუფის სოციალური შედგენილობის ანალიზი. ეხებოდა რა XX საუკუნის დამდეგის სტუდენტობის შიგნით არსებულ ჯგუფებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ სტუდენტობა განუყრელადაა დაკავშირებული მთელ საზოგადოებასთან და ამის გამო მის პოლიტიკურ დაჯგუფებას გამოხატავს. „თანამედროვე სტუდენტობა, — წერდა ვ. ი. ლენინი, იყოფა ექვს პოლიტიკურ ჯგუფად: რეაქციონერები, ინდიფერენტულნი, აკადემისტები, ლიბერალები, სოციალისტ-რევოლუციონერები და სოციალისტ-დემოკრატები“ [1]. ამასთან, ვ. ი. ლენინმა დაადგინა თითოეული ამ ჯგუფის სოციალური ბუნება, მუშათა კლასის და მისი პარტიის დამოკიდებულება ამ ჯგუფებთან და სხვა საზოგადოებრივ ძალებთან და ფენებთან.

სოციალისტური მშენებლობის პირველ წლებში, როგორც ეს რკპ (ბ) XIII ყრილობაზე აღინიშნა, ახალგაზრდა თაობა აერთიანებდა მუშა, პროლეტარულ ახალგაზრდობას, უმაღლესი სასწავლებლების ახალგაზრდობას, რომელიც თავის მხრივ სხვადასხვა სოციალური კლასებისა და ფენების წარმომადგენლებისაგან შედგებოდა, სასკო-

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 7, გვ. 37.

ლო ახალგაზრდობას და ა. შ. ახალგაზრდობის თითოეული ეს ჯგუფი განსაკუთრებული ნიშანდობლივი თვისებებით გამოირჩეოდა. იმ პერიოდში მაგალითად, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ახალგაზრდობას უარყოფითი თვისებები — დილეტანტობა, სკეპტიციზმი, იდეალიზმისა და ვულგარიზატორობისაკენ იდეოლოგიური გადახრა ახასიათებდა, რაც მოსწავლე ახალგაზრდობის უკიდურესად მძიმე მდგომარეობით და კვალიფიციური კომუნისტური კადრების ნაკლებობით იყო გამოწვეული. სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური და კულტურული განვითარების შედეგად მოსწავლე ახალგაზრდობის ეს უარყოფითი თვისებები წარსულს ჩაბარდა.

პარტიის პოლიტიკა ახალგაზრდობისადმი ხელმძღვანელობის დარგში ახალგაზრდობის სოციალური შემადგენლობის ზუსტი, მეცნიერული ანალიზის ბაზაზეა შემუშავებული. ამ პოლიტიკას თანმიმდევრულად იცავენ და ატარებენ კომუნისტური და მუშათა პარტიები, რომლებიც ახალგაზრდულ მოძრაობას მუშათა მოძრაობასთან აკავშირებენ. მასში გაერთიანებული ჯგუფების ცოდნა, ამ ჯგუფებისადმი დიფერენცირებული მიდგომა რევოლუციური მოძრაობის მნიშვნელოვან მოთხოვნას შეადგენს.

როგორც აღინიშნა, ყოველი თაობა გარკვეული თავისთავადობით ხასიათდება და სწორედ ამით განსხვავდება დანარჩენი თაობებისაგან, ამიტომ არსებობს თაობათა სიმრავლე საზოგადოებაში. ამასთან თაობა თაობას ემსგავსება კიდეც ზოგიერთი ნიშნით.

ისტორიულად განვითარების სხვადასხვა ეტაპზე თაობათა საერთო და სპეციფიკური ნიშნების თანაფარდობა ცვალებადია. შეცვლილ გარემოებათა ზეგავლენით ეს თანაფარდობა იცვლება. მათი ურთიერთგანსხვავებულობის მიუხედავად თაობებს შორის არ არსებობს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, აბსოლუტური მიჯნები.

ამასთან, თუ განვითარების პროცესში გარკვეულმა ისტორიულმა პირობებმა წინა პლანზე წამოსწია ამა თუ იმ კონკრეტული თაობის საზოგადოებრივი მოქმედება ან მისგან ახალი ნიშანთავისებურებების გამოვლენა მოითხოვა — თაობათა განსხვავება უფრო მკვეთრი და თვალსაჩინო ხდება. ეს გარემოება თაობათა ასაკობრივ მხარეზეც, თაობის ასაკობრივი პარამეტრების ცვლაზეც ახდენს გავლენას. თუ, მაგალითად, თანამედროვე ახალგაზრდა თაობა აქსელერაციას ექვემდებარება და როგორც მკვლევარები აღნიშნავენ ფიზიოლოგიური თვალსაზრისით 2—3 წლით ადრე მწიფდება ვიდრე ეს უწინ იყო, ეს გამოწვეულია იმით, რომ ბავშვობის ასაკიდანვე უკეთეს მატერიალურ, საყოფაცხოვრებო, კულტურულ, სამედიცინო და სხვა ხელსაყრელ პირობებში იმყოფება.

ამასთან, ცხოვრება გვიჩვენებს, რომ ახალგაზრდა ადამიანის სო-

ციალიზაცია, მისი მომწიფება დღევანდელი საზოგადოების საწარმოო ძალად გაცილებით რთული პროცესია, ვიდრე ეს ადრე იყო. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის შეჭრა და გავრცელება სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, მექანიზებული და ავტომატიზებული წარმოების, უახლესი ტექნიკური მოწყობილობებისა და საშუალებების, შრომის რაციონალური ორგანიზაციის მეთოდების დაუფლების აუცილებლობა ახალგაზრდობის წინაშე თანამედროვე წარმოების საწარმოო ძალად გადაქცევის მაღალ მოთხოვნებს აყენებს. ყოველივე ამისათვის ახალგაზრდა ადამიანის გონებრივი და ფიზიკური უნარ-მიდრეკილებების მაქსიმალური განვითარება, გაცილებით მეტი ენერგია, შრომა, დროა საჭირო. ძირითადად ამით აიხსნება ის, რომ თანამედროვე ახალგაზრდობა სოციალური თვალსაზრისით თავის განვითარებას რამდენადმე გვიან ამთავრებს.

მაშასადამე, ახალგაზრდა თაობის ასაკობრივი საზღვრები არ არის ერთხელ და სამუდამოდ მოცემული, სტატიკური. იგი დინამიკურია, რაც მატერიალურ-ეკონომიკური, სოციალური, ისტორიული, ნაწილობრივ სუბიექტური ფაქტორებით არის განპირობებული.

ის, რაც ითქვა, გამონაკლისს არ წარმოადგენს ახალგაზრდა თაობის მიმართ, არამედ სხვა თაობებსაც ეხება. ყველასათვის ცნობილია, რომ სსრ კავშირში მნიშვნელოვნად ამაღლდა სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა. მამაკაცებისათვის იგი 70 წელს, ქალებისათვის კი 72 წელს შეადგენს. ამ გარემოებამ გადასწია მოხუცი, აგრეთვე ხნიერი თაობის ადამიანთა ასაკობრივი საზღვრები. ამჟამად ამ თაობის ადამიანები უფრო ხანგრძლივად ინარჩუნებენ შრომისუნარიანობას და დიდი ხნის განმავლობაში საზოგადოებრივი წარმოებისა და საქმიანობის აქტიურ ძალად რჩებიან.

თაობათა ასაკობრივი საზღვრები ცვალებადია არა მარტო სოციალიზმის, არამედ სხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის დროსაც. ცნობილია, მაგალითად, რომ მონის სიცოცხლე ხანმოკლე იყო. იგი, როგორც წესი, ბავშვობიდან მოხუცებულობამდე, ე. ი. ყველა თაობის გავლით სამ-ოთხ ათეულ წელს თუ გრძელდებოდა. მშრომელი ადამიანების თაობრივ-ასაკობრივი საზღვრები ცვალებადობას განიცდიდა შემდგომი ფორმაციების პირობებშიც. შრომის მზარდი ექსპლოატაცია ხელს უშლიდა თაობიდან თაობაში გადასვლის ბუნებრივ პროცესს, არღვევდა დროულ პროპორციებს, რაც თითოეული თაობის ნორმალური განვითარებისათვისაა საჭირო.

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ თაობები არ ექვემდებარებიან ყველა დროისა და ვითარებისათვის იგივეობრივ ასაკობრივ სტანდარტებს.

გარდა ამისა, კაცობრიობის ისტორიაში არის პერიოდები, როცა

თაობებს არა იმდენად საკუთარი, არამედ საერთო ინტერესები ამოძრავებთ. ასაკობრივი განსხვავების მიუხედავად ისინი ერთად სუნთქავენ, ერთიანი მიზნისათვის მოქმედებენ. ასე ხდება ეს ახალ საზოგადოებრივ ეკონომიკურ ფორმაციაზე გადასვლის, ამა თუ იმ ხალხთა სამართლიანი ომების დროს და ა. შ. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია, მაგალითად, ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველა თაობის ერთობლივი შემოქმედების შედეგი იყო. იგივე ითქმის დიდი სამამულო ომის, ფაშიზმის წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლის შესახებ.

როდესაც ხალხთა მასებს საერთო ინტერესები და მიზნები ამოძრავებთ, როდესაც მათთვის განსაცდელი ან წინსვლის სიძნელეები ერთია, მაშინ თაობათა ერთგვარი კონსოლიდაცია ხდება, რამდენადმე იშლება მათ შორის არსებული საზღვრები. უფროსებიც და უმცროსებიც ერთობლივად ირაზმებიან საერთო ამოცანის გადასაწყვეტად.

რასაკვირველია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დიდი სოციალური შემობრუნების ეპოქებში მთლიანად ქრებოდეს ყოველგვარი განსხვავება თაობათა შორის. განსხვავება გარკვეული აზრით რჩება, მაგრამ მსგავს პერიოდებში თაობათა ურთიერთშეჭრა ხორციელდება, მათი წარმომადგენლები ერთიანი სულისკვეთებით იმსჭვალებიან. სოციალური რევოლუციების დროს „იდეური“ თაობები შეიძლება ასაკობრივ თაობებს დაემთხვეს“ [1].

შესაძლებელია, რომ ამ მნიშვნელობით არა რამდენიმე, არამედ ერთ თაობაზეც კი ვილაპარაკოთ. როდესაც, მაგალითად, ვმსჯელობთ თაობაზე, რომელმაც ოქტომბრის სოციალისტური რევოლუცია მოახდინა, ცხადია, რომ ამ თაობაში ფართო შინაარსს, ადამიანთა განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფების წარმომადგენლების ერთობლიობას ვგულისხმობთ.

ამრიგად, თაობებს ერთმანეთისაგან სპეციფიკური ნიშანდობლივი თავისებურებანი განასხვავებს, ერთმანეთთან კი საერთო მიზნები და ინტერესები აკავშირებს. საერთო და სპეციფიკური ნიშნების ცვლის შესაბამისად იცვლება თვით თაობათა ასაკობრივი საზღვრებიც.

თაობათა ცვლა და კავშირი — ობიექტური სოციალური აუცილებლობა. თაობები არ არიან იზოლირებულნი ერთმანეთისაგან, მათ შორის ორგანული კავშირი არსებობს. ძველი ბერძნების შედარება რომ გამოვიყენოთ, თაობები ტალღებს გვანან. თაობაც ისევე მოყვება თაობას, როგორც ტალღა ტალღას მოსდევს. ძველი თაობის ადგილს

---

[1] Марксистско-ленинская теория исторического процесса. М., 1983. стр. 101.

ახალი თაობა იჭერს. ეს უკანასკნელი კი დროთა განმავლობაში ძველ თაობად იქცევა. თაობათა ცვლა რომ არ იყოს, მაშინ მათ შორის კავშირი გაწყდებოდა და განვითარებასაც ადგილი არ ექნებოდა საზოგადოებაში.

თაობათა ცვლა ბუნებრივი აუცილებლობაა, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით. მაგრამ ამასთან იგი სოციალური აუცილებლობაცაა, ვინაიდან ყოველი ახალი თაობა ძველი თაობის მხრებზე დგას, ხოლო ძველი თაობა მისი წინამორბედი თაობების მემკვიდრეა. მემკვიდრეობითობა სწორედ თაობათა ცვლის პროცესში ხორციელდება. თითოეული თაობა თავისი ცხოვრებით ცხოვრობს, რომელიც ერთი პატარა რგოლია საკაცობრიო ისტორიის დიდ ჯაჭვში. ამასთან, არც ერთი თაობის წინაშე არ დგას აუცილებლობა ხელახლა დაიწყოს იმ გზით სიარული, რომელიც წინამავალი თაობების მიერ არის გაკაფული. იგი ვალდებულია შემდგომ განაგრძოს ეს გზა და თავის მხრივ სარბიელი მომავალ თაობებს დაუთმოს.

თაობათა კავშირი საზოგადოებაში, უწინარეს ყოვლისა, საწარმოო, ეკონომიკურ საფუძვლებს ემყარება. თაობათა კავშირი თვით არის შედეგი, რომელიც საზოგადოებრივი წარმოების აუცილებლობითაა გამოწვეული. საზოგადოება ვერ იარსებებს და ვერ განვითარდება მატერიალური წარმოების, ცხოვრებისათვის საჭირო საშუალებების შექმნის გარეშე. აქედან გამომდინარეობს იმის გარდუვალობა, რომ ადამიანთა ყოველმა მომდევნო თაობამ წინა თაობის საწარმოო — შრომითი საქმიანობა განაგრძოს. საწარმოო კავშირი თაობათა კავშირის ობიექტურ საფუძვლად გვევლინება. კაცობრიობის ისტორია, რომელიც თაობათა საზოგადოებრივი კავშირის შედეგად ხორციელდება, პირველად და ძირითად გამოხატულებას სწორედ წარმოების სფეროში ჰპოვებს.

თაობათა კავშირი აუცილებელია იმის გამო, რომ ადამიანები იძულებულნი არიან იმ საწარმოო ძალებით დაუპირისპირდნენ ბუნებას, რომელიც მათ წინა თაობისაგან გადმოეცათ. „ყოველი მწარმოებლური ძალა მოპოვებული ძალაა, წინანდელი საქმიანობის ნაყოფი. ამრიგად, მწარმოებლური ძალები ადამიანთა პრაქტიკული ენერგიის შედეგია. მაგრამ თვით ეს ენერგია განსაზღვრულია იმ პირობებით, რომლებშიც ადამიანები ჩაყენებულნი არიან უკვე მოპოვებული მწარმოებლური ძალების მიერ, იმ ადამიანებამდე არსებული საზოგადოებრივი ფორმის მიერ, რომელიც მათ არ შეუქმნიათ და რომელიც წინა თაობის ნამოქმედარს წარმოადგენს. იმ უბრალო ფაქტის წყალობით, რომ ყოველი შემდგომი თაობა მზად პოულობს წინა თაობის მიერ მოპოვებულ მწარმოებლურ ძალებს და იყენებენ ნედლ მასალად

ახალი წარმოებისათვის, იქმნება კავშირი ადამიანთა ისტორიაში, იქმნება კაცობრიობის ისტორია“ [1].

ყოველი ახალი თაობა წინა თაობისაგან მემკვიდრეობით იღებს არა მარტო საწარმოო ძალებს, არამედ წარმოებით ურთიერთობათა უკვე არსებულ ფორმებს და ცვლის მათ, თუკი შექმნილია ან წარმოშობის პროცესშია ამისათვის საჭირო მატერიალური პირობები.

თაობათა კავშირი აგრეთვე პოლიტიკურ, იდეოლოგიურ, კულტურულ და სხვა სფეროებში მკვიდრდება.

საზოგადოებრივი იდეებისა და შეხედულებების, კულტურის, საზოგადოების მთელი სულიერი ცხოვრების განვითარება წარმოუდგენელია მემკვიდრეობითი, შემონახული ელემენტების გარეშე, რაც აგრეთვე თაობათა კავშირის აუცილებლობას განაპირობებს.

სხვადასხვა დროისა და ეპოქის იდეებსა და კულტურებს შორის კანონზომიერი გენეტიკური კავშირი მყარდება. ასე იქმნება მემკვიდრეობის ჯაჭვი კულტურის განვითარებაში. ამ ჯაჭვის თითოეული მომდევნო რგოლი წინა რგოლებს აგრძელებს. მატერიალური წარმოების პროგრესული ცვალებადობის მსგავსად საზოგადოების სულიერ და კულტურულ ღირებულებათა განვითარება წინა თაობების მიერ გადმოცემული მემკვიდრეობის ბაზაზე მიმდინარეობს.

კულტურულ მოღვაწეობას, ისევე როგორც მატერიალურ წარმოებას, ყოველი თაობა არასოდეს არ იწყებს თავიდან, კაცობრიობის წინა თაობების მიერ შექმნილი კულტურული ღირებულებებისაგან დამოუკიდებლად, მათ გაუთვალისწინებლად. ყოველი ახალი თაობა ადამიანთა მოღვაწეობის ადრინდელ შედეგებს იყენებს, გარდაქმნის და ამდიდრებს მას ახალი პირობების შესაბამისად.

თაობათა კავშირი — მნიშვნელოვანი სოციალური კანონზომიერებაა, რომლის გარეშე არც არსებობს კაცობრიობის ისტორია. „...ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თანამიმდევრული ცვლა ცალკეული თაობებისა, რომელთაგანაც თითოეული იყენებს ყველა წინამავალი თაობის მიერ გადმოცემულ მასალას, კაპიტალსა და მწარმოებლურ ძალებს; ამის გამო მოცემული თაობა, ერთი მხრივ, აგრძელებს გადმოცემულ მოქმედებას სრულიად შეცვლილ პირობებში, მეორე მხრივ კი, მთლიანად შეცვლილი მოქმედების საშუალებით სახეს უცვლის ძველ პირობებს“ [2].

ის კანონზომიერება, რომ ყოველი ახალი თაობის ისტორიული მოღვაწეობა წარიმართება მისი წინამორბედი თაობების მიერ მემკვიდრეობით გადმოცემულ პირობებში, ზოგადსოციოლოგიური

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 542.
[2] იქვე, ტ. I, გვ. 35.

მნიშვნელობისაა. ძველი და ახალი თაობების ურთიერთობის კანონზომიერება მოქმედებს საზოგადოებრივი განვითარების ყველა ეტაპზე, სოციალური წყობილების ხასიათის, საწარმოო ძალთა განვითარების დონის სხვადასხვაობის მიუხედავად.

პირობები, რომლებშიც სხვადასხვა თაობებს უხდებათ ცხოვრება და მოღვაწეობა, არაერთგვაროვანი და დინამიურია. ეს გამოწვეულია იმით, რომ ცვალებადია თვით საზოგადოებრივი ცხოვრების საფუძველი — წარმოება, უწინარეს ყოვლისა კი საწარმოო ძალები, საწარმოო ძალებს შიგნით კი შრომის იარაღები და მოწყობილობანი. ადამიანები განუწყვეტლივ სრულყოფენ შრომის იარაღებს, ბუნებაზე ზემოქმედების ახალ-ახალ საშუალებებს, რათა მეტი სარგებლობით გარდაქმნან იგი პირადი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით. ამით საკუთარ თავს ახალ საწარმოო გარემოში აყენებენ. თავის მხრივ, საწარმოო ძალების განუწყვეტელი ცვალებადობა გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ურთიერთობებზე, შესაბამის ცვლილებებს იწვევს ადამიანთა მატერიალურ და იდეოლოგიურ ურთიერთობებში. „პირობები, რომლებშიც ადამიანები პროდუქტებს აწარმოებენ და ცვლიან, იცვლება ქვეყნიდან ქვეყანაში, ხოლო თითოეულ ქვეყანაში, თავის მხრივ, თაობიდან თაობაში“ [1].

რაკი ყოველი თაობის ცხოვრება და მოღვაწეობა შეცვლილ ისტორიულ და თანამედროვე პირობებში ხდება, ეს თაობის წინაშე მდგომი ამოცანების, საქმიანობის ხასიათის, გონებრივი, ესთეტიკური და ზნეობრივი განვითარების, გემოვნების, ჩვევების და სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლების შეცვლასა და კორექციას იწვევს.

დროთა ცვალებადობა, ცხოვრების განსხვავებული პირობები ერთგვარად აშორებს თაობებს ერთმანეთისაგან, ზრდის განსხვავებას მათ შორის.

განასხვავებდა რა ერთმანეთისაგან რევოლუციამდელი და რევოლუციის შემდგომი თაობების პირობებსა და ამოცანებს, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „ცხადია, რომ მუშაკების ის თაობა, რომელიც კაპიტალისტურ საზოგადოებაშია აღზრდილი, უკეთეს შემთხვევაში შეძლებს გადაჭრას ექსპლოატაციაზე აგებული ძველი კაპიტალისტური ყოფაცხოვრების საფუძველთა მოსპობის ამოცანა. უკეთეს შემთხვევაში იგი შეძლებს გადაჭრას ისეთი საზოგადოებრივი წყობილების შექმნის ამოცანები, რომელიც პროლეტარიატსა და მშრომელ კლასებს დაეხმარებოდა თავიანთ ხელში შეენარჩუნებინათ ძალაუფლება და შეექმნათ მტკიცე საძირკველი, რომელზედაც შეუძლია შენება მხოლოდ იმ თაობას, რომელიც მუშაობას იწყებს უკვე ახალ პირობებში,

---

[1] ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 173—174.

ისეთ ვითარებაში, როცა ადამიანთა შორის ექსპლოატატორული ურთიერთობა აღარ არსებობს“ [1].

რევოლუციის შემდგომი თაობაც დიდად განსხვავდება თანამედროვე ახალგაზრდა თაობისაგან.

საბჭოთა ადამიანების თანამედროვე უფროსი თაობის ფორმირების პროცესი ოცდაათიან და ოცდაათიან წლებში მიმდინარეობდა. და ცხოვრების პირობები, რომელშიც ეს თაობა იმყოფებოდა, რასაკვირველია, დიდად განსხვავდება ომის შემდგომი საბჭოთა ახალგაზრდობის ცხოვრების პირობებისაგან. ამ თაობების შრომითი საქმიანობა შეესაბამებოდა წარმოების განვითარების სხვადასხვა დონეს ჩვენს ქვეყანაში; დიდად განსხვავდებოდა საბჭოთა კავშირის საშინაო და საგარეო მდგომარეობა ისტორიული განვითარების ამ ორ ეტაპზე; თვით ეს თაობები განირჩევიან ერთმანეთისაგან ზოგადსაგანმანათლებლო, პროფესიული, უმაღლესი განათლების დონით, ესთეტიკური ინტერესებითა და საყოფაცხოვრებო მოთხოვნილებებით და ა. შ. სხვადასხვაა ამ თაობების წინაშე მდგარი ამოცანები. ამიტომ არაერთგვაროვანია მათ მიერ განვლილი ისტორიული გზაც. მართალია, ორივე ამ თაობის ისტორიული მოღვაწეობა ერთ მიზანს — სოციალიზმის, კომუნიზმის საქმის გამარჯვებას ემსახურება, რაც ამ თაობათა განსხვავებულ ისტორიულ მოქმედებას აერთიანებს, მაგრამ ეს ერთიანობა განსხვავებასაც გულისხმობს.

ამიტომ, გასაგებია, რომ ის ფორმები და მეთოდები, რომლითაც თანამედროვე ახალგაზრდობის შრომითი საქმიანობა წარიმართება და საერთოდ, ყოველივე ის, რაც დღევანდელი ახალგაზრდობის სასიცოცხლო უნარ-მიდრეკილებათა გამოვლინებისათვის დამახასიათებელია, არ შეიძლება წინა თაობის მიერ შემუშავებული საშუალებებისა და წესების, მათი ცხოვრების ასლს წარმოადგენდეს. ამ ორი თაობის ისტორიული მოქმედება ერთმანეთისაგან განსხვავდება როგორც შინაარსობრივად, ისე ფორმის მიხედვით.

ეს გარემოება უმცროსი და უფროსი თაობის ურთიერთობის სწორ რეგულირებას მოითხოვს, უფროსმა თაობამ უნდა შეძლოს განსაკუთრებული მიდგომა საზოგადოების იმ უძვირფასესი ნაწილისადმი, რომელიც ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში იმყოფება. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ახალგაზრდობისადმი უფროსი თაობის სწორად მიდგომის საქმეს.

„ზშირად ხდება, — წერდა იგი, — რომ ხნიერი და მოხუცი თაობის წარმომადგენლებმა არ იციან მიდგომა, როგორც საჭიროა ახალგაზრდობისადმი, რომელიც აუცილებლობით იძულებულია სოცია-

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 31, გვ. 338.

ლიზმს სხვანაირად მიუახლოვდეს, არა იმ გზით, არა იმ ფორმით, არა იმ ვითარებაში, როგორც მათი მამები“ [1].

ამა თუ იმ სიძნელეებისა და ზოგიერთ შემთხვევაში შეცდომებისაგან კი არც ერთი თაობა არაა დაზღვეული. ცხოვრება თითოეული თაობის წინაშე ახალ-ახალ ამოცანებს აყენებს, აიძულებს მას იაროს იმ მიმართულებით, რომელიც წინა თაობის ნაკვალევს რამდენადმე სცილდება, ანდა სწორედ მომდევნო თაობის მიერ არის გასაკაფავი. აქედან გამომდინარეობს მტკივნეული წინააღმდეგობანი, განსაკუთრებით მშრომელთა კონტროლს დაუქვემდებარებელ საზოგადოებაში. მაგრამ სოციალისტური საზოგადოებისაკენ მიმავალ თაობებსაც აქვთ თავიანთი სიძნელეებიც, ე. წ. „ზრდის სიძნელეები“, რომელთაც პროგრესული სოციალური წყობილების ხასიათის გამო ადვილად სძლევენ, რამდენადაც ამით მთელი საზოგადოებაა დაინტერესებული.

მაგრამ, როდესაც თაობის წინაშე მდგომ სიძნელეებზეა ლაპარაკი, იგულისხმება, რომ ეს ყველაზე მეტად ახალგაზრდა თაობას ეხება. ცხოვრების ბატონ-პატრონად რომ იქცეს, ამისათვის, საჭიროა ახალგაზრდობამ შენება ისწავლოს, საამისოდ სათანადო ცოდნა და გამოცდილება შეიძინოს. უდიდესი საკაცობრიო ცოდნისა და პრაქტიკული გამოცდილების შეთვისება კი არ შეიძლება ერთბაშად და სიძნელეების დაძლევის გარეშე. ახალგაზრდობა საბოლოოდ მაინც წინ ჰიდის, მისთვის შეცდომებიც გაკვეთილად იქცევა ხოლმე.

ერთმანეთისაგან განასხვავებდა რა ძველი და ახალი თაობის ადამიანების როლს კაპიტალისტური საზოგადოების რევოლუციური გარდარქმნის საქმეში, და ამასთან დაკავშირებით გამოსთქვამდა რა იმედს, რომ ახალგაზრდობა ადვილად შეძლებს შეცდომების დაძლევას წინსვლის გზაზე, ფ. ენგელსი აღნიშნავდა: „ჩვენი მომავალი, უფრო მეტად ვიდრე ოდესმე, დამოკიდებულია მოზარდ თაობაზე, ვინაიდან მას მოუხდება იმ წინააღმდეგობათა გადაჭრა, რომლებიც უფრო და უფრო ღრმავდება. მართალია, მოხუცები საშინლად ჩივიან ახალგაზრდობაზე, და, მართლაც ის ძალიან გაუგონარია, მაგრამ დაე, ახალგაზრდები თავისი გზით წავიდნენ: ახალგაზრდობა გამოკეთდება და ისინი კი, ვისაც გზა დაებნევა, თვითონ იქნებიან ამაში დამნაშავენი“ [2].

ამრიგად, ძველი და ახალი თაობების კავშირი, მათი ერთიანობა — თვით საზოგადოების არსებობისა და განვითარების პირობებით და მოთხოვნილებებით არის ნაკარნახევი. ამავე ნიადაგს ემყარება თაობათა განსხვავებულობაც. ამასთან ლაპარაკია არა უბრალოდ თაობათა ასაკობრივ განსხვავებულობაზე, რაც თავისთავად ფაქტია და

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 23, გვ. 210.

[2] კ. მარქსი და ფ. ენგელსი, საბჭოთა განათლების შესახებ, 1942, გვ. 35.

ეპვს არ იწვევს, არამედ მათი მდგომარეობის, მოთხოვნილებების, ინტერესების, ერთი სიტყვით მათი შინაგანი ბუნების არაერთგვაროვნობაზე. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან, როგორც ითქვა, მატერიალური პირობები, რომელშიც ყოველი ახალი თაობა ყალიბდება, არასოდეს არ ემთხვევა წინა თაობის ცხოვრების პირობებს საზოგადოების მუდმივი ცვალებადობის გამო. შეუძლებელია აგრეთვე თავიდან ბოლომდე უცვლელი იყოს ის სულიერი გარემოც, რომელშიც ძველ და ახალ თაობებს უხდებათ მოღვაწეობა, რამდენადაც ეს უკანასკნელი საზოგადოების მატერიალური ცხოვრების ასახვაა და მისი ცვალებადობის შესაბამისად იცვლება.

მართალია, ნელი სოციალური ევოლუციის დროს ძველი და ახალი თაობის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობები შედარებით უახლოვდება ერთმანეთს, მაგრამ ეს პირობები არასოდეს არ არის აბსოლუტურად იგივეობრივი, მაშასადამე, ყოველთვის რჩება განსხვავებულობა თაობათა შორის. ეს განსხვავებულობა შესაძლებელია დაპირისპირებულობასა და ბრძოლაში გადაიზარდეს იმისდა მიხედვით, თუ როგორია თვით საზოგადოება, რომელშიც ძველი და ახალი თაობები თანაარსებობენ. თუ საზოგადოება ანტაგონისტურია, ამით იქმნება რეალური საფუძველი თაობათა შორის არსებული განსხვავებისა და წინააღმდეგობის გაღრმავებისა დ გამწვავებისათვის, განსაკუთრებით კი იმ პერიოდებში, როდესაც ნელი რაოდენობრივი ცვლილებების დაგროვების შედეგად საზოგადოება სწრაფი, ძირეული გარდაქმნების აუცილებლობის წინაშე დგება. ამ დაპირისპირებულობის ობიექტური წყაროა კონფლიქტი ანტაგონისტური საზოგადოების საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის.

ახალი თაობის, „შვილების“ დაპირისპირება ძველი თაობისადმი, „მამებისადმი“, მთელი ძალით მეღავნდება ანტაგონისტური საზოგადოების რევოლუციური შეცვლის დროს, როდესაც ეპოქა ადამიანებისაგან სიახლისადმი სწრაფვას, ძველისადმი შეურიგებლობას, თავგანწირულობას, შეუპოვრობას და ბევრ სხვა ისეთ თვისებას მოითხოვს, რომელიც სწორედ ახალგაზრდობაშია თავმოყრილი. იგივე ეპოქა ადიდებს ნაპრალს ახლისათვის მებრძოლ „შვილებსა“ და ძველის დამცველ „მამებს“ შორის. ახასიათებდა რა „მამებისა“ და „შვილების“ ურთიერთობას რუსეთის პირველი რევოლუციის წინა პერიოდში, ვ. ი. ლენინი წერდა:

„რატომ არ ისმის „მამების“ ხმა იმ დროს, როდესაც „შვილებმა“ ერაორაზროვნად განაცხადეს თავისი განზრახვა ახალი მსხვერპლი მიიტანონ რუსეთის რევოლუციის სამსხვერპლოზე“ [1].

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 6. გვ. 87.

კონფლიქტი მამებსა და შვილებს შორის როგორც წესი, გარდამავალ პერიოდში ხდება და ამ ეპოქის შესაბამის კონკრეტულ შინაარსს იძენს.

წინააღმდეგობათა გაღრმავება თაობათა შორის უკვე იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოების მატერიალურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში მწიფდება ან ხორციელდება დიდი ძვრები, როდესაც ნელ-ნელი რაოდენობრივი ცვლილებები საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მკვეთრ თვისობრივ ცვლილებებს იწვევენ, ანდა ამ ცვლილებების მომზადების სტადიაში იმყოფებიან. ამ ფონზე ახალგაზრდა თაობა, რომელსაც განვითარებული აქვს ახლის შეგრძნების უნარი, ვეღარ ეგუება ძველ, დახავსებულ სოციალურ გარემოს, იბრძვის ახლისათვის, თუმცა საწყის ეტაპზე თავისი მოქმედების პერსპექტივები ჯერ კიდევ სრულად არა აქვს შეგნებული.

ისტორიულ პერიოდებში, როდესაც საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ცხოვრებაში უმნიშვნელოვანესი ცვლილებები უნდა განხორციელდეს, ძველი წყობილების დამცველები ყოველმხრივად ცდილობენ წინ აღუდგნენ სოციალურ პროგრესს და ახალი საზოგადოებრივი ძალების რევოლუციური მოქმედება თაობათა შორის ბრძოლის ვიწრო ამოცანებით შემოზღუდონ. სწორედ ამ გზას ადგანან მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები, რომლებიც ახალგაზრდობის ბრძოლას კაპიტალისტურ ქვეყნებში თანამედროვეობის უმთავრეს ტენდენციად მიიჩნევენ, კლასობრივი ბრძოლის აუცილებლობას კი საერთოდ უარყოფენ.

სინამდვილეში, ანტაგონისტური საზოგადოების ძირეულ ცვლილებათა შინაარსი და ხასიათი განსაზღვრულია პროგრესული და რეაქციული საზოგადოებრივი კლასების გარდაუვალი შეჯახებით, რაც თავის გამოვლენას, ცხადია, თაობათა შორის დაპირისპირებულობაშიც ჰპოვებს.

ასეთ ისტორიულ ეპოქებში ყოველი ახალი თაობა მეტად მტკივნეულად განიცდის ექსპლოატატორული საზოგადოების მემკვიდრეობით გადმოცემულ ცხოვრების დრომოჭმულ წესებს და სტანდარტებს, არსებული მანკიერებანი არ შეუძლია სხვაგვარად ახსნას, თუ არა ძველი თაობის ან თაობების მოღვაწეობის შედეგი. „შვილები“ აშკარად უკმაყოფილონი არიან „მამების“ საქმიანობით, ხოლო პროგრესული კლასების ბრძოლა რეაქციული კლასების წინააღმდეგ სხვადასხვა ასაკობრივ-სოციალური ჯგუფების დაპირისპირებულობაშიც ვლინდება, რაც თავის მხრივ მრავალგვარი ფორმით სახიერდება.

ამრიგად, თაობათა კავშირი არ გამორიცხავს წინააღმდეგობას და

დაპირისპირებას მათ შორის, საზოგადოებრივი განვითარების გარკვეულ სტადიებზე.

მაგრამ ანტაგონისტურ საზოგადოებაში თაობათა დაპირისპირების მნიშვნელობის გაზვიადება ისეთივე შეცდომაა, როგორც მისი უგულებელყოფა. ეს იმიტომ, რომ თაობათა დაპირისპირებას თავის თავში შინაგანი იმანენტური საფუძველი არ გააჩნია. იგი ანტაგონისტური საზოგადოების ჰთავარი მამოძრავებელი ძალის — კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზეა აღმოცენებული და მის ერთ-ერთ სოციალურ შედეგს წარმოადგენს. იმ საზოგადოებაში, რომელშიც ერთმანეთს ებრძვიან მდგომარეობითა და ინტერესებით დაპირისპირებული დიდი სოციალური ჯგუფები, ექსპლოატირებული და ექსპლოატატორული კლასები, — შეუძლებელია ჰარმონიული დამოკიდებულება თაობათა შორის. პირიქით, კლასობრივი დაპირისპირება იმ ბაზად იქცევა, რომელზეც აღმოცენდება მტრობა და უნდობლობა ასაკობრივ ჯგუფებს შორის, ძველ და ახალ თაობას შორის.

მაგრამ, აქედან არ გამომდინარეობს, რომ თაობათა ბრძოლას „თავისთავადი" მნიშვნელობა ენიჭება. ის, ვინც თაობათა ბრძოლის აბსოლუტიზაციას ახდენს, კლასობრივ ბრძოლას თაობათა ბრძოლით ცვლის, სინამდვილეში თავდაყირა აყენებს საზოგადოებრივ მოვლენებს, სოციალურ შედეგს სოციალური მიზეზის ადგილზე სვამს. სწორედ ამას მოითხოვენ თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები. ამგვარი პოზიციის კლასობრივი მიზანდასახულობა ნათელია: ამით ცდილობენ მშრომელთა ყურადღება მთავარსა და არსებითს ჩამოაშორონ, მათი კლასობრივი თვითშეგნება დააჩლუნგონ, შთააგონონ მათ, რომ დღევანდელ პირობებში ბურჟუაზიის წინააღმდეგ მათი ბრძოლა უმართებულოა, ხოლო რაც ადამიანთა უკმაყოფილებას იწვევს მისი მიზეზი დროებითი, ეფემერული, ასაკობრივი ვნებათაღელვაა და მეტი არაფერი.

მეორე მხრივ, როგორც აღინიშნა, არ შეიძლება არც თაობათა დაპირისპირების მნიშვნელობის იგნორირება ანტაგონისტურ საზოგადოებაში. ეს განსაკუთრებით ითქმის თანამედროვე კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ, სადაც ახალგაზრდობის მასობრივი მოძრაობა მუშათა მოძრაობას ერწყმის ძველი დრომოჭმული კაპიტალისტური წყობილების და მისი აშკარა და ფარული დამცველების წინააღმდეგ.

„მამებისა" და „შვილების" დაპირისპირებას კაპიტალიზმის დროს ხელს უწყობს და ამწვავებს შეძლებული ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობის გარკვეული ნაწილის მკვეთრი შემობრუნება მათი „მამების "ექსპლოატატორულ-კლასობრივი პოზიციიდან, მათი გადასვლა მშრომელთა მხარეზე მუშათა კლასისა და სხვა მშრომელი მასების რევოლუციური მოქმედების ზეგავლენით. რაც უფრო ძლიერია

ეს ზეგავლენა. „შვილები“ მით უფრო ვეღარ უგებენ და ვეღარ ეგუებიან ექსპლოატატორული წყობილების დამცველ „მამებს“ და მათი უკმაყოფილება ობიექტურად მუშათა კლასის ბრძოლას ერთვის.

ამასთან დაპირისპირება „მამებსა“ და „შვილებს“ შორის კაპიტალიზმის დროს შეიძლება საწინააღმდეგო მხრიდანაც გამოვლინდეს, როცა ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილზე წვრილბურჟუაზიული სტიქია ახდენს გავლენას. ასეთ დროს ახალგარდობის ამ ჯგუფს სწორი ორიენტაცია ეკარგება და იგი მშრომელი ხალხის მტრების ბანაკში აღმოჩნდება, მისი მოქმედება ობიექტურად ექსპლოატატორული წყობილების დამცველი „მამების“ საქმიანობას განამტკიცებს.

მაგრამ როგორი სახეც არ უნდა მიიღოს თაობათა დაპირისპირებამ, რაც ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო და საგარეო ცხოვრების კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული, მისი არსება ერთია, — ღრმა წინააღმდეგობა წარმოების საზოგადოებრივ ხასიათსა და მითვისების კერძო ფორმას შორის, რომელიც შიგნიდან არყევს კაპიტალისტურ წყობილებას და მოსახლეობის ერთ ნაწილს მეორე ნაწილს უპირისპირებს სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში.

ამასთან, მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში უაღრესად სწრაფი ტემპით ვითარდება თვით საზოგადოებრივი ცხოვრება. უკვე ერთი თაობის თვალწინ უმნიშვნელოვანესი და ჩქარი გარდაქმნები ხდება ამა თუ იმ ხალხთა პოლიტიკაში, ეკონომიკაში, საწარმოო ძალთა განვითარებაში და ა. შ. მართალია, ყოველი ახალი თაობა წინა თაობის ისტორიულ მოღვაწეობას ემყარება, მაგრამ მის წინაშე ცხოვრება გაცილებით რთულ და ადრინდელი თაობებისათვის გარკვეული აზრით მიუწვდომელ ამოცანებსაც კი აყენებს. ეს ბუნებრივიცაა. ამას მოითხოვს საზოგადოებრივი პროგრესის ინტერესები, წარმოების განვითარების თანამედროვე დონე. აქედან გამომდინარე, ახალი თაობის წარმომადგენლებმა შეუძლებელია კრიტიკულად არ შეხედონ წინა თაობის მოღვაწეობის შედეგებს. ისინი ინარჩუნებენ ყოველივე იმას, რაც წარსულის დადებით შინაარს შეადგენს. ამასთან გამოდიან ახალი ძირეული ცვლილებების მოთხოვნით.

თაობათა ურთიერთდაპირისპირებულობა და ბრძოლა არ გამომდინარეობს საკუთრივ ასაკობრივი მიზეზებიდან. იგი წარმოიშობა კლასობრივი დაპირისპირების ბაზაზე და არსებობს როგორც სოციალურ ძალთა შეჯახების ერთ-ერთი განშტოებათაგანი. მაგრამ თავის მხრივ, თაობათა ურთიერთდაპირისპირება და ბრძოლა შესაძლებელია სულ სხვადასხვაგვარ სფეროებში გამოვლინდეს. „მამებსა“ და „შვილებს“ შორის ბრძოლის საგნად შეიძლება იქცეს ქვეყნის საგარეო ან საშინაო პოლიტიკის, რელიგიის, ხელოვნებისა და ლიტერატურის,

მორალის და მთელი რიგი სხვა საკითხები. ყოველივე ეს ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ-ისტორიულ პირობებზეა დამოკიდებული.

ცნობილია, მაგალითად, რომ გასული საუკუნის 60—70-იანი წლების საქართველოში თაობათა ბრძოლის მთავარ სარბიელად სალიტერატურო ენა იქცა. ბრძოლა წარმოებდა სხვა მიმართულებითაც. ახალი თაობის წარმომადგენლებმა — „თერგდალეულებმა" (ი. ჭავჭავაძე, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, გ. წერეთელი, ი. გოგებაშვილი და სხვ.) სწორად აუღეს ალღო მოვლენათა მსვლელობას საქართველოში და რუსეთის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ზეგავლენით მთელი რიგი პროგრესული მოთხოვნები წამოაყენეს რეაქციული ქართველი თავადაზნაურობის წინააღმდეგ, რომელიც დრომოჭმულ, ფეოდალურ ურთიერთობებს და მის ნაშთებს იცავდა. ეს მოთხოვნები ეკონომიკურ, სოციალურ, აგრარულ, ეროვნულ და სხვა საკითხებს ეხებოდა. მაგრამ ყველაზე მწვავედ ძველი და ახალი თაობის ბრძოლა სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის წარიმართა და „შვილების" გამარჯვებით დამთავრდა. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, ვინაიდან „შვილების" პოზიცია შეესაბამებოდა სოციალური პროგრესის ინტერესებს: იმ პერიოდში ქართველი ხალხი ბურჟუაზიულ ერად ფორმირების პროცესს განიცდიდა, ხოლო მისი ერთიანი ენა, როგორც ეროვნული თავისთავადობის გამომხატველი ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მისსავე ლიტერატურაშიც უნდა განმტკიცებულიყო. გასაგებია ამის გამო, რომ ქართველი ხალხი და მისი ლიტერატურა ვერ დაემყარებოდა ძველ საეკლესიო ენას, რომლითაც რეაქციული არისტოკრატია და სამღვდელოება სარგებლობდა.

ახალი თაობის უკმაყოფილებამ სწორედ იმ უბანზე იფეთქა, სადაც ეროვნული განვითარებისათვის მთავარი ხელისშემშლელი მიზეზი აღმოჩნდა. ძველი და ახალი თაობების შეჯახება საქართველოში იმ პერიოდს დაემთხვა, როდესაც ისტორიამ ქართველი ხალხი ფეოდალიზმისა და მისი გადმონაშთების წინააღმდეგ ბრძოლის, კაპიტალისტურ წყობილებაზე გადასვლის აუცილებლობის წინაშე დააყენა.

იდეური განხეთქილება ამა თუ იმ ხალხის ცხოვრებაში ძველისა და ახლის დამცველ თაობებს შორის სწორედ ასეთი ძირეული შემობრუნების დროს წარმოიშობა. და შესაძლო დროებით წარუმატებლობათა მიუხედავად გამარჯვება საბოლოოდ იმ თაობას რჩება, რომელიც ახლის, პროგრესულის მხარეზე დგას.

ისტორიიდან ცნობილია, რომ სალიტერატურო ენის ხალხურობისათვის სწრაფვა თაობათა შეჯახების კერად სხვა ქვეყნებშიც იქცა. ასე მოხდა მაგალითად, იტალიაში, ადრეული აღორძინების და ჰუმანიზმის პერიოდში, როდესაც ახალი ბურჟუაზიული იდეოლოგიის

ჩასახვა ფეოდალიზმის დამცველთა სასტიკი წინააღმდეგობის პირობებში მიმდინარეობდა. ახალი იდეოლოგიის, ჰუმანიზმის მგზნებარე მქადაგებლები (დანტე ალიგიერი, ფრანჩესკო პეტრარკა, ჯოვანნო ბოკაჩიო და სხვ.) თავიანთ ნაწარმოებებს იტალიურ ხალხურ ენაზე ქმნიდნენ, რითაც დაუპირისპირდნენ კათოლიკურ ეკლესიას, რომელიც ღვთისმომსახურებას ლათინურ ენაზე ეწეოდა და სასტიკად ილაშქრებდა ხალხური ენის გავრცელების წინააღმდეგ ლიტერატურაში.

ამასთან ძველის და ახლის ბრძოლის ასპარეზად იქცა აგრეთვე ხელოვნება, განსაკუთრებით მწერლობა, მხატვრობა, არქიტექტურა, რომლებშიც ფართოდ შეიჭრა ახალი, ჰუმანისტური მსოფლმხედველობა.

ძველის დამცველებსა და ახლის მქადაგებლებს შორის მწვავე ბრძოლა გაჩაღდა გერმანიაში გასული საუკუნის 40-იან წლებში. ეს იყო პერიოდი, როცა ფეოდალურ-თვითმპყრობელური რეაქციის წინააღმდეგ აშკარა პოზიციის დაჭერა აუცილებელი გახდა და ფ. ენგელსის თქმით „საქმე უკვე პირდაპირ ეხებოდა მემკვიდრეობით მიღებული რელიგიისა და არსებული სახელმწიფოს მოსპობას“ [1]. სწორედ ამ პერიოდში ოფიციალური იდეოლოგიის წინააღმდეგ აშკარგად გამოვიდნენ ახალგაზრდა ჰეგელელები, რომლებიც აღმავალი რადიკალური ბურჟუაზიის ფილოსოფიას იცავდნენ და რამდენადაც „პოლიტიკა მაშინ მეტად ეკლიანი სარბიელი იყო... ბრძოლა უმთავრესად რელიგიის წინააღმდეგ მიიმართა“ [2].

ახალგაზრდა მემარცხენე ჰეგელელები გაეთიშნენ ჰეგელის ფილოსოფიას, რელიგიასთან ბრძოლამ ისინი ინგლისურ-ფრანგული მატერიალიზმისაკენ დააბრუნა. საჭირო გახდა ჰეგელის ფილოსოფიის კრიტიკული დაძლევა. ამ ამოცანის გადაწყვეტა წილად ხვდა ამ თაობის წარმომადგენლებს მარქსსა და ენგელსს, რომლებმაც მწყობრი დიალექტიკურ-მატერიალისტური მსოფლმხედველობა შეიმუშავეს და იგი საზოგადოებრივი ცხოვრების შემეცნებაზე გაავრცელეს.

თაობათა შორის ბრძოლა, „მამებსა“ და „შვილებს“ შორის განხეთქილება გამოვლინდა აგრეთვე რუსეთში, გასული საუკუნის 60-იანი წლების მოღვაწეთა იდეოლოგიაში. ეს ის პერიოდია, როდესაც რუსეთში ფართოდ მკვიდრდება კაპიტალისტური წარმოებითი ურთიერთობანი, რომელსაც როგორც მომხრეები, ისე მოწინააღმდეგენი აღმოუჩნდნენ. ბრძოლა მიმდინარეობდა ლიბერალურ თავადაზნაურობასა და რევოლუციურად განწყობილ, დემოკრატიულ რაზნოჩინე-

---

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. II, გვ. 447.
[2] იქვე, გვ. 448.

ლებს შორის მწვავე სოციალურ-პოლიტიკურ პრობლემებზე. „ჩერნიშევსკი, დობროლიუბოვი, სერნო-სოლოვიევიჩი, რომლებიც რევოლუციონერ-რაზნოჩინელების ახალ თაობას წარმოადგენდნენ“ (ვ. ი. ლენინი), თანამიმდევრულად იცავდნენ რევოლუციური დემოკრატიზმის პოზიციებს. ამ ბრძოლას შედეგად მოჰყვა ის, რომ „უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“ — ასე უწოდებდა მათ გერცენი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას“ [1].

ამრიგად, უთანხმოება და განხეთქილება „მამებსა“ და „შვილებს“ შორის, რაც ამა თუ იმ ქვეყნის განვითარების კრიტიკულ პერიოდებში იჩენს ხოლმე თავს, შეიძლება გამოვლინდეს სრულიად სხვადასხვა სფეროებში, ხელოვნების, პოლიტიკის, რელიგიის, ეკონომიკის, ენის და სხვა სოციალურ პრობლემებთან დაკავშირებით.

მაგრამ ამ კონფლიქტს „მამებსა“ და „შვილებს“ შორის არასოდეს არ მიუღია ისეთი ყოვლისმომცველი შინაარსი, როგორც კაპიტალიზმის საერთო კრიზისის თანამედროვე ეტაპზე.

თანამედროვე რადიკალური ახალგაზრდობა ვერ უთავსდება ექსპლოატატორულ სახელმწიფოთა მმართველი წრეების საშინაო და საგარეო პოლიტიკას, მოითხოვს ძირეულ ეკონომიკურ გარდაქმნებს, ებრძვის მჩაგვრელთა იდეოლოგიას, ცხოვრების დამკვიდრებულ სტანდარტებს. არ არსებობს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის არც ერთი სფერო, სადაც მეამბოხე „შვილები“ ძველის დამცველი „მამების“ წინააღმდეგ არ გამოდიოდნენ.

ახალგაზრდობის მოძრაობის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე. უკანასკნელი ოცი წელი აღინიშნა ახალგაზრდობის მოძრაობის აღმაღლობით კაპიტალის ქვეყნებში. ამერიკის შეერთებული შტატების, საფრანგეთის, ინგლისის, ესპანეთის, იაპონიის, თურქეთის, პაკისტანის, ლათინური ამერიკის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის გამოსვლებმა ამ სახელმწიფოთა მმართველი წრეების მზარდი შეშფოთება გამოიწვია. მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგები, სხვადასხვა ჯურის წვრილბურჟუაზიული „თეორეტიკოსები“, მემარჯვენე და „მემარცხენე“ ოპორტუ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 18, გვ. 19.

ნისტები მთელი ხმით ალაპარაკდნენ ახალგაზრდული მოძრაობის შესახებ. მათი ნაწილი ცდილობდა საქმე მარტივად წარმოესახა, თითქოს ეს მოძრაობა წმინდა ასაკობრივ „ვნებათა ღელვის“ გამოხატულება და მეტი არაფერი ყოფილიყო. ზოგიერთი იდეოლოგი ამ ფაქტს „ახალგაზრდული რევოლუციის“ დასაწყისის მაჩვენებლადაც კი სთვლიდა. განსაკუთრებით ფართო პროპაგანდა ეწეოდა მათს შეხედულებას, ვინც ახალგაზრდობის მოძრაობას ძველი და ახალი თაობების „კონფლიქტად“ მიიჩნევდა. სხვა მრავალი რეაქციული შეხედულებაც გავრცელდა.

მაგრამ სხვადასხვაობის მიუხედავად, ბურჟუაზიული იდეოლოგების, მათი აშკარა და შენიღბული მომხრეების შეხედულებათა კლასობრივი არსი და მიზანი საერთო იყო: ახალგაზრდობის მოწყვეტა მუშათა კლასისაგან, მისი ჩამოცილება სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის გზიდან. ბურჟუაზიულ იდეოლოგებს კლასობრივი შეზღუდულობის გამო, რასაკვირველია, არც ძალუძთ ახალგაზრდობის და მისი განვითარების პერსპექტივების რეალური შეფასება. მათი ინტერესები ეწინააღმდეგება იმას, რომ ახალგაზრდობის გამოსვლები კლასობრივი ბრძოლის გამოვლინებად იქნა აღიარებული.

კომუნისტური და მუშათა პარტიები მეცნიერულად აანალიზებენ თანამედროვე ახალგაზრდობის მოძრაობის არსს, მისი აქტიური გამოსვლების თავისებურებებსა და მიზეზებს, ითვალისწინებენ ობიექტურ და სუბიექტურ პირობებს, რომლებსაც ამ მოძრაობის აღმავლობა და მუშათა მოძრაობასთან მისი შეკავშირება მოსდევს. ახალგაზრდობის გამოსვლები მუშათა კლასისა და მისი პარტიის ხელმძღვანელობით თანამედროვეობის ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან ძალად იქცევა.

„კომუნისტები დიდად აფასებენ ახალგაზრდული მოძრაობის აღმავლობას და აქტიურად მონაწილეობენ მასში, ისინი მის რიგებში ავრცელებენ მეცნიერული სოციალიზმის იდეებს, განუმარტავენ სხვადასხვა ჯგუფის ფსევდორევოლუციური იდეების საშიშროებას, რომლებსაც შეუძლიათ გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობაზე, ცდილობენ დაეხმარონ მას მოძებნოს სწორი გზა იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავისი ინტერესების დაცვისათვის ბრძოლაში. მხოლოდ მუშათა მოძრაობასთან და მის კომუნისტურ ავანგარდთან მჭიდრო კავშირს შეუძლია დაუსახოს ახალგაზრდობას ნამდვილი რევოლუციური პერსპექტივა“ [1].

---

[1] კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები, 1969, გვ. 31—32.

მარქსიზმ-ლენინიზმი ასე განსაზღვრავს ახალგაზრდობის მოძრაობის არსს და განვითარების გზებს თანამედროვე პირობებში.

ახალგაზრდობის მოძრაობა არ შეიძლება განვიხილოთ როგორც კაპიტალიზმისათვის უცხო მოვლენა. ახალგაზრდობა ცნობილია თავისი რევოლუციური ტრადიციებით. იგი, მისთვის დამახასიათებელი სიცოცხლისუნარიანობითა და ენთუზიაზმით, უსამართლობისადმი სწრაფი რეაგირებით, ჯანსაღი რევოლუციური ინსტინქტით, სიახლის გრძნობითა და თავგანწირულობით ადრეც იდგა კაპიტალიზმის წინააღმდეგ, სოციალური პროგრესის, დემოკრატიის, სოციალიზმისათვის მებრძოლი საზოგადოებრივი ძალების რიგებში, მაგრამ თანამედროვე ახალგაზრდობის მოძრაობა მნიშვნელოვნად განსხვავდება ახალგაზრდობის ადრინდელი მოძრაობისაგან. იგი განვითარების ახალ სტადიაშია შესული და მთელი რიგი სპეციფიკური თავისებურებებით ხასიათდება.

ამჟამად ახალგაზრდობის მოძრაობას მონაწილეთა რიცხობრივი ზრდა, ახალგაზრდობის გამოსვლების მასობრიობა ახასიათებს. ადრე კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ მოძრაობას სპორადული ხასიათი ჰქონდა. იგი აქა-იქ, ამა თუ იმ ქვეყნის ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში იფეთქებდა ხოლმე. ამჟამად კი ახალგაზრდობის, უწინარეს ყოვლისა, მუშა ახალგაზრდობის მოძრაობა მასობრივად და სისტემატურად მიმდინარეობს, თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანას მოიცავს. ამ მოძრაობის ტალღები კაპიტალისტური წყობილების საფუძვლებს არყევს. შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა საყოველთაო მოძრაობად იქცა კაპიტალის ქვეყნებში. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მონაცემებით თუ 1968 წელს სტუდენტთა მღელვარებამ მსოფლიოს 50 ქვეყანა მოიცვა, უკვე 1971 წლისათვის 70 ქვეყანას მოედო [1].

უკანასკნელ ხანს საერთოდ იმატა ახალგაზრდების რიცხვმა მოსახლეობის სხვა თაობათა წარმომადგენლებთან შედარებით. განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობა 70—80-იან წლებში მთელი მოსახლეობის დაახლოებით 40%-ს შეადგენს. ეს გარემოება ახალგაზრდობის მოძრაობის მონაწილეთა რაოდენობრივ მხარეზე ახდენს გავლენას.

ახალგაზრდობის მოძრაობა თანამედროვე პირობებში სულ უფრო მეტად უკავშირდება მუშათა მოძრაობას და მის კომუნისტურ ავანგარდს, სულ უფრო მეტად იქცევა ანტიმონოპოლისტური ბრძოლის დიდმნიშვნელოვან ფაქტორად. თითქმის არ არსებობს კაპიტალისტური ქვეყანა, რომელსაც ახალგაზრდობის აქტიური გამოსვლები და

---

[1] Туманский А. П. Бастующая молодежь. М., 1983. стр.12.

მუშათა კლასის რევოლუციურ ბრძოლასთან მისი კავშირის განმტკიცება არ აწუხებდეს.

გაფართოვდა ახალგაზრდობის მოძრაობის სოციალური ბაზა. მუშა ახალგაზრდობისა და სტუდენტების მოძრაობას სულ უფრო და უფრო უერთდება ქალაქის საშუალო ფენების, წვრილი და საშუალო გლეხობის, ინტელიგენციის ფენებიდან გამოსული ახალგაზრდობა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა არა მარტო რაოდენობრივად არამედ თვისებრივადაც ვითარდება. ეს განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდება, თუ ახალგაზრდული მოძრაობის მოთხოვნებს, ამ მოთხოვნების მთავარ შინაარსს გავაანალიზებთ.

პოლიტიკური მოთხოვნები ახალგაზრდული მოძრაობის ძირითად მოთხოვნებად გადაიქცა. 60-იანი წლების დასაწყისამდე, ბურჟუაზიული იდეოლოგები ბევრს ლაპარაკობდნენ ახალგაზრდობის აპოლიტიკურობაზე, თავს იმშვიდებდნენ იმის ქადაგებით, რომ ახალგაზრდულმა მოძრაობამ პოლიტიკური მიზანმიმართულება დაკარგა, რომ ახალგაზრდობა მომავალშიც პოლიტიკის მიღმა დარჩება. მაგრამ ისტორიულმა პრაქტიკამ ბურჟუაზიული იდეოლოგების მოლოდინს საფუძველი გამოაცალა.

გამოდის რა მუშათა კლასის მხარდამხარ, ახალგაზრდობა სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ მოთხოვნებს აყენებს. მისი მიზანი არა იმდენად საკუთარი მატერიალური საჭიროებების დაკმაყოფილება, არამედ კაპიტალისტური მონოპოლიების თვითნებობის შეზღუდვაა.

თანამედროვე ახალგაზრდობის პოლიტიკური მოთხოვნები დემოკრატიის გაფართოებას, განიარაღებისათვის, მშვიდობისათვის, აგრესიული საგარეო პოლიტიკური კურსის წინააღმდეგ ბრძოლას, ეროვნული განთავისუფლების საკითხებს ეხება და ა. შ. ახალგაზრდები სულ უფრო მეტად „მონაწილეობენ დიდ სახალხო გამოსვლებში იმპერიალიზმის წინააღმდეგ, დემოკრატიისათვის, მშვიდობისა და სოციალიზმისათვის“ [1].

მნიშვნელოვნად გაიზარდა პოლიტიკური მოთხოვნების წილი მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობაში. ისინი ქრონიკული უმუშევრო-

---

[1] კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. 1969, გვ. 31.

ბის წინააღმდეგ ბრძოლის, განათლების და კვალიფიკაციის მიღების უფლების დამკვიდრების, რასობრივი დისკრიმინაციის პოლიტიკის შეწყვეტის, ცხოვრების დემოკრატიზაციისა და სხვა მოთხოვნებით გამოდიან. მაგალითად, სტუდენტებისა და ახალგაზრდობის სხვა ჯგუფების გაერთიანებული მასობრივი მღელვარება, რომელიც 1981 წლის დამლევს ინგლისს მოედო — მშვიდობის დაცვის ლოზუნგით მოხდა.

ბოლო წლებში ევროპის, საერთაშორისო, რეგიონალური და ეროვნული სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ერთობლივი ღონისძიებანი უმთავრესად განიარაღების საკითხს ეძღვნება [1].

პოლიტიკური მოტივები სულ უფრო მეტად იქცევა მაოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მოსწავლე ახალგაზრდობის მოძრაობის ლაიტმოტივად.

როგორც ეს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირზე აღინიშნა, „სტუდენტობის ფართო მასები იბრძვიან არა მარტო სწავლების ჩამორჩენილი სისტემის ნაკლოვანებათა წინააღმდეგ, არა მარტო იმ უფლებისათვის, რომ ჰქონდეთ თავიანთი ორგანიზაციები და ეფექტიანად მონაწილეობდნენ სასწავლო ცენტრებისადმი ხელმძღვანელობაში, არამედ გაბატონებული კლასების პოლიტიკის წინააღმდეგაც" [2]. იზრდება სტუდენტთა წილი ახალგაზრდობის საერთო მოძრაობაში.

მუშა ახალგაზრდობისა და ახალგაზრდების სხვა ჯგუფების მდგომარეობისა და ინტერესების დაახლოების კვალობაზე თანდათანობით ნათელი ხდება, რომ ახალგაზრდობის ბრძოლა სასურველ შედეგებს მხოლოდ მაშინ მოიტანს, თუ მუშათა კლასის ბრძოლის მეთოდებსა და ფორმებს დაეყრდნობა. ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი მოსწავლე ახალგაზრდობა უკანასკნელ ხანს სულ უფრო მეტად მიმართავს გაფიცვებს, დემონსტრაციებს, დაწესებულებათა შენობების ხელში ჩაგდებას, ბლოკირებას და ბრძოლის სხვა ხერხებს. თანდათანობით მტკიცდება ახალგაზრდობის ორგანიზაციული ფორმები, იზრდება მათი როლი ახალგაზრდობის ბრძოლაში.

ამიტომაა, რომ მოსწავლე ახალგაზრდობისა და ახალგაზრდობის სხვა ჯგუფების აქტიურ გამოსვლებს ბურჟუაზია იმავე მეთოდებითა და საშუალებებით უსწორდება, რომლებიც მუშათა კლასის წინააღმდეგ ბრძოლაში გამოიმუშავა. ახალგაზრდობის მოძრაობის ჩახშობას

---

[1] Лях В. В. Актуальные вопросы международного молодежного движения в странах капитала. К., 1982, стр. 10.

[2] კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები, 1969, გვ. 31.

რეაქცია სისხლიანი შეტაკებებით, სამხედრო ნაწილებთან ერთად პოლიციის რაზმების შეიარაღებული თავდასხმებით და სხვა სასტიკი საშუალებებით აღწევს.

ახალგაზრდობა არ არის და არც შეიძლება იყოს ერთგვაროვანი მასა კლასობრივ საზოგადოებაში, მისი სოციალური შემადგენლობა საზოგადოების კლასობრივ სტრუქტურას ასახავს. თვით კაპიტალისტური საზოგადოების კლასობრივ დიფერენციაციას, ორი მსოფლიო სოციალური სისტემის არსებობას, საერთაშორისო მუშათა კლასისა და ბურჟუაზიის დაპირისპირებას თანამედროვე ეტაპზე სულ უფრო და უფრო მკვეთრად შეესაბამება ორი ძირითადი მიმართულება ახალგაზრდობის მოძრაობაში. პირველი მიმართულება პროგრესული, რევოლუციურია. იგი იბრძვის მშვიდობის, დემოკრატიის, სოციალიზმისათვის, საზოგადოების იმ კლასებისა და ფენების მოთხოვნების გატარებისათვის, რომელთა ინტერესებს ყველაზე შეგნებულად და თანამიმდევრულად კომუნისტები გამოხატავენ. ამ მხარეზე ახალგაზრდობის დიდი ნაწილი დგას.

ახალგაზრდული მოძრაობის მეორე მიმართულება სოციალური პროგრესის წინააღმდეგია. იგი ემსახურება მონოპოლისტური კაპიტალის, წვრილი ბურჟუაზიის ანტიხალხური ფენების ინტერესებს, მუშათა კლასისა და მისი მოკავშირეების განმათავისუფლებელ ბრძოლას უშლის ხელს. ახალგაზრდობის ეს ნაწილი ბურჟუაზიული, სოციალ-დემოკრატიული, ანარქისტული და სხვა ანტიკომუნისტური იდეების ტყვეობაში იმყოფება.

ახალგარდობის ძირითადი მასა რევოლუციურია, აქტიურ პროგრესულ საქმიანობას ეწევა კაპიტალის ქვეყნებში; იგი მუშათა კლასთან და სხვა მშრომელ მასებთან ერთად მშვიდობისათვის, დემოკრატიისათვის, თანასწორობისათვის იბრძვის.

მათი ხმა, ვინც ახალგაზრდულ მოძრაობაში ორ ნაკადს ამჩნევს და საზოგადოების მომავალს პროგრესულ ახალგაზრდობასთან აკავშირებს — კაპიტალის ქვეყნებშიც გაისმის. ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი ბ. რასელი აღნიშნავდა: „მე არ ვეთანხმები იმას, რომ ახალგაზრდობა დაკარგული და უნაყოფო თაობაა. პირიქით, წინათ ახალგაზრდობას ამდენი არასოდეს არ უფიქრია სამყაროს ბედზე, არასოდეს არ მიუღია ასეთი ცხოველი მონაწილეობა უკეთესობისაკენ მისი გარდაქმნისათვის ბრძოლაში... ბევრ საკითხში მათი შეფასება უფრო გარკვეული და რეალისტურია მათ მამებსა და პაპებთან შედარებით. დიახ, ახალგაზრდობის ნაწილი გზას არის აცდენილი „ცივი ომის“ ატომური ნერვებაშლილობისაგან. მაგრამ ამაში დამნაშავე უფროსები არიან. დიახ, ახალგაზრდობის ნაწილი მიისწრაფის მატერიალური კეთილდღეობისაკენ, მაგრამ ფულისადმი მისწ-

რაფება მათ უფროსებმა აღუძრეს. სამაგიეროდ, ადრე ახალგაზრდობა არასოდეს არ შეკრებილა ასეთ მასობრივ და წარმომადგენლობით ფორუმებსა და ფესტივალებზე, რათა თანამედროვე სამყაროს პრობლემები განიხილოს, რათა განამტკიცოს თავისი როლი ამ სამყაროში, დაისახოს გზები მისი გარდაქმნისათვის" [1].

ამრიგად, ოპტიმისტურად აფასებდა რა თანამედროვე ახალგაზრდობას საერთოდ ბ. რასელი გზასაცდენილი ახალგაზრდების ანტისაზოგადოებრივი სულისკვეთების ფორმირებაში უფროს თაობას ადანაშაულებდა.

ჟან-პოლ სარტრი საფრანგეთის ახალგაზრდობის დახასიათებისას იძულებული იყო ასეთ დასკვნამდე მისულიყო: „იმ ახალგაზრდა ადამიანების უმრავლესობა, რომელთანაც ამჟამად შეხვედრები მიხდება, მაშინაც კი თუ რომელიმე პარტიას არ ეკუთვნის — პოლიტიკურ მოვლენებში გაცილებით უკეთ ერკვევა, ვიდრე ძველი დროის ჩემი თანამედროვენი... ყველაზე მეტად ის მაოცებს, რომ ამ ახალგაზრდების და ჩემი პოლიტიკური განვითარება ხშირად ერთსა და იმავე დონეზეა.

მე რაც მოვიპოვე, ის მათთვის გამოსავალი პუნქტი ხდება. ისინი ჩემთან მოდიან როგორც თანატოლთან — სადისკუსიოდ და არა რჩევა-დარიგებისათვის, ჩემზე უარესად არ იციან ეკონომიკური პრობლემები ან სუსტად განვითარებული ქვეყნების მდგომარეობა. მაგრამ ამასთან მათ მთელი ცხოვრება აქვთ გასავლელი, რათა აღმშენებლობა განაგრძონ" [2].

ახალგაზრდობის მოძრაობა კაპიტალიზმსა და სოციალიზმს შორის იდეოლოგიური ბრძოლის მკვეთრი გამწვავების პირობებში მიმდინარეობს. მარქსისტულ-ლენინურ და ანტიკომუნისტურ იდეოლოგიათა ბრძოლა ახალგაზრდობის მიმხრობისათვის არასოდეს ისე ფართოდ არ გაშლილა, როგორც ეს დღეს ხდება.

ასეთია ახალგაზრდობის მოძრაობის ზოგიერთი ძირითადი თავისებურება თანამედროვე ეტაპზე. ეს თავისებურებანი გვიჩვენებენ, რომ ახალგაზრდობის მოძრაობა იმ ბრძოლის გამოძახილი და გაგრძელებაა, რომელსაც თანამედროვე მუშათა კლასი თავის მოკავშირეებთან ერთად მონოპოლისტური ბურჟუაზიის, რეაქციის, ექსპლოატაციისა და უსამართლობის სამყაროს წინააღმდეგ აჩაღებს.

ახალგაზრდობის მოძრაობის მიზეზები. ახლა, როდესაც ახალგაზრდობის მოძრაობა აღმავლობას განიცდის, ბუნებრივად, მისი გამომწვევი მიზეზების საკითხი დგება.

ახალგაზრდობის მოძრაობის აღმავლობის მიზეზები რასაკვირვე-

---

[1] А. Борщаговский. Толпа одиноких, стр. 26, 27.
[2] Там же, стр. 32.

ლია, მნიშვნელოვანწილად საერთაშორისო მუშათა კლასის მოძრაობის მძლავრი განვითარების მიზეზებს ემთხვევა. მათი ბაზა არსებითად საერთოა. მაგრამ ახალგაზრდობის მოძრაობა და მისი განვითარება მთელი რიგი სპეციფიკური მიზეზებითაც არის დეტერმინირებული.

ახალგაზრდობის მოძრაობის აღმავლობას, უწინარეს ყოვლისა, მსოფლიო საზოგადოებრივ ძალთა სოციალიზმის სასარგებლოდ შეცვლა განსაზღვრავს. თანამედროვე მსოფლიოში ერთმანეთს უპირისპირდება და ებრძვის ორი საზოგადოებრივი სისტემა — კაპიტალიზმი და სოციალიზმი. იყო დრო, როდესაც კაპიტალიზმი პლანეტის მასშტაბით განუყოფლად ბატონობდა. ეს პერიოდი დიდი ხანია წარსულს ჩაბარდა. ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ დასაბამი მისცა ახალ ერას კაცობრიობის ისტორიაში. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში და მსოფლიო სოციალისტური სისტემის წარმოშობამ ძირეულად შეცვალა საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობა.

ამჟამად კაცობრიობის მესამედი სოციალიზმის გზით მიდის, კაპიტალისტური სამყარო სულ უფრო ვიწროვდება. იმპერიალიზმი მარცხდება საგარეო და საშინაო პოლიტიკაში, მიმართავს სამხედრო-პოლიტიკურ ავანტიურებს, რაც მისი შემდგომი დასუსტების მაჩვენებელია. ასეთ პირობებში სულ უფრო ძლიერდება მუშათა კლასის, მშრომელთა ფართო მასების ბრძოლა მონოპოლისტური კაპიტალის ბატონობის სისტემის წინააღმდეგ, ღრმავდება წინააღმდეგობა იმპერიალიზმსა და სოციალიზმს შორის, თვით იმპერიალისტური სახელმწიფოების შიგნით და მათ შორის, ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელი ძალით ვითარდება.

კაცობრიობის განვითარების მაგისტრალურ ხაზს სულ უფრო მეტად განსაზღვრავს მსოფლიო სოციალისტური სისტემა, საერთაშორისო მუშათა კლასი, მთელი რევოლუციური ძალები. ახალგაზრდული მოძრაობა იმპერიალიზმის ღრმა კრიზისის, მის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების გამოხატულებაა. კომუნისტური და მუშათა პარტიების თათბირზე აღინიშნა, რომ იმპერიალისტური პოლიტიკა „საფრთხეს უქმნის მთელი მსოფლიოს მშვიდობას, ხალხთა უშიშროებას და ეროვნულ დამოუკიდებლობას, კაპიტალისტურ ქვეყნებში მუშათა კლასის, გლეხობის, ახალგაზრდობის, სტუდენტობის ყველაზე ფართო მასების სულ უფრო მზარდ წინააღმდეგობას იწვევს. მიუხედავად მათი პოლიტიკური პოზიციებისა და მსოფლმხედველობისა“ [1].

---

[1] კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირის დოკუმენტები. 1969, გვ. 13.

ახალგაზრდობის მოძრაობის აღმავლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზია თვით რევოლუციური მუშათა მოძრაობის წარმატებანი, კლასობრივი ბრძოლის გამწვავება კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამის მაჩვენებლია, უწინარეს ყოვლისა, მუშათა კლასის საგაფიცვო მოძრაობისა და მისი მონაწილეების რიცხობრივი ზრდა.

მუშათა რევოლუციური ძალების ზრდა და მათი მოძრაობის მონაპოვრები ახალგაზრდობას მძლავრ ბიძგს აძლევენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, უნერგავენ მას თავისი ძალის რწმენას, აფართოებენ მისი ბრძოლის ფრონტს.

ახალგაზრდობის მოძრაობის ზრდასა და განვითარებას ხელს უწყობს მოსახლეობის საშუალო ფენებისა და მდგომარეობის გაუარესება, მათი უმრავლესობის საარსებო ინტერესების გათელვა მსხვილი კაპიტალის მიერ. მათს შემადგენლობაში წვრილ საწარმოთა მფლობელები, წვრილი ვაჭრები, ხელოსნები, კუსტარები, ფერმერები, საშუალო გლეხები და სხვა ფენები იგულისხმებიან. აღნიშნულ საზოგადოებრივ ჯგუფებს შუალედური ადგილი უკავიათ კაპიტალისტური საზოგადოების ძირითადი კლასების — ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორს, რის გამოც ზოგიერთი ნიშნით თითოეულ მათგანს ემსგავსებიან. როგორც კერძო მესაკუთრეებს, მათ კაპიტალისტებთან აქვთ მსგავსება. ამასთან ისინი მშრომელ მასებს მიეკუთვნებიან, ვინაიდან უპირატესად საკუთარი შრომით ცხოვრობენ.

წვრილი ბურჟუაზიის, საზოგადოების საშუალო ფენების მდგომარეობა მათი სოციალური ბუნების ორმაგობას განსაზღვრავს, ერთის მხრივ ისინი მსხვილი ბურჟუაზიის ძალმომრეობის წინააღმდეგ გამოდიან, ხოლო მეორე მხრივ, კერძო საკუთრების დაკარგვის შიშით ამ ბრძოლაში თანამიმდევრობას არ იჩენენ. აქედან გასაგებია, რომ ქალაქისა და სოფლის საშუალო ფენების რიგებში ერთიანობა არ არის. სწორედ ამიტომაა, რომ საზოგადოების საშუალო ფენები იდეოლოგიური თვალსაზრისითაც მსხვილ ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის მერყეობენ. ისინი ბურჟუაზიული იდეოლოგიის ადვილად შეთვისების ტენდენციას ექვემდებარებიან. მიუხედავად ამისა, მსხვილი კაპიტალის მძლავრი შეტევა საშუალო ფენებზე ძირეულად აუარესებს მათს მდგომარეობას, ამ მასების მნიშვნელოვანი ნაწილის პროლეტარიზაციას იწვევს. საშუალო ფენების დაშლის პროცესს გარდუვალად მოსდევს ამ ფენების წარმომადგენელთა მდგომარეობისა და ინტერესების დაახლოება და შეთანაბრება მუშათა კლასის მდგომარეობასა და ინტერესებთან, მათი უკმაყოფილების ზრდა. ეს უკმაყოფილება მძლავრად იჩენს თავს საშუალო ფენებიდან გამოსული რადიკალური ახალგაზრდობის აქტიურ მოძრაობაში. ახალგაზრდობის ეს ნაწილი ობიექტურად მსხვილი ბურჟუაზიის ძალაუფლების წინა-

აღმდეგ გამოდის, იქმნება პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლასთან მისი დაკავშირების შესაძლებლობა.

გაიზარდა თანამედროვე ინტელიგენციის როლი ახალგაზრდული მოძრაობის განვითარების საქმეში.

თუ ადრე სტუდენტობა და ინტელიგენცია საზოგადოების შეძლებულ ფენებიდან გამოსულ პრივილეგირებულ ჯგუფებს შეადგენდნენ. თანამედროვე პირობებში მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ახლა ისინი საზოგადოების იმ კლასებსა და ფენებს უახლოვდებიან, რომლებსაც მკაცრ ექსპლოატაციას უწევენ.

ინტელიგენციის გადასვლა დაქირავებული შრომის მუშაკთა რიგებში ახალგაზრდობის მოძრაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წყარო ხდება.

თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა, მეცნიერების, გადაქცევამ უშუალო საწარმოო ძალად გონებრივი შრომის მუშაკებზე მოთხოვნილება გაზარდა. დღეს მეურნეობის სხვადასხვა დარგებში წარმოების ფუნქციონირება შეუძლებელია მაღალკვალიფიციური გონებრივი შრომის მუშაკების, განსაკუთრებით საინჟინრო-ტექნიკური კადრების გამოყენების გარეშე.

სწორედ ამიტომ დღის წესრიგში დადგა სპეციალისტების მასობრივი მომზადების საკითხი. სტუდენტთა რიცხვიც განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში ბოლო წლებში გაიზარდა. ეს ფაქტი იმაზე როდი მეტყველებს, როგორც ამას ბურჟუაზიული იდეოლოგები ირწმუნებიან, რომ კაპიტალიზმი ჰუმანური გახდა, რომ მოსახლეობის მეცნიერულ-ტექნიკური განათლების დონის ამაღლება მისი უშუალო ზრუნვის საგანს შეადგენს. სინამდვილეში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისა და გამოყენების საჭიროებას კაპიტალის, მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფის ინტერესები წარმოშობს.

ამასთან, თვით საინჟინრო-ტექნიკური სპეციალისტების მდგომარეობა კაპიტალის ქვეყნებში სტაბილური არ არის. სტუდენტობაც, არსებითად წინაპროლეტარულ მდგომარეობაში იმყოფება და იმ გონებრივი შრომის მუშაკების, მოსამსახურეების რეზერვს წარმოადგენს, რომლებიც მუშებთან ერთად დაქირავებული შრომის ულელს ეწევიან და რომელთაც სისტემატურად უმუშევრობა ემუქრებათ. მათი უკმაყოფილება გარკვეულწილად აქედან წარმოსდგება.

ამ უკმაყოფილებას სტუდენტთა ეკონომიკური პირობების გაუარესებაც ამწვავებს.

სტუდენტობა მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნებით არ იფარგლება. იგი ეკონომიკურ მოთხოვნებსაც აყენებს. ეს გამოწვეულია

ამით, რომ თანამედროვე პირობებში საგრძნობლად გაიზარდა ეკონომიკურად ხელმოკლე სტუდენტთა რიცხვი. ამგვარ მდგომარეობაში, უწინარეს ყოვლისა, მუშების შვილები არიან. თუმცა მათი რიცხვი მეტად მცირეა სტუდენტთა საერთო კონტინგენტში. მათთან ერთად მძიმე მატერიალურ პირობებში იმყოფება მოსახლეობის საშუალო ფენებიდან გამოსული სტუდენტობაც. ამ ფენების უმრავლესობა უკვე დაქირავებული შრომის მუშაკებს უთანაბრდება.

ამასთან, სახელმწიფო ამცირებს საუნივერსიტეტო სუბსიდიებს, არ ზრუნავს სტუდენტთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისათვის და ა. შ.

ყოველივე ეს მოსწავლე ახალგაზრდობას მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ განაწყობს.

კაპიტალისტური ქვეყნების ახალგაზრდობის მოძრაობის ერთ-ერთ მიზეზს სწავლების არასრულყოფილი სისტემა წარმოადგენს. ახალგაზრდობა იმ თაობას მიეკუთვნება, რომელიც ეს-ესაა გამოდის შეგნებული საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე და, მაშასადამე, სათანადო სწავლასა და მომზადებას მოითხოვს. ადამიანმა ახალგაზრდობის ასაკში უნდა მიიღოს ცხოვრების საგზური. მაგრამ სწრაფვა სწავლისადმი თანამედროვე ახალგაზრდობის მხოლოდ ასაკობრივი მდგომარეობით, ახალგაზრდა თაობის უფროს თაობაში გადაზრდის კანონზომიერებით არ არის გამოწვეული.

თანამედროვე წარმოება წარმოუდგენელია მეცნიერული საფუძვლების დაუფლების, წარმოების ძირითადი დარგების საფუძვლების ცოდნის და შესაბამისი საწარმოო ჩვევა-გამოცდილების შეძენის გარეშე. ყოველივე ეს სწავლების სრულყოფილ სისტემას მოითხოვს, მაგრამ სწავლების სისტემა კაპიტალისტურ ქვეყნებში დიდად ჩამორჩება თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის დონეს.

ახალგაზრდობის მღელვარებას ასაზრდოებს აგრეთვე ღრმა წინააღმდეგობა სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების მიღწევებსა და იმპერიალისტური ქვეყნების დრომოჭმულ პოლიტიკურ მმართველობას შორის. ახალგაზრდობის უკმაყოფილებას იწვევს არა სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სასწაულებრივი წარმატებანი, არამედ ის, რომ მეორე პოლუსზე იგი შიმშილსა და სიღატაკეს, გონებრივ სიბნელესა და დემოკრატიული თავისუფლების შეზღუდვას წარმოშობს, მშრომელთა ჯანმრთელობას აუარესებს და ა. შ.

ახალგაზრდობის დიდ უკმაყოფილებას იწვევს იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკა, მათი სამხედრო-პოლიტიკური ბლოკები და საქმიანობა, მათი ჩარევა სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა ცხოვრებაში. მილიტარიზაციის საშუალებით, სხვის ტერიტორიებზე განლაგებული სამხედრო ბაზებით, ეკონომიკური ზეგავლენითა და საავაკრო

ბლოკადებით, იმპერიალიზმი დაძაბულობას ინარჩუნებს მსოფლიოს მთელ რიგ რაიონებში.

ამრიგად, თუ ერთი მხრივ ტექნიკისა და მეცნიერების განვითარება უმაღლეს დონეს აღწევს, იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკა ამ მონაპოვრებს ბარბაროსობისა და შუასაუკუნეობრივი რეაქციისაკენ დასაბრუნებლად იყენებს, მას მსხვერპლად ახალგაზრდობის საუკეთესო ძალებს სწირავს.

ეს წინააღმდეგობა შიგნიდან ღრღნის კაპიტალისტურ სამყაროს და ახალგაზრდობას უბიძგებს იმისაკენ, რომ ზურგი შეაქციოს მას, იმედის თვალით უცქიროს სოციალისტურ საზოგადოებას, სადაც საწარმოო ძალთა განვითარების მაღალ დონეს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მეცნიერული მართვა, გეგმაზომიერი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარება შეესაბამება. სოციალისტურ საზოგადოების აღმშენებლობითი ცხოვრების მიმზიდველობითი ძალა თანდათანობით იზრდება და მსოფლიოს ახალგაზრდობის გონებას ეუფლება.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მსოფლიო ახალგაზრდობის წინსვლა სოციალური პროგრესის, დემოკრატიისა და სოციალიზმის გზით სწორზაზობრივად არ მიმდინარეობს. იგი თავისუფალი არ არის ცალკეული გადახრებისა და შეცდომებისაგან, რასაც, რასაკვირველია, აგრეთვე თავისი მიზეზები აქვს.

ახალგაზრდობის მოძრაობა არასწორი გზით ვითარდება, როდესაც მას პოლიტიკური გამოცდილება, იდეოლოგიური მომწიფება აკლია. სწორედ ამ საფუძველზე იქმნება იმის აუცილებლობა, რომ მუშათა კლასმა და მისმა რევოლუციურმა პარტიამ ახალგაზრდობას აქტიური დახმარება აღმოუჩინოს, იგი მკვიდრ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ პოზიციებზე დააყენოს, მას მოქმედების რეალური გზები და საშუალებები დაუსახოს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „ასეთ ადამიანებს საჭიროა ყოველმხრივ დავეხმაროთ, რაც შეიძლება მეტი მოთმინებით მოვეპყრათ მათ შეცდომებს, ვეცადოთ ეს შეცდომები გავუსწოროთ თანდათანობით და უმთავრესად დაჯერების საშუალებით...“ [1].

რეაქციის ძალები რასაკვირველია, დიდად არიან დაინტერესებული ახალგაზრდობის მოძრაობის არასწორი განვითარებით, ყოველნაირად ცდილობენ ახალგაზრდობის გამოსვლები მუშათა მოძრაობას დაუპირისპირონ.

სოციალური პროგრესის ძალების ზრდის კვალობაზე და მათი ზეგავლენით ამ მოძრაობაში არაჯანსაღი მიმართულებები მცირდება.

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 209—210.

ახალგაზრდობის პროტესტის ფორმები მნიშვნელოვან ევოლუციას განიცდის.

ამრიგად, ახალგაზრდობის მოძრაობა შემთხვევითი და ეფემერული არ არის, მას თანამედროვე ექსპლოატატორული საზოგადოების წინააღმდეგობები წარმოშობს, რომელთა ბაზაზეც გაშლილია მუშათა კლასისა და მისი მოკავშირეების ძლევამოსილი ბრძოლა მონოპოლისტური კაპიტალიზმის პოლიტიკის, ეკონომიკისა და იდეოლოგიის წინააღმდეგ.

თაობათა კონფლიქტის კლასობრივი არსი. იმპერიალისტური ქვეყნების მმართველი წრეები, მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგიური მსახურები იძულებულნი გახდნენ თვალი გაესწორებინათ ფაქტებისათვის, ეცნოთ ახალგაზრდული მოძრაობის ზრდისა და ამ თაობის წარმომადგენელთა მზრივ მასობრივი უკმაყოფილების გამოვლენის ფაქტები.

ახალგაზრდობის უკმაყოფილებისა და უფროსი თაობისადმი მისი დაპირისპირების შესახებ ჯერ კიდევ სენატორი რ. კენედი აღნიშნავდა, რომ „თაობათა შორის ყოველთვის არსებული თხრილი ამჟამად მკვეთრად გაღრმავდა, მათ შორის ოდესღაც გადებული ხიდები იშლება. ჩვენ ახალგაზრდობის ყველაზე საუკეთესო და ძვირფასი წარმომადგენლების საშიშ მტრობას ვგრძნობთ“. პრეზიდენტმა ნიქსონმაც აღიარა, რომ „უთანხმოების ღრმა უფსკრული არსებობს“ ამერიკელთა უფროს და ახალგაზრდა თაობებს შორის, რომ ამერიკელთა ახლანდელი თაობა „არღვევს ძველ სტანდარტებს, უარს ამბობს ძველ ღირებულებებზე და ძველ მცნებებს უგულვებელყოფს“, რომ ამ თაობის კრიტიკულ დამოკიდებულებას „მორალური ღირებულებისადმი თვით ამერიკული სინამდვილე წარმოშობს“.

ფრანგული ჟურნალი „პარი მატჩი“ ნანტერეს ამბების შესახებ წერდა: „მრეწველობის მხრივ განვითარებულ ყველა ქვეყანას მოულოდნელად ახალგაზრდობის კრიზისი დაატყდა თავს. სხვადასხვა ადგილას მათი ჯანყის მოტივები შეიძლება სხვადასხვა იყოს, მაგრამ მისი ძირითადი აზრი ყველგან უცვლელია. ეს არის შეშფოთება, რომელმაც მოიცვა ახალგაზრდობა ახალი ერის ზღურბლთან და ყველგან ხელისუფლებმა ამას ანგარიში უნდა გაუწიონ“.

ჩანს, დასავლეთის სამყაროს პოლიტიკური და იდეოლოგიური მესვეურები ახალგაზრდობის მოძრაობის ზრდის ფაქტებს, მის მოსალოდნელ შედეგებს არ უარყოფენ.

მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგები, რასაკვირველია, ახალგაზრდობის მღელვარების ფაქტების კონსტანციით არ კმაყოფილდებიან. ისინი ყოველმხრივ ცდილობენ ეს ფაქტები თავიანთი კლასობრივი ინტერესებისათვის გამოიყენონ, არასწორ ინტერპრეტაციას დაუქვემდებარონ, ახალგაზრდობის მოძრაობა რევოლუციური მუშებისა და

სხვა მშრომელების განმათავისუფლებელ ბრძოლას დაუპირისპირონ მაშინაც კი, როდესაც ამ საზოგადოებრივი ძალების კავშირი ეპვს არ იწვევს.

ბურჟუაზიული იდეოლოგები მდგომარეობას ისე წარმოსახავენ, თითქოს თანამედროვე მსოფლიოს არა კლასობრივი ბრძოლა, არამედ თაობათა შორის ღრმა წინააღმდეგობა და შეურიგებელი ურთიერთობა ამოძრავებს, თითქოს თანამედროვეობის რევოლუციური ძალები არა კლასობრივი მდგომარეობის, არამედ ადამიანთა წმინდა ასაკობრივი ნიშნის მიხედვით უნდა განისაზღვროს.

კლასობრივი ბრძოლის თეორიის შეცვლა თაობათა შორის ბრძოლის რეაქციული თეორიით — ესაა ერთ-ერთი უკანასკნელი გზა, რომელიც ანტიკომუნიზმმა ახალგაზრდობის წინააღმდეგ საბრძოლველად დასახა. კომუნისტურ და მუშათა პარტიებს ღრმად აქვთ შეგნებული ამ თეორიის რეაქციული არსი, მისი კლასობრივი მიზანდასახულება.

ჩილეს კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა ლ. კორვალანმა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის თათბირზე აღნიშნა, რომ იმპერიალიზმის აპოლოგეტები ავრცელებენ „მარკუზესა და სხვა იდეოლოგთა თეორიებს, რომელთა მიზანია ცილი დასწამონ მუშათა კლასს, გამოაცხადონ იგი მოძველებულად, დაამტკიცონ რომ იგი შეეზარდა კაპიტალისტურ წყობილებას და რევოლუციური კლასი აღარ არის. ამ თეორეტიკოსების თანახმად, რევოლუციის მთავარი მამოძრავებელი ძალა ახალგაზრდობა და გლეხობაა.

ამრიგად, ისინი ცდილობენ არა მარტო არევ-დარევა შეიტანონ მათში, არამედ დაუპირისპირონ გლეხები მუშებს, ახალგაზრდობა — პროლეტარიატს, ეგრეთ წოდებული ახალგაზრდა ძალა — მუშათა კლასისა და მის მოკავშირეთა ძალას და კლასობრივი ბრძოლა თაობათა ბრძოლით შეცვალონ“.

ამასთან, ისინი თაობათა შორის კონფლიქტს სთვლიან თანამედროვე საზოგადოების მამოძრავებელ ძალად როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური ქვეყნებისათვის. ამერიკელი სოციოლოგების ლ. ფოიერის და ჩ. რეიჩის დასკვნით „თაობათა“ კონფლიქტი ყოველი საზოგადოებრივი წყობილებისათვის არის დამახასიათებელი [1].

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში ესპანელმა ფილოსოფოსმა ხოსე ორტეგა ი. გასეტიმ წამოაყენა იდეა იმის შესახებ, რომ კაცობრიობის ისტორია სხვა არაფერია, თუ არა თაობათა ურთიერთდაპირისპირებისა და ბრძოლის შედეგი. თაობათა ბრძოლა მან სა-

[1] Лях В. В. Актуальные вопросы международного молодежного движения в странах капитала. К., 1982. стр. 10.

ზოგადოებრივი ცხოვრების მუდმივ და გადამწყვეტ ფაქტორად გამოაცხადა. ეს თვალსაზრისი იმთავითვე ისტორიის მატერიალისტურ გაგებას დაუპირისპირდა, რომლის თანახმად კლასთა ბრძოლა ანტაგონისტური საზოგადოების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს.

„თაობათა კონფლიქტის" რეაქციულმა თეორიამ ფსიქოლოგიური „დასაბუთება" ზ. ფროიდის მოძღვრებაში ჰპოვა, „ოიდიპოსის კომპლექსის" სახელწოდებით ცნობილი მიმართება მშობლებსა და შვილებს შორის ადამიანთა დიდ ჯგუფებზე გავრცელა.

„თაობათა კონფლიქტის" და საერთოდ ახალგაზრდობის პრობლემისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა „ფრანკფურტის სკოლა" (წარმომადგენლები—ჰ. მარკუზე, თ. ადორნო, მ. ხორკხეიმერი, ფ. პოლოკი, ე. ფრომი, ი. ხაბერმასი, ა. შმიდტი, ო. ნაგტი და სხვები). ფრანკფურტის სკოლის წარმომადგენლები თანამედროვე მსოფლიოს საზოგადოებრივი ცხოვრების „კრიტიკული ანალიზის" პრეტენზიით გამოდიოდნენ. ისინი ცდილობდნენ თანამედროვე მსოფლიოს სოციალური სისტემების — კაპიტალიზმისა და სოციალიზმისადმი ახალგაზრდობის კრიტიკული დამოკიდებულების გალვივების შირმით სოციალიზმის კრიტიკას კაპიტალიზმის სასარგებლოდ და ხელს უშლიდნენ ახალგაზრდობას, რომ საკუთარი მოძრაობა მუშათა მოძრაობასთან დაეკავშირებინათ.

თავისი შეხედულებების რეაქციულობით განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჰ. მარკუზე, რომელსაც ახალგაზრდობის მთავარ იდეოლოგადაც კი თვლიდნენ.

ჰ. მარკუზემ ე. წ. „ოიდიპოსის სიტუაცია" ცალკეულ პიროვნებათა საზღვრებს გააშორა და ფართო სოციოლოგიურ ასპარეზზე გადაიტანა. მისი შეხედულებით კონფლიქტური დამოკიდებულება მთელი თაობებისათვის არის დამახასიათებელი, ხოლო თვით „რადიკალიზმი ფართო სოციალურ სცენაზე ოჯახური კონფლიქტის გრძნობების გადანაცვლების სახესხვაობაა".

ჰ. მარკუზეს აზრით მუშათა კლასი აღარ წარმოადგენს თანამედროვე საზოგადოების რევოლუციურ ძალას. ამის მიზეზია ტექნიკური პროგრესი, რომელმაც მკვეთრად გაზარდა შრომის ნაყოფიერება და მუშათა ცხოვრების დონის ამაღლება გამოიწვია. ამავე მიზეზის გამო პროლეტარიატის წინაშე აღარ დგას არსებული საზოგადოების ეკონომიკური და სოციალურ-პოლიტიკური წყობილების კრიტიკული შეფასებისა და შეცვლის საჭიროება. პირიქით, იგი ისევე როგორც მისი პარტია არსებულის შენარჩუნებით არის დაინტერესებული და კაპიტალისტური საზოგადოების მეორე ძირითად კლასთან — ბურჟუაზიასთან ერთად ინდუსტრიული საზოგადოების შემაკავშირებელ ძალას წარმოადგენს. „არსებული წესების შენარჩუნებისა და გაუმ-

ჯობესების გაბატონებულმა ინტერესმა ყოფილი ანტაგონისტები გააერთიანა თანამედროვე და მსოფლიოს ყველაზე განვითარებულ რაონებში", — აღნიშნავდა ჰ. მარკუზე. აქედან გამომდინარე, პროლეტარიატი ყველაზე პროგრესული, რევოლუციური კლასი აღარ არის, მას მსოფლიო განმათავისუფლებელი მისია აღარ ეკისრება, კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ-ლენინურ თეორიას საფუძველი ეცლება.

ყველაზე პარადოქსული ისაა, რომ ჰ. მარკუზე ერთმანეთთან აიგივებდა კაპიტალისტური და სოციალისტური ქვეყნების მუშათა მდგომარეობას, ამ ორი ძირეულად განსხვავებული ფორმაციის ხალხს „ერთგანზომილებიან" ადამიანებად მიიჩნევდა. მარკუზეს აზრით მათ აქვთ ერთნაირი „სამომხმარებლო" შეგნება, ერთნაირად არიან „მოხმარების მაღალი დონით" უზრუნველყოფილი და საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის არავითარ მოთხოვნილებას არ განიცდიან.

მაგრამ ჰ. მარკუზეს თანახმად, თანამედროვე საზოგადოებაში არის ძალა, რომელიც მუშათა კლასისაგან განსხვავებით ვერ ეგუება ცხოვრების დამკვიდრებულ სტანდარტებს და რომელსაც ძირეული გადატრიალების მოხდენის სუბიექტური მოთხოვნილება აქვს. ეს ძალა ძირითადად სტუდენტობაა. ახალგაზრდობის ამ ნაწილს ჯერ კიდევ არ იტაცებს მატერიალური მოთხოვნილებები, იგი ესწრაფვის იდეალებს, შიდრეკილებას იჩენს გაბედული ავტონომიური მოქმედებისაკენ, მოკლებულია „სამომხმარებლო" შეგნებას. და სწორედ სტუდენტობა, თავისი მდგომარეობის გამო, საშუალო ინტელიგენციასა და სხვა ოპოზიციურ ელემენტებთან კავშირში რევოლუციურ ძალას შეადგენს. მისი სახით ახალგაზრდა თაობა უპირისპირდება უფროსთაობას, „შვილები" უპირისპირდებიან „მამებს", იკავებენ რადიკალურ პოზიციას იმ საზოგადოების შექმნის მიზნით, რომელიც არც კაპიტალისტური იქნება, არც სოციალისტური. ასეთ საზოგადოებას ჰ. მარკუზე „ჰუმანურს" უწოდებდა.

ჰ. მარკუზეს ამ რეაქციული, კლასობრივი თვალსაზრისით წვრილბურჟუაზიული, ანარქისტული შეხედულების მიმდევარი ვ. მაიხოფერის განცხადებით თანამედროვე სტუდენტობა ყველა ქვეყანაში გარევოლუციურების პროცესშია და კაპიტალიზმს „სოციალიზაციის", ხოლო სოციალიზმს „ჰუმანიზაციის" მიზნით ებრძვის. ე. მორენის თანახმად, კაპიტალისტური საზოგადოების გარდაქმნა განხორციელდება არა პროლეტარული რევოლუციის, არამედ „ახალგაზრდობის რევოლუციის" საშუალებით,

გავრცელდა თეორიები, რომელთა მქადაგებლებსაც მიაჩნიათ, რომ ძირეული სოციალური გარდაქმნები დამოკიდებულია პროვოკაციის

მომწყობ, ქუჩის მეამბოხეებზე, დებოშიორებზე, დეგრადირებულ და დეკლასირებულ ელემენტებზე, რომლებიც ოპოზიციურად განწყობილი სტუდენტებისა და შემოქმედებით ინტელიგენციის, აგრეთვე სხვა ფენების წარმომადგენლებს აერთიანებენ.

ეს და სხვა მსგავსი ბურჟუაზიული თეორიები თანამედროვე კაპიტალიზმისა და მისი იდეოლოგიის ღრმა კრიზისს გამოხატავენ. უშედეგოა მონოპოლისტური ბურჟუაზიის იდეოლოგთა ცდა — შეცდომაში შეიყვანონ მშრომელი მასები, შეაჩერონ მსოფლიოს ხალხთა ბრძოლა დემოკრატიისათვის, მშვიდობისათვის, სოციალიზმისათვის.

ამ თეორიების წინააღმდეგ უნდა ითქვას შემდეგი:

ჯერ ერთი, არ არის სწორი, თითქოს თანამედროვე პირობებში კაპიტალისტური ქვეყნების მუშათა მდგომარეობა ისე შეიცვალა, რომ პროლეტარიატის ნიველირება მოხდა მის ანტიპოდთან — ბურჟუაზიასთან და წაიშალა კლასობრივი ზღვარი მათ შორის.

ამ თეორიების კლასობრივი მიზანდასახულობა ის არის, რომ ჩაგონონ პროლეტარიატს, თითქოს იგი აღარ წარმოადგენს დამოუკიდებელ კლასს და, მაშასადამე, ბურჟუაზიის წინააღმდეგ მის ბრძოლას აზრი არა აქვს. სინამდვილეში პროლეტარიატის მდგომარეობის შეცვლა კაპიტალიზმის დროს თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის ფაქტს სრულიადაც არ უარყოფს.

ბურჟუაზიული იდეოლოგების მტკიცების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ პროლეტარიატისა და კაპიტალისტების მდგომარეობის შეთანაბრება კი არ ხდება, არამედ პირიქით, ტექნიკური პროგრესის კვალობაზე სულ უფრო ღრმავდება არსებული ძირეული განსხვავება და დაპირისპირებულობა მათ შორის.

ტექნიკური პროგრესი და ამასთან დაკავშირებით შრომისნაყოფიერების ამაღლება არგუმენტი არ არის ბურჟუაზიისა და პროლეტარიატის მდგომარეობის იგივეობის იდეის დასამტკიცებლად, საკუთრივ ტექნიკური პროგრესიდან არ გამომდინარეობს ვისი ინტერესების სასარგებლოდ ხდება მატერიალური დოვლათის განაწილება საზოგადოებაში. იმისდა მიხედვით თუ ვის ეკუთვნის წარმოების საშუალებანი, ტექნიკური პროგრესი ან მშრომელი ხალხის სამსახურშია ჩაყენებული, ეს ასეა სოციალიზმის დროს, ან მათი ექსპლოატაციის მიზნით არის გამოყენებული, ასეა ეს კაპიტალიზმის დროს. შრომისნაყოფიერების ზრდის საშუალებით მაქსიმალური მოგების ამოქაჩვა და მშრომელი მასების სიღატაკე — ასეთია ტექნიკური პროგრესის ორი განუყოფლად დაკავშირებული მხარე კაპიტალისტურ საზოგადოებაში.

ტექნიკური პროგრესი არასოდეს არ შეცვლის პროლეტარიატის მდგომარეობას ბურჟუაზიის მდგომარეობასთან შეთანაბრების მიმართულებით, თუმცა პროლეტარიატის მდგომარეობა, თუ მას თავისთავად განვიხილავდით, შეუძლებელია უცვლელი იყოს.

პროლეტარიატის მდგომარეობის შეცვლით არ ხცვლება მისი კლასობრივი ადგილი კაპიტალისტურ საზოგადოებაში. თანამედროვე პროლეტარიატის მდგომარეობა, რასაკვირველია, მნიშვნელოვნად განსხვავდება იმპერიალიზმამდელი კაპიტალიზმის პროლეტარიატის მდგომარეობისაგან და ეს განსხვავება მხოლოდ საყოფაცხოვრებო პირობებით არ იქმნება. პროლეტარიატმა, როგორც კლასმა არსებითი ცვლილებები განიცადა, უწინარეს ყოვლისა, ს ტ რ უ ქ ტ უ რ უ ლ ი თვალსაზრისით. ასი წლის წინათ, მაგალითად, ინგლისში პროლეტარიატის შიგაკლასობრივ სტრუქტურას სასოფლო-სამეურნეო საფაბრიკო-საქარხნო და სამთო-სამრეწველო მუშები შეადგენდნენ. სასოფლო-სამეურნეო პროლეტარიატი საფაბრიკო საქარხნო და სამთო-სამრეწველო პროლეტარიატს იმ დროისათვის რიცხობრივად აჭარბებდა.

მეოცე საუკუნის მეორე ნახევრიდან სასოფლო-სამეურნეო, სამთო-სამრეწველო და საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატთან ერთად მუშათა კლასის მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილს სავაჭრო-საკანტორო პროლეტარიატი წარმოადგენს. იგი ადრე არც არსებობდა. ამასთან აღსანიშნავია ის ცვლილებებიც, რომელიც პროლეტარიატის, როგორც კლასის სტრუქტურაში რაოდენობრივი თვალსაზრისით მოხდა. განსაკუთრებით გაიზარდა საფაბრიკო-საქარხნო პროლეტარიატის რიცხვი, მან ინგლისში, მაგალითად, XX საუკუნის 60-იან წლებში პროლეტარიატის საერთო რიცხვის 70%-ს მიაღწია (ნაცვლად 20%-სა გასული საუკუნის ორმოცდაათიან წლებში), მკვეთრად შემცირდა სასოფლო-სამეურნეო და სამთო-სამრეწველო მუშების რიცხვი პროლეტარიატის საერთო რაოდენობაში (სულ 8 პროცენტი). პროლეტარიატის დანარჩენ ნაწილს კი სავაჭრო-საკანტორო დარგის მუშები შეადგენენ. მაგრამ ის, რაც ინგლისის მიმართ ითქვა, სხვა განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნებისათვისაც არის დამახასიათებელი. თანამედროვე კაპიტალისტურ სამყაროს მთელი პროლეტარიატის 53—55 პროცენტი ამჟამად საფაბრიკო-საქარხნო მუშებზე მოდის. მათ შემადგენლობაში ასიმილირებულია სამთო-სამრეწველო პროლეტარიატიც, სასოფლო-სამეურნეო მუშების წილი პროლეტარიატის საერთო რაოდენობაში მხოლოდ 6—7 პროცენტია. რაც შეეხება სავაჭრო-საკანტორო მუშებს, მათი რაოდენობა თანდათანობით იზრდება და თანამედროვე პირობებში უკვე მსოფლიო პროლეტარიატის 39—40 პროცენტს აღწევს.

პროლეტარიატის თითოეულ შემადგენელ ნაწილში იცვლება აგრეთვე მუშათა დარგობრივი სტრუქტურა და კონცენტრაცია. თუ, მაგალითად, 100 წლის წინათ ინგლისში ფეიქრები საქარხნო-საფაბრიკო მუშების $^2/_3$-ს შეადგენდნენ, 1970-იანი წლებისათვის მათი რიცხვი საქარხნო-საფაბრიკო მუშების საერთო რაოდენობის მხოლოდ 10 პროცენტს უდრიდა.

ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ პროლეტარიატი თავისი დარგობრივ და დარგშიდა სტრუქტურით და კონცენტრაციით მნიშვნელოვნად იცვლება კაპიტალიზმის საწარმოო ძალთა განვითარების, შემდგომი ტექნიკური პროგრესის, მსოფლიო საზოგადოებრივ ძალთა თანაფარდობის ცვლის კვალობაზე.

შეიცვალა პროლეტარიატის კვალიფიკაციური სტრუქტურაც. თანამედროვე პირობებში წარმოების ურთულესი იარაღების და ტექნოლოგიური პროცესების, მეტად სრულყოფილი შრომის იარაღებისა და მოწყობილობების მართვა შეუძლებელია სათანადო მეცნიერულ-ტექნიკური მომზადების გარეშე. ამიტომ კაპიტალიზმი იძულებულია გარკვეულ პირობებში ხელი შეუწყოს მუშათა კვალიფიკაციის ზრდას, რაც რასაკვირველია, სამუშაო ძალის გაძლიერებული ექსპლოატაციისათვის არის გამოყენებული. მაგრამ ამით, ამასთანავე, დგინდება ის ფაქტი, რომ კვალიფიკაციის დონის და სტრუქტურის მხრივაც გასული საუკუნის პროლეტარიატი დიდად განსხვავდება თანამედროვე პროლეტარიატისაგან.

შეიცვალა აგრეთვე მუშათა კლასის ცხოვრების პირობები, მისი საყოფაცხოვრებო დონე. მთელ რიგ კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარიატმა ხანგრძლივი კლასობრივი ბრძოლის შედეგად მატერიალური პირობების გაუმჯობესებას, ხელფასის ამაღლებას, სამუშაო დღის შემცირებას მიაღწია. ამ ქვეყნების პროლეტარებს მძიმე ბრძოლა უხდებათ ეკონომიკური პირობების შემდგომი გაუმჯობესებისათვის, მოპოვებულის შენარჩუნებისათვის.

მნიშვნელოვნად ამაღლდა აგრეთვე თანამედროვე პროლეტარიატის პოლიტიკური თვითშეგნების, მისი პოლიტიკური აქტივიზაციის დონე. ამჟამად თითქმის ყველა კაპიტალისტურ ქვეყანაში არსებული კომუნისტური და მუშათა პარტიები სათავეში უდგანან თავიანთი ქვეყნების მშრომელთა რევოლუციურ ბრძოლას კაპიტალის ძალმომრეობის წინააღმდეგ, მშვიდობის, სოციალური პროგრესის, დემოკრატიისათვის ბრძოლის, წარმომადგენლობითი ორგანოების გამოყენების და სხვა გზით მუშათა და კომუნისტური პარტიები აიძულებენ მმართველ წრეებს სულ უფრო მეტად გაუწიონ ანგარიში მუშათა კლასისა და სხვა მშრომელების მოთხოვნებს, გაითვალისწინონ მათი ინტერესები.

ამრიგად, თანამედროვე პროლეტარიატი დიდად განსხვავდება წი-

ნა საუკუნის პროლეტარიატისაგან თავისი სტრუქტურის. ეკონომიკური პირობების, კვალიფიკაციის, ორგანიზაციული და სხვა მაჩვენებლების მიხედვით, ამასთან, პროლეტარიატის მდგომარეობის შეცვლას ოდნავადაც არ დაუქვეითებია მისი რევოლუციურობა.

პროლეტარიატის მსოფლიო ისტორიული მისია უცვლელია. პროლეტარიატი იყო, არის და იქნება ყველაზე რევოლუციური კლასი კაპიტალისტურ საზოგადოებაში, უწინარეს ყოვლისა, მისი კლასობრივი მდგომარეობის გამო: მას არ გააჩნია საკუთრება წარმოების საშუალებებზე, მაშინ, როდესაც მისი შრომით შექმნილ სიმდიდრეს წარმოების საშუალებათა მფლობელები, — კაპიტალისტები ითვისებენ. რაკი კაპიტალიზმი პროლეტარიატის ექსპლოატაციაზეა დამყარებული, პროლეტარიატი მის წინააღმდეგ ბრძოლით, ექსპლოატაციისა და დამონების ბორკილებისაგან განთავისუფლებით არის დაინტერესებული. ამავე მიზეზის გამო, იგი, დანარჩენი საზოგადოებრივი კლასების და სოციალური ფენებისაგან განსხვავებით, მოწოდებულია ბოლომდე თანამიმდევრულად განახორციელოს კაპიტალისტური საზოგადოების წყობილების მოსპობის ამოცანა. პროლეტარიატი არ შეწყვეტს რევოლუციურ კლასად ყოფნას მანამდე, ვიდრე იგი პროლეტარიატად რჩება, ე. ი. დაქირავებული შრომით ცხოვრობს, ხოლო წარმოების საშუალებები კაპიტალისტებს ეკუთვნით, რომლებიც როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად და იდეოლოგიურად არიან გაბატონებულნი.

პროლეტარიატი მოწინავე რევოლუციური კლასია თავისი ადგილის გამო თანამედროვე კაპიტალისტურ საზოგადოებაში: იგი, სხვა საზოგადოებრივი კლასებისა და ფენებისაგან განსხვავებით, უშუალოდაა დაკავშირებული მსხვილ მანქანურ წარმოებასთან — მეურნეობის საფუძველთა საფუძველთან, ხოლო თანამედროვე ტექნიკური პროგრესი და მისი პერსპექტივები კი არ ამცირებს, არამედ აძლიერებს მანქანური წარმოების როლს მეურნეობის ყველა დარგში, ადამიანური შრომის ყოველ უბანზე.

ვიდრე მსხვილი მანქანური წარმოება კაპიტალისტური მეურნეობის მატერიალურ ბაზად რჩება, მანამდე პროლეტარიატი ამ საზოგადოების მთავარი და წამყვანი საწარმოო ძალა იქნება. თანამედროვე პირობებში კი სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

მართალია, თანამედროვე ბურჟუაზიული იდეოლოგები ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ ტექნიკური პროგრესის შედეგად სულ უფრო და უფრო იზრდება ინტელიგენციის, მოსამსახურეების როლი წარმოებაში, რომ ეს გარემოება თითქოს მუშათა კლასის თანდათანობითი ქრობისა და წარმოებაში მისი როლის დაქვეითების მაჩვენებელია, მაგრამ ასეთი დასკვნაც სინამდვილეს არ შეესაბამება.

ინტელიგენცია. მომსახურე პერსონალი რაოდენობრივად მართლაც იზრდება თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებში. ვ. ი. ლენინი ჯერ კიდევ 1899 წლის დამლევს აღნიშნავდა: „კაპიტალიზმი სახალხო შრომის ყველა სფეროში განსაკუთრებული სისწრაფით ამრავლებს **მოსამსახურეთა** რიცხვს, აყენებს სულ უფრო და უფრო მეც მოთხოვნებს ინტელიგენტიაზე" [1].

მაგრამ მცდარია დებულება, რომ მწარმოებლური შრომის ადგილს საორგანიზაციო შრომა დაიჭერს, რის გამოც წარმოების მთავარი მამოძრავებელნი გონებრივი შრომის ადამიანები, ტექნიკური ინტელიგენციის წარმომადგენლები იქნებიან. სინამდვილეში საორგანიზაციო შრომას დამოუკიდებელი მნიშვნელობა არა აქვს და არც მომავალში ექნება. თუ საკუთრივ წარმოება არ არის, საორგანიზაციო შრომასაც აზრი ეკარგება.

მაშასადამე, ზემოაღნიშნული ტენდენციის მიუხედავად ინტელიგენციას არ შეუძლია შეცვალოს მუშათა კლასი, რომელიც კვლავინდებურად წარმოების უშუალო და მთავარ მამოძრავებელ ძალად რჩება. მეორეც, წარმოებაში დასაქმებული ინტელიგენცია, ისევე, როგორც მუშათა კლასი დაქირავებული შრომის უღელქვეშ იმყოფება. „იმისდაკვალად, თუ რამდენად ართმევს კაპიტალიზმი სულ უფრო და უფრო დამოუკიდებელ მდგომარეობას ინტელიგენტს, აქცევს მას დამოუკიდებელ მოქირავედ, ემუქრება მისი საარსებო დონის ჩამოქვეითებით" [2].

ამრიგად, ინტელიგენციის რიცხობრივი ზრდა კი არ ამცირებს პროლეტარიატის როლს წარმოებაში და აქედან გამომდინარე, მთელ საზოგადოებაში, არამედ დაქირავებული შრომის მუშაკთა არმიის რიგებს გონებრივი შრომის მუშაკებით ავსებს, კიდევ უფრო აფართოვებს და ამწვავებს მშრომელი მასების უკმაყოფილებას ჩაგვრისა და ექსპლოატაციის სისტემის წინააღმდეგ.

პროლეტარიატი რევოლუციურ კლასად რჩება იმის გამოც, რომ მაღალია. მისი კლასობრივი თვითშეგნება, წარმოების საზოგადოებრივი ხასიათის ზრდა, მსხვილი მონოპოლისტური კავშირებისა და გაერთიანებების ბატონობა პროლეტარიატის ცნობიერების საპასუხო რეაქციას იწვევს, ამაღლებს მის შეგნებას, უფრო გამოსაცნობს ხდის მისთვის მიზეზებს, რომლებიც მშრომელთა ჩაგვრას და უუფლებობას წარმოშობენ.

პროლეტარიატის რევოლუციური შეგნების განვითარებას სოციალისტური ქვეყნების მშრომელთა უდიდესი წარმატებებიც უწყობს ხელს, რაც თვალსაჩინო მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლია მუშათა

---

[1] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 4, გვ. 241.

[2] იქვე.

კლასს და მასთან დაკავშირებულ სხვა მშრომელ მასებს, როდესაც კაპიტალისტური ჩაგვრის ბორკილებს თავიდან იშორებენ, საკუთარი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლები და გამგებელნი არიან.

პროლეტარიატი მოწინავე კლასად რჩება იმის გამოც, რომ ახლა უფრო მეტად ორგანიზებულია, ვიდრე ოდესმე. დაკავებული ადგილი წარმოების თანამედროვე სისტემაში, ბურჟუაზიის წინააღმდეგ ხანგრძლივი ბრძოლის გამოცდილება პროლეტარიატს უბიძგებს ორგანიზაციულად შემჭიდროვდეს, განამტკიცოს თავისი პოლიტიკური პარტია, პროფკავშირები და მშრომელთა სხვა ორგანიზაციები, რომლებიც მშრომელთა ძირეულ ინტერესებს გამოხატავენ.

პრაქტიკა საფუძველს აცლის ბურჟუაზიული იდეოლოგების მისწრაფებას ჭეშმარიტებად გამოაცხადონ პროლეტარიატის, როგორც კლასის ქრობის, ექსპლოატატორებსა და ექსპლუატირებულებს შორის განსხვავების ლიკვიდაციის იდეა.

ყოველი კლასის რაობას, მის სოციალურ ბუნებას ძირითადად წარმოების საშუალებებისადმი დამოკიდებულების ხასიათი განსაზღვრავს. თანამედროვე პროლეტარიატის არც სტრუქტურული, არც ეკონომიკური, არც იდეოლოგიური, პოლიტიკური ან სხვა მდგომარეობის შეცვლა არ უარყოფს იმ ფაქტს, რომ კაპიტალისტები თანამედროვე კაპიტალიზმის პირობებშიც, ისევე როგორც ადრე, წარმოების საშუალებათა მესაკუთრეები არიან, რომ დაქირავებული შრომა მუშათა კლასის ხვედრია, რომ ექსპლოატატორები კვლავ მისი შრომის მითვისების გზით ცხოვრობენ. კაპიტალიზმის ბუნება არ შეიცვლება, ვიდრე უცვლელია მისი ეკონომიკური საფუძველი — კერძო კაპიტალისტური საკუთრება წარმოების საშუალებებზე. ამიტომ უცვლელია მუშათა კლასის რევოლუციური ბუნებაც.

არც ისაა სწორი, რომ თითქოს მუშათა კლასის საყოფაცხოვრებო პირობებში მომხდარი ცვლილებები ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის კლასობრივი ბრძოლის ქრობას უდევს საფუძვლად, რომ თითქოს თანამედროვე კაპიტალიზმმა გადაჭრა ადამიანის პრობლემა, ყველას ოპტიმალური საყოფაცხოვრებო პირობები. „კომფორტით“ ცხოვრება შეუქმნა.

სინამდვილეში, კიდევაც რომ არაფერი ვთქვათ მშრომელთა გაფთრებულ ბრძოლაზე პოლიტიკური, სოციალური, ეროვნული და სხვა იდეალებისათვის რის მიჩქმალვასაც ბურჟუაზიული იდეოლოგები „სამომხმარებლო“ მისწრაფებების კულტივირებით ცდილობენ, თვით კომფორტით ცხოვრებაც მცირეთა ხვედრია კაპიტალიზმის დროს. „მასობრივი მოხმარების“ თეორიის მქადაგებლები სტყუიან. როდესაც აცხადებენ, რომ თანამედროვე პირობებში მკვეთრად ამაღლდა ყველა მშრომელის საყოფაცხოვრებო დონე, დაკმაყოფილდა მათი მოთხოვნილებანი. სინამდვილეში მშრომელების მრავალი

მოთხოვნილება, მათ შორის კომუნალური მომსახურების, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, სატრანსპორტო მიმოსვლის, კულტურულ ღირებულებებით სარგებლობის, სხვა სფეროებში — მნიშვნელოვანწილად დაუკმაყოფილებელი რჩება. მაგრამ ის გაუმჯობესებანი, რომლებსაც მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობებში აქვს ადგილი, სრულიადაც არ მეტყველებს პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის წინააღმდეგობის, კლასობრივი ბრძოლის ქრობის ვერსიის სასარგებლოდ.

პროლეტარიატის საყოფაცხოვრებო პირობებში მომხდარი ძვრები არ უარყოფს პროლეტარიატის სიღატაკის შემდგომ ზრდას როგორც აბსოლუტური, ისე შეფარდებითი მნიშვნელობით. მონოპოლისტთა სიმდიდრის ზრდის კვალობაზე სულ უფრო მცირდება მუშათა კლასის წილი ეროვნულ შემოსავალში.

ამასთან, ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას სადაც კი ეს ხდება, პროლეტარიატი ბურჟუაზიის წინააღმდეგ გააფთრებული კლასობრივი ბრძოლის შედეგად აღწევს. ასევე დიდი ბრძოლა უხდება პროლეტარიატს ამ პირობების შენარჩუნებისა და სრულყოფისათვის.

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოება, რომ მარქსიზმ-ლენინიზმი ამა თუ იმ კლასის რევოლუციურობას მხოლოდ მატერიალურ, ეკონომიკურ პირობებს არ უკავშირებს, კლასის რევოლუციურობის განსაზღვრისათვის აუცილებელია ავრეთვე მისი პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობის, თვითშეგნების დონის, საკუთარი პარტიის ორგანიზებულობის და სხვა არსებითი მომენტების გათვალისწინება.

კრიტიკას ვერ უძლებს ავრეთვე დებულება, რომ თანამედროვეობის წამყვან ძალას თითქოს მოსწავლე სტუდენტობა, საშუალო ფენები, ინტელიგენცია წარმოადგენს; საზოგადოებრივ განვითარებას მატერიალური წარმოება განსაზღვრავს; აქედან გამომდინარეობს ის, რომ საზოგადოებრივი ცხოვრების შეცვლა იმ კლასებზეა დამოკიდებული, რომლებიც უშუალოდ წარმოებასთან არიან დაკავშირებულნი.

საზოგადოების რევოლუციური გარდაქმნის მთავარ ძალად სტუდენტობის, ინტელიგენციის, ან კიდევ მოსახლეობის იმ დანარჩენი ფენების გამოცხადება, რომლებიც წარმოებასთან უშუალო კავშირში არ არიან, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია.

უნიადაგოა ბურჟუაზიული იდეოლოგების ცდაც, რომ ახალგაზრდობა კაპიტალის წინააღმდეგ მუშათა კლასის ბრძოლას ჩამოაშორონ. გაიყვანონ იგი პროლეტარიატის ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ბრძოლის პოზიციებიდან, დაარწმუნონ, რომ მუშათა

კლასისა და ახალგაზრდობის მოძრაობის შეერთება პრინციპულად შეუძლებელია.

რასაკვირველია, ეს ორი მოვლენა იდენტური არ არის. შინაარსობლივად და ორგანიზაციულად თითოეულ მათგანს გარკვეული თავისთავადობა გააჩნია. ამ თავისთავადობის აბსოლუტიზაცია არ შეიძლება. მათი ერთმანეთისაგან მოწყვეტაც აგრეთვე უდიდესი შეცდომა იქნებოდა.

მუშათა და ახალგაზრდულ მოძრაობებს როგორც საერთო, ისე სპეციფიკური ნიშნები ახასიათებს. საერთო მომენტები მუშებისა და ახალგაზრდობის მოქმედების გაერთიანების ობიექტურ საფუძველს ქმნიან. თითოეულის სპეციფიკური თავისებურებების გამო კი მუშათა და ახალგაზრდობის მოძრაობანი უნდა განვიხილოთ როგორც ერთიანი ბრძოლის ორი ნაკადი, გავარკვიოთ თითოეული მათგანის ხასიათი, შინაარსი, ორგანიზაციული ფორმები, ძალა და ა. შ.

სწორედ ამ საერთო და სპეციფიკური თავისებურებების გათვალისწინება მიგვიყვანს იმ ურყევ დასკვნამდე, რომ ახალგაზრდობის სასიცოცხლო მოთხოვნილებების ბოლომდე, თანამიმდევრული დაკმაყოფილება მხოლოდ მუშათა კლასთან ერთიანობის გზით, მის სათავეში მდგომი კომუნისტური და მუშათა პარტიების ხელმძღვანელობით შეიძლება. ახალგაზრდობის ორგანიზაციული ავტონომია შეხამებული უნდა იყოს პარტიის მხრივ ხელმძღვანელობასა და მუდმივ კონტაქტებთან.

ახალგაზრდობის მოძრაობის მოწყვეტა მუშათა მოძრაობისაგან არ შეიძლება იმის გამოც, რომ ახალგაზრდობის ერთ-ერთ ყველაზე რევოლუციურ ნაწილს თვით მუშა ახალგაზრდობა შეადგენს. მუშათა კლასის თავისებურებანი, ცხადია, მის ნაწილზეც — მუშა ახალგაზრდობაზე ვრცელდება.

მაგრამ მეორე მხრივ, მუშა ახალგაზრდობას ზოგიერთი ისეთი თავისებურება ახასიათებს, რომელიც მუშათა კლასისათვის, როგორც მთლიანისათვის ნიშანდობლივი არ არის. მუშა ახალგაზრდობა ესესაა იწყებს საწარმოო საქმიანობას. მას ჯერ კიდევ არ გამოუმუშავებია მტკიცე საწარმოო ჩვევები, ჯერ კიდევ არ შეუძენია ფართო განათლება, კვალიფიკაცია და სხვ. ამიტომ მისი მოთხოვნები ხშირად სასწავლო-მოსამზადებელ რეფორმებთან, შრომის პირობების გაუმჯობესებასთან და ა. შ. არის დაკავშირებული. მუშა ახალგაზრდობის მდგომარეობა მისი მოთხოვნების თავისებურებას განსაზღვრავს.

პოლიტიკური თვალსაზრისით მუშა ახალგაზრდობას ჯერ კიდევ არ აქვს სათანადო გამოცდილება, იდეოლოგიურად მოუმწიფებელია. დახმარება და აღზრდა, კლასობრივი ბრძოლის მეთოდების შეთვისება ესაჭიროება.

ორგანიზაციული თვალსაზრისით მუშა ახალგაზრდობა ახალგაზრდობის სხვა ფენებთან ერთად თავის საკუთარ ორგანიზაციას ქმნის, რომელიც მჭიდროდ უკავშირდება მუშათა კალსის მოწინავე რაზმს — კომუნისტურ პარტიას.

მუშა ახალგაზრდობა მძლავრად ამქღავნებს ახლის გრძნობას, სიძნელეების დაძლევის წყურვილს, რევოლუციური იდეებით გატაცებას, გამბედაობას, ენერგიულობას, შეურიგებლობას უსამართლობისადმი და სხვ. ეს თვისებები საერთოდ ახალგაზრდობისათვისაც არის დამახასიათებელი.

ეს თავისებურებანი მუშა ახალგაზრდობას და მისი სახით მთელს პროგრესულ ახალგაზრდობას კი არ თიშავს, არამედ პირიქით, მტკიცედ აერთიანებს თანამედროვეობის ყველაზე რევოლუციურ კლასთან — მუშათა კლასთან, რომელიც ახალგაზრდა თაობის მოძრაობას თავის ძლევამოსილ, გარდამქმნელ საქმიანობასთან აკავშირებს.

ბურჟუაზიული იდეოლოგები ღრმად ცდებიან, როდესაც მსჯელობენ რაღაც მეტაფიზიკური „ერთიანი ახალგაზრდა თაობის" შესახებ", რომელიც ასევე „ერთიან უფროს თაობას" უპირისპირდება. ან როგორ შეიძლება „ერთიანი თაობა" არსებობდეს ანტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში? თითოეულ თაობას სხვადასხვა კლასების, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლები ქმნიან. მაშასადამე, უაზრობაა ვილაპარაკოთ რომელიმე თაობის „ერთიან" მიზნებსა და მოქმედებაზე მტრულ კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში. და პირიქით, შეიძლება ერთიანობა არსებობდეს ერთი და იგივე კლასის შიგნით ანდა მდგომარეობით ახლომდგომ კლასთა სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს შორის. მაგალითად, მუშათა კლასის შიგნით უფროსი და ახალგაზრდა თაობების წარმომადგენლები მონოლითურად ერთიანი არიან, ასაკობრივ-თაობრივი განსხვავებანი ოდნავადაც ვერ არყევს მათს კავშირს. მაგრამ ეს ერთიანობა გამორიცხულია იქ, სადაც ერთი და იგივე თაობის წარმომადგენლები ანტაგონისტური კლასების პოზიციებზე დგანან.

ასეთ პირობებში თაობათა შორის ბრძოლის ლოზუნგი მხოლოდ საფარველია იმისათვის, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ღრმა კლასობრივი წინააღმდეგობანი შეუმჩნეველი დარჩეს.

არა თაობათა ბრძოლა, არამედ კლასობრივი ბრძოლა — ამაში მდგომარეობს ანტაგონისტური საზოგადოების მამოძრავებელი ძალა.

„თაობათა კონფლიქტის" თეორიას კლასობრივ-სოციალური და გნოსეოლოგიური ფესვები კვებავს.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში, განსაკუთრებით ამ საზოგადოების კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავების თანამედროვე ეტაპზე მართლაც ღრმავდება დაპირისპირებულობა და უნდობლობა თა-

ობათა შორის, „მამებისაგან“ განდგომილი „შვილები“ პროტესტის სხვადასხვა ფორმას მიმართავენ. მაგრამ ბურჟუაზიული იდეოლოგები ყოველმხრივად აზვიადებენ თაობათა დაპირისპირებულობის მნიშვნელობას, უკიდურესად ცალმხრივად განიხილავენ სოციალურ-ასაკობრივი ჯგუფების ადგილსა და როლს თანამედროვე საზოგადოების წინააღმდეგობათა სისტემაში.

საკითხავია, თუ რატომ ხდება, რომ ბურჟუაზიული იდეოლოგები თაობათა დაპირისპირებას მის წარმომშობ სოციალურ გარემოს წყვეტენ, აკერპებენ და ყოვლისმომცველ კანონზომიერებად მიიჩნევენ მას. ეს მონოპოლისტური ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებით აიხსნება. ამით იგი ცდილობს მიჩქმალოს კლასობრივი ანტაგონიზმი ექსპლუატირებულებსა და ექსპლოატატორებს შორის და თანამედროვე კაპიტალისტური სამყაროს ყველა მანკიერების წყაროდ ადამიანთა ბუნებრივი, ასაკობრივი განსხვავება გამოაცხადოს.

ანტიკომუნიზმის მქადაგებლებს სურთ კლასობრივი ბრძოლის მარქსისტული მოძღვრება „თაობათა კონფლიქტის“ თეორიით შეცვალონ. ეს უკანასკნელი ანტაგონისტური საზოგადოების ძირითადი მამოძრავებელი ძალის ადგილზე დააყენონ. მარქსიზმი არ უარყოფს თაობათა დაპირისპირებულობას კაპიტალისტურ საზოგადოებაში, მაგრამ მიაჩნია, რომ ეს დაპირისპირებულობა ანტაგონისტურ კლასთა წინააღმდეგობითა და ბრძოლით არის დეტერმინებული, მისი მსვლელობის მაგისტრალურ მიმართულებას ექვემდებარება.

ზუსტად ასევე ახალგაზრდობის ბურჟუაზიულ თეორიებსაც კლასობრივი, გნოსეოლოგიური ფესვები ასაზრდოებს. ბურჟუაზიული იდეოლოგები ცალმხრივად და გადაჭარბებით აფასებენ ახალგაზრდობის როლს საზოგადოებაში, ახალგაზრდობას სოციალური ტრანსფორმაციის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად თვლიან. ამით ისინი, რასაკვირველია, ცდილობენ დაავიცირონ პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების როლი, ერთმანეთს დაუპირისპირონ ეს საზოგადოებრივი ჯგუფები.

ახალგაზრდობას უეჭველია საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ეკუთვნის, მაგრამ იგი არ წარმოადგენს და არც შეიძლება რომ იყოს გადამწყვეტი საზოგადოებრივი ძალა. რევოლუციურ გარდაქმნათა მთავარი ფაქტორი. ახალგაზრდობა რევოლუციური ძალაა მხოლოდ მუშათა კლასთან და სხვა მშრომელ მასებთან კავშირში და არა მათგან იზოლირებულად.

თაობათა „კონფლიქტის“ ბურჟუაზიული თეორიით შეუძლებელია იმის მიჩქმალვა, რომ მონოპოლისტური კაპიტალიზმი ღრმა ანტაგონისტურ კლასობრივ წინააღმდეგობებშია გახლართული. ეს წინააღმდეგობა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური, პო-

ლიტიკური და იდეოლოგიური ცხოვრების საფუძვლებს არყევს, კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფების დაპირისპირებაში აისახება. მტრული ურთიერთობა კაპიტალისტური საზოგადოების სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებს შორის კაპიტალიზმის კლასობრივ წინააღმდეგობათა ბაზაზეა აღმოცენებული, და დაძლეულ იქნება მონოპოლისტური ბურჟუაზიის წინააღმდეგ პროლეტარიატისა და მისი მოკავშირეების რევოლუციური ბრძოლის გზით.

ახალგაზრდობის მოძრაობის აღმავლობა ბურჟუაზიული საზოგადოების ღრმა კრიზისის შედეგია. ახალგაზრდობა სულ უფრო მძლავრად ებმება კლასობრივ ბრძოლაში კაპიტალიზმის წინააღმდეგ და განამტკიცებს კავშირს მუშათა მოძრაობასთან და მის კომუნისტურ ავანგარდთან.

ვ. ი. ლენინი წინასწარ ჭვრეტდა: „მე მგონია, შემიძლია დიდი რწმენით გამოვთქვა იმედი, რომ ახალგაზრდობას, რომელიც ასე მშვენიერად მუშაობს... მთელი მსოფლიოს სოციალისტურ მოძრაობაში, ბედნიერება ექნება არ მხოლოდ იბრძოლოს, არამედ კიდევაც გაიმარჯვოს მომავალ პროლეტარულ რევოლუციაში“ [1]. ახალგაზრდობამ ეს იმედი გაამართლა.

ისტორიულად გარდაუვალია, რომ პროგრესული ახალგაზრდობის ბრძოლა მსოფლიოს რევოლუციური გარდაქმნისათვის, კაპიტალიზმისა და რეაქციის ძალების წინააღმდეგ ახალ-ახალი და სრული გამარჯვებით დაგვირგვინდება.

თაობათა ურთიერთობა სოციალისტურ საზოგადოებაში. სოციალისტური საზოგადოებისათვის უცნობია პოლიტიკური, იდეოლოგიური ან სხვა სახის ანტაგონიზმი და დაპირისპირებულობა თაობათა შორის. სოციალიზმის დროს თაობათა ურთიერთობა მტკიცე ეკონომიკურ და სოციალურ ბაზას ემყარება. წარმოების საშუალებებზე კერძო კაპიტალისტური საკუთრების მოსპობით, ექსპლოატაციის, უმუშევრობის, კრიზისების, სოციალური და ეროვნული ჩაგვრის ლიკვიდაციით ერთხელ და სამუდამოდ მოეღო ბოლო საზოგადოების გათიშვას მტრულ სოციალურ ჯგუფებად და კონფლიქტებს მათ შორის. სოციალისტურმა ეკონომიკამ, რომლის საფუძველია საზოგადოებრივი საკუთრება წარმოების საშუალებებზე, ერთიან ძმურ კოლექტივად შეაკავშირა სხვადასხვა სოციალური ჯგუფები; ქალაქისა და სოფლის მშრომელები, სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები, ერთიანი მიზნით, საერთო საქმისათვის თავდადებული ბრძოლის სულისკვეთებით შეამჭიდროვა.

თაობათა ურთიერთობა სოციალიზმის დროს განმტკიცებულია აგრეთვე ჩვენი ქვეყნის პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი წ ყ ო ბ ი თ, სოციალიზ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 23, გვ. 333.

მის დროს მშრომელი ხალხი თავისი ბედის განმგებელი, სახელმწიფოებრივი, სამეურნეო და საზოგადოებრივი მართვის აქტიური ძალაა. მშრომელთა ფართო მასების, მუშების, კოლმეურნე გლეხების, მშრომელი ინტელიგენციის, ამ საზოგადოებრივი ჯგუფების როგორც უფროსი, ისე ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელთა ჩაბმა ქვეყნის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მმართველობაში სოციალიზმის ერთ-ერთი დიდი უპირატესობაა.

სოციალისტური საზოგადოების წევრებს, სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და თაობის ადამიანებს ამოძრავებს აგრეთვე ერთიანი იდეოლოგია — მარქსიზმ-ლენინიზმი, რომელიც მეცნიერულად ასახავს მშრომელთა სასიცოცხლო ინტერესებს, თეორიულად აიარაღებს მათ რევოლუციურ ბრძოლაში კომუნისტური მომავლისათვის. ამრიგად, სოციალისტური საზოგადოება მყარ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ და იდეოლოგიურ პირობებს ქმნის მშრომელთა, მათ შორის სხვადასხვა თაობების ადამიანთა ერთიანობისა და ნაყოფიერი თანამშრომლობისათვის.

თაობათა ჰარმონიული ურთიერთობა, მათ შორის მტკიცე თანამშრომლობა, ერთმანეთის მიმართ მზრუნველობა და პატივისცემა სოციალისტური საზოგადოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დამახასიათებელი თავისებურებაა. მაგრამ, რაოდენ ჰარმონიული ურთიერთობაც უნდა არსებობდეს თაობათა შორის სოციალიზმის დროს, საქმე მაინც განსხვავებულ თაობებს ეხება და, ამდენად, შეუძლებელია აბსოლუტურად იგივეობრივი იყოს მათი აზრთა წყობა გემოვნება ინტერესები და მოთხოვნილებანი, მათი დამოკიდებულება გარკვეული ღირებულებებისადმი. საზოგადოებაში, რომელიც მშრომელთა კონტროლს ემორჩილება, თაობათა შეხედულებების, ჩვევების, გემოვნებისა და ინტერესების განსხვავებულობა სოციალურ წინააღმდეგობებად და კონფლიქტებად არ გადაიზრდება. მაგრამ ეს განსხვავებულობა მაინც დარჩება. სხვანაირად შეუძლებელიცაა. ამას თაობათა როგორც ასაკობრივი, ისე სოციალური თავისებურებანი იწვევს.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ამჟამად სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად გაზრდილია, რომ სოციალისტურ საზოგადოებაში სამი და მეტი თაობაც თანაარსებობს, ხოლო თითოეული მათგანის ფორმირება სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ხდებოდა, ნათელი გახდება, რომ ბევრ საერთოსთან ერთად, რაც ამ თაობებს აკავშირებს, მათ შორის გარკვეული განსხვავებაცაა. ეს უველაზე მეტად სულიერ სფეროშია შესამჩნევი. ზოგიერთ საკითხში ამ თაობათა წარმომადგენლების შეხედულებანი, ზნეობრივი, ესთეტიკური მრწამსი, საყოფაცხოვრებო ჩვევები, ადათ-წესებისადმი

დამოკიდებულების ხასიათი და სხვა რამდენადმე განსხვავებულია, რამდენიმე თაობის ერთად ცხოვრებისა და მოღვაწეობის პირობებში კი ეს განსხვავება უფრო საგრძნობია. მთავარი მიზეზი მაინც ის არის, რომ „ცნობიერება" ჩამორჩება ყოფიერებას" (ვ. ი. ლენინი). ადამიანები გარკვეული წესრიგით აზროვნებას ეჩვევიან მატერიალური ცხოვრების განმსაზღვრელ პირობებში ხანგრძლივი თანაცხოვრების გამო და სწრაფად ვერ აღწევენ თავს ტრადიციულ შეხედულებებსა და ჩვევებს მაშინ, როდესაც ცხოვრების ობიექტურ პირობებში ახალი ცვლილებები ხდება.

ამასთან, შეცდომა იქნებოდა თაობებს შორის გემოვნების, მოთხოვნილებების, ჩვევებისა და სხვა მხრივ არსებული განსხვავების აბსოლუტიზაცია, ისევე როგორც შეცდომაა მისი იგნორირებაც. აბსოლუტურად არ შეესაბამება სინამდვილეს ბურჟუაზიული იდეოლოგების ლეგენდა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ადამიანების უფროსი თაობა „კონფლიქტში" აღმოჩნდა ჩვენს ახალგაზრდობასთან, რომ საბჭოთა საზოგადოებას ძირს უთხრის წინააღმდეგობა „მამებსა" და „შვილებს" შორის.

მაინც რას ემყარებიან ბურჟუაზიული იდეოლოგები, როდესაც ამ პროპაგანდისტულ მონაჭორს ავრცელებენ? მათი აზრით, საბჭოთა ადამიანების უფროსი თაობა რევოლუციური იყო და მას საზოგადოებრივი ცხოვრების გარდაქმნის იდეები ამოძრავებდა. თანამედროვე ახალგაზრდობა კი თითქოს რევოლუციური აღარ არის, მისი მთავარი საზრუნავია მატერიალური კეთილდღეობა, კომფორტით ცხოვრება. ერთ მხარეზე დგანან რევოლუციური სულისკვეთების მქონე, იდეური მამები, მეორე მხარეზე კი — უიდეო, აპოლიტიკური, არარევოლუციური შვილები. ასე მსჯელობენ ბურჟუაზიული იდეოლოგები.

რასაკვირველია, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ საბჭოთა ახალგზარდები ახლა იმავე პირობებში ცხოვრობენ, რა პირობებშიც მათს მამებს, უფროსი თაობის წარმომადგენლებს უხდებოდათ ცხოვრება არ შეიძლება იმის მტკიცებაც, რომ საბჭოთა ადამიანების ამ თაობათა წინაშე არ დგას განსაკუთრებული, ერთმანეთისაგან განსხვავებული ამოცანები. მაგრამ გამომდინარეობს თუ არა აქედან, რომ ჩვენში მამებსა და შვილებს შორის უფსკრულია? ცხადია, არა. მიუთითებდა რა საბჭოთა ადამიანთა თაობების ამოცანათა განსხვავებულობაზე, ვ. ი. ლენინი წერდა:

„წინა თაობის ამოცანას შეადგენდა ბურჟუაზიის დამხობა. მაშინ მთავარი ამოცანა იყო ბურჟუაზიის კრიტიკა, მასებში მისდამი სიძულვილის გაღვივება, კლასობრივი შეგნების, თავისი ძალების დარაზმვის უნარის განვითარება. ახალი თაობის წინაშე უფრო რთული ამო-

ცანა დგას. არ კმარა, რომ მთელი თქვენი ძალები უნდა გააერთიანოთ, რათა მზარი დაუჭიროთ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას კაპიტალისტების შემოსევის წინააღმდეგ. ეს თქვენ უნდა გაიგეთოთ. ეს თქვენ ჩინებულად გაიგეთ, ეს ნათლად აქვს წარმოდგენილი კომუნისტს. მაგრამ ეს საკმარისი არაა. თქვენ უნდა ააშენოთ კომუნისტური საზოგადოება. საქმის პირველი ნახევარი მრავალ მხრივ გაკეთებულია. ძველი დანგრეულია ისე, როგორც საჭირო იყო მისი დანგრევა; ის წარმოადგენს ნანგრევებს ისე, როგორც საჭირო იყო მისი ნანგრევებად ქცევა. ნიადაგი გაწმენდილია და ამ ნიადაგზე ახალგაზრდა კომუნისტურმა თაობამ უნდა ააშენოს კომუნისტური საზოგადოება“ [1].

საბჭოთა ადამიანთა ძველი და ახალგაზრდა თაობების წინაშე მდგარი ამოცანების განსხვავებულობა არავითარ საფუძველს არ გვაძლევს უარვყოთ ყოველივე ის, რაც ამ თაობების ისტორიულ მოქმედებას ერთი, საერთო მიზნისაკენ წარმართავს.

საბჭოთა ადამიანების ორივე თაობა რევოლუციურია თავისი ბუნებით, მაგრამ ცვალებადია ის პირობები, რომლებშიც მათი რევოლუციურობა მეღავნდება. უფროსი თაობა იბრძოდა მემამულეთა და კაპიტალისტთა წყობილების დასამხობად, საფუძველს უქმნიდა სოციალისტურ საზოგადოებას, თრგუნავდა დამხობილი ექსპლოატატორული კლასების გადმონაშთების წინააღმდეგობას. უფროსი თაობის წარმომადგენლებმა თავის მხრებზე გადაიტანეს საკაცობრიო ისტორიაში უდიდესი სამამულო ომი. რაც შეეხება თანამედროვე, ომის შემდგომ საბჭოთა ახალგაზრდობას, მას ცხოვრებაში ადრინდელი წინააღმდეგობანი და სიძნელეები არ შეხვედრია.

მშობლებისაგან განსხვავებით, ცხოვრებას თანამედროვე საბჭოთა ახალგაზრდობის წინაშე არ დაუყენებია მძაფრ კლასობრივ ბრძოლებში მონაწილეობის ამოცანა, ვინაიდან ქვეყნის შიგნით არავითარი კლასობრივი ანტაგონიზმი არ არსებობს. მაგრამ ჩვენი ახალგაზრდობის წინაშე იდგა და დგას უდიდესი აღმშენებლობითი, თავისი არსით რევოლუციური მნიშვნელობის ამოცანა, რომელსაც იგი წარმატებით წყვეტს: კაცობრიობის ისტორიაში პირველი კომუნისტური საზოგადოების აშენების ამოცანა.

უფროსი თაობის წარმომადგენლებთან ერთად იგი რეალობად აქცევს ტექნიკური, მეცნიერული, კულტურული წინსვლის გეგმებს, უზრუნველყოფს ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას, კაფავს ახალ გზებს კომუნისტური მომავლისაკენ.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნე-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 347.

ობაში მომუშავეთა საერთო რაოდენობის 30 პროცენტზე მეტი მოდის ახალგაზრდობაზე, რომელთა ასაკი 30 წლამდეა. ამავე ასაკის ახალგაზრდები შეადგენენ მრეწველობაში მომუშავეთა საერთო რაოდენობის 49,7 პროცენტს, მშენებლობაში — 56,6 პროცენტს, საბჭოთა ექიმების, აგრონომების, ინჟინრების, მასწავლებლების და მეცნიერების საერთო რიცხვის ნახევარს. აქედან ნათელია, თუ რა ძალას წარმოადგენს ახალგაზრდობა.

საბჭოთა ახალგაზრდები იმ ადამიანების შვილები და შვილიშვილები არიან, რომელთა გმირობის შთამაგონებელი მაგალითი საუკუნეებში იცოცხლებს. ისინი არასოდეს დაივიწყებენ მათი მამების მიერ განვლილ ისტორიულ გზას, კვლავაც შეითვისებენ წინა თაობათა სახელოვან რევოლუციურ, საბრძოლო და შრომით ტრადიციებს.

სოციალისტურ საზოგადოებაში, ისევე როგორც ყოველ საზოგადოებაში, ერთი თაობის გვერდით სხვა თაობებიც არსებობენ. თაობა თაობას ცვლის და, მაშასადამე, თაობათა შორის ურთიერთობა ობიექტური აუცილებლობაა.

მაგრამ სოციალისტური საზოგადოება თაობათა შორის ურთიერთობის საკითხს ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილ საზოგადოებებთან შედარებით თვისებრივად სხვაგვარად წყვეტს. ეს ურთიერთობა ემყარება თაობათა საერთო სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და იდეოლოგიურ საფუძვლებს, გამორიცხავს ანტაგონისტური წყობილებისათვის დამახასიათებელ მტრულ დაპირისპირებას ასაკობრივ ჯგუფებს შორის. ამიტომ სოციალიზმის დროს შეუძლებელია არსებობდეს თაობათა კონფლიქტი, მათი ბრძოლა.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ სოციალიზმის დროს საერთოდ არ დგას თაობათა ურთიერთობის პრობლემა, რომ სოციალიზმი ახლებურად არ აყენებს და არ წყვეტს თაობათა კავშირისა და მათი ურთიერთობების საკითხს? თაობათა შორის კავშირის პრობლემა სოციალიზმის დროს დგას, როგორც უფროსი და ახალგაზრდა თაობების ურთიერთთანამშრომლობის პრობლემა, რაც გულისხმობს უფროსი თაობის რევოლუციური და შრომითი ტრადიციების გადაცემას ახალგაზრდა თაობისათვის, ამ თაობების ერთობლივ მოღვაწეობას ახალი საზოგადოების აშენების მიზნით, მემკვიდრეობითობისა და ახლის ორგანულ შეთვისებასა და შერწყმას მათს საერთო საქმიანობაში.

თაობათა ურთიერთობის პრობლემა სოციალიზმის დროს არ დგას და არც შეიძლება იდგეს ისე, როგორც ამაზე ბურჟუაზიული იდეოლოგები ოცნებობენ. ისინი ყოველმხრივ აზვიადებენ თაობათა შორის არსებულ განსხვავებას სოციალისტურ საზოგადოებაში, აჰყავთ იგი თაობათა კონფლიქტისა და შეჯახების რანგამდე. მაგალითისათვის. განვიხილოთ ჩვენს ქვეყანაში ძველ და ახალგაზრდა თაობებს

შორის წიგნიერების, განათლებისა და კულტურის მხრივ არსებული განსხვავება.

ბურჟუაზიული კრიტიკოსები, ცხადია, ვერ უარყოფენ იმ ფაქტს, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მაღალ ზოგადსაგანმანათლებლო, პოლიტექნიკურ, სპეციალურ და უმაღლეს განათლებას ეზიარა, რომ ამ მიმართულებითაც მოპოვებულია კოლოსალური მიღწევები ჩვენს ქვეყანაში, ყველა საბჭოთა რესპუბლიკაში. ამჟამად ყოველ მეორე კომკავშირელს საშუალო ან უმაღლესი განათლება აქვს, ქვეყნის მასშტაბით კომკავშირის რიგებში არის მილიონზე მეტი ინჟინერი და ტექნიკოსი, ნახევარ მილიონზე მეტი მასწავლებელი, ათეულ-ათასობით მეცნიერ მუშაკი და ა. შ.

მაგრამ, ცნობენ, რა საბჭოთა ახალგაზრდობის განათლების მაღალ დონეს, ბურჟუაზიული იდეოლოგები ცდილობენ ეს ფაქტიც თავიანთი ინტერესებისათვის გამოიყენონ, კერძოდ, ისინი აცხადებენ, რომ სოციალისტური საზოგადოების უფროსი თაობის განათლებისა. და კულტურის დონე საბჭოთა ახალგაზრდობის განათლებისა და კულტურის დონესთან შედარებით დაბალია, რის გამოც ეს თაობები ვეღარ ეგუებიან ერთმანეთს, მტრულად არიან განწყობილნი ერთმანეთისადმი.

სინამდვილეში თაობათა შორის ეს განსხვავება სოციალიზმის დროს ამ საზოგადოების ზრდითაა შეპირობებული, სავსებით კანონზომიერი ხასიათისაა და, აქედან გამომდინარე, ორივე თაობისათვის სასარგებლოა. მაღალ კულტურასა და განათლებას უმცროსი თაობის წარმომადგენლები სწორედ თავიანთ მამებსა და პაპებს უმადლიან, მამები და პაპები კი შვილებისა და შვილიშვილების მდიდარ სულიერ სამყაროს, მათ კულტურულ და ინტელექტუალურ სრულყოფას თავიანთი მოღვაწეობის ერთ-ერთ უმთავრეს შედეგად თვლიან.

საბჭოთა ახალგაზრდების მთელი ცოდნა, კულტურა, ამოუწურავი ენერგია და ენთუზიაზმი იმავე დიად და კეთილშობილურ საქმეებს ხმარდება, რაც უფროსი თაობების წარმომადგენლებმა დაიწყეს. თავის მოწოდებას ახალგაზრდობა ამაში ხედავს.

თაობათა ურთიერთობა სოციალიზმის დროს მკვიდრდება, როგორც განსხვავებული ასაკობრივი ჯგუფების თანამშრომლობა, როგორც მემკვიდრეობითობისა და ახლის ორგანული გაერთიანება საბჭოთა ადამიანების აღმშენებლობისეულ საქმეებში. კომუნისტური პარტია არასოდეს არ ემყარება ერთ რომელიმე თაობას თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში. მისი მოქმედების წარმატება ყოველთვის შეპირობებული იყო უკლებლივ ყველა თაობის ერთობლივი შრომითა და მეცადინეობით.

უფროსი და ახალგაზრდა თაობების ურთიერთანამშრომლობა და

დახმარება სოციალისტური საზოგადოების დიდმნიშვნელოვანი კანონსომიერებაა.

ამრიგად, სოციალისტური საზოგადოება კაცობრიობის ისტორიაში პირველი საზოგადოებაა, რომელმაც თაობათა ურთიერთობა გათავისუფლა მწვავე წინააღმდეგობებისა და კონფლიქტებისაგან და იგი შეგნებულ რეგულირებას დაუქვემდებარა. სოციალისტური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობა, სოციალური პროგრესის ობიექტური ტენდენციები უკვე თავისთავად ხდიან აუცილებლს ამ საზოგადოების შიგნით არსებული მშრომელთა ჯგუფების გაერთიანებას, მათი ენერგიის, მეცადინეობის, საქმიანობის კონცენტრირებას საერთო მიზნებისა და იდეალების განსახორციელებლად ამ ჯგუფებში შემავალი ადამიანების კლასობრივი, ასაკობრივი, სოციალური, ეროვნული და სხვა განსხვავების მიუხედავად.

მაგრამ არ იქნებოდა სწორი გვეფიქრა, რომ იდეალურად ხელსაყრელი ობიექტური პირობები სოციალისტურ საზოგადოებაში ზედმეტს ხდის და გამორიცხავს სოციალური ჯგუფების, მათ შორის განსხვავებული თაობების ურთიერთობის შეგნებული წარმართვის საჭიროებას. საზოგადოება, რომელიც როგორც მთელი, შეგნებულ მართვას ემორჩილება, შეუთავსებელია სტიქიურობასა და თვითდინებასთან, ბუნებრივად მოითხოვს განსხვავებული სოციალური ჯგუფების სხვადასხვა თაობის წარმომადგენელთა კავშირის გონივრულ საფუძველზე დაყენებასა და წარმართვას, მუდმივ წინასწარმოფიქრებულ აქტიურ მოქმედებას ამ კავშირის შემდგომი განმტკიცებისათვის.

სოციალისტური საზოგადოების მშრომელების — მუშების, კოლმეურნე გლეხების, ინტელიგენციის სხვადასხვა თაობის ადამიანთა შემაკავშირებელი და ხელმძღვანელი ძალაა კომუნისტური პარტია. იგი სათავეში უდგას საბჭოთა ხალხის აღმშენებლობით საქმიანობას, ორგანიზებულ, გეგმაზომიერ, მეცნიერულად დასაბუთებულ ხასიათს აძლევს მის ბრძოლას საბოლოო მიზნის მისაღწევად — კომუნიზმის გამარჯვებისათვის.

რა ამოცანებიც უნდა იყოს გადასაწყვეტი, — ეს იქნება რევოლუციური გზით კაპიტალისტური წყობილების დამხობა, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარება და ბრძოლა მისი შენარჩუნებისა და განმტკიცებისათის, სოციალიზმის საძირკვლების შენება, ქვეყნის თავდაცვა გარეგანი ხელყოფისაგან თუ სოციალიზმის შემდგომი სრულყოფა — მშრომელი ხალხის ბრძოლისა და შრომის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია კომუნისტური პარტია. რომელიც მთელი საბჭოთა ხალხის ინტერესებს გამოხატავს.

კომუნისტური პარტიის წევრები კომუნისტური საზოგადოების მშენებელთა ავანგარდში დგანან. მათი თავდადებული, სამაგალითო, შთამაგონებელი ხელმძღვანელობით ვითარდება სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, იზრდება შრომისნაყოფიერება, იქმნება და ვრცელდება მოწინავე გამოცდილება, მრავლდება სოციალისტური საკუთრება.

კომუნისტები დგანან ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების შემოქმედთა პირველ რიგებში, თანამიმდევრულად იბრძვიან მშრომელთა პოლიტიკური ინტერესების გატარებისათვის, განამტკიცებენ კავშირს ხალხთა ფართო მასებთან, აქტიურად მონაწილეობენ სახელმწიფო საქმეების მართვაში, სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში, მაგალითს იძლევიან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებაში.

სანიმუშოა კომუნისტების იდეური ცხოვრება; ისინი სისტემატურად ეუფლებიან მუშათა კლასის მეცნიერულ იდეოლოგიას — მარქსიზმ-ლენინიზმს, მტკიცედ იბრძვიან ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ, ყოველი ღონისძიებით განამტკიცებენ პარტიის იდეურ და ორგანიზაციულ ერთიანობას.

თავიანთი შემოქმედებით კომუნისტები განასახიერებენ მშრომელთა უმაღლეს ზნეობრივ მოთხოვნებს, იცავენ და ცხოვრებაში ნერგავენ კომუნისტური მორალის პრინციპებს, ზრდიან მასებს სოციალისტური ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატრიოტიზმის, შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულისკვეთებით, ებრძვიან ძველი დროის გადმონაშთებს ადამიანთა შეგნებასა და ქცევაში. კომუნისტები გამოირჩევიან მაღალი მომთხოვნელობით თავისი თავისა და სხვებისადმი, პარტიული და სახელმწიფოებრივი დისციპლინის განუხრელი გატარებით, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობითა და მათი დაძლევისათვის ბრძოლით. ის, ვინც მშრომელთა ინტერესებს გამოხატავს და ატარებს, ყველა საქმეში მოწინავე უნდა იყოს. სწორედ ასეთები არიან კომუნისტები, რომლებიც მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის მოწინავე, ყველაზე შეგნებულ რაზმს შეადგენენ.

პარტიაში გაერთიანებული მშრომელი მასების მოწინავე წარმომადგენლები, რასაკვირველია, მხოლოდ ერთ რომელიმე თაობას არ ეკუთვნიან — მოწინავენი არიან როგორც ახალგაზრდა და საშუალო, ისე უფროსი და მოხუცი თაობების მუშათა, კოლმეურნეთა, მშრომელთა ინტელიგენციის რიგებში. ამრიგად, პარტიის შემადგენლობა ერთი რომელიმე თაობის წარმომადგენლობით არ განისაზღვრება. პარტია არ არის აგებული ასაკობრივი ნიშნის მიხედვით.

კომუნისტური პარტია არის მუშათა კლასის, მშრომელთა პოლიტიკური ორგანიზაცია მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანი-

ზაციების უმაღლესი ფორმა. იგი მთელ თავის საქმიანობას, სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესებსა და მოქმედებას თანამედროვეობის ყველაზე პროგრესული საზოგადოებრივ ძალის — მუშათა კლასის მიზნებსა და ამოცანებს უკავშირებს, მტკიცედ ახორციელებს მუშათა კლასის ხელმძღვანელობით მშრომელთა ფართო მასების გაერთიანების, კომუნიზმისათვის ბრძოლის სულისკვეთებით მათი დარაზმვის პრინციპულ პოლიტიკას.

რასაკვირველია, პარტიის რიგებში არიან ახალგაზრდა, ჯერ კიდევ გამოუცდელი და დიდი გამოცდილების, მრავალი წლის პრაქტიკული სტაჟის მქონე კომუნისტები, მაგრამ ეს საფუძვლად არ შეიძლება დაედოს მათი უფლება-მოვალეობების რაიმე განსხვავებულობას. პარტია არის მონოლითური პოლიტიკური ორგანიზაცია ერთიანი პროგრამული, ტაქტიკური, ორგანიზაციული შეხედულებებით, ერთიანი სიტყვითა და საქმით მისი ყველა წევრისათვის, მიუხედავად კლასობრივი, ეროვნული, სოციალური, ასაკობრივი და სხვა განსხვავებისა.

ამასთან, თავისი ისტორიული მისიის წარმატებით შესასრულებლად პარტია გამუდმებით ზრუნავს მშრომელი მასების საქმისათვის მებრძოლ, მოწინავე ადამიანთა აღზრდისათვის, საკუთარი რიგების შევსებისა და შემჭიდროებისათვის, ახალგაზრდა ძალებით მისი განმტკიცებისათვის. ამ ძალებს პარტია მოწინავე ახალგაზრდობიდან იკრებს. სწორედ პარტიის საქმისათვის თავდადებულ მებრძოლთა აღზრდაში ვლინდება ახალგაზრდობის ორგანიზაციის, ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირის უდიდესი როლი და მნიშვნელობა.

ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირი ახალგაზრდობის ყველაზე მოწინავე წარმომადგენლებს აერთიანებს. ახალგაზრდობას, რომელიც კომკავშირის სახით მძლავრ კლასობრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციას ქმნის, ამ ორგანიზაციაში მოაქვს მრავალი თავისებურება. რაც ადამიანის სწორედ ამ ასაკობრივი ჯგუფისათვისაა დამახასიათებელი. აქედან ნათელია, რომ ახალგაზრდობის კომუნისტურმა კავშირმა, ისევე როგორც მშრომელთა რევოლუციურმა პარტიამ — კომუნისტურმა პარტიამ, მთელი სისრულით უნდა გაითვალისწინოს ახალგაზრდულ ორგანიზაციაში გაერთიანებული ჭაბუკებისა და ქალიშვილების ასაკობრივ-თაობრივი თავისებურებანი, მათი ცოდნის საფუძველზე კონკრეტულად წარმართოს მუშაობა ახალგაზრდობასთან.

კომუნისტური პარტიის უშუალო და ყოველდღიური ხელმძღვანელობით კომკავშირი ზრდის ახალგაზრდა თაობას კომუნიზმის დიადი საზოგადოების მშენებლად, მთელი თავისი მრავალფეროვანი საქმიანობით უზრუნველყოფს იმას, რომ ახალგაზრდა თაობამ უფ-

როს თაობათა რევოლუციური მონაპოვრები დაიცვას და განავითაროს.

განვითარებადი სოციალიზმის ერთ-ერთი არსებითი დამახასიათებელი თავისებურება ის არის, რომ იგი სრულყოფს ობიექტურ და სუბიექტურ პირობებს თაობათა კავშირურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის, თანამიმდევრულად ახამებს ერთმანეთთან თაობათა მზარდ ინტერესებს და მოთხოვნილებებს, კიდევ უფრო ამაღლებს თაობათა ერთობლივი საქმიანობის მნიშვნელობას სოციალისტური საზოგადოების სრულყოფის ამოცანების გადასაჭრელად. სოციალისტური სახელმწიფო უდიდეს მზრუნველობას იჩენს მოზარდი და ახალგაზრდა, უფროსი და მოხუცი, ყველა თაობის ადამიანებისადმი, რაც ასახულია სსრ კავშირის კონსტიტუციაში, მოძმე რესპუბლიკების, მათ შორის საქართველოს სსრ კონსტიტუციაში. სოციალიზმის კონსტიტუცია კანონმდებლობით განამტკიცებს ყველა ასაკობრივი ჯგუფის სასიცოცხლო ინტერესებს უფლებებსა და მოვალეობებს.

სოციალიზმის განახლების დროს კიდევ უფრო ღრმავდება და ფართოვდება ახალგაზრდა თაობის პოლიტიკური უფლებები. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდობისა და მისი ორგანიზაციის როლის ზრდის ლოგიკური შედეგია ის, რომ კომკავშირს, პროფკავშირისა და სხვ. მასობრივი ორგანიზაციების მსგავსად დაუმკვიდრდა ქვეყნის პოლიტიკური, სამეურნეო, სოციალურ-კულტურული ცხოვრების საკითხების გადწყვეტაში მონაწილეობის უფლება, საკანონმდებლო ინიციატივის უფლება.

ახალგაზრდა მოქალაქეთა გაზრდილი უფლებები საარჩევნო სისტემაშიც აისახა. მათ ყველა საბჭოში, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს გარდა, დაუწესდათ ასაკობრივი ცენზი — 18 წელი, ხოლო სსრ კავშირის უმაღლეს საბჭოში 21 წელი. ეს ჩვენი საარჩევნო სისტემის მნიშვნელოვანი სიახლეა, რაც ერთდროულად ადასტურებს როგორც სახელმწიფოს ზრუნვას ახალგაზრდობისადმი, ისე დამსახურებულ ნდობას მისდამი.

ჩვენს ქვეყანაში უზრუნველყოფილია ახალგაზრდობის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოებრივ მართვა-გამგებლობაში. საბჭოთა ხალხი დიდად აფასებს სახელოვან ჭაბუკებსა და ქალიშვილებს, ირჩევს სახალხო წარმომადგენლებად — დეპუტატებად უმაღლეს და ადგილობრივ საბჭოებში, მეტად საპასუხისმგებლო საქმეების გადაწყვეტას ანდობს მათ. ახალგაზრდობის მონაწილეობაზე სხვადასხვა ინსტანციის სახელმწიფოებრივ ორგანოთა მუშაობაში ნათლად მეტყველებენ შემდეგი ფაქტები: 1984 წლის არჩევნების შედეგების მიხედვით სსრ კავშირის ადგილობრივი საბჭოების 2304703 დეპუტატიდან 34,3 პროცენტს შეადგენენ ახალგაზრდები 30 წლამდე, ხოლო 22,4

პროცენტს — სრულიად საკავშირო ალკკ წევრები, მოკავშირე რეს-პუბლიკების უმაღლეს საბჭოებში არჩეული ახალგაზრდა, 30 წლამდე ასაკის დეპუტატები შეადგენენ დეპუტატთა საერთო რაოდენობის 20,3 პროცენტს.

კონსტიტუციაში ჩაწერილია ახალგაზრდობის აღზრდის შრომითი და საზოგადოებრივი საქმიანობის უფლებები და მოვალეობანი. მათგან ერთ-ერთი ძირითადია განათლების უფლება:

„სსრ კავშირში არსებობს და იხვეწება სახალხო განათლების ერთიანი სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მოქალაქეთა ზოგადსაგანმანათლებლო და პროფესიულ მომზადებას, ემსახურება ახალგაზრდობის კომუნისტურ აღზრდას, სულიერ და ფიზიკურ განვითარებას, ამზადებს მას შრომისა და საზოგადოებრივი საქმიანობისათვის“ [1].

ამ უფლების გარანტიაა ყველა სახეობის უფასო განათლება, ახალგაზრდობის საყოველთაო-სავალდებულო საშუალო განათლების განხორციელება, პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური და უმაღლესი განათლების ფართოდ განვითარება, მატერიალურ და სოციალურ პირობათა მთელი კომპლექსი, რაც ახალგაზრდობის სასკოლო სწავლებასა და თვითგანვითარებას უწყობს ხელს.

თუ რა გრანდიოზულ წარმატებებს მიაღწია ჩვენმა ქვეყანამ განათლების დარგში, ეს ამკარად ჩანს შემდეგი ფაქტებიდან: რევოლუციამდელ რუსეთში მოზრდილი მოსახლეობის დაახლოებით სამი მეოთხედი უწიგნური იყო, ახლა კი სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშაკების ცხრა მეათედს უმაღლესი ან საშუალო (სრული ან არასრული) განათლება აქვს. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის რიგებს საშუალო და საშუალო სპეციალური განათლების მქონე ახალგაზრდები ავსებენ, რაც ჩვენი ქვეყნის უდიდესი კულტურული პროგრესის მაჩვენებელია.

სახალხო განათლებამ, ტექნიკურმა და სხვა სახის სწავლებამ გიგანტური მასშტაბი მიიღო. მაგალითად, 1984 წელს ჩვენს ქვეყანაში სხვადასხვა სახეობის სწავლებაში ჩაბმული იყო 106 მილიონი კაცი, მათგან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლობდა 44,7 მილიონი, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში — 4,1 მილიონი, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — 4,5 მილიონი, უმაღლეს სასწავლებლებში — 5,3 მილიონი კაცი. წლის განმავლობაში ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით უშუალოდ საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე კოლმეურნეობებში მომზადდა და კვალიფიკაცია აიმაღლა 40 მილიონზე მეტმა კაცმა.

---

[1] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1977, გვ. 14.

სახალხო განათლება და კულტურა მძლავრად ვითარდება საბჭოთა საქართველოში. 1984 წელს რესპუბლიკაში ყველა საბჭოების სწავლებაში ჩაბმული იყო 1,6 მილიონი კაცი. მათგან ზოგადსაგანმანათლებო სკოლებში სწავლობდა 923 ათასი, საშუალო პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 70,2 ათასი, სპეციალურ სასწავლებლებში — 53,8 ათასი კაცი, უმაღლეს სასწავლებლებში—89 ათასი სტუდენტი.

რესპუბლიკაში ფართო მასშტაბით ხორციელდება ახალგაზრდა მუშა-მოსამსახურეების, აგრეთვე კოლმეურნეთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება. 1984 წელს ინდივიდუალური, ბრიგადული და საკურსო სწავლების გზით ახალი პროფესიები შეისწავლა და კვალიფიკაცია აიმაღლა ქალაქისა და სოფლის 37,0 ათასზე მეტმა მუშამ.

ამ უდიდესი ძვრების შედეგია ის, რომ ამჟამად ჩვენს ფაბრიკა-ქარხნებსა და საკოლმეურნეო მინდვრებში მაღალი განათლებისა და კვალიფიკაციის მქონე ადამიანები მუშაობენ. სოციოლოგიური გამოკვლევები ცხადყოფენ, რომ სამრეწველო საწარმოებში ორ, სამ და მეტ პროფესიას ძირითადად ერთმანეთთან ათავსებენ მუშები 20-დან 30 წლამდე. ეს გარემოება მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ ახალგაზრდულ ასაკში უფრო მეტად არის შესაძლებელი ახალი ცოდნისა და ჩვევების შეძენა, არამედ იმითაც, რომ თანამედროვე ახალგაზრდობას საფუძვლიანი ტექნიკური და სპეციალური მომზადება აქვს. განათლების მაღალი დონე ამჟამად ტიპურია სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგში მომუშავე ახალგაზრდობისათვის.

ჩვენს ქვეყანაში გათვალისწინებულია ხალხის განათლებისა და კულტურის შემდგომი განვითარების დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებები, რომელთა განხორციელების შედეგად თანამიმდევრულად ამაღლდება ახალგაზრდობის საგანმანათლებლო და კვალიფიციური დონე, გაძლიერდება მუშაობა მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისათვის მათი მიდრეკილებებისა და კვალიფიკაციურ კადრებზე წარმოების მოთხოვნილების გათვალისწინებით. კიდევ უფრო განმტკიცდება ხალხის კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მატერიალური ბაზა.

საბჭოთა ახალგაზრდობის მიმართ ზრუნვის გამოვლინებაა ის, რომ სოციალისტური სახელმწიფო იცავს და ყოველმხრივ ეხმარება ოჯახს.

„სახელმწიფო ზრუნავს ოჯახისათვის იმ გზით, რომ ქმნის და ავითარებს საბავშვო დაწესებულებათა ფართო ქსელს, აწყობს და სრულყოფს საყოფაცხოვრებო და საზოგადოებრივი კვების სამსახურებს, გასცემს დახმარებას ბავშვის დაბადების გამო, აძლევს მრავალშვილიან ოჯახებს დახმარებასა და შეღავათებს, აგრეთვე უწევს ოჯახს სხვა დახმარებასა და შემწეობას“ [1].

---

[1] სსრ კავშირის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი). 1977, გვ. 26.

ჯანსაღი, ფიზიკურად და გონებრივად განვითარებული ახალგაზრდობის აღზრდისათვის დიდია ოჯახის მატერიალური ბაზის განმტკიცების, საბჭოთა ადამიანების მატერიალური და კულტურული ცხოვრების დონის ამაღლების მნიშვნელობა. საგულისხმოა ითქვას, რომ 1913 წელთან შედარებით ჩვენში მრეწველობისა და მშენებლობის მუშათა რეალური შემოსავალი გაიზარდა 10-ჯერ, ხოლო გლეხებისა — 14-ჯერ. ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავალი ჩვენს ქვეყანაში ყოველ 15 წელიწადში ორკეცდება.

მოხმარების საზოგადოებრივი ფონდები ფართოდ არის გამოყენებული სახალხო განათლების, სოციალური უზრუნველყოფის, მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის, მშრომელთა აქტიური დასვენების ორგანიზაციის, ხალხის კეთილდღეობის ყველა სხვა სფეროების განვითარებისათვის.

ხალხის კეთილდღეობის ამაღლების მაჩვენებელია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის გაზრდა, მუუბუქი მრეწველობის საგნებზე მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება და სხვ.

საბჭოთა სახელმწიფოს მუდმივი ზრუნვის საგანია მოსახლეობის საყოფაცხოვრებო, კულტურული და სხვა სახის მომსახურების განვითარება. ცხადია, ყველა ამ სიკეთით, ახალგაზრდებთან ერთად, ჩვენში სხვა თაობათა წარმომადგენლებიც სარგებლობენ. სოციალისტური საზოგადოების ყველა თაობის ადამიანებისათვის უზრუნველყოფილია ჯანმრთელობის დაცვა, უფასო კვალიფიციური სამედიცინო დახმარება. მათს კეთილდღეობას ემსახურება სამკურნალო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელი, მასობრივი სპორტისა და ფიზკულტურის, ტურიზმის განვითარება, ახალგაზრდობას, ისევე როგორც მთელ ჩვენს ხალხს, გარანტირებული აქვს კულტურის მიღწევებით სარგებლობისა და სხვა დიდმნიშვნელოვანი უფლებები და თავისუფლება.

სოციალისტური სახელმწიფო განსაკუთრებით ზრუნავს მოზარდი თაობისათვის, მისი ჯანმრთელობისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში კონსტიტუციურად აკრძალულია ბავშვთა შრომა, რომელიც სწავლებასა და შრომით აღზრდასთან არ არის დაკავშირებული. დიდი ყურადღება ექცევა სკოლამდელი და სასკოლო ასაკის ბავშვების აღზრდას.

სოციალიზმის ქვეყანაში ღრმა პატივისცემითა და ყურადღებით სარგებლობენ მოხუცი თაობის ადამიანები. სახელმწიფო უზრუნველყოფს მათ მატერიალურად, ახორციელებს მოხუცებულობის პენსიების გადიდების კურსს, ყოველმხრივ დახმარებას უწევს ადამიანებს, რომლებმაც ასაკის გამო დაკარგეს შრომის უნარი, პატრონობს მარტო-

ხელა ღრმად მოხუცებულ მოქალაქეებს, პაპორციელებს სხვა დიდ-მნიშვნელოვან ღონისძიებებს.

განვითარებადი სოციალიზმის დროს კიდევ უფრო იზრდება თა-ობათა ჰარმონიული ურთიერთობის როლი საზოგადოებრივი პროგ-რესის უზრუნველყოფაში. მტკიცდება ძველი და ახალი თაობების ერთობლივი მეცადინეობა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, კულ-ტურის, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელების — ძველი და ახალი თაობების წარმომადგენელთა საქმიანობის კომბინი-რებამ.

კომუნისტური მნიშვნელობის პროცესში კანონზომიერად იზრდება როგორც ხალხის მასების, ისე პიროვნების, შრომითი კოლექტივების ხელმძღვანელების, ორგანიზატორთა მოქმედების მნიშვნელობა, სუ-ბიექტური ფაქტორის ზემოქმედებითი ძალა ობიექტური პროცესების მიმართ. სხვადასხვა ასაკის ადამიანთა კავშირის განმტკიცების აუცი-ლებლობა თავს იჩენს ყველგან და ყველაფერში, — წარმოების, მეც-ნიერების, კულტურის, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო-ში. განვითარებადი სოციალიზმის ეტაპზე თაობათა კავშირი და ცვლა, მემკვიდრეობითობისა და სიახლის ჰარმონიული შეხამება აღმ-შენებლობით საქმიანობაში ახალ-ახალ წარმატებათა დიდმნიშვნელო-ვანი პირობაა.

VIII თავი. „სოციალურის“ მნიშვნელობის შესახებ

მეცნიერებისა და პრაქტიკის საჭიროებათა კარნახით სულ უფრო გაფართოვდა საზოგადოებრივი მოვლენების, პროცესების, მხარეები-სა და მიმართებების წრე, რომელთა აღსანიშნავად ტერმინი „სოცი-ალური“ გამოიყენება. ფილოსოფიურ, სოციოლოგიურ ლიტერატუ-რაში თითქმის არ მოიპოვება სხვა ისეთი ტერმინი, რომელსაც ესო-დენ მრავალფეროვანი და განსხვავებული ობიექტების სახელდები-სათვის ვიყენებთ ხოლმე. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ტერმინ „სოციალურის“ თანამონაწილეობით ობიექტების საკ-მაოდ ფართო სპექტრი აღინიშნება ფილოსოფიურ და სოციოლოგი-ურ მეცნიერებათა ფარგლებს გარეთაც. მაგალითად, ისეთი ცნებები, როგორიცაა „სოციალური ფსიქოლოგია“, „სოციალური სტატისტი-კა“, „სოციალური მოდელირება“, „სოციალური სტატუსი“, „სოცი-ალური პრესტიჟი“, „სოციალური პროგნოზირება“, „სოციალური დაგეგმვა“, „სოციალური ინდიკატორი“ და სხვა მრავალი აშკარად მოწმობს, რომ „სოციალურის“ ცნებით ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, იურიდიული, ფსიქოლოგიური და სხვა მეცნიერებე-ბიც ოპერირებენ.

აღნიშნული მომენტი ცნება „სოციალურის“ განსაზღვრების ამოცანას, რასაკვირველია, აძნელებს, თუ მიზნად ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების ამოცანას ვისახავთ. მაგრამ ამ ცნების მიმართ უნივერსალური, ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების მოთხოვნას, ჩვენი აზრით გამართლება არ უნდა ჰქონდეს. „სოციალურის“ ცნებაში არ შეიძლება იდენტური შინაარსი მოვიაზროთ ყველგან, სადაც კი ამ ტერმინით სარგებლობა გვიხდება.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ხშირია შემთხვევები, როდესაც მოცემულ ობიექტს მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, სპეციფიკური ტერმინოლოგიური ექვივალენტი არ შეესაბამება და ერთი და იგივე ტერმინში განსხვავებულ მნიშვნელობებს ვგულისხმობთ. ამის. მაგალითად, შეიძლებოდა მეტად გავრცელებული ტერმინი — „მატერიალური“ მოგვეყვანა. მარქსისტული ფილოსოფიის მიხედვით მატერიალური — ესაა მატერიის, ე. ი. ყოველივე იმის ბუნების მქონე, რაც ობიექტური რეალობის სახით არსებობს და შეგრძნებებში გვეძლევა. მაგრამ იგივე ტერმინი „მატერიალური“ სულ სხვა შინაარსით წარმოსდგება, როდესაც საკითხი მაგალითად, „მატერიალურ დაინტერესებას“, „მატერიალურ ანაზღაურებას“, „მატერიალურ მომარაგებას“, „მატერიალურ კეთილდღეობას“, „მატერიალურ ბაზას“. ეხება. ამ და რიგ სხვა შემთხვევებში ამ ტერმინებში ნაგულისხმევი მნიშვნელობები „მატერიალურის“ მსოფლმხედველობრივ მნიშვნელობას სცილდება.

ასევე, ტერმინი „კულტურა“, რომელსაც ფილოსოფიური მეცნიერება იყენებს, განსხვავებული შინაარსით ფიგურირებს, როდესაც მაგალითად, ენათმეცნიერების დარგში — მეტყველების კულტურის, მიკრობიოლოგიაში — მიკროორგანიზმების კულტურის, არქეოლოგიაში — კულტურული ფენების. სოფლის მეურნეობაში — კულტურული მიმოქცევის შესახებ და ა. შ. არის მსჯელობა.

ანდა მეტად გავრცელებულ ტერმინს — „კლასს“ შევეხოთ. იგი, საჭიროებისდა მიხედვით არა მარტო საზოგადოებრივ ჯგუფს, არამედ ამა თუ იმ თანრიგსაც აღნიშნავს, ზოოლოგია და ბოტანიკა მას ცხოველებისა და მცენარეების სახეების სისტემატიზაციისათვის იყენებს; ამ ტერმინს სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტით მომსახურების სფეროშიც კი ვხვდებით და ა. შ.

ანალოგიური ვითარება „სოციალურის“ ცნების განვრცობის ფარგლებსაც ეხება. თუ ფილოსოფიური და სოციალური მეცნიერება ამ ტერმინს გარკვეული მოვლენების, პროცესებისა და ურთიერთობების საზოგადოებრივი ბუნების, აგრეთვე ზოგიერთი სხვა მნიშვნელობით იყენებს, იგივე არ ითქმის სხვა მეცნიერებათა მიმართ, რომლებსაც მისი საშუალებით რამდენადმე განსხვავებული შინაარსის გამოხატვაც უხდებათ.

ასეთ პირობებში სოციალურის ცნების საყოველთაო, ერთმნიშვნელოვანი განსაზღვრების შემუშავება არ ხერხდება, ალბათ საჭიროც არ არის, ასეთ ცდებს ნაწვალებ და ხელოვნურ კონსტრუქციებამდე მიეყავართ.

უწინარესი პრაქტიკული დასკვნა, რაც ზემოთქმულის საფუძველზე გამომდინარეობს, ისაა, რომ „სოციალურის" ფილოსოფიური გაგება მისი არაფილოსოფიური მნიშვნელობისგან გავმიჯნოთ. მაგრამ ეს აქციაც „სოციალურის" ფილოსოფიური არსის განსაზღვრის ამოცანას მხოლოდ რამდენადმე შეამსუბუქებს, რაც იმით აიხსნება, რომ საკუთრივ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაშიც ტერმინი „სოციალური" ასპარეზზე არაერთმნიშვნელოვანი შინაარსით გამოდის.

ამიტომ თვით ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში აღნიშნული ტერმინის განსხვავებულ მნიშვნელობათა ამოცანა დგება. მათ შორის შემდეგი მნიშვნელობები უნდა გამოვყოთ:

1) „სოციალური", როგორც საზოგადოებრივი, საზოგადოებისეული, საზოგადოებისათვის დამახასიათებელი, მისი ბუნების მქონე. (სოციალური წარმოსდგება ლათინური სიტყვიდან soci, რაც საზოგადოებას ნიშნავს, აქედან არის ნაწარმოები societas — საზოგადოებრივი). ეს მნიშვნელობა როგორც ერთ-ერთი ძირითადი „სოციალურს" შენარჩუნებული აქვს.

ფართო, გლობალური მასშტაბით „სოციალური" სწორედ იმას გამოხატავს, რაც ობიექტის საზოგადოებრივი ბუნების, მისი სპეციფიკის მაჩვენებელია. ამ ობიექტის როლში შეიძლება გამოვიდეს ესა თუ ის ურთიერთობა, პროცესი, მოვლენა, ფაქტი, ფაქტორი და ა. შ., რომელსაც საზოგადოებრივი ხასიათი მიეწერება. ამ მნიშვნელობით სოციალურია თვით წარმოება, ეკონომიკა, კულტურა, სახელმწიფო და სამართალი, ადამიანთა მატერიალური და სულიერი ცხოვრება, შემეცნება, ენა და ა. შ.

მაგალითად, როდესაც ვმსჯელობთ შრომის, როგორც სოციალური მოვლენის შესახებ, ცხადია, „სოციალურში" სწორედ „საზოგადოებრივი" გვაქვს მოაზრებული, რამდენადაც შრომა მხოლოდ საზოგადოებისათვის არის დამახასიათებელი. იგივე ითქმის „სოციალური მოძრაობის" შესახებ, აქაც „სოციალური" სხვა არაფერზე მიგვითითებს, თუ არა მატერიის მოძრაობის სპეციფიკურ, ადამიანთა საზოგადოებისათვის ნიშანდობლივ ფორმაზე. ასეთივე მნიშვნელობა ენიჭება ტერმინს „სოციალურს" სიტყვათწარმოებაში — „სოციალური რევოლუცია", „სოციალური პროგრესი": ვგულისხმობთ რევოლუციას, რომელიც საზოგადოებაში და არა ბუნებაში ხორციელდება, პროგრესს, რომელიც ბუნების პროგრესისაგან განსხვავებით საზოგადოებაში მიმდინარეობს. მსგავსი მაგალითები შეიძლებოდა გაგვემრავლებინა, მაგრამ ეს არ შეცვლის დასკვნას, რომ აქ „სოციალური-

სა“ და „საზოგადოებრივის“ შინაარსობლივ დამთხვევასთან გვაქვს საქმე და ამის გამო ამ ტერმინებს ხშირად სინონიმური მნიშვნელობით ვიყენებთ.

„სოციალურის“ საზოგადოებრივის მნიშვნელობით გამოყენების შემთხვევებს საკმაოდ ხშირად ვხვდებით მარქსიზმის კლასიკოსების ფილოსოფიურ და სოციოლოგიურ შრომებში.

მაგალითად, ნაშრომის—„პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ წინასიტყვაობაში მარქსი მსჯელობს იმის შესახებ, რომ საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობათა კონფლიქტის შედეგად დგება „სოციალური რევოლუციის ეპოქა. ეკონომიკური საფუძვლის ცვლილებასთან ერთად მთელი უზარმაზარი ზედნაშენიც მეტი თუ ნაკლები სისწრაფით გადატრიალდება“[1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). ამ დებულებაში „სოციალურის“ ცნება საზოგადოებრივის მნიშვნელობით არის გამოყენებული. იგი მთელი საზოგადოების თვისებრივ შეცვლას, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მიმდინარე ძირეულ პროცესებს აღნიშნავს.

„გერმანულ იდეოლოგიაში“ კ. მარქსი და ფ. ენგელსი წერენ, რომ „ყოველი მომდევნო თაობა წინა თაობის მხრებზე დგას, სახეს უცვლის საზოგადოების სოციალურ წყობილებას შეცვლილ მოთხოვნილებათა შესაბამისად. ამ დებულებაშიც „სოციალური“ მთელი საზოგადოების აზრით ფუნქციონირებს, ვინაიდან „სოციალური წყობილების“ შეცვლა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, იდეოლოგიურ მომენტებსაც მოიცავს.

„სოციალური“ „საზოგადოებრივის“ ტოლმნიშვნელოვანია ვ. ი. ლენინის დებულებაში: „სწორია მატერიალისტური გაგება საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციებისა, როგორც განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმებისა“[2] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). აქაც „სოციალურს“ ფართო მნიშვნელობა, „საზოგადოებრივის“ დატვირთვა აქვს.

მაგრამ აღსანიშნავია ისიც, რომ ხშირია ტერმინებით „სოციალური“ და „საზოგადოებრივი“ გადმოცემულ მნიშვნელობათა დაშორების შემთხვევები, როდესაც თითოეულ მათგანს გაჩსხვავებულ მნიშვნელობას მივაწერთ. ტოლობის ნიშანს ვერ დავსვამთ ისეთ ტერმინებს შორის, როგორიცაა მაგალითად. „სოციალური სტრუქტურა“ და „საზოგადოებრივი სტრუქტურა“, „სოციალური ერთგვაროვნება“ და „საზოგადოებრივი ერთგვაროვნება“. აქ ტერმინების „სოციალურისა“ და „საზოგადოებრივის“ ჩანაცვლებით მათ მიერ გამოხატული შინაარსიც იცვლება. ასევე „სოციალური განვითარება“ იგივე არ

[1] კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 624.
[2] ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. გვ. 186—187.

არის რაც „საზოგადოებრივი განვითარება“, „სოციალური წინააღმდეგობა“ — „საზოგადოებრივი წინააღმდეგობა“ და ა. შ. ზუსტი არ იქნება აგრეთვე, თუ „საზოგადოებრივი ცნობიერების“ ნაცვლად „სოციალურ ცნობიერებას“ გამოვიყენებთ, „საზოგადოებრივი აზრის“ ნაცვლად „სოციალურ აზრს“, „საზოგადოებრივი საკუთრების“ ნაცვლად „სოციალურ საკუთრებას“ და ა. შ. ტერმინებს ვიხმართ. თვით „საზოგადოებრივი ცხოვრების“ სინონიმური ტერმინი არ შეიძლება „სოციალური ცხოვრება“ იყოს, ვინაიდან სოციალური ცხოვრება საზოგადოებრივი ცხოვრების მხოლოდ ერთი მხარეა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ და სხვა მხარეებთან ერთად.

ტერმინი „საზოგადოებრივი“ იმასაც აღნიშნავს რაც საზოგადოებისეულია, ე. ი. სოციალურია, იმასაც — რაც საერთოა, იმასაც — რაც ნებაყოფლობითია, რაც ანაზღაურების გარეშე სრულდება და ა. შ. მაშასადამე, თვით „საზოგადოებრივიც“ განსხვავებული მნიშვნელობების მქონეა, რითაც „სოციალურის“ შინაარსს რამდენადმე სცილდება.

ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება კონცენტრირებულ იქნას, რომ ტერმინ „სოციალურს“ არა აქვს ტერმინ „საზოგადოებრივთან“ სრული შინაარსეული იგივეობის პრეტენზია.

ტერმინების „სოციალურისა“ და „საზოგადოებრივის“ ურთიერთჩანაცვლება ზოგჯერ თვით მეტყველებასაც უჭირს. მართალია, „სოციალური“ „საზოგადოებრივს“ ნიშნავს, მაგრამ ამ მსჯელობის წმინდა უკუქცევა გაუმართლებელია, ვინაიდან თვით „საზოგადოებრივი“ „ყოველთვის მთელი მოცულობით როდია აღებული, რის გამოც „სოციალური“ და „საზოგადოებრივი“ ერთმანეთს არ ფარავენ. ეს გარემოება კი არ ამარტივებს, არამედ, პირიქით, ართულებს „სოციალურის“ შინარსის დადგენას და გარკვეულ დაბრკოლებებს გვიქმნის სხვადასხვა კონტექსტში მისი გამოყენების დროს.

2) სოციალური, როგორც ადამიანთა საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობის ს ფ ე რ ო, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მ ხ ა რ ე. მარქსიზმის კლასიკოსების შრომებში ხაზი ესმება „სოციალურის“ ამ მნიშვნელობასაც, „სოციალური“ ფიგურირებს საზოგადოებრივი ჯგუფების ურთიერთობათა ერთობლიობის გამოსახატავად, საზოგადოებრივ ცხოვრების სხვა სფეროების გვერდით. მაგალითად, კ. მარქსი იმავე ნაშრომში „პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ ნათქვამია, რომ „მატერიალური ცხოვრების წარმოების წესი განაპირობებს საერთოდ ცხოვრების ს ო ც ი ა ლ უ რ, პოლიტიკურ და გონებრივ პროცესს“ [1] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). აქ ტერმინი „სოციალური“ გამოყენებულია საზოგადოებრივი ცხოვ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, რჩეული ნაწერები, ტ. I, გვ. 624.

რების მხოლოდ ერთი სფეროს აღსანიშნავად, კერძოდ, ნაგულისხმევია საზოგადოებრივი ჯგუფების, კლასების ურთიერთობის სფერო.

„სოციალურის“ იმავე მნიშვნელობით გამოყენების მრავალ მაგალითს ვხვდებით ვ. ი. ლენინის შრომებშიც. „მე აღვწერე, — მიუთითებს ვ. ი. ლენინი, — მხოლოდ მატერიალური პროცესი, მარტო წარმოებით ურთიერთობათა ცვლილება და არ შევხებივარ ამ პროცესის ს ო ც ი ა ლ უ რ მხარეს — მუშების გაერთიანებას, შემჭიდროებას, და ორგანიზაციას, ვინაიდან ეს გამომდინარე... მოვლენაა“ [1]. აშკარაა, რომ სოციალურ მხარეზე აქ მსჯელობაა როგორც განსაკუთრებულ მხარეზე, რომელიც ეკონომიკური მხარისაგან განსხვავდება და მისგან გამომდინარეობს.

როდესაც ვ. ი. ლენინი აღნიშნავს რომ „ჩვენი რუსული რეფორმამდელი „სოციალური“ პროგრესი მხოლოდ შედეგი იყო კაპიტალისტური ეკონომიკური პროგრესისა“ — ნათელია რომ „სოციალური“ აქაც ვიწრო მნიშვნელობითაა აღებული და საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეულ მხარეზე მიგვანიშნებს. ამ აზრით „სოციალური ურთიერთობანი“ მოიცავენ კლასობრივ ურთიერთობებს, ურთიერთობებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობას, ფიზიკური და გონებრივი შრომის ადამიანებს, ერებს შორის და ა. შ.

„სოციალურის“ ეს მნიშვენლობა მკაფიოდ ჩანს სსრ კავშირის კონსტიტუციის იმ დებულებიდან, რომელიც ქვეყნის სოციალურ განვითარებას და კულტურას ეხება. აქ აღნიშნულია:

„სსრ კავშირის ს ო ც ი ა ლ უ რ საფუძველს შეადგენს მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის ურღვევი კავშირი.

საბჭოთა წყალს უწყობს საზოგადოების ს ო ც ი ა ლ უ რ ი ერთგვაროვნობის გაძლიერებას — კლასობრივი განსხვავების, ქალაქსა და სოფელს, გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის არსებითი განსხვავების მოსპობას, სსრ კავშირის ყველა ერისა და ეროვნების ყოველმხრივ განვითარებასა და დაახლოებას“ [2] (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.). აქ საზოგადოებრივი ჯგუფები და მათი ურთიერთობა სოციალურ ცხოვრებას განეკუთვნება, რომელიც ეკონომიკური და პოლიტიკური ცხოვრებისაგან განსხვავდება.

საბჭოთა ავტორების მთელ რიგ შრომებში გამოთქმული და დასაბუთებულია „სოციალურის“ — ე. ი. საზოგადოებრივი ჯგუფების და მათი ურთიერთობის ცალკე სფეროდ გამოყოფის იდეა. მაგალითად,

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. I, გვ. 199.

[2] სსრ კავშირის კონსტიტუცია, (ძირითადი კანონი). 1977, გვ. 13—14.

ვ. ს. ბარულინის მიხედვით „სოციალური სფერო უნდა განვიხილოთ როგორც დიდი სოციალური ჯგუფების: კლასების, ერების, ხალხების და ა. შ. ერთობლიობა“ [1], სოციალური სფეროს გარდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოიყოფა მატერიალურ-საწარმოო, პოლიტიკური და სულიერი სფეროები.

ე. ი. ნერსესოვას მიაჩნია, რომ „სოციალური გამოხატავს ინდივიდების... კავშირებს, ურთიერთობებსა და მოქმედებებს (ერთმანეთის, ჯგუფის, კოლექტივის, საზოგადოების მიმართ), რაც ვლინდება როგორც პირდაპირი, უშუალო ფორმით, ისე ფუნქციონირებაში მყოფ ერთობებს (კლასებსა, სოციალურ ჯგუფებსა და ფენებს) შორის“ [2].

ე. ნ. ლისმანკინის თანახმად „საზოგადოების სისტემაში საკუთრივ სოციალური მოვლენები რეალურად არსებობენ გარკვეული მხარეების, ასპექტების სინთეზის, ინტეგრაციის შედეგის სახით... ეკონომიკური, პოლიტიკური, სულიერი მოვლენების მსგავსად“ [3].

მსგავსს თვალსაზრისს სხვა ავტორებიც იზიარებენ: „სოციალური“ სფეროს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი დონის თვისებრივი თავისებურება ის არის, რომ სწორედ აქ, ამ სფეროში ყალიბდება საზოგადოებრივი ჯგუფების ობიექტური ყოფიერება, რომელიც ნამდვილად სოციალურ ყოფიერებას წარმოადგენს“ [4]. (ხაზგასმა ჩვენია. — ბ. ლ.).

„სოციალური“, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების დამოუკიდებელი სფერო ძირითადად საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სახით არსებობს.

3) „სოციალურის“ შინაარსობრივი მნიშვნელობა ობიექტის საზოგადოებრივ განსაზღვრულობაშიც მდგომარეობს: სოციალური ეკონომიკურითაა განსაზღვრული და განპირობებული, წარმოებული, მეორადია.

საზოგადოება წარმოსდგება როგორც მოვლენებისა და პროცესების, მიმართებების და კავშირების, მოქმედი ფაქტორების ერთობლიობა. მათგან ზოგი მადეტერმინირებელ ფუნქციას ასრულებს, პირველადია, ზოგი კი დეტერმინირებული. მეორადი: საწარმოო ძალები,

---

[1] Барулин В. С. Диалектика сфер общественной жизни. 1982, стр. 40.

[2] Нерсесова Е. Х. Исследование построения показателей социального развития и планирования. М., 1979, стр. 28.

[3] Сб. Марксистско-ленинская теория исторического процесса. 1983, стр. 37.

[4] Лашина М. В. Закономерности политики как общественного явления, стр. 39.

საკუთრების, გაცვლის, განაწილების, მოხმარების ურთიერთობანი საზოგადოებრივი ცხოვრების განმსაზღვრელ მხარეს, ხოლო მის ბაზაზე აღმოცენებული მოვლენები და პროცესები საზოგადოების ეკონომიკური წყობილებით განსაზღვრულ მხარეს შეადგენენ. სოციალური — საზოგადოებრივად განსაზღვრული მხარეა. მაგალითად, კრიზისები, უმუშევრობა, უთანასწორობა და ა. შ. სოციალური მოვლენებია კაპიტალიზმის დროს, ამ მოვლენების არსებობა კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური წყობილებით არის პირობადებული. რაც შეეხება კერძო-მესაკუთრულ ტენდენციებს, სოციალისტური საზოგადოების ანტიპოდებს — მათაც სოციალურ მოვლენებად მივიჩნევთ სოციალიზმის დროს, თუმცა არა აქვთ კლასობრივი ბაზა, სოციალისტური საზოგადოების ეკონომიკური წყობილების ბუნებიდან არ გამომდინარეობენ, ძველი წყობილების გადმონაშთებს შეადგენენ, მაგრამ მათი არსებობაც განსაზღვრულია მოცემული საზოგადოებრივი პირობებით.

საწარმოო-ეკონომიკური ყოფიერება გარკვეულ, საზოგადოებრივად განსაზღვრულ მდგომარეობასა და ურთიერთობაში აყენებს ადამიანებს, მათს დიდსა და მცირე ჯგუფებს, რაც მათი ცხოვრების „სოციალურ“ მხარეს შეადგენს.

ამასთან, სოციალურისა და ეკონომიკურის მიმართება ბაზისისა და ზედნაშენის მიმართებაზე არ დაიყვანება. მართალია, სოციალურს ეკონომიკური გაშაზღვრავს, მაგრამ იგი ზედნაშენურ კატეგორიას არ მიეკუთვნება. „სოციალური“ და „ეკონომიკური“ გადამკვეთი ცნებებია. ისევე, როგორც საწარმოო-ეკონომიკურ მხარეში არაბაზისო მოვლენებიც იგულისხმება (მაგ., საწარმოო ძალები, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ა. შ.); „სოციალური“ არა ზედნაშენურ მოვლენებსაც მოიცავს (ადამიანთა ერთობის ისტორიული ფორმები. ოჯახი, მეცნიერება და ა. შ.).

4) სოციალური, როგორც ხალხის ცხოვრების მდგომარეობის, როგორც ადამიანთა კეთილდღეობის მაჩვენებელი.

სოციალურის ეს მნიშვნელობა გვაქვს მხედველობაში, როდესაც ვმსჯელობთ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური განვითარების გეგმებზე, პარტიის ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკაზე. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეკონომიკური იგივეა, რაც საწარმოო სფერო, — მრეწველობა, სოფლის მეურ-

ნეობა, მშენებლობა, ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა, სფერო, სადაც ადამიანთა არსებობისა და განვითარებისათვის საჭირო მატერიალური ღირებულებანი იქმნება.

ცხადია, სოციალიზმის დროს საწარმოო-ეკონომიკურ სფეროს სოციალური დანიშნულება აქვს, იგი ხალხის მატერიალური და კულტურული მოთხოვნილებების რაც შეიძლება სრულად დაკმაყოფილებას, მისი ცხოვრებისა და შრომის პირობების გაუმჯობესებას ემსახურება.

„სოციალურში" სწორედ ხალხის ცხოვრების, მისი შრომისა და საქმიანობის უზრუნველყოფის გარკვეული მდგომარეობა იგულისხმება.

სოციალიზმის დროს ხალხის მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლება უწინარეს ყოვლისა, მშრომელთა რეალური შემოსავლების ზრდის — შუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და კოლმეურნეთა შრომითი ანაზღაურების ზრდის გზით ხორციელდება. ამასთან, საბჭოთა ადამიანების მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებულია აგრეთვე მოხმარების საზოგადოებრივ ფონდებზე, დახმარებასა და შეღავათებზე, რომლებსაც ისინი საზოგადოებრივ ფონდებიდან იღებენ. ხალხის კეთილდღეობის უზრუნველყოფის თვალსაჩინო მაჩვენებლებია სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და საცალო საქონელბრუნვის გაშლა, საბჭოთა ადამიანების საბინაო პირობების გაუმჯობესება, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობის ზრდა და მისი ხარისხის სრულყოფა. ხალხის კეთილდღეობის ზრდის ღონისძიებათა სისტემაში განსაკუთრებული ადგილი უკავია ზრუნვას გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენებისათვის და ა. შ.

სოციალიზმის დროს დიდი ყურადღება ექცევა საბჭოთა ადამიანების შრომის პირობების, განსაკუთრებით ქალთა შრომისა და ყოფაცხოვრების პირობების გაუმჯობესების საქმეს. ხალხის კეთილდღეობის ამაღლება მძლავრი კულტურული პროგრესის გზითაც ხორციელდება. ვიგანტურ მასშტაბებს აღწევს სოციალურ-კულტურული მშენებლობა, ფართოვდება სკოლამდელი დაწესებულებების, ზოგადსაგანმანათლებლო პროფესიულ-ტექნიკური, საშუალო სპეციალური სკოლებისა და სასწავლებლების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურულ დაწესებულებათა ქსელი. ყოველწლიურად კვალი-

ფიკაციას იმაღლებს ათეულ მილიონობით ადამიანი. საბჭოთა ადამიანების სამედიცინო მომსახურება, სპორტულ-გამაჯანსაღებელი საქმიანობა, მოქალაქეთა ფიზიკური წრთობა მუდმივად დგას ძირეულ სოციალურ ამოცანათა რიგში.

ხალხის კეთილდღეობა სხვა გზებითა და საშუალებებითაც მაღლდება, იგი ეკონომიკური განვითარების, საზოგადოებრივ, ე. ი. სოციალურ შედეგს წარმოადგენს. თავის მხრივ აქტიურ უკუგავლენას ახდენს ეკონომიკურ განვითარებაზე, აჩქარებს მას.

ასეთია „სოციალურის“ ზოგიერთი ყველაზე გავრცელებული მნიშვნელობა, რომლითაც თეორია და პრაქტიკა სარგებლობს.

შინაარსი

ავტორისაგან 3

I თ ა ვ ი. ისტორიული მატერიალიზმი. საგანი თავისებურებანი — 5.

1. ისტორიული მატერიალიზმი, როგორც მეცნიერება. ისტორიული მატერიალიზმის საგანი. — 5. საზოგადოების განვითარების კერძო და უზოგადესი კანონები — 6. დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის ერთიანობა — 11. ისტორიის მატერიალისტური გაგების არსი — 12. მარქსამდელი სოციალოგიის ძირითადი ნაკლოვანებანი — 13.

2. საზოგადოებრივი განვითარების კანონები და ადამიანის შეგნებული მოღვაწეობა. ანტიმეცნიერული შეხედულებანი საზოგადოებრივი განვითარების კანონების შესახებ და მათი კრიტიკა — 16. ბუნებისა და საზოგადოების კანონების ერთიანობა და განსხვავება — 22. თავისუფლება და აუცილებლობა, ფატალიზმისა და ვოლუნტარიზმის კრიტიკა — 23.

3. ისტორიული მატერიალიზმი და სხვა საზოგადოებრივი მეცნიერებანი — 36. ისტორიული მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის ურთიერთობა — 37. ისტორიული მატერიალიზმისა და პედაგოგიკის ურთიერთობა — 53.

4. ისტორიული მატერიალიზმის თავისებურებანი, ისტორიული მატერიალიზმის პარტიულობა — 63. ისტორიული მატერიალიზმის შემოქმედებითი ხასიათი — 64. ისტორიული მატერიალიზმის ქმედითი ხასიათი — 65. ისტორიული მატერიალიზმი როგორც თეორიისა და მეთოდის ერთიანობა — 66. ისტორიული მატერიალიზმი როგორც ზოგადსოციოლოგიური თეორია და კონკრეტულ-სოციოლოგიური გამოკვლევები — 69.

II თ ა ვ ი. ბუნება და საზოგადოება — 74.

გეოგრაფიული ფაქტორი და მისი როლი საზოგადოების განვითარებაში — 74. გეოგრაფიული მიმართულება სოციოლოგიაში და მისი კრიტიკა — 80. მოსახლეობის როლი საზოგადოების განვითარებაში — 91. შრომა, წარმოება — საზოგადოების არსებობისა და განვითარების საფუძველი — 107. შრომა. შრომის პროცესის ელემენტები — 110. შრომის საზოგადოებრივი ხასიათი — 113. შრომის როლი საზოგადოების წარმოშობისა და განვითარების პროცესში — 116.

III თ ა ვ ი. საზოგადოებრივი ყოფიერება და საზოგადოებრივი ცნობიერება—121. საზოგადოებრივი ყოფიერების დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი ცნობიერებისაგან — 123. საზოგადოებრივი ყოფიერება როგორც პირველადი, განმსაზღვრელი. საზოგადოებრივი ცნობიერება როგორც მეორადი, განსაზღვრული — 132. საზოგადოებრივი ცნობიერების შეფარდებითი დამოუკიდებლობა — 136. საზოგადოებრივი ცნობიერება როგორც აქტიური ძალა. საზოგადოებრივი ცნობიერების უკუმოქმედება საზოგადოებრივ ყოფიერებაზე — 143.

IV თ ა ვ ი. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია — 158.

საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური ცხოვრების განსხვავებული მხარეების ორგანული მთლიანობა — 159. კონკრეტულობა როგორც საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის არსებითი ნიშანი — 163. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც საერთოსა და განმეორებადის გამოხატულება — 165. წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობა — საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის საფუძველი — 169. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაცია როგორც სოციალური პროგრესის საფეხური — 175.

V თ ა ვ ი. საზოგადოება, კოლექტივი, ადამიანი — 179.

მარქსამდელ მოაზროვნეთა პოზიცია — 179. უტოპიური სოციალიზმი საზოგადოებისა და ადამიანის შესახებ — 181. საზოგადოების, ადამიანის, პიროვნების ცნებები — 190. კოლექტივი და მისი დამახასიათებელი ნიშნები — 200. ადამიანთა კოლექტიური გაერთიანების ფორმები; შრომითი კოლექტივების განმსაზღვრე-

ლი როლი მათ შორის — 205. პიროვნების უკუგაგლენა კოლექტივზე — 211.
VI თ ა ვ ი. **პიროვნების განვითარების საწარმოო საფუძვლები — 213.**
თვისებრივი სიახლე პიროვნების განვითარების საფუძვლების გაგებაში — 213. შრომის ხასიათის ძირეული შეცვლა — პიროვნების ყოველმხრივი განვითარების საფუძველი — 223. ძველი ფიზიკური, ხოლო შემდეგ ყოველი არაკვალიფიცირი შრომის ლიკვიდაცია — 230. ძველი ნონოტონური გონებრივი შრომის თანდათანობითი ლიკვიდაცია — 233. ფიზიკური და გონებრივი შრომის გაერთიანება პიროვნების საწარმოო საქმიანობაში — 235. შრომის მონაცვლეობის კანონის როლი პიროვნების განვითარებაში — 245. შრომის მონაცვლეობის კანონის მოქმედება სოციალიზმის დროს — 253. პოლიტიკური ალბრდა, როგორც შრომის მონაცვლეობის უმნიშვნელოვანესი პირობა — 256. საზოგადოებრივი ფუნქციების მონაცვლეობის ფორმები განვითარებადი სოციალიზმის პერიოდში — 259. შრომის ძველი საზოგადოებრივი დანაწილების ლიკვიდაცია, როგორც პიროვნების ყოველმხრივი განვითარების წანამძღვარი — 262. ორი ტენდენცია პიროვნების განვითარებაში — 278. პიროვნების ყოველმხრივი განვითარების ცნების შინაარსი — 287.
VII. თ ა ვ ი. **თაობა და თაობათა ურთიერთობა საზოგადოებაში — 298.**
თაობის დამახასიათებელი თვისებურებანი — 298. თაობათა ცვლა და კავშირი — ობიექტური სოციალური აუცილებლობა — 305. ახალგაზრდობის მოძრაობის თავისებურებანი თანამედროვე ეტაპზე — 317. ახალგაზრდობის მოძრაობის მიზეზები — 323. თაობათა კონფლიქტის კლასობრივი არსი — 329. თაობათა ურთიერთობა სოციალისტურ საზოგადოებაში — 343.
VIII. თ ა ვ ი. **„სოციალურის" მნიშვნელობათა შესახებ — 356.**

Бидзина Иванович Лутидзе
ВОПРОСЫ ИСТОРИЧЕСКОГО МАТЕРИАЛИЗМА
(на грузинском языке)

რედაქტორი ნ. მიქაძე
სამხატვრო რედაქტორი ნ. ლაფაჩი
გარეკანის მხატვარი გ. ავსაჯანიშვილი
ტექნიკური რედაქტორი ნ. ძნელაძე
უფროსი კორექტორი ბ. ჯობავა
კორექტორი ლ. მჟავია
გამომშვები ო. მაკავარიანი

ИБ № 3064, Массово-политическое издание.

გადაეცა ასაწყობად 02.07.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 16.06.88. ქაღალდის ზომა 60×90¹/₁₆. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ეენა. ბეჭდვა მაღალი. ნაბეჭდი თაბახი 23. საღებავგატარება 23. სააღრ.-საგამომც. თაბახი 21,44.
უე № 08485 ტირაჟი 3.000 შეკვ. № 8

ფასი 1 მან. 70 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, ორჯონიკიძის ქ. 50.
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Орджоникидзе, 50.
1988

საქართველოს სსრ გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.
Комбинат печати Государственного комитета Грузинской ССР по делам издательств, полиграфии и книжной торговли, Тбилиси, ул. Марджанишвили, 5.